114
1969

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მნათობი

10

1969

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 45-ე № 10 ოქტომბერი, 1969 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

## შინაარსი

ირაკლი აბაშიძე — ლექსი . . . . . . . . . . . . 3
ლადო მრელაშვილი — ყაბახი. რომანი. წიგნი მეორე. გაგრძელება . . . . 4
მიხეილ ლუკონინი — აუცილებლობა. ლექსი. თარგმანი ოთარ ჭელიძის 74
გრიგოლ ჩიქოვანი — რიგითი რიაშენცევი. ოდესური მოთხრობებიდან . . 76
მარიჯანი — ლექსი . . . . . . . . . . . . 90
ანდრო ლომიძე — ქალაქი ვარდების ტყეში. მოთხრობა . . . . 91
აკაკი გეწაძე — მუხარადში ამოსული ყვავილი. რომანი დასასრული . . 94

100 ვ. ი. ლენინი 100

შალვა გოზალიშვილი — ლენინის სახე ქართულ საბჭოთა პოეზიაში . . 142

კრიტიკა და ლიტერატურისმცოდნეობა

სოლომონ დემურხანაშვილი — რამდენიმე სიტყვა ლადო ავალიანის „ახალ ჰორიზონტზე“ . . . . . . . . . . . . 158
რ. ბარამიძე — იდეოლოგიური ბრძოლები ადრეული საუკუნეების საქართველოში . . . . . . . . . . . . 162
კორნელი კინწურაშვილი — დავით ჩუბინაშვილი და ქართველი საზოგადოებრიობა . . . . . . . . . . . . 169
გიორგი ნადირაძე — ნიკოლოზ ურბნელი . . . . . . . . . 175

ხელოვნება

მ. დუდუჩავა — რამდენიმე შენიშვნა ნიკო ფიროსმანაშვილის შემოქმედების თაობაზე . . . . . . . . . . . . 185

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი ელგუჯა მაღრაძე

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო  კ ო ლ ე გ ი ა:
ირ. აბაშიძე, დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, მ. ლებანიძე, ბ. ჟღენტი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ე. ყიფიანი (პ/მგ. მდივანი), ს. შანშიაშვილი, დ. შენგელაია, ვ. წულუკიძე, ო. ჭილაძე, რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

ტექრედაქტორი რ. ჩაკვეტაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11, პ/მგ. მდივნის — 93-55-13, განყოფილებების — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 31/VII-69 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 31/IX-69 წ. ანაწყობის ზომა $7^1/_4 \times 12$, ქაღალდის ფორმატი $70 \times 108^1/_{16}$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 16,8.
უე 10845. ტირაჟი 10.400. შეკვ. № 2335.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ირაკლი აბაშიძე

* * *

პოეტს არ წყალობს
ღრმად მოხუცება...
ხევსურ ხანდაზმის,
ხევსურ ასაკის
ბედი წილად ხვდა მხოლოდ აკაკის;
ბედი წილად ხვდა მხოლოდ გოეთეს,
მაღალ ვაჟკაცებს,
მაღალ პოეტებს,
მწვერვალებს, მხრები ცად რომ უწვდებათ.
წაშლილ, დაკარგულ კვალის წინაშე
როცა მე ვიდექ პალესტინაში,
როცა ღმერთს ვთხოვდი
ცისკრის გაღებას
და ჰა, გამოჩნდა შოთას სახებაც,
შოთა დევნილი, შოთა ლტოლვილი,
ღრმად გარდასული, ღრმად დათოვლილი,—
მე ენახე მგოსნის ხეცით დანდობა,
მე გამჩენს გულში ვუთხარ მადლობა.
მგოსნებო,
შოთას შთამომავლობავ!
მგოსნებო,
ტატოს შთამომავლობავ!
ჩვენც ჩვენი ვუთხრათ გამჩენს მადლობა,
თუ ვისმე გველის მისგან წყალობა,
თუ ჩვენგანს ვისმე ის არ უწყრება,
თუ ვისმე ვვერგოს ღრმად მოხუცება;
მხოლოდ
ეს ერთი გვქონდეს ოცნება:
მოვხუცდეთ, მაგრამ მოვკვდეთ მგოსნებად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლადო მრელაშვილი

# ყ ა ბ ა ხ ი

## რ ო მ ა ნ ი

### წიგნი მეორე

4

იმ თოვლჭყაპიანი ღამის შემდეგ დღეები კარგი დაიჭირა. მზე ყოველთვის ანათებდა ფანჯარაში, სადაც ტახტი იდგა. აქ მუდმივად თბილოდა. საათობით იჯდა ფლორა და გაჰყურებდა გზისპირა ყორემდე მიმდგარ ბაღს. იჯდა და მანამდე აყოლებდა თვალს ტყეში იშვიათად მიმავალ მგზავრს, სანამ სათავის ციხეს არ მიეფარებოდა.

გაძარცული, შიშველი ხეებიც ისეთივე ნაღვლიანი, უსასოონი და მიტოვებულნი იყვნენ, როგორც თვითონ.

ქვევით სოფელი თავისი ცხოვრებით ცხოვრობდა, ტკბებოდა ყოველი საათისათვის, ყოველი წუთისათვის წაგლეჯილი სიამოვნებით. იცინოდა, ხარობდა, ფუთფუთებდა, გუგუნებდა. მისი ხმაურის ტალღები ამ განმარტოებული, გარინდული ბაღის კედლებსაც აწყდებოდა. თითონ კი ერთურთის მსგავსი დღეებით გატანჯული, თავს ისე გრძნობდა, როგორც მეჩეჩზე უნიჩბოდ გარიყულ ნავს შერჩენილი.

სოფელში მაღაზიამდე თუ მივიდოდა.

ლამაზი ნოქარი ყოველთვის თავაზიანად ხვდებოდა ფლორას. თავად შეურჩევდა საუკეთესო კარგად გამომცხვარ პურსა და კონსერვებს, შაქარს თუ ძეხვეულს. საგულდაგულოდ შეუხვევდა სხვისთვის არარსებულ ქაღალდში და ფულსაც რაღაცნაირი „ფორსებით", მადლობით იღებდა მისგან.

ქალი ამ თითლიბაზურ მანერებს ყურადღებას არ აქცევდა, მაგრამ ერთხელ, როცა ვარლამმა საწყობში შეიპატიჟა: ახალი საქონელი მივიღე და შეარჩიე, რომელიც გაგეხარდებაო, წარბი შეიკრა და თვალები დააკვესა.

— პატარა, სოფლელო ბრიყვო, განა აქეთ ნოქრებად ქალები არა ჰყავთ? უმჯობესია, შენს ზიზიებით მორთულ, ყეყეჩ ცოლს მოუარო. — ლამაზი, ოდნავ აპრეხილი ცხვირის წვერი მელიის შევერცხლილ ბეწვში ჩამალა და გამობრუნდა.

მას შემდეგ იქ ფეხი აღარ დაუდგამს. ძალიან ეძნელებოდა, მაგრამ იძულებული იყო, კუპრაჭას სასადილოსათვის მიემართა.

რამდენიმე შექეიფიანებულმა მუშტარმა მაშინვე საკმაოდ უწმაწური ხოტბა შეასხა „ანგელოზის" გამოჩე-

გაგრძელება იხ. „მნათობი" № 9.

ნას. კუპრაჭამ ადლიანი დანა წვერით დახლში ჩაასო, ტარზე დიდი ხელები ჩამოდო და ისეთი თვალით გახედა ახუნტრუცებულებს, ენა მუცელში ჩააგდებინა.

— უკანა კარით მოდი ხოლმე, ჩემო დაო, აქ უხერხული იქნება შენთვის. ან არადა მითხარი, რამდენი, როდის რა გჭირდება და თვითონ გამოვატან.

— აჰ, არა, გმადლობთ. ნურავის შეაწუხებთ. მე თვითონ მოვალ.

— რა შეწუხებაა, ქალს გამოვატან.

— არა, გმადლობთ, მე თვითონ მოვალ. დიდი მადლობა. და ორი დღის სამყოფი ერთად წაიღო.

რაზედაც არ უნდა ეფიქრა, ბოლოს მაინც ყოველთვის თვალწინ ედგა ის დილა, ნაფეხურებზე რომ მიხვდა რუსუდანის მოსვლას. ასე არასდროს შეშინებია, ასე არასდროს არ დაბნეულა, ასე არასდროს გაუტანჯავს სირცხვილსა და სინდისის ქენჯნას.

პირველი მისი ეშმაკური მოსაზრება, ჩემოდნის დამალვა იყო. შემდეგ კი დირეზე და აივანზე სველი ნაფეხურების წაშლა ტილოთი. მერე იჯდა და სიცივისაგან აკანკალებული დამფრთხალი თვალით უმზერდა მძინარი ბიჭის წარბზემოთ გაწოლილ ნაჭრილობევს.

როგორც კი გაიღვიძა და ფანჯრიდან შემოსული დღე შენიშნა, შავლეგო საწოლიდან წამოვარდა.

— რატომ არ გამაღვიძე? — ელვის უმალ ჩაიცვა და გარეთ გავარდა.

კიბე როგორც კი ჩაათავა, ფლორა ფანჯარას ეცა და ფარდას ამოეფარა. ერთხანს ელოდა ეზოში მის გამოჩენას. მერე, რაკი არ გამოჩნდა, კარი გამოაღო.

შავლეგო უკანვე ამოდიოდა, ნაფეხურებს აკვირდებოდა. კიბე ამოათავა და კიბის თავთან დიდხანს იდგა დაფიქრებული. შემდეგ აივანს გამოაყოლა თვალი და თავი რამდენჯერმე ჩაიქნია. მერე კარებთან გაშეშებულ ფლორას თვალი თვალში გაუყარა.·. დიდხანს უცქერდა.

— ესეც ეგრეეე. — ჩაილაპარაკა და წავიდა.

და ეს გახსენება, ღამეულ ხმანებებში არეული, მუდამ თვალწინ ედგა. ქვეშეცნეულად მიხვდა: მოვიდა რაღაც უფრო დიდი, ვიდრე სიტყვა „მეგობრობა“ იტევს. უფრო ღრმა, ვიდრე სისხლით ნათესაობაა. იმ ღამის სიცოცხლით სუნთქავდა, იმ ღამის სანეტარო ტანჯვით იტანჯებოდა, იმ ღამის სიტკბო და სიმწარე ეზავებოდა ყოველდღიურ ყოფნა-არყოფნას. ახალგაზრდა იყო და ლამაზი. და თუ ეს ცოდვილი მიწა თავისი მოსვლით გააბედნიერა, მისგანაც უკლებლივ უნდა მიეღო თავისი წილი ბედნიერება. მეგობარი მუდამ ახსოვდა, რადგან ის ღამე ერთი წუთითაც ვერ დაივიწყა. ვერ დაივიწყა ვერც ერთი წუთით, რადგან იმ ღამეს „კაკომ ქურდობა ჩაიდინა“...

ზოგჯერაც გრძნობდა, როგორი დისონანსი შეიტანა მისმა გამოჩენამ ორი ახლობელი ადამიანის არც თუ ულამაზო ცხოვრებაში. მაშინ სინდისი მომეტებულად ქენჯნიდა. ასეთ წუთებში ცდილობდა, გასცლოდა ამ სახლს. მაგრამ ჭიშკრამდე მისულს რაღაც უჩინარი ძალა კვლავ აბრუნებდა იმ ღამის ნავსაყუდელისაკენ.

დანარჩენ დროს კი იჯდა და ელოდა „მის“ გამოჩენას.

და, როცა გამოჩნდა, მხოლოდ წუთით მოასწრო თვალის შევლება. ადგილზე გაშეშდა, აზრი დაეფანტა, ენა ჩაუვარდა და „ისიც“ ისე გაბრუნდა უკან, მხოლოდ მძიმე ნაბიჯების ყრუ ხმა დაუტოვა კიბეზე ჩასვლისას.

ეს ხმა წარუშლელად შემორჩა სმენას. ისევე ნათლად, როგორც მაშინ, როცა მოვიდა· ამ ხმით გაივსო სული მისი და ლამაზი სხეული. და, როცა ღღისით, საიდანმე რამე ხმაური მოეყურებოდა, უმალვე აივნისკენ გამავალ ფანჯარას მივარდებოდა. როდესაც ღამით ნაზამთრალი ქარი ხეებს ან ღობეს აჭრიალებდა, სუნთქვას აჩერებდა და დაძაბული მოლოდინით ცდი-

ლობდა აივნის ფიცრების ჭრაჭუნისათვის მიემსგავსებინა.

„მე ოდესღაც მოგვი ვიყავი ბაბილონში და უთანაფიშთი იყო ჩემი პირდაპირი წინაპარი...“

ნეტა თუ მართლა სჯერა ვინმეს ამგვარი რამე? ის კი გაუგონია: თუ ვინმეს ნახვა გინდა, ძალიან გინდა, ძალიან, ძალიან, ძალიან გინდა, შეიძლება სურვილი შეგისრულდეს, შეიძლება ნახო.

ო, როგორ უნდა! ო, როგორ სულითა და გულით უნდა! მთელი არსებით უნდა, რომ კვლავ გაიგონოს იმ ნაბიჯთა ხმა, იმ მძიმე, ყრუ ნაბიჯთა ხმა, რომელმაც ამ რამდენიმე დღის წინ მის გულზე, გულზე და მთელ სხეულზე მოურიდებლად გადაიარა და დაიკარგა. და... ჰოი, ღმერთო! ღმერთო დიდებულო! ნამდვილად ესმის თუ მოეჩვენა? კიბეზე რაღაცამ გაირაკუნა და საფეხურიც თითქოს აჭრიალდა. თითქოს კი არა, ნამდვილად აჭრიალდა. კიდევ რაკუნი! კიდევ და კიდევ! მერე მიყუჩდა... აჰა, აი კიდევ! ის არის! ღმერთო, ნუ გააგიჟებ! ღმერთო, ნუ შეშლი! ღმერთო, ნუ დაამუნჯებ და დააკუტებ! მიეცი ძალი, რომ წამოდგეს, ილაპარაკოს. ხელი მოჰხვიოს და თავადაც მძლავრ მკლავებში გათანგული დაიგრიხოს და დაილეწოს! ღმერთო, ამოვიდა! აივანი გადმოიარა. კართან მოვიდა! კარი გააღო! ღმერთო!...

ფლორამ ამოვარდნაზე მყოფი გული ხელით დაიჭირა, სუნთქვა შეიკავა და მაგრად, მაგრად დახუჭული თვალები გაახილა.

ზღურბლზე რუსუდანი იდგა, შეცვლილი, უფერული და რაღაც შორეული.

ფლორა გახევდა, სისხლი გაეყინა, ხელ-ფეხი გაუცივდა და კანი აებურძგლა. ზიზღისა და რაღაც სიბრალულის მსგავსმა გამსჭვალავმა მზერამ მთელი ტანი ჭინჭარივით დაუსუსხა.

კარის წირთხლს მიყრდნობილი, გამხდარი, გატანჯული რუსუდანი ისევ სილამაზით ყვაოდა. მაღალი მკერდი, კენარი ტანი, ჩამოსხმული ფეხები, ნატიფი სახე, მშვენიერი, მუქი-წაბლისფერი თმა და კაცის დამღუპველი შავი, უძირო თვალები. უბედურებაშიც კი ისეთივე გულმიმტაცი დარჩენილიყო, როგორსაც ბედნიერებაში იცნობდა.

რუსუდანმა ერთ ხანს კიედვ უმზირა. ნერე მწარედ გაიღიმა და თავი გაწამებულად გადაიქნია.

— უბედურო... ჩემზე მეტად უბედურო...

ფლორამ უკან-უკან დაიხია, ტახტის კუთხეში მიიკუნჭა, თავი კედელს მიაყრდნო და თვალები კვლავ მაგრად დახუჭა. სირცხვილისა და შიშის გრძნობამ ენა წაართვა. დიდხანს იყო ასე. იჯდა და ელოდა...

დიდი ხანი გავიდა. იქნებ წელიწადიც. ორი. სამი. ათი წელიწადი...

როდესაც კვლავ გაახილა, რუსუდანის მაგიერ შავლეგო დაინახა.

შავლეგო შინ შემოსულიყო, ტახტთან ახლო მომდგარიყო და მას უცქერდა...

ფლორა აცახცახდა, კიდევ უფრო მიიკუნჭა და სახეზე ხელები აიფარა.

ერთ ხანს ჩუჩუნი არ გაუღია, მერე თითებშუა ფრთხილად გამოიხედა და გაქვავდა: მოჩვენება არ გაქრა. ნამდვილად შავლეგო იყო, ახოვანი, ზვიადი, ლამაზი. იდგა და მკაცრი სიბრალულით პირდაპირ ფლორას მისჩერებოდა...

ღმერთო! დღეს რა ემართება? ნუთუ ავად არის? თუ ეს ყველაფერი აღგზნებული, დამშეული ტვინის ნაყოფია? არა, ეს ჰალუცინაცია არ არის, ეს ხორცშესხმული შავლეგოა, ამქვეყნიური ჯოჯოხეთის განუსჯელი მეუფე!

ნორჩი სატაცურისფერი ტუჩები შეირხნენ და ძლივს წაიჩურჩულეს:

— შავლეგ...

— სად არის რუსუდანი? — ცივად იკითხა შავლეგომ.

ფლორა მოირღვა, და წელში მოიხარა.

ნუთუ ეს მართლა შავლეგოა, ნუთუ მართლა ის არის? ღმერთო, რა ბედნიერია! რა უსაზღვროდ ბედნიერია! მოვიდა! მაინც მოვიდა! მასთან მოვი-

და! მორჩა! — ახლავე მოხვევს ხელებს, კატასავით მოიკეცავს მის ძალუმ მკერდზე და როგორც იმ ღამეს, იმ ნაქურდალ ღამეს, ახლაც თვალდაუხამხამებლად შეძვრება ჯოჯოხეთის გეენიაში! და ისე მიიკრავს თავის მკვრივ მკერდზე, რომ მარწუხებითაც ვერ ააგლეჯენ...

ფლორა კუთხიდან გამოხოხდა, დამნაშავე ძაღლივით მორჩილად მიღოღდა ბიჭთან და ერთგულებით სავსე, გრძელი წამწამებით დაჩრდილული თვალები გაუბედავად შეანათა.

იმდენი სიფაქიზე და სიწმინდე მიეცა გადატანილ ტანჯვასა და ეჭვს, სული მისი იმდენად დაეხვეწა იმ წარსულ დღეებს, იმდენი სიყვარული და მორჩილება მოჩანდა ამ ბავშვივით დიდ, ლამაზ თვალებში, რომ ბიჭი გაოცდა. ცხვირის ირგვლივ კვლავ ოდნავ, სულ ოდნავ ეტყობოდა მქრქალი ნაჭორფლი, ქორფა სახეს კი ისეთი სითეთრე გადაჰკრავდა, როგორიც დეკას ყვავილსა აქვს აგვისტოს ბოლოს.

ფლორას მუდარის თვალი არ მოუშორებია ბიჭისათვის. უსიტყვოდ, ჩუმად, ნელა წამოდგა, ათრთოლებული ტანი ახლოს მიუტანა, გაუდრეკ ქედზე ხელი მოჰხვია და მერე დიდი კნუტივით ზედ მიეხუტა.

— სად არი რუსუდანი? — კვლავ ცივად იკითხა ბიჭმა და მოცახცახე ტუჩებს ტუჩი აარიდა.

ფლორამ ნიკაპი რბილად ჩამოუდო მხარზე, კიდევ უფრო შემოეჭდო კისერზე და... უცებ გული გაუჩერდა! შუბლში დარტყმულმა სიცივემ კეფაში გაატანა, მერე ხერხემალში გადაინაცვლა და მკერდი დაუზაფრა! — კარებთან რუსუდანი იდგა: ცოცხალი, ხორცშესხმული, ნამდვილი...

შავლეგომ ქალის მკლავებს ორივე ხელი ფრთხილად მოჰკიდა.

ფლორა შეთრთოლდა და დასიცხული თვალი გაახილა.

რომ არ წაქცეულიყო, რუსუდანი კარს მიეყუდა. გაფითრებული ტუჩები საცოდავად ააცმაცუნა და ფლორამ აშკარად გაიგონა მათი ჩურჩული:

— უბედურო, ჩემზე მეტად უბედურო... — მკერდზე ხელი იტაცა, შებრუნდა და აჩრდილივით წავიდა.

ფლორას შიშისაგან გულგვამი გაეყინა.

„კაკომ ქურდობა ჩაიდინა!.."

„კაკომ ქურდობა ჩაიდინა!.."

და ერთმანეთს მიება:

გამოცხადება.

მოჩვენება.

მირაჟი.

ჰალუცინაცია...

გაყუჩებული ბიჭი დაეჭვდა, ქალს ხომ არაფერი დაემართაო. მოღვენთილი მკლავები ნელა მოიცილა კისრიდან და წეღანდელზე უფრო გარკვევით იკითხა:

— სად არი რუსუდანი, ფლორა?

გაწამებული ქალი იქვე ჩაჯდა და თავი უკან გადაუვარდა.

— წავიდა... რა ხანია, წავიდა...

შავლეგო ერთხანს კიდევ იდგა და უცქეროდა თავის ხელში მოცახცახე ქალის ცივ ხელებს, ატლასივით მბზინვარე რბილ კანს, გრძელსა და მშვენიერ თითებს. მერე შეეშვა ხელებს, მისწვდა მის ლოყებს, ბავშვივით გაბუსხულ ტუჩებში მაგრად აკოცა და უმალ გაბრუნდა.

ფლორა დიდხანს იჯდა მეხდაცემული, სახეშეშლილი და გონდაშრეტილი. მიხვდა, რაოდენ ზედმეტი იყო ამ ქვეყანაზე. საკუთარი თავი თითონვე შეებრალა და მდუღარე ცრემლმა თავისთავად გაიკვლია გზა გაფითრებულ ლაწვებზე.

5

კიბის თავზე ჩამომჯდარ ზაქროს მაღალ მუხლებზე შემოეხვივნა მკლავები, ნიკაპი ზედ ჩამოედო და თებერვლის მზეს გაჰყუჩებოდა. იჯდა თავისი ბუნაგის წინ გამოსული ნაზამთრალი დათვივით, სამყაროს ხელახალი ხილვებით სავსე და სიცოცხლეზე დახარბე-

ბული. ჯანმრთელმა სხეულმა თავისი გაიტანა. ბიჭი დღითი-დღე ივსებოდა ძველებური სისხლითა და ხორცით.

საავადმყოფოდან გამოსვლის შემდეგ ცოლ-ქმარი აღარსად გაუშვა. ვეღარც ქეთომ დაანება მარტოსულს თავი. ვალერიანი თვალებში მისჩერებოდა ცოლისძმას, რა ესიამოვნებოდა და რა ეწყინებოდა. კუპრაჭადან ამოჭრნოდა საგანგებოდ შერჩეული ახალ-ახალი ხორცი და სანოვაგე. მთელი ბაღ-ბოსტანი გადაბარა, წაქცეული ღობე გაამაგრა, ცალ ანჯამაზე ავარდნილი კარი ჩამოჰკიდა და ეზოში ხეხილი გასხლა. მართალია, ზოგან სწორედ სანაყოფე და შესარჩენი ტოტები შეაჭრა, მაგრამ თავისი ჭკუით მაინც რაღაც სასიამოვნო გააკეთა ზაქროსათვის. ვენახის გასხვლა კი ავადმყოფმა არ დაანება. აიღო სასხლავი და ვენახში თვითონ გავიდა. ნახევრადაც ვერ მიიტანა ერთი მწკრივი. ვეღარ შესძლო ფეხზე დგომა და წელის მოხრა-გამართვა. თავბრუ დაეხვა, ხელი მოუდუნდა. დიდი ხნის წოლითა და უმოქმედობით ორგანიზმი დაუძლურებულიყო. გაოფლილი, მარჯვენა აკანკალებული, უკანვე გააბრუნეს ცოლ-ქმარმა.

მერე ვარდუაანთ იოსებას დაუძახეს.

მაინც კმაყოფილი იყო ზაქრო, რომ გაქსუებულ ბიჭს „რაღაც მოუხერხა“.

თავად უფროსი გამომძიებელი ხუცურაული ეწვია რამდენჯერმე და მეათეჯერ მოსთხოვა დამჭრელი დაესახელებინა. „ვერ ვიცანიო“, სულ ეს ეკერა პირზე. ვერც კუპრაჭას დააცდენინეს რამე. ვერც სხვა ბიჭებს.

მილიციამ მაინც გამოარკვია დამნაშავე, მაგრამ ზაქრომ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა: „ეგ არ იყოო“. იცოდა, თუ მილიციას ჩაუვარდებოდა, თავად ვეღარ აზღვევინებდა ყველაფერს.

მერე ის იყო ბაკურაძემ ქვეყანა შეყარა, მიწიდან მოთხარა მეთევზე და კარგა დათეთქვილ-დაბეგვილი პალატაში მიუგდო...

დობილის გაჩენამ უზარმაზარ სახლს სიცოცხლე შემატა. პეწი და სილამაზე დაეტყო ოთახებს, ყველა ნივთს თავისი ადგილი მიუჩნდა, ეზო გაიწმინდა და დაკრიალდა.

სახლი მშვენიერ ადგილას იყო — ბერხევის პირას. მამამისმა ადრევე იზრუნა ამისთვის. ჰალისპირის საბჭოს თავმჯდომარედ დაჯდა თუ არა, მაშინვე საეზოე ადგილი შეარჩია.

მამა!

დიდი, ვეება, კეთილი მამა! როგორ უყვარდა თავისი ბიჭი! როგორც კი საღამოთი შინ მობრუნდებოდა, მაშინვე ზაქროს მოიკითხავდა. აიყვანდა, ჰაერში შეისროდა, მერე დაიჭერდა და ჩაჰკოცნიდა. ეტყოდა: „გამაგრდიო“, მერე ფეხებში, კოჭებთან ჩაავლებდა ხელს და მაღლა აწეულს ათამაშებდა: „პაპლი-პუპლი, პაპლი-პული, პაპლი-პუპლი, ჩემი ბიჭი!“ მერე კვლავ ჩაჰკოცნიდა, დასვამდა ძირს და ჯიბიდან ფოჩიან კამფეტებს ამოჰყრიდა.

მამა, დიდი მამა...

ღამით წაიყვანეს... უთხრეს: „თელავში გიბარებენ საქმეზეო...“ მეორე ღამეს სხვა ძიები მოვიდნენ... მთელი სახლი გადააქოთეს. მას შემდეგ მამა აღარ დაბრუნებულა...

სოფელში რაღაცას ამბობდნენ ბალღამაზე.

ზაქრო კოჭლს ორღობეში დაუხვდა ერთ საღამოს, ქვით თავი გაუტეხა და გაიქცა.

კარგა დრომ გაიარა. დედა შარშანწინ დაასაფლავა და დარჩა ამ უზარმაზარ სახლსა და ეზო-ყურეში, მარტოდმარტო, ერთი ბომბორა ქოფაკის ამარა.

ბიჭმა ყველაფერზე გული აიყარა.

ბაღ-ვენახი გაველურდა და ეზო აიშმაშა.

ძაღლი გაავდა და გულჩახვეული გახდა.

დარჩა მხოლოდ ჭიდაობა და რუსუდანი.

და ბოლოს რუსუდანი.

მხოლოდ რუსუდანი.

— რუსუდან, გოგო, რუსუდან!..

შხამის პირველი წვეთი ხატილეწიამ ჩააწვეთა, მეორე თვითონ ქალმა. მე-

რე კი, სულ მერე, თავისი თვალით ნახა, როგორ ჩუმად, როგორ ნაზად, როგორ ფრთხილად, როგორი სიყვარულით მიცოცავდნენ გაუდრეკავ, გარუჯულ ყელ-კისერზე ის თლილი, ის გრძელი, ის ლამაზი თითები და რაოდენი ზრუნვა და სითბო იგრძნობოდა ამ მოპარულ, თითქოსდა შეუმჩნეველ ალერსში...

— ოოჰ, რუსუდან, რუსუდან!

ზაქრომ თავი გვერდზე მიიღო და ბაღჩაში მყოფ ცოლ-ქმარს გაჰხედა. ყრუდ ისმოდა მათი ზომაზე მეტად დაშაქრული საუბარი.

ბედნიერი ექთანი მეთევზეს არწმუნებდა, რომ მისი შვილი უეჭველად ბიჭი იქნებოდა.

— რომ იცოდე, როგორი ცელქია! სულ ფხლაკუნობს, სულ ფეხებს იქნევს. აი... აი, ახლაც, აი, ნახე.

ვალერიანმა ბარი ნაბარში ჩაარჭო და ცოლის გამობერილ მუცელთან ჩაცუცქდა.

— დახე! დახე, რას შერება! შენ უყურე ამ მამაძაღლს!

— შენ კი მოშორება გინდოდა.

ვალერიანი წამოდგა და ისევ ბარს მიეტანა.

— როცა იქნება, ვარლამს ცხვირპირს დავულილავებ. იმას რომ არ ეთქვა, ყველა ექთანი...

— რა ყველა ექთანი?

— არაფერი. აღარ მინდა გავიხსენო· თან ჯერ არც მე ვაპირებდი ცოლის შერთვას... მერე შენ გამაბრაზე, სულ უკან დამდევდი.

— მრცხვენოდა, ვალერიან, მაშ რა მექნა ამოდენა მუცლით?

— რას იტყვი, მამაშენთან როდის მივიდეთ?

— ზაქრომ თქვა, ცოტა კიდევ მოვალ ჯანზე და მე შეგარიგებთო.

— ჩვენსა როდისღა გადავალთ?

— ზაქროს ჯერ თავი არ დაენებება. მერეც დამენანება მისი მიტოვება. თვითონაცა თქვა: ცოლის მოყვანას არ ვაპირებ და ამოდენა სახლი რა ჭირად მინდაო.

— ეეჰ, როგორ აურია თავგზა იმ გოგომ! ვინ იცის, ის ულაყი რომ არ გამოჩენილიყო, უარი არ ეთქვა.

— ერთხელ მოსულიყო საავადმყოფოში მაგის სანახავად და ექიმებს არ შეეშვათ.

— რატომ?

— წინა დღეებში არავის არ უშვებდნენ.

ზაქრომ მძიმედ ამოიოხრა, ბედნიერ ცოლ-ქმარს თვალი აარიდა და კვლავ თავი ჩაჰკიდა.

ეს ყველაფერი იცოდა მოჭიდავემ, იცოდა, მაგრამ ისიც ძალიან კარგად იცოდა, რომ ცალი ხელით ტაში არ დაიკვრის. მთელი ხილული სამყარო ორად იყო გაყოფილი: ცალ მხარეს ბედნიერნი, მეორე მხარეს უბედურნი. უბედურთ მრავალი აკლდებოდა და ისინიც ბედნიერთ ემატებოდნენ... და იყო მარტოდმარტო მოჭიდავე ამ საყოველთაო მზითა და ბედნიერებით სავსე ქვეყანაზე. ადრე თუ გვიან, ქეთო და ვალერიანი უნდა წასულიყვნენ. ადრე თუ გვიან, ეს ვეება სახლი კვლავ სიმარტოვის საყუდრად უნდა ქცეულიყო. და ერთადერთი სულიერიღა რჩებოდა მისი ხმის გამცემი, ძაღლი ბარჯღლა!

რუსუდან!

რუსუდან!

რუსუდან!

ჭიშკარზე კუტი კარმა გაიჭრიალა და ეზოში რუსუდანი შემოვიდა... შედგა, მიიხედ-მოიხედა და მერე პირდაპირ მისკენ გამოსწია... მტკიცედ აბიჯებდა, ლამაზი, ამაყი, პირქუში და მკაცრი. მოვიდა და პირდაპირ თავზე დაადგა. დიდხანს უმზერდა თვალებადქცეულ ბიჭს.

— გამარჯობა, ზაქრო. — ხმა უცხო ჰქონდა, ყრუ და ჩავარდნილი. თავადაც უცხო იყო და უცნაური.

— გაგიმარჯოს... რუსუდან, — ძლივს ამოიხავლა და წამოიწია.

— ძალიან დავიგვიანე?

— როგორ... როგორ თუ... დაიგვიანე?

— მინდა შენთან დავრჩე... სამუდამოდ... მიმიღებ?

— რრრ-რაო?

— შენთანა ვრჩები... ამაღამ... სამუდამოდ... მიმიღებ?

თავში დარტყმულმა მეხმა ფეხის გულებში მოადინა ჟღრიალი. ქვეყანა დაბნელდა და ყურებში მილიონი ქვემეხი დაიცალა. ბიჭი შეტორტმანდა, კვლავ წამოიწია და საფეხურიდან წელი ველარ აიტანა.

## თავი მეშვიდე

1

მახარე უწადინოდ იქნევდა წერაქვს. საუკუნეობით მიწაში ჩაწიდული ქვალორღი იძვროდა და მერე ხრიალ-ჩხრიალით მიექანებოდა ფერდობზე. არც სოსო და ჯიმშერი იყვნენ მაინცა და მაინც მუშაობის ხალისზე. არც დანარჩენ ბიჭებს ეტყობოდათ აღფრთოვანება.

— მოიგონეს, რა! აქ, ამ ხრიოკზე რამ უნდა იხაროს? — იღრინებოდა დათაც და ნიჩბითასწორებდა მონათხარს. — გიჟის ამყოლიც გიჟიაო, არა, რა ჭკუა იყო მთელი აქტივის თქვენთან შეერთება? ერმანა ბრიგადირად მოყუჩდა და აღარა ენაღვლება რა.

არც თავად ჩასაბერი იყო ხასიათზე. მოსვლისთანავე კინაღამ წაეჩხუბა ფიროუზას: „სალამური გადააგდე, თორემ დაგიმტვრევო. საჭიროა თუ არა, სულ პირში გაქვს გაჩრილი, როგორც ძაღლს ძვალიო“.

ფიროუზა აიქოჩრა და თოხი მიაგდო: „თუ ძალიან გიშლით მე და ჩემი სალამური, წავალთო“.

ბიჭებმა ძლივს დასტოვეს.

ციხის გარშემო უკვე მეხუთე წრეს ათავებდნენ.

რაღაც უცხო სახეს აძლევდა ახლა აქაურობას კაცის ხელით დაჩნეული ცვლილება. ბიჭებს გუნებაში მაინც მოსწონდათ ნაჩხირკედელავები. ოღონდ შინაგანი მონდომება და ხალისი აკლდათ. სანახევროდ არა სჯეროდათ თუ აქ ხეხილი გაიხარებდა.

მებაღე თომამ შვიდჯერ გადასერა იქაურობა წალმა-უკუღმა, ათჯერ გაზომა და გამოზომა, ოცჯერ სხვადასხვა ადგილას მოჩიჩქნა მიწა და ბოლოს დაასკვნა: „აქ მშვენიერი ხეხილი გაიზრდება, ოღონდ ყინვა-გამძლე ჯიშებია საჭირო და მუდმივი რწყვაო“. ქარსაფარი არ უნდოდა, აქეთ-იქიდან სოფლის თავამდე ჩამოძაბული მაღალი ქედები იფარავდა ქარებისაგან ქაჩალ-გორასა და ჩახრიალას ფერდობს.

სამასამდე ვაშლის ნამყენს შეჰპირდა თომა შავლეგოს. ოთხმოცამდე — მსხლისას. გაზაფხულის პირზევე მისცემდა და დარგვაშიაც მოეხმარებოდა.

საუკეთესო ჯიშები იყო: ქართული სინაპი, თურაშაული, კეხურა, შაფრანი, ანტონოვკა, წითელი ბელფლორი, კანდილი, კალვილი, კანადური რენეტი, და კიდევ უამრავი სხვა, რომელთა სახელები ბიჭებს არც დაამახსოვრდათ. თავად თომა კი, ყველა სახელს ისე სიამოვნებით თვლიდა, როგორც საროდაფის წინ მოცლილი ქურთი კრიალოსანს. გაზაფხულამდე აპირებდა თეთრ წყლებსა და გომბორში ასვლას. იქაური ხეხილის სანამყენე კვირტებისა და კალმების ჩამოტანას. უნდოდა, უწყლობის შემთხვევაში იქაური ყინვაგამძლენი აქაური გვალვაგამძლეებისათვის შეეჯვარებინა და ამ ადგილისათვის შესაფერისი ჯიშები მიეღო.

ბიჭებს მანც საკმაო იმედს აძლევდათ თომას დიდი ავტორიტეტი. ეგ იყო მხოლოდ, სამუშაოს სიძნელე უტეხდათ ცოტა გულს. და კიდევ ყველაზე მეტად თავიანთი ბელადის გაუჩინარება. ეს ერთი ხანია, შავლეგოსთვის თვალიც არ დაეკრათ. ის იყო ყველაფრისა

და ყველა წამოწყების სულის ჩამდგმელი, ღონის მიმცემი და, საძირში მიგდებული ხარივით, მთავარი გაჭირვების გადამტანი. მანვე შეარიგა და შეაერთა მთელი სოფლის ახალგაზრდობა, „აქტივი“ და „ყალაღინები“. და ახლა, ეს შეერთებული ძალა, რასაც მიადგებოდა, ყველაფერს გაამტვრევდა და გაიტანდა. ოღონდ ის ჰყოლოდათ გვერდში, მათი მწყემსი და მფარველი.

მართალია, ჩასაბერი ირწმუნება, დისერტაციაზე მუშაობსო, მაგრამ, განა წინათ კი არ მუშაობდა დისერტაციაზე? არა, აქ კიდევ რაღაც სხვა ამბავი უნდა იყოს. აი, აღარც აგრონომს დაუდგამს ფეხი· წინათ კი ჰყანტობშიც ყოველდღე მოდიოდა. აქაურობაც მისი დაგეგმილ-დაზომილია. რაც თბილისიდან ჩამოვიდა, აღარ გამოჩენილა. ხოლო, რაც გათხოვდა... თუმცა არც არის გასაკვირველი; მოწინავე აგრონომთა რესპუბლიკური თათბირის მონაწილეებს შორის მაგისი სიტყვა ყველაზე დიდი და საქმიანი იყო, ყველა გაზეთმა დაბეჭდა მისი სურათიანად. ყველა გაოცა თავისი ცოდნითა და ჭკუით... ახლა აქ რაღას ამოვა?... არა, აქ რაღაც სხვა ამბავია!

და დიდ ანგარიშს უწევდნენ რუსუდანის უცნაურ გათხოვებას· სოფლის მითქმა-მოთქმას და თავიანთ უტყუარ გუმანს.

მაგრამ ბიჭებს მაინც უხაროდათ ფერდობს გამოგლეჯილი ყოველი მეტრი მიწა. აღარც თოვლ-ჭყაპს ერიდებოდნენ, აღარც ღრუბლიან ამინდს და აღარც სიცივეს· ჰყანტობში გატარებულმა დღეებმა გამოაწრთო მათი ნებისყოფა და შრომასაც მიაჩვია.

ჩასაბერი ქვაზე ჩამოჯდა, წერაქვი ფეხებშუა ჩაიყუდა და ტარზე ნიკაპი ჩამოდო. დაფიქრებული უყურებდა მომუშავეთა ტანის რიტმულ რხევასა და ხელების გამოზომილ მოძრაობას. უსმენდა, ცივი ხრაშუნით როგორ მიძვრებოდა ნიჩბის პირი მონათხარ ნიადაგში. ფერდობზე როგორ მიხრიალებდა ქვა-ღორღი.

გადაეწოდა და ერთი გორახი აიღო ხელში. მოუჭირა და დაფშვნა... მიწა რუხი იყო, ოდნავ ნაცრისფერი და ყორენარევი. კიდევ უფრო წვრილად დააქუცმაცა. მერე ხელის გულზე გაშალა და დიდხანს უცქეროდა. არაფერს არ იწვევდა მასში ეს ცქერა. მისთვის უცხო იყო ის გრძნობა, რა გრძნობაც შეუნიშნავს მებაღე თომას თვალებში, როცა ასე სჭერია იგივე მიწა ხელში. აქ კი მეტი არაფერი იყო, გარდა ლამის უწვრილესი ნაწილაკებისა, ოდინდელი ნეშომპალას გალეული ნაშთებისა, ადრეული ცარცის პერიოდის ზღვის ცხოველთა ნიჟარების ნამუსრევისა და შიგ სუსტად გაბლანდული ურო-ბალახას ფესვებისა. ეს იყო და ეს. თომასაც იგივე მიწა ეჭირა ხელში... მაგრამ მებაღის მზერაში ჩანდა, რომ იგი უფრო მეტს ხედავდა ამ მიწაში· რაღაც უფრო მეტს, ვიდრე თვითონ ჩასაბერი, ჯიმშერი, სოსო ან მახარე. და თავად შავლეგოზე მეტსაც. მისთვის ეს მიწა რაღაც იმაზე უფრო მეტი იყო, ვიდრე რამდენიმე ქიმიური ელემენტის ერთობლიობა. თვითონ შაქრიაც ამ მიწაზე დაიბადა, ამ მიწაზე აიდგა ფეხი, ამ მიწაზევე დაჭაბუკდა, მაგრამ დღემდე არასოდეს არ მოსვლია აზრად, რომ ერთხელ მაინც ერთი მუჭა აეღო და ხელისგულზე მიმოეშალა. და ახლაც, აი, ახლაც, როცა ეგრე ახლოს დასცქერის ამ რუხ-ნაცრისფერ ფქვრიელს, ვერც რამე შეუგრძვნია მისი და არც მას უთქვამს რამე ბიჭის სულისთვის.

ჩასაბერმა ნელ-ნელა ჩამოაბნია ძირს მიწა, თვალი გააყოლა ნიავზე გაწოლილ მტვრის მსუბუქ ღრუბელს და წამოდგა.

უბაგუნებდა წერაქვს ჩაკირულ მიწას და თან ფიქრობდა. ფიქრი კი მას შემდეგ ისწავლა, რაც შავლეგომ მიატოვა ისინი და ღვთის ანაბარა დაყარა. აქამდე არც უფიქრია სერიოზულად რამეზე. მიდიოდა შავლეგო, მიჰყვებოდა თვითონაც. მოდიოდა და — მოჰყვებოდა. დაისვენებდა, დაისვენებდნენ, არა და თავადაც თავაუღებლივ მუშაობდა.

მუშაობდა ჩასაბერი, რომელსაც შრომის იარაღების დანახვისას გულს ეყრებოდა ხოლმე. აგრე ხდებოდა სტიქიურად აქამდე ყველაფერი. ახლა კი... მხოლოდ გუშინწინ შეამჩნია, რომ ბიჭებმა მანამდე არ დაიწყეს მუშაობა, სანამ პირველმა თვითონ არ დაჰკრა წერაქვი მიწას. უმისოდ ვერ გადაწყვიტეს მეოთხე წრის დასასრულს გზად შემოხვედრილი დიდი ლოდი აეფეთქებინათ თუ დაეტოვებინათ და გვერდი აევლოთ. და, როდესაც თქვა, ავაფეთქოთო, ყველამ თითქმის ერთხმად დაუჭირა მხარი.

გუშინ შეამჩნია, აგრეთვე, რომ დილით დედამ ძროხა მოწველა და მენახირესაც თვითონ გაუგდო ეზოდან გზაზე. ეს, რა თქმა უნდა, აგრე ხდებოდა ყოველ დილით, მაგრამ მხოლოდ გუშინ შეამჩნია. გუშინვე შეამჩნია, ილოპაპა როგორ დიდხანს ნებივრობდა ლოგინში. წუხელ გვიან მოვიდა შინ, ღვინისაგან მთლად გამობრუჟული და რძალმა ძლივს გახადა ტანზე.

მხოლოდ გომურს თუ გამოხვეტდა ბერიკაცი, ისიც რძალს უნდა გაეხსენებინა. უწადინოდ აიღებდა ნიჩაბს და სანათურიდან ჰყრიდა ნეხვს იქვე, სახლის გვერდზე. ერთადერთ მის საქმიანობას მარანში ფუსფუსი შეადგენდა. მარანი, სადაც ჭურჭლის საჭრელი ქარხანაც იყო გამართული, ქვევრებით ჰქონდა სავსე. რაც ერთადერთი ვაჟი ომში დაეღუპა, მას შემდეგ მხოლოდ თვითონ იყო მარანზე მზრუნველი. როგორც კი ქვევრს ღვინო მოაკლდებოდა, მაშინვე მის მომყოლ ქვევრში გადაიღებდა. ახლა მას რომ დააკლდებოდა, იმაზე მომცროში გადაჰქონდა. მასაც მოაკლდებოდა და მერე ქოცოები მოსდევდა. ქოცოდან კი არსად არ მიჰქონდა, დანაკლულებულ ქოცოში ან სუფთად გარეცხილ ქვებს დებდა, ან მაგრად დაცობილ წყლით სავსე ბოთლებს, რათა ღვინოს კვლავ მაღლა, პირამდე ამოეწია, ნაკლული არ ყოფილიყო და ჰრკე არ მოეკიდნა. ყველაფერ ამას ისეთი მონდომებით, ისე საქმიანად, ისე სიყვარულითა და სასოებით აკეთებდა, როგორც მანვეწარი ხატის წინ ლიტანიას.

წელს მაინც გაუმართლა. მისი ვენახი სეტყვაში არ მოჰყოლია. გვერდზე ისე ჩაუარა, რქაზე ნამკვრევიც არ შეუცლია. ხოლო მაჭარი როგორც კი შეიმღვრა, მას შემდეგ სტუმრიანობა აღარ მოუშლიათ ვანკასა და მიხას. ხშირად გვიანობამდე ისმის მათი ბებრული ხითხითი და ვანკას გაბმული, ჩახრინწული ყმუილი, რომელსაც ზოგჯერ თითონა და მისი მეინახენი სიმღერას ეძახიან.

დღეს პირველად შეეცოდა დედა, მაღალი, გამხდარი, სათნოებით სავსე ქალი. ჯერ კიდევ ახალგაზრდას დიდმა უბედურებამ და მასთან დაკავშირებულმა ულიმღამო ცხოვრებამ სახეზე ნაოჭები და თმაში ნაადრევი ჭაღარა რომ გაუჩინა.

დღეს პირველად წაეკინკლავა პაპას და პირველად აკადრა ხმამაღალი სიტყვა.

ხატილეწია გაოცა ამ გამოხდომამ და ლოგინზე წამოჯდა.

— როგორ, შენი შიშით კაცი ავად ველარ უნდა გახდეს?

— ავად კი არა, ლოთობ! შინ ყველაფერი კი დედაჩემის კისერზე გადადის. წუხელაც გამტყვრალი მოხვედი. ხომ ხედავ, ამ დილითაც ველარ დგები ფეხზე.

— ავადა ვარ და იმიტომ, განა კიდევ თხუთმეტი წლისა ვარ? დავბერდი შვილო; ხანდახან თუ გავისველებ ყელს, მინდა ავადმყოფობით მოგვრილი დარდი გადავივიწყო.

— შენ რა ავადმყოფობა მოგერევა? ამ ცხოვრებას იგრე ხარ მორგებული, როგორც სალტე კასრს. მაგრამ ერთხელაც იქნება, ბოლოს მოგიღებს ეგ უთავბოლო სმა. ეს დაიხსომე: ღვინო ქვევრსაც კი ხეთქავს.

ხატილეწიამ დაღლილი მეძებარივით ხანგრძლივ დაამთქნარა და ზედ გულიანი „ოჰ, ოჰ, ოჰ!“ დააყოლა. მერე ხუთივე თითით თავი მოიქექა. კარგა ხანს იქექა. როცა დაატყო, ახლა ამ ადგი-

ლას კმარაო, საურველი გაღეღილ პერანგში, ბალნიან მკერდზე გადაიტანა. რაკი ამ სასიამოვნო პროცედურას მორჩა, ერთიც დაამთქნარა მადიანად და უცებ თვალი ჭყიტა:

— რაო? ერთი უყურე ამ ძაღლის ლეკვს! როდის აქეთია, რაც რევიზია დამიწყე? ერთი უყურე, პაპას რას ეუბნება! გასწი დაიკარგე აქედან, ამ დილაადრიან ფინაგენტივით ნუ შემაწუხე, თორემ თუ ავდექი... ჰო, დაუსტვინე, დაუსტვინე, მოგროვდებიან. რა, ღმერთმანი, ჰოპოპები ბლომად არა გყავს! უყურე, რომ ავადმყოფობასაც არ მაცლის. მაგრამ ესეც ბედია ჭკვიანი კაცისა. ამ შემოდგომაზე გოდერძი რომ კაკალს ბღერტავდა, გზად ჩავიარე და დამენანა ის ვეება ხე. „ეჰ, შე ტიალო კაკალო, — გავიფიქრე გულში, — რისთვინ დაისხი ეგრე ბევრი, არ გერჩივნა ბერწი ყოფილიყავი, მაშინ ხომ აღარავინ ჩაგიჩაჩქუნებდა თავში-მეთქი?“... ეს კი მომდგომია და... ნუ უსტვენ-მეთქი, გეუბნები!

ჩასაბერმა იცოდა, როგორ ეჯავრებოდა პაპას სახლში სტვენა. და, რაც შეეძლო, უსტვენდა. რატომღაც უნდოდა, ამ დილით გაეჯავრებინა ილო-პაპა. უნდოდა, რომ რაღაც ეწყენინებინა.

— ახალგაზრდისთვის სიცოცხლე სათამაშოა. ჩემსას სიცოცხლე არც ეთქმოდა. მთელი ცხოვრება ვაივაგლახში გავატარე. ამიტომ მეკიდა დღემდის სიცოცხლე ფეხებზე და ყალივნის ფერფლადაც არ ჩამიგდია. ვანკა რომ იტყოდა: „დავლიოთ, განა ამ ქვეყნად მეორედ მოვალთო“, მე ვეტყოდი: „ძაღლი მიაკვდეს, ვინც ამ ქვეყნად მეორედ მოსვლა გაივლოს გულში, ერთხელ მოსვლით რა ხეირი ვნახე-მეთქი?“... ეს წინათ იყო. ეხლა კი სიცოცხლე იგრე მიყვარს, როგორც ჯავახიანთ იას ვირის ურემი... გაჩუმდი, შე ძაღლის გეჯაში მონათლულო, თორემ, თუ ავდექი, ცუდად დაგიმტვრევ მაგ სტვირს!

ჯავახიანთ იას გახსენებამ ჩასაბერს თავიანთი კედლის გაზეთი გაახსენა. ახლაც არ იცის, საიდან გაიგო ძია ნიკომ, რომ კარიკატურები ელიკოს დახატულები იყო. იამ მას შემდეგ ჩაკეტა საღამოობით შინ გოგო. დღისით კი თავმჯდომარემ სამუშაოზე მოთვალთვალე მიუჩინა... და, აჰა, კინაღამ მთელი თვე მიდის, გაზეთისა ვეღარა იღონეს რა. მასალები მზად არის, მაგრამ უნახატოდ სატირული რამ სად გაგონილა? ამას წინათ ღამით სცადა მხატვართან ჩუმად სახლში მისვლა, მაგრამ ძაღლებმა გაუგეს. იას კი მუდამ ავი ძაღლები ჰყავდა. მაინც რად უნდა, რომ მეცხვარესავით ორ-ორ ძაღლს ინახავს? ის ლეკვი ხომ წამოიზარდა, ჰკრას ახლა იმ ძუკნას თოფი და მოიშოროს... გზის პირას შიგ ფიჩხებში მიჰყუნეს. კატასავით გულაღმა გადაიქცა ჩასაბერი და წიხლებითღა იგერიებდა გაცოფებულ დედა-შვილს. კიდევ კარგი, პატრონმა დროზე გაიგო და მიეშველა, თორემ როდემდე შესძლებდა ფეხების ქნევას?

იამ ჯერ შორიდან იკითხა, ვინ იყო, მერე ახლოს მივიდა და დიდად გაოცებული დარჩა, ჩასაბერი რომ შერჩა ხელში.

— ააა! გაები, ჩიტო, მახეში? აბა, ახლა მითხარი, რას დახეტიალობ ამ შუაღამისას?

— შენ ჯერ ეგ ძაღლები მომაშორე, დაკითხვისთვის შეუფერებელ მდგომარეობაში ვარ.

— თუ ახლავე არ იტყვი აქ რას აკეთებ, გავუშვებ ორივეს ხელსა და სულ ნაკუწ-ნაკუწ დავაფლეთინებ.

— რა უნდა გავაკეთო, ვერ ატყობ, ფიჩხებში სატაბიკეს ვარჩევ? ეშმაკურად შემიჩნდა ბეღურა (იმ დაწყევლილ ყორანა კამეჩს ტაბიკი კიდევ გაუტეხია), და მითხრა: იამ კარგი ფიჩხი იცის ხოლმე, მიდი, იქნება შვინდისა ამოარჩიოო. უარი ვეღარ ვუთხარი. გარეკე ეგ ძაღლები, რა ხანია კაცი მიცდის.

ია კარგახანს დუმდა და ეჭვის თვალით უყურებდა. მერე გაახსენდა, რომ ის ნაბულავარი კამეჩი იმ საწყალ

ბეღურას მიაგდეს და ძაღლებს თითო წიხლი უთავაზა· თავისი ხელით გამოურჩია სატაბიკე და გაატანა.

— ეხლა წაიღე და დამეკარგე აქედან, თორემ, თუ კიდევ გაუტყდა ბეღურას კამეჩს ტაბიკი, იმ ტაბიკით აგიჭრელებ გვერდებს.

მას შემდეგ აღარ უცდია შინ მისი ნახვა. ახლა მხოლოდ შავლეგოსღა შეუძლია თუნდაც თავმჯდომარის ცხვირწინ დაახატვინოს მთელი გაზეთი. მაგრამ ისიც რომ შინიდან გარეთ ფეხს აღარ ადგამს? წინათ კარგად უფარდებდა შინ დისერტაციას და გარეთ სამუშაოს, ახლა რა ღმერთი გაუწყრა? ნუთუ იმ ამბავმა... არა, ამ სახარედ შეღერებული მოზვრებისათვის აუცილებელია შავლეგო. ხოლო, რაკი არ არის, უნდა მოიძებნოს.

და უცებ მიხვდა, რომ ახლა თვითონ უნდა ყოფილიყო შავლეგო. ყველაფერში ახლა თვითონ უნდა ყოფილიყო.

ბიჭს მოულოდნელად თავითფეხამდე უცნაურმა ჟრიალმა დაუარა და სახეზე ბუსუსი დააყარა. წერაქვი ხელიდან გააგდო და განგებ ჩაბოხებული ხმით დაიყვირა:

— შაა-ბაშ, ბიჭებო! დავისვენოთ.

სუნთქვა შეეკრა და დაძაბული მოლოდინით დაუდარაჯდა. მზერა მტვერში ამოგანგლული ბიჭების ლიანგს გააყოლა და გული სათავის ციხის ოდენი გაუხდა.

ორმოციოდე წერაქვ-ძალაყინმა და ბარ-ნიჩაბმა მრუდები მოხაზა და მიწაზე უთავბოლოდ მოადინა ტყაპანი.

2

ვალერიანმა ბოდიში მოიხადა რძალთან და ცოლისძმასთან, „ჩვენები გველოდებიან და უნდა წავიდეთო“.

ზაქრომ ჭიშკარს კარგა მოშორებით გააცილა ისინი. როცა უკან მობრუნდა, რუსუდანი ისევ ისე დაუხვდა ტახტზე ჩამომჯდარი. ხელები აქეთ-იქით დაებჯინა, მუხლებთან შეტყუპებული ფეხები კოჭებთან გადაეჯვარედინებინა და კავკასიონს იქით იცქირებოდა. იჯდა ცივი, ჩუმი, გამოუცნობი და ღვთოდ ლამაზი.

ზაქრო მხრით მიეყრდნო აივნის ბოძს.

კატას ძეხვი დაეცა და — ღმერთო, ასეთი მეხი ნიადაგ არ მომაშოროო!

მაგრამ ეს მეხი, ეს მოულოდნელი და გამოუზომავი, ყველა მეხს სჯობობდა.

ბიჭმა ორჯერ ასწია თავი და რუსუდანი ისევ ისე გაუნძრევლად ჩამომჯდარი დახვდა.

ზაქროს კვლავ უშხუოდა ყურები, გამშრალი ენა მჭიდროდ მოჭერილ კბილებს იქით მოკრუნჩხულიყო. ჟრუოლაჩამდგარი, მისუსტებული მუხლები ოდნავ ჩახრილიყო. გალეული გული ისე დუნედღა ტოტავდა ძარღვებში სისხლს, რომ საბრალო ბიჭს ეგონა, ეგ არის, სული ხორცს ეყრებაო... მხოლოდ თავში უბზუოდა ფუტკრის ნაყარივით ერთურთზე ახორხლილი აზრები. ქვეშეცნეულად გრძნობდა, რომ ეს ქალი დღეიდან მისი საკუთრება იყო. და სიხარულის სიტკბო არ განუცდია, ისე დასცა თავზარი ყოველივე ამის შეგრძნებამ.

ქალმა თავი მოაბრუნა და სვეტზე აყუდებულ ბიჭს შეხედა. დიდხანს უმზერდა მშრალი თვალებით. დაკვირვებით და სიბრალულით. ავადმყოფობას ლამაზი, ვაჟკაცური სახე ჩამოექნა, ნაკვთები დაეხვეწა და გაეფერმკრთალებინა. თუ ეს სულიერი მღელვარების მიზეზი იყო?

ზაქრომ შენიშნა ქალის მზერა. სისხლმა გულზე გადაუარა, მუხლები მოერღვა და მის წინ დაეშვა.

— რუსუდან... რუსუდან... რუსუდან...

რუსუდანმა არაფერი თქვა, ნატიფი ხელი გაიწოდა, რბილ, ხუჭუჭა თმაზე გადაუსვა და გაირინდა.

ზაქრო დაემხო მის მუხლებზე, სახე შიგ ჩამალა და ბედნიერებისაგან გაირინდა. ქალი შეკრთა, თითქოს ბურანიდან გამოერკვაო, თავი გაიქნია და ფეხზე წამოიჭრა.

— შენ არც კი გინდა ეზო-ბაღი და-

მათვალიერებინო, ზაქრო. რაც არ უნდა იყოს, აგრონომი ვარ და მიყვარს ყველაფერი მიწისეული.

მალე გონდაკარგული ბიჭი ვენახსა და ბაღში დაუძღვებოდა თავის საუნჯეს.

— ვაზი კარგია, გასხვლა კი დაგვიანებია. აი, ტირის, ხედავ როგორ ტირის? უმჯობესია შემოდგომაზე გასხვლა... მაგრამ წელს არა უშავს, საგაისოდ ერთად მივხედავთ. ეს კი რამხელაა, არ ვარგა ვენახში ხეხილი. ატამი, მართალია, სხვა ხეებთან შედარებით ნაკლებ სიცოცხლისუნარიანია, მაგრამ ვარჯი დიდი აქვს და ვაზებს დაჩაგრავს. სარიც გამოსაცვლელი აქვს. შემოდგომით კი გაუთოხნავი დაგიტოვებია. არ იქნები კარგი მეურნე.

— არა, რუსუდან, ეგრე ადვილად ნუ გამიმეტებ გადასაგდებად. მარტოდმარტო ვარ, მეორე წელია მარტოდმარტო ვარ. დღემდე მხოლოდ ძაღლი იყო ჩემი ერთადერთი ხმის გამცემი. რისთვის მინდოდა ყველაფერი ეს? მე ხშირად ცარიელი ყველი და პურიც მყმაროდა ხოლმე. რას უნდა მივეხიდნე? გულს ვერ ვუდებდი. ვისთვის უნდა მეშრომა, ვისთვის უნდა მომეწურა ოფლი? ეხლა სხვა არის, ეხლა სხვა ზაქრო ვიქნები, აქაურობას ავაყვავებ, სამოთხედ ვაქცევ, დღე და ღამე თვალს არ მოვხუჭავ. ოღონდ შენ იყავ კმაყოფილი, ოღონდ შენ გესიამოვნოს ეს ეზოყურე.

— ეს ხეხილი შენია?

— ჩემია, რუსუდან. ეს ხეხილიცა და ის საბოსტნეც. ეხლა კი შენი იქნება ყველაფერი. როგორც გინდოდეს, ისე მოიხმარე. სადაც გინდა, ყანა დათესე, სადაც გინდა — სიმინდი და ქერი. იქითა ადგილი კვრინჩხის ბარდებს უჭირავს, კოლმეურნეობა სულ არა ხმარობს და არც უნდა კვრინჩხებს აქეთ. პატარა მინდორია, იოსებას ვათიბინებ ხოლმე სანახევროდ. კვრინჩხსა და მაყვალს გავკაფავ, ახოდ გავტეხავ და მერე შიგ რაც გინდა, ის დათესე. არა, შენ მითხარ და მე თვითონ დაგითესრომ იცოდე, რა მიწაა, გიშერივით შავია და ბარვისას ყველივით ითლება. აი, ესენი ხეჭეჭურებია. ესენი ძუძუ-ვაშლები, მეწლეულვეებია, მაგრამ როცა ისხამს, ნაბადივით ადევს. ტოტები მიწამდე აქვთ. იქით გულაბია, იმას იქით ზამთრის-ბანანი. აი, ეს...

— როგორ ატყევებულა ყველაფერი, მხოლოდ ახლა გასხალი?

— მე არ გამისხლავს, ეს ვალერიანის ხელობაა. ვუთხარი და არ დაიშალა.. გული არ მიმიწევდა, რუსუდან. რისთვის მინდოდა? მარტო ვიყავი. ცოტა მყოფნიდა. ეხლა კი...

ეზოში გამოვიდნენ.

ქალმა კარები მოსინჯა და სახლზე მიშენებული სათავსოები შეათვალიერა.

— ქათმები არა გყავს?

— არა, არა მყავს.

— არც ღორი?

— არც ღორი. რისთვის მინდოდა? მარტო ვიყავი.

— ეტყობა, შარშანდელი სარეველები ახლა გაუთიბიათ. ალბათ შეჭმული იყო მთელი ეზო მაგათგან. რატომ თავის დროზე არ გათიბე?

— მარტო ვიყავი, სულ მარტოდმარტო, ვისთვის და რისთვის გამეთიბნა ეგ სარეველა?

ბინდბუნდში მოჩანდა ახლად შეკოწიწებული ღობე და ულაზათოდ ჩარჭმული მარგილი.

— არ ყოფილხარ მეურნე კაცი. მაგრამ არა უშავს, მიგაჩვევ ყველაფერს.

— ოჰ, რუსუდან! სამოთხეს დავამსგავსებ აქაურობას, ყველას სახლ-კარს დავამჯობინებ, ბაღნარად ვაქცევ. შენ ხელს არ გაგანძრევინებ. ოღონდ ცოტა ხანს მომითმინე, ცოტა ხნით დამაცალე... შემთხვევით დამემართა, ალბათ, გეტყოდნენ. სამაგიეროდ, კეთილი საქმე ვქენი. არა ვნანობ, თითქმის არ ვნანობ.

— ეს მარანია?

— მარანია. ქვევრებით არი სავსე. საკუთარი საწნახელი მაქვს, — ზაქრომ ღილი გადაატრიალა და კარი შეაღო, —

აი, აი ის ქვევრი სამსაპალნიანია. ის მეორე ურმიანია. ეს ორმოცდაათჩაფიანი, ეს ოცდაათიანი. დანარჩენებიც დიდ-პატარაობის კვალობაზე მისდევს ერთმანეთს.

როცა შინ შევიდნენ, უკვე ღამე იყო.

რუსუდანი ოთახიდან ოთახში დადიოდა და ყველაფერს სინჯავდა.

ღარიბული სისუფთავე სუფევდა ყველგან. ქალის ხელი ეტყობოდა დგამსა და ავეჯს.

წიგნების კარადასთან შეჩერდა. გამოაღო. ერთურთზე უწესრიგოდ მიყრილი, დიდი ხნის ხელდაუკარები წიგნები მოთმინებით თვლემდნენ მტვერსა და სიმყუდროვეში.

— წიგნები გამორჩენია შენს დობილს. ტილო მომიტა...

შუაღამემდე წმენდდა და ალაგებდა კარადას.

— შენ დაწექი, ზაქრო.

— არა მიშავს, ვიქნები.

— დაწექი, დაწექი, მეც მალე მოვაწესრიგებ აქაურობას.

საწოლი ფართო იყო, ძველებური. თეთრეული ახალი და ქეთოსაგან საგანგებოდ გამზადებული. ზაქრო ახლა კმაყოფილიც იყო, რომ ეს ყველაფერი ჩუმად, ყოველგვარი ხმაურის გარეშე მოხდა. ყოველ შემთხვევაში, რუსუდანს ასე სურდა. რუსუდანის სურვილი კი...

ქალს სათითაოდ გაჰქონდა ყოველი წიგნი. იქ საგულისგულოდ ბღერტავდა და წმენდდა მტვრისაგან. შემდეგ შემოჰქონდა ოთახში და, როგორც ზაქროს ეჩვენებოდა, მერე მთელ საათს ეჭირა ხელში. ათვალიერებდა. წიგნები უმთავრესად პოლიტიკური იყო. მხატვრული ცოტა. დანარჩენები ზაქროსეული სახელმძღვანელოები იყო, მელანგადასხმული, სათაურებდაჯღაბნილი. აშიებზე და თავისუფალ ადგილებზე ჯარისკაცებდახატული: ხმლებით, თოფებით და ზოგგან მშვილდ-ისრებით. ორიოდე ადგილს საჭიდაო ჩოხოსანი ფალავნები დატაკებულიყვნენ. კისრულზე წამოღებულისთვის უკუღმა მიეხატნა ფეხები.

რუსუდანი კვლავ იღებდა ერთხელ გასინჯულს, კვლავ ფურცლავდა, კითხულობდა და მერე ისევ კარადაში აწყობდა.. და იგი თავის თავსაც არ უტყდებოდა, როგორ აჭიანურებდა იმ ადგილამდე მისვლას, სადაც დედაკაცად უნდა ქცეულიყო· სადაც რაღაც აუნაზღაურებელი უნდა დაეკარგნა. როგორ არ ჰგავდა ეს საწოლი იმ საწოლს, რომელსაც თავის ოცნებაში ამზადებდა ამ ღამისათვის. და ეს ღამეც როგორ არ ჰგავდა იმ ღამეს... იმ ღამეს... და კვლავ გაახსენდა ის ღამე, რომლის დილაც სამუდამო სამარედ ექცა მის სიყვარულს და შემდგომ ცხოვრებას. ყველაფერს წარმოიდგენდა, მაგრამ შავლეგოსაგან... ოოხ! სძულდა ეს კაცი, მთელი არსებით სძულდა და დღევანდელი საქციელიც შედეგი იყო ამ სიძულვილისა. დაე, იწვნიოს, დაე, იმანაც იწვნიოს ძვირად ნაპოვნი, ათასგზის ნაკოწიწები და ნალოლიავები ბედნიერების ნგრევა და გახრწნა. მან ერთმა რატომ უნდა ზიდოს დანაკარგის მთელი სიმძიმე? დაე, იწვნიოს თვითონ იმანაც· თვითონ იმანაც, ვინც მთელი მისი შეურყვნელი ბუნება მოწამლა გულგრილად და მოურიდებლად. ვინც მის ქალწულებრივ ფიქრებში უდიერად შეალაჯა სიმრუშის სარეცელში დასვრილი ფეხებით. ვინც ყველგან მოუსპო მისასვლელი და წუთით მაინც მოსასვენებელი სადგური... ერთადერთი ეს არის ღირსი, ეს საბრალო, უიმედოდ შეყვარებული. შეყვარებული, რომელსაც იმხელა ვაჟკაცობა შესწევს, არათუ საკუთარს სინდის-ნამუსს, არამედ სხვისასაც დაუდგეს დარაჯად. კაცი, რომელსაც საამისო თავგანწირვის უნარი შესწევს, ღირსია ყველაფრისა· მხოლოდ ასეთი კაცია ღირსი.

და მაინც ცდილობდა მოსახდენი გვიან მომხდარიყო...

მერე ნებისყოფის საოცარი დაძაბვით უკანასკნელი წიგნი შედო კარადაში და კარი მიხურა.

„ვინც შეება, უნდა გასწიოს კიდეც“.

მობრუნდა, სინათლე ჩააქრო, ამოიოხრა და გახდას შეუდგა.

აურეოლებულ ზაქროს ესმოდა, როგორი ჩუმი შრიალით მიიწევდა კაბა ტანს ზევით, როგორი იდუმალებით გაიტკაცუნეს რეზინებმა და მეტყველი სიბნელე როგორ გაავსო წვივებზე ჩაცურებული სიფრიფანა წინდების მოკრძალებულმა ჩუჩუნმა.

როდესაც რუსუდანი დაწვა, ზაქროს უკვე ციება შეჰყროდა. იწვა გულაღმა, გაუნძრევლად, კბილი-კბილზე დაეჭირებინა და მთელი სხეულით ცახცახებდა. მას ჯერ კიდევ ვერ გაერთვა თავი ასე ანაზდად დაუჯერებელი, წარმოუდგენელი, მოულოდნელად თავს დამტყდარი ბედნიერებისათვის. იწვა გაოგნებული, გონებადაშრეტილი, ნეტარების ბურანში მყოფი და შიშით გათანგული. ამ ქალის გამოჩენის დღიდან ფიქრობდა ამ წუთზე. ამ ქალის გამოჩენის დღიდან ცდილობდა აქამდე მიეყვანა ეს აუწყავი საუნჯე და ამისთვის არაფერს არ მოერიდებოდა დედამიწაზე... ახლა კი... ოდნავი მოძრაობაც არ შეუძლია. არ შეუძლია, რადგან ჰგონია, ეს ყველაფერი სიზმარივით განქარდება და სიცარიელეში დაინთქება.

ქალი ერთხანს იწვა ცივად და გაუნძრევლად, მერე ნელ-ნელა იგრძნო სახეზე სიმხურვალე. შემდეგ მთელ სხეულში უცნაურმა თრთოლამ დაუარა. პირი გაუშრა, ყურებმა ჟუილი დაიწყეს და შუბლზე ცივმა ოფლმა გამოჟონა. ცხელი ტუჩები რამდენჯერმე გაილოკა მხურვალე ენით, მერე უნებურად ხელი ჩააცურა და რატომღაც სცადა პერანგი სავსე მუხლებ ქვევით ჩაეწივნა.

ზაქროს არ გამოპარვია ეს მოძრაობა და იგრძნო, კიდევ უფრო როგორ შეუტია ციებამ.

იწვა ათრთოლებული ქალი და ელოდა. ელოდა იმას, რაც ქალწულის ცხოვრებაში ერთხელა ხდება. ელოდა იმას, რაც ერთბაშად ჭრის უკან დასაბრუნებელ ბილიკს, რომლის იქითაც სხვა ცხოვრება იწყება, რომლის იქითაც სხვა სამყაროა და ერთბაშად ხდება გადატრიალება ყოველგვარ საამქვეყნიო ფასეულობაში.

ზაქრო აგვიანებდა.

მოჭიდავე, რომელსაც არსად და არც ერთ ლეიბზე მხარიც არ დაედო, ორივე ბეჭით იწვა ამ თივთიკივით ლეიბის პირზე, გახამებული ზეწრით შეფუთულ ლეიბის პირზე და განძრევას ვერ ბედავდა.

ქალს თრთოლამ თანდათან გაუარა, მხურვალე ლოყები სიგრილით გადაეწმინდა, ოფლით დაცვარული შუბლი ფრთხილად შეიმშრალა და ისევ გაირინდა. ახლა უკვე გულგრილად ელოდა და ცივი გონებით ჭვრეტდა წინასწარ ყველაფერს.

„ვინც შეება, უნდა გასწიოს კიდეც“.

თმები ბალიშზე გადაიყარა, ხელები თავქვეშ ამოიდო და კვლავ გაყუჩდა...

ზაქრომ გაიჩუჩუნა და გვერდზე გადმობრუნდა.

რუსუდანი არ განძრეულა. მხოლოდ გრძნობდა გახშირებულ სუნთქვას, ხურვებაშეყრილი ვეება სხეულის ცახცახს და აბორგებული გულის ბაგუნს, რომელიც, ალბათ, კარგადაღმა, აივანზედაც ისმოდა...

აი, დიდი ხელი მძიმედ აიწია, ფრთხილად, ჩუმად, გაუბედავად გაცურდა პერანგის საყელოსკენ, შიშნეულად ჩაძვრა შიგა და აზავთებულ მკერდზე აცახცახდა.

რუსუდანმა იგრძნო, მთელ სხეულზე როგორ დააყარა ბუსუსი. როგორ წამოყვეს თავები მკვრივი ძუძუს კერტებმა, როგორ მოაწვნენ კანს მარტის ბოლოს ვაშლის ტოტებზე დასახეთქი კვირტებივით. გამაგრდნენ, გაქვავდნენ და შინაგანი თრთოლით აივსნენ. ყური მოჰკრა, როგორი ხმაურით გადავიდა მშრალ ხორხში ნერწყვი, როგორ აუწვა პირის კანი მოახლოებულმა ცეცხლოვანმა სუნთქვამ.

— რუსუდან... — დაიხრიალა კაცმა, ხმა ჩაუვარდა, სიტყვა შუაზე გაუწყდა

და გავარვარებული ტუჩებით დააკვდა ზედ.

გველნაკბენივით წამოიჭრა ფეხზე რუსუდანი. ბიჭს ხელი ჰკრა და გვერდზე მიაგდო.

— არ შემიძლია! არ შემიძლია! ღმერთო, ღმერთო! — არ შემიძლია! — და მეორე ოთახში გიჟივით გავარდა...

მოჭიდავეს ერთ წუთს გულისცემა შეუჩერდა, ისევე დარჩა გაქვავებული, როგორც დატოვეს. მერე ერთბაშად მოაწყდა სისხლი საფეთქლებს და ნადირივით დაიღმუვლა! დაკრუნჩხული ხელით მუთაქის კიდე ჩაბღუჯა, კბილებით დასწვდა ბალიშს და ჩუმად, მამაკაცურად, უხმოდ აქვითინდა...

გათენებისას საწოლი ოთახის კარი გამოაღო რუსუდანმა. ოთახი პაპიროსის კვამლით იყო სავსე. მაგიდასთან მიმჯდარი საცვლებისამარა ზაქრო კვამლის სქელ ბურუსში ძლივს მოჩანდა. თვალი წიგნების კარადისათვის მიეშტერებინა და მთელი ძალით ქაჩავდა პაპიროსს. ნამწვებით სავსე საუზმის თეფშზე უკანასკნელი ნამწვი ისევ ხრჩოლავდა. ზედვე ეყარა „ყაზბეგის“ ორი ცარიელი კოლოფი. მესამე, ახალი გახსნილიც მინახევრებულიყო.

ქალმა თამბაქოს მყრალი სუნი ძუნწად შეიყნოსა და დაახველა. თავი უბრუოდა და ცრემლში დამბალი თვალები უჭრელდებოდა. ახლა მაგიდასთან მჯდარი ისე მოჩანდა, თითქოს კვამლი კი არა, თავად დაცურავდა ამ სქელ ბურუსში.

დახველებაზე კაცმა კისერი მოღრიცა და კარებში ჩამდგარს ამღვრეული თვალი შეავლო.

ქალს ქმრისთვის აღარ შეუხედია. ძირს ჩამოვარდნილი ხელი შუბლზე უნდილად გადაისვა, თავი ჩაჰკიდა, მძიმედ წამოვიდა და ულვთოდ ნაგვემი სული და სხეული გაშლილ ლოგინზე მოწყვეტით დააგდო...

3

მაინც რა ზედიზედ წაეწყო ჰალისპირში ახალი ამბები:

ნასყიდას უეცარი წასვლა საბჭოდან.

ერმანას აღზევება საბჭოს თავმჯდომარედ.

ახალგაზრდული ბრიგადის ჩამოყალიბება.

ენამყრალი ჩასაბერის დასმა ამ ბრიგადის ბრიგადირად.

ერმანას მაგიერ ბრიგადირად ვარდუაანთ იოსება.

საძულველი ქურდის დაბრუნება მოუსავლეთიდან.

რევაზის გადაკარგვა მოუსავლეთში.

შავლეგოს გამოთიშვა კოლმეურნეობიდან.

აგრონომის უცნაური გათხოვება... გათხოვება... რა თქმა უნდა, მართა უფრო ადრე გათხოვდა. გათხოვდა... და ეს ყველაფერი იგრე მოხდა, მე, — ნიკო ბალიაშვილმა, მხოლოდ უკანასკნელი როლი ვითამაშე ამ კომედიაში... ყველაზე უცნაური მაინც ის არის, ეგრე მოულოდნელად საიდან აღმოაჩნდა იმდენი ჭკუა იმ ღორბლიანს? რომელმა მრჩეველმა ჩააგონა ეგრე ადრე განცხადების დაწერა? რა თქმა უნდა, რაიონის პოლიკლინიკის მთავარი ექიმის ხელმოწერითა და მრგვალი ბეჭდით განმტკიცებული ავადმყოფობის ცნობა საუკეთესო საშუალებაა მძიმე ტვირთის მოსახსნელად. სამსახურიდან თავისი სურვილით წასვლა კი ხსნილი გზაა სხვა ადგილას გადასასვლელად... ჰო, რა ნიჩაბი იყო გამზადებული სამაგისოდ!

საუბნო გზების მოუწესრიგებლობა.

საბჭოს სარემონტოდ თვითდაბეგვრის თანხების განიავება.

თავისი „კაბინეტისათვის“ დიდებული იერის მისაცემად რბილი ავეჯის შეძენა, აგრეთვე თვითდაბეგვრის თანხებით.

სასმელი წყლის უთანაბრო განაწილება: ზოგისთვის ეზოში ონკანის დაყენება. ენუქაანთი და ქვემო უბნებისა კი უწყლოდ დარჩენა.

მიუხედავად მრავალგზისი მითითებისა, უზომო ღვინის სმა.

ძალიან მშრალად და, სულ რაღაც

ერთ დღეში დაუძვრა წლობით დაყენებულ წუმპეს. სახლ-კარი გაყიდა და ფულიც ბლომად შეიტყაპუნა. ყველა ბრიყვმა უცებ ისწავლა ჭკუა და მხოლოდ მე ერთი დავრჩი სულელი. თვალს მხოლოდ მაშინ ვჭყეტ ხოლმე, როცა მომხდარი ფაქტის წინაშე მაყენებენ. ეტყობა, ყნოსვა დამიჩლუნგდა და ნაბულსაც დროზე ვერ ვაკეთებ.

ნიკომ ორმოში ფეხი ჩაჰკრა და წაიბორძიკა. გუშინდელი წვიმისაგან ჩამდგარი გუბე შეინჩქრა და მღვრიე წყალი შარვლის განიერ ტოტზე შეესხა. ფეხი კატასავით გაიბღერტა და გზა განაგრძო.

„აი, აჰა, მთელ ჭალისპირს ეს ერთადერთი მთავარი სასოფლო გზა აქვს და ესეც იგრეა გადათხრილი, ნაკარტოფილარი გეგონება... ვნახოთ, ახალი თავმჯდომარე რას იზამს. წინათ ავად თუ კარგად მემორჩილებოდა. ახლა?.. ახლა უკვე თითქმის ჩემი თანასწორია. თანასწორი? — რომელი თანასწორი? ნაყიდა მუჭაში მყავდა გამომწყვდეული. ამ ღლაპს კი, ამ ღლაპს... ნეტა ვინა თქვა: ახლა წიწილა კრუხზე დიდიაო? არაა, ჯერ ნიკო ისევ ნიკოობს და ბებერი მგელი უფლებას არ მისცემს, ყოველი კუდაპრეხილი ციკანი მივიდეს და ყურში ჩაჰკიკინოს... ახლა უკვე ბევრ რამეზეა საჭირო დაფიქრება. ახალგაზრდა სისხლი მუდამ ძიებაშია, დადუღებული კი სიახლეებს ეგრე ადვილად ვერ ეგუება... მაგრამ, განა ადრე არა ვფიქრობდი? არა, ფიქრი მაინც სიბრძნის დედაა. ზედმეტი ერბო კი ქვაბს არასა ვნებს...

იმ მწითურ ტურას რაღა უხარია? ნიჩაბივით გაბრტყელებული დრუნჩი გაბადრული დააქვს. მარკოზას რაღაცას ეჩურჩულება· სხვა კოლმეურნეებთანაც რაღაცას ჩალიჩობს. დიდი ხანია, რაც ცდილობს გაიგოს, ჩემს კაბინეტში ახალი სკამი ძველ საჯდომს მოერგება თუ არა. ანგარიშგება-არჩევნების სუნი იკრა და რაღა დაამშვიდებს? მგონი ვხვდები, თედო, შენი სიხარულის მიზეზს. მთავარ მეტოქეს ჩემი ცელით მიასხიპე ფეხები და ახლა წინასწარ გინდა იზეიმო. მაგრამ შენ გავიწყდება, რამოდენა კლიტე დავადე ბედნიერების კიდობანს და გასაღები თვითონ ვიკარ ჯიბეში...

ერთი რამ კი საოცარია: რატომ გაცვალა აგრონომმა მეცნიერება სპორტზე? თუმცა, განა ნადირობას სპორტად არ ნათლავენ? მაშასადამე, კოლეგები ვართ. ჩვენ ორნი, ჭალისპირის ყველაზე საუკეთესო ხვადები... მაინც როგორ მიეპარა ის გრძელკანჭა მელა საქათმეს და ჩემი საუკეთესო, საყვარელი დედალი იგრე როგორ მომტაცა, რომ ფაჩუნიც ვერ გავიგე? ახლა ცალკე კომლად უნდათ გასვლა და ჰექტრის ოცდახუთი მეასედი კიდევ უნდათ, რომ დაითრიონ. არა, ვანკა ეგრე არა სწირავს. მამამთილის წილიდან მივუზომავ. საკმარისი აქვთ. იქნებ საკმარისზე მეტიც? ხომ არ მოველაპარაკო ერმანას? რაო? მოველაპარაკო? ერიჰაა! აი, მე თვითონ ვაკანონებ მის უფლებებს. ჩემს ხელშია გამოჭყლეტილი· ვეტყვი: ეგრეა საჭირო-მეთქი და უნდა დაიჯეროს. მაშინ იძულებული იქნებიან, ახალი სახლი ძველ ნაკვეთში მიყუჟონ სადმე. მართას კი... მართას... დავიჯერო ესეც ბუნების კანონია? ერთხელ ნაბია მეუბნებოდა: მგელიც კი საჭიროა, უამისოდ აღარც მწყემსი იქნებოდა და აღარც ფერმაო. ყველა ფარას წინათ თავისი მგელი ჰყავდა. საითაც ცხვარი გადაინაცვლებდა, ისიც იქით მიჰყვებოდაო... დაე, საჭირო იყოს, მაგრამ, რაღა საუკეთესო თოხლი მიჰყავს ჩემი ფარიდან? არა, მავნე ნადირი უნდა გაწყდეს... ერთს უკვე მივუჩინე კუთვნილი ადგილი, ამასაც მოვუვლი როგორმე.

არც ის ქურდბაცაცა უნდა დავივიწყო. საინტერესოა, საიდან გაჩნდა ეგრე მოულოდნელად? ციმბირს თავისი კვალი დაუჩნევია, ყავარჯნებს ვეღარც მოიშორებს. უფრო ადრე ხომ არ მოვიდა, ვიდრე ეზოში გამოჩნდებოდა? რა დასამალია და, მგონი, მაგასთან დადიოდა ექიმი სამკურნალოდ. ხალხი ჩუ-

მად რაღაცას ჩურჩულებს. ერთი უნდა ვნახო სანდრო და ველაპარაკო. იცის თუ არა მილიციამ მაგის სტუმრობა? ჰა? იცის თუ არა? ხომ არ გამოპარულა მოუსავლეთიდან?

გარაჟის აფეთქება.

ღვინის დაღვრა.

ძროხის დაკვლა...

ნუთუ ეს ყველაფერი ერთმა, რევაზმა ჩაიდინა? დაუჯერებელია... არა, აქ აუცილებელი კავშირია ამ მოვლენებისა მაგ ხეიბართან. დღესვე უნდა გადავიდე მილიციაში და შევამოწმო. მილიცია ვალდებულია პატიოსანი მშრომელის ინტერესებს იცავდეს.

კანტორის ეზოში შებიჯებისთანავე გულმა რეჩხი უყო.

ცაცხვის ქვეშ უამრავ ხალხს მოეყარა თავი. იდგა ხორხოცი და აღტაცებისაგან ტაშისა და ხელის კვრა.

თავმჯდომარე უმალვე მიხვდა: ცაცხვზე მიკრულ ჩარჩოში კომკავშირელების ახალი გაზეთი იყო.

ხროვის უკან შედგა, ჯიბიდან სათვალე ამოიღო, გაწმინდა და გაიკეთა.

ჯერ ნახატები მოათვალიერა.

მაშინვე იცნო თავისი თავი: მაგიდასთან დამჯდარიყო და გაოცებული უცქერდა ფეხშეხვეულ, ყავარჯნიან მგელს, რომელიც თვალცრემლიანი, მოკრძალებული, მთრთოლვარე ხელით ნაწერ რვეულის ფურცელს უწვდიდა.

ქვეშ ეწერა:

**ძია ნიკო!** — ეგ რა არის?

**მგელი** — განცხადებაა.

**ძია ნიკო** — რა განცხადებაა?

**მგელი** (ტირილით) — მეცხვარეობის ფერმას სეპარატორი დაეკარგა და მეშინია, ნაბიამ ისიც მე არ დამაბრალოს.

შემდეგ მოდიოდა ნაკვესები:

: თავმჯდომარის საყვედურს რქაწითელი მორეცხსო.

: ხელმა ხელი დაბანა და ორივემ საშრობი დაგავაო.

: ჩალის უქონლობის გამო, კოლმეურნეობის საქონელი თავად დაემსგავსა ჩალასო.

მის ქვემოთ „შამფურის"-ლექსიკონი ეწერა:

**ბუღალტერი:** თავმჯდომარესთან ნახეთ.

**თავმჯდომარე:** ბუღალტერთან ნახეთ.

შემდეგ მეორე ნახატი მოდიოდა:

ღამე იყო. მთვარის ნალევი დამწუხრებული დასცქეროდა დედამიწას. ძველ, ფარღალალა, მიმონგრეულ სადღორის ღობეს მიჰყუდებოდა გაძვალტყავებული, სიცივისაგან აკანკალებული, უკანა ფეხებზე შემდგარი ღორი. მარცხენა წინა ფეხით მკერდის ბალანი გადაეღეღნა, მარჯვენათი კი ვეება დანა აღემართა გულში ჩასაცემად. განწირული დინგი ზევით აეწია, ხოლო ტრაგიკული თვალი სივრცისათვის გაეშტერებინა.

ქვეშ ეწერა:

— თქვით: უყვარდა-თქო თბილი ბინა და სალაფავი!..

ამას ლექსი მოჰყვებოდა აგრონომზე:

**აგრონომი დაგვეკარგა**

აგრონომი დაგვეკარგა, —
ჩვენი ფუძე-ბალავარი.
სათავის ციხესთან ვჩხრიკეთ
კედლებიც და გალავანიც.
თელავში მაცნე ვაფრინეთ,
ალაზნის პირს ქარავანი.
იალაღზე მაშინ წავალ,
თუ ჩამაცვით ქალამანი.
შვიდი ცხენი გამომიყვათ,
შვიდი ხელი ტალავარი.
გიპოვოთ და ჩამოგგვაროთ
მწვანე მინდვრის ფალავანი.
აგრო-წრე აღარ გაგვიცდეს,
ბეღელი და კარ-მარანი,
მერე ერთად გადვუხადოთ
ქორწილიც და კარნავალიც.

P. S.

ილაო;
ილაო,
ვინ არ გათხოვილაო-ო-ო!

„აღარც აგრონომი დაუნდვიათ“ — გაიფიქრა ნიკომ და მერე ვეება დახლში ჩამდგარი ვახტანგის კეპი დაინახა.

გუნება წაუხდა.

მხოლოდ ბოლო ნახატმა მოჰგვარა ცალყბა ღიმილი:

თედო შეპარულიყო მის კაბინეტში, კარისკენ შეშინებული იყურებოდა და თან თავმჯდომარის მაგიდასთან მიდგმულ ერთადერთ სკამს სინჯავდა, რბილია თუ არაო.

უეცრად მიხვდა, როგორ შეწყდა სიცილ-ხითხითი. როგორ შემოეცალნენ იქაურობას შეგროვილი კოლმეურნენი.

არაფერი უთქვამს, არც ვინმესთვის შეუხედავს, ისე გაბრუნდა და კანტორის კიბეს აუყვა.. მერე კაბინეტის კარი მიკეტა, მაგიდასთან დაჯდა და სათვალე მოიხსნა.

მაშასადამე, მიტევენ. ახლა უკვე ნამდვილად მიტევენ. ეს რა, წინასაარჩევნო კამპანიაა? საინტერესოა, ტახტს ვისთვის ამზადებენ. რა თქმა უნდა, არა თედოსათვის. ნუთუ რევაზისთვის? ძალიან საეჭვოა, ძვირფასებო. რევაზი პარტიიდან გარიცხული არამზადაა და ქურდის დამღადასმული. მაშ ვისთვის? არა, ალლო არ მღალატობს. უთუოდ რევაზისთვის. ტყუილად კი არ იყო ჩამოსული თეიმურაზი გუშინწინ. რაღაცას ჯღლარდავს მისი რეაბილიტაციისათვის. პირდაპირ არა უთქვამს რა, მაგრამ ძია ნიკოს მოტყუება ეგრე ადვილი არ არი... ხელახლა დაჰკითხეს ბელურასაც. მუდამ ყეყეჩი იყო, საცოდავი გადაყრუებულია ბეჩაობით. უთქვამს: რევაზი შინ არ იყო, არაყი დედაბერს დავუტოვე, თუმცა არასგზით არ უნდოდა დატოვებაო... საშიში კანდიდატურაა. ხალხსაც უყვარს. თუ ეგ დაჯდა... თუ ეგ დაჯდა, მაშინ? მაშინ, მგონი, მოგვიწევს როლების შეცვლა.

ნიკოს სახე მოუქურუხდა და წარბების ბუწკნარმა დაფარა ჭრუტა თვალები.

— არ იქნების! ეს არ უნდა დავუშვათ! მაშინ ჭალისპირიდან უნდა გადავსახლდე. ეშმაკია მწითური ტურა, უნებური მოკავშირენი ვართ. თედო მუდამ სიამოვნებით იქნება ჩემთან ერთად რევაზის წინააღმდეგ. სხვა პრეტენდენტებისა არ მეშინია. მარკოზას ერმანამ გაუცრუა იმედი. ახლა უკვე თედოს წინააღმდეგ იბრძოლებს.. იქნებ ჩასაბერისა უნდა მეშინოდეს?! ოჰო! ესეც ახალი აღმოჩენა! ბრიგადა ჩამოაყალიბა და ბრიგადირობაც ხელთ იგდო. მერე, ერმანას წასვლისთანავე, კომკავშირის კომიტეტის მდივნად აირჩიეს. სამუშაოს თავს აკლავს და სხვებსაც აკვლევინებს. რაიონში უკვე შეამჩნიეს. მედიკო აღტაცებულია, აშკარად მფარველობს. ბიჭებიც, ის ქარიღლეტიები იგრე უჯერებენ! საოცრება დაატრიალეს. მარტო ჭყანტობის დაშრობა რად ღირს? ახლა სათავის ციხესთან ხეხილის ბაღი! მაგრამ წყალსაქაჩის ფულს სად იშოვნიან? მგონი, წლევანდელი საზამთროს იმედი აქვთ. სისულელეა, სანამ საზამთრო მოვა და გაჰყიდიან, მანამდე მთელი ნარგავები გადაუხმებათ, ციხისძირი და ჩახრიალას ფერდობი ფიცხი ადგილია. თუმცა ყური მოვკარ: თურმე ლექსოს უკვე შეუთანხმდნენ — ყოველ დილა-საღამოს ბერხევადან წყალი ზიდოს კასრებით. ბენზინის შოვნას თვითონ კისრულობენ. ნუთუ ვერ ხვდებიან რა სასაცილოა? რომელ ერთს გააწვდენენ ორიოდე კასრ წყალს? სულელები, როგორ ფიქრობენ, რომ მე ნებას დავრთავ მანქანა სათამაშოდ გაიხადონ? ისედაც გვაკლია მანქანები. უამრავ საქმეს ვერ ასდიან. არა, ჩასაბერი ჯერ ნედლია. ერთი ათი წელი მშვიდობა იქნება ჩვენს შორის.

შავლეგოს უკვე მობეზრდა და გართობა მიატოვა. რამდენი დრო გააცდინა! ბოლოს მაინც მიხვდა: დისერტაციები ჭყანტობებში ლაყუნითა და ბაღლაუჭებთან ღლაბუცით რომ არ იწერება. ჩუმ-ჩუმად კი ლაყბობენ, კოლმეურნეობაში აგრონომის გულისთვის ილვწოდაო. სხვასაც ბევრს რაღაცეებს

ამბობენ... ბედნიერ ვარსკვლავზე კი ყოფილა ეს ზაქრო დაბადებული, რა ქალი ჩაიგდო! ჩაიგდო? ამბობენ, მწიფე მსხალივით თავად ჩაუვარდა კალთაშიო. უცნაურია, ქალისას კაცი მის დღეში ვერ გაიგებს ვერაფერს. თუმცა, მგონი, ვხვდები ზოგიერთ რამეს. ჯერ არა ჩნდება. თაფლობის თვე აქვს. სადგურიდან მინერალური სასუქებისა და შხამ-ქიმიკატების მოტანა კი ისევ ჭიანურდება. საშემოდგომო ნათესები კვლავ აგროტექნიკოსისა და ბრიგადირების ამარაა მიტოვებული. დამატებით გამოკვება ბევრ ნაკვეთში უიმისოდ ვერ გადაუწყვეტიათ. ვაზის სათბურიც ჯერ ისევ მოუწყობელია. აგროტექნიკოსს ნახერხიც ვერ მიუტანია. არა, დღესვე უნდა გავგზავნო კოტე და მოვაყვანინო. საქმე, უპირველეს ყოვლისა! თუ გაზაფხულზე არ ჩაჭკარი, შემოდგომაზე ვერ ამოჭკრავ.

ზარს თითი დააჭირა და მოანგარიშე გოგო იხმო.

— ბუღალტერი მოვიდა?

— დიახ, აქ არის. დავუძახო?

— დაუძახე.

გოგო გავიდა.

— ნახე? — ჰკითხა ბუღალტერს შემოსვლისთანავე.

— ვნახე.

— როგორ მოგეწონა „ლექსიკონის“ პირველი ორი სიტყვის განმარტება?

— რა აქვს დასაწუნი? ბუღალტერი და თავმჯდომარე ყველგან ორი მთავარი ფიგურაა. ურთმანეთოდ როგორ იქნება? კარგად შეუმჩნევიათ.

ნიკომ თვალი მოწკურა.

ბუღალტრის მშვიდი, უმეტყველო სახე მეტს არაფერს ამბობდა.

აღარც თავმჯდომარე გამოჰკიდებია. სათვალე ჯიბეში ჩაიდო და მაგიდის მინაზე გადმოიხარა.

— ახლა ყველგან გახურებული ანგარიშგება-არჩევნებია. მხოლოდ ფშაველში და ქვემო-ხოდაშენში დატოვეს ძველები. კისისხევსა, ვანთასა და კონდოლში გადაირჩიეს. წინანდალში გააუქმეს და პირდაპირ საბჭოთა მეურნეობად გამოაცხადეს. მაშასადამე, დირექტორი პირდაპირ დანიშნეს. დანარჩენ სოფლებშიც მალე შეუდგებიან ამ სასიამოვნო პროცედურას... ჭალისპირში უნდა დავაჩქაროთ.

— დავაჩქაროთ? რატომ? ისედაც დაჩქარებულია, ცხრამეტშია დანიშნული საერთო კრება.. შემოსავალ-გასავლის ბალანსი, მართალია, მოთავებული მაქვს, მაგრამ ნაჭარბი პროდუქტები... მგონი მთლად რეალიზაციაქმნილი არ არის...

— რაკი ვამბობ, მაშასადამე, ეგრეა საჭირო. ყველაფერი უნდა დაჩქარდეს. პროდუქტების რეალიზაციაცა და ყველაფერი. იქ კარგად დააკვირდი?

— სადა?

— შენზე და გიორგიზედაც არის კბილი გაკრული... რაღაცაა ნათქვამი საშრობის „შრობაზეც“.

— დიდი ხანია ყველაფერი მოგვარებულია. ნაშთი არა გვაქვს.. მხოლოდ აი, ის და კიდევ...

— არავითარი „კიდევ“. ყველაფერი გასუფთავდეს სასწრაფოდ და გაიწმინდოს.

— ყველაფერი გასუფთავებულია. მხოლოდ ახალგაზრდული ბრიგადაა დარჩენილი. თავიანთი წილი შარშანდელი პროდუქტები არ გაუტანიათ.

— აქამდე რას უყურებდნენ?

— თავად არ გვაწუხებდნენ და ვახტანგმა თქვა: „ეგრე სჯობიაო“.

— ახლა ყველაფერი მოთავებულია. ვახტანგს მანდ აღარა ესაქმება რა. დღესვე უთხარი ლოტოს კოჭს: ან დაუყოვნებლივ გასცეს რაც არი, ან საწყობში გადაიტანოს. საშრობი უნდა დაიცალოს.. მაინც რატომ არ წაუღიათ თავიანთი კუთვნილი? ქვეყანას პირზე ტყავს აძრობენ და თავიანთ წილს ვის უტოვებენ?

ბუღალტერმა მხრები აიჩეჩა:

— ალბათ ჩვენ გვაბამენ, შეგვხედეთ, თავს იმიტომ კი არ ვიკლავთ, რომ აქედან რამეს გამოველით, არამედ — სოფლისთვის ვზრუნავთო.

— ვინ იცის, იქნებ შენ მართალიც ხარ. ამიტომ სასწრაფოდ გაეცით, დაუყოვნებლივ. არავის არ უნდა მიეცეს სალაპარაკო. ხედავ? ცუდად არ არის ჩაფიქრებული. არც ავანსად აქვთ წაღებული?

— არც ავანსად.

— რა ღმერთი გაუწყრათ? დასწყევლოს ეშმაკმა. არა, დღესვე დაიწყეთ გაცემა და ხვალ საღამოსთვის უკვე მოთავებული გქონდეთ. ეშმაკმა იცის მაგათი თავი, მაქედან რას გამოატყვრენენ.

რაიონიდან რას იტყვიან დაჩქარებაზე?

— არაფერს, გაუხარდებათ კიდეც. ყოველ შემთხვევაში, პასუხს მე ვაგებ.

— ეგრე.

— ეგრე.

— წავედი.

— წადი.

4

შავლეგომ წერილი აიღო და ერთხელ კიდევ გადაავლო თვალი.

პროფესორი აფაქიძე სწერდა: „გაზაფხულიდანვე განვაახლებთ ბიჭვინთის კონცხზე გათხრებს და კარგი იქნება თუ კვლავ მონაწილეობას მიიღებო“. ახარებდა ტრაპეზუნტის საქალაქო მონეტას და არწმუნებდა, წელს უფრო მეტი „მოსავალი“ იქნებაო.

კარგი მისატყუარი იყო.

გაახსენდა, როგორ წარმართივით ცეკვავდა ჩვეულებრივი თიხის ნახევრად გაბზარული ქოთნის გარშემო დარბაისელი ბერიკაცი. ქოთანში კი სულ ორმოცდაცხრა ცალი სპილენძის მონეტა იყო. ამ ქოთნით მტკიცდებოდა, რომ ტრაპეზუნტი დამოუკიდებელ სავაჭრო-ეკონომიურ პოლიტიკას აწარმოებდა.

განა უპრეცედენტო არ იყო ქალაქიდან ასე შორს, ბიჭვინთაში მისი აღმოჩენა? და, საერთოდ, რამდენ რამეს ფენდა შუქს მონეტაზე გამოსახული მზისა და სინათლის ცხენოსანი ღვთაება— მითრა? ხოლო, თუ კიდევ იქნა მიკვლეული თუნდაც ოციოდე ცალი ასეთი მონეტისა, მაშინ უტყუარად დამტკიცდება, რომ მითრა ტრაპეზუნტის მთავარი ღვთაებაა. და აღარც იქნება გასაოცარი, ამ ელინურ ქალაქში რამ გამოიწვია ქართული ღმერთების პანთეონის წარმომადგენლის წინა პლანზე წამოწევა.

ჯერ კიდევ ქსენოფონტე იხსენიებს ხალხმრავალ ქალაქად ტრაპეზუნტს კოლხების ქვეყანაში. მაგრამ, მიუხედავად იმისა, იგი სინოპეს ბერძნულ კოლონიას წარმოადგენდა, საფიქრებელია, რომ ძირითადი მოსახლეობა ადგილობრივი წარმოშობისა იყო. განა არიანე არ ამბობს ტრაპეზუნტის აღწერის დროს, რომ იქ აღმართულ სამსხვერპლოთა ხორკლიან ქვებზე ამოკვეთილი ბერძნული წარწერები შეცდომით არის შედგენილი? რატომ არ უნდა ვერწმუნოთ ამ რომაელ მოხელეს, რომელიც თავისი იმპერატორის დავალებას ასრულებდა? გარკვევით ამბობს, რომ წარწერები ბარბაროსებისაგან არის შედგენილი. „ბარბაროსებში“ კი უეჭველად კოლხებს გულისხმობდა. მას აქ არც იმპერატორ ადრიანეს ქანდაკება მოსწონს და არც ჰერმესისა. იგი მდარედ არის შესრულებულიო და არც კი ერიდება უვარგისად გამოაცხადოს. ხოლო, თუ ქალაქის მმართველი წრეც უმეტესად „ბარბაროსთა“ ტომებიდან გამოსულთაგან არ იყო, რატომ მისცემდა ნებას, ქალაქი „უგემოვნოდ“ ნაკეთები ქანდაკებებით დაემშვენებინათ?

მცირე აზიის სხვა ელინურ ქალაქებში მითრას კულტის არავითარი ნიშანწყალი არ ჩანს. მაშასადამე, ტრაპეზუნტში არსებობდა ეთნიკური საფუძველი მითრას კულტის გამარჯვებისათვის.

არც ერთ სამეფოსა და სხვა ქალაქს მითრა-მხედრის მსგავსი რამ არ მოეძებნება ნუმიზმატიკაში. ეს მხოლოდ სა-

ქართველოსთვის არის საცნაური. ტყუილად კი არ ითვლებოდა თებერვალი მითრას სადღესასწაულო თვედ ძველ ქართულ წარმართულ კალენდარში. სამთავროსა, ქუთაისსა და ურბნისში აღმოჩენილი გემმებიც ამისი უტყუარი დასაბუთებაა.

მესამე საუკუნის ნახევრის ბოლოდან ტრაპეზუნტი წყვეტს ფულის გამოშვებას. ხოლო საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე კვლავ გრძელდება ცხენოსანი მითრას გამოსახვა ძვირფას ქვებზე.

მაშასადამე, მითრა ქართულ ნიადაგზეა წარმოშობილი, იგი ტრაპეზუნტის მთავარი ღვთაება იყო და განასახიერებდა ასტრალურ მნათობებს.

სინათლისა და სიკეთის ცხენოსანი ღვთაების ფეხებთან ბოროტი ძალების განსახიერება — გველია განრთხმული. განა საკმარისი არ არის, მითრას ხელში წვერგამახული შუბი მისცე! იგი მაშინვე გველეშაპთან მებრძოლ წმინდა-გიორგიდ იქცევა. ცხენოსანი წმინდა-გიორგი კი იკონოგრაფიაში პირველად საქართველოში ჩნდება.

კიდევ ბევრი რამ შეიძლება აღმოჩნდეს და მიკვლეულ იქნას. არქეოლოგიას არაერთი საიდუმლო გამოუტანია მზის გულზე. ისტორიაში ყველაზე მეტად არქეოლოგის ნიჩაბია საწამებელი.

გია და ლიაც იქნებიანო?

ოჰ, ეს გიები!

ყველგან არიან ეს გიები. თითქმის ყველა დაწესებულებასა და ორგანიზაციაში. მტვრის ნაწილაკებივით ყველგანა ძვრებიან და აღწევენ. გემოვნებით ჩაცმულ-დახურულნი, მომხიბვლელი მანერების მქონენი, ახალი ანეკდოტების სალარონი, ვითომდა მიამიტად გულახდილნი, კარგად შენიღბულ-მაამებლური ლაყბობის ვირტუოზები, სუფრის ტონის მიმცემნი და სადღეგრძელოს დიდოსტატები, უნიჭონი, მაგრამ დაქირავებულ მეხოტბეთა მიერ ტალანტებად ცხებულნი...

ო, ეს ჯანმსუყი და გულფუტურო ხალხი! პირში რომ შემოგციცინებენ და ზურგს უკან კი დანას მალავენ...

მაგრამ ლია?

მაინც რატომ ხდება, რომ ნიჭი და სილამაზე ერთმანეთის გზებს ხშირად არა ჰკვეთს?

ცოტა გადატვირთული ხომ არ არის ჩვენი ინსტიტუტები გიებითა და ლიებით?

„მოგიკვდეს ბიძიკო, თუ ასპირანტურაში არ მოგაწყო და ჩვენს თანამშრომლად არ გაქციო!“

იქნებ ამისი ბრალიც არის, რომ ჩვენთან დასმული მრავალი დიდი საკითხი ჯერაც არ გადაჭრილა, როგორც ამას თანადროულობა და ჩვენი საუკუნე მოითხოვს. საქართველოს, რომელსაც პრეტენზიები აქვს კადრების სიჭარბისა მსოფლიოში, ათას სულ მოსახლეზე, განა არ უნდა ჰყავდეს თუნდაც ერთი რიგიანი სპეციალისტი ძველი ეგვიპტური ენისა?

განა საინტერესო არ არის უბრალო ექიმის, თუმცა გულუბრყვილო, მაგრამ მაინც მოსაზრება, მტკიცებანი ქართულ ენასა და შუმერულს შორის ნათესაობა-მსგავსებაზე? სხვა მრავალ მკვლევარსაც გამოუთქვამს იგივე მოსაზრება, მაგრამ ჩვენში მაინც არ არიან შუმერული ენის იმდენად მცოდნენი, რომელნიც, ავად თუ კარგად, შესძლებდნენ ქართულ ენასა და შუმერულს შორის მეცნიერებაში წამოყენებული ნათესაობის საკითხის დასაბუთებას ან უარყოფას... ან, განა საქართველოს ტერიტორიაზე ორიოდე მიჩიჩქნ-მოჩიჩქნით შევძლებთ ადრე საუკუნეების ბნელ წიაღს გამოვგლიჯოთ, ვინ იცის, სად ჩამარხული, ჩვენთა აღრინდელ წინაპართა გზა-სავალი? ძალიან სერიოზულად უნდა არქეოლოგიას მოკიდება, შლიმანის ნიჩაბი და ენთუზიაზმია საჭირო. ქართული კლასიკური ცეკვების ისტორიული საწყისებიც კი არ არის სათანადოდ შესწავლილი ეთნოგრაფიული თვალსაზრისით.

თაობათა ესტაფეტაში ნუთუ ჩვენი

თაობის ინერტულობა მემკვიდრეობად გადაეცემა შემდგომ თაობას? ან მოისპობა თუ კიდევ უფრო მომრავლდება მათ დროს გიები და ლიები?

ახალ-ახალი დოქტორები... კანდიდატები... მაგრამ მეოცე საუკუნეში განა მხოლოდ სიმრავლე წყვეტს რამეს? ორბელიანმა მხოლოდ ნიჭისთვის მოითხოვა „გზა-ფართო“. ღმერთო! განა რუკაზე კიდევ დარჩებოდა საქართველო, ჩვენს წინაპრებს რომ ქინძისთავები ეჭედათ და შუბებად გაესაღებინათ? ან, თუნდაც შუბები, მაგრამ ისეთები, ფარზე პირველი დაჯახებისთანავე კევივით რომ დაღეჭილიყო?

შავლეგომ წერილს კვლავ შეავლო თვალი და საწოლზე გადაწვა.

კედელზე დაკიდებული ჩხები კიდევ უფრო ჩამუქებულიყო. ფოთლები უკვე გრაგნილივით დაჰხვეოდა. დამჭკნარ მტევნებს რუხი ყავისფერი ახლა ყველგან მოსდებოდა.

განა დიდი ხნით არ მივატოვე ჩემი დისერტაცია? ზომაზე მეტად ხომ არ გადავვარდი სოფლურ იდილიაში?.. მაგრამ... ქართველსა გულმან როგორ გაუძლოს... იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს...

დიდი საცდური იყო პროფესორის წერილი:

ბიჭვინთის ფიჭვნარში გაზაფხულისა და ზაფხულის გატარება.

ზღვაში ბანაობა.

ლიას დადარაჯებული მზერა და ჩუმი, მხოლოდ მისი ყურისათვის მისაწვდენი შეფარვული ლიქნი.

ჩვეულ ორომტრიალში მოქცევა.

და

მერე საუკუნეების მიღმა დარჩენილი რომელიმე მზეგადასული შიმუნვარის მძივის მარცვალსა და ბრინჯაოს ბალთის ნაწიბურზე გულის ფანცქალით გადაცილებული პრეისტორიული მტვერი.

გაქცევა და მორიდება სოფლისა, სადაც პატარა ადამიანები თავიანთ პატარა ვნებებს კაცის კეთილდღეობასა და მომავალსაც კი ამსხვერპლებენ.

მაგრამ რამდენადაც მეტს ფიქრობდა ამაზე შავლეგო, იმდენად მეტად გრძნობდა, რომ აქედან ფესვის გადადგმა არ შეეძლო. ვიდრე ოდესმე, ახლა უფრო არ შეეძლო... რუსუდანის გაუთვალისწინებელმა ნაბიჯმა ერთბაშად გადაჭრა ყველა მავთული, რომელიც დანარჩენ სამყაროსთან აკავშირებდა.

არსებობს კანონი, რომელსაც შეიძლება პირობითად მოულოდნელობის კანონი ვუწოდოთ.

იმ ერთმა ღამემ, ბახუსისა და აფროდიტას ღამემ, ყველაფერი ყირაზე დააყენა. ამ შერეულმა წყვილმა, რომელიც თითქმის ყოველთვის იმარჯვებს თეთრი სარეცელის კორტებზე, ნაცარტუტად აქცია რწმენისა და სალად განსჯის წლობით ნაშენები ტაძარი. ეს იყო პიროვნების შიგნით სახელმწიფო გადატრიალება, რომელსაც მთავრობის კაბინეტის სრული შეცვლა მოჰყვა.

გამარჯვების სიტკბო ვერცკი იგემა, რომ დამარცხების სიმწარე მიიღო მთელი დოზით...

მაგრამ მამაცები არ მარცხდებიან, მამაცები ნადგურდებიან!

და ჯერაც ვერ გარკვეულიყო თავად რა ფაზაში იყო: ამ ორთა შორის რაღაც საშუალი, თუ ერთიც და მეორეც.

ღამით, ბოლმისაგან გაგუდულს, მრუმე ფიქრების კორიანტელში, ალაზნის ჭალაში ნახული ცეცხლისფერი გველი აგონდებოდა. თვალწინ ედგა, ხმელ მუხაზე შემომსხდარი გვრიტები როგორი კრუალ-გრუტუნით ესიყვარულებოდნენ ერთმანეთს... გვრიტები გადარჩნენ, ხოლო გველმა თავისი საზღაური მიიღო... მაგრამ უფრო დიდი ვაჟკაცობა იქნებოდა, ამ ქალურად განუსჯელი ვულკანის ლავაში მოყოლილი, ისევ ფეხზე, და უფრო მეტიც, თავის სიმაღლეზე დარჩენილიყო.

ვინც რამესა ქმნის, შეიძლება მხოლოდ ის შეცდეს. მაგრამ, განა თავად რამის შექმნის დროს შეცდა? და, მაინც, იმ დანაშაულს სასჯელის ის ზომა არ ეფარდებოდა... და მთელ ღამეს ამა-

ოდ კვნესოდა საწოლის ზამბარები მძიმე სხეულქვეშ...

ვინაც ალილოს მახვილი, მახვილითვე წარწყმდეს!

და ადამიანის გულის იდუმალ კუნჭულებში ჩაკირული სიყვარულის ეგოისტური ბუნება ვერ ურიგდებოდა თავისი სიცოცხლის ტყუპისცალის დაკარგვას. ასეთ წუთებში გალიაში ახლად შეგდებული ვეფხვივით მძვინვარებდა და ხორხიდან თავისთავად ამოდიოდა ბოროტი, უსიამო ხმით ნახიხინევი სიტყვები:

ქალო გიქებენ საქმარეს,
თორმეტს გაგითლი ხისასა,
გადავალ, გადაგიყოლებ,
სახელს დავირქმევ წიქასა,
ლეგას ტალავარს დავიცმევ —
ლეგ-ლუგა ქისტებისასა,
დავჰკიდებ ციხის წვერზედა
მარჯვენას შენის ქმრისასა...

მხოლოდ ფლორას უტყვი, უცვლელი სიყვარული მცირეოდნად ესალბუნებოდა შელახული თავმოყვარეობის შებღალულ ჰიას.

კუპრაჭასთან შეხვდა სრულიად შემთხვევით.

ქალი დაემხო და სურდა ფეხსაცმელებიც კი დაეკოცნა სათაყვანებელი მიჯნურისათვის.

ბიჭი შეზარა ამ ძაღლური ერთგულებით თავის დამცირებამ. დასტაცა ხელი, ფეხზე წამოაგდო და დერეფნიდან უკანმოუხედავად გავიდა.

„ფლორა!"

რა იქნება, სტაცოს ხელი და დღესვე შინ მოიყვანოს? — განა სამაგიეროს შურისძიება არ იქნება? მაგრამ, ეს ხომ დანაშაულიც იქნება ფლორას წინაშე? და ღალატი საკუთარი თავისა? განა მას, ვაჟკაცს, შეჰფერის, რომ დედაკაცივით წუთიერ გრძნობას აჰყვეს და სამუდამოდ მოიწამლოს ისედაც მცირე ხნით მინიჭებული ამ ქვეყნად ყოფნა? არა! გარდა სასიყვარულო ინტრიგისა, სხვა კიდევ უფრო დიდი და უფრო მაღალი მისია აქვს შესასრულებელი. აი, დასვამს რევაზს სათავმჯდომარეო სკამზე და მერე შეიძლება... შეიძლება ერთბაშად აიბარგოს. მიაშურებს ისევ ბიჭვინთას და იქ მითრას დეზებქვეშ შეძრული ცხენით თავისუფლად ისეირნებს შორეულ წინაპართა მკვიდრ მამულებში... მაგრამ სად დაიკარგა ამდენ ხანს რევაზი? თითქმის უკვე მომზადებულია ყველაფერი კოლმეურნეობაში ტრიუმფალურად დასაბრუნებლად. თვენახევარი იქნება, კაცმა არ იცის მისი ასავალ-დასავალი. მაინც სად უნდა დაკარგულიყო? დიდიხანია აღარც კუპრაჭასთან შეუვლია. საბრალო დედამისი გამოკეტილია იმ ფიცრულ ქოხში და წუთი-წუთზე უცდის მის გამოჩენას.

დედა!

განა დედაჩემი ნაკლებ გაიტანჯა ჩემი ლოდინით? რამდენი ხანია ელის ჩემს დაოჯახებას და რომ ვერ ვაღირსე? ახლა, ალბათ, სულ გადაუწყდა იმედი, რადგან ნინოსაგან იცის რაღაცა...

ჩემი პაპა? ჩემი ვაჟკაცი პაპა! ვგრძნობ, რომ იმანაც ბევრი რამ იცის, მაგრამ არც მე მიტყდება და არც თავის თავს. ჩემი ამაყი პაპა! მხოლოდ ასეთ პაპებს უნდა ვუმადლოდეთ, რომ ახლა ჰიქსოსებ-ელამელებივით მარტო პაპირუსებზე და პერგამენტებზე არ ვიხსენიებით.

და ჩასაბერი? რატომღაც მჯერა, რომ იგი მომავალი გოდერძი იქნება. ოღონდ თანამედროვეობის პრიზმაში გადატეხილი. ეს პატარა ბიჭი. თუმცა, რაღა პატარა, მე მაგხელა უკვე ვომობდი... სულელი! — შავლეგოს მწარედ გაეღიმა, — თუ გინდა მოვიტაცებთ და ეგრევე სახლში ციმციმ მოგიყვანთო... სულელი! შეიძლება ბიჭები შეიპირა კიდეც. დღესვე უნდა ვნახო, რამე სისულელე არ ჩაიდინოს... ძია ნიკოს კარგად აუწვა კუდი, ამისთანა ნომერი არც გამოუშვიათ. ეტყობა, დამოუკიდებლობამ და საკუთარი ძალის შეგ-

ნებამ რწმენა განუმტკიცათ. მე რომ შემეძლოს, ყველა ქვეყნის ჩასაბერს ერთად შევკრებდი და სანიმუშო სახელმწიფოდ დავასახლებდი. ხოლო ცოლებად... ხოლო ცოლებად... მხოლოდ რუსუდანისთანა ქალებს მოვგვრიდი... რუსუდანი... საწყალი მამაჩემი. ბუნდადღა მახსოვს. არასოდეს არა მღეროდა. ხოლო, როცა სიმღერა მოუნდებოდა, რაღაც ჩივილისა თუ ღიღინის ხმაზე, თუ ორივე ერთმანეთში იყო არეული, ამას ამბობდა:

ვაი, რა დავკარგე, —
ძვირფასი განძი...

რუსუდანი... ჩემი რუსუდანი... ჰმ! ჩემი! რომ ვუყვარებოდი, განა სხვაზე გათხოვდებოდა? იქნებ იმიტომაც გათხოვდა, რომ ვუყვარდი? ალბათ ძლიერ არ ვუყვარდი, თორემ ძლიერ რომ ვუყვარებოდი, მაშინ არ გათხოვდებოდა. იქნებ სწორედ იმიტომ გათხოვდა, რომ ძლიერ ვუყვარდი? ჩემი რუსუდანი... ჩემი პაწაწკინტელა რუსუდანი... ოჰ, რას არ მივცემდი, ის ღამე რომ გამეორებულიყო! ერთი როგორც კი გაზაფხულდება, უნდა ავიდე და ის ადგილები მოვინახულო. ჩვენ მაშინ დავთქვით, სათავის ციხის ჩრდილში პირველად რომ მომეკრა მკერდზე. პირველად რომ შეუგუბდა სული კოცნისგან და მერე მარწმუნებდა, რომ უბედნიერესი ქალი იყო მთელ ცისქვეშეთში... ჩვენ მაშინ დავთქვით, ერთად მოგვენახულებინა ის ადგილები. ახლა მარტო მომიხდება სიარული მეროჭიკე ბერივით. რუსუდან!... კარგო რუსუდან!... განა სხვასაც ვინმეს ჰყავდა ასეთი რუსუდანი? იგი მხოლოდ ჩემთვის იყო გაჩენილი. მხოლოდ ჩემთვის და... და... დედას ვუტირებ ყველა ზაქროს და სხვისი სიყვარულის ყველა გამქურდავს!...

კედლიდან პალტო ჩამოგლიჯა და გარეთ გავარდა.

5

ჩასაბერმა ტომრები მხარზე შეისწორა, ხელები წელზე შემოიწყო და ცუღლუტურად გაიფიქრა:

„სად არის ახლა ჩემი სასიმამროს ვირის ურემი! რას მომნათლავდა, ბიჭო, დღეს! მაგრამ მოერევა კი ერთი ვირი ჩემს წლევანდელ ნაშრომს? ვერ მოერევა და თავად საწყობის გამგეს დავუწყვილებ. რა ბედენაა, მხოლოდ ყურებით თუ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, და ხანდახან ლეო ორ ფეხზეც დადის (რა თქმა უნდა, როცა ფხიზელია)".

ფრთხილად მიდიოდა. ტალახს ფეხს არიდებდა, გუბეებს ახტებოდა. კვლავ ისწორებდა წინ გადმოცვივნულ ტომრებს. და მაინც იწუწებოდა.

„გუშინვე გამოიდარა, შეიძლება არც დღეს იწვიმოს. ამ ქვეყანაზე ღმერთი მაინც უნდა იყოს ცოტა დალაგებული. თუმცა მადლობა გვაქვს სათქმელი, თოვლს რომ არ ურევს. ორმოები ამოსავსებია, თუ დღეს აღარ იწვიმა, ხვალვე გავირეკავ ბიჭებს. ძალიან კი ვიაჟაკაცეთ. წელსვე შეიძლება მთელს ფერდობზე ხეხილის დარგვა.

ძია თომა გადარეულია. ლამის თავის ბუდრუგანაში ჩემი სურათი დაიკიდოს. ლოცვას რომ გასავალი ჰქონდეს, მე ახლა ერთი წყვილი კაი ფრთა მექნებოდა. მერე მიეშვი უმოტოროდ საითაც გინდა.

ჰეი-ჰეი, ჩასაბერო, რა დრო დაგიდგა! ხალხი ახლა გონების ნაცვლად ლოცვა-კურთხევას გიგზავნის!...

ერმანა უკვე გაბღენძილი დადის. მაინც სად ისწავლა ეგრე უცებ ბრექიაობა? სათავის ციხესთან მოგვეხმარემეთქი და — „მე თავად მინდა ახლა მოხმარება". დილიდან საღამომდე კუდამწვარი დარბის. ერთხელ ვერ ნახავ საბჭოში დაადგება ცალთვალა ძაღლივით და მთელ სოფელს უვლის. უცბათ კი შეაგდეს იმ სიმაღლეზე. ამბობენ, მედიკო ნათესავიაო. ო, რა ავგულა და ავყბა ხალხია. არ უხარიათ თუ ვინმე

მაგათი თანატოლი ან უმცროსი დაწინაურდა. განა მედიკო ჩემიც ნათესავია? თუმცა, არც არის გასაკვირი ხვალ და ხვალზევით ჩემზედაც მოვისმინო იგივე. არა, ძმაო, რაც მართალია, მართალია, ძალიან ვაჟკაცური გოგოა. მაგის მარიფათი ღმერთმა ყველას მისცეს. გუშინწინაც ჩამოვიდა და კრებაზე დაგვესწრო. მიდი და თუ გაგიჭირდა, აქა ვარო. ტყუილად არ უთქვამს ხევსურს: ხატი თუ ჩემკენ იქნა, ხევისბერი რა ფეხებს მამჭამსო...

ძია ნიკო უკვე „აიწია“. ლამის „აურიოს“. ცოტაც დამაცადონ და ბევრი სხვაც აურევს... ნეტა ჩემამდის არავის მოჰგონებია, რომ თელავში საგიჟეთის ერთი ფილიალი გაიხსნას? ღმერთმანი, ერთბაშად ადგილი არ დამიწუნონ!

მე ახლა კომკავშირის კომიტეტის მდივანი ვარ, ვითომ სასაცილოა? მედიკოს თვალი ძერასავით უჭრის, არაფერი შეეშლება. რა თქმა უნდა, მდივანი მე უნდა ვყოფილიყავი, ჩუჩელებს ჯერ არაფერი გაუკეთებიათ ამ ქვეყანაზე. მაგრამ მგონი ამაში შავლეგოს ხელი უნდა ერიოს.

შავლეგო!

რა უცნაურად წავიდა ყველაფერი. მართლაც, რომ კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო. ეგ რომ არ გამოგვთიშოდა, ახლა, ვინ იცის, რა როგორ იქნებოდა. როგორ აირია ყველაფერი... ელიკომ რომ ეგ ჩაიდინოს... ელიკომ რომ ეგ ჩაიდინოს... კატასავით მივახრჩობ ორივეს! სულ გადავბუგავ იქაურობას! ძირიანად მოვთხრი იმ ეზო-ყურეს! სულ გადავჭამ და გადავძოვ!

შავლეგო მენანება. ჩემი ძმა და ღვიძლია, და მენანება. თითქოს არ იმჩნევს. როგორი ვაჟკაციც არის, იგრევე იტანს ამ უზომო დარდს. მაგრამ მე ხომ ვიცი, გული რას უდუღს. მე რა გამომეპარება? დროდადრო, როცა თავს ვეღარ ერევა, იფეთქებს ხოლმე. გუშინ რომ გზაზე არ გადავყროდი, ვინ იცის, რა უბედურებას არ დაატრიალებდა. ძლივს დავაბრუნე. ეგეთ კაცს რომ ქალი გაჰყიდის!

ბედნიერი ხარ, ბედნიერი, ჩასაბერო, რომ ერთს უყვარხარ და ატამივით არ იხლიჩები. ან იმ ერთმა როგორ შეძლო შეყვარება? ძაღლები და კატებიც კი ფრთხებიან ჩემს დანახვაზე.

ცა თითქოს იწმინდება. შეიძლება არც ხვალ იწვიმოს. ხვალ ყველა უნდა გავლალო სათხრელად. ორმოები შორი-შორს უნდა იყოს. აქაც ძია თომას უნდა ვერწმუნოთ. არ უნდა ვიხარბოთ. დღესაც რომ გავიდეთ, ვითომ რა უშავს? ხომ არ ილაფებს? თუნდაც ილაფოს, განა ჭყანტობში უფრო დიდი ლაფი არ იყო? არა, დღესვე უნდა გავირეკო და წავიდე. რატომ უნდა გავცდეთ? დასვენება ჯერ ადრეა. ახალგაზრდები ვართ. სისხლი ახლა გვიდუღს. ვისაც რამის კეთება დაუწყია, ბევრს ჩვენზე ადრეც დაუწყია. იმ ასაკში ვართ, როცა თავი გზებს ეძებს, თვალი საქმეს და ხელი იარაღს. ჩვენშია ახლა ენთუზიაზმი. აი, მივალ, დავაჩქარებინებ განაწილებას და მერე გავუტევთ. შუადღისასაც რომ ავიდეთ და, თითო კაცმა თითო ან ორ-ორი ორმოს ამოთხრაც რომ მოასწროს, მაინც კარგია.

ამ კვირაში, საგაზაფხულო თესვის თაობაზე, ერთი კრება კიდევ უნდა მოვიწვიო. ლექსო და ის ორი „ლინკლაც“ უნდა მივიღო წევრებად. რა საჭიროა დიდხანს ლოდინი? შეიძლება იწყინონ კიდეც.

ნაჭყანტობარზეც ვილაპარაკებთ. ახლა საკმაოდ დაჟურულია, მგონი, უკვე შეიძლება გუთნის შეტანა. ო, რა საზამთრო დასხდება! ბოსტნეულიც ბლომად მოვა. აი, წყარო შემოსავლისა. ყარაჯალელები მარტო პამიდორით მილიონერები გახდნენ. იქ ნაკლები პამიდორი მოვა? და მალე ხეხილიც ინაყოფებს. ძია თომა ამბობს: ხესა და ხეს შუა ნაგალა ჯიშის ვაშლები დავრგოთო. ნამდვილი ჭკუის კიდობანია.

ერთი უნდა ავიარო თელავის საცდელ სადგურში, სულხანიშვილი კარგი კაცია, დამათვალიერებინებს იქაურობას...

ვაზიც არ უნდა დავივიწყოთ. მე მგონია, შავლეგო მართალია. ჩვენი კუთხე სავაზეთია. ვაზს გაცილებით მეტის შემოტანა შეუძლია, ვიდრე მარცვლეულს. კარგიცა ქნეს, რომ წელს ბლომად დაგეგმეს ახალი ვენახების გაშენება. მარტო მაყვლიანი რად ღირს? ძია თომა ამბობს: პირველ წელსვე ცერის სიმსხო ვაზი დასხდებაო.

აი, რა ქნა მოწადინებამ და შრომაც დაგვიფასდა, ორმაგად გვაძლევენ. რამდენიმე წელიწადში, როცა ყველაფერი ბლომად იქნება, ხუთმაგად და ათმაგად გავანაწილებთ... მაშინ გამოჩნდება, ჩასაბერო, რა ბიჭად იქცევი. დაიღალა დედაჩემიც, უნდა დავასვენო. მერე, შეიძლება დედაკაცის მოყვანაზეც იფიქროს კაცმა. არც მე დამაჭრის კბილებს ახალი სახლის აშენება. თორემ იქნებ ძველში ელიკომ არც იკადროს შემობრძანება და უარიც მითხრას გამოყოლაზე. უარი თქვასო? ჰაი, რას მოვიგდებ ზურგზე კრილოვის მგელივით და გავაცუხცუხებ!“

როცა საშრობში ავიდა, გახურებული მიწონ-მოწონა იყო. ტაროიანი სიმინდით სავსე ტომრებს უკვე უდებდნენ ცხენის ურმებზე.

— აბა, მარდად, აბა, მარდად, — მიეხმარა დადებაში შაქრიი, — მიიტანთ შინ და მერე აქვე ჩამოხვალთ სასწორაფოდ. მთელი ჩვენი ბრიგადა შუადღემდე სათავის ციხესთან უნდა იყოს. — ტომრები სიმინდის ხვავზე მიყარა,— აბა, ლეო, შენც მოუჩქარე ცოტა, ბარემ დროით წავიდნენ ბიჭები.

— მე არსად არ მეჩქარება.

— ჩვენ გვეჩქარება, მაშასადამე, შენც უნდა მოუჩქარო.

— ჩემი საქმე სასწორის გასწორება და წონის ჩაწერაა. დანარჩენი მაგათი, ვინც ტომრებს ავსებს.

— შენ რა, ტომრებს ვერ გაავსებ?

— ზურგზედაც ხომ არ მოვიგდო და შინ მიგიტანო?

— ღმერთმანი, გზაშიაც მაგაზე ვფიქრობდი, ოღონდ კეხი შესაფერისი უნდა გაგითალო.

— კეხი შენ უფრო მოგიხდება, ჩასაბერო, კაცისთვის ჯერ გამარჯობაც არ გითქვამს და უკვე ილანძღები.

— ვინ გითხრა, რომ კაცს სალამს არ ვეუბნ‌ები? ძალიან დაუშავებია, ვინც მაგას ფიქრობს. მე ჯერ კაცისთვის სალამი არ დამიჭერია, მაგრამ შენ რა შუაში ხარ? შენ მართლა არაფერი არ მათქმევინო. სასწორის შეხედვასა და წონის ჩაწერას რა უნდა? ერთსაც მოასწრებ და მეორესაც.

საწყობის გამგემ ცალი თვალით სიმინდის ხვავს გაჰხედა და ცალიც შაქრიას მიაბჯინა.

— შენ იქ რომ წამოგასკუპეს, თავში ხომ არ აგივარდა, ჩასაბერო?

ჩასაბერი ზიზღით დაიჯღანა.

— მე შეიძლება თავში ამივარდა, მაგრამ შენ რომ ყოფილიყავ ჩემ ადგილას, სად უნდა აგვარდნოდა?

ლეომ თავისთვის ისე ჩაიბურდღუნა, რომ სხვასაც გაეგონა.

— მოვიდა და ააყროლა აქაურობა!

— ხედავთ, ბიჭებო, რას მეუბნება?— ჩასაბერმა ცას აჰხედა, — ღმერთმანი, ლოტოს-კოჭო, მოგკლავდი, მაგრამ მეშინია, წვიმა არ მოვიდეს.

დათასა და ჯიმშერს კინაღამ ხელიდან სავსე ტომარა გაუვარდათ სიცილისაგან.

— კარგი, ჩასაბერო, თუ გეჩქარება, რაღას გვაყოვნებ? — ლექსომ სასწორთან მიყარა თავისი ტომრები.

— სანაძლეოს ვდებ, წყალში რომ ჩაგაგდოთ, არ ჩაიძირები.

— კარგი, მოეშვი, კაცო, ხორბალიც ასაწონი გვაქვს.

— ღმერთმანი, არ ჩაიძირება. თუ გინდა, სცადეთ. მთელ სიმინდსა ვდებ სანაძლეოდ.

— შენ ამ დილით ხომ არ გადაჰკარი? ნუ აცდენ კაცსა.

— გეუბნებით, არ ჩაიძირება. მთელ სიმინდსა ვდებ და სართად ხორბალსაც მოვაყოლებ. გინდათ, ვცადოთ?

ლეო შეშფოთდა; ამ დამთხვეულისაგან ყველაფერია მოსალოდნელიო, და

ოკრობოკროდ გადაჰხედა მღვრიე წყლით სავსე კამეჩების ძველ გუბეს.

ჩასაბერმა გადაიხარხარა და ხორბლის ხვავისკენ გადაყარა თავისი ტომრები.

უკანასკნელად დათამ შეაგდო სასწორზე თავისი ხორბლის ტომარა.

— რამდენია?

— სამოცდათერთმეტი.

— ტომარა აღარა მაქვს. მათხოვეთ ვინმემ ერთი ცალი, შინამდე, ბიჭებო.

— ჯერ ჩვენც ავწონოთ. თუ დაგვრჩა, გათხოვებთ.

— ტომარა რაღად გინდა? — ცალი თვალი მოხუჭა ლეომ.

— ოცდათხუთმეტ კილოს ჯიბით წაიღებ?

— რა ოცდახუთმეტს, სამნახევარი გერგება კიდევ. მაგაზე დაეყრება.

— შენ ხომ არ გაგიჟდი? მაჩვენე აქ უწყისი, — ხელში სწვდა დათა, — მაბრმავებ? აბა, კარგად წაიკითხე რა წერია?

— შენზე ადრე მაქვს წაკითხული.

— მაშ რა ჩემ ფეხებს გადასცემ, ლოტოს-კოჭო? ეგრე თვალდათვალ გინდა ამალლიტო? ხედავთ, ბიჭებო? სამნახევარი გერგებაო. შენ მართლა ხომ არ მოგენატრა ამ სიგრილეში ბანაობა?

— მოკალ და მე ვზღავ, — დაიძახა ხვავიდან მახარემ.

ლეო გაბრაზდა.

— თუ გინდა, დააყარე ის სამნახევარი, თუ არა და ეგრე წაიღე. შენ ოცდათერთმეტნახევარი გახარჯული გაქვს.

— პირდაპირ გადამრევს ეს კაცი! რა მაქვს გახარჯული, როდის წავიღე, კაცო? აბა, საბუთი მაჩვენე ჩემი ხელმოწერით, ან დრო მითხარი, როდის წავიღე! ეე, ლოტოს-კოჭო, შაში-ბეშივით რომ გაგირბის აქეთ-იქით ეგ თვალები, კარგად ჩაიხედე შიგ, შენ ვის ატყუებ? გახარჯული გაქვსო! შენ მოხარშული ინდაური ხომ არ გაფარია თვალებზე?

— ინდაური შენ თვითონა ხარ. არც შენ მოგცემ ოცდათერთმეტნახევარს და არც შოთას. წადით და სადაც გინდათ, იქ მიჩივლეთ.

— რაო, არც შოთასო? — ნამდვილად მთვრალია, ეს შობელძაღლი! რას არ მომცემ, კაცო? — დაილურსა შოთა.

— რასა და ხორბალს. არც შენა და არც დათას.

— რატომ, კაცო?

— რატომ და გახარჯული გაქვთ.

— რა გვაქვს გახარჯული, როდის გავხარჯეთ?

— როდის და ზაფხულში. ხომ არ დაგავიწყდათ, ზაგოტზერნოში სამოცდასამი კილო ხორბალი რომ ააცურეთ შენ და დათამ? სახელმწიფო არას დაიკლებს. ის სამოცდასამი შემდეგ რეისზე გავატანე თქვენს შემცვლელებს. ჩემი ჯიბიდან კი არ დავყრიდი. ეხლა გიკავებთ. კოლმეურნეობაც თავისას არ დაიკლებს. თქვენ მადლობაც უნდა მითხრათ, რომ ეგრე სუფთად გადაგარჩინეთ.

შოთამ დათას გადახედა. დათამ ლექსოს შეავლო თვალი და ისევ ლეოს მიუბრუნდა.

— ნუ მატყუებ, ლეო, შენ მაშინ ერთი ტომარა არ დაგიყრია. დაგვაკელი.

— არ დამიკლია. ხომ დავაყარეთ, შოთავ, ერთი ტომარა მაშინ?

— მართალია, დავაყარეთ.

— მაშ ის ერთი ტომარა ვინ წაიღო? გზაში არ დაგვბნევია.

— არ ვიცი.

— არც მე ვიცი.

— არც იქაურ მწონავს მოვუტყუებივართ.

— ჩემი საქმე არ არი. სამოცდასამი ორივეზე გავანაწილე. ოცდათერთმეტნახევარი შეგხვდათ თითოს. ჰა, გადმოიღე. ხალხს ეჩქარება. სხვებსაც უნდათ დროით გასტუმრება.

— მაშინ ჩემზედაც გაანაწილე. მეც იქ ვიყავი. სამმა წავიღეთ ის ხორბალი და სამმა უნდა ვზღათ. — ლექსო წინ წამოდგა და თავისი ტომარაც მოიყოლა.

— შენ არავინ გთხოვს. ცოტნე და-

დიანივით ნუ ეჩრები შიგ. შექსპირმა თქვა...

— შექსპირმა კი არა, მე ვთქვი. ახლავე სამზე გაანაწილე. თუ ამათ აკლებ, მეც იქ ვიყავი.

— ეგრე იყოს, მე რა მენაღვლება. სულელი თავი მუდამ ზარალშია. არც მთავრობა დაიკლებს რამეს და არც კოლმეურნეობა.

— თორემ შენ კი იკლებ რამეს, შენმა მზემ.

— შენ, თონიკეს ბიჭო, კუთხეში სადმე მიეგდე, ფეხი არავინ დაგადგას.

— მე შენ იგეთ კუთხეს მოგცემ...

— აბა, აბა, აბა!

— მიქარვებს თავი გაანებეთ!

აქამდე ხვავზე უბრალოდ მჯდარი ჩასაბერი წამოდგა. სავსე ტომარას თავი გადაუქცია და ერთი მოქნევით სასწორთან დასცა.

— ლეო მართალია, ბიჭებო. არც სავალდებულო ჩაბარებას უნდა დავაკლოთ და არც კოლმეურნეობას. მაგრამ დათასა და შოთას მაგაში ბრალი არ მიუძღვით. ორივეს თავთავისი წილი მიეცი და გაუშვი. ლოტოს-კოჭო... ის ხორბალი მე წავიღე. აწონე და სამოცდასამი კილოგრამი მე დამაკელი.

## თავი მერვე

### 1

წელს მაინც გაზაფხული ადრე დაიწყო. ჯერ იყო და მთელი ზამთარი ისე გავიდა, მიწას ნახევარ გოჯზედაც არ უნახავს თოვლის სითეთრე. მერე კი თებერვლის ბოლომ მზიანი დარები დაიჭირა. შირაქის ვრცელი მინდვრებიდან ალაზნის ჭალებს ამოყოლილ თბილ ნიავს რაღაც საამო, დიდი ხნის ნაცნობი, ნუშის ყვავილის სუნშერეული, ალერსიანი სუნთქვა მოჰქონდა. ზამთრის ძილით გაბრუებული ხეები ნელი ზმორებით იფშვნეტდნენ თვალებს. ძარღვებში სასიცოცხლო წვენდაძრულები ფერსა და კანს იწმენდნენ წამსა და წუთს შუა. ყოველ შტოზე ყოველი კვირტი ივსებოდა და ფუვდებოდა მზისა და მიწის ნოყიერ ძუძუს დაწაფებული.

სულ პირველად მაინც ენძელებმა ამოყვეს თავი. სათავის-გორა და ჩახრიალას მთელი ფერდობი ენძელებით კადაიპენტა. ბუჩქის ძირებში იაიები მიყუჟულიყვნენ. ყელყარყარები თავიანთი ცისფერი, ხავერდოვანი თვალებით მორცხვად იმზირებოდნენ ყოველი მგზავრის მიახლებაზე.

შავი მიწის წიაღიდან იძროდა სიმწვანე. ძალუმად მოსდგომოდა ზედაპირს. განუწყვეტლივ, ჯიქურ და დაჟინებით აწვებოდა ამოსახეთქად.

პირუტყვმაც იგრძნო რაღაც ცვლილება, ამ მარადიულს, უუძველესს და მაინც ახალს, მხიარული ზმუილით ხვდებოდა ეზოებს გაღმა.

ბელურები გადაირივნენ. რიჟრაჟიდანვე ილვიძებდნენ და მერე დაუცხრომლად ჟივჟივებდნენ ხეებსა და სახურავებში. მოზღვავებულ სიხარულსა და ჯანში სითბოსაგან მოჭარბებულ ძალას ერთმანეთის სასიყვარულო დევნაში, სახუმარო ძიძგილ-კინკლაობაში ხარჯავდნენ. ზოგჯერ სრულიად უმიზეზოდ ისეთ რამეზე წაიკიდებოდნენ, რაზეც, თავად მათი ჭკუითაც, ყურის გაპარტყუნებაც არ ღირდა.

და მათი პატარა ფრთების ქნევაზე, მათი მხიარული ხმის ჩამაქრულ ძახილზე ალაზნის ჭალებს პირაღმა მოჰყვებოდა, იდუმალი ჩურჩულითა და ჩურჩულით სავსე ნაადრევი გაზაფხული.

შავლეგო შედგა და ზევით აიხედა.

შაშვი დამჯდარიყო კვიპაროსის კენწეროზე და თავგადაკლული გალობდა. კენწერო ნიავზე ირხეოდა. შაშვი დროდადრო გაბზეკილ ბოლოს ასწევდა შესამაგრებლად. პირი ცივ-გომბორისაკენ

მიექცივნა და სულამდე ჩამწვდომი სტვენით ადიდებდა საშუადღეოზე ასულ, ლივლივა ბურუსში გახვეულ მზეს.

შავლეგოს უყვარდა ეს ბაღი. მას შემდეგ, რაც თელაველებმა ახალი ბაღი გააშენეს, აქეთ იშვიათადღა გამოივლიდნენ. მაგრამ ამ ბოლო დროს ისევ აღადგინეს „ძველი“ ბაღი და ახალი ნარგავებიც მიუმატეს. ასწლოვანი თელების, იფნებისა და ცაცხვების მძლავრი ტოტები მეფერხულეებივით გადაჰხვევოდნენ ერთმანეთს. სურო და ფათალო შესცოცებოდა ერეკლეს ციხის მაღალ ქონგურებს. სათოფურებით აჩოფურავებული, ალაგ-ალაგ ჯაზაირებისაგან დახრული კედლები ზვიადად გადმოჰყურებდნენ მათ ფეხქვეშ მოფუსფუსე ქალაქს. მტკიცე ბურჯები დროთა ბრუნვას დაებზარა, ამაყ გოდლებს ზოგან დაკბილული არშია აქერცლოდა. მთავარი კარის ოთხკუთხა კოშკის თავზე თანამედროვე სახლის პაროდია დაეშენებიათ. არქიტექტურულად მკაცრად გააზრებული ციტადელის მთელ ანსამბლში აშკარა უსიამო დისონანსი შეჰქონდა.

კარგა ხანია, რაც ასე ძირისძირობამდის არ მოევლო თელავი. სულ გადასხვაფერებული ეჩვენა აქაურობა.

ახალი, მრავალსართულიანი სახლები.

ადმინისტრაციული შენობები.

სასტუმრო და საავადმყოფო.

დიდებული ტურბაზა და ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელი.

ნადიკვრის ქვემოთ დაწყებული უზარმაზარი სტადიონი...

ვეება შენობები აეგოთ უნივერმაღებისათვის, თანამედროვე, მსუბუქი, ნათელი და მეტსივრციანი. უთვალავი მაღაზია და პირდაპირ ქუჩებში გამწკრივებული სავაჭრო ფარდულები.

უამრავი რესტორან-სასადილოების, ლუდხანების, სახინკლეებისა და სასაუზმე-სახაშეების ქსელი მთელ ქალაქს აბლაბუდასავით მოსდებოდა.

მუსიკალური სკოლის წინ, მთავარი ქუჩის პირას, უზარმაზარი ახალი საცხოვრებელი სახლის საძირკველი იყრებოდა. მისი მეორე სართული მალე დაფარავდა ოდინდელ, გაცვეთილ, არც თუ მაინცდამაინც ესთეტური გრძნობების აღმძვრელ შენობას. და ისევ ისე, როგორც ბაღლობაში, ძველებური გაუბედაობით იდგა ძველ ბაღში ზურგით შეჭრილი, მოკრძალებული, ერთსართულიანი, პატარა ბიბლიოთეკა-სამკითხველო — ქალაქის მთავარი ბიბლიოთეკა-სამკითხველო...

მანქანების გაუთავებელ სრბოლას თავგზა აებნია ქალაქისათვის. უამრავი ძველი და ახალი მარკის მსუბუქი მანქანა ირეოდა თვალწინ.

„ჩასაბერი სადღა დაიკარგა? ვითომ მანქანის საშოვნელად წავიდა? სანაძლეოს ვდებ, თუ ჩვენი ღვინის წერტის გამგის ეზოში ახლა კენჭებს არ ითვლიდეს...“

ახლოს „პობედამ“ ჩაუარა, იქვე ჩიხში შეუხვია და გაჩერდა. მანქანიდან კუპრაშა გადმოვიდა.

— კვირაზე მეტია, თვალი აღარ დამიკრავს შენთვის.

— საიდან მნახავდი, შინიდან არ გამოვსულვარ.

— ნეტა იგეთს რას წერ, მზის დანახვა რომ მოგაძულა?

— შენთვის საინტერესო არ იქნება.

— მაინც რა არის?

— მუშტრებისაგან მონარჩენი კერძების ნამუსრევიდან სახინკლე ხორცის ტექნოლოგიის ახალი ხერხები.

— ქურდობა არ იყოს, თორემ ვიჩივლებ. მოზიარედ მაინც გამიხადე.

— ჰაჯი ყაბულ. ჭალისპირში მივდივარ.

— ერთი გზა გვაქვს. ამ წუთში ამოვიტან კასრსა და წავიდეთ.

— ეს არი ჩვენი ღვინის სარდაფი?

— ეს გახლავთ. ჩამოდი, არ ინანებ.

— მანქანაში დაგიცდი, — შევიდა და კარი მიიკეტა.

— მერე ქალაქი გადასჭრეს და თავქვე დაეშვნენ.

— ამბობენ, ჭალისპირიდან მიდისო.

— მივდივარ.

— სულ მიდიხარ?

— სულ. რატომ კითხულობ?

— იგრე. არ მინდა, რომ წახვიდე.

— ბერი გარბის, მონასტერი კი არა. განა შენთვის უფრო ხელსაყრელი არ არი უჩემობა?

— არ არი. რასაც შენ მაგაში გულისხმობ, ის შენამდეც არ მაკლდა. არც ახლა ვიკლებ, შეგეჩვიე, მეგონება, რომ უშენოდ სოფელი დაცარიელდა. სხვანაირად არ გამიგო. მე იგეთი კაცი ვარ, ღმერთსაც რომ არ ეკრძალება. განათლება არა მაქვს, თორემ როგორც კი წიგნს მოვიგდებ, ვკითხულობ. ბევრი წიგნი და ისტორიები წამიკითხავს.

— უცნაური კაცი ხარ, სიმონ.

— როგორიცა ვარ, იგეთი ვარ. გული დამწყდება, რომ წახვიდე, ჩემმა მზემ, ძალიან დამწყდება.

— რომ არ წავიდე, შეიძლება საგანძურისაკენ მიმავალი ჭიშკარი სულ ჩაგიკეტო.

— მაგაზე არ იდარდო. შენ თუ ერთი ხერხი იცი ჭიშკრის ჩასაკეტად, მე ასერთი — გალავანზე გადასახტომად. ცხოვრება მუდამ თავის გზით წავა. ცხოვრებას ვერ მოატყუებ. განა მდინარეა, კალაპოტი უცვალო? თუ უცვლი, ისიც დროებითი იქნება. ღმერთმა თუ განგებამ თავიდანვე ეგრე დააწესა: მაღალი და დაბალი, მსუქანი და გამხდარი, ვიწრო და განიერი, მძიმე და მსუბუქი, გრძელი და მოკლე — ეს არი დედამიწაზე ყველაზე დიდი ფილოსოფია. წინათ ბატონები ყმებს ატყუებდნენ, საიქიოს ჩვენ ყმები ვიქნებით და თქვენ ბატონებიო. განა ამის თქმა დიდი სიბრიყვე არ იყო? სულ ერთია, მაინც ხომ იქნებოდა ბატონი და ყმა? ხომ მაინც რჩებოდა მაღალი და დაბალი? ხედავ? მათაც კი სხვა უკეთესი ვერა მოიგონეს რა. ეგრეა. ქვეყანას ვერ გაასწორებ, დასაბამიდან ზოგი ფონს ეძებს გაღმა გასასვლელად, ზოგს წყურვილის მოსაკლავი წყლის შოვნაც უჭირს.

— მე მაგ ფილოსოფიას ვერ გაგიგებ. სულ ერთია, ვერ გაგიგებ. ეგ მგლის ფილოსოფიაა და მე ვერ გავიგებ. შენ საღმრთო უნდა გადიხადო, მე რომ მივდივარ. ერთი ძველი-ინდური ანდაზაა: იმ ტყეში, სადაც ვეფხვი არ არი, ტურაც რაჯააო. მაგრამ იცოდე, აქ იგეთი ვეფხვი რჩება, რომელიც შენს თარეშს, ვიდრე შენ ფიქრობ, იმაზე ადრე მოუღებს ბოლოს.

კუპრაჭას თხელ ტუჩებზე დამცინავი ღიმილი დაიგრიხა.

— ვიცი, ვისზედაც მიფაჩუნებ. მაგრამ მაგისმა ქაქანმა არ მოგატყუოს. ეგეთი ადამიანები ერთს ამბობენ და მეორეს აკეთებენ. კუპრაჭას უარესები უნახავს. ჩემგან ეს გახსოვდეს: არსებობს მხოლოდ არასწორი გზა, და არა გამოუვალი მდგომარეობა. შენ თუ ინდოელებისა იცი, მე თათრებისას გეტყვი: მოიქეცი იგრე, როგორც მოლა ამბობს, მაგრამ იგრე ნუ მოიქცევი, როგორც მოლა იქცევაო. მგლებზე კი ტყუილად გადამიკარ. დიდი ხანია ყელამდე ვარ მაძღარი. ახლა მე იმ ლომს ვგავარ, რომელსაც გამარჯვება უფრო ახარებს, ვიდრე ნადავლი.

— ვწუხვარ, რომ განათლება არა გაქვს, იქნებ მაშინ შენი გზა სხვა ყოფილიყო.

— წყალი რა არხშიაც არ უნდა მიუგდო, ივლის, ივლის და მაინც ბოლოს თავის კალაპოტს მოძებნის. განათლებული რომ ვყოფილიყავი, მაშინ ასერთის მაგიერ ასორი მეცოდინებოდა გალავანზე გადასასვლელად. ყველაფერი, რაც ერთისთვის მაწყინარია, მეორისთვის მარგებელია. რასაც ერთნი სწყევლიან და ჰკრულავენ, მეორენი ქება-დიდებას ასხამენ. მოსკოვის სასტუმროში ერთ მონღოლს შევხვდი. ჩინგიზ-ყეენი თავით-ფეხამდის ქებით გალოკა. მაგრამ, აბა, იმ ხალხსა ჰკითხე, ვის მიწაზედაც ხმლით გაიარა! დარწმუნებული ვარ, ჩვენი ამომგდები შაჰ-აბაზი თავიანთ ისტორიაში სპარსელებს ყველაზე დიდ გმირადა ჰყავთ ჩაწერილი, იგრე, როგორც ჩვენ თურქების მომთხრელი დავით აღმაშენებ-

ლი, ეგრეა, ქვეყანაც მუდამ ეგრე ბრუნავდა...

— შენ ჭკვიანი კაცი ხარ, სიმონ, მაგრამ თავი მაინც ცხოვრებისეული ჭუჭყით გაქვს დანაგვიანებული. შენისთანებს საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში პირდაპირ სრესდნენ.

— პირველ წლებში სრესდნენ, მერე კი თავზეც გადაუსვეს ხელი. ახლაც ყოველ გაზეთში და ყოველ კრებაზე ჩვენი გინების მეტს არას აკეთებთ, მაგრამ ამ ცხოვრების მამოძრავებლები მაინც ჩვენა ვართ. გაქანებული ვაჭრობა სიმდიდრეა, სიმდიდრე კი სახელმწიფოს ღერძი. აბა, თელავში დააკვირდი, რა შენდება და რისთვის. თავს იმით იმართლებენ, რომ სავაჭრო ორგანიზაცია მდიდარი ორგანიზაციაა და ამიტომ აშენებსო, ხოლო რასაც აშენებს, თავისთვის აშენებს. რა უნდა ქნან იმ ორგანიზაციებმა, რომლებსაც ეს სიმდიდრე არა აქვთ? რამდენი სახაშე და სასაუზმე ვიცი, რომ შიგ მომუშავეთ თავიანთი საკუთარი ფულით აუშენებიათ? რა ინტერესი აქვთ? ძნელი მისახვედრია? აბა, თუ ერთ კაცს დამისახელებ, რომ ბიბლიოთეკა ან სამკითხველო აეშენებინოს საკუთარი სახსრებით. გგონია, სამაგისო თანხა ერთ კაცს არ ექნება? ჩამოთვლა რომ მინდოდეს, რამდენს ჩამოგითვლი მარტო ჩვენთან. აი, ახლა, მე რომ არ შეგხვედროდი, შენ ან ტაქსით უნდა წამოსულიყავ ან ავტობუსით. რამდენმა კი ჩაგიარა საკუთარ მანქანებში მძღოლმა და ზედაც არ შემოგხედა. ზედაც არ შემოგხედეს იმათ, ვინც შენს ფრჩხილადაც არ ღირან. საიდანა აქვთ ის მანქანები? საიდანაც მე მაქვს. ძნელი მისახვედრია? მე რომ მე ვარ, ეს ყველაფერი არავაჟკაცურად მიმაჩნია. უფლება რომ მომცენ, მთელი ქალაქის სავაჭრო დაწესებულებებს დავბეგრავდი, დირექტორიდანა და გამგიდან მოკიდებული, უკანასკნელი მეწვრილმანით გათავებული. და ბევრ არასავაჭროსაც. ყველას გარკვეულ თანხას შევაწერდი და საუკეთესო ბიბლიოთეკა-სკოლებს ავაშენებდი. არა გვჭირდება? ზოგ სკოლაში ბალღები სამ ცვლად დადიან. მარტო არმით ნაყიდი ავტომანქანები რომ შევაგროვო, ინსტიტუტის ახალი კორპუსები აშენდება. რაო, არ არი საჭირო?. არ აკლია? თავზე საყრელი აქვს?.. ეგრეა. მთავარია მონდომება. თუ გადასწყვიტე, რომ ქვა გახეთქო, ქვა თავისთავად გიჩვენებს ნაბზარს, სადაც უნდა დაჰკრა. ოღონდ კაცი გამოჩნდეს, ვინც ამას ითავებს და მე სიამოვნებით გავიღებდი თუნდაც ასიათასს. თუ გაჭირდებოდა, იქნებ მეტსაც. გგონია, ბევრი რამე დაგვაკლდებოდა? თქვენზე მეტი მაინც დაგვრჩებოდა. და მალე ისევ თქვენი კისრიდან ამოვიღებდით... ვიცი, რასაც უჩხირკედელავებ, ისტორიას. მერე მაგით გინდა პური სჭამო? რა არის ისტორია: — ზღაპარი. ჩვენივე მოგონილი და შეთითხნილი. ყველა რჯულის ხალხს თავისი ხალხი ყველაზე ვაჟკაცური და კულტურული გამოჰყავს. ყველა რჯულის კაცი ცდილობს თავისი ხალხის უპირატესობა დაუმტკიცოს სხვას თავისი დაწერილი ისტორიით. ერთსა და იმავე მიწაზე წერენ. არა ჩვენი იყო, არა ჩვენიო. მოდი და, ბოლოს გაიგე, ვისი იყო სინამდვილეში. შენც ამასვე წერ, ალბათ, ჩვენზე. მერე, როდინდელზე! მსოფლიოში უდიდესი პოეტი გვყავს. სულ რვაასი წელიც არ არი გასული და მაინც ვერ გავიგეთ საქართველოს რომელი კუთხიდან იყო და რა კაცი იყო. შორს რათ მივდივართ? ასი წლის წინ მოკვდა ბარათაშვილი და სურათიც კი ვერ შემოვინარჩუნეთ მისი. შენ კი იმას მიყვები, სამიათასი და ხუთიათასი წლის წინ ვინ ვიყავით და რა ვიყავით... ერეკლე მეფეს ერთხელ ბარძაყზე მუწუკი ამოუვიდა. ზოგი ნაზირვეზირი იძახდა თვალიაო, ზოგი — ძირმაგარა და ზოგიც თავკბილაო. მაშინ ერეკლემ ჯერ ბარძაყზე დაირტყა ხელი, მერე ყურთან მიიტანა: „აბა, თქვენ ქვეყნისა რა უნდა გაიგოთ, რო-

ცა აქედან აქამდის სწორე ამბავი ვერ მოგიტანიათო".

შავლეგოს გაეღიმა.

— მოეშვი იმას, რისიც არა გესმის რა. შენი მსჯელობა შენი ხელობისათვის ვაჟკაცურია, საწყალ ხალხს კი ტყავს აძრობ.

— საწყალ ხალხს ტყავი აუცილებლად უნდა გააძრო. არ მიყვარს საწყალი ხალხი. ისინი ისევ მხოლოდ საწყლებს ამრავლებენ. მაგრამ თუ ვინმეს რამე უთხოვნია და შემძლებია, არავისთვის არ მითქვამს უარი.

— მაშასადამე, მთელი პური მომეცი და ცოტას მოგიტეხო?

— როგორც გინდა, იგრე ჩათვალე. ვაჟკაცი არც ტყავს გაგაძრობინებს და თუ გააძრეს, არ დაიჩივლებს.

—მანდედანაც რომ გიპინტრიშონ?

—აბა, ეგ რა საჩემო კითხვაა, შენგან არ მიკვირს? მე რომ კატა ვიყო და დამაბრმაონ, კუტ თაგვს ვიპოვი და იმას დავიჭერ. მე არ მოგიკვდე, არ ვინაღვლო. ერთი ეგ მეწყინება, რომ ჭალისპირში კაცის ნახვა დამნატრულდება.

— ცხრამეტამდის მაინც არ ვაპირებ წასვლას.

—ცხრამეტი ვითომ რაღააო?

კოლმეურნეობაში ახალი თავმჯდომარე უნდა დავსვა.

— ახალი თავმჯდომარე? მერე, ძია ნიკო რომ ცოცხალია და საკმაო ჯანზეც არი? რაღაც იგეთი ჯეილი არა მგონია, რომ ადვილად დათმოს ტახტი.

— დავათმობინებ.

— ძალიან საეჭვოა. მაინც ვისთვის გინდა?

— რევაზისათვის.

— რევაზისათვის? — ახლა კი გაოცდა კუპრაჟა.

— *რატომ გაიკვირვე? იქნებ ცუდი* კანდიდატურაა?

— არ არი დასაწუნი, მაგრამ... რას იტყვის ხალხი?

— ხალხი? რა უნდა თქვას ხალხმა? ხომ არ გგონია, ხალხსა სჯერა ძია ნიკოს მონაჩმახი?

— მე კი მგონია, არ გამოგივა.

— ეჭვი რატომ გეპარება?

— რაიკომში ბევრი ჰყავს მომხრე და ხალხიც მაინცა და მაინც იგრე რიგად არ ემდურის. კრებას მდივანი აუცილებლად დაესწრება.

— ჩემთვის სულ ერთია, ვინ დაესწრება და ვინ არა, ნიკოს შემდეგ რევაზი იქნება თავმჯდომარე.

— ეგ შეიძლება. ოღონდ, ვინ იცის, ნიკო როდის დაანებებს მაგ ადგილს თავსა.

— ცხრამეტში. ამ თვის ცხრამეტში.

— ვითომ?

— აუცილებლად. ამას მე — შავლეგო გეუბნები.

— ვინ იცის, შეიძლება თეიმურაზმა დაუჭიროს მხარი. თუმცა ეგ იგეთი კაცია, კვერცხსაც კი წახნაგებს უსინჯავს.

მერე დიდხანს იყვნენ ჩუმად. მხოლოდ მანქანის თანაბარი, ყრუ ღრუტუნი ისმოდა და შემხვედრი მანქანებიდან მისასალმებელი სიგნალები აღწევდა ღია სარკმლებამდე.

— ყური დამიგდე: მე ვიცი, რისთვისაც მიდიხარ ჭალისპირიდან... ისიც ვიცი, რომ ორი ჯამბაზი ერთ თოკზე ვერ ითამაშებს... მაგრამ, განა მღვრიე წყალი ცეცხლს არ აქრობს?.. და თუ არც სხვა წყალზე მღვრივეა და ნაკლებიც არ არი, მაშინ...

— მაშინ მე გეტყვი: იმას, რაც იცი, მიუმატე ის, რაც არ იცი. მერე მამრავლი სამრავლზე გაამრავლე, ნამრავლს გამოაკელ და თუ ეგ საკმარისი არ იქნება, ბოლოს რაც მიიღო მე ნუ გამიყოფ.

— ბოდიშს მოგიხდიდი, მაგრამ დაჩვეული არა ვარ.

ხოლო გუნებაში გაიფიქრა:

უნებართვოდ სხვის კარს თითითაც ნუ დაუკაკუნებ, თუ არ გინდა, რომ შენს კარს მუშტით მოუწიოს ბრახუნი... და ნურც ლომის პირში ჩაყოფ ხელს, მტკივნეული კბილის მოსასინჯად.

და მერე ჭალისპირამდე აღარც ამოუღია ხმა.

სასადილოს რომ გასცდნენ და ბერხევას აღმა აუყვნენ, შავლეგო მაშინ გამოერკვა ფიქრებიდან.

— სით მიდიხარ?

— სათავის ციხესთან.

— რაო, მტერი ხომ არ დაეცა?

— მტერი არა, მაგრამ იგეთი მეგობარი გვყავს დაცემული, მტერს მოგანატრებს.

— ზოგჯერ ნამეტანი ქარაგმებით იცი ლაპარაკი, სიმონ.

— მესამე წელია, ერთი დოცენტი გვყავს გადაკიდებული. როგორც კი გაზაფხულის სიო დაჰკრავს, მაშინვე მოგვიხტება: „სათავის ციხე ისტორიული ადგილია და, გინდა თუ არა, უნდა გავამწვანოთო“, მოვა, რამდენიმე დღე „ვარხალალოო“ გაუდის, მერე დაიტვირთება საქალაქო პურ-მარილით და წავა... მერე ციხის მაგიერ ჩვენა ვრჩებით გამწვანებულები ბოღმისაგან,

— მაშასადამე „იქ“ იციან.

— მაშინვე მე და ძია ნიკოს დაგვიბარებენ, აბა, თქვენ იცით, ხელს როგორც შეუწყობთო. მეც, რაც მევალება, ჩემებურად ვუწყობ ხოლმე ხელს, ახლაც ღვინო შემოაკლდათ და თელავში გამოვიქეცი.

—გააჩერე, მე ჩამოვალ.

— იყავი. დღეს ნაწილი არ ჩამიდვია პირში. იქნებ შენთან მაინც გავტეხო ლუკმა.

როდესაც სუფრაზე მივიდნენ, სტუმარიცა და მასპინძლებიც შუა სმაში იყვნენ.

ფერდობს მომდგარი მზე სასიამოვნოდ აცხუნებდა. მეინახეებს პალტოები გაეხადათ, ლოდებზე პიჯაკიანები ჩამომსხდარიყვნენ.

შექეიფიანებულმა ნიკომ კუპრაჭას უთხრა: „ერთი რბილი ქვა მოძებნე და მოიტანეო“. და ახალმოსული თავის გვერდზე დაისვა.

სათამადო ლოდზე მჯდარმა ვარდენმა თვალი აარიდა და ყანწიანს მიაცივდა.

სტუმარი გამოტყდა, რომ „ფრიად სასიამოვნები დარჩა“ შავლეგოს მოსვლითა და გაცნობით. მერე ყანწი კვლავ ჩაბღუჯა და გაწყვეტილი სიტყვა განაგრძო. უზარმაზარი ჯიხვის რქის უკან ძლივს მოჩანდა მისი ხმელი, პატარა ტანი. ოდნავ შერეოდა ჭაღარა თხელ საფეთქლებს. ქერა, ხვეულ თმაშიც აქა-იქ კიაფობდა მისი სითეთრე. ლამაზ სახეს ცხვირის წვერზე და თვალებს ქვემოთ წითელ ძიძიბებად ამოხეთქილი ჭარბად „ნახმარი“ ალკოჰოლი უუშნოებდა მხოლოდ. და, საერთოდ, მთელი მისი ცხვირის ირგვლივეთს ლილისფერში გარეული ისეთი სიწითლე დაჰკრავდა, შემოდგომის მიწურულში რომ აქვს ვაზის ფოთოლს.

— ადამიანისათვის არაფერს არ მოაქვს იმდენი ზარალი, რამდენიც ნიადაგების ჩამორეცხვას. ცხოველები, ფრინველები, ადამიანები, ნიადაგის მწვანე საფარზე არიან დამოკიდებულნი. მათი ყოფნა-არყოფნა მცენარეულის სიმწვანეზეა დამოკიდებული. ამიტომაც არის, რომ ჩვენი დიადი მუშურგლეხური პარტია და მთავრობა ამდენ ყურადღებას უთმობს გამწვანებას... მხოლოდ მწვანე მცენარეებს აქვთ ის უნარი, რომ მზის შუქის ქმედი ანუ კინეტიკური ენერგია ფარულ ანუ პოტენციურ ენერგიად გარდაქმნას... თუ მცენარე არ იქნება, მაშინ ნიადაგიც წვიმის წყლებისაგან ჩამოირეცხება. აქედან ჩნდება წყალდიდობა. და, ვინ არ იცის, რამდენ ზარალს აყენებს წყალდიდობა ჩვენს სახალხო მეურნეობას? წინათ რომ ამბობდნენ, წარღვნა იყოო, რა იყო ეს? ეს იგივე წყალდიდობა იყო... თქვენ რა გგონიათ, ძველისძველი ხალხების გადაშენებასა და ცივილიზაციის დამხობაში ცოტა წვლილი მიუძღვის ნიადაგების ჩამორეცხვასა და გამწვანების მოუფიქრებლობას? ეს ამხანაგებო, არქეოლოგიური გათხრებითა და საბუთებით არის დამტკიცებული...

რა თქმა უნდა, ჩვენში, ღმერთმა დაიფაროს, ისე იყოს განვითარებული

ეროზია და ნიადაგის დაშლა-ჩამორეცხვა, როგორც ეს კაპიტალისტურ სახელმწიფოებშია. ამერიკის შეერთებულ შტატებში ოთხმოცი მილიონი ჰექტარია გადარეცხილი და ქარებისაგან გამოფიტულ-წაღებული. მერედა, იცით რას წარმოადგენს ეს გადარეცხილი, წაღებული მიწა? ორმოცდასამ მილიონ ტონა აზოტს, ფოსფორსა და კალიუმს. ეს კი აუცილებელია მცენარეთა ზრდა-განვითარებისათვის, მაღალი მოსავლიანობისათვის, როგორც მინერალური ნივთიერება. მარტო მდინარე მისისიპს მექსიკის ზღვაში შვიდასოცდაათი მილიონი ტონა ნიადაგი ჩააქვს ყოველწლიურად.. ეროზიით მიყენებული ზარალი შეერთებულ შტატებს რვაასორმოცი მილიონი დოლარი უჯდება.

მტაცებლურ-სპეკულაციური კაპიტალისტური მიწათმოქმედება დიდებულად მოგვცა ფრიდრიხ ენგელსმა თავის „ბუნების დიალექტიკაში“. ამიტომაც, როდესაც წარღვნა იყო, თქვენ კარგად გახსოვთ, ნოემ რომ კიდობანი გააკეთა. ამ კიდობნით... ეს კიდობანი... სწორე მწვანე მასისაგან, ესე იგი მცენარეთა მერქნისაგან იყო გაკეთებული... როგორ გააკეთებდა ამ კიდობანს, თუ მას ხელთ არ ექნებოდა ის მასალა, რომელსაც ნიადაგის მწვანე საფარი ქმნის? განა კაცობრიობა კიდევ იარსებებდა, ყველგან რომ ეროზია ყოფილიყო და ხე-მასალა ვერ ეშოვნა ნოეს? ამიტომ ააშენა კიდობანი და შიგ შევიდა... ტალღებს გაჰყვა და არარატზე გამოვიდა, სწორედ ჩვენს მეზობელ და მოძმე სომხეთში. ეს, მართალია, ბიბლიური ამბავია, ესე იგი, ტყუილი ამბავია, მაგრამ მიწის ეროზიას მაინც დიდი მავნებლობა მოაქვს ჩვენი სახალხო-სახელმწიფო მეურნეობისათვის... ამიტომ გამწვანება, ნოეს გამწვანება. არა, რა თქმა უნდა, დედამიწის გამწვანებას დიდი წვლილი მიუძღვის მზის ულტრა-იისფერი სხივებისა და, აგრეთვე, ორთოპედიულ-პედიატრიული... ჯერ კიდევ დიდი ლენინი ამბობდა...

— ოოჰ, ნეტა ერთი წარღვნა კიდევ მოსულიყო სადმე და სულ ნოეს დაუხმარებლად შევკრავდი კიდობანს, მარტო შენ ჩაგსვამდი და იმ წყალს გაგაყოლებდი.

სუფრა ხარხარმა შეატორტმანა.

ვარდენმა მაინც მოასწრო და, სიცილსა და სიცილს შუა, კუპრაჭას თვალები დაუბრიალა.

სტუმარმა გაოცებით მიჰხედა გამლილ პალტოზე ინახით მჯდარ სასადილოს გამგეს.

— რაო, რა ბრძანეთ?

— არაფერი, ძაფი არა გაქვს?

— რა ძაფი?

— უბრალო ძაფი, ჩვეულებრივი.

— ძაფი? ძაფი რად გინდა? — კიდევ უფრო გაოცდა ყანწიანი.

— თითზე შეგაბამდი, რომ სათავის ცხის გამწვანება წელსაც არ დაგვიწყებოდა.

ახლა შავლეგომაც ველარ შეიკავა ღიმილი.

გამმწვანებელს ღვინო გადასცდა სასულეში. დიდხანს საცოდავად ხიხინებდა და ხლურჩუნებდა.

შავლეგომ წასასვლელად წამოიწია.

სტუმარმა ხელი ასწია და შეაჩერა. მერე თამადას მიუბრუნდა და ერთი სადღეგრძელოს უფლება ითხოვა. მისი ცხვირი და ცხვირის გარშემო წითლად ამოკუწკუჭებული ძიძიბებისაგან უკვე ყვაოდა. კიდევ უფრო მორღვეულ თვალებში ცრემლი ჩამდგარიყო.

— დიდი ხანია არ მინახავს ასეთი ჰარმონიული განვითარება სულისა და სხეულისა. თქვენი კუნთების ენერგია, ალბათ, კამეჩსაც კი შეშურდება. მე ჩემი წინაპრები, ჩვენი წინაპრები, თქვენი სახით წარმომიდგენია. ასეთები რომ არ ყოფილიყვნენ, არ გვექნებოდა ეს მინდვრები, ეს ველები, ეს მთები. ეს ტყეები და რა თქმა უნდა, აღარც ეროზია იქნებოდა... მაშინ აღარც გამწვანება იქნებოდა საჭირო და მაშინ აღარც მე ჩამოვიდოდი გასამწვანებლად. ვეღარც ჩვენ შევხვდებოდით ერთმანეთს... ჩვენი წინაპრები

დიდი წინაპრები იყვნენ... ღირსნიც იყვნენ ამ სახელწოდებისა. აი... აი, ეს ციხე საქართველოს კარი იყო ჩრდილოეთიდან. ეს ციხე იცავდა საქართველოს სპარსელებისაგან, არაბებისაგან, ოსმალებისაგანა და ლეკებისაგან. ჩვენი წინაპრები... ჩვენი წინაპრები თავსა სწირავდნენ თავისი მამულისათვისა. უნამუსოდ არ უცხოვრიათ და, როცა დაიხოცნენ, ნამუსიანად დაიხოცნენ... ისინი... ჩვენი წინაპრები... მონღოლები რომ... საკმარისია გავიხსენოთ ცოტნე დადიანი... და სხვანი მრავალნი... ჩვენი წინაპრები.. ნამუსიანი წინაპრები გვყავდა... ძალიან ნამუსიანი. ვინ იცის, ამ ციხეში რომელიმე ჩემი წინაპრის, შენი წინაპრის, შენი, ან შენი წინაპრის ძვლებიც არი ჩამარხული... ისინი რომ ნამუსიანად.... აი, ამიტომაც მინდა, რომ ავამწვანო და ავაყვავო აქაურობა. ეს ფერდობი, ეს ციხე, ეს ხეობა... იმიტომ, რომ ჩვენმა წინაპრებმა დაიმსახურეს. ნამუსიანად დაიმსახურეს. ნამუსიანად დაიმსახურეს... მართალია, მკვდრები არიან, მაგრამ... მკვდარი მაინც... მკვდრები მაინც... ამიტომ მინდა ეს ყანწი იმათი მოსაგონარი იყოს. იმათი ნამუსიანი საქმეების მოსაგონარი და სადღეგრძელო.

— რას სვამს ეს შობელძაღლი, — გადაუჩურჩულა გიორგიმ კუპრაჭას,— რომ გაატყაო და ტიკჭორად ამოიღო, შიგ ხელადა ნახევარიც არ ჩაეტევა, სმით კი ნახე, როგორ სვამს. თრობაც ვერ მოვკიდეთ.

სტუმარმა ყანწი დაცალა და თავმჯდომარეს ესროლა. ნიკომ ჰაერშივე დაიჭირა.

ყანწმა მთელი წრე შემოიარა და კუპრაჭამდე მივიდა.

კუპრაჭას დიდხანს ეჭირა ხელში სავსე ყანწი და სტუმარს დიდხანს მისჩერებოდა თავისი ეშხიანი, დაწკურული თვალებით. მეინახენი გაინაბნენ. დიდხანს ელოდნენ.

სტუმარმა ჭამას თავი დაანება და თვითონაც კუპრაჭას მიაჩერდა.

— ბრძანეთ, ბატონო, ბრძანეთ. სულითა და გულით გისმენთ.

— გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმისო, რუსთაველმა თქვა. მოდი, ამ ყანწით ნამუსიან მკვდრებს გაუმარჯოს და უნამუსო ცოცხლები შეიწყალოს.

2

გათენებისთანავე მოედო ჭალისპირს საშინელი ამბავი. დერეფნები, ეზოები, ორღობეები და შარაგზა მუხლებსა და ლოყებზე ხელის ტყაპუნით, ჩუმი კვნესითა და ვიშვიშით გაიტენა. ყველა ქიშკრიდან ხალხი გამორბოდა.

დედაკაცები აჩქარებით ინასკვავდნენ თავშლის ყურებს და თავს გამწარებით იქნევდნენ. „ვაი, მაგის დედას, უბედურს!“

წარბშეკრული კაცების მკვახე სახეზე გაოცება და უჯერ-მაჯერობა აღბეჭდილიყო.

ნინომ დაუკაკუნებლად შეაღო კარები და მაზლის ოთახში შევიდა.

შავლეგომ თვალი მოსწყვიტა კედელზე დაკიდებულ ჩხებს და რძალს გაკვირვებით მიხედა. ქალის გაფითრებულ სახეზე მწუხარება, შიში და მოულოდნელი ამბის ელდა აღბეჭდილიყო.

ბიჭს გუმანმა რაღაც ცუდი უთხრა და იდაყვზე წამოიწია.

— რა მოხდა, ნინო?

— შავლეგ, რევაზი, შავლეგ...

თვალებზე ხელი აიფარა და უკანვე გაბრუნდა.

შავლეგო წამოხტა და შარვალს ეცა.

როდესაც აივანზე გამოვარდა, აღელვებული გოდერძი კიბეზე ჩადიოდა. კიბის ბოლოს დაეწია და ხელი სტაცა.

— რა მოხდა, პაპავ?

პაპამ ერთი კი მოჰხედა, მერე თვალი აარიდა და კიდევ ერთ საფეხურზე ჩაინაცვლა.

— სად მიხვალ? თქვი, რა მოხდა.

— რა ვიცი, დედაკაცები რაღაცას ტუტუნობენ.

— თქვი, რა დაემართა რევაზს.

— რა ვიცი, მოუკლავთო.

— ვის? სად? როდის??

— ჯერ არც მე ვიცი. ზოგი იმასაც ამბობს...

მაგრამ შავლეგო უკვე ჭიშკრისკენ მირბოდა.

როდესაც რევაზის სახლს მიუახლოვდა, გზა და ეზო უკვე ხალხით გავსებულიყო. ლიანგში ძალით იკვლევდა გზას. აქეთ-იქიდან ესმოდა ჩუმი ოხვრა, შეკავებულ გმინვაში გადმონაყონი ჩივილი და ეჭვიანი ჩურჩული:

— უიმე, დედაკაცო, აბა, რას ამბობ, ჩემი თვალით დავინახე. გუდურასავით გაედო მხარზე და იგრე მოჰქონდა.

— სად უპოვნია, სადა, ქაა?

— პირიდან ქაფი მოსდიოდაო.

— ქაფი კი არა, სისხლი.

— თვითონ ეთქვა, ქაფიო.

— ქაფი მოწამლულმა იცის.

— ეტყობა, მოწამლეს. ვაი შენს დედას, უბედურს, შვილოოო!

— იქნება თვითონაც მოკლა.

— აბა, რას ამბობ, ქაა.

— რაო, არ დაეჯერება? თვალებს ყაჩაღივით აბრიალებს. წინ რომ შემხვდება, გზას ვუქცევ ხოლმე.

— ნეტა მართას რაღამ შეაყვარა?

— რა ვიცი, ქაა, ზოგი დედაკაცისას ხო ეშმაკიც ვერაფერს გაიგებს.

— დიდხანს კი უთხრია.

— ხანჯალი რომ არ გასტეხოდა, იმდენხანს არ მოუნდებოდა.

— თოფის ლულა დაუნახავს.

— თოვლზე გამოჩნდებოდა. ალბათ ნამქერში ჩავარდა და ჩაიჩუმქრა.

— მილიციას უნდა შევატყობინოთ, გამოირკვევენ. დიდი ხანია, მაგის თოფზე თვალი ეჭირა.

— ვაი-მეეე, ამ თვალდამდგარ დედაკაცს რაღა ეშველება!

— იჰ, ნათლიდედ, იმან იკითხოს, ვინც მიდის, თორემ, ვინც აქა რჩება, არავინ მომკვდარა მშიერ-მწყურვალი.

დერეფნიდან ძლივს შეაღწია ჩახერგილ კარებში.

ერთობლივ დვრინსა და ზუზუნში სოლოსავით ისმოდა მწუხარებით გათანგული გულის სიღრმიდან ამოხეთქილი მდუღარე სიტყვები.

ოთახში უფრო გაჭირდა გავლა. მაინც გაარღვია გამტკნარებულ, პირქუშ თანასოფლელთა მდუმარე კედელი.

მიცვალებული ფანჯარასთან, ტახტზე ესვენა. გარშემომდგარ ქალებს შეკავებული ქვითინისაგან ტუჩები დაპრანჭოდათ. წუწუნით მოსთქვამდნენ უფრო ხნიერნი. ხმელ, შრომისგან გახეშეშებულ ხელებს დროდადრო მუხლებსა და მკერდზე იცემდნენ.

პატარა, მოკუნტული, შაოსანი დედაბერი მუხლებზე დაღოღავდა ტახტის გარშემო და ჩახრინწული, რაღაც კატისებური ხავილით ულოშნიდა ყველაფერს უსულოდ მდებარე სხეულს.

შავლეგოს მრავალი მიცვალებული ენახა, დახოცილნი რიცხვშეუგდები, მაგრამ ასე განსაკუთრებული და უცნაური არასოდეს.

ოდესღაც ვაჟკაცური, ყვრიმალებსა და ყბების ძვლებზე გლუდ გადაკრულ შავგვრემანჭკანიანი კუნთოვანი სახე, ზედ რომ ნიადაგ მეწამული ფერი დასთამაშებდა, ახლა მთლად ცივი, მარმარილოსავით თეთრი და უმეტყველო ჰქონდა. მოკლე, ახორკლილი წვერი ისე აბურძგნოდა, თითქოს ზედ ხელოვნურად მიმოუბნევიათო. შემჭკნარი ტუჩები ცოტათი გახსნოდა. პირის მარჯვენა კუთხიდან ვარდისფერი კვალი იწყებოდა. მთელ ლოყას ზოლად გასდევდა და ყურში ეშვებოდა. ამ კვალს ფუტკრის ფიჭის მსგავსი ნაწიბურები უწყვეტად მიჰყვებოდა თავიდან ბოლომდის. შეჭმუხნილი, ჯიუტი, ოდნავ მრისხანე, გადაბმული წარბები ახლა მთელ სიგრძეზე ნამგალას ფრთებივით გაშლოდა. სახის სითეთრეს კიდევ უფრო შავი გაეხადა იგი. ქუთუთოები შემჭკნარიყო. ოდნავ, სულ ოდნავ ღია თვალები პირდაპირ მაცქერალს მისჩერებოდნენ. ერთ წერტილში გაყინულ, დამცინავ, თითქმის სარკასტულ მზერაში ისეთი ამაზრზენი სიცივე ჩანდა, შავლეგოს ტანზე ბალანი აუბურძგლა.

ნაფლეთებადქცეული სახელოებიდან გამოყოფილი დიდი ხელები ქვევით, ქამრის ბალთასთან დაეკრიფა. მარცხენა ხელი სანთელივით თეთრი ჰქონდა. ხოლო მარჯვენა — ლურჯი, უფრო მოლურჯო-მოწითალო.

წვლს ქვევით კიდევ უფრო შავი სილურჯე დაჰკრავდა შარვლის ნაფლეთებიდან გამომზირალ ბარძაყებსა და წვივებს.

შავლეგომ ტახტის ირგვლივ მლოლავი დედაბერიააყენა, სკამზე დასვა, დედაკაცებს უთხრა: მიცვალებულს ტანზე გადააფარეთ რამეო, და თავად უკან გაბრუნდა.

კითხვით მიბჯენილი არავისი მზერისთვის არ უპასუხია. ეზოში გავიდა და არყის სახდელისაკენ გასწია. ანგრეული საქვაბის კიდეზე ჩამოჯდა. ფეხები საცეცხლეზე ჩამოუშვა და ჩახრიალას ფერდობს გადაღმა წმინდა ელიას საყდარს გაჰხედა. იჯდა და ჩაციებით უმზერდა მის ვრცელ ეზოში ოდნავ მომჩენარ, სასაფლაოს მიმობნეულ ლოდებს.

ახლა ზედმეტი იყო იმაზე ფიქრი, რევაზის დაღუპვით რა დაიღუპა. მთავარი იყო, რომ მოისპო სიცოცხლე. ახალგაზრდა სიცოცხლე, რომელიც, რომ დასცლოდა, შეიძლება არავისზე ნაკლებ ლამაზი არ ყოფილიყო. ახლაც ისევე, როგორც წეღან, ყურში ედგა ეზოში შეკრებილთა ეჭვიანი ჩურჩული.

და გაახსენდა:

„კაკოს რომ უთხრა, წადი, ამ თოფით კაცი მოკალ და შენი იყოს-თქო, ეგრე გაიქცევა, ძაღლს არც კი გაიყოლებს...“

ოდესღაც მთიელებში იყო შემორჩენილი, იარაღის გულისათვის კაცს რომ არ ინდობდნენ. მაგრამ ის კაცი მტერი იყო. სხვა რჯულისა და სხვა ერისა... რევაზი კი ვისი მტერი უნდა ყოფილიყო და რა ჰქონდა სამტრო? განა მტერი კი გაიმეტებდა სასიკვდილოდ ასეთ ვაჟკაცს?.. არა, ცილის დაწამება ეგრე ხელაღებით არ შეიძლება. ცილისწამება სიკვდილზე არანაკლებია... კაკო უნდა ვნახო აუცილებლად. და ამ წუთშივე.

ირგვლივ თვალი მოავლო.

ჭერმის ხესთან შეკრებილიყვნენ ახალგაზრდები. ერმანაც იქვე იდგა ცხვირჩამოშვებული.

ჩასაბერს ანიშნა ახლოს მოსვლა.

მთელი ჯგრო დაიძრა იმ წუთსვე მისკენ.

— შაქრი, შედი როგორმე და მართას უთხარი, აქ გამოვიდეს. უთხარი, საჭირო საქმე აქვს-თქო. აუცილებლად გამოიყვანე.

— მე ვფიქრობ, მილიციას უნდა შევატყობინოთ, რაც არ უნდა იყოს, ჩემს საბჭოში მოხდა ეს ამბავი. — საქმიანად თქვა ერმანმ, როცა ჩასაბერი წავიდა.

— აუცილებლად. მანქანა იშოვნე და შენ თვითონ წადი. სხვა არავინ გინდა: ხუცურაული ბაგრატა და ექიმი-ექსპერტი წამოიყვანე. ამ წუთსავე იშოვნე მანქანა და წადი!

როცა მართა მოვიდა, შავლეგომ ყველა დაითხოვა. ადგილი შეურჩია და სთხოვა, ცოტა ხანს ჩამომჯდარიყო.

გათხოვებას ქალი კიდევ უფრო დაემშვენებინა. კიდევ უფრო გაახალგაზრდავებულიყო. ტირილისაგან ოდნავ ქუთუთოებშეშუპებული, ლამაზ, ხარბ ტუჩებგაბუსხული, განაწყენებულ დიდ ბავშვს გავდა. თვალებში დამაბული მოლოდინი და შიში უკრთოდა.

— მაპატიე, მართავ, ცუდ ადგილს შევხვდით სალაპარაკოდ. ერთი რამ უნდა გკითხო და ნუ დამიმალავ. მინდა ყველაფერი ვიცოდე. შენ მითხარი დაუფარავად, ხოლო თუ რამეა დასაფარი, მე თავად დავფარავ... რა თქვა კაკომ, როცა რევაზი მოიტანა აქ და თვითონ შინ მობრუნდა?

მართას თვალებს შიში კიდევ უფრო მეტად დაეუფლა. ლაწვის თავებზე ოდნავმა სიფითრემ გადაჰკრა.

— არაფერი, შავლეგ, არაფერი, ერთი სიტყვაც არ დაუძრავს. იარაღი მოიხსნა და მხოლოდ ესა თქვა: „რევაზი

ჩამოვიტანეო“. მერე იქვე საწოლზე გადაიქცა გაუხდელი. მკვდარივით დაეძინა. არც საჭმელი მოუკითხავს, არც დაუბანია, გადაიქცა და დაიძინა. დაძინების წინ მაინც მოასწრო და წაიბუტბუტა: „ჩადი, იმ დედაკაცს მიჰხედე, მარტოაო“. მერე მკვდარივით დაიძინა... მეტი არაფერი ვიცი, შავლეგ, დაძმობის მადლმა, მეტი არაფერი ვიცი, მერე ტირილი დაიწყო.

— რაღაცას მოვკარი ყური... ხალხი რაღაცას ამბობდა... კაკო მაგას არ ჩაიდენდა. კაკო მაგას როგორ ჩაიდენდა... მაგათ არ იციან, როგორი გული აქვს, როგორი კაცია... რევაზი ყოველთვის უყვარდა. ნიკოს... ნიკოს ხანდახან მაგის გულისთვის ლანძღავდა კიდეც... მეც მიყვარდა, ძალიან მიყვარდა. ძმასავით მიყვარდა... ვაი, შენს დედას, შენს უბედურ დედას, რევააზ!

-- კარგი, მართავ, წადი, ისევ იქ მიჰხედე. ნუ გეშინიან, შენს კაკოს უსაფუძვლოდ ხმას არავინ გასცემს.

დედაკაცი წამოდგა და ბიჭს მუდარის თვალი შეანათა.

— არ დამღუპოთ, შავლეგ. კაკო უბრალოა. კაკო ცუდს არაფერს ჩაიდენდა. ნამდვილად უყვარდა რევაზი. მეც მიყვარდა. ძმასავით მიყვარდა. სოფლის სიამაყე იყო და მიყვარდა.

-- კარგი. წადი, მართავ, ნუ გეშინიან.

მართას ტუჩები აუთრთოლდა. ერთიც შეხედა იჭვნეულად, თვალებზე ცხვირსახოცი აიფარა და წავიდა.

შავლეგო დიდხანს იჯდა. დიდხანს უსვამდა ხელს იქვე ჩასმულ ბოძს. სინანულით ავლებდა თვალს არყის სახლელს. ქვა-ქვიშისა და აგურის გროვას, რომლებზედაც ახლა მისი თანასოფლელნი მწუხარე სახით ჯგუფჯგუფად ჩამომსხდარიყვნენ. მერე ადგა, ვენახში შევიდა, გადამტვრეულ ღობეზე გადავიდა და ბერხევას გაუყვა.

დერეფანში წაბლისფერი მეძებარი მობღუნძულიყო. თვალებს ზემოთ, წარბების ადგილზე ორი ღია-ყლალი ხალი ისე მოუჩანდა, თითქოს ღმატებით ერთი წყვილი თვალი გამობმიაო. ძაღლმა კუდი აათამაშა, ჩამოფართხული ყურები ააპარტყუნა და ფეხსაცმელი დაუყნოსა. მერე წამოდგა, მლიქვნელურად დაიგრიხა, და შიშითა და მორიდებით ახლოს მიუბობღდა.

შავლეგომ დააკაკუნა და, რაკი არ გამოეხმაურნენ, კარი შეაღო.

ფანჯრებზე ისევ ფარდები ეფარა და ოთახში ისეთი ბინდი იდგა, მზის ჩასვლისას მთებში რომ იცის. მაგიდაზე დაყრილ ჩანთასა და სავაზნეზე თოფის შავი ლულები ცივად ბზინავდა.

საწოლზე კაცი იწვა გულაღმა. მარცხენა ხელი მოეხარა და მკერდზე დაედო, ძირს გადმოვარდნილი მარჯვენა იატაკამდე უწევდა, ფეხებიცა და მთელი ტანიც ისე უხერხულად ედო, კაცს ერთი შეხედვით მკვდარი ეგონებოდა.

შავლეგომ ფანჯრიდან ფარდები გადასწია და მობრუნდა.

მონადირეს ისეთი საცოდავი და დაქანცული სახე ჰქონდა, გაღვიძება დაენანა. მთელი კვირის გაუპარსავი წვერი ჯაგარივით მოსდებოდა ჩაცვენილ ყბებზე. პირი ოდნავ გაეღო და მძიმედ სუნთქავდა.

— კაკო!

მძინარეს ჩუჩუნი არ გაუღია.

— კაკო! — ხმას აუწია, — არ გესმის, კაკო?!

ერთ ხანს დაიცადა, უფრო ხმამაღლა დაუძახა და შეანჯღრია.

— კაკო! ცოტა ხანს ადექი, კაკო!

ერთ წუთს დაეჭვდა, ამასაც სული ხომ არ გაეყარაო. მერე კიდევ უფრო მაგრად შეანჯღრია, მთელი ხმით დაუქუხა და მხრებში დასწვდა.

მონადირემ თვალი გაახილა. დიდხანს იყურებოდა უაზროდ. მერე გამღვიძებელს შეხედა. ერთ ხანს მიაშტერდა. ისევ დახუჭა თვალები და დაიძინა.

კიდევ უფრო დაენანა შავლეგოს კაცი. მაინც მისწვდა ტანსათბურის მოკლე

საყელოში, ერთიც შეანჯღრია მძლავრად და ლოგინზე წამოსვა.

მონადირეს თვალი ძლივს გაახილა. დაქანცული მზერა ირგვლივ მძიმედ მიმოატარა. მერე შავლეგოს დაბნეულად შეხედა, წარბები აზიდა, თავი შეიბღერტა და გრძლად, თავისი მეძებარივით დაამთქნარა.

იშვიათად ენახა სტუმარს ასეთი დაღლილობა. ყინწი სწყდებოდა დაქანცულობისაგან მონადირეს.

შავლეგომ ერთიც შეანჯღრია და სკამი მიიჩოჩა.

— ერთ წუთს გამოფხიზლდი, კაკო, იმან იკითხოს, თორემ შენ კიდევ მოესწრები ძილსა და წოლას.

კაკო ერთიც შეიბღერტა. გაუხდელი, გაბუჟებულ-დამძიმებული ფეხები იატაკზე ოხვრა-კვნესით ჩამოაწყო და სახსრებში გაშეშებული, გასიებული თითებით სიგარეტი ძლივს ამოიღო კოლოფიდან.

და შავლეგოს თვალწინ წარმოუდგა გორთმაღალზე დატრიალებული უბედურება.

— იმ მთამ ყოველთვის იცის ზვავი. წვერამდის შიშველი ხორხი მიუყვება. შეხედავ: ცარიელი ფაფხებია. იქ თოვლი რას დადგება? ითოვლებს, ითოვლებს, დაადებს რამდენიმე მეტრზე, მერე მოსწყდება და წამოვა ძირს. თან მოაქვს, რაც შემოხვდება და გუგუნითა და ზათქით წვება თეთრ ხევში... შეიძლება თოფის ხმაზეც მოწყდეს, შეიძლება არც გაუსვრია...

გორთმაღლიდან დავეშვი და ხევ-ხევ წამოვედი. გავიხედე და ამ თეთრ თოვლზე მტკაველის სიმაღლისა შავად რაღაცა ამოჩრილა. ჯერ ხის ტოტი მეგონა. მერე იმისმა ბზინვამ გამაკვირვა. ძაღლი გაიქცა. გარშემო შემოურბინა. სამჯერ შეჰყეფა და საცოდავი ყმუილი გააბა. დავინტერესდი და ახლო მივედი. მაშინვე ვიცანი რევაზის თოფი. ამ არემარეზე მაგისთანა თოფი არ მეგულება. იმაზედაც დავეჭვდი: ამ ადგილებში სამჯერ შემომხვდა. ერთხელ დაჭრილ დათვზე პირდაპირ ხანჯლით მივიდა. მოვასწარი, შიგ ყურის ძირას ვკარი ტყვია ნადირს და სული გავაფრთხობინე. დიდად იწყინა. დამითხოვა, ახლო აღარ გავკარებოდი... მეც ვერიდებოდი... მთელი თვენახევარი გავიდა, თვალიც აღარსად მომეკრა. ახლა კი ეს თოფი...

ხანჯალი გავიძრე.

შუაღამემდის ვთხარე.

კონდახზე შაციებული ხელი გამოჩნდა. შავი იყო. შავი კი არა, ლურჯი. მოწითალო-ლურჯი. ამან გამაგიჟა. უფრო ავჩქარდი. ოფლში გავიწუწე და მთელ ტანზე შემოვაცალე თოვლყინული... იჯდა. ფეხები შეეკეცა და იჯდა. მარცხენა თოფიანი ხელი ლოდზე დაეყრდნო, მარჯვენა მაღლა აეწია, ეცადა ზვავი იგრე შეეჩერებინა. ხელისგული დაბეგვილი, გხდაყვლეფილი ჰქონდა... ძალიან ძნელი დასანახი იყო...

მუხლების აგლეჯვისას ხანჯალი გამიტყდა. მაინც ავაგლიჯე ქვებსა და ყინულებს...

ხევ-ხევ წამოვედი და დაღამებისას ტყის თავამდის მოვედი. ძნელი სატარებელი იყო. თოფი ვერაფრით გამოვართვი ხელიდან. ეგრევე მოკრუნჩხული დავდე და ცეცხლი დავანთე... ძაღლს ეშინოდა. მთელი ღამე წკმუოდა და ზედ მეკვრებოდა...

იმ ღამეს თვალი არ მომიხუჭავს. კიდევ კარგი, პაპიროსი მქონდა.

როცა გათენდა, იგრე ვიყავი დაღლილი, ადგილიდან წელი ვერ ავიტანე. დიდხანს ვიჯექი და ვუყურებდი. ძნელი დასანახავი იყო...

როცა დათბა, წარბებზე მიკრული ყინული დადნა და თვალებში ჩაუვიდა. მერე იქიდან წამწამებში გაჟონა და ლოყაზე ჩამოუგორდა. შევხედე და თმები ყალყზე დამიდგა: მომეჩვენა, რომ მიცვალებული ტიროდა. თავის უბედურებას თვითონვე ტიროდა... მე წამოვხტი და გავიქეცი....

როცა უკან დავბრუნდი, თვალებში აღარ შემიხედავს. ოდნავ მოდუნებუ-

ლი ხელიდან თოფი რის ვაივაგლახით გამოვაცალე და ისევ ზურგზე გავიდე...

მზიანი დღე იყო და გალხვა. თანდათან გალხვა. კიდევ უფრო მოდუნდა, ცოტა მუცელი გაებერა და დამძიმდა...

შუადღის ხანს პირიდან ქაფი წამოუვიდა. რაღაც ვარდისფერი იყო... ძალიან დამძიმდა. ხშირად ვისვენებდი...

საღამოს პირიმზისაზე ჩამოვიტანე და მთიბავების ქოხში დავასვენე... ღამე იმასთან ერთად ქოხში ველარ გავძელი. გარეთ გამოვედი და ცეცხლი იქ დავანთე.

არც იმ ღამეს მომიხუჭავს თვალი. ძაღლი ყეფდა და ცეცხლთან ახლო მოხოხავდა. შეიძლება რამე ნადირს სუნი ეცა და იწევდა.

იმ ღამეს კიდევ უფრო გავიტანჯე. თანაც პაპიროსი გამითავდა.

როგორც კი ცისკარმა ყური ამოყო, ისევ ავიკიდე და წამოვედი. გათენებისას მივაყენე კარზე თავის დედას.

დიდხანს იჯდა შავლეგო მდუმარი და იმ გვამივით გაყინული.

ზედიზედ ეწეოდა მონადირე პაპიროსს. თითო მოქაჩვაზე კინაღამ ნახევრამდე დაჰყავდა სიგარეტი. მერე მძიმე ამოოხვრით წვრილ ნაკადად უშვებდა პირიდან და ნესტოებიდან.

შავლეგო წამოდგა.

— ახლა დაიძინე, კაკო, კარგად გამოიძინე და, როცა გაიღვიძო, საბჭოში გამოდი ერმანასთან.

გარეთ გამოვიდა და ეზოში ჩამოჯდა.

მონადირის მონათხრობი სიმართლეს გავდა.

ერმანა არ ჩანდა.

შუადღე გადავიდა.

კაკოს ნაამბობი მაინც სიმართლეს გავდა.

როგორც იყო, გამოჩნდა მანქანა.

უფროსი გამომძიებელი ხუცურაული ეზოში არ შეუშვა, და სთხოვა გვამის გაკვეთას დასწრებოდა.

— ვიცოდი, რომ აქ მოხვიდოდით. დაღლილია, ცოდვაა. დაე, ცოტა ხანს დაისვენოს,

როდესაც ოთახში შევიდნენ, სადაც რევაზი ესვენა, შავლეგო შეცბუნდა: ლამაზი, ვაჟკაცური სახე გოგრასავით გაბერილიყო. გასიებულ ყელ-კისერს საკინძე გაეგლიჯა. თვალები აღარსად უჩანდა. ქუთუთოებიც კი დახურულიყო, სახიდან წაშლოდა. ისედაც სქელი ტუჩები კიდევ უფრო გასქელებოდა. ქვედა ტუჩი სულ გადმობრუნებულიყო. პირის კუთხეებიდანა და ნესტოებიდან მოწითალო-მომწვანო სითხე სდიოდა. ირგვლივ ისეთი სუნი იდგა, გაფუჭებულ წაკს რომ სჩვევია.

შავლეგო შეზარა და თვალი აარიდა.

სასამართლო ექიმ-ექსპერტმა მთასავით ამდგარ მუცელზე გადაფარებული ფარდაგი აჰხადა და საოცრად გასიებულ ხელებზე დაჰხედა. მარცხენას შემზარავი მოშავო სილურჯე დაჰკრავდა. ფრჩხილები სრულიად შავი ჰქონდა, ლაქწასმულივით უპრიალებდა მხოლოდ მარჯვენა ჩანდა ისევ თეთრი და ფრჩხილებიც მკვეთრი თეთრი ფერისა დარჩენოდა.

მუხლებზე დაცემული დედა კვლავ დაღოღავდა, დამჭკნარი ლოყით ზედ ეხუტებოდა. და, როდესაც გამხმარ ხელს სიყვარულით უსვამდა ხელებზე და ყბებზე, დაირასავით დაჭიმული კანი ისე ღრაჭუნობდა როგორც ახალმა თოვლმა იცის ზედ სიარულისას. ოღონდ ახლა ეს ღრაჭუნი გულის მომწყვლელი და შემზარავი იყო.

შავლეგომ ველარ აიტანა და უკან გამობრუნდა.

— გვამის გაკვეთას ხომ არ დაესწრებოდით?

შავლეგომ უარის ნიშნად თავი გაიქნია.

— მე დავესწრები გვამის გაკვეთას.

შავლეგომ ძია სანდროს ხმა იცნო. ექიმი თავთან ედგა მიცვალებულს და დაჟინებით აკვირდებოდა.

— აბა, ყველანი კარში გადით. ეს

დედაკაციც მეორე ოთახში გაიყვანეთ. აბა მარდად. ამ დედაკაცს მიჰხედეთ, ხომ ხედავთ სული ძლივღა უდგა. — გამომძიებელმა ყველა გარეთ გაისტუმრა და კარი მიკეტა.

შავლეგო ისევ არყისსახდელთან მივიდა და საფარქვეშ ჩამოჯდა. ჩხირი იპოვნა და თავჩაქინდრული დიდხანს ხაზავდა. უცნაური, გაურკვეველი ფიგურები და კუთხეები გამოჰყავდა მონგრეული საქვაბის მტვერში....

აი, მოკვდა და ამ ქვეყნიდან წავიდა კაცი. ჩვენ ყურადღებას არ ვაქცევდით ამ კაცის ყოფნას და უცებ ვინტერესდებით მისი არყოფნის მიზეზებით. ვჩხრეკთ გულმოდგინედ თუ უსულგულოდ, ეს სულ ერთია, მაინც ვჩხრეკთ. რა გვაინტერესებს, რისთვის და რატომ? მთავარია, რომ აღარ არის. და ამ კვლევითაც მას აღარა ეშველება. და ჩვენ ვარწმუნებთ საკუთარ თავს, რომ დამნაშავის დასჯა მაგალითი იქნება სხვისთვის, რათა იგივე არ განმეორდეს. დამშვიდებული სინდისით ვადებთ სხვადასხვა სასჯელს, მერე ვბრუნდებით საკუთარ სახლში იმ წმინდა რწმენით, რომ პატიოსნად მოვიხადეთ ჩვენი ადამიანური მოვალეობა. ადამიანი კი... ნუთუ მხოლოდ ეს არის ადამიანი? რა აყალიბებს ჩვენში მოლაყბე ორფეხს ადამიანად? — სულიერი კულტურა, რომელიც კაცში ავლენს სრულ ადამიანს... აი, ბავშვები ერთსა და იმავე დროს საშუალოსა და მუსიკალურ სკოლებშიც შეჰყავთ, ამით ორმაგად წვება სწავლის მძიმე ტვირთი მათ ბავშვურ მხრებზე, მერედა, რატომ? განა იმისთვის, რომ ყოველ მათგანში ბეთჰოვენი, მოცარტი ან ფალიაშვილი ზის? არა, მუსიკა ამ პატარა ორფეხის გულსა და გონებას სწმენდს ყოველგვარი ნალექისაგან და მის სულში ბოროტმოქმედებისთვის ნაკლებ ადგილს სტოვებს...

ექიმი გვიან მოვიდა.

იჯდა და უცქეროდა ფიქრებში ჩაფლულ ბიჭს. მერე, შეკითხვას არ დაუცადა, პირდაპირ დაიწყო:

— უბედური შემთხვევაა. არავითარი ფიზიკური ძალდატანების ნიშანი. მე თავად გავსინჯე მთელი ტანი სანტიმეტრობით. არც ნატყვიარი. არავითარი ტრავმა. ფილტვებში გავრცელებული სისხლის ჩაქცევები მოხრჩობის ნიშანია. — იგულისხმება, რომ თოვლმა დაახრჩო. თოვლის დიდ ფენას შეუძლია ეს. ერთ წუთში შეუძლია ჰაერის უკმარისობას კაცის დახრჩობა. მთელი შიგნეული: გული, ღვიძლი, ნაწლავები, მთელი შინაგანი ორგანოები უცვლელია. თუ არ ვიგულისხმებთ ლპობისა და გახრწნის ნიშნებს. უბედური შემთხვევაა. ზვავში მოყოლილა ნადირობისას... საწყალი ბიჭი, ძალიან დამენანა... ახლა შემურავენ და ყველაფერი კარგად იქნება. უბედური შემთხვევაა. როდის დაასაფლავებთ?

— არ ვიცი. ხალხს უნდა მოველაპარაკოთ... ძია სანდრო, კიდევ იტყვი, რომ ილია გენიოსი არ იყო?

— რა შუაშია, აქ, ჭაბუკო, ილია ან მისი გენიოსობა?

— გუშინწინებში ერთ ლოთს ვუსმენდი, ეროზიაზე ლაპარაკობდა... მაგრამ, განა ლოთებს შეუძლიათ ეროზიის შეჩერება?

— სულ არ მესმის შენი ქართული, ჭაბუკო, ჯერ ილია, ახლა ეროზია. უცნაურია, ღმერთმანი.

— შენ მართალი ხარ, ძია სანდრო. მართლაც და, რა შუაში უნდა იყოს ჩვენი ბებერი პეტრე?

გაოცებული ექიმი ბიჭს დაკვირვებით მიაჩერდა.

### 3

რუსუდანი წვენს ჩუმად ხვრეპდა. ტუჩები ოდნავ ეხებოდნენ კოვზის პირს. დროდადრო მალულად გახედავდა მაგიდის მეორე მხარეს მჯდარ ზაქროს და ჩაციებით მიაცქერდებოდა მისი ყურების ოდნავ შეწითლებულ ბიბილოებს.

საკმაოდ მოკეთებული მოჭიდავე ყბებს მარჯვედ ამუშავებდა. ხარბად

ტკეერდა ხრტილოვან ძვლებს. ყურის დიდრონი ბიბილოებიც რიტმულად ცეკვავდნენ მაგარი ყბების რიტმულ ტოკვაზე.

და ამ ბიბილოების ჯადოსნურ რხევაში კუბოზე დამხობილი ქალის თავს ხედავდა რუსუდანი...

არავინ იცის, საიდან და როგორ შემოიჭრა ოთახში თამარი. ამბობდნენ: მამამ ჭკუა იხმარა და წინასწარ გაარიდა ფშაველში მამიდასთანო... ოთახში შემოიჭრა და კუბოსთან დაეცა გულამოვარდნილი, გამხდარი და საცოდავი. სახე მიტკალივით გადატეტკოდა, თითქოს ძარღვებიდან მთელი სისხლი გამოუწურავთო. გულისმომწყვლელად მოთქვამდა და კუბოს თავს ახლიდა. გაშლილი თმებითა და კოცნით უფარავდა უკვე მიწის კერძადქცეულ ასე ახლობელ, საყვარელ სახეს და დიდ, უხეშ, მაგრამ მისთვის უნაზეს ხელებს. ლოყით ლოყაზე ეგლასუნებოდა, თითქოს ცავის სხეულში შემორჩენილი სითბო მის გაქვავებულ სუნთქვაში სურს გადაიტანოსო. სასიყვარულო სიტყვებს ჩურჩულებდა, კვლავ ეფერებოდა, კვლავ კოცნიდა და მდუღარე ცრემლებით ალღობდა სამარის ყინულს.

დედაკაცები დაიფუფქნენ მისი საცოდაობით. ერთობლივი ზუნი ამოუშვეს და მოფრიალებული კარიდან გარეთ ისეთი მოთქმა და ზარი გაიტანეს, კაცებმაც კი პირი იბრუნეს ერთმანეთისაგან, რათა გულზე მომსკდარი ცრემლი მეზობელს სისუსტეში არ ჩამოერთვა.

თავმჯდომარემ ხალხი გაარღვია და კუბოს ძლივს აჰგლიჯა თავისი პირმშო.

ორჯერ დაუსხლტა ხელიდან თამარი მამას და ორჯერ გააღწია მიცვალებულამდე.

გამტკნარებულმა ნიკომ ბოლოს ხელში აიყვანა, გულზე ბავშვივით აიხუტა, მისი პატარა, გალეული სახე მკერდში ჩამალა და მაინც გაიყვანა გარეთ...

ისევ გამოჰქცეოდა.

სასაფლაოზე უკანასკნელ წუთს მოვარდა. თოკებს ეჭიდებოდა, სამარეში მიხოხავდა. მერე კუბოს სახელურს მიაგნო და არ ანებებდა მიწაში ჩაშვებას. საცოდავად, შესაბრალისად იხვეწებოდა: მე მაინც უმაგისოდ ვერ ვიცოცხლებო. მე მაინც უმაგისოდ დიდი დღე აღარ მიწერიაო. გახსენით კუბო და მერე ერთად მოგვაყარეთ ეს წყეული მიწა ორივესო... სწყევლიდა მშობელ მამას და თავის გაჩენას...

მესაფლავეებმა — ქოსა-გოგიამ და მეველე გიგამაც კი ცრემლი ვერ შეიკავეს.

მერე ხმა ჩაუწყდა. მოიღვენთა, მოიმჩვარა, უღონო მკლავები კუბოს მოჰხვია და ზედ დაეცა.

მამის ბიძაშვილმა გიორგიმ შიშით აიტაცა, განზე გაიყვანა და როგორც იყო, წყლით მოასულიერა...

კვლავ რიტმულად ტოკავდნენ ყურის ბიბილოები და რუსუდანი ხელახლა განიცდიდა სიკვდილზე გამარჯვებული სიყვარულის შემზარავ ზეიმს. კვლავ ყრუდ ესმოდა, როგორი გამწარებით ახლიდა კუბოს თავის პატარა, მშვენიერ თავს მიცვალებულზე დამხობილი თამარი...

არასოდეს არავისი არ შეშურებია. არაფერი არ შეშურებია... ეს პატარა გოგო კი მასზე ძლიერი გამოდგა. გაცილებით ძლიერი. არავინ იცის, სჯეროდა თუ არა რევაზის ავკაცობა. ყოველშემთხვევაში, მამამისს შეეძლო ყველაფერში დაერწმუნებინა. და მაინც... და მაინც სიყვარულმა თავისი გაიტანა. გულმა თავისი გაიტანა. გულის მოტყუება არ შეიძლება. ვინც გულს მოატყუებს, საუკუნო სასჯელი არ ასცდება... ზაქრო კარგი იყო, ძალიან კარგი. ვერასოდეს ვერ წარმოიდგენდა ამ გაურანდავ, ოქლაქ ბიჭში თუ ამდენი სინაზე, გაგება და რუდუნება იმალებოდა. ცოლი უყვარდა. ძალიან უყვარდა. რუსუდანს რომ ენატრა, შიშველი ხელებით წავიდოდა და ტყეში დათვს მოწველიდა.... მაგრამ ეს ხომ ის არ იყო... ეს ხომ ის... არა, ეს

ის არ იყო... მას თეთრი ჩოხა ეცვა, თეთრ ცხენზე იჯდა, თეთრი ნაბადი ჰქონდა მხრებზედაც და მისი რაშის ილუმ ჭიხვინზე შიშით თრთოდნენ ქონდრისკაცები... ამ ქვეყანაზე ჩვენი ყოფნაც ზღაპარს მიაგავს. გამჩენ-დამრჩენი ისე მცირე ხანს გვაძლევს უფლებას მიწის თელვისას, ყოველი სიკეთე შენი წილი უნდა მიიზღო. თუ არ გარგუნა მზამზარეულად, შენ თვითონ შექმენ ეს ზღაპარი და მოიხმარე... მაგრამ რუსუდანი იცნობდა საკუთარ თავს და კარგად იცოდა, რომ მისი ნაწნავი ციხის ბურჯიდან უკვე ვეღარ დაეშვებოდა. არც ვინმე ამოჰყვებოდა ამ ნაწნავს ზევით...

და

ა-ღა-რა-სო-დეს გაფრინდებოდნენ ოქროსფაფრიანი და ქარისფეხებიანი ცხენები...

ზაქრომ თავი ასწია და თვალი ჰკიდა, როგორ მალულად, როგორ ჩუმად დაგორდა ვარდისფერ ღაწვზე ცოლის უპეში გატრუნული ერთადერთი ცრემლის კურცხალი.

არაფერი შეუმჩნევინებია. მოსუფთავებული ლამბაქი აიღო და ღუმელზე შემოდგმულ ქვაბისკენ წავიდა.

— იგეთი კარგია, იგეთი გემრიელი შენი გაკეთებული კერძები, რო აი, მინდა მესამედ მივიმატო.

რუსუდანს ყრუდ მოესმა ეს ხმა, სადღაც შორიდან. მცირე ხნით გამოფხიზლდა და გაციებული წვენი შეხვრიპა.

გარეთ საცოდავად ჭყვიტინებდა გოჭი.

ზაქრომ სიტყვის მასალა იპოვნა.

— ხედავ, კიდევ აჭყივლდა. ჯერ ისევ გრილა და, ეტყობა, სცივა, შევჭამ ამასაც და გავალ. სხვა არაფერი გვაქვს, ვენახს, იქიდან რომ თივის ზვინია, ცოტას გამოვგლეჯ ფიწლითა და იმას გავუშლი ქვეშ, იაფად კი მოგვცა იმ კაცმა. რაღა გოჭია, ბურვაკივით არი. აი, შევჭამ და გავალ, თორემ ამაღამ, ვიცი, არ დაგვაძინებს.

ზაქრო კვლავ მაგიდას მიუჯდა და წინ სავსე ლამბაქი დაიდგა.

და ისევ ატოკდნენ ჯადოსნური ყურის ბიბილოები. რიტმულად ატოკდნენ და რუსუდანმა თვალი მოჰკრა ჩავლეგოს დიდ მარჯვენას ფლორას ლამაზ, შიშველ მკერდზე მძინარს, გატრუნულს... ის კი... ის კი საღამოობით და დღის მცირე-მცირე შესვენებებზეც კი თბილისის ყველა კუთხე-კუნჭულს უვლიდა ფეხით, რათა მისთვის სარგო პერანგები ეშოვნა სადმე...

ის ერთხელ... კიდევ... ის ერთხელ კიდევ... თუნდაც ჯანდაბას!.. თუნდაც ჯანდაბას, მაგრამ მეორედ?... მეორედ?.. მეორედ უკვე ვეღარ აიტანა და... აი, ნაყოფიც!

აი, ნაყოფიც!..

არა! — სძულს! სძულს! სძულს! სძულს ის კაცი!.. დაე, იმანაც იწვნიოს! ბოლომდე იწვნიოს, როგორია ღალატის შხამი! ზაქრო ახლა მისი ქმარია. ქმარს კი რუსუდანი არავის არ დააჩაგვრინებს! ზაქრომ უნდა ისწავლოს. რუსუდანი დაეხმარება. ჭკვიანი ბიჭია. დაუსწრებელს თავს კარგად გაართმევს. თან კოლმეურნეობაშიც იმუშავებს... რუსუდანი მას სოფელში ყველას დააჯობინებს! მერე შეიძლება... მომავალიც მცირედ განჭვრიტოს: — თავმჯდომარედ... რატომ არ შეიძლება თავმჯდომარედაც?

და ისეთი ძალითა და დიდებულებით გაბრწყინდნენ მისი თვალები, ზაქრომ ცოლის მზერას თვალი ვეღარ გაუმართა და წვენს მიეძალა.

უეცრად გოჭის ჭყივილს მანქანის ქოთქოთი გაერია და მათი ეზოს ჭიშკართან შეწყდა.

ზაქრომ ყური ცქვიტა და ჭამა შეაჩერა.

ჭიშკარმა გაირახუნა. ეზოში ფეხის ხმა გაისმა. მერე კიბეზე. აივანზე. კარი გაიღო და... და შიგ ვალერიანის უზარმაზარი თავი გაიხირა: გაბადრული, გაცისკროვნებული. შორი-შორ მსხდარი თვალები სიხარულის შუქს აფრქვევდა. კბილები ალაგმული ცხე-

ჩივით დაეკრიჭა და პირი ყურებამდე ჰქონდა გახეული.

— ზაქრო! რუსუდან! ბიჭია! ბიჭი! ქეთოს ბიჭი ჰყავს!.. ვიცი გაგიხარდებოდათ. მაშინვე თქვენთან გამოვიქეცი! მარტოს არ მაჩვენეს! არც ახლო მიმიშვეს! წამო, ზაქრო! ადექი! შენ პატივს გცემენ! ადექი! შენ გაჩვენებენ! ადე, რას უყურებ? — ამაღამ რომ არა ენახო, გავგიჟდები! სერგოს მანქანით მოვედი. აქვეა. ადე, ნახევარი საათიც არ გვინდა. ოც წუთში ალვანში მოვადენთ ბლღურძუნს! ადე, რას უყურებ?!

ზაქროს ძალიან გაუხარდა ქეთოს კარგად ყოფნა და ბიჭის შეძენა. უმალ წამოდგა. მისწვდა ბიჭის მამას და ვეება ყური ისე აუწია, ვალერიანს ეჭვი შეეპერა მოჭიდავის კეთილ სურვილებში.

რუსუდანს სტუმრის სახის უეცარმა ცვლილებამ ღიმილი მოჰგვარა.

ზაქრო ცას ეწია სიხარულით.

— რას იტყვი, რუსუდან, ცოტა ხანს წავალ და ისევ მალე დავბრუნდები. ვნახოთ ერთი, რა ბიჭია. იქნება სულაც არა ჰგავს ამ ბედოვლათს.

— რაო, არა ჰგავსო?! — თურმე ყველა იმას ამბობს: მამას იგრე ჰგავს, ვეგონება პირიდან წამოჰვარდნიაო.

— იქიდან რომ მოვალ, გოჭს მაშინ მოვუტან თივას. რას იტყვი, რუსუდან?

— რა უნდა ვთქვა, ზაქრო. წადი, ქეთოს ძალიან გაუხარდება. გოჭს მე თითონ მივხედავ. მოდი, ვალერიან, დაგვეწვიე, ამოიყვანე ის ბიჭიც.

— არა, რუსუდან, აქ რა გამაჩერებს მაგდენ ხანს. გავალთ და ისევ მოვალთ. აბა, ზაქრო, წავედით. შენც ხომ არ წამოხვალ, რუსუდან?

— არა, აბა, მე ახლა როგორ წამოვალ. ასე ცარიელი ხელით ხომ ვერ მივადგები მელოგინეს?

— ქეთოს არფერი არ უნდა, ყველაფერი თავზე საყრელად აქვს, არაფერი აკლია. მანქანაშიც ადგილია.

— წადით, ვალერიან, თქვენ წადით. მე მერე ვნახავ, ასე ვერ წამოვალ. ზაქრომ კარიდან მოიხედა,

— აფსუს, რა ძაღლი დაიკარგა! აქამდის კიდევ იმედი მქონდა დაბრუნებისა. ან შინ რომ ვეღარა მნახა, გაქსუვდა, ან შეიძლება ვინმემ მოკლა კიდეც. თუ გინდა მურას ამოვიყვან და აივანზე კიბის თავთან დავაბამ.

— წადი, ზაქრო, არა გინდა რა, არც ისეთი მშიშარა ვარ.

— კარგი, რუსუდან, ვეცდები, რომ მალე მოვიდე.

სიძე-ცოლისძმა სწრაფი ბრაგაბრუკით ჩავიდნენ კიბეზე.

4

ვიღაცამ მოიფიქრა და ფანჯარა გააღო. ოთახში ღამის სიგრილე შემოიჭრა. ცისფერი კვამლის ნაზი ღრუბლები ზლაზვნით დაიძრნენ და მსუბუქად გაცურდნენ გარე სამყაროსთან შესაერთებლად. ოთახში მყოფთა სახეები უფრო გარკვევით გამოისახა. მხოლოდ ვარდუაანთ იოსება იჯდა კვლავინდებურად კუთხეში და იდაყვით პიანინოზე დაყრდნობილი გულგრილად იფარებდა ბოლის თხელ ფარდას.

თედომ მალულად გაჰხედა ბრიგადირს. მერე დანარჩენთაც შეფარვით ძოავლო თვალი და ეამა. ეს შემადგენლობა წინანდელს არ ჰგავდა. რაოდენობაც გაცილებით მეტი იყო. მაგრამ ყველაზე მთავარი მაინც დროის ხელსაყრელობის შეგნება და გამარჯვების ნაღდი შანსების რწმენა იყო. ახლა ჰკუა ეხმარა და მაგიდაზე სველი ხელადის მაგიერ ხილით სავსე ხონჩა დაედგა.

თავი აიღო და პირდაპირ იკითხა.

— კიდევ რომელს სჯერა, რომ ფეხს ვერ მოვაცვლევინებთ? რევაზის სიკვდილმა ხალხში ძალიან გაუტეხა სახელი. რა ბიჭი დაღუპა, რა ბიჭი! საერთო საქმისათვის თავი ჰქონდა გადადებული. მოკლა, მოთხარა და ძირფესვიანად ამოაგდო. მერედა რისთვის? მხოლოდ იმიტომ, რომ ყველაზე დიდ

კონკურენტს მაგაში ხედავდა... დღეს რევაზი მოინარეკლა, ხვალ მე მიზამს ამას, ზეგ შენ — სიკო, მასზეგ იოსებას და... არავის დაინდობს, თუ ვინმეში მეტოქე დაინახა. ჭალისპირი ჩვენი სოფელია, ჩვენც ამ მიწაზე დავიბადეთ, ჩვენც აქ ავიდგით ფეხი და გავიზარდეთ. თანაბრად გაგვინაწილა ღმერთმა ეს ჰაერი, ეს წყალი და ეს ბერხევა. მაშ რა უპირატესობა აქვს ჩვენს წინაშე? ამერიკაშიც კი პრეზიდენტს ოთხ წელზე მეტი ხნით არ ირჩევენ... ჯერ ამოდენა ცილისწამება: ხორბალი მოიპა-, რეო, ისიც სათესლე! მერე კიდევ არყის გამოხდა, არაყი ვის არ გამოუხდია, რომ ეგრე არ გაუზანზლარებია და საქვეყნოდ არ გამოუჭენებია? მაგრამ კაცს რომ კაცი ჭკუაში არ მოუვა, შარს მოუდებს: თვალს ზემოთ წარბი რათა გაქვსო... და ხალხი, მართლა და მართლა, ბრმა ხომ არ არი? ყველაფერს ხედავს და ყველაფერს წონის. მთელი გზა, სანამ იმ საწყალ ბიჭს მიწას მივაბარებდით, სულ ერთმანეთში ტუტუნებდნენ: ჩვენი ხელით არის ჩასაქვავებელი ამ ბიჭის დაღუპვისთვინო.

სიკომ თავი გაიქნია.

— როგორ არც კი შერცხვა და დასაფლავებაზე მოვიდა.

— მაინც ჭკუა იხმარა, პარტიის წევრობა მოიმიზეზა და ქელეხზე არ დარჩა.

— რა პირით უნდა მოსულიყო?

— სამაგიეროდ, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე მოვიდა. ხომ ვიღაც უნდა დასწრებოდა მაგისი ჯილაგიდან?

— განგებ დატოვა.

— რა თქმა უნდა, განგებ. სადამოთი კი კალთაში დაწერილებით ჩაუწერტავდა, რაც იმ ხალხში წამოკრიფა.

— იმ გოგომ კი მაგრად მომიოხა გული.

— აბა, კაცო, რა ქნა იმ თითისტოლა ბაღმა!

— რაღა თითისტოლა, მაგაზე დიდი აღარ ვარგა და მაგაზე პატარა.

— სულ იქ გადასახლდა?

— სულა, მაშ! შავები ჩაიცვა და თავი სახალხოდ რევაზის ქვრივად გამოაცხადა.

— ძალიან ჰყვარებია.

— ძალიანო? ვერა ნახე, თავი კინაღამ ზედ არ დააკლა!

— პირდაპირ დავიწყვი მაგისი საცოდაობით.

—დავიწყვიო? გულ-მუცელი დამეხრაკა მაგის შემყურეს.

— დამაც მაგრა ამოჰქიტლაყა!

— რაო, რა ქნა მაგისმა დამ?

— ტლინკები შაყარა, დაჰკრა ფეხი და ფშაველში გაიქცა.

— და ახლა იმოდენა სახლში მარტო თვითონ არი?

— მარტო რად იქნება, ცოტანი ჰყვანან დასაფრენები?

თედოსაც კი ცალყბა ღიმილი მოჰგვარა.

— მოდი, ეხლა ისევ ჩვენ ვირზე ვილაპარაკოთ. თორემ შეიძლება ღამე ივრე გაგვეპაროს, ვერც კი გავიგოთ. ხვალინდელი დღელა გვაქვს დარჩენილი. ერთი სრული დღე. სადამოთი კი — საერთო კრება! საერთო კრება და ანგარიშგება-არჩევნები.

— საკვირველია, წინათ ძალიან ჩქარობდა კრების ჩატარებას, ეხლა რაღას მიიყურისძირა?

— ნიკო? ოო, ცხრა მთავრობის აფერისტია! როგორც კი დაატყო, თეიმურაზმა საით შეაბრუნა საქმე, იმ წუთას მთელი ჭალისპირი შეაჯერა: ცხრამეტი შორს არი, დაგვიანდებაო.

— ეხლა?

— ეხლა რა, რევაზი აღარ არი და ვისი კონკურენტობისა ეშინია? თანაც ხალხის გული მოიგო: ვითომ სოფელი მგლოვიარობს და კრება უხერხული იქნებაო.

— ეგრე მაინც რად გააჭიანურა?

— ალბათ, ზევიდანაც უჭერენ მხარსა. თორემ ამდენს როგორ გაბედავდა.

— რაც იყო — იყო. საინტერესო არ არი. მთავარია, ხვალ როგორ ვიმოქ-

მედოთ. რაო, კიდევ მის დატოვებას ხომ არ აპირებთ წელსაც?

— აბა, რას ამბობ, თედო, ღმერთმა დაგვიფაროს. გვითხარი და, როგორც დაგვარიგებ, ჩვენც იგრე მოვიქცევით.

— ჩემგან დასარიგებელი არაფერი გჭირთ. საიმისო ბალღები არა ხართ. ჩემი თავმჯდომარეობის დროს გუგულებივით მყავდით შენახული... მართალია, დიდ ტვირთს კი ვიდებ კისრად, მაგრამ არ დაგაყვედრით. ბოლოს და ბოლოს, ერთხელ მაინც, ერთი კაი კაცი ხომ უნდა ჩაუდგეს სოფელს სათავეში? ხალხი გაიტანჯა: სამუშაოდ რომ მიდის, ბნელა, სამუშაოდან რომ მოდის, ბნელა. და მაინც ანდე, აჰა! რა გავანაწილეთ შრომადღეზე? ვერ იქნა და ვერ დააძლო ეს თავისი ნათესავები. ყველა კარგი პოსტი სულ მაგათ უჭირავთ:

გიორგია და — სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეა.

ბუღალტერია და — თავისი ყველაზე ახლობელი ძმაკაცია. პარტკომის მდივნობა სხვას არ ანდო, მაგას მისცა.

ლეოა და საწყობის გამგეა.

ვიღაც ვაჭარი და მფლანგველი, თელაველი კაცი აქ ჩამოგვითესლა და იმოდენა წერტი ჩააბარა.

კუპრაჭაა და — სასადილო საკუთარ დუქნად გადააქცია.

— რაც მართალია, მართალია, კუპრაჭა ავკარგიანი კაცია.

— ქაფავს, მაგრამ კაცის დახმარებაც უყვარს.

— იმ დღეს ჩაპრიაანთ ნიკას ბალღს იაწლავების გადახლართვა დამართოდა. კუპრაჭას სასადილო მიეტოვებინა და თავისი მანქანით ხუთმეტ წუთში აეყვანა თელავს.

— აბა, კაცო, ი ბალღი მაგის გადარჩენილია.

— ნამეტანი ნუ იცით ხოლმე გაბერვა. ჯანდაბას კუპრაჭა, განა არ გახსოვთ, გაბრუას მოგზაურობა? ბებერი გაბრუაც კი ორჯერ წყალტუბოზე გაგზავნა და იქიდან დაბრუნებულს პენსია დაუნიშნა... კიდევ ბევრი გინდათ ჩამოგითვალოთ?

— ჩამოთვლა საკმარისია, [illegible] შენ [illegible] გვითხარ, ჩვენ რა უნდა [illegible]

— აბა, რა დარიგება გინდათ, თავი არ გაკლიათ და ხანი. როგორც კი კოლმეურნეობას ჩავიბარებ, იმ წუთსავე დაგაწინაურებთ. აი, მარკოზა, ახალგაზრდა კაცია და ბრიგადირი, მოადგილეობა ძალიანაც კარგად მოუხდება. სიკოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეობა დაშვენდება. იოსებას... იოსებას პარტკომად ავირჩევთ. მე მგონია, უარს არ გვეტყვის. წერტში ავთანდილს დავაყენებთ, კაი ბიჭია, საწყობს... საწყობს არანაკლებ კაი ბიჭი უნდა.

— უნდა და, აქ არა ვარ?

— მე რა, ტყემალზე ვარ და პანტასა ვჭამ?

— არც მე დამაჭრის კბილებს საწყობის გამგეობა.

— ვინა, შენა? — შენ ერთი კრამიტი გაქვს დაცურებული. სანამ არ გაისწორებ...

—ეს გიჟია, თედო, იმიტომაც არი ეგრე ჩამომხმარი.

— მე ვარ გიჟი? გიჟი შენა ხარ, — ბალღობისას ჯიბე თხის ხურმითა გქონდა გამოტენილი და მადიანად შეექცეოდი.

— ვინა, მე? აღარ გახსოვს, ერთხელ კუპრაჭამ რომ გითხრა: დათვი რომ ხიდან ჩამოვარდება, სუქდებაო? შენ იუმად წახვედი, ჩვენებიანთ პანტიდან ცირს გაადინე ბუგუნი და მერე მთელი თვე ლესე ლოგინი.

— ტოტი მომიტყდა. შენ კი, გახსოვს...

— კარგი, ბიჭებო, სადავიდარაბო არაფერია. არც ერთს არ დაგტოვებთ გულნაკლულს, ახლა მთავარი ის არი, რომ ხალხს როგორმე შევაგნებინოთ: ისევ იმათ სასიკეთოდ რომ გვინდა ყველაფერი. კრებაზე ყველანი ცალცალკე ჩავსხდებით ხალხში და გვერდზე მსხდომებსაც ჩვენს აზრზე დავაყენებთ.

— შენ ერთი რაიმე გავიწყდება, თედო. კომკავშირელები და მთელი ის ბრიგადა, ხომ იცი, ეხლა მაგათ რამოდენა წონა აქვთ კოლმეურნეობაში.

— რას იზამ. თედო სულელი არასოდეს ყოფილა და მაგაზეც იზრუნა, სიკო. აი, რა ხანია, რაც ჩემი შალიკო მაგ ბრიგადაში იკლავს თავსა. მთელი სათავის ციხე და ჩახრიალა ამისი გადათხრილია. აბა, ჰკითხე, ბიჭები რას ამბობენ.

შალვამ კითხვას აღარ დაუცადა, ოდნავ შეთხელებულ მუცელზე ქამარი მოიფონა და ჩხია თვალებით მამას ქვეშ-ქვეშ გაჰხედა.

—მთელი ჩვენი ბრიგადა კბილებდალესილია. მარტო რევაზის გულისთვის არ გავაჩერებთ თავმჯდომარედო. ჩასაბერმა ისიც კი თქვა, თუ არ გადაირჩიეს, მივალ და ვეტყვი, თავის ნებით წავიდესო. ხოლო, თუ უარი თქვა, გარაჟი მიქარვაა, ეზო-ჰიშკრიანად ავაფეთქებო.

— იმისგან მეტიც არი მოსალოდნელი.

— შენ რა, გიკვირს? თუ შეუსხდნენ, მართლა გააკეთებს.

— მეტის ღირსიც არი. გაისქელა კისერი, ტახივით დადის.

— რატო არ გაისქელებდა რა! განა ცოტა ხანია, ოცდასამი წელია, რაც ჰალისპირს ჭამს....

— რაიონმა რომ უარი გვტკიცოს?

— ხალხი მაინც ხალხია. — ნახირმა ხეს შებღავლა და გაახმო.

— ხალხი ხალხია, თედო, მაგრამ თუ რაიკომმა მხარი არ დაგვიჭირა, არა ვამოგვივა რა.

— ნუ გეშინიათ, გამოგვივა.

— არა მგონია, მდივანთან ძალიან ძმაკაცობს.

თედოს ვეება ტუჩებს დამცინავი ღიმილი დაეკიდა.

— თქვენ თქვენი ეცადეთ და მდივანზე მე ვიქნები პასუხისმგებელი...

— კარგი, ვთქვათ, მოგვიხერხდა, მაშინ სიკოს ბრიგადას ვიღას ჩააბარებ?

— ან იოსებასას?

— მარკოზას ბრიგადა ნაკლებია?

— მაინც რომ ყველას მევენახეობაში უნდა!

— პრემიების იმედი აქვთ იქა.

— პრემიებს მემინდვრეობაშიც აძლევენ.

— იმდენს მაინც არა. აი, წელს სიკომ მარტო მაგაზე მიმაგრებული ნაკვეთიდან ტონანახევარი ყურძენი მიიღო პრემიად.

— მიიღო და, მუქთად კი არ მიუღია, თავს აკლავდა ზედა. მაგისი ბრიგადა რომ არ ყოფილიყო, შარშან ვერც კი შევასრულებდით სახელმწიფო გეგმას.

— ბრიგადა რა შუაშია, შე ვირის თავო, დავისეტყვენით. მაგისი ბრიგადა კი გადარჩა.

— ვინ წუნობს სიკოს ბრიგადას? მე ვომეცით. ქუდბედიანია, წელსაც დაუსეტყვავი გადარჩება.

— შე დაბდურო, შენ შენი საკარმიდამოსთვის ვერ მოგივლია და ბრიგადას ეპოტინები?

— წადი, შე ჭიანჭველების ბუდავ, მის დღეში ქუდი ვერ გიყიდნია, რადგან დასახურად თავი არა გაქვს. შენ ბრიაგადს ვინ ჩაგაბარებს?

— ერთი უყურეთ! გომბეშო თითონ მახინჯია, გველს კი მრუდეს ეძახის.

სიკომ სინანულით გადაიქნია თავი.

— მოუკლავი დათვის ტყავს ვიყოფთ. ჯერ კაცი საფლავში არ გაციებულა და... არარსებულ ნადავლზე ჩხუბობთ.

— შენ, სიკო, ფილოსოფიას თავი დაანებე. ის კაცი დიდი ხანია ზვავში გაცივდა.

— ის კაცი ზვავამდე გაცივდა. ის კაცი თქვენ გააციეთ. ზვავამდე გააციეთ.

— ძლივს არ გავიგონეთ შენი ხმა, იოსებ.

ვეება ბრიაგადირი ფეხზე წამოდგა.

— ყველაფერი, რაც აქ მოვისმინე და ვისმენ, ზედ დამატებით ისიც, რაც არ მომისმენია, დიდ სისულელედ მი-

ჰაჩნია. თუმცა, თქვენი ჯანმრთელობისათვის დიდად სასარგებლო კი უნდა იყოს „ნეტარ არიან მორწმუნენიო“, ვანკამ იცის ხოლმე. ოღონდ ერთსა გთხოვთ... ძალიანა გთხოვთ: რევაზზე ნუღარ ილაპარაკებთ. ნურც ავს იტყვით და ნურც კარგს. დაასვენეთ. ეხლა მაინც დაასვენეთ. ის კაცი თქვენი სახსენებელი არ არი. კეთილი სული იყო, ანგელოზი იყო და თქვენ ვერ შეიფერეთ. სანამ არ მოჰკალით, ვერ შეიფერეთ... მე აქ, თქვენში, თქვენი პირიდან, იმ კაცის ხსენება მის დაცინვად მიმაჩნია. მოდით, მოეშვით ავადაც და კარგადაც, გული მერევა თქვენს წირპვლას რომ ვუყურებ. ვითომ დიდად დაგწყვეტიათ გული, როცა საჭირო იყო მისი გახსნება, თქვენ მაშინ დაივიწყეთ, როცა საჭირო იყო მისი მიხმარება, თქვენ მაშინ დაიმალეთ, როცა საჭირო იყო მისი სიმართლის გამომზეურება, თქვენ მაშინ მიჩქმალეთ. და თითონ მეც არ ალმოვჩდი თქვენზე ნაკლებ დედალი მაგ დროს... შენ კი, თედო, იცი რას გეტყვი?.. ცხოვრება ბრძოლაა და შენც იბრძოლე. ჩემთვის სულ ერთია იქ ვინ იჯდება, ალია თუ მუსია. ნათქვამია: არც მარტმა დამაყარა ხეირი და არც აპრილმაო.... იბრძოლე და, ვინ იცის, იქნებ სურვილიც აგისრულდეს. თუ ჩემი ხმის მოცემაზე რამე იქნება დამოკიდებული, არ დაგაყვედრი, რადგან ორი ბოროტებიდან, რასაკვირველია, ნაკლებ ბოროტს ვარჩევ... თუ, რა თქმა უნდა, შენ უარესად არ გაძაღლდი.

ბრიგადირმა ისეთი სიბრაზით მისრისა საფერფლეზე პაპიროსის ნამწვავი, გეგონებათ, ყველა ბოროტებას ერთად უსრესს თავსო. მერე პიანინოზე დაგდებული ქუდი აიღო და კარისკენ განივრად გაალაჯა.

5

რევაზის სიკვდილი კოშმარივით ეწვა გულზე შავლეგოს. ტვინი ეწვოდა. ეს ერთი პეშვიღა აკლდა სიმწრის მათარას. სინდისი საშინლად ქენჯნიდა. გაგამოუთქმელი, შინაგანი ტანჯვით განიცდიდა იმ სოლის მდგომარეობას, რომლის ბორბალმაც ქუჩაზე გადამსვლელს გადაუარა... უცნაური რამ დასჩემდა: ვერ იტანდა იმ სახლის დანახვას, ვერც მისი ეზო-ყურის თვალის შევლებას. ორი დღის წინ, მოვალეობის გრძნობის კარნახით, შეიარა და დედაბერი ინახულა. შინ ორნი დახვდნენ: დედა და უქმროდ დაქვრივებული რძალი. დაბუხებული შოშიებივით მიყუჟულიყვნენ კუთხეში, მწუხარებით განადგურებულნი, უნუგეშონი, უსასონი და იმ თავიანთი ძაძებივით ჩაშავებულნი. ისხდნენ უტყვნი, უაზრონი და გაქვავებულნი...

გული გაუჩერდა. სული შეეხუთა. საკინძე გაიგლიჯა, ყელში რომ უჭერდა და ახრჩობდა. სიმწრისგან დაიკვნესა და თავადაც ეგრევე გამობრუნდა უკან უტყვად და უჩუმრად. მხოლოდ შინ მოსულმა დასძრა ენა და დედას უთხრა, მცირე რამ საჭმელი გაეტანა უბედურთათვის. შვილმკვდარ დედაზე მეტად ის გოგო დაენანა, ვინც მამის სახლი მიატოვა, ფუფუნება ზიზღით უარჰყო, ხელი ჰკრა მომავალ შესაძლებელ ბედნიერებას და იმ მწირ სენაკში განაპირდა სიყვარულისა და ერთგულების უხმო მადიდებლად.

რუსუდანი?

მშვენიერი რუსუდანი...

სული-სულთაგანი და ხორცი-ხორცთაგანი...

დიდხანს ტიროდა. რევაზი უყვარდა და ტიროდა. უყვარდა, როგორც ადამიანი. კარგი ადამიანი. ადამიანი და თანამებრძოლი... მაგრამ, ვინ იცის, ისარგებლა იმ წუთით და თავის ბედს უფრო დასტიროდა, თავის მწარე ბედს?

შეფარვით უმზერდა მაშინ შავლეგოს, — მწუხარე, პირქუში და ამაყი... მახვილი თვალი შეამჩნევდა: მაინც რაოაც საცოდავად გამოიყურებოდა. მისი მიუკარებელი, მკაცრი სილამაზეს ახლა

რთვილში მოყოლილ ყვავილსა ჰგავ-და, — დამზრალს, დათრგუნვილსა და ბედთან შერიგებულს...

და ის ორი ქალი: კუბოს სახურავზე ჯვარცმულივით გაწრთხმული პატარა თამარი და... და რუსუდანის სახით მოსული ხორცშესხმული მშვენიერება, ანტიპოდებიც იყვნენ ერთმანეთისა და თითქოს რაღაცით კიდეც გავდნენ ერთმანეთს...

რუსუდან!... რა ჩაიდინე, რუსუდან!..

თავიანთ ჭიშკართან მდგარ რძალს შეეფეთა და გაოცდა.

— ნინო! აქ რა გინდა, ამ სიცივეში, რატომ არ გძინავს?

— შენ გელოდებოდი.

— მე? რა მოხდა?

— ბიჭი დამეკარგა.

— ჯერაც არ დაკარგულა. რატომ წავიდა?

— პაპამ სცემა და გაიქცა. — რიალს ხმაში ტირილი ერეოდა.

— კარგი, აბა, რა გაშინებს. პირველად ხომ არ გარბის. რატომ სცემა პაპამ?

— არ ვიცი. სადღაც უნდა წასულიყო. ცხენი გამოიყვანა. შეკაზმვა უნდოდა. უცებ თამაზს დაუწყო ძებნა. მერე დაიჭირა, შეხსნა ქამარი და სცემა.

— ქამარი ვინ მისცა თამაზს?

— არ ვიცი. რაღაც თასმა იყო. სად იშოვნა, ეშმაკმა იცის.

— დიდხანს იღრიალა?

— თითქოს არ იცოდე, როგორი ჯერპია. ხელებში ეტანებოდა ქამრის წასართმევად, ხტოდა, ანჩხლი ლეკვივით იღრინებოდა. ბოლოს იყვირა: — „თქვენთან აღარ დამედგომებაო“, და გაიქცა. აქეთ წავიდა, ვენახებზე.

— დიდი ხანია, რაც პაპა ეძებს?

— დიდი ხანია. თქვენებიცა და ჩვენებიანი სულ მოიარა. არსად არ არი. მეშინია არ გაცივდეს, ანდა რამემ არ შეაშინოს.

— კარგი. შინ წადი. აქ შეიძლება შენც გაცივდე. აბა, ეს შალი რას გაზამს? წადი, მე მოვიყვან.

შავლეგომ ახლო-მახლო ვენახები შემოიარა, წალმითა და შალაფით დახურული ქოხები მოჩხრიკა. დროდადრო შედგებოდა და ეძახდა:

— თამაზ! ჰაი, თამაზ!

კარგა ხნის შემდეგ სოფლის თავთან გოდერძი — პაპა გამოეხმაურა. ძებნით დაღლილი ბერიკაცი გაავთრებული ჩანდა.

— ერთი ვიპოვო! ერთი ვიპოვო!

— რა იყო, პაპაჩემო, რა მოხდა, რატომ სცემე?

— როგორ თუ რატომ ვცემე? ერთი უყურე, ესეც რომ ამას მეკითხება!

— მაინც რა დააშავა იგეთი, რომ ქამრითა სცემდი?

— ამას ხედავ? — გოდერძიმ ხელში შერჩენილი თასმა გაუწოდა. — ხედავ ამას? — აბა, თუ იცნობ, რისაა?

— ძროხის კუდი ხომ არ იქნება,— ჩვეულებრივი თასმაა, ქამარია.

— ეს არი ჩვეულებრივი თასმა? ეს არი ქამარი? შენცა გქონია თვალი! იცი ეს რა არი? — აღვირის ტოტია, სადავის ნაჭერი. აბა, კარგად ნახე. ანდე, ზედ ისევ აქვს შერჩენილი შევერცხლილი ღილები და ჩირთი-ფირთები. აბა, კარგად დააკვირდი. გამოვიყვანე ცხენი და მინდა შევკაზმო, ლეჩურში უნდა ავსულიყავ ცხვრის ყველისათვის. ის იყო დავადგი უნაგირი და აღვირს გადავწვდი, რომ პირკატა მეცა! რასა ვხედავ: სადღაა აღვირის ტოტები? სადავე გაჭრილია და ნახევარი აღარსადა ჩანს... მოვიდა ეს ჩვენი ჯეილი ლახტაობიდან, წელზე კი ეს არტყია.

— ალბათ ქამარი რომ არა ჰქონდა, ბიჭებმა უამისოდ არ ათამაშეს.

— არ ათამაშეს, და გაგიხარიან, შევხსენი და დავუფეთე ანგელოზები!

— დავუფეთე და ახლა რაღა ვქნათ?

— რა უნდა ვქნა? ცოტა ხანსაც მოვძებნი და წავალ შინ.

— გადაირევა მაგისი დედა, ხომ იცი, ნინო როგორია.

— არაფერსაც არ გადაირევა. სად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შე ეგდება და დილაზე თვითონ მობრაცუნდება შინ.

— კარგი. შენ წადი, დაისვენე, პაპაჩემო. თამაზს მე მოვძებნი. ნინოს ჭიშკართან ნუ გააჩერებ, ცოდვაა, შესცივა.

პაპამ თასმა ხელზე დაიხვია და მუქარით წავიდა.

„სად ეშმაკში იქნება ახლა ის ქაჯის ნატეხი? ამაყია პაპამისივით, ცემა ვერ აიტანა... არც უტირია. იმხელა რკინისბალთებიანი თასმა ვირს შეაყროყინებს, იმ ქაჯს კი არც უტირია. ალბათ, მართლა ჯილაგია".

ბუჩუკური ვარ ძირადა,
აბჯარს გავსწირავ ძვირადააა...

ზურიას სახლს გვერდი აუარა. ძლივს გააბრუნა უკან ყეფით აღევნებული ძაღლი.

„საწყალი ზურია. თავნაკაფ თელასთან სასხურებელი რომ აიკიდა და წელი ვეღარ აიტანა... ის ბიჭიც მაშინ იქ იყო... როგორ უბრალოდ, საცოდავად დაიღუპა... ერთი კიდევ უნდა დავხედო იმ ქალებს. ლამის თავები დაიხოცონ..."..

— თამაზ! ჰაი, თამაზ!

თომას ბაღში სიჩუმე სუფევდა. ხეთა შუა ფუტკრების ქალაქი არ ჩანდა ბნელში. ატმისა და ჭერმის ყვავილის, პორჩი ყლორტისა და ჩვილი ფოთლების საამო სუნი სცემდა ბაღიდან, სასუქიანი მიწის ნოტიო სუნში გაზავებული.

„თავის წონა ოქროდა ღირს ეს ბეროიკაცი. მთელი ჩახრიალას ფერდობი და ციხის გარშემონი ხეხილის ნარგავებით მოფინა. უკვე გამოკვირტულან. გადასარევი ბაღი იქნება ერთ დროს... ო, რა დავიფრინე ის „გამმწვანებელი!" რამხელა შეურაცხჰყოფას აყენებს თავის თავსაცა და მეცნიერებასაც! ბოიყვი! — ახლავე დაგლიჯეთ ეგენი, აქაურობა უნდა გავამწვანოთო. ბრიყვი! განა რაც დარგულია, ისინი სხვა ფერის ფოთლებს მოისხამს? კარგი ვქენი, გემრიელად რომ გავჯორე და იგრე გავუშვი. შეიძლება სხვაგანაც ამოიკვეთოს ფეხი".

— თამაზ! ჰაი, თამაზ!

მხოლოდ ძაღლები პასუხობდნენ უწადინო ლავლავით.

სოფლის თავში, ბებერი მუხის იქით, ძველი ბაღის პირას, მრუმედ აილანდა ვანმარტოებული სახლი. აივანზე ნათურა ენთო. ახლო მანძილზე ეზო გაენათებინა.

შავლეგო შედგა და დიდხანს უცქეროდა სახლსა და ეზოს...

ასევე ენთო მაშინაც ნათურა. დიდხანს იდგნენ აი, ამ ადგილს ჩუმად და ერთმანეთის გულისცემას უგდებდნენ ყურს... და რუსუდანმა გაიხსენა ჭილობნის ტყეში გათეული ღამე... ღამე, რომელიც საძირკვლად დაედო ორთა ბედნიერებასა და უბედურებას.

„რუსუდან! ძვირფასო რუსუდან!"

საინტერესოა, ხომ არ დაუბრუნდა თავისი მამის კერას?

არა! ეს ფლორაა და საოცარი სიჯიუტით უცდის დიდ ამბებს: რუსუდანი გათხოვდა. გათხოვდა და.... შავლეგოს გული თავისუფალია... რატომ არ უნდა დაუცადოს? ავაზასავით არის ჩასაფრებული. ავაზაც ლამაზია. ლამაზია და საშიში! შავლეგოს უყვარს, რაც საშიშია... ხომ არ გადაახტეს ამ მესერს და კიბე აირბინოს? დახვედება სავსე, თბილი მკლავები, სიცოცხლის სიხარბით ათაფლული ბაგე და უსაზღვრო სიყვარულით გათანგული გული. შემოახათებენ ცბიერულად ოდნავ მოჭუტული, პირთამდე ვნებითა და სიყვარულის სიგიჟით სავსე ნიამორის დიდი თვალები და მერე... მერე ყველაფერი იდუმალი ღამის ბნელ წიაღში დაინთქმება, წერა — მწერლის ხელში გადასული...

მაგრამ არა, ფლორამ თედოს სახლში იქირავა ოთახი და იქ გადაბარგდა. ნათურა, შეიძლება, ანთებული დარჩა წასვლისას.

— თამაზ! ჰაი, თამაზ!

მდუმარებდნენ ბოსტნები და ვენახები, ქოხები და ბელელ-მარნები. შა-

რაზე მოწანწალე ქოფაკი გაქანდა და ჩუმი ღრენით ეფრემას ღობეს გადაევლო. იქიდან ატეხა ვაი-უშველებელი.

„ახლა უკვე სირცხვილია ამ პრეისტორიული ღობეების გაჩერება სოფელში· ერთი ერმანას უნდა შევახსენო· შარაგზის პირზე მაინც აუცილებელია მავთულის ბადე· ან ეზოები? რასა ჰგავს ჩვენი ეზოები? მოხრიოკებული, გადაჩიჩქნილი, გაბინძურებული. მხოლოდ რამდენიმე კომლი თუ უვლის. ლიხს იქით იციან კარგი ეზოები: ზედ გორაობასა და ბალღობას მოგანატრებს კოინდარი·.. ამაზე ერთად უნდა იზრუნოს საბჭომა და კოლმეურნეობამ. გაზაფხული ძალაში შედის, სწორედ კარგი დროა საამისოდ. ეფრემას რა ენაღვლება? ოღონდ თიხა ჰქონდეს აზელილი და მერე მისთვის დანარჩენი სამყარო აღარ არსებობს.

ოჰ, ამ ბაჩიაანთ გიგლამ ხომ დაისვენა და დაისვენა. შეიძლება ოთახიდან უკვე გამოვიდა და აივანზე სძინავს. რაც მე მაგან მლოცა იმ „ღვთის პირისაგან გადავარდნილების „საბჭოს ეზოდან მოშორებისათვის..“

— თამაზ! ჰაი, თამაზ!

„სად ეშმაკში უნდა წასულიყო ის ქაჯი? ნეტა სად შეძვრა ის ქვის ნატეხი?“

გადაჭეჭყილ ღობეს გადაალაჯა და ბაღში შევიდა· საექიმო პუნქტის ერთი დარაბის ღრიჭოდან სინათლე სცემდა.

„ეტყობა, მუშაობს ძია სანდრო. საინტერესოა, რას აკეთებს. ნუთუ მართლა კიბოს საწინააღმდეგოს მიაგნო რამეს? წარმოუდგენელია. რა უნდა გააკეთო აქ, ამ მივარდნილ ადგილას, მარტოდმარტომ ზღვის გოჭებისა და კურდღლების ამარა? ან თუნდაც ძაღლებისა? რა იმალება იმ ფარდის იქით, იმ „ლაბორატორიაში“, სადაც სხვადასხვა ყალიბისა და მოცულობის უამრავი სინჯარა-კოლბებია? რა სითხეები და ქიმიური ნაერთებია? ან რატომ მეჩვენება ეს ყველაფერი ნორმალურად? უთვისტომო და მარტოსული... ნუთუ მოთხოვნილება არა აქვს ადამიანებთან უფრო ხშირი კონტაქტისა? ნუთუ მხოლოდ ავადმყოფთა საზოგადოებაში გრძნობს თავს ნამდვილ — ადამიანად? იქნებ მე მეჩვენება ეს ყველაფერი უცნაურად? თუ თავად არის მართლაც უცნაური? მაინც რა საინტერესოა: კაცს ზხარდამხარ ჰემინგუეისთან ერთად უბრძოლია და მარტო ცდილობს, მისი იქმისა არ იყოს, კაცობრიობის ბოროტების ამ „სიმბოლოსთან“ შერკინებას. მიაღწია რამეს თუ არა? და თუ მიაღწია, კერძოდ, რას? რის ჩვენება უნდოდა იმ ღამეს, რა უნდა აეხსნა? მაინც რატომ მალავს ეგრე გულმოდგინედ უცხო თვალისაგან ყველაფერს? ღმერთმანი, ეს რომ შუა საუკუნეებში ყოფილიყო, კოცონზე დაწვა არ ასცდებოდა. ნეტა რას აკეთებს ამჟამად? სინათლე დარჩა ჩაუქრობი თუ მუშაობს? რა იქნება, რომ შევიარო?“

იასამნის ბუჩქს ჩაუარა და ფარდულთან მივიდა ფარდული დაკეტილი იყო: „სად უნდა შემძვრალიყო ის ქაჯი?“

— თამაზ! თამაზ!

ერთხანს ყური უგდო, მერე ფარდულს შემოუარა და ზევით გაუტია.

„ახლა რომ სადმე მიწაზე დაიძინოს, ფილტვების ანთება ხელში უჭირავს“.

ორღობემ ახალ რკინის ჭიშკართან გაიყავნა· უზარმაზარი სახლი გაჩახჩახებული იყო. ბაღჩისკენ გამავალი ფანჯარა ხმაურით გაიღო და იქიდან ცისფერი კვამლის ღრუბელი გამოიზლაზნა·

„ოჰო, ამ ღამით თედოსაც არ სძინავს. მგონი სტუმრები ჰყავს. იშლებიან. ბლომად კი ჩანან. ახალ შეთქმულებას ხომ არ აწყობს ნიკოს წინააღმდეგ? ო, რა გაიძვერაა! მახარე ერთხელ რაღაცას ყბედობდა: ფშის ჭალაში ეგა და მარკოზა უნახავს მენახირეს·.. მოიცა! ფლორაც ხომ არ მონაწილეობს შეთქმულებაში? მაგათთან ერთად ხომ არ არის ნიკოს წინააღმდეგ? არა, ფლორამ უკვე მიიღო მონაწილეობა შეთქმულებაში... და ნაყოფიც მალე მოადევნა· ეჰ, ფლორა,

ფლორა... მარტოდმარტომ შესძლო შეთქმულების მოწყობაცა და გამარჯვებაც..."

— თამაზ! ჰაი, თამაზ!

მიუყვებოდა ორღობეს შავლეგო და ყოველი ფარდულისკენ, ყოველი სიბნელეში ალანდული ქოხისაკენ იყურებოდა და ძმისწულს ეძახდა. დაიღალა. ახლა უკვე სულ დაეკარგა პოვნის იმედი.

„ რა ახირებული ჩვეულება აქვს: თუ პატარა რამ აწყენინე, ეტაკება და გარბის სახლიდან. ამას წინათაც „გაიქცა". ძლივს იპოვა დედამისმა. ახალნახურებ თონეში ფიცრები ჩაეწყო, ქვეშ პაპის ტყაპუჭი დაეგო და მაღლიდანაც ფიცრები დაეხურნა თონეზე... ეთქვათ, ნაცრიდან ნაკვერჩხალი გაღვივებულიყო, მერე სადღა მიდიოდა?"

— თამაზ! ჰაი, თამაზ!

საიდანღაც ნამძინარევი ინდაური გამოეხმაურა ბრაზიანი ლუყლუყით.

„გარეთ როგორ დადგებოდა ამ სიცივეში? დავიჯერო, პაპაჩემმა ყველა ჩვენებიანი მოიარა? უნდა მე თავად ვიკითხო, თორემ თუ გარეთ დარჩა, ფილტვების ანთება ხელში უჭირავს. აქედანვე დავიწყებ. ეგრე გადავჭრი ბოსტნებს, კვრინჩხიანთან გავალ და მერე ბერხევაც იქ არი".

— რუსუდან! რა ჩაიდინე, რუსუდან!..

გუშინ მინდორში მოჰკრა თვალი. საშემოდგომო ნათესების დამატებით გამოკვებასა და დაფარცხვას ადევნებდა თვალყურს... როგორც კი შენიშნა, არ შეიმჩნია, ნელა შებრუნდა და კუნელთან გაჩერებულ თავის ერთგულ ორთვალასაკენ გასწია. მერე, საღამო ხანზე, სანერგე სათბურში შემოხვდა. ქალმა იგრე აუარა გვერდი, თითქოს ისიც ნახერხით სავსე ყუთი ყოფილიყო. მხოლოდ სახეზე წამიერად გადავლილმა მღელვარებამ გასცა.

რა უცნაურად, მოულოდნელად გაიყარა მათი გზები! ვინ იფიქრებდა, რომ სადღაც, თბილისში იზრდებოდა ყოვლად უცნობი.. ყოვლად.. მაგრამ განა კაცს შეუძლია წინასწარ განჭვრიტოს მომავალი რას უმზადებს? იგივე შეიძლება დამართოდა ბრძენსაც და შლეგსაც. მაგრამ... განა ეს კი დამამცირებელი არ არი ვაჟკაცისათვის, რომ ახლა უკვე სხვის ცოლს...

როდის, როდის გააღწია ბოსტნებს და ბერხევის პირას გავიდა. ხევში ჩასასვლელი ბილიკი კვრინჩხითა და ძუძუმაყვალათი გადახლართულ მონაკვეთზე მიდიოდა. ჩექმის ყელზე ლაქუცით ეხახუნებოდნენ წყალჩამდგარი, გამოკვირტული კვირნჩხის მოქნილი ტოტები.

ბედნიერი, ბედნიერი ზაქრო!

— ვაიმე, დედავ! — სიბნელეში იყვირა ვიღაცამ.

— აჰ, აააჰ! — გულის მომწყვლელი იყო ქალის კივილიც.

შავლეგოს ტანში გაბურძგლა. პირველი ხმა მაინც ძალიან ნაცნობად მოეჩვენა. მეორე მთლად განწირული იყო, ამაზრზენი.

ბილიკი არსად ჩანდა. შავლეგო ზრმად გარბოდა ხმის მიმართულებით. პირდაპირ ბარდებზე გადადიოდა, კვრინჩხის დაგვალულ ბუჩქებს ახტებოდა, წვრილ ტოტებს ჩექმის ყელზე შხაპუნი გაუდიოდა, ძუძუმაყვალას ეკლები ავად კაწრავდნენ, ჩუმი გაბოროტებით ებღაუჭებოდნენ, კაპასად კბენდნენ სადამდისაც მისწვდებოდნენ. იგი კი კვლავ ახტებოდა თავზე, გლეჯდა წამოდებულ ყლორტებს, ყურადღებას არ აქცევდა დასისხლიანებულ ხელებს, და გარბოდა.

კიდევ დაიძახეს განმეორებით და სადღაც, შორს ყრუდ დაილაწუნა ლობემ.

კვრინჩხიანი გათავდა და მინდორზე გავიდა. ხმა სადღაც აქედან მოისმა. ნაბიჯი შეანელა და თივის პატარა ზვინს წააწყდა. შემოურბინა. უცებ რაღაცა რბილსა და მძიმეს ფეხი წამოჰკრა და პირს დაეცა. უმალ წამოხტა. წამოხტომისას ხელი კეტს მოხვდა. გათლილი იყო, გრძელი. ბოლოზე სამკაპიანი ფი-

წალი ჰქონდა წამოგებული. ყინულიეით ცივი რკინის შეხებამ გააკრთოლა.

„რა მოხდა ამ სიბნელეში? ფიწალს აქ რა უნდა, ამ შუაღამით?“

კიდევ წინ წაიწია და ანაზდად მკვრივ სირბილეს წააწყდა.

შავლეგო შეკრთა და წუთით გაქვავდა.

მიწაზე ქალი ეგდო! ჯერ ისევ თბილი და უმოძრაო.

პირველი გაფიქრება ის იყო, ჭრილობა სად ჰქონდა.

სისხლის კვალსა და ჭრილობასაც ვერსად მიაგნო. მაშასადამე, რაღაც ყრუ, მძიმე დარტყმით იყო მოკლული.

„ახლა რა ქნას?“

და უცებ გაახსენდა, რომ მის უკან სინათლე ბჟუტავდა.

ქალი აიყვანა და სინათლისკენ სირბილით წავიდა. ათიოდ ნაბიჯზე მესერი დახვდა. ფეხის დარტყმით გაამტვრია, ხეხილებშუა გაიარა და ეზოს მიადგა. ბლანტ სინათლეზე კარი მოძებნა. სამარისებურ სიჩუმეში ეზოში შევიდა. აქ უკვე სწვდებოდა აივნიდან გამონაშუქი. ქალს სახეზე დახედა და ენა ჩაუვარდა.

— რუსუდან! — იბღავლა მერე და მუხლებზე დაეცა.

ეხვეოდა. გულზე იკრავდა. გადატეცკილ სახეს უკოცნიდა. მშვენიერ თმებში თითებს უყრიდა. საალერსო სახელებს ეძახდა. თავის პატარა რუსიკოს უწოდებდა. თავბედს იწყევლიდა. აბაზრზენად ღმუოდა. კვლავ იხუტებდა და გულის გამგმირავად ქვითინებდა.

მერე გიჟივით აიხედა, იქაურობას თვალი მოავლო და ფეხზე წამოხტა.

უზარმაზარ წყლით სავსე გეჯას ძლივს გააწვდინა ხელები, ციმციმ ასწია და მთელი წყალი სახეზე მიაქცია.

ქალმა ნელა გაახილა თავი და მძიმე ოხვრით ამოისუნთქა.

— რუსუდან! რუსუდან! — გეჯა ხელიდან გააგდო და ზედ გადაახტა. ეცა ქალს და ხელში აიტაცა.

— სადა ვარ? რა მოხდა? — იკითხა რუსუდანმა და თვალი გაახილა.

— რუსუდან, ცოცხალი ხარ, რუსუდან? — შავლეგოს გული გაეგლიჯა, სისხლი ერთბაშად მოასკდა მკერდსა და საფეთქლებში დაარტყა. ისევ მუხლებზე დაეცა. მერე მუხლებმაც უმტყუნა და ცივ მიწაზე ჩაჯდა. მკლავები ძოუდუნდა, კუნთები საშინელმა დაღლილობამ დათრგუნა. თავი ქალის მკერდზე ჩამოუვარდა... მთელი სხეული აპათიამ მოიცვა.

— რა ამბავია, სადა ვარ? — კიდევ იკითხა ქალმა.

— დაჭრილი ხარ?.. გტკივა რამე, რუსუდან? — დაღლილი, ჩაწყვეტილი ხმით იკითხა ბიჭმა.

— არა. ცოტათი შუბლი მტკივა, თავი მიბრუის. სადა ვართ, ზაქრო? გოჭი ჭყიოდა, დამენანა. შენ დაიგვიანე და თივის მოსატანად მე წავედი. როგორც კი ფიწალი თივას შევუყარე, თივიდან ვიღაცა თუ რაღაცა ღრიალით გამოხტა და მეცა. მეტი არაფერი მახსოვს. სადა ვართ, ზაქრო? მცივა... შუბლი მტკივა...

შავლეგოს ახლაღა გაახსენდა ღამის სიგრილე და ისიც, ქალი წყლით რომ გაწუწა. აიწია და ქალიანად წამოდგა. და სული შეძრწუნებისაგან დაეკლაკნა, როცა იგრძნო, როგორ შეაცოცდა ზაქროს კისერს რუსუდანის გრილი ხელები. მისი მშვენიერი სახე როგორ მიეხუტა ზაქროს განიერ მკერდს... სულ ახლოს გაიგონა მისი თბილი სუნთქვა, ყელზე მიელამუნა მისი სველი თმები.

დაიხარა და თავდავიწყებით აკოცა ტუჩებში.

— ოჰ, საყვარელო, საყვა-რე-ლო! — ამოიოხრა ქალმა, ბიჭის სახე მიიზიდა და თავადაც ხარბად მიეკრა ტუჩებზე.

ეს უკვე ველარ აიტანა შავლეგომ. ძლევგივით არბინა კიბე, კარი შეაღო, მიწებებული ქალი ძლივს აიგლიჯა მკერდიდან და ღუმელთან ახლო ტახტზე კი არ დააწვინა — დააგდო... მერე

იდგა და გაუმაძღარის მზერით უცქეროდა დიდხანს.

ქალმა ერთ ხანს კვლავ გახილა თვალი. ცოტა ხანს უყურა ბიჭს, მერე ისევ ლახუჭა და წაიჩურჩულა:

— ლუმელი აანთე, ზაქრო, მცივა...

შავლეგოს ტკივილისაგან სახე დაეკრუნჩხა. მაინც მიბრუნდა, კარი მიკეტა და ღუმელში ცეცხლი გაჩხრიკა. ხმელ შეშას ალი მალე მოედო და აბურბურდა.

— მცივა, მოდი, ზაქრო.

ბიჭმა იგრძნო, რომ იხრჩობოდა. გული ყელთან ამოვიდა და იქ გაიხირა. ნიკაპი აუცახცახდა. საბერველივით დაიქშინა და საყელო გადაიხსნა. წუთით დარჩა ასე. მერე უეცრად შეტრიალდა, კარი გამოგლიჯა და აივანზე გრიალით გავარდა. ორი ნახტომით შუა კიბეზე გაჩნდა. გაჩნდა და... კიბის სახელურს ხელი ჩაავლო, მძლავრად მოუჭირა და თავისკენ მოსწია. მერე წელით ზედ მიეყუდა, აკანკალებული პეშვი სიმწრით დაღრეჯილ სახეზე ჩამოისვა და ძირს კიდევ ერთხელ ჩაიხედა:

არა, არ მოსჩვენებია: ქვევით ზაქრო იდგა, ცოცხალი, ნამდვილი, დიდი და ძლიერი. ვეება მკლავები განზე გაეთარჩხნა, სახელურებისთვის აქეთ-იქით ჩაევლო და კიბის ბოლო გადაეღობნა. იდგა, ძალუმი ქედი მოედრიკა და კიბის სულ ქვედა საფეხურს, რომელზედაც ცალი ფეხი შეედგა და გაშეშებოდა, ჩაციებით ჩასცქეროდა.

შავლეგო airia. პალტოს ღილები შეიკრა და ისევ გაიხსნა. მერე მოეჩვენა, პალტოში კი არა, თაბაშირში იყო ჩასმული. სასწრაფოდ გაიხადა და მკლავზე გადაიგდო. მხრებში შვება იგრძნო. მერე, რატომღაც ეუხერხულა. პალტო ისევ გადაიცვა და გაირინდა. ბოლოს სახელურს მოსცილდა და ნელი, მოწყვეტილი ნაბიჯით ჩაჰყვა კიბეს.

მიახლოებისას მანძილი მოზომა.

ზაქროს თავი არ აუწევია. არც სახელურისთვის გაუშვია ხელი. იდგა და ჩაციებით ჩასცქეროდა კიბის ქვედა საფეხურს.

შავლეგო შედგა და მოჭიდავის ფეხზე ლამაზად ატალღულ ოდნავ ხუჭუჭა თმას გამომწვევად დააკვირდა.

ზაქრომ თავი ნელა ასწია და კიბეზე მდგარს შეხედა. აივნიდან წამოსული შუქი გაქვავებული სახის მხოლოდ ნახევარს უნათებდა. და ეს ნახევარი უფრო საშინელი იყო, ვიდრე ის მეორე — ბნელი და გამოუცნობი.

დიდხანს უმზერდნენ თვალი-თვალში გაყრილნი

— კარგ დროს მოსულხარ... შევბრუნდეთ, თითო ჭიქა დავლიოთ

ზაქროს ხმა დახშული ჰქონდა, ყრუ და უსიამო, თითქოს გვირაბის სიღრმიდან მოდიოდა. მოდიოდა და თავის ირგვლივ ყველაფერს აციებდა.

შავლეგოს ღვინის სუნი ეცა. მიხვდა: მოჭიდავე ნასვამი იყო. ხმა არ გაუცია. ჩაიწია და კიდევ ერთი საფეხურით მიუახლოვდა.

— ქეთოს ბიჭი ჰყავს... პირველად ხარ ჩემს ოჯახში, უარს ვერ მეტყვი. ბიჭის სადღეგრძელო უნდა დავლიოთ.

შავლეგომ ჩაინაცვლა კიდევ და მოჭიდავეს ზედ მიადგა..

— აქ შემთხვევით მოვხვდი. კივილზე მივირბინე და ბაღჩის იქით რუსუდანს წავაწყდი. ეტყობა, თივისთვის წავიდა და რაღაცამ შეაშინა. მოვიყვანე. ახლა შინ არი და... გელოდება...

— ერთი ჭიქა, ბიჭის სადღეგრძელო, — ზაქრო გაყინულ მზერას არ აშორებდა.

— მადლობთ. არა მცალია. — შავლეგო მოჭიდავის განიერ მაჯას მისწვდა და გზა გაითავისუფლა.

მოჭიდავე არ გასძალიანებია.

— მაშ არ ამოხვალ?

— არა, ვერ ამოვალ.

— რას იზამ, რაკი არ გინდა... ძალით დაბმული, ძაღლიც არვარგა. — გვერდი აუარა. კიბეს მძიმედ აუყვა.

— აქ შემთხვევით მოვხვდი. თამაზს დავეძებდი, ჩემს ძმისწულს.

ზაქრო კიბის თავზე შედგა. მობრუნ-

და და გაირინდა. ერთხანს ასე იდგა და ძირს იცქირებოდა. შუქი ახლა კეფაზე სცემდა და სახე მთლად ჩაღამებული მოუჩანდა. მხარი შეუტოკდა და ძირს ხიხინით ჩამოაგდო:

— არაფერია, შავლეგ. რუსუდანს ეცნობ... ბრალი იმისი, ვისაც თავისი ცოლის იმედი არა აქვს.

და მისი ვეება ზურგი აივანს მიეფარა.

შავლეგოს სისხლი თავში მიეჭრა. თვალთ დაუბნელდა. წუთით გაუელვა უკანვე ავარდნილიყო.

გონს მალე მოეგო.

გამწარებული მისწვდა და კიბის სახელური მთელი ძალით მოსწია.

სახელური ლურსმანს მოსცილდა, გადაიწია და ჭახანით გადატყდა.

6

შავლეგომ წიგნების თაროს თვალი მოავლო, ხომ არაფერი მრჩებაო, მერე ჩემოდანი შეკრა და ზედ ჩამოჯდა. ყველაფერი უკვე მზად იყო. მატარებელი ღამის პირველისნახევარზე გადიოდა. თერთმეტზე კუპრაძე გამოუვლიდა და ნახევარ საათში უკვე სადგურზე იქნებოდნენ. არაფერი არ რჩებოდა აქ. აღარც რამე იყო გულდასაწყვეტი. და, რაც უფრო მალე გაეცლებოდა აქაურობას, მით უფრო მალე მოისვენებდა.

ბაღში ირიბად დაწვნენ იისფერი ჩრდილები. მერე თანდათან გაიცრიცნენ და საერთო სიმრუმეს შეერთვნენ. ოთახში ბინდმა შემოიხედა. და, სანამ სრული სიბნელე არ ჩამოწვა, მანამდე არც უცდია ჩემოდანზე ჩამომჯდარს ადგომა.

გარეთ გამოვიდა აივანზე სინათლე აანთო.

დედა რძლის ოთახში დახვდა. მატყლის ფთილებს ართავდა გოდერძის წინდებისათვის. სწრაფად ბზრიალებდა თითისტარი მარჯვე თითებში.

ნაწყენი იყო დედა. ჯერ იყო და ვერაფრით შეურიგდა ასე უცებ წასასვლელად აჩქარებას. მერე, როგორც იყო, ცრემლით გული მოიოხა. ბოლოს, რაკი მიხვდა, რომ ვერაფრით დააკავებდა, რამდენიმეჯერ სცადა მიხმარებოდა ჩემოდნების ჩალაგებაში. შვილს კი რატომღაც არ უნდოდა მისი მიხმარება. ის მაინც დაბორიალობდა ახლომახლო. სურდა ყოველი წიგნი, რომელსაც მისი სათაყვანო ვაჟი აიღებდა, მისი ხელშენავლებიც ყოფილიყო. ყველა ნივთსა და ტანსაცმელს სათუთად ახვევდა გაზეთში, ხელს უსვამდა, ეფერებოდა გუნებაში. ზოგჯერ უმიზნოდაც დაფათურობდა და გრძელი კაბის კალთით ედებოდა სკამებს, საწოლს თუ მაგიდას. მერე შვილის მკვახე შეძახილი ვეღარ აიტანა და ოთახიდან გავიდა.

შავლეგო მივიდა, ახლოს მიუჯდა, სახეზე დამნაშავის ღიმილი გადაიკრა და ხელი მოჰხვია.

დედამ შეიფერა. ხმა არ გაუცია. ნაწყენი და გაბუტული ართავდა მატყლს.

— ჩემო დედილო, ჩემო კარგო დედი, ხანდახან უნდა აპატიო ზოგიერთი სისულელე შენს გზააბნეულ ბიჭს. გაჯავრება სულ არ გიხდება, ღმერთმანი, არ გიხდება. გინდა სარკე მოგიტანო? ცოტახნის შემდეგ წავალ, შენ კი არ მინდა, ჩემზე ნაწყენი დაგტოვო... იცი, დედი, ზოგჯერ არის იგეთი წუთები, როცა არ გინდა... როცა გვერდით ქვეყანაზე ახლობელი ადამიანის ყოფნაც არ გინდა. იმ დროს... აბა, როგორ გითხრა... საშინელი მოთხოვნილება გაქვს სიმარტოვისა. შენ კი ნუ დამემდურები. როცა ადამიანებს ერთმანეთის სიყვარული და პატივისცემა აქვთ, მაშინ ზოგჯერ ცხრაც კი ათია.

დედამ შვილს გაკვირვებით შეჰხედა. თვალები ააპარპალა და... და, რა თქმა უნდა, ვერაფერი გაიგო.

შავლეგოს გაეღიმა. დაიხარა, დამჭკნარი ლოყები ხელებში მოიქცია და სიგამხდრისგან გამოწვეულ ყვრიმალებზე აკოცა.

— პაპა სად არი, დედი?

— კრებაზე წავიდა. ჩამოვუსწრებო.

თუ მალე არ დამთავრდა. ავდგები და პირდაპირ წამოვალო.

შავლეგოს ახლაღა გაახსენდა, რომ ამ საღამოს კოლმეურნეობის საერთო კრება იყო დანიშნული. მერე მაგიდასთან მიმჯდარ ძმისწულს გადახედა და კისერი წაიგრძელა.

— რას კითხულობ, ბიჭო?

— რობინზონ კრუზოა. აი, წიგნი! მარტოკამ დააფრთხო მთელი ველურები. მერე ერთი დაიჭირა და პარასკევა დაარქვა.

— დედაშენიც კრებაზე წავიდა?

— ჰო. დეიდა ნუცამ გამოუარა. საინტერესო იქნებაო, და წავიდნენ.

შავლეგო გარეთ გამოვიდა და დიდხანს დახეტიალობდა მთვარით განათებულ ეზოში.

კუპრაჭას მოსვლამდე კიდევ დიდი დრო რჩებოდა. აღარ იცოდა, როგორ და რანაირად მოეკლა.

უცებ გადაწყვიტა და აივანზე აირბინა.

— დედი, ყველაფერი ცალკეა დალაგებული. კუპრაჭას უთხარ... მოიცა, კრება სად არი?

— საშრობში იქნებაო.

— კუპრაჭას უთხარ, ყველაფერი ჩაალაგოს და იქ მოვიდეს. კრებაზე ვიქნები.

კიბე ჩაირა და ისევ მობრუნდა.

— არა, პირდაპირ იქ ამოვიდეს. გამოსამშვიდობებლად ჩამოვალ. უჩემოდ მაინც ვერ ჩაალაგებთ.

გომურის თავზე გამართული ძველი საშრობი სავსე იყო ხალხით. კარგა ხანია, რაც დამკვიდრდა: თუ განსაკუთრებული შემთხვევა არა, საერთო კრება მხოლოდ წლის ბოლოს იმართებოდა. ამიტომ თითქმის მთელი ჭალისპირი მოსულიყო. იქაურობა თავიდან ბოლომდე ნათურებით გაეჩახჩახებინათ. საშრობის თავში დიდი სიგრძისა და სიფართის, რაღაც სცენის მსგავსი შეეკოწიწებინათ. წინ გრძელი მაგიდა დაედგათ. მაგიდის ირგვლივ და უკან უამრავი ხალხი მოჩანდა.

შავლეგოს ბერხევაშივე მოსწვდა აქედან წამოსული ყაყანი. კედელთან ახლო მივიდა და სცენას დააკვირდა. შუა მაგიდასთან მჯდომ რაიკომის მდივანს ერთ მხარეს ძია ნიკო მოესვა, მეორე მხარეს — ბუღალტერი. შემდეგ მოდიოდნენ: ერმანა, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე, თედო ნართიაშვილი, შაშვიაანთ საბა, ვეტექიმი, მეძროხეობის ფერმის გამგე, საწყობის გამგე, ბრიგადირები და მოწინავე კოლმეურნენი. მათ უკან რამდენიმე ისეთი კაცი იცნო, რომელთა ყოფნა პრეზიდიუმში სრულიად გაუგებარი იყო: თონიკეს ბიჭი, მახარე, ჯიმშერი, და ბოლოს თითქმის მთელი ახალგაზრდული ბრიგადა.

„ოჰოო! ეს რა მოუფიქრებია ძია ნიკოს? რა კეთილმა ანგელოზმა ჩაგონა ამათი ეგრე დაფასება?“

მარცხნივ, მაგიდისაგან მოშორებით, ზედ სცენის პირად, სათბურიდან მოტანილი ვაზის ნამყენის გამოსაყვანი ორი ცარიელი ყუთი ერთმანეთზე აეხორხლათ ტრიბუნასავით. ტრიბუნასთან გოდერძი პაპა იდგა და ზედა ყუთის თავს ყოველი წინადადების ბოლოს, თითქოს თავისი აზრის განსამტკიცებლად ბეჭედი დაჰკრაო, მუშტს ურახუნებდა.

— ვინა თქვა, რომ ჭალისპირში კაცი დაილია? (ბახ!) ვინა თქვა, რომ ნიკოს შემდეგ კოლმეურნეობა დაიშლება? (ბუხ!), ვინ ფიქრობს, რომ ნიკოს შემდეგ სოფელი გაუერანდება? (ბრახ!)..

„პარტერიდან:“

— მართალია!

— სწორეა!

— ეგრე მოუხდება მაგას!

— მიდი, გაბღლვენი!

— აქ გამოვიდა გიორგი და ცრემლის ტბა დააყენა. მემრე მოსდგა და ქრისტეს მეორე მოციქულად მოავლინა. ვის დააჯერებს? ჩვენი თვალით ვხედავთ და ჩვენი ყურით ვისმენთ. ნიკოზე ხომ არ დაიწერა ჯვარი კოლმეურნეობამ? (ბახ) აი, რას გეტყვით — ხმას დაუწია გოდერძიმ, — პატარძალმა ძროხა ვერ მოწველა.—ეზო მრუდე-

ათ. სოფელი რა შუაშია? კოლმეურნეობა რა შუაშია? ხალხი რა შუაშია? — შენ თუ ალმასი ხარ, — ნეხვშიც იბრწყინებ... მე მძულს ნანინუნია ხალხი. პირდაპირ გული მერევა იმათ დანახვაზე. სათქმელი აქვთ და უცდიან, სხვამ თქვას. ლეკებს აქვთ ერთი ანდაზა: ვინც უცქერდა და ვერ დაინახა, თავი მუდამ მთელი აბიათ. მაგრამ ვის რა ეშმაკად უნდა ეგეთი თავი? ეს სახედრის თავია! ეს წუწკი მელას თავია! ეს ქეციანი ძაღლის თავია! და, საერთოდ, არც არი თავი. რაღაც მოუკალავი ქვაბისა, ძირგავარდნილი ტაშტისა და გაბზარული ქოთნის ნაზავია. და უფრო მეტს გეტყვით: ეს მონის თავია! (ბახ!).

პარტერიდან:

— კაცი ხარ კაცური!

— მართალი კაცი ხარ!

— გენაცვალე სულში!

— ეგრე, მიდიი!

— მარტო თქვენი თავისთვის კი ნუ ირჯებით, სოფლის გულისთვისაც გაისარჯენით. ეს იგივე თქვენთვის გარჯაა. თქვით, რაც გაწუხებთ. რევოლუციამ ამისი უფლება მოგვცა. ამისთვის დავამხეთ ტახტიცა და მენშევიკებიც. რისი გეშინიათ? ჩვენ ავირჩიეთ, მაშასადამე, უფლება გვქონდა. ეხლა გადავირჩევთ, ამისი უფლებაცა გვაქვს. დაე, თუნდაც ერთი გამოვიდეს აქა და თქვას, რომ არა გვაქვს. მე იმას... რა ეშმაკმა დაგცათ ეგრე? (ბუხ)! რა ღმერთი გაგიწყრათ?! ((ბრახ)! ხალხი ხართ თუ ნახირი (ბუხ)! გამოვიდეს და ალალადა თქვას, აი აქა, თქვას ვის რა აწუხებს! ვაჟკაცურად თქვას! თქვას! თქვას! (ბახ! ბახ! ბახ!)!

პარტერში ტაშმა იგრიალა.

მესამე დარტყმაზე ფიცარი ჩატყდა. გოდერძის ხიშვი შეერჭო. ჯერ ხელს დაჰხედა, მერე ჩატეხილ ფიცარს. უცებ ჰკრა ფეხი, ყუთები სცენიდან გადმოყარა და თავადაც ძირს დაეშვა მოკლე კიბით.

ძალუმმა ხარხარმა ელნათურები შეაცახცახა.

შავლეგომ მხარზე ხელის შეხება იგრძნო. აიხედა და ექიმი დაინახა.

— ამოდი, რას უდგეხარ?

შავლეგომ საშრობის იატაკს ხელი ჩასჭიდა, მერე კედლის ქვებზე ფეხის მოსაკიდი იპოვა და მაღლა ავიდა.

ექიმმა სახელდახელო ფიცრის სკამზე ჩაიწია და ადგილი მისცა.

— დიდი ხანია დაიწყო?

— თავდება კიდეც. შენ სად იყავი?

— არსად. შინ ვიყავ.

— ო, რა ამბავი იყო! ამგვარი რამ ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს. ნამდვილი გენიოსია ეს შენი ნიკო. მოხსენება გააკეთა, ყველა დიპლომატს შეშურდებოდა. მერე შეკითხვებზე რა პასუხები გასცა! ახლა შარს უდებენ, მოხსნა უნდათ. ხალხში ჩურჩულებენ: თედომ „ჩააწყოო“. ათასი ბრალდება წამოუყენეს. მე მაინც არ მესმის, რა შუაშია ერთი კაცი?

შავლეგომ პრეზიდიუმში რუსუდანს მოჰკრა თვალი. იჯდა წყნარი, მორჩილი და ჩაფიქრებული.

უცებ, სულ ბოლო რიგებში, ფირუზა წამოყელყელავდა.

შავლეგო გაოცდა:

„ამას იქ რაღა უნდა? რა თქმა უნდა, სალამურისათვის არ აიყვანდნენ... ოჰოო! აქ რაღაც ამბავია. თითქმის მთელი ჩემი ბიჭები იქ არიან. რით დაიმსახურეს? დამსახურებით კი დაიმსახურეს, მაგრამ პრეზიდიუმში ამდენი კაცი? ლამის კრების მესამედი იქა ზის. ჩასაბერი პირდაპირ ძია ნიკოს მოუსვამს გვერდით. ერმანაც იქვეა. უცნაურია, ღმერთმანი. მოიცა, ვიღაც ლაპარაკობს. ჰო, ეს თედოა, აბა, ყური დავუგდოთ. დღეს, ეტყობა, ყველა ჭკუის კოლოფად იქცა“.

— ...თქვენ კი ადგებით და ყველაფერს ერთ კაცს ჩამოაწმინდავთ. არა, ამხანაგებო, ნიკო ეგრე გადასაგდები კაციც არ არი. მემინდვრეობა ჩამორჩაო. რაღა დღეს გამოფხიზლდით? სულ ეგრე არ არის ჩამორჩენილი? მერე, რა მოხდა თუ ხორბალი შარშანწინდელზე მეტი არ მოვიდა? რა ყველა-

ფერი თქვენ უნდა გაგიკვირდეთ? განა სხვა წლებში კი ამაზე მეტი მოსულა? რა ვიცი, რაც მე თავი მახსოვს და ნიკოს თავმჯდომარეობა, ამაზე მეტი მოსავალი ამ კოლმეურნეობაში არ მოსულა. ყველაფერი დღეს გაგიკვირდათ? სამაგიეროდ, სოცშეჯიბრში შარშან შრომელებს ვაჯობეთ? ვაჯობეთ! აი ნახეთ საბუთები. ყოველ წელს გვჯობნიდნენ. წელს კი ჩვენ დღენახევრით ადრე ავიღეთ მოსავლი. რატო ამას კი არ ხედავთ?

პარტერიდან:

— შენ, თედო, ნუ გავიწყდება მინდორში რამდენ თავთავს ტოვებდა კომბაინი.

თედო:

— არც ერთი თავთავი არ დარჩენილა. ღმერთმა დიდხანს გვიცოცხლოს ჩვენი სკოლის დირექტორი. ნეტა რა გვეშველებოდა, ეგ რომ არ გვეხმარებოდეს. მოწაფეებს ერთი თავთავი არ დაუტოვებიათ მინდორში.

პარტერიდან:

— ყველაფერში სკოლა ვერ დაგვეხმარება.

თედო:

— არც არის საჭირო. ყოველთვის მაგათ ხომ არ შევყურებთ ხელებში? ჩვენც უნდა თავი გავატოკოთ. მარტო თავმჯდომარემ რა ქნას, თუ გომური დაძველდა და ახალია საჭირო? წელს გაიკვირვეთ, რომ ამ ზამთარსაც არ ეყოთ საკვები ძროხებს? რომ ვერც საჭირო ყურადღება მივაქციეთ დეკეულების დახბოიანებას? მაკე ძროხების კარგი შეხორცების შესანარჩუნებლად მთელ ზამთარს უნდა უზრუნველგვეყო ფერმა წვნიანი საკვებით. არ უზრუნველვყავით? აი, ვეტექიმი ყოველთვის ჩაგვჩიჩინებდა, ხანდახან გარეთ გამოიყვანეთ სასეირნოდ პირუტყვიო. იმ ყინვასა და ქარბუქში სად უნდა გამოერეკნათ?

პარტერი:

— შენ ხომ არ შეიშალე? სად იყო წელს ქარბუქი?

— წელს არც სილოსი ეყო საქონელს.

თედო:

— ნუ ხართ დაუნახავები. ხალხო. რაიონში მეორე ადგილი დავიკავეთ სილოსის ჩადებაში აკურის შემდეგ.

პარტერი:

— ის რატო გავიწყდება, იმოდენა ნამჯა რო მინდორში დარჩა ამოუზიდავი?

— ძაღლმა და ღორმა წაიღო!

— წვიმამ დაალპო!

— ზედ ურმები დადიოდნენ და ლაფში ჩაზილეს.

თედო:

— არც ეგ მავიწყდება, მაგრამ მარტო თავმჯდომარეს რა უნდა ექნა? კომკავშირელები გააქტიურდნენ. ახალგაზრდა ბრიგადა დიდი ძალაა. გაზეთსაც კარგს უშვებენ. აი, ამ ბოლო ნომერშიც ბევრი რამ მომეწონა, მაგრამ მარტო თავმჯდომარეს რომ მიდგომიხართ, რა ქნას, თუ დედა-ღორებს საზამთრო ბინები არ უვარგოდათ? და საგაზაფხულო დაგოჭიანებისათვის თავის დროზე ვერ ვიზრუნეთ? ან რა მაგისი ბრალია თუ უჭმელობითა და სიცივისაგან ზოგი ნეზვი გაბერწდა და ზოგმა კი ორი-სამი გოჭიც ძლივს დაყარა ათი-თორმეტი გოჭის მაგივრად? გეგმა არ შესრულდაო. რა უნდა ექნა, თვითონ თავმჯდომარე ხომ არ გააჩენდა? ჩვენც უნდა შევუწყოთ ხელი, რატო ვდგევართ განზე? მექათმეობაში კვერცხის გეგმა არ შესრულდა, ესეც თავმჯდომარის ბრალია? ბერხევა ზედა გვაქვს, წყალი ზედა გვაქვს, მაგრამ იხვებსა და ბატებს არა ვზრდით, ესეც თავმჯდომარის ბრალია? წველადობაში ჩამორჩებითო, როგორ არ ჩამოვრჩებით, მაგრამ რა უნდა გააკეთო, როცა სულადობის გეგმა ვერ შევასრულეთ?

— რატომ? სულადობის გეგმა როგორ არა გვაქვს შესრულებული?! — გაოცდა რაიკომის მდივანი.

— აი, პატივცემულო სოლომონიჩ, როგორც იყო, ის ლოთი მოვიშორეთ თავიდან, მაგრამ იმისი სული ჯერ კი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დევ ტრიალებს აქა... დიახ, დიახ, საბჭოს თავმჯდომარეზე მოგახსენებთ.

ერმანამ კისერი დაძგიბა და თვალეში ჰყიტა.

— დიახ, ძველ თავმჯდომარეზე ვამბობ. სწორედ ის იყო ინციატორი იმისა, რომა კოლმეურნეობის მსხვილფეხა საქონელზე ყალბი ცნობა იქნა მიწოდებული რაიკომში.

— რა ცნობა, რომელი ყალბი ცნობა? წველადობის გეგმა აკი შესრულეთ?

შავლეგომ შენიშნა ძია ნიკო როგორ უხერხულად შეიშმუშნა და დაიძაბა.

— როგორ შევასრულეთ, მაგასაც მოგახსენებთ: შარშან ამ დროს მთელ სოფელში წამოკრიფეს კოლმეურნეთა პირად საკუთრებაში მყოფი ძროხები და კოლმეურნეობამ შეისყიდა. სამი თვე სწველიდნენ ამ ძროხებს. და გეგმას გადააჭარბეს კიდევაც. ოღონდ ამ ძროხების ნაწველიც იმ ძროხებს მიაწერეს. მერე ძროხების პატრონებს კოლმეურნეობამ ფული არ მისცა. არა ჰქონდა და რა უნდა მიეცა? მესამე თვეზე რაიკომში აცნობეს, სულადობის გეგმა შესრულებულიაო. მაგრამ პატრონებმა ფული მოითხოვეს, საფასური. კოლმეურნეობამაც, რაკი ფული არა ჰქონდა, ადგა და ძროხები ისევ უკან დაუბრუნა პატრონებს. დაუბრუნა, მაგრამ ის აღარ უჩვენებია რომ დაუბრუნა.

— არავის არ გადაუხადეს?

— მხოლოდ თავმჯდომარეს გადაუხადეს. რა ვიცი, იმასაც ამბობენ: ორჯერ გაიტანა ძროხის ფულიო. მაგრამ ვინ ნახა? ბუღალტერს არაფერი არ უთქვამს, საბუთები კი სარევიზიო კომისიას არ შეუმოწმებია. მე მგონია, ტყუილი უნდა იყოს, იმიტომ, რომ ის ძროხა ეხლაც შინა ჰყავს თავმჯდომარეს და თვითონ წველის.

— მართალია!

—სწორეა!

— წაიღო!

— ფული წაღებული აქვს!

— ძროხაც შინა ჰყავს!

თედომ დაეჭვებით ასწია წითური ჯაგარა წარბები.

— აი, ხალხი ამბობს, [illegible] [illegible]ე არა მგონია მართალი იყოს. ეხლა სუყველაფერს თავმჯდომარეს ნუკი ჩამოვაწმენდავთ.

პარტერი გუგუნებდა. აღარაფერი გაიგებოდა. ცბიერად ილრიჭებოდა პრეზიდიუმში ჩასაბერი. უხერხული დუმილი იგრძნობოდა „სცენაზე“.

ძია ნიკოს დამცინავი თვალი დაესო ორატორისათვის და თავს ზიზღიანი დანანებით იქნევდა ჩუმად.

ამაოდ მოუწოდებდა კრების თავმჯდომარე ხალხს წესრიგისაკენ.

ბოლოს რაიკომის მდივანი წამოდგა.

— მოიცათ, ამხანაგებო, აბა ეს რა არი? კრებაა თუ ბაზარია? დააცადეთ ერთმანეთს, რატომ არ აცდით?

— არ გვინდა, რაღა უნდა დავაცადოთ? არ გვინდა!

— რა არ გინდა? რომელია, ადგეს ფეხზე!

— ავდგები რა, განა მეშინიან!

— ადექი, ჰო, აბა რა გინდა?

— ისა, რომა არ გვინდა!

— თქვი, რა არ გინდა!

— არ გვინდა, მორჩა და გათავდა! ხო ხედავთ, რო არ გვინდა!

— ჰოდა, თქვი, შე დალოცვილო, რა არ გინდა!

— ეხლა, შენც რა პატარა ბალღივით მეკითხები, ვითომ არ იცი, რას ვამბობთ!

— ვიცი რასაც ამბობ, მაგრამ ის არ ვიცი, რა გინდა!

— ეხლა, მაინცა და მაინც უნდა მათქმევინო? არ გვინდა, მორჩა და გათავდა! — და დაჯდა.

მდივანმა ხელები გაოცებით გაშალა.

— უცნაური ხალხია, ისიც არ იციან, რა უნდათ და რა არა.

— როგორ არ ვიცით, კაცო, ძალიანაც კარგად ვიცით, მაგრამ თქვენ არ გინდათ გაიგოთ!

— ვინ არ გვინდა და თავმჯდომარე არ გვინდა!

— რომელი თავმჯდომარე, სახელი

არა აქვს ან გვარი?! თუ, საერთოდ, არ გინდათ თავმჯდომარე?!

— სახელიც ძალიან კარგად იცით და გვარიც! ჰოდა, არ გვინდა!

— კარგი, დასხედით, ყველაფერი გასაგებია!

— მადლობა ღმერთს!

— გაიგეს, როგორც იყო!

— მაშასადამე, თქვენ არ გინდათ, რომ თავმჯდომარედ თქვენს კოლმეურნეობაში კვლავ დარჩეს ნიკო ბალიაშვილი, ხომ?!

— აბა, მა რასა ვლავლავებთ ამოდენა ხალხი, კაცო, ლამის არი ყბები გადაგვაცვდეს! მა აქამდის ვერ უნდა გაიგოთ?

— გასაგებია, მაგრამ კოლმეურნეობას უთავმჯდომაროდ ხომ არ დავტოვებთ? ხომ უნდა ავირჩიოთ სხვა თავმჯდომარე?

— უთავმჯდომარეო კოლმეურნეობა ვის რად უნდა, კაცო?

— ვინც უნდა იყოს, კარგი კი იყოს, და!

— კარგი. რაკი განვლილი სამეურნეო წლის მუშაობა ახლანდელ თავმჯდომარეს, რაიკომის არც თუ სრულიად მოულოდნელად, ცუდად შეუფასეთ, მაშინ სხვა გზა არ არი, უნდა გავათავისუფლოთ. მაგრამ თუ გყავთ შესაფერისი კანდიდატურა?

— რამდენიც გინდა!

— სათავმჯდომარეო ხალხის მეტი რა გვყავს?

— კენჭი უყარეთ, კენჭი!

— კენჭის ყრის დროც მოვა. აი, რაიკომმა უკვე იზრუნა, გაითვალისწინა ყველაფერი და გთავაზობთ თავის კანდიდატურას.

— აბა, გვითავაზეთ!

— კარგა ხანია, რაცა გვთავაზობთ და აბა, დღეს რაღას გვითავაზებთ!

— მოიმისმინეთ, მომისმინეთ. თუ გინდათ გაიგოთ, მომისმინეთ!

ჩოჩქოლი ნელ-ნელა შეწყდა.

— წელან აქ რამდენიმემ ეჭვი გამოთქვა ახალგაზრდა კადრებზე. რამდენიმემ, პირიქით, დაბერდნენ და სათავმჯდომაროდ აღარ ვარგანანო. რაიკომი გთავაზობთ ისეთ კანდიდატურას, რომელიც არც ბებერია და არც ახალგაზრდა. პარტიის წევრია დიდი ხნიდან, გამოცდილი კაცია, სოფლის მეურნეობას ზედმიწევნით იცნობს, შეერთებამდე თქვენს სოფელში ერთერთ კოლმეურნეობასაც ხელმძღვანელობდა. ეს ისეთი კაცია...

— ჰა, ბარემ თქვი, შე დალოცვილო, ვინ არი, რას ამოგვართვი სული. რა იცით, სოფელში ოთხი კოლმეურნეობა იყო, ვიმკითხაოთ?

კრების თავმჯდომარე ფეხზე წამოხტა გამეხებული.

— რომელია, მანდ რომ ხულიგნობს? ეხლავე გაგაგდებ კრებიდან!

— რა გაყვირებს, ჰინჭრის ტოტო? ვის გააგდებ? მაშ კაცმა საერთო კრებაზე ხმა ვერ უნდა ამოიღოს? ხო ხედავ, დაგვათენდა! ხალხი დაღლილია, დასვენებაც გვინდა! რა გაჭიმეთ შირაქის გზასავით? თქვით ბარემ და დროით გაათავეთ!

მდივანი თავმჯდომარეს მიუბრუნდა და დასვა.

— ამხანაგებო, თუ ეგრე ხელს შეგვიშლით, კრება უფრო გაჭიანურდება. თქვენ დაბრძანდით, ძია კაცო. მართო თქვენ არა ხართ დაღლილები. დღიური შრომით ყველა იღლება. ამიტომ უნდა დავაცადოთ ერთმანეთს და მოვუსმინოთ. მე თედო ნართიაშვილზე გელაპარაკებით გამოცდილი კაცია, ჭკვიანი კაცია, კოლმეურნეობის ერთგული კაცია. სოფლის ერთერთი თავკაცი. ახლაც მემინდვრეობის მესამე ბრიგადას ხელმძღვანელობს. მაგრამ იგრე არ გაიგოთ, თითქოს რაიკომის კანდიდატურას თავს გახვევდეთ. ეს თქვენი ნებაა, თქვენი უფლებაა. წელან აქ სწორად თქვა თქვენმა უხუცესმა კოლმეურნემ: საერთო კრებაზეა დამოკიდებული თავმჯდომარის არჩევა-გადარჩევა. ოღონდ როგორც საქმეს გაცნობილი, რაიკომი გირჩევთ. თითონ პიროვნებასაც კარგად იცნობს. ჩვენი აზრით, თედო ნართიაშვილი მისაღები კანდიდატურაა.

— იყოს, კაცო, არა ვწუნობთ!

—იყოს, იყოს!

— ნართიაშვილი იყოს!

— თედო იყოს!

— მარკოზა აჯობებს!

— თედო ნართიაშვილი თედო!

— იოსება!

— თედო!

— ნიკო დარჩეს ისევ!

— არ გვინდა! თედო იყოს!

— მარკოზას რაღა უჭირს, ხალხო!

— თედო გვინდა, თედო!

— ნიკო! ნიკო!

— შაშვიაანთ საბა დავსვათ! ახლა შაშვიაანი იყვნენ! შაგვჭამეს ამ ბალიანთ და ნართიაშვილებმა!

— თედო, თედო! უყარეთ კენჭი!

— ნიკო დარჩეს!

— არ გვინდააა!

— თედო მოგვეცით!

— თედო გვინდააა!

— საბა იყოოს!

— თედოო!

— იოსებაა!

— ნიკო ავირჩიოთ, ხალხო!

— არ გვინდააა! კენჭი ვუყაროთ, კენჭი!

— კენჭი გვინდააა!

— უყარეეთ!

— არ უყაროოთ!

— თედოს უყარეეთ!

—თედოს არ უყაროოოთ! ნიკო დარჩეეეეს!

— არ გვინდა, არაააა!

— გვინდააა!

— არაააა!

— აააა!

— დარჩეეეეს!

— ეეეე!

— აააა!

— ოოოო!

— უუუუ!

და რაიკომის მდივანმა ყურებზე ხელები აიფარა, სახე ნერვიულად დაძანჭა და გაშეშდა.

კრების თავმჯდომარე წამოხტა. მოჰყვა წაღმა-უკუღმა ხელების ქნევას. პირს წარამარა აღებდა და ხურავდა. თვალებს საზარლად ქაჩავდა. აქეთ-იქით ატრიალებდა. მუშტს იქნევდა. პირს კიდევ უფრო აჩქარებით აღებდა და კუმავდა. აღებდა და კუმავდა... და მეტი არაფერი...

ნიკო წამოდგა. მძიმედ, ჩუმად გაიარა პრეზიდიუმის წინ, მძიმედვე მივიდა სცენაზევე ამოტანილ და კვლავ ერთმანეთზე დაწყობილ ყუთებთან, ტრიბუნასთან, გაჩერდა და ხელი მბრძანებლურად ასწია.

ხალხი ნელ-ნელა მიწყნარდა და მერე მთლად გაისუსა.

ნიკომ თვალის ერთი გადავლებით მოათვალიერა პარტერი, თავი დაღუნა და ხელი ჩამოიღო.

— ამხანაგებო! ნაპოლეონმა მთელი ევროპა დაიპყრო და მაინც წავიდა... მეფე-ერეკლეს სამემკვიდროდ ერგო სამეფო და მაინც წავიდა... რუზველტი აირჩიეს, მაგრამ... მაინც წავიდა... — თავი ასწია და მზერა კვლავ გაუმართა საერთო კრებას. — მე რაღა წითელი კოჟი ვარ? ოქროს გულქანდი ხომ არა ვარ, რომ ზედ ჩამოგეკიდოთ? წელან აქ გოდერძი გამოვიდა და თქვა: კოლმეურნეობამ ჯვარი ნიკოზე ხომ არ დაიწერაო. მართალია. გოდერძიმ მართალი თქვა. ერთ კაცზე კი არ არი სალამი ჩამოწყვეტილი. სოფელია, კოლმეურნეობაა, ხალხია. აი, აჰა, ნახეთ, რამდენი ხართ. რამდენიმე ჩლარტიანის გარდა, მე აქ კაცი არ მეგულება, რომ კოლმეურნეობას ვერ გაუძღვეს. რა აუცილებელია, მხოლოდ მე ვიყო? ან თედო, ან მარკოზა, ან პეტრე, ან პავლე?... უნდა ჭკვიანურად მოიფიქროთ. კანდიდატებიც იგრე უნდა დაასახელოთ... თავმჯდომარეობა, ამოდენა ხალხის გაძღოლა, ამოდენა საქმეების კისრად დება არავის ადვილი არ ეგონოს. რა საჭიროა ხმაური და აყალმაყალი? ჭკვიანურად, დინჯად, წყნარად, დაკვირვებით მოიფიქრეთ და იგრე თქვით, ვინც გინდათ.

— თედო გვინდა!

— წელან ვერ გაიგე. ვინც გვინდოდა?!

— თედოს ვირჩევთ, შენამდის ჯერ კერ მოვიდა?!

— ხო ჰხედავ, რო შენ აღარ გვინდიხარ?! კარგი, გაჩუმდი, რაღას ეჩრები?!

— კენჭი უყარეთ, კენჭი, თედოს!

— იოსება იყოს, კაცო!

— თედო!

— თედო გვინდა!

— ახლა საბა დავსვათ!

— თედო!

— თედო იყოს!

— თედოს უყარეთ კენჭი!

ნიკო ხალხს ჩუმად, წარბშეკვრით, ოდნავი თავის ქნევით მიაჩერდა. მარჯვენა ფეხის მუხლს განუწყვეტლივ ათამაშებდა.

ხალხი თანდათან მიჩუმდა.

— თუ ვინმე ფიქრობს, რომ მე აქ თავდასაცავად გამოვედი, ძალიან სცდება. თუ ვინმე ფიქრობს, რომ მე აქ თქვენს სალოლიაოდ გამოვედი, ძალიან სცდება. თუ ვინმე ფიქრობს, რომ ჩემი შეცდომების დასაფარავად გამოვედი, ძალიან სცდება. თუ ვინმე ფიქრობს, რომ რამით შემაშინებს, ძალიან სცდება. ყველა თქვენგანი მიცნობს. ასაკის გამო ომში არ წამიყვანეს, მაგრამ მე აქ, ზურგში, მთელი ჩვენი რაიონის ალაზნის გამოღმა მყოფ გამანადგურებელ ბატალიონს ვხელმძღვანელობდი. ბევრი თქვენთაგანი იმ ბატალიონშია ნამყოფი და იცის, მშიშარა ვარ თუ არა... იგრე, რო ჯობია მომისმინოთ. მე თქვენკენა და თქვენ ჩემაკენისკენ. ყური დამიგდეთ, ამას მე თქვენთვის ვამბობ.

— კარგი, აჰა, აბა, მიდი, რა გინდა!

— ოღონდ ცოტა მალე, თორემ აქ დაგვათენებ.

— ვისაც წასვლა გინდათ, წადით, მე არ გაკავებთ. ვისაც თავისი სოფლის ბედ-იღბალი არ გაინტერესებთ, წადით, მე არ დაგიჭერთ. ვისაც კოლმეურნეობის მომავალი ფეხებზე გკიდიათ, წადით, არავინ დაგაბამთ... არადა, მომისმინეთ: კოლმეურნეობა თქვენი სურვილით შექმნილი მეურნეობაა. თქვენსავე სურვილზეა დამოკიდებული თავმჯდომარის არჩევა-გადარჩევა. ჯერ მე კაცი არ მეგულება, რომ შეცდომა არ ჰქონოდეს. მაგრამ შეცდომა ერთია, მისი აღიარება მეორე, გამოსწორება კი მესამე. უშეცდომო ახალშობილია მხოლოდ. ზოგჯერ შემდეგ გამორკვეულა, რომ იმ ახალშობილსაც შეცდომა დაუშვია თავისი მოსვლით. კაცი, ნამცვილი კაცი, შეცდომების დამშვებიც არი და მიმტევებელიც. თქვენ არ გეგონოთ მე ჩემს თავზე გეუბნებოდეთ და მიტევებას გენუკვებოდეთ. თქვენ თვითონაც შეცდომას დაუშვებთ, თუ ეგრე ფიქრობთ. არა, მე იგრე გეუბნებით. ისევ თქვენთვის ვამბობ და ჩემთვისაც, რა თქმა უნდა, რადგან მეც თქვენს მარაქაში ვირიცხები. ეს სულ ერთია: თავმჯდომარე ვიქნები თუ რიგითი წევრი... აი, არჩევნებზე... აქ ბევრი კანდიდატურა იყო დასახელებული... ყველა მათგანი ღირსია თავმჯდომარეობისა. საქმე იციან, ხალხს იცნობენ, სურვილი აქვთ მუშაობისა. და სურვილი კი საქმეში ძალიან ბევრს ნიშნავს. იოსებას ვიცნობ, სიკოსაც, საბასაცა და გოდერძისაც.

— მართლა, კაცო, გოდერძი როგორ დაგვავიწყდა?!

— განა აღარ შაუძლიან, კიდევ კაი კანზეა.

— დაიცათ, აბა დავაცადოთ!

— ვინც ჩამოვთვალე, ყველა ღირსია თავმჯდომარეობისა. მაგრამ, წეღანაცა ვთქვი, ყველაფერი თქვენი ნებაა. იტყვით და ბერხევას ჯეილხევას დავარქმევთ. იტყვით და ჭალისპირს ალაზნისპირს დავარქმევთ. ხომ გაგიგიათ: ხმა ხვთისა და ხმა ერისაო... მაგრამ რაიკომსაც უნდა დავუგდოთ ყური, ამხანაგებო. ის ჩვენი ხელმძღვანელი ორგანოა და ვალდებული ვართ მოვუსმინოთ. რასაც ამბობს, ისევ ჩვენივე სიკეთისათვის ამბობს ხოლმე. ამას გარდა, ის ჩვენი ხელმძღვანელია და შეუძლია სასურველი კანდიდატურა შემოგვთავაზოს. მაგრამ ესეც გახსოვდეთ. კოლმეურნეობის უმაღლესი ორგანო საერთო კრება არი და კრებას შეუძ-

ღიან ეს კანდიდატურა მიიღოს ან არ მიიღოს. მაგრამ ნურც ეს დაგავიწყდებათ, რომ ის ცუდ კანდიდატურას არ შეარჩევს. მაგრამ არც ეს დაივიწყოთ, რომ თქვენზეა დამოკიდებული მისი მიღება-არმიღება. საერთო კრება ამის უფლებამოსილია. ხმა ღვთისა და ხმა ერისაო... ახლა თედოს მივხედოთ. მივხედოთ ამ კანდიდატურას. რატომ დაასახელა ის რაიკომმა? იმიტომ, რომ ძველი, გამოცდილი მუშაკია, დიდი ხნიდან პარტიის წევრი. წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა „ხარება და გოგიას“ სახელობის კოლმეურნეობას. მართალია, ასაკი ხელს უწყობდა სამამულო ომში წასასვლელად, მაგრამ იმიტომ არ წავიდა, რომ სწორედ ომის დაწყების დღეს ქანგიანი ლურსმანი შეერჭო ფეხში და, სანამ ომი არ დამთავრდა, ვერაფრით ვერ მოირჩინა. მაგრამ, ამხანაგებო, მიუხედავად ამისა, თედო მაინც ფრონტზე იყო. ვისაც ახსოვს, მაშინდელი ზურგი — იგივე ფრონტი იყო. შრომის ფრონტი. და აქ რომ ეგეთი დაძაბული ფრონტი არ ყოფილიყო, იქ ვერ გაიმარჯვებდა ჩვენი წითელი არმია... თედო ჯერ საწყობის გამგედ იყო, მერე ბრიგადირად და ბოლოს, როცა თითქმის ყველა, ვინც კაცი იყო, ომში წავიდა, თედო კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს... აბა, კარგად გახსოვთ, ჯერ ეხლა რა არის და, მაშინ სულ დედაკაცების ზურგზე გადადიოდა მთელი საქმე. ჰოდა, თქვენც კარგად იცით, რა ძნელია დედაკაცებთან საქმის დაჭერა, იმათი ხელმძღვანელობა. მარტო იმათ პირს ათი ალიკაპიც ვერ დაამაგრებს. ათივეს გასწყვეტენ და მაინც წაგჭამენ ყურებს ყაყანით. გამრჯე კაცი იყო, საერთო საქმის ერთგული და საწყობის გამგეობის დროსვე ერთი საბრალო ორსართულიანი სახლი ძლივს მოაქოხა, რაღაც ექვსოთახიანი. სულ თავისი შრომითა და მარჯვენით. ბრიგადირობისას ამ ომში დაღუპულ მეზობელს ეხმარებოდა. აბა, რა უნდა ექნა ერთ ქვრივ-ოხერს. იმოდენა მშვენიერი ვენახი რატომ უნდა გაეფუჭებინა? მაინც გადახმებოდა მოუვლელობით. თედომ პატივი სცა, პატარა, ცოტიელ, ხრიოკ ადგილში გადაუცვალა და მთელი წელიც უზრუნველი ჰყავდა... ყველაფრით. არაფერი არ დაუკლია... სასმელი გინდა, საჭმელი. ის ორი ბალღიც, ამბობენ, რომ... მაგან გამოუზარდა... მერე, მთლად რომ გაწყდა კაცის სინსილა, თავმჯდომარედ დაჯდა. მანამდის არც უფიქრია თავმჯდომარეობაზე. მაგრამ ცუდი თავმჯდომარე არა ყოფილა. თავისმა ყოფილმა წევრებმა კარგად იციან ეს ყველაფერი. ათასი მიმსვლელი და მომსვლელი ჰყავს კოლმეურნეობას. ჭალისპირში კი სასტუმრო არ არის. დიახაც, გაითვალისწინა ესა, როგორც წინდახედულმა კაცმა და... ექვსოთახიან სახლში თითონ მოთავსებულიყო, თუ სტუმრები? ადგა და თორმეტოთახიანი ახალი ბინა აიშენა. რა თქმა უნდა, ძველი სიძეს მისცა. კრამიტი არ მოუხდებოდა სასტუმროს, თუნუქი დაჰხურა. ახლაც ძნელი საშოვარია, თორემ განა თუნუქი ცუდია. მაშინ სულ არ იშოვებოდა. მაგან მაინც იშოვა. ჩვენი, კომუნიზმის საბოლოო მიზანი კი ის არის, რომ ყოველმა მოქალაქემ, ყოველმა კოლმეურნემ კარგი სახლი აიშენოს და შიგაც საუკეთესო ავეჯი ჰქონდეს. ვიღაცას ხომ უნდა გამოეჩინა ინიციატივა, ვიღაცას ხომ უნდა დაეწყო? ჰოდა, აი, თედომ დაიწყო. სამამულო ომის დროსვე დაიწყო. დაიწყო და დღესაც არ შეჩერებულა: ცალკე გარაჟი, ცალკე მანქანა, ცალკე სათონე, ცალკე ბეღელი, ცალკე... აბა, ყველაფერს ამ საღამოთი რას ჩამოთვლი, თქვენც დაღლილები ხართ, დასვენება გინდათ. თანაც შორს წაგვიყვანს და შეიძლება კრებასაც დაგვაშოროს. და, საერთოდ, რატომ არ უნდა ჰქონდეს? მართალია, მთელი მაგისი ოჯახიდან ერთი კაცი მუშაობს, მაგრამ მეურნე კაცია, გამრჯე კაცია და აგე, ლომივით ბიჭი ეზრდება... აი, სულ ეს არის მოკლე ბიოგრაფია თედოსი. ჩვენი მთავარი კანდიდა-

ტურისა. მე დავიწყე. ჩემს შემდეგაც, ალბათ, გამოვლენ და ისინი უფრო დაწვრილებით იტყვიან მის დამსახურებებს. მე მგონია, ყველაზე ხელსაყრელი კანდიდატია და რაიკომის სურვილსაც აუცილებლად ანგარიში უნდა გაეწიოს. თუმცა, მე რა მრჯის. ყველაფერი თქვენი ნებაა. საერთო კრებას თუ უნდა, რაიკომისას კი არა, მამაუფლის გამოგზავნილს არ მიიღებს... მაგრამ რაიკომში ძალიან კარგად იცნობენ თედოს, როგორც გამოცდილ, გამრჯე მუშას. ის ძალით კი არ გახვევთ თავზე, გინდათ თუ არა, ეს აირჩიეთო, არა, რჩევის სახით გეუბნებათ. დანარჩენი თქვენი საქმეა. თუ გინდათ, სულაც ნუ გაიკარებთ ახლო, თქვენი ხმის გამცემი არავინ იქნება. თქვენა ხართ, რაცა ხართ. ხომ გაგიგიათ, ხმა ღვთისა და ხმა ერისაო...

მდივანმა კრების თავმჯდომარეს შეხედა და რაღაცა უთხრა.

თავმჯდომარემ თავი დაუქნია.

— კარგი. გეყოფა, ნიკო. აბა, კიდევ ვისა აქვს სიტყვა?

შავლეგომ მეზობელს მიუხედა და შენიშნა, რომ ექიმი გამქირდავად იღიმებოდა.

შავლეგოსაც გაეღიმა.

— რა გულუბრყვილო სვლებია ორივე მხრიდან. გულუბრყვილო და უსუსური. ძია ნიკოს მაინც ვერ ვაპატიებ.

— პირველად ვხედავ დაბნეულს. ალბათ, არ მოელოდა ქიშს.

— ქიში არაფერია, აშამათებენ.

— ზოგჯერ უკან დახევა ბრძოლის წაგებას როდი ნიშნავს.

— არა, ბრძოლა წაგებულია. წაგებულია და... და რატომღაც მენანება.

— არ არი ცუდი კაცი.

— არც ძალიან კარგია, მაგრამ მაინც მენანება.

— ყოველთვის ვხედავდი მაგ კაცში რაღაც ვაჟკაცურს.

— ამიტომაც არი დასანანი.

— საინტერესოა, დათმობს თუ არა.

— დაათმობინებენ. ძალთა თანაფარდობა მოწინააღმდეგის სასარგებლოდ არი. არც პოზიცია უვარგა.

— მაინც მაინტერესებს: იბრძოლებს თუ არა.

— აღარ იბრძოლებს. ჭკვიანი კაცია. ხვდება ყველაფერს.

— ყოველთვის ფხიზელი იყო. საინტერესოა, როგორ წამოეპარნენ...

ოჰო! ნახე, ნახე, რა მკვახედა თქვა. ვინ არი ეს ბიჭი ჭაბუკო?

— ოჰ, მარკოზა გამოსულა. ბრიგადირია. წელან მაგასაც ასახელებდნენ თავმჯდომარედ. მოდი, მოვუსმინოთ.

— მოვუსმინოთ. მაგრამ მინდა ჯერ გკითხოთ: მართლა მიდიხართ ჭალისპირიდან?

— ნამდვილად. — საათზე დაიხედა. — საცაა, კუპრაჭაც მოვა. ოჰო, აი, ეს, ალბათ, მისი მანქანაა. ჰო, ნამდვილად ის არი. მოსულა კიდეც აქეთ მოდის, ალბათ, მე მეძებს. ბოდიში, ძია სანდრო, — წამოდგა. გვერდზე მიდგა დასანახად. მანქანიდან გადმოსულ კუპრაჭას ხელი დაუქნია. — დღეს მივდივარ, ძია სანდრო. მობრუნდა და იქვე ჩამოჯდა. — ნახევარ საათში წავალ. კარგი შემთხვევა მომეცა გამოსამშვიდობებლად.

— არ გავკადნიერდები და მიზეზს არ გკითხავთ, ჭაბუკო, მაგრამ თქვენი უკანასკნელი გეგმები ეგრე ადრე წასვლას არ ითვალისწინებდა ჭალისპირიდან.

— ჰო, არ ითვალისწინებდა. მე მისი ნახვაც ვერ მოვასწარი... რაღაც დამპირდით ერთხელ, ღამით, თქვენს საიდუმლო ლაბორატორიაში.

— არ მესმის, ჭაბუკო, რას გულისხმობთ მაგ დაპირებაში?

— მე ერთ ავადმყოფთან წაგიყვანეთ ერთხელ ღამით. წასვლის წინ კი თქვენ შემპირდით რაღაცის გამხელას. თუ არ ვცდები, კიბოს საიდუმლოებას ეხებოდა.

— არ მახსოვს, ჭაბუკო, შეიძლება ნასვამმა რაღაც წამოვუროე.

შავლეგო მიხვდა: ექიმს არც იმ ღა-

ძის გახსენება სურდა და არც იმ დაპირებისა.

— შეიძლება მომეყურა.

— შეიძლება. ავადმყოფი მახსოვს, მაგრამ...

— ალბათ მომეყურა.

— ალბათ, მაშ, ნუთუ ნიკო აღარ იბრძოლებს?

— სასწორი თედოსკენ იხრება, მაგრამ ახალგაზრდებს ჯერ თავიანთი სიტყვა არ უთქვამთ. ახალგაზრდები არ დათმობენ. ნიკომ მაგათ ბევრი რამ დაუთმო. შეიძლება დაიცვან. არა, უნდა დაიცვან. ღირსი არ არი, მაგრამ უნდა დაიცვან. მაგისი დამარცხება თედოს გამარჯვებაა. ხოლო თედოს გამარჯვება — კოლმეურნეობის დაღუპვა.

ექიმმა გაოცებით შეხედა მოსაუბრეს.

— ეს როგორ გავიგოთ, ჭაბუკო?

— პირდაპირ. დიახ, პირდაპირი მნიშვნელობით. არა, არ შეიძლება თედო კოლმეურნეობას მოექცეს სათავეში. არავითარ შემთხვევაში.

— რატომ, ჭაბუკო? აი, ვინც კი გამოდის, მაგ კაცზე ცუდს არავინ ამბობს. გამოცდილი ყოფილა, საქმის მცოდნე და ნათავმჯდომარალი. და, რაც მთავარია, ხედავ, ხალხს უნდა. ხალხის სურვილი კი...

— სურვილად დარჩება, თუ ეგ კაცი დაჯდა. მე კარგად ვიცნობ მაგ კაცს. სხვებიც იცნობენ. არასგზით არ შეიძლება მაგ კაცის დასმა.

— მაშ რატომ უნდათ?

—ახლა თავადაც ვერ გრძნობენ. ნიკოზე არიან გამწარებულნი. იმ ბიჭის სიკვდილმა საბოლოოდ განაწყო სოფელი მაგის წინააღმდეგ. რისხვა ზოგჯერ ბრმაა. აღელვებული გულით განსჯილს კი სიკეთე იშვიათად მოუტანია, ატყობთ? ოღონდ ნიკო არა და, თუნდაც სატანას ისურვებენ თავმჯდომარედ.

— ეგ ნამეტანია, ჭაბუკო, ალბათ მაგ კაცმა დაიმსახურა.

— არა, აქ დამსახურების ბრალი არ არი. აქ რაღაც სხვა ამბავია. ის ბიჭები ტყუილად არ ასულან მაღლა. ისინი არ დაანებებენ თედოს. აი, აჰა, ხომ გითხარით, სოსომ აიღო სიტყვა — აბა, მოვუსმინოთ.

— ეგ ყმაწვილი ვიღაა, ჭაბუკო?

— თონიკეს ბიჭია, ჩხუბიანაანთი.

— რამოდენა ბიჭი გაზრდია თონიკეს. ენამოქარგული ყოფილა. ლექსებით ლაპარაკობს.

— პოეტობაზე სდებს თავს... მაგრამ რას ამბობს? რაო? ხომ არ შეიშალა? დამაცათ, ძია სანდრო... გაგიჟდა? ნამდვილად შეიშალა!.. ჰოი, რა სისულელე როშა... ეს ვიღაა? აჰა, მახარეა. მაგრამ ეს სოსო მაინც რამ გადარია? ერთი უყურე! უყურე, რომ ესეც იმასვე ამბობს! მახარეც თედოს მხარეზე? არა, ნამდვილად გაგიჟდნენ. ღმერთმანი, ნამდვილად გაგიჟდნენ. ნეტა ჩასაბერი რაღას უყურებს? ნახე, ერმანაც თავს იქნევს. ჯიმშერსაც მოსწონს! — მაგრამ შაქრია რაღას უყურებს? ნუთუ ამჟამად ნიკოს არ დაიცავს? არა, ახლა ნიკო უნდა დაიცვას! უნდა თუ არ უნდა, უნდა დაიცვას... თედოს გაშვება არ შეიძლება. განა პირველად მაგ კაცმა არ დამანახვა ამ ქვეშქვეშა კაცის სახე და ბუნება? სხვებისთვისაც მომიკრავს ყური. არა, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება თედოს გაშვება... უჰ! ჩასაბერი ადგა, როგორც იქნა!

შავლეგომ თავისუფლად ამოისუნთქა და ექიმს მიუბრუნდა.

— ამ ჯეილს იცნობთ?

— არა ჭაბუკო.

— ხატილეწიას შვილიშვილია. პაპის ნაჭერი. აი, ნახეთ, თედოს სულ მოთხრის და ხალხსაც სიცილით დახოცავს... აი... რაო? მორჩა! ახლა კი მოუხადოს ძია ნიკომ ქუდი თავის კაბინეტსა და ძლევამოსილებას... მორჩა ყველაფერი გადაწყვეტილია... და ამ ყველაფერს აი, მაგ ბიჭმა დაჰკრა საბოლოო ბეჭედი. მაგრამ, ნუთუ ჩასაბერი მაინც ვერ ხედავს ვის წისქვილზეც ასხამს წყალს? ნუთუ ვერ ხედავს თედოს ხელში სოფლის მომავალს? ძია ნიკო ათი თავით მაინც დგას მაგ კაცზე მაღლა და, მიუხედავად ბევ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი ნაკლისა, ბევრად უფრო კეთილშობილია. მაგრამ აშკარაა: თედოს რჩება ბურთი და მოედანი! თედოს რჩება, თედოს! და ნადგურდება ყველაფერი, რაც აქამდე ამ ხალხს მოუპოვებია, რაც ამ ბიჭებს მოუპოვებიათ, რაც მე, ავად თუ კარგად, რაღაც შევქმენი! ოოო! ეს არ უნდა იქნეს დაშვებული! არა, ეს არ უნდა იქნეს დაშვებული! ამის დათმობა არ შეიძლება!

და ქოსა-გოგია ძირგავარდნილ ტაშტივით არახუნდა მის ყურთან:

— მიდი, ჩასაბერო, გენაცვალე მაგ ენაში!

წინიდან დაბალ-დათიას ბიჭი ავთანდილი ყიჟინებდა:

— მიდი, ბარემ მიამკვდარე!

და მთელი პარტერი და პრეზიდიუმი:

— საკმარისია, კენჭი ვუყაროთ!

— კენჭი, კენჭი ვუყაროთ!

— კენჭი გვინდა!

— კენჭი რაღად გვინდა, პირდაპირ დაჯდეს თედო თავმჯდომარედ!

— მიდი, თედო, ბარემ ეხლავე ჩაიბარე ბეჭედი!

— კაბინეტის გასაღებიც არ დაგავიწყდეს!

— შენია ახალი „ვოლგა“!

— ო, რა გაიჭიმება შიგ!

— მერე იქნებ სალამიც არ მოგვცეს!

— ალალი იყოს!

— მიდი, ახლა შენი ჯერია!

— დაიცათ, ხალხო! მოუსმინეთ ჩასაბერს!

— რაღა უნდა მოუსმინო, ვერა ჰხედავ, კაცი რა დღეში ჩაგდო?!

— აბა, შენ იცი, ჩასაბერო!

— ოჰოჰოჰო! რა უთხრა, კაცო, რა უთხრა!

— ენამწკლარტეა თავის პაპასავით!

— ეგრე! მიდი, გააძრე ტყავი!

მდივანი ფეხზე წამოდგა და შაქრიას ანიშნა დამჯდარიყო. მერე ხალხს მიუბრუნდა.

— საკმარისია. ყველაფერი გასაგებია. აი, აქ სამი მთავარი კანდიდატურაა: თქვენი ახლანდელი თავმჯდომარე, — ნიკო ბალიაშვილი....

— არ გვინდააა!

— არ გვინდააა!

— ნიკო არ გვინდააა!

— მეორე, იოსებ ვარდუაშვილი და მესამე — თედო ნართიაშვილი. ახლა ჩვენ კენჭს ვუყრით სამივეს, მერე ხმებს დავითვლით, როგორც წესია, და ამით გადავწყვეტთ საქმეს.

— უყარეთ, თედოს უყარეთ კენჭი!

— თედო იყოს, სხვა არ გვინდა!

— თედო მოგვეცით!

— სხვა არავინ გვინდა, თედო მოგვეციით!

უეცრად შავლეგო წამოდგა და ხელი ასწია.

— მე მინდა ორი-სამი სიტყვა ვუთხრა ხალხს!

ვერც მდივანმა „შეამჩნია“ და ვერც კრების თავმჯდომარემ.

მაშინ წინ წადგა და პირდაპირ გაუჩერდა მაგიდასთან.

— მომეცით სიტყვა. მხოლოდ ორიოდე წუთს წაგართმევთ.

მდივანმა შეხედა მთხოვნელს და გულზე უსიამო ტალღამ გადაჰკრა. თვალი აარიდა და კრების თავმჯდომარეს თავი აუქნია:

— კენჭი უყარე.

— ბატონო მდივანო, მე ამ კოლმეურნეობის ნამდვილი წევრი ვარ და უფლება მაქვს ვილაპარაკო.

— თქვენ თუ წევრი ხართ, ამხანაგო, სად იყავით აქამდე? ჩვენ უკვე მოვათავეთ სიტყვები. უყარე კენჭი კანდიდატურებს.

— აბა, ვის უნდა, რო ნიკო ბალიაშვილი...

შავლეგო ერთი მოქნევით ახტა სცენაზე და მაგიდის წინ ისე დადგა, კრების თავმჯდომარე დაფარა.

— ჭალისპირელებო! მე მინდა ორი სიტყვა გითხრათ! — ხმა ბოხი ჰქონდა, გუგუნა.

წინა რიგებში შეწყვეტილმა ყაყანმა სიგრძეზე ტალღასავით გადაუარა საშრობს და ბოლო რიგებში ჩაიკარგა.

— ამხანაგო, რატომ გიშლი ხელს?

— ჭალისპირელებო! მაძლევთ თუ არა ლაპარაკის უფლებას?!

— შენ, ამხანაგო, მაინცდამაინც, კრება გინდა ჩაგვიშალო? ამის გულისთვის ხომ ✱ცი...

— მიეცით სიტყვა! რატო არ აძლევთ?!

— რა გინდათ, თქვას, კაცო!

— ეკუთვნის! თქვას!

შაველგომ სკამი აიღო და ზედ ის ცარიელი ყუთები დაალაგა.

— შენ, ამხანაგო...

— ჩვენი წევრია, დააცათ!

—რა პირში ეცით, ათქმევინეთ!

— ჭალისპირელებო! მე მინდა ორი რამ შეგნიშნოთ: აჩქარება და დაუკვირვებლობა. უფრო კი დაუკვირვებლობა. არ ვკითხულობ: საინტერესოა თუ არა თქვენთვის ჩემი აზრი. მაგრამ მე მინდა გითხრათ ის.

— თქვი, კაცო, რატომ არ არი!

— როგორ არ არი, საინტერესოა, მაშა!

— მაშ მომისმინეთ: თქვენ მე მიცნობთ. ვფიქრობ, ცოტად თუ ბევრად, მაინც მიცნობთ. ისიც იცით: თუ საქმე ჩვენი სოფლის კეთილდღეობას ეხება, არავის მოვეფერები და უნარიც მაქვს სათქმელი პირში ვუთხრა.

— ჰაი, ჰაი, რომ გაქვს!

— ნეტავი მეცა მქონდეს ეგეთი უნარი!

— მაშ მომისმინეთ. ჯერ კიდევ ბალღობიდან მარიგებდა პაპაჩემი: როცა ორი ლაყბობს, ნუ იქნები მესამეო... დღეს თქვენ მაიძულეთ ამ სიბრძნის დავიწყება, რადგან არ მინდა წარბის სწორებაში თვალი გამოითხაროთ. ჭკუა არ გაკლიათ, მაგრამ დაკვირვებით მოიხმარეთ. იცოდეთ: ყველა ზოლიანი ვეფხვი არ არი. აქ ჩამოთვლილ სათავმჯდომარეო სახელებიდან მე ოთხს მივცემდი უპირატესობას: იოსებას, სიკოს, საბასა და პაპაჩემ გოდერძის... მომისმინეთ! მომისმინეთ! თქვენ მე სიტყვა მომეცით და ახლა გაიძულებთ მომისმინოთ! მაგრამ ამ ოთხიდან თქვენს სოფელსა და თავად თქვენც არცერთი არ გამოგადგებათ. რატომ? აი, რატომ: კოლმეურნეობის ხელმძღვანელი, პირველ რიგში, კარგი ორგანიზატორი უნდა იყოს, მეორე: საერთო საქმისთვის უნდა შეეძლოს რევაზივით საკუთარის გაწირვა. მესამე: თავის კოლმეურნეობაში თითოეულ კაცს იცნობდეს, ვინ რის შემძლეა, რათა სამუშაო ამის მიხედვით გაანაწილოს. მეოთხე და ყველაზე მთავარი: ადამიანებში შეეძლოს რწმენის დანერგვა. აი, ეს ოთხი მთავარი ფეხი იმ სკამისა, რომელზედაც თავმჯდომარეს უხდება ჯდომა. დანარჩენი: მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე და შემდეგი, აქ ჩამოუთვლელადაც ცხადია თქვენთვის.

— შენ ის გვითხარი, რატო არ ვარგანან?!

— იმ ოთხზე გვითხარი!

— გეტყვით. ჩამოთვლილთაგან ოთხივე მშრომელი, ალალი და უღალატოა, მაგრამ შენი რწმენა რომ სხვას ჩაუნერგო, ჯერ შენ თვად უნდა იწამო. იმ ოთხიდან კი, გულახდილად გეტყვით, ვერც ერთი ვერ შესძლებს თქვენში მინავლული, ნაცარწაყრილი რწმენის გაღვიძებას. რწმენა კი ყველაფრის დედაა ამ ქვეყანაზე. უნდა გჯეროდეს, რომ არსებობს ძნელი, მაგრამ არ არსებობს დაუძლეველი. ჭალისპირს ვიცნობ. და, თქვენს წყენასაც არ მოვერიდები თუ ვიტყვი, რომ თქვენც გიცნობთ. მე არ აგიხსნით, რას ნიშნავს ეს, მაგრამ თქვენ ხომ ხვდებით რას ვამბობ? დამაცადეთ... როცა დრო მქონდა, სანიორეში გადავდიოდი ხოლმე და ვცდილობდი გამეგო, რა იყო მათი წარმატების საიდუმლოება. და მე გავიგე. იქნებ გგონიათ, მიწა ჩვენზე მეტი აქვთ?

— ხალხიც ნაკლებია იქა, კაცო!

— არა, მიწები ჩვენზე მეტი აქვთ. წელს დამატებით ხუთი თუ ექვსი ჰექტარი გატეხეს ალაზნის ჭალა. მეტი აქვთ, მაშა!

— ჭალა ჩვენცა გვაქვს ალაზანზე! ჩვენც გავტეხოთ, ვინ გვიშლის!

— მომისმინეთ: ალაზნის ჭალის გატეხვა დანაშაულია და პასუხი უნდა მოვთხოვოთ. იქ ერთი ღერი ხის მოჭ-

რაც კი დანაშაულად მიმაჩნია. ბრმა უნდა იყოს კაცი, რომელიც ვერ ხედავს რას აჩანგებს. მე რომ მეტყუევ ვიყო...

— ყველაზე მეტს თვითონ მეტყევეე-ბი ჩეხავენ!

— მასალათა და შეშათა ჰყიდიან!

— გამდიდრდნენ!

— ყელამდე გაივსნენ!

— კარგი. ეგ სატყეოს საქმეა. მაგრამ არც თქვენ მოგერიდებით, რადგან თქვენ უბიძგებთ მაგ დანაშაულისაკენ და ჩუმჩუმად არც თქვენ აკლებთ ხელს. საღამ-საღამოობით მე მინახავს, ნედლი შეშით დატვირთული თქვენი ცხენის ურმები როგორ ქურდულად შემოდიან სოფელში. ერთ-ორს კი ავუწიე ყური, მეც ჩუმად, პარტიზანულად, მაგრამ ეგ სხვა დროს... მაშასადამე, საქმე მიწის სიმცირეზე არ არი. მთავარი რწმენაა: მიუხედავად მიწის სიმცირისა (თუმცა მე არ მიმაჩნია, რომ ჰალისპირს მიწა მცირე აქვს), მიუხედავად სეტყვისა და გვალვისა, თუ ყველა ერთსულოვნად, პატიოსნად, ვაჟკაცურად, უღალატოდ, თაღლითობის გარეშე იმუშავებს კოლმეურნეობაში, ყველაფერი ბლომად ექნება და უზრუნველყოფილიც იქნება მთელი წლის განმავლობაში.

— შენ პირ შაქარი! ბრმა რასა ჩიოდა და — ორსავ თვალებსაო! — ჩვენც ეგ გვინდა!

— ეგ თუ იქნება, ვინ ძაღლი-მამაძაღლი...

— გაგვინაწილეთ სანიორელებივით და ვიმუშავებთ! მგლებივით ვიმუშავებთ!

— იმათ იგეთი თავმჯდომარე ჰყავთ!...

— ხალხიც მუშა იქა, კაცო!

— რაც მართალია, მართალია, მუშა ხალხია!

— ცოტაც მომითმინეთ. ცოტაც დამაცათ. დამაცათ-მეთქი! ეგრე! ახლა მომისმინეთ: სანიორელებისთვის მზამზარეულად არ მოსულა. მათ თავად შექმნეს. ჯერ შექმნეს და მერე გაანაწილეს. თქვენ ის ანეგდოტი გეცოდინებათ, ზარმაცმა რომ მუშაობას ცოცხლად დამარხვა ამჯობინა. მერე ვიღაცამ შეიბრალა და ერთი ტომარა ორცხობილა შესთავაზა. ზარმაცმა რომ კუბოდან თავი ამოყო და იკითხა: „დამბალია?“ კარგი. მაშასადამე, გცოდნიათ. ესე იგი, მიხვდით რა ვთქვი.

— შენ ჩვენ როგორ გველაპარაკები, კაცო, განა უგონოთა ვართ?!

— შენ მიდი, თავმჯდომარეებზე თქვი, ჩვენ ძალიან კარგად გვესმის!

— თავმჯდომარეებზეც გეტყვით: ვერ ითავმჯდომარებენ. ეს აბსოლუტური ჭეშმარიტებაა! იმიტომ, რომ რაც აქ ჩამოგითვალეთ, აქედან ერთ-ერთი მაინც არ გააჩნიათ.

— თავმჯდომარეობას რა უნდა, კაცო, მთავარია ჭამა იცოდე!

— მაგათ ეგეც არ იციან!

— ჯერ დავსვათ და ნახავთ თუ არ ისწავლიან!

— თედო დავსვათ! თედომ ყველაფერი იცის!

— მომისმინეთ! ახლა მე მომისმინეთ! ერთად ნუ ყვირით, მომისმინეთ!.. ახლა მინდა თავმჯდომარეებზე გითხრათ: აქ გამოსულმა ნიკო ბალიაშვილმა არც ისე ორაზროვნად ილაპარაკა თედო ნართიაშვილის ღირსებებზე. თუ ყველაფერი ის, რაც აქ ითქვა მაგ კაცზე, მართალია (და მეცა და თქვენც კარგად ვიცით, რომ ეს მართალია), მაშინ თედოს თავმჯდომარეობა არასგზით არ შეიძლება.

— არ გვინდა, არაა!

— ვინ არ გინდათ?!

— ნიკო არ გვინდა!

— შურით მოუვიდა!

— არ გვინდა, თქმა გაუხუნდა!

— ცილი დასწამა პატიოსან კაცს!

— კარგი, ნუ ყვირიხართ!

— დაიცა, მოვუსმინოთ!

— აბა, დააცადეთ!

— ჰალისპირელებო! მე ძია ნიკოს არ გამალებთ! მაგრამ ერთი რამ დამიჯერეთ: თედო არ უნდა იყოს თავმჯდომარედ!

შეიძლება თედოს ეგონოს, რომ სრულიად საიდუმლოდ დარჩა თავის სახლში, გაშლილ სუფრასთან მოწვეული კონსპირაციული კრებები. ანდა ალაზნის

პირზე, ფშის ჭალაში მარკოზასთვის განდობილი მიხვედრილობა ხელისუფლების „სარგებლიანობის“ შესახებ...

ჩასაბერმა შეუმჩნეველი, ჩუმი მორიდებით გახედა შიშისაგან სისხლგამშრალ თედოს.

— გეტყვით თედოზე: თედო იგეთი კაცია, წვიმა რომ ყოფილიყო, გვალვაშიც კი მარტო თავის საკარმიდამო ნაკვეთში მოვიდოდა. ღმერთი რომ ყოფილიყო და ჯავახიანთ იას გახარება მოსვლოდა თავში, სხვას ვერაფერს გაიმეტებდა: ჯერ ვირს დაუკარგავდა და მერე აპოვნინებდა... კარგად დაფიქრდით. კოლმეურნეობა პირადი საკუთრება არ არი, გულუხვობამა და მეგობრობამ საჩუქრად გაგაცემინოთ...

— მაშ უკეთესი შენ მოგვეცი!

— ჭალისპირელებო! მე ერთ კაცს ვიცნობ, რომელიც, მიუხედავად ერთი დიდი ნაკლისა, მაინც კარგი თავმჯდომარე იქნებოდა. მაგრამ ისიც ვიცი: თავმჯდომარედ არ დაგიდგებათ.

— თქვი, კაცო, იქნება დგება!

— იგეთს რას იზამს, თედომ ვერ შეძლოს?!

— რას არ გავიღებდი, რომ ეკისრნა თქვენი გაძღოლა! ეგ იგეთი კაცია, ჯოჯოხეთში რომ ჩააგდო, სანახავად მისულს ნაყინს მოგართმევს.

— ეხლა კი გავიგე ვისზედაც ამბობ!

— ვიცი, ვინც არი! დახლში თითონ იდგება და ეშმაკები მიმტანად ეყოლება!

— ეგ იქ ტარტაროზს ტახტს წაართმევს და ზედ თვითონ დაჯდება!

— არა, დიდი მადლობა, ეგეთი კაცი ჩვენ არ გვინდა!

— ისევ თედო იყოს, თედოს ვუყაროთ კენჭი!

— კუპრაჭას სასადილო ეყოფა საჭმელად, ჩვენ თედო გვინდა!

— თედო იყოს, თედო!

— კენჭი ვუყაროთ!

მდივანი წამოდგა და იკითხა:

— მოათავეთ?

შავლეგოს არ მოუხედია.

— მოათავეთ. ყველაფერს კენჭის ყრა გადასწყვეტს.

— ჭალისპირელებო! თბილისში მივდივარ. ისედაც დავიგვიანე მატარებელზე. ცოტა ხანს მომისმინეთ. სამწუხაროა, მაგრამ, რომც ეხვეწოთ, კუპრაჭა თავად არ მოვა თქვენთან. მინდა ძია ნიკოზე გითხრათ. მე საანგარიშო მოხსენებისთვის არ მომისმენია. მაგრამ ამ კაცს ვიცნობ. შეიძლება ბევრი რამ დააშავა. ამაზე პასუხი მოსთხოვეთ. ისიც გაარკვიეთ, ძროხის ამბავი. თუ ფული წაიღო, დააბრუნებინეთ. აირჩიეთ კარგი სარევიზიო კომისია და მისი თავმჯდომარე. აირჩიეთ კარგი გამგეობა. ყველაფერში კონტროლი გაუწიეთ მის მოქმედებას. პარტორგად აირჩიეთ ნამდვილი კომუნისტი. რამდენადაც ვიცი, აქ თქვენში პარტიული მუშაობა თითქმის ჩაშლილია. ყველაფერი თვითდინებაზეა მიშვებული. ყველაფერს თავმჯდომარე განაგებს ერთპიროვნულად. ბრიგადირებისა და დანარჩენთა ინიციატივა დაკარგულია! აღადგინეთ ყველაფერი, და ნიკო კარგი თავმჯდომარე იქნება!

— არ გვინდააა!

— არ გვინდააა! შეგვჭამეს ბალიაანთ!

— თედო ასჯერა ჯობია მაგას!

— თედო გვინდააა!

— კენჭი ვუყაროთ! თედოს ვუყაროთ კენჭი!

— მომისმინეთ, ხალხო!

— არ გვინდაა!

— თედოს უყარეთ!

— დამაცათ, ხალხო!

— არა, არ გამოვა! თედო უნდა ავირჩიოთ!

შავლეგომ წარბი შეიკრა. ასწია ყუთებიანი სკამი, სადღაც ბოლოში გაიტანა და მობრუნდა.

„ჩემი ბიჭები სდუმან, მაშასადამე, ვერ გამიგეს. უმაგათოდ გამიჭირდება!“

შუა სცენაზე გამოვიდა, ფეხები განზე გადგა და საშინელი ხმით დაიჭექა:

— დაწუნარდებით თუ არა, თქვე ეშმაკის კერძებო?!

— არ გვინდაა!

— არ გვინდააა!

— არა, არ დავწუნარდებით!

— მოგვეცით თედო!

— შენ ჩვენ თვალებს ნუ გვიხვევ! თედო გვინდააა!

— თქვენცა თქვით, ხალხო! თედო გვინდააა!

შავლეგომ გულხელი დაიკრიფა და თავი ჩაჰკიდა.

„პარტერის“ ყვირილსა და ღრიალში მაინც გაარჩია მდივნის „მეგობრული“ რჩევა: დაეტოვებინა სცენა, რათა მატარებელზე არ დაჰგვიანებოდა.

ეს უკვე მეტისმეტი იყო!!!

და უცებ მიიღო გადაწყვეტილება!

მკვეთრად მოტრიალდა, პირისპირ მთელი თავით ასცილდა მდივანს და რიცხვშეუგდებ პრეზიდიუმს უღრიალა:

— ჩასაბერო! მე ვიქნები ჭალისპირის კოლმეურნეობის თავმჯდომარე! დაასახელეთ ჩემი კანდიდატურა!

და პარტერმა უცებ პირი დააღო! გაოცებამა და გაურკვევლობამ სულ დაადუმა.

პრეზიდიუმში საშინელი რამ ხდებოდა: რაღაც სიგიჟის, რაღაც სიცოფის, რაღაც წარმოუდგენელის ნაზავი. ჯერ გაგლეჯილი კამხალივით იგრიალა, მერე თვალის დახამხამებაში აიჯაგრა, ჯოჯოხეთური ხმაურით მიმოყარა სკამები აქეთ-იქით, შემდეგ მოვარდნილი ზვავივით წამოვიდა, ეცა პარტერს და შიგ გაიშალა!...

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიხეილ ლუკონინი

# აუცილებლობა

აუცილებლობავ —
    არც ჟინიანობა,
არც მონაგონი ხარ,
    არც ნაეშმაკარი,
არც ცირკულიარი —
    მოსული წყალობად,
თორემ რა იოლად
    დაგძლევდა ფანქარი!
მაშ რა ხარ, გეთაყვა,
    თქვი, გეტყვი მადლობას.
რას მერჩი ერთავად,
    რად მოლი ადევნებით?
ვით აუცდენლობა,
    ვით გარდუვალობა, —
აუცილებლობავ
    ხვალის გათენების.
და ისევ შენთან ვარ,
    ვსაუბრობთ მარტონი,
აღარც კი მახარებს
    ჩემივე ნათქვამი,
აუცილებლობავ
    ასაკის და დროის,
მეტს ითხოვ,
წინ მიხმობ
    და შენ ხარ მართალი.
მკრთალდება და მიდის
    სიყალბე აფიშის.
მოიწევს და სულში
    გუბდება ტკივილად
აუცილებლობა
    სასტიკი გათიშვის
სახეზე დამჩნეულ
    დაბნეულ ღიმილთან.
მომხედეთ, ზეიმის
    და სიმწრის წუთებო,
მშვიდობის სიზმრებო,
    სიკვდილის სერობავ,
დიდი წრე არასდროს
    შეიკვრის უთქვენოდ —
თქვენით ვცან სიცოცხლის
    აუცილებლობა.
აუცილებლობა
    ჩურჩულის,
        კივილის,
აუცილებლობა
    გზების და წანწალის!
როგორ შევაჩერო
    მე შენი სირბილი...
არ ძალმიძს...
    შენთან ვარ
უძლურიც, საწყალიც.
ჯადოსნურ წრეში ხარ
    და მაინც მომყვები,
ერთ ყლუპად დასალევ
    წყალივით დაგლევდი,
აუცილებლობავ
    მტრობის და მოყვრობის,
აუცილებლობავ
    ბედის და ავბედის.
აუცილებლობავ
    ჩემი გზის გაგნების,
აუცილებლობავ
    დავის და კამათის,
აუცილებლობავ

ჩემი ხმის გაღების —
ჩემს თავზე კი არა,
სხვათა მისამართით.
აუცილებლობავ
ჭორებში ყოფნისავ,
და გამშრალ ტუჩებზე
ღიმილო, დაცინვავ,
აუცილებლობავ
აპრილის ვოლგისავ,
ვისგანაც მზის სიცხე
გამომიტაცია...
მომხედე,
უღმერთო
წყურვილმა
მაჯობა,
ვთავდები,
მიშველე,
აუცილებლობავ!
დამაშვრალს წყურვილი
მრავალჯერ მახრჩობდა
და ახლაც იგივე
ის წუთი მეცნობა.

და ახლაც, ისევე,
ცხოვრების წესივით,
მოვა და თავისას
წამიყვანს გაჩენილს —
აუცილებლობა,
როგორც პოეზიის
ძლევამოსილება —
ჩემი გადამრჩენი.

თარგმნა **ოთარ ჭელიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლ ჩიქოვანი

# რიგითი რიაშენცევი

## ოდიშური მოთხრობებიდან

1857 წლის ზაფხულის შუადღის პაპანაქება იდგა. ჰაერი არ იძროდა, ფოთოლი არ ირხეოდა. ბუღი ოდიშის ბარსა და ლაკადას ერთნაირად ხუთავდა. სოფლები ჩამკვდარი იყო, ფაცხები და ჯარგვლები გამოკეტილი. ადამიანი არსად ჭაჭანებდა.

ბლაოდნენ აქა-იქ დარჩენილი და მიტოვებული მოუწველავი ძროხები, კიკინებდნენ თხები და ცხვრები, კრიახებდნენ მშიერი ქათმები, ხრინწიანად ყიოდნენ მისუსტებული მამლები.

ხელკეტ და აბჯარ-აბგრით შეიარაღებული ოდიშის ყმები ფეხზე იდგნენ. სამთავროს აჯანყებით შეშფოთებული ეკატერინე დედოფალი ქვაშხორში იყო გახიზნული. ანგელოზდამფრთხალი ბევრი თავადი და აზნაური აფხაზეთს, სვანეთს, იმერეთსა და გურიას აფარებდა თავს.

სამთავრო უტუ მიქავას ჯარს ეპყრა. ჯარი ხალხმა შეარქვა, თორემ ქალისა და კაცის, ჭაბუკისა და მოხუცის, ბავშვისა და ჩვილის ერთად შეყრილი ურდავი იყო.

ეს ძალადობით, ძარცვა-გლეჯით უკიდურესობამდე მისული, ანწუხზე აგებული, გალატაკებული ხალხი, ბატონებს რომ გამოექცა იმ იმედით, დედოფალი შეგვიწყნარებს, შეგვივრდომებს და თავად-აზნაურებს ლაგამს ამოსდებს, უსამართლობის, უკულმართობის უღელს აგვხსნის, ხაჯალურებსა და ხუნდებს აკრძალავს, უკანასკნელ ლუკმას შეგვარჩენს, ადამის ჟამიდან მამა-პაპათგან დადგენილ წეს-ჩვეულებას აღგვიდგენს და მოწყალების კალთას გადაგვაფარებსო.

მაგრამ დედოფალმა ჰაშა ჰკრა—კალთა მიაბერტყა ყმებს, აინუნში არ ჩააგდო თავისი სამწყსოს ყმათა ტკივილ-ჩივილი, ომარ-ფაშას მიერ გაჩანაგებული სამთავროს აღსადგენად აუტანელი ბეგარა და ღალა დაადო, არც მისთვის მიყენებული ზიანი დაივიწყა და ამან დამწვარზე მდუღარე დაასხა, ავი ქარი დასცა ისედაც გაწამებულ, აკლებულ ყმებს. გლეხებმა ხატზე დაიფიცეს, მხარი მხარს მივცეთო და ბატონებისა და დედოფლის წინააღმდეგ ამხედრდნენ, ძალას ძალა მიუგეს, შეერთდნენ, შედულაბდნენ.

მდივანბეგებსა და მოურავებს ამ ძალის დათრგუნვა რომ არ შეეძლოთ, ამაში დედოფალი მალე დარწმუნდა და ქვაშხორიდან ქუთაისის გუბერნატორს, გენერალ-მაიორ ნიკოლოზ კოლუბიაკინს მისწერა, აჯანყებულ ყმათა დასასჯელად რუს კაზაკთა ჯარი მომაშველეო.

უტუს ჯარი სოფელ შხეფის ტრიალ მინდორზე იდგა ბანაკად. მინდორი უღრან ტყეს ეკვროდა, ტყე ურთას მთას ასდევდა. ჯარი დიდ მანძილზე იყო გაშლილი. ალაგ-ალაგ წნელის სახელდახელოდ შედობილი ფაცხები. შინ ნაქსოვი, დაკენკილი ტილოს კარვები მოჩანდა.

ფაცხებსა და კარვებს შორის ურმები იდგა. იქვეება ცხენები, ძროხები, კამეჩები, თხები და ცხვრები, ფქვილი ეყარა გუდებში და ტომრებში, ლობიო და ხახვი კალათებში, ხურჯინებში, ხმელი თევზი, ხორცი თოკებზე ეკიდა.

ელაგა და ეყარა ჭურჭელი: ხის ჯამები, გობები, დერგები, საცრები, კოკები, დოქები და თუნგები, ქვაბები და კარდალები, ეფინა ხალიჩები, ჭილოფები, ნაბდები. ზედ ჭუჭყით შეჭმული, ტანისამოსშემოძარცული, გაოფლიანებული ძუძუთა ბავშვები იწვნენ ან დაღოღავდნენ. ზოგი მთლად დედაშობილა იყო. ტიროდნენ, ჩხაოდნენ მშიერნი და მწყურვალნი, მაგრამ მათთვის არავის ეცალა. დედები საქმით იყვნენ გართული.

ფაცხებთან და კარვებთან ცეცხლი ენთო. წვავდნენ და ხარშავდნენ ხორცსა და თევზს, ლობიოსა და ფხალს, ეკალასა და ჭინჭარს, აცხობდნენ ჭვავის პურსა და მჭადს, ხარშავდნენ ღომს.

იდგა გამაყრუებელი ყაყანი. ერთგან ილხენდნენ, მღეროდნენ, ცეკვავდნენ, მეორეგან იგინებოდნენ, იწყევლებოდნენ, მოთქვამდნენ, ტიროდნენ, მესამეგან თავ-თავის ჭირ-ვარამს შესჩიოდნენ ერთმანეთს, მეოთხეგან დაჭრილებს უვლიდნენ, ავადმყოფებს წამალს ასმევდნენ, უქონელს, მშიერს უმასპინძლდებოდნენ.

ადამიანი და პირუტყვი ერთმანეთში ირეოდა.

ბანაკს ცხენოსანი მზირები უვლიდნენ.

უტუმ ოდიშის ყველა კუთხიდან აქ შეკრიბა ყმები, რომ კოლუბიაკინის ჯარს ერთი ძალით დახვედროდნენ. მინდვრის შუაგულში, ჭადრის ქვეშ, კუნძზე იჯდა უტუ. მის წინ ათისთავები და ასისთავები ისხდნენ მდელოზე. მკლავზე წითელი ნაჭერი ეხვიათ.

უტუ ახალუხის ამარა იყო, წითელი ნაჭერი მას ქუდზე ეკერა, წელზე სატევარი და ხმალი ერტყა, თოფი მუხლებში ჩაედგა. მაღალი, ხმელ-ხმელი, როგორც ყველა მჭედელი, მხრებში ოდნავ მოხრილი, უროსავით მძიმე და ღონიერი ხელები, ბავშვობიდან სამჭედლოში მუშაობით დაძარღვული და გამჭვარტლული,—მოსვენება რა იყო, რომ არ იცოდნენ და გრდემლს გაცივებას არ აცლიდნენ, — მშვიდად ედო თოფზე. მაგარი ქვედა ყბა, ორბის ცხვირი და გამჭოლი თვალები, ერთმანეთში გადახლართული, ბურჩხა, გრძელი წარბები, მორჩილებასა და მორიდებას გვრიდა გულადსა და მხდალს, თავადსა და აზნაურს.

— გენერალი კოლუბიაკინი ქვაშხორშია თავისი რუს კაზაკთა ჯარით,— ლაპარაკობდა უტუ დაბალი, ბოხი ხმით, ცდილობდა მღელვარება დაეფარა. — დედოფალთან დიდხანს არ დააყოვნებს და ჩვენკენ გამოსწევს. არ ვიცი, რა განზრახვით მოდის გენერალი, ამიტომ ჩემი ნიშნის მოცემამდე არაფერი იღონოთ! ქალი და კაცი ერთ პირზე დავდგეთ! იქნებ დედოფალს შერიგება სურს. თუ დაზავებისათვის მოდის კოლუბიაკინი, ჩვენი ბედშაობა ვუთხრათ და შველა ვთხოვოთ...

— არა, უტუ, დედოფალი მოსარიდებლად რუს კაზაკთა ჯარს არ გამოგზავნიდა. ჯარი ჩვენს დასარბევად მოდის, წინა რიგში მჯდარ ასე ოცდაერთი-ოცდაორი წლის საშუალოზე მაღალ, გამხდარ და სახეკუშტ ჭაბუკს, ჯურუმია ჯიქიას, როგორც ყოველთვის, როცა გულისყურის მოკრეფა უნდოდა, სახე შეეჭმუხნა. არ უნდოდა უტუსთვის სიტყვა მოეჭრა. უტუ აჯანყების

თავკაცი იყო, ჯურუმია მასთან სამჭედლოში მეწყვილედ მუშაობდა და მამად მიაჩნდა, მაგრამ მაინც ვერ შეიკავა თავი.— რუსხელმწიფის გენერლისაგან ჩვენი დანდობა არ იქნება, ისე, როგორც ბატონებისგან ყმების შეწყნარება არ გაგონილა, ვიდრე მათ სისხლს არ დავღვრით, არა გვეშველება რა.

— უნდა დავიცადოთ, ჯურუმია, — სიტყვა ჩამოართვა უტუმ. — თუ სამტროდ მოდის გენერალი, ჩვენც მტრად დავხვდეთ, შავი გული ვუჩვენოთ, — უტუს ხმაში არც მუქარა ისმოდა, არც ტრაბახი, მჭედლის სიდინჯითა და სიდარბაისლით ლაპარაკობდა. — ომარფაშას კუდით ქვა ვასროლინეთ და ერთი გენერლის ჯარს როგორ ვერ დავრევთ! თავი არ დავზოგოთ, დავიხოცოთ და კოლუბიაკინს თავზე ბრე არ დავაყრევინოთ! — გაჩუმდა, გადახედა ათისთავებს და ასისთავებს, შეხედა ჯუმურია ჯიქიას და რა დაინახა მისი მკაცრი, შეუპოვარი სახე, ეამა, განაგრძო: — ახლა დაიშალენით, თქვენ თქვენს გუნდს მიაშურეთ და გადაეცით, რაც გითხარით, რომ ყველაფრისთვის მზად იყვნენ.

ათისთავები და ასისთავები წამოიშალნენ.

უტუს კოლუბიაკინი ქვაშხორში ეგულებოდა, მაგრამ მან უკვე ტეხური გადალახა, შხეფი უკან მოიტოვა და უტუს ბანაკისაკენ მიისწრაფოდა, ულაყი დაოთხილი მიჰყავდა, მედიდურად მიუძღოდა ჯარს.

გენერალს გზაზე დიდგვაროვანი თავადები — ბედიები, ლიპარტიანები, ჩიქვანები, ანჯაფარიძეები, ხეციები, ჭილაძეები, ჩიჩუები ეგებებოდნენ მოწიწებითა და პირზე ღიმილით.

კოლუბიაკინი ქუშად ესალმებოდა მათ.

თავადებს გენერლის ასეთი თავაზი გულზე ნისლად შემოაწვათ, გუნება წაუხდათ, ფერი ეცვალათ, კარგის მომასწავებლად არ ეჩვენათ და შორიახლო გაჰყვნენ.

უტუს შორით მდგარმა მზირებმა ადრე დალანდეს შხეფის გზაზე ავარდნილი სქელი მტვერი. მყის ადგილს მოწყვიტეს ცხენები და იქით გაიჭრნენ. სათოფეზე რომ მიუახლოვდნენ, თვალი მოიჩრდილეს და მტვერში ბუნდოვნად დაინახეს რუს კაზაკთა ჯარი. ცხენები შეაბრუნეს და ბანაკისაკენ გაენთნენ.

კოლუბიაკინს მზვერავები მიუძღოდნენ, მათაც შენიშნეს უტუს მზირები და გენერალს მოახსენეს, უტუ მიქავს ბანაკს ვუახლოვდებითო...

რუს კაზაკთა ჯარი ერთ ვერსზე მიუახლოვდა უტუს ურდავს. კოლუბიაკინმა მაღალ ბორცვზე შეაგდო ულაყი. ბორცვიდან ხელისგულივით გადაეშალა ბანაკი.

უტუმ ჯარი სამხედრო წესზე განალაგა და შორიდან ერთი ორად მოჩანდა ცხენენჯი და ქვეითი. წინ აბჯრით შეთოფიარაღებული მხედრები ეყენა. ისინი ქვეითებზე ბევრად მეტნი იყვნენ. უკანანი შორს გაფანტა მინდორზე, მოხუცები, მოზარდები და მოზრდილები, ბავშვიანი ქალები. მაგარმ ისინიც ბორცვიდან მეომრებად ილანდებოდა.

გაოცდა კოლუბიაკინი, ბრბოს ელოდა და შეაბჯრული ცხენენჯი და ქვეითი ჯარი დახვდა, აჯანყებულთა მცირე ხროვას ელოდა და თავის რუს კაზაკთა ჯარზე ათჯერ მეტი ლაშქარი დაინახა. პირს კატა ეცა გენერალს.

კოლუბიაკინის ჯარი თუმცა კარგად იყო გაწვრთნილი, მთიელ კავკასიელთა ბევრი აჯანყებაც ჩაუქრია, თავით ფეხთამდე იარაღში იჯდა, მაგრამ უტუს ნახევრად ხელკეტით, წალდით, ცულით, ფიწლით, ცელით და ნახევრად თოფდამბაჩით, ხმალ-სატევრით შეიარაღებულმა ლაშქარმა მაინც დაზაფრა. ამიტომ გენერალმაც ხერხი და ფინდი იხმარა: ოფიცრებს უბრძანა, ჯარი მინდორზე ისე განალაგეთ, რომ ოდიშელებს თვალში ნაცარი შეაყაროთ, ბევრად-ბევრი მოეჩვენოთო.

— ეს ბრბო კი არა, მთელი არმიაა, —

უთხრა გენერალმა მის უკან მდგომ ჯარისკაცს, ივანე რიაშენცევს, რომელსაც გვერდიდან არ იშორებდა.

ბატალიონში ყველამ იცოდა, რატომ ექცეოდა გენერალი ჯარისკაცს მამაშვილურად, რატომ ავალებდა იმას, რაც წესითა და რიგით ოფიცრისთვის უნდა დაეკისრებინა. იცოდნენ, რომ ივანე რიაშენცევი ოფიცრის წოდებიდან ჯარისკაცად იყო ჩამოქვეითებული.

რიაშენცევს მოსკოვის უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული, იმ დროის მოწინავე, პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდობას ეკუთვნოდა. ეს ახალგაზრდობა აღტაცებული იყო გერცენის რევოლუციური შეხედულებებით. ივანემ იცოდა, როგორი გულისტკივილით შეხვდა იგი 1848 წლის ივნისის პარიზის მუშათა აჯანყების დამარცხებას, როგორ თანაუგრძნობდა საფრანგეთის პროლეტარიატს.

პროფესორები და ამხანაგები ბრწყინვალე მომავალს უქადდნენ რიაშენცევს სამეცნიერო ასპარეზზე, მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად მან სამხედრო კარიერა აირჩია. მაშინ ჯარში ჯერ კიდევ ტრიალებდა დეკაბრისტთა სული, მათ გმირობას, თავდადებას თაყვანსა სცემდნენ, აღმერთებდნენ, დეკაბრისტები ფეტიშად ჰყავდათ ქცეული.

ივანეს მაშინვე პრაპორშჩიკის წოდება მიანიჭეს, შემდეგშიც სწრაფი დაწინაურება ელოდა, განათლებულს, ზრდილსა და მამაც ახალგაზრდა კაცს. მაგრამ იგი გერცენის და ოგარიოვის იმ დროის ახალგამოსულ „კოლოკოლს“ ავრცელებდა ოფიცრებში და მალე ვიღაცამ დაასმინა. ოფიცრის წოდება აჰყარეს, ჯარისკაცად ჩამოაქვეითეს და საქართველოში ერთ-ერთ სახაზო ბატალიონში გაამწესეს.

კოლუბიაკინი რიაშენცევის ოჯახს მეგობრობდა. ივანეს მამა დიდი მეცნიერი იყო, არც გერცენისა და არც ოგარიოვის რევოლუციურ შეხედულებებს და არც შვილის აზრს არ იზიარებდა.

ივანეს ნაცნობ-მეგობრებმა იცოდნენ, რომ ის მამის კონსერვატიულმა თვალსაზრისმაც შეიყვანა სამხედრო სამსახურში. კოლუბიაკინმა რომ გაიგო მისი ამბავი, შეწუხდა, ივანე ტფილისიდან ქუთაისში გადმოაყვანინა, დაიახლოვა, ხშირად შინ პატიჟობდა. გენერალთან ივანე ყოველთვის შესანიშნავად შეკერილ, ახალ მოდურ, ძვირფასი ქსოვილის კოსტუმში გამოწყობილი მიდიოდა. სტუმრებში — ქუთაისის რჩეულ არისტოკრატიაში რიაშენცევი დიდი პატივისცემით სარგებლობდა.

კოლუბიაკინი ყოველ ღონეს და საშუალებას ხმარობდა, რათა საბაბი მისცემოდა მეფის წინაშე ეშუამდგომლა რიაშენცევისათვის ოფიცრის წოდების დაბრუნების თაობაზე. თავი რომ გამოეჩინა, საგანგებო დავალებებს აძლევდა, როგორც გონიერ და უშიშარ ჯარისკაცს.

ივანე უკვე გიორგის ჯვრითა და რამდენიმე მედლით იყო დაჯილდოებული...

რიაშენცევი უფრო ახლო მივიდა გენერალთან.

—მართლაც არმიაა, — უთხრა კოლუბიაკინს. — თითქოს მთელი დედამიწის პირიდან მომსკდარი ხალხი აქ შეყრილაო. თანაც უმეტესობა ცხენოსანია. ამბობენ, ოდიშელები ცხენებზე არიან გაზრდილი და ცხენით ბრძოლა ემარჯვებათო.

— იმასაც ამბობენ, არც ქვეითად იბრძვიან ურიგოდო. ეს ერთი მუჭა ხალხი თურმე ბრეს ადენდა თურქებს. გახსოვთ, ამას წინათ ომარ-ფაშას რომ შავი დღე გაუთენეს!..

როგორც კი ოფიცრებმა ჯარი განალაგეს, კოლუბიაკინი ბორცვიდან დაეშვა და ბანაკისკენ გაუძღვა. უტუ თავისი ხალხით წინ შეეგება. ასი ადლის მანძილზე რომ მიუახლოვდნენ ერთმანეთს, შედგნენ.

უტუ ყმების წინ იდგა. თავის ქურანზე ამხედრებული. უკან ცხენოსანი ასისთავები ეყენა. ერთ ხანს ორივე მხარე დუმდა. სიჩუმეს მხოლოდ ბავშვების ჰყვიტინ-სხრიალი არღვევდა.

გენერალი უცდიდა, რას იტყოდა ხალხი, უტუ უცდიდა, რას იტყოდა კოლუბიაკინი. შეშინებული ძაღლი მთვარეს უყეფს. ველარ მოითმინა გენერალმა, აბჟანდებზე წამოიწია, პირველმა დაარღვია დაჭიმული დუმილი.

— ქუდი მოიხადეთ! — შეჰყვირა მრისხანე, მაგრამ შინაგანი, შეშფოთებული ხმით.

თარჯიმანმა მისი ბრძანება ისეთივე მრისხანე ხმით გაიმეორა, ოღონდ ფარული ტკივილით, და სახეზე ღრუბელი გადაეფარა.

არავინ განძრეულა. ყველა უტუს უყურებდა.

კოლუბიაკინმა წარბები შეჰყარა, უფრო მრისხანედ გაიმეორა ბრძანება.

უტუ თავაწეული იჯდა ცხენზე, გენერალს არ უყურებდა, მის ჯარს უცქეროდა. რუს კაზაკები ისე ოსტატურად იყვნენ გამწკრივებული, რომ უტუს გამოცდილი თვალიც კი მოტყუვდა და ჯარი ბევრად მეტი ეჩვენა, თან ისეთი საჭურვლით შეარაღებული, მის ლაშქარს თვალით რომ არ ენახა.

„ვაი, თუ ვერ დავრიოთ!.. — დაეჭვდა უტუ. — და ამაოდ ჩავვარდე ამდენი ბავშვისა და ქალის ცოდვაში!.. უნდა დავიცადო, იქნებ რა უდევს გულში გენერალს!.. ქუდი კი უნდა მოვიხადოთ... რა ვუყოთ, რომ გვიბრძანა!.. გენერალია, დაჩვეულია ბრძანებას... ქუდის მოხდას ადათითა და წესით ჩვენ თვითონ უნდა მივმხვდარიყავით, მაგრამ მტრის წინ ქუდს არ იხდიან.. რუსხელმწიფის გენერლისაგან ჩვენი დანდობა არ იქნებაო, კარგად თქვა ჯურუმიამ... უნდა დავიცადოთ“. — ნელა ასწია ხელი და ქუდი მოიხადა.

უტუ ზურგით იდგა ხალხისაკენ, მაინც იგრძნო, მის უკან ჩამწკრივებულმა ასისთავებმა ყოყმანით, მძიმედ მოიშიშვლეს თავი , შემდეგ ათისთავებმა, მარჯვნივ და მარცხნივ მოიხადეს, სხვებმაც ქუდი და ყაბალახი.

გაშტიალებულ მზეზე ალაპლაპდა მელოტი თავები, გაბრწყინდა ჭაღარა, აბზინდა, აკიაფთა შავი ქოჩორი. თვალები კი სუსხიანი და ცივი დარჩა.

გენერალმა შუბლი გახსნა, შიში შეუნელდა, გული მოეცა.

— ახლავე დაქვეითდით! — შესძახა უფრო ხმამაღლა.

ამას აღარ ელოდა უტუ. ცეცხლი შემოენთო.

ხალხში ჩუმი დრტვინვა გაისმა.

ლაშქრის დრტვინვამ უფრო გაამწარა მათი თავკაცი. ნაღველი მოერია.

— არ გესმით?! დაქვეთდით-მეთქი! — ახლა მუქარაც შეიკიდა გენერლის ხმამ.

უტუს გონება გამალებით მუშაობდა. დაყოვნება აღარ ივარგებდა.

„თუ ახლავე არ შევერკინეთ, ისინი დაგვასწრებენ“.

იცოდა, ხალხი მას უცდიდა, იცოდა, რომ ყველა — ქალი და კაცი მზად იყო შეტაკებოდა კოლუბიაკინის ჯარს.

„არა, არა. სჯობს დავიცადოთ“...

ცხენიდან უხერხული მოძრაობით ჩამოხტა.

ქურანმა, თითქოს იგრძნო პატრონის ტკივილი, მჭახედ დაიჭიხვინა, თავი უკმაყოფილოდ აიქნია, მიწას რამდენჯერმე დაჰკრა ტორი.

ხალხი უტუს მიაჩერდა, მერე ერთმანეთს გადახედეს, ბოღმითა და ჭმუნვით ნელ-ნელა დაქვეითდნენ, სიმწრით გაბოროტებულებმა თავი ჩაღუნეს.

კოლუბიაკინმა გრძელ, ძირს დახრილ ულვაშებში ჩაიღიმა, ქუდი მოიხადა. თხემი მოტიტვლებული ჰქონდა, კეფაზე და თავის ირგვლივ ჩამოშვებული გაფშეკილი თმა, ოფლისაგან ზედ ეკრა. მელოტზე ცხვირსახოცი მოისვა, ოფლი ქუდშიაც ამოიწმინდა და დაიხურა.

ჯურუმია, მისი უმცროსი და ხათუ და მათ გვერდით მდგარი ოცამდე ახალგაზრდა მხედარი არ ჩამომხტარან

ცხენიდან, არ მოუხდიათ ქუდი. და-ძმა ერთმანეთის გვერდით იდგა.

ხათუ — მომცრო ტანისა იყო, ოდნავ ჰორფლიანი, სუსტი, ნაზი, მაგრამ მკვირცხლი. ჩითის ჭრელი კაბა ეცვა, გრძელი თმა ზურგზე ეყარა, ნაწილი ნახევარ სახეს უფარავდა. მომწვანო თვალები თმიდან ისე გამოიყურებოდნენ, თითქოს ცეცხლს ჰყრიდნენო. ჯიუტი, უტეხი შუქი ეფინა სიცხისაგან წამონთებულ სახეზე. ისე მოხდენილად, ბიჭურად იჯდა ცხენზე, თვალს ვერ მოაშორებდი და თითქოს ცხენსაც მოსწონდა თავი ასეთი მხედრით, ყურებდაცქვეტილი და თავაწეული, ამაყად აბრიალებდა წყლიან, მსხვილ თვალებს და წვრილ, ლამაზ ფეხებს წარამარა ინაცვლებდა.

ხათუ და ჯურუმია გარეგნულად არაფრით არ ჰგავდნენ ერთმანეთს, მაგრამ შეხედავდი თუ არა, იტყოდი, დაძმააო.

ჯურუმია და ხათუ გამოექცნენ იმათ, ვინც ქედს ახრევინებდა, ქედს ახრევინებდა მათ დედ-მამას, ბაბუს, პაპას, დებსა და ძმებს, ნათესავსა და მეზობელს, ახლობელსა და მისხის მისხს, ყველა ყმასა და ყველა გლეხს.

გამოექცნენ ხუნდებსა და ქანჩებს, ხაჯალურებსა და დადიანურებს, ჯაჭვებსა და ბორკილებს, რომ არასოდეს არ მოეხარათ ქედი ბატონების წინ. ამიტომ შეიკრიბა უტუს ჯარი, ამიტომ მისცეს მხარი მხარს, ამხედრდნენ, აჯანყდნენ, პირი შეჰკრეს.

ახლა გენერლის ბრძანებით ქედმოხრილი დგას ეს ხალხი, მორჩილი დგას უტუ, აჯანყების მოთავე. ჯურუმიას წარდგენით აირჩია უტუ ხალხმა წინამძღვრად.

„რა ჰქნა, ზურგი შეგვაქცია, დანა ღორის კუდზე გადატეხა, ხელ-ფეხი შეგვიკრა, თავზე ნაცარი დაგვაყარა. ნუთუ ორივე მხარეზე კერავდა?!“

ეჭვმა აიტანა ჯურუმია, უცებ გიჟური აზრი დაებადა: უნდოდა დამბაჩა დაეძრო და დაეხალა უტუსთვის, მაგრამ ეს საქმეს ვერ გარანდავდა, ლარს ვერ გაიტანდა.

„რამდენს უნდა დავახალო ტყვია? მთელ ფარას, ცხვრებივით რომ მიჰყვა თვითონ ცხვარს! როგორ შევცდი, უტუ ჯიქი მეგონა, ის კი...“

ნაცნობი სურათები დაუდგა თვალწინ, მღელვარებისაგან და რისხვისაგან გონება დაენისლა, მაგრამ მაინც ხედავდა, როგორ მიერეკებიან ბატონები და მათი მოურავები გასაყიდად ყმებს — ქალსა და კაცსა, ბავშვსა და მოზარდს, ძაღლებზე და ცხენებზე ცვლიან... ხედავდა, სიკვდილის პირამდე მისულ, ხაჯალურებსა და ხუნდებზე დასმულ ყმებს, მათ ცეცხლმოდებულ ფაცხებსა და ჯარგვლებს, ხმლით აჩეხილ, ჯაჭვით დაბმულ, თვალებდათხრილ ყმებს, ხედავდა, როგორ ართმევდნენ ბატონები და მოურავები საქონელს, მსხვილფეხსა და წვრილფეხს, ფრინველს, ხორბალს, ჭვავსა და სიმინდს...

ტვინი უდუღდა ჯურუმიას, სიმწრის ოფლი ასხამდა. ხედავდა, როგორ გარბიან ყმები თავის სახლ-კარიდან, ხედავდა, როგორ ხოცავენ თავიანთსავე საქონელს, ჩეხენ ვენახებს, ხეხილს, ცეცხლს უკიდებენ ყანებს...

ყმებს წინ ეღობებიან ხმალამოწვდილი ბატონები და მოურავები, მაგრამ მათ ვერაფერი აკავებს. გარბიან ბავშვახუტებული ქალები, გარბიან კაცები, ახალგაზრდები და მოხუცები, ერთდებიან, აქეზებენ, ამხნევებენ ერთმანეთს, ცეცხლს ჰყრიან პირიდან, ემუქრებიან ბატონებსა და მოურავებს, დედამიწის ზურგიდან აღგვას უპირებენ, ღვთის რისხვას აყრიან, ცის ჩამოტანას ლამობენ და ახლა ეს ხალხი ქედმოხრილი იდგა გენერლისა და ბატონების წინ.

ბატონებს კი თავს დორვანი დაეცათ, სახე უბრწყინავთ, მიწაზე აღარ დაეტევიან აწი, მთლად გადაგვჭამენ...

კოლუბიაკინმა ჩაახველა:

— თქვენთან დედოფალმა გამომგზავნა, — ისევ ჩაახველა. — თავს გასუ-

ლხართ და სამთავროს გამგებელს აღდგომიხართ, არც ბატონებს ემორჩილებით, ბეგარაზე უარს ამბობთ, ღალას არ უხდით, თავს ესხმით, აწიოკებთ, ძარცვავთ და ღლეტავთ, ეგზომ წაგიგდიათ ლაგამი, თქვენს ჭკუაზე გინდათ მართოს დედოფალმა სამთავრო, — კიდევ უფრო მეტად აიწია აბჟანდებზე, წინ გადაიხარა, კისერი წაიგრძელა და ძლიერი მუქარის ხმით განაგრძო: — მე იმისათვის მოვედი, რომ რკინის ლაგამი ამოგდოთ!

თარჯიმანმა იმავე კილოზე, ისეთივე რისხვითა და მუქარით, მაგრამ კვლავ ფარული გულისტკივილით გაიმეორა გენერლის ნათქვამი.

ურდავი დუმდა, თავი არავის აუწევია. კოლუბიაკინს ხალხის პასუხის მაგივრად ბავშვების ტირილ-სხრიალი შეესმა. ამან უფრო გააანჩხლა. თავშეუკავებელი კაცი იყო, ცოტა რამეზე თოფის წამალივით აფეთქდებოდა. რიაშენცევმა კარგად იცოდა კოლუბიაკინის ხასიათი და მაინც გაუკვირდა, ბავშვების ტირილმა წკიპზე რათ შეაყენაო.

ჯურუმია თვალანთებული, დაცეცებული უყურებდა ხალხსა და უტუს.

— რატომ ხმას არ იღებთ?! — თავს გავიდა, გათამამდა გენერალი. — ან ახლავე დაიშალეთ, იარაღი ჩაგვაბარეთ და თქვენს ქოხებს დაუბრუნდით, ან თქვით, რა გინდათ!

ხალხის უკანა რიგებიდან ბერიკაცი გამოვიდა. ცალ ხელში ყაბალახი ეჭირა, ცალში კაჟიანი თოფი. ნელა, მოხუცის ნაბიჯით გაეშურა კოლუბიაკინისკენ, ჩაუარა ხალხს, ჩაუარა ასისთავებს. უტუს და გენერლის წინ შეჩერდა.

ჯურუმიამ და ხათუმ ერთმანეთს გადახედეს. მოხუცი მათი ბაბუა იყო, კოჩა ჯიქია.

— შენ ბრძანე, ბატონკაცო, — დაიწყო კოჩამ, ისე რომ გენერლისათვის არ შეუხედავს. — იმისთვის მოვედი, რკინის ლაგამი ამოგდოთო. მაშ ეს ცხოვრება და ეს ქონება ამ ქვეყნად მარტო ბატონების ყოფილა!

შეირხა ურდავი. თავზე ტალღასავით გადაურბინა გამამხნევებელმა წამოძახილებმა, თავი ასწია ქალმა და კაცმა და თვალი კოჩას მიაპყრო.

— ჩვენ კი ნოეს მტრედად გელოდით, გვეგონა, რკინის ლაგამს ბატონებს ამოსდებდი... გვეგონა, იმიტომ მობრძანდით, ღამე გაგვითენო, ჩვენს გაჭირვებას პირი მოწმინდო, შენ კი...

— რეებს ბედავ, მოხუცო! — შეაწყვეტინა სიტყვა კოლუბიაკინმა.

კოჩამ თვალი გაუსწორა.

— კი არ ვბედავ, გეუბნები, როგორც ტოლი ტოლს, კაცი კაცს... ჩვენ კი არ გავსულვართ თავს, ბატონები გავიდნენ, ფაფარი აიყარეს. ბეგარასა და ღალას ვინ ოხერი ჩივის, უარს ვინ ამბობს, მაგრამ კუდის რიკამდე გვაძრობენ ტყავს... ჩვენ სარს ვეხევით, წელებზე ფეხს ვიდგამთ, ისინი კი ქვას ქვაზე გვიდუღებენ, სულს იქით რაც გვებადა, ქია-ქია წაიღეს, ჩვენსას ვერც არას ცეცხლი დაწვავს, ვერც არას წყალი წაიღებს. ჩვენი ცოდვით მიწა იწვის... — სული მოითქვა კოჩამ. — მოგეხსენება, ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს. ვეღარ ავიტანეთ და აღვუდექით უსამართლობას. დაკუპრულ დღეზე გაჩენილებს სამართალი და წესი ცხენისწყლის გაღმა გვეგულებოდა, შენთან ვაპირებდით წამოსვლას, შენ კი ბატონებს ექომაგები, ზურგს უმაგრებ. მარტო იმათი ყოფილა ეს წუთისოფელი, ქუდბედი დაჰყოლიათ მაგ ულმერთოებს...

რიაშენცევი გაკვირვებული დაჰყურებდა მოხუცს თავისი მაღალი ცხენიდან.

— არ გეგონოს, გენერალო, შენი ბრძანებითა და შენი ჯარის შიშით მოვიხადეთ ქუდი და დავქვეითდით. ხალხის შიში არ გაგონილა. ქართველ კაცს ვერც ერთმა ურდომ, ვერც ერთმა ურჯულომ ვერ მოადრეკინა ქედი!

რიაშენცევის და ოფიცერ-ჯარისკაცების გასაოცრად, გენერალი ახლა უკვე მოთმინებით უსმენდა კოჩას. თარჯიმანს გულზე ეფონა. მოხუცის კილოზე იმეორებდა მის სიტყვებს.

— იცოდე, ცეცხლს სიმინდის ფუჩეჩ-

ში ვერ გაახვევ, — პირის ქარი გაშალა კოჩამ. — მშიერ ძაღლს კეტის არ ეშინია. ისევ გეტყვი, შენი ბრძანებით კი არ მოვიხადეთ ქუდი, ჩვენი ნებითა და სურვილით, პატივი გეცით, — ორივე ხელით დაეყრდნო თოფს, ძვალ-ტყავი, ულონო მხრები შეასვენა, დანაოჭებული, გამოფიტული, ქანგისფერი სახე მზეზე ყვითლად უბზინავდა. — ერთხელ ბატონმა ყმას უთხრა: — ყმაო, მე შენ გეყიდეო, — ეგ შენი საქმეაო, — მიუგო ყმამ. — მაგრამ ხომ არ გამექცევიო? — ჰკითხა ბატონმა. ეგ ჩემი საქმეაო, — უპასუხა ყმამ. —ჰოდა, ეს ამბავი იმიტომ მოგახსენე, დავუბრუნდებით თუ არა ბატონებს, ეგ ჩვენი საქმეა. ჩვენ დედოფალსა და ბატონებს იმიტომ ალვუდექით, რომ ჩვენი მართალი საქმე დავიცვათ.

რიაშენცევმა ღიმილი ვერ შეიკავა. არ იცოდა ხალხის აჯანყების მიზეზი, არც ოფიცრებმა და სხვა ჯარისკაცებმა იცოდნენ. ჩაგონებული ჰქონდათ, რომ სადღაც, სხვა ტომის ხალხში ყაჩაღთა ბრბო შეიყარა, თავს ესხმოდა სოფლებს, ძარცვავდა, ხოცავდა, დედოფალს მოკვლას უპირებდა და სამთავროს ხელში ჩაგდებას ლამობდა. ახლა ამ მოხუცის სიტყვამ და ხალხმა ჩააფიქრა რიაშენცევი.

ჯურუმიას და ხათუს არ გაჰკვირვებიათ ბაბუას დაურიდალი ლაპარაკი. კოჩას ღმერთისაც არ ეშინოდა.

— რას თხოულობთ, რა სამართალს და წესს ეძებთ ცხენისწყლის გაღმა?— ჰკითხა კოჩას გენერალმა.

— ამას უტუ გეტყვის, ჩვენი წინამძღვარი, — მიუგო კოჩამ და განაგრძო: — კიდევ ერთი უნდა გითხრა: ჩემმა ბატონმა, ბონდო ბედიამ, აგერ, თეთრ ცხენზე რომ ზის, ის მგელიფლითე, და შენი მოსვლით და შენი მუქარით გაყინჩულმა, აქაოდა რუს კაზაკთა ჯარი ჩვენს საშველად მოსულაო, კუდი ყავარზე შეაგდო. სხვა ბატონებსაც შეხედე. მოგეჩვენება, ყვავები მთელ ქვეყანაზე შავები არიან... სიცოცხლე გაგვიმწარა ბედიამ, მაგ ღვთის გარეგანმა. ქაჯი უზის სულში, მთელს მის საბატონოს თავზე ცას გვანგრევს. გასაყვლეფი რომ არაფერი შეგვრჩა, ქალებსა და ბავშვებს გვტაცებს.

კოლუბიაკინი ახლა უკვე მოთმინებადაკარგული უსმენდა სახე მოქურუხებული, მაგრამ კოჩა არაფრად აგდებდა.

— ამას წინათ შვილიშვილი მომტაცა, აი, ის! — კოჩამ ხათუსაკენ გაიშვირა ყაბალახიანი, მუქლურჯად დაძარღვული ხელი.—მამამისმა, უბედურმა ჩაგუმ, და მისმა ორმა ვაჟმა — ძოკოიამ და ობიშხიამ ომარ-ფაშას ჯარს შეაკლეს თავი, როცა ბედია ფეხიფეხზე გადადებული შინ იჯდა და ილხენდა.

ბონდო ბედია ჯმუხი იყო, პირქუში, მოკლე კისერზე გოდორა თავი ედგა, თვალსისხლიანი, ჰრუტა, ჯაგარივით წვერს მოკლედ იკრეჭდა და ზღარბივით გაბურძგნული იყო. გრძელი, ნადირივით წინ წაგდებული ნიკაპის გამო, ნიკაპა შეარქვა ხალხმა. აქამდე მართლაც გაყინჩულ-გაჯგიმული რომ იჯდა ცხენზე, უცებ კინწი მოწყდა და ტიკივით ჩაიჩუტა.

— ჯურუმიაც გვერდში რომ უდგას ხათუს, ძმაა მისი, ისიც სამჯერ დაიჭრა იმ ომში. მან წაართვა შუა გზაზე ხათუ ამ ეშმაკის ნასხლეტს, — კოჩამ კვლავ ბედიასაკენ მიიხედა. ეს ცხრა თოკში გამომძვრალი კაცი კინწმოწყვეტილი რომ დაინახა, იფიქრა, იქნებ გენერალმა წყალობის თვალით გადმოგვხედოსო.

კოლუბიაკინმა შორს დაიჭირა, ყურთ არ იღო მოხუცის ჩივილი. აქამდე არ შეუმჩნევია, ჯურუმიას, ხათუს, და მათ გარშემო შეკრებილ მხედრებს ქუდი რომ არ მოუხდიათ, არ დაქვეითებულან.

— თქვენ რატომ არ მოიხადეთ ქუდი, არ დაქვეითდით?! ვის წინ დგახართ, არ იცით?!

ჯურუმიას ფოლადივით ცივად, ბოროტად უელავდა თვალები. არ უყურებდა გენერალს, არც უტუს, არც ბაბუამისს, არც ხალხს,—ხედავდა თავვაჩეხილ დედას, როგორ ებღაუჭებოდა ხათუს კაბას, მუხლებით მისდევდა ბე-

დიას, ეხვეწებოდა, ემუდარებოდა. ხელფეხ გაკრული ჯურუმია მიწაზე ეგდო და ტუჩებს იკვნეტდა...

კვლავ უტუს დაუბრუნდა ჯურუმიას ფიქრი და აზრი.

„პირი გატეხა უტუმ, ნუთუ ის ედო გულში, რომ გენერლის ერთ შეძახილზე ქედი მოედრიკა?! გვეგონა, უღელს გვისწორებდა და რა გვიქნა! ეს ამდენი ქალი და კაცი თურმე წყალს ვნაყავდით“.

როცა კვლავ შეესმა გენერლის ბრძანება, თითქოს გველმა უკბინა გულზე,— ჯურუმიაში თავმოყრილი იყო გულაღობის, ჭკუის, სწრაფი მოსაზრების თვისებები და ყველა ესენი ერთად შეკრული, ზამბარასავით შეკუმშული, ყოველ საჭირო ჟამს არაჩვეულებრივი სიძლიერით გაიშლებოდა, გაიჭიმებოდა და ახლაც უცებ ცხენი ადგილიდან მოსწყვიტა, კოლუბიაკინთან მიაგდო, თვალი თვალში გაუყარა, არც აილო, არც დაილო, პირდაპირ მიახალა:

— ის დღე არ გაგითენდეს, გენერალო, შენს წინ ქუდს ვიხდიდე!

ცხენი შეატრიალა, თავის გუნდთან მიიჭრა, მომყევითო, ანიშნა და ტყისკენ გაქუსლა.

თარჯიმანი შეკრთა, შეყოყმანდა.

კოლუბიაკინი ჯურუმიას ტუჩების მოძრაობით და შეუპოვარი შეძახილით მიუხვდა აზრს, მაშინვე რიაშენცევს მიუბრუნდა და უბრძანა:

— დაეწიეთ და შეიპყარით!

რიაშენცევმა ოცეული გაიყოლია და ჯურუმიას გაედევნა. თუ ტყემდე ვერ დაეწეოდა და გზას არ გადაუჭრიდა გაუჭირდებოდა მათი შეპყრობა. თუ დაატყვევებდა, ეს უკვე საკმარისი იქნებოდა, რომ კოლუბიაკინს მეფესთან ეშუამდგომლა მისთვის ოფიცრის წოდების დაბრუნების შესახებ.

მიბრუნდა ხალხი იქით, საითაც ჯურუმია და მისი გუნდი გაიქცა. მიბრუნდა უტუც, და როცა ჯურუმია, გუნდი და მდევარი თვალს მიეფარა, უტუც და ხალხიც გენერლისაკენ მიტრიალდა, დაიხურეს ქუდი და ყაბალახი, მოახტნენ ცხენებს, მუქარითა და რისხვით კოლუპიაკინისკენ თვალმიპყრობილნი, უტუს ნიშანსა და შეძახილს უცდიდნენ, დარწმუნდნენ, რომ გენერალი მტრად იყო მოსული და მზად იყვნენ უტუს ხელის ერთ აქნევაზე შებმოდნენ მტერს, თუნდ არავინ დარჩენილიყო ცოცხალი, არც ქალი და არც კაცი, არც ბალღი და არც მოხუცი...

რიაშენცევის ოცეულსა და ჯურუმიას გუნდს შორის მანძილი თანდათან გრძელდებოდა. ოდიშური ფიცხი ცხენები ქარივით მიჰქროდნენ. რიაშენცევს შეეძლო ტყვია დაეშინა, მაგრამ ნაბრძანები ჰქონდა შეეპყრო. ტყემდე კიდევ კარგა მანძილი იყო დარჩენილი, რიაშენცევის ოცეულის ცხენებს კი ქანცი გაუწყდათ.

როცა ივანე ჯურუმიას გუნდს გამოუდგა, ბონდო ბედია შეუმჩნევლად გამოვრა ცხენენჯი თავადების ჯგუფიდან, შორიახლო გაედევნა რიაშენცევს და მხოლოდ მაშინ გაჰკრა ცხენს დეზი, როცა ჯურუმია ტყეში შეიჭრა. ბედია დაეწია რიაშენცევს, გვერდით გასდია. უკვირდა, ჯურუმიას შეპყრობა გენერალმა რალა ჯარისკაცს დაავალაო.

— ნუ გეშინია, რუსო, მართალია, შენი ცხენებით იმ ცხენებს ვერ დაეწევი, — ქარს ხელით ვერ დაიჭერ, მაგრამ მე სათითაოდ გაგაბაწრინებ მაგ აბრაგებს, იდაყვებით მარილს ვანაყინებთ,—ღრიჭინა ხმა ჰქონდა. სათითაოდ იმიტომ უთხრა, რომ იცოდა, გუნდი ტყეში გაიფანტებოდა, ხშირ ხეებსა და ბარდებში გზას ერთად ვერ გაიკვლევდნენ, თან ასე კვალსაც დაუხლართავდნენ მდევარს. — ეშმაკის კვალს მივდევთ, რუსო.

ივანემ უკმაყოფილოდ შეხედა არამკითხე ქომაგს.

ხეები და ბარდები მჭიდროდ იყო ერთმანეთში ჩახლართული. არსად კვალი, არსად ბილიკი, მაგრამ ჯურუმიას კაცებს ეს უსიერი ხელისგულზე ეხატათ, თავისი ცხენებით იქ კი არა, ნემსის ყუნწში გაძვრებოდნენ. ტყეში შესვლისთანავე, დათქვეს ნაციხარში შე-

ვიკრიბოთო, და აქეთ-იქით გაიფანტნენ.

ნაციხარი ურთას მთაზე იდგა, სამასი წლის წინათ იყო აგებული და მიტოვებული, შამბითა და სუროთი შებარდული, არც კარი უჩანდა, არც კედელი და ქონგური.

გადმოცემით მხოლოდ ის იცოდნენ, რომ ურთაზე იდგა ციხე. ამ ხნის მანძილზე, ჯურუმიასა და მამამისის ჩაგუს მეტს ფეხი არავის შეუდგამს ნაციხარში.

ჩაგუ უებრო მონადირე იყო, ნაბიჯნაბიჯ შემოვლილი ჰქონდა ურთა, ჯურუმიაც თან დაჰყავდა და ბევრჯერ გაუთენებიათ ნაციხარში.

ჯურუმიამ მოკლედ აუხსნა გუნდს, საიდან, რომელი გზით მიდგომოდნენ ციხეს, და ხათუსთან ერთად ჩამორჩა მათ — თუ ვინიცობაა, მდევარი გეზს აუღებდა რომელიმეს, ჯურუმიას უნდა ენიშნებინა, რათა გზა შეეცვალა.

რუს კაზაკთა ჯარის ცხენებს გაუჭირდათ მაღნარში გზის გაკვლევა. რიაშენცევმა ოცეული დააქვეითა, გაშალა და ბედიას რჩევით იმ მიმართულებით გაგზავნა, საითაც დევნილები წავიდნენ. ჯარისკაცები თოფითა და ხმლით იშორებდნენ ტოტებსა და ბარდებს, მაგრამ სახე, ხელები და ტანსაცმელი მაინც ექარდებოდათ, თოფი უვარდებოდათ ხელიდან, ქუდი ძვრებოდათ. გამწარებულები, გაავებულები იგინებოდნენ, გაჩენის დღეს იწყევლიდნენ, ნელ-ნელა, მტკაველ-მტკაველ მიიწევდნენ წინ, აბა რას დავეწევით იმ ქაჯ ცხენებსო, ფიქრობდნენ. ასე იარეს, ვიდრე მზის უკანასკნელი სხივები არ მოსწყდა ხეთა კენწეროებს.

რიაშენცევი და ბედია შეუსვენებლად მიიწევდნენ მაღნარის თავისაკენ. ბედია წინ მიდიოდა, გზას უკვლევდა გაუვალში, სულ ერთსა და იმავეს ეჩიჩინებოდა. ნუ გეშინია, რუსო, სათითაოდ გავბაწრავთ მაგ აბრაგებს, იდაყვით მარილს ვანაყიებთო.

ივანეს ყელში ამოუვიდა მისი ტრაბახი, მაგრამ უთმენდა, — ბედიას დაუხმარებლად ვერც ერთ დევნილის კვალს ვერ აუღებდა...

ბიბლიოთეკა

შებინდებისას ნაბდისგაშლა მინდორზე გავიდნენ და უცებ შეჩერდნენ. ხათუსა და ჯურუმიას მოჰკრეს თვალი. ჯურუმია ხათუს ცხენს მოსართავს უჭერდა. ბედიამ მყის დაიძრო დამბაჩა და ესროლა.

ცხენები დაფრთხნენ.

ჯურუმიას წელში მოხვდა ტყვია. მისი ცხენი განზე გაიჭრა და ველარ დაედევნა, ხათუს წაბლას მოახტა უკან. ცხენმა საფრთხე იგრძნო, შურდულივით შეიჭრა ძეძვნარში.

— რატომ ესროლეთ? — განრისხდა რიაშენცევი. — ნაბრძანები მაქვს ცოცხალი მივგვაროთ გენერალს.

— ჰმ, — გაეცინა ბედიას. — ეგ ეშმა მტერს ცოცხლად არ დანებდება...

დაღამდა.

გზის გაკვლევა მაღნარში შეუძლებელი შეიქნა. ჯარისკაცებს მუხლები ეკვეთებოდათ, შიმშილისაგან კუჭი ეწვოდათ, წყურვილისაგან თავბრუ ესხმოდათ, ზოგი ეცემოდა და ველარ დგებოდა, ბარდსა და ეკალს თავს ვერ აღწევდა, აღმართზე ცურდებოდა.

ივანემ გადაწყვიტა დევნა შეეჩერებინა. ოცეულს შეკრების ნიშანი მისცა. იმ ნაბდისგაშლა მიწაზე გადაწყვიტა ღამის გათევა. გუშაგები დააყენა, ჯარისკაცებს უბრძანა დაწოლილიყვნენ.

ბედია უკუღმა დაბადებული კაცი იყო, ავყია, ბოროტი, სხვისი კარგი ეკლად ესობოდა თვალში, ქონება ბანში ამოსდიოდა და სხვისი მაინც შურდა. არაერთი სნება და ავადობა ჭირდა, მაგრამ იხტიბარს არ იტეხდა, გარეშეს თუ ახლობელს არასოდეს არ ეტყოდა თავის სატკივარს, სტამბოლის კაჟივითა ვარო, მიუგებდა, სულის გავარდნამდე რომც ყოფილიყო მისული.

მისი ამბავი მთელმა ოდიშმა იცოდა. არც თავადს უყვარდა და არც აზნაურს, არც ნათესავს და არც მეზობელს. დე-

დოფალს ჰირისდღესავით სძულდა, სასახლეში არ იღებდა.

განსვენებულმა მთავარმა, დავით დადიანმა ერთხელ სასტიკად დასაჯა იმის გამო, რომ სხვის ყმებსაც მიუვარდა გასაძარცვავად, — ათი კომლი ჩამოართვა და ეკლესიას გადასცა, რათა მეორეთ არ გასულიყო თავს.

ბედია ივანესა და ჯარისკაცების მოშორებით დაწვა. ვერ მოისვენა, შურისგების ჟინი ღრღნიდა, აღრჩობდა, წარამარა გვერდს ინაცვლებდა, სული ეხუთებოდა, გახურებული მიწა ცეცხლს უკიდებდა, ეგონა, უშველებელ, გავარვარებულ კეცზე იწვა და იწვოდა. თავიდან დაცურებული ოფლი ბურძგლა წვერში კლაკვნით მიიკვლევდა გზას და საყელოში ჩასდიოდა, გახურებულ ტანზე სველი პერანგი ცივად ეწეპებოდა, თიაქრისა და თირკმლის ტკივილი თავში ურტყამდა, მაინც ვერ იოკებდა ჟინს. იფიქრა, რიაშენცევს სძინავსო, ლანდივით წამოდგა და ნაციხარისკენ გაეშურა.

ჯურუმია იქ ეგულებოდა, იცოდა, რომ იგი მამამისს თან დაჰყავდა სანადიროდ. ერთხელ თვითონაც გაჰყვა კოჩას.

ნადირივით არბოდა აღმართზე, გააფთრებული მიიკვლევდა გზას, ხვნეშოდა, ბრდღვინავდა, ერთი სული ჰქონდა: სანამ ციხემდე მიაღწევდა, შიშობდა, არ გაესწრო ციხიდან ჯურუმიას.

შუაღამე გადასული იყო. სიცხე მაინც არ შენელებულა. ცაზე ღრუბლის ქულაც არ სჩანდა, მაგრამ იმდენად სქელი ბური იდგა ცასა და მიწის შუა, რომ ვარსკვლავების ნელი, უფერული ციმციმი ძლივს აღწევდა მიწამდე.

რიაშენცევს ძილი არ ეკარებოდა, მკერდგადაღეღილი პირაღმა იწვა და ვარსკვლავეთში თავის საყვარელ ვარსკვლავს ეძებდა, რომ დევნილებზე არ ეფიქრა, მაგრამ თვალიდან ვერ იშორებდა ჯურუმიას და ხათუს სახეს, ბური კი არა, ვარსკვლავებს მის თვალში ჯურუმია და ხათუ ფარავდა. უტუს ჯარის წინ მხარდამხარ მდგარი და-ძმა ყველასგან გამორჩეულად ეჩვენებოდა, ამაყნი, დამოუკიდებელნი, თითქოს დამცინავი ღიმილი ეხატათ სახეზე, თითქოს რიაშენცევს დასცინოდნენ. არ უნდოდა ისინი, ასეთები რომ იყვნენ, უნდოდა ისინიც ისეთებივე წარმოედგინა, როგორც სხვები, მათ უკან მდგარი ათასი ქალი და კაცი, ჩამოხეულ-ჩამოძენძილი, ფეხშიშველი, ჭუჭყიანი და მტვრიანი ,გატანჯულ-გაწამებული, თუმცა ჯურუმიაზე და ხათუზე არანაკლებ ამაყნი და შეუპოვარნი, იმ მოხუცზედაც არანაკლებ შეუპოვარნი და ამაყნი, მაგრამ მდგარნი მიწაზე თავისი მართალ საქმისთვის თავდადებულნი.

თვალი დახუჭა, მაინც ხედავდა მათ. რატომ მივდევთ დასაჭერათ? რატომ უნდა ავაღებინოთ ხელი იმაზე, რისთვისაც იბრძვიან?! სიცოცხლისთვის იბრძვიან, არსებობისთვის იბრძვიან, ლუკმაპურისთვის იბრძვიან, წესისა და სამართლისთვის იბრძვიან... რატომ ვარ აქ! რას ვერჩი მათ! ეშინოდა ამაზე პასუხის გაცემა, მაგრამ თავს ვერ ართმევდა ამ მწარე, მტანჯველ ფიქრს.

ფიქრი ადამიანის ნებაზე არ მოდის და მიდის, ფიქრი ჯიუტია, თუ ის მართალი ფიქრია, ვერ მოიშორებ, თავს ვერ დააღწევ, ტვინს გაგიხვრეტს... მიბრძანეს შეიპყარიო. რატომ?! რა დააშავეს?.. დააშავეს იმ თავადებმა, ჯვარს აცმევდნენ, სულს ხდიდნენ, კუდის რიკამდე ტყავს აძრობდნენ, როგორც იმ მოხუცმა თქვა მოსწრებულად. რამდენი სიბრძნე იყო იმ გლეხკაცის სიტყვაში... განა ამას არ სჩადიან ჩვენი რუსი თავადები! ეს სირცხვილი არ გვეყოფა, რომ სხვა ქვეყნის თავადებს ვექომაგებით, მხარში ვუდგავართ.. ხალხი სამართალს თხოულობს, სულ მცირეს, რომ სული შერჩეთ... მე კი ამ ნადირთან ერთად მივდევ იმათ, რომ შევიპყრო... —ბედიასაკენ მიბრუნდა, მაგრამ არ შეხედა, იმდენად ეზიზღებოდა. — მივგვარო გენერალს, რომ სული ამოხადონ, მიწასთან გაასწორონ, —შეეზარა თავის თავი, გადააფურთხა, დაინახა მკვდრებივით მიყრილი ჯარისკაცები. — ამ ჯარისკაცებს, ასეთივე ყმებს, როგორც ის და-ძმა, ის გაქცეული ჭაბუკები მათ რომ ახლავთ, ის ხალხი მორ-

ჩილად რომ იდგა იქ, მინდორზე, ერთ უღელ ქვეშ მყოფთ აქ საქართველოში და იქ რუსეთში, იმის მაგივრად, რომ მხარში ამოუდგნენ ამათ, ერთად იბრძოლონ უკუღმართობის, უსამართლობის, მონობისა და ბოროტების წინააღმდეგ, ადამიანის უფლებებისთვის, სიმართლისთვის, სიცოცხლისთვის, ამ საქმის დასაცავად ამხედრებულთა დასაჭერად მივერეკები. — ისევე შეებრალა თავისი ჯარისკაცები, როგორც ჯურუმია და ხათუ, როგორც ის მოხუცი, როგორც ის ხალხი. სული ეხუთებოდა, ჰაერი არ ჰყოფნიდა.

— მგონი დასჭრა ის ყმაწვილი, იმ რეგვენმა. მოსაკლავად მისდევს იმიტომ, რომ და არ დაანება გასაყიდად. შიშით აღარ არის, ვაითუ ჩვენ ვერ შევიპყროთ და გაგვექცეს, — თვალი დახუჭა და სახეზე ხელები აიფარა, შერცხვა თავის თავის. — რით განვსხვავდები მე იმათგან. მათ ბინძურ საქმეს წყალს ვასხამ. მათი საქმისთვის მივდევ ამ ტანჯულთ, რომ ოფიცრის წოდებისთვის თავი გამოვიჩინო... ხომ ვიყავი ოფიცერი, რატომ ჩამომაქვეითეს ჯარისკაცად? ნუთუ დამავიწყდა ეს? მაგრამ მე ახლა მხოლოდ ჯარისკაცი ვარ, რიგითი ჯარისკაცი, — ცდილობდა თავის გამართლებას, მაგრამ ამაოდ. — ნაბრძანები მაქვს შევიპყრო ურჩები და უნდა შევასრულო ბრძანება... ბრძანების შეუსრულებლობა არ ეპატიება ჯარისკაცს. ეს კანონია, ურღვევი კანონი, ამისთვის ხვრეტენ... სიკვდილის მეშინია!.. რატომ არ ეშინოდათ სიკვდილის დეკაბრისტებს!.. ჩემი სიკვდილით არ ეშველებათ ამ უბედურების საქმეს!.. ეს არ ახდის მათ უღელს. როგორ დავარღვიო, გავტეხო ჯარისკაცის ფიცი?.. ვუღალატო სინდის-ნამუსს? არის კი ეს ღალატი? — დაიღალა, აღარ შეეძლო ფიქრი, ისეთი მტანჯველი, აუტანელი, მძიმე. — დასწყევლოს ეშმაკმა! რატომ შევედი ჯარში!.. ნუთუ მხოლოდ იმიტომ, რომ ბავშვობიდან დეკაბრისტების საქმით ვიყავი გატაცებული! ნუთუ იმიტომ, რომ მამას გავერიდე? მაგრამ მე ხომ ახლა ბავშვი აღარა ვარ!..

რიჟრაჟი ახლოვდებოდა. ტოტებში ბულბულის გალობა გაისმა. წამით ამ ტკბილმა ხმამ გამოიყვანა ფიქრიდან. დიდი ხანი იყო არ გაეგონა ბულბულის ხმა, მაგრამ კარგად ახსოვდა მისი ხმიანობა. გაუკვირდა, — ნუთუ მთელს ქვეყანაზე ბულბულები ერთნაირად გალობენო?... უცებ იმ მტანჯველ ფიქრზე გადაიყვანა ამ აზრმა. — ნუთუ მართლა, როგორც ყვავები არიან მთელ ქვეყანაზე შავები, ისე ბატონებიც?... რასაკვირველია, ასეა. რუსი ბატონი, რუსი მემამულე, რითი სჯობია აქაურს, ქართველს!.. უფრო ავია, დაუნდობელი, შეუბრალებელი... —ბულბული კი გალობდა, რაღაც განსაკუთრებული მონდომებით, თითქოს ცდილობდა განეგრძო რიაშენცევის ფიქრი. — გლეხებიც მთელ ქვეყანაზე ერთ ბედ ქვეშ არიან, ერთი უღელი ადგათ...

ის იყო რიაშენცევმა თვალი მილულა, რომ ბედია დაბრუნდა. ივანე გააღვიძა.

— მივაგენი იმ აბრაგებს, — უთხრა, სულს ძლივს იბრუნებდა გულამომჯდარი, ტახივით ქშიტინებდა. ჩოხა-ახალუხი შემოხეოდა, ქუდი დაჰკარგოდა, თავპირი დაჰკაწროდა. მართლაც გაავებულ ტახს ჰგავდა მქრქალ ბინდბუნდში, ტახივით წინ წაგდებული თავისი გრძელი ნიკაპით, სქელი ქეჩოთი, მთელი მისი ჯირკივით შეკრული სხეულით.

რიაშენცევმა დაუფარავი ძულვით შეხედა.

— მთელი ღამე ვიარე... კიდევ კარგი, მთვარიანი იყო, თორემ ღმერთმა უწყის სად გადავიჩეხებოდი ამ მაღნარში.... აბა ვიჩქაროთ!

რიაშენცევი არ უსმენდა, საყელოს ღილებს იკრავდა და კვლავ წუხანდელი ფიქრი ღრღნიდა. გაფითრებული იყო, უძინარი, გატანჯული.

ბედიას მოთმინება არ ჰყოფნიდა. ეცა და თვითონ წამოჰყარა ჯარისკაცები...

მზე გადახრილი იყო, ნაციხარს რომ მიადგნენ და ალყა შემოარტყეს.

ციხის მაღალი კედლის ძირას, შიგნითაც რომ სუროთი იყო შებარდნული, ჯურუმია კედლის ჩრდილში იწვა გულაღმა, ქვეშ ნაბადი ეგო, თავქვეშაც დაკეცილი ნაბადი ედო. სახეზე ცივი ოფ-

ლის წინწკლები ეყარა და სისხლისგან დაცლილს მკვდრის ფერი დაჰკრავდა. წელი ახალუხის ნახევით ჰქონდა შეხვეული, ნახევი ღვიძლთან სისხლით იყო გაჟღენთილი:

სასთუმალთან ხათუ ეჯდა, ჯავრისგან შეჭმული, სახე ჩათეთქვილი. მუხლებზე ხელებშემოჭდობილი, გაქვავებულს ჰგავდა.

ციხეში ჯურუმიას მეგობარი, სულითა და ხორცით მისი ერთგული, მისი გუნდის ათისთავი, მაგალი ალანია შევიდა.

— ჯურუმია... — უთხრა და ასეთ ყოფაში რომ დაინახა, სიტყვა პირზე შეაშრა, ჯავრისგან ყელის ძარღვები დაეჭიმა, ერთ ხანს ხმა ვერ დასძრა, ტკივილით დაჰყურებდა, ცდილობდა არ დაენახა ჯურუმიას ეს, მაგრამ ვერ ახერხებდა, თუმცა იმასაც გრძნობდა, მეგობრის თვალი ვეღარ ამჩნევდა ამას. — რუს კაზაკებმა ალყა შემოგვარტყეს, ჯურუმია... უსისხლოდ დაგვნებდითო... — ის კი დაუმალა, რომ რუს კაზაკებს ბედია მოუძღოდა. დადუმდა, მწუხარებამ კრიჭა შეუკრა.

ჯურუმია მიშტერებით უყურებდა, ბუნდოვნად ხედავდა და თვალს ძალას ატანდა, ასადგომად წამოწევა სცადა, უკანვე მიესვენა ულონოდ, ნაღვლიანად გაიღიმა, იგრძნო, ვეღარასოდეს ვერ ადგებოდა.

— მაგალი... — ძლივს გასაგონად დაიჩურჩულა საძრაობა დაკარგული ტუჩებით. თავისი ხმა ვერ გაიგონა და უფრო შეეკრა ბაგე, წაერთვა ენა. — სადაც არის... სასულეთში წავალ, მაგალი... ბედიას ტყვიით ვკვდები, ბიჭო!.. ეს ჯავრიც მიმყვება სამარეში... რა აზრი აქვს აწი... ხაფანგში ვართ გაბმული...

— სვენებ-სვენებით ჩურჩულებდა და ამ ჩურჩულს მთელ მის მილეულ ძალას ატანდა. — ჰო... უტუს ღალატის მაინც არ მჯერა... შემინდოს ღმერთმა ჩემი უნებლიე ეჭვი... —ხმა სადღაც მუცლის სიღრმიდან ამოსდიოდა სუსტად, ხრიალით. — დანებდით, მაგალი... — შერცხვა ამ საშინელი სიტყვის, თვალი დახარა.

მაგალი ალანია ერთხანს უთქმელად, უცრემლოდ დასტიროდა მეგობარს. „რა აზრი აქვს აწი!.. — იმეორებდა გულში მის სიტყვებს. — ჰო, უტუს ღალატის მაინც არ მჯერა... შემინდოს ღმერთმა ჩემი უნებლიე ეჭვი..." უნდოდა დაედასტურებინა, ნუგეში მიეცა, რომ უტუს არ უღალატნია, მაგრამ ყბა ვერ დასძრა, შეეშინდა, ქვითინი არ წასკდომოდა, მძიმედ შეტრიალდა და გავიდა.

ჯურუმიას დანისლულ თვალებს ახლა რაღაც შავი და მძიმე დააწვა. ბნელში ბუნდოვნად ალესახა თავისი ბავშვობა და სიყრმე. ფეხის ადგომიდანო, რომ იტყვიან, იქიდან მოყოლებული ბედიას ოჯახში აუტანელი შრომა, ცემა-ტყეპა, დამცირება, დაჩაგვრა... შემდეგ მისი საქონლის მეჯოგეობა, ზამთარში — ტყეში, ზაფხულში — მთაში, ყინვა და სიცივე, შიმშილი და წყურვილი, გატყიურება და გაველურება... გოგოსთან პირველი შეხვედრა, გოგოს პირველი ღიმილი, სიყვარულის პირველი ელდა... თურქთან ომი, მამისა და ძმების დაღუპვა, თავად მძიმედ დაჭრილი... სიკვდილთან ბრძოლა, იმ ღიმილთან და სიყვარულთან ერთად სიკვდილთან ბრძოლა... სიკვდილის დაძლევა, დაძლია იმიტომ, რომ უყვარდა, დაძლია იმიტომ, რომ სიყვარული სიკვდილზე ძლიერია... მერე უსამართლობამ, უკულმართობამ გაუქვავა გული, გაუცივა სული... აღარ არის ის ღიმილი, აღარ არის ის გოგო, ის სიყვარული, ამიტომ სძლია სიკვდილმა...

ციხეში პირველი ბედია შევარდა ფრთებშესხმული, მერე რიაშენცევი და სამი ჯარისკაცი ფეხდაფეხ შეჰყვნენ. ბედია პირდაპირ ჯურუმიასკენ გაემართა, თავზე წაადგა.

მუხლებზე ხელებშემოჭდობილი ხათუ ისევ ისე იჯდა გაქვავებულივით, თავი არ აუწევია.

— აეთრიე! — დაუყვირა ბედიამ ჯურუმიას.

— თავადო, ვერა ხედავთ, კაცი დაჭრილია! — უთხრა რიაშენცევმა.

— კაცი კი არა, ყმაა ჩემი,—უკმეხად მიუგო ბედიამ. — აეთრიე-მეთქი!

— გიმეორებთ, ის დაჭრილია. ნუ გავიწყდებათ, რომ აქ მე ვარ უფროსი!

— მე ჩემს მამულში ვარ და აქ უფროსიც მე ვარ და მბრძანებელიც! — უფრო მკვახედ მიახალა ბედიამ.

რიაშენცევს სახე აელეწა.

— მას დიდი დღე არ აქვს. გიმეორებთ, თავი დაანებეთ!

— თვითონაც ვხედავ, მარილზე მიდის, მაგრამ მაინც უღურს არ იტეხს ეს ღორისშვილი. სანამ ჯოჯოხეთში წავა, ოთხში უნდა ამოვიღო.

— გიბრძანებთ, განზე გადგეთ!

— ხა-ხა! თავადს ჯარისკაცი მიბრძანებს! ვერ მოგართვი ბადრიჯანი!

ჯურუმიას ლიბრგადაკრული თვალები სრულ გულგრილობას გამოხატავდა ყველაფრისადმი, რაც მის გარშემო ხდებოდა, თითქოს არც ესმოდა რიაშენცევისა და ბედიას ხმა.

მუხლებზე ხელებშემოჭდობილი ხათუ ისევ ისე იჯდა გაქვავებულივით, თავი არ აუწევია.

— ადექი-მეთქი, ძაღლო! — გაცოფდა ბედია.

ჯურუმიამ ტუჩზე იკბინა, მაგრამ არა ტკივილისგან, სიმწრისგან, რომ არ შეეძლო ყელში სწვდომოდა და წაეხრჩო ბედია. მერე თავი მიაბრუნა. რიაშენცევისა და მისი ჩამქრალი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ და ივანემ ამ თვალებში დაინახა, ჯურუმია რაც უნდა ეწამებინათ, თუნდაც ოთხში ამოეღოთ, არ შედრკებოდა, მისი სული სიმწრით იყო მოშხამული, მისი გული ზიზღით იყო გარკინებული.

ბედიამ მთელი ძალით დაჰკრა ჭრილობაზე ფეხი.

ხათუ კი არ წამოდგა, წამოფრინდა, სახე ჩათეთქვილი, უაზროდ, ჩლუნგად უყურებდა ბედიას, როგორც ყრუ-მუნჯი, მერე სახე ერთბაშად წამოეფაკლა, გაუშალა და აქეთ-იქით ისეთი სილა გააწნა, რომ ბედიას თვალთ დაუბნელდა, მთლად გაათრებულმა სატევარი იშიშვლა მაგრამ სანამ დაკრავდა, რიაშენცევი წვდა მაჯაში, მკლავი გადაუტრიალა, სატევარი გააგდებინა, ჯარისკაცებს მიუბრუნდა და უბრძანა:

— გათოკეთ ეს არამზადა!

სამივე ჯარისკაცი, აქამდე რომ ამრეზითა და ბოღმით უყურებდნენ ბედიას, ერთდროულად მივარდა. დამბაჩა აართვეს, ვერცხლით გაწყობილი ქამარი შემოხსნეს, ხელები უკან შეუტყუპეს და იმ ქამრით მაგრად გაუკრეს, შეაბრუნეს და კინწის კვრით წინ გაიგდეს.

რიაშენცევი დიდხანს იდგა ხათუს წინ. მისი სახე, მისი სხეული რიდსა და მოკრძალებას გამოხატავდა. უცებ იგრძნო; თითქოს ხათუსა და მის შორის მოულოდნელად რაღაც სულიერი ძაფი გაიბა, მაგრამ ასევე უცებ გაჰქრა ეს გრძნობა და ამ სუსტ, ნაზ, მომცრო ტანის, ჭორფლიან, ფეხშიშველ, ჩითის კაბიან სოფლის გოგოსთან თავი უმწეოდ, არარად წარმოიდგინა.

ხათუ ისევ ჩაჯდა. ჯურუმია აღარ სუნთქავდა. ხათუს არ დაუკივლია, ცრემლი არ გადმოვარდნია, თვალები ისევ უაზრო, ჩლუნგი გაუხდა, სახე ისევ ჩაეთუთქა, ხელები ისევ მუხლებზე შემოიჭდო და ტანიც ისევ გაუქვავდა.

რიაშენცევი სწრაფად შეტრიალდა. გარეთ რომ გავიდა, ჯარისკაცებს შესძახა:

— დაუბრუნეთ იარაღი და ყველა გაათავისუფლეთ! ეს არაკაცი კი წამოიყვანეთ!..

კოლუბიაკინი ბრძანების შეუსრულებლობას ღვიძლ შვილსაც არ აპატიებდა. აწ სამუდამოდ რიგითმა რიაშენცევმა ეს ბრძანება რომ გასცა, იცოდა, რა ჩაიდინა. ისიც იცოდა, არ იყო სხვა გზა, რომ შეენარჩუნებია ჯარისკაცის მაღალი ღირსება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



* * *

თბილისის კედლებს მაშინ ეხურა
სქელი ნაბადი მტვრისა და ხავსის
და პარპაშებდა ჩვენში მეფურად
ათასი მავნე, ათასი ნავსი.

მაშინ ცხოვრების მაჯა არ ფეთქდა
ზანტად უსმენდნენ ჭორს და მასლაათს.
და ზარბაზანი რომ დაიჭექდა
ყველა შუადღეს მართავდა საათს.

ლეღვის ჩირივით აკინძულიყო
ოქრომჭედლების შუა ბაზარი,
ისმოდა ობლად „ჩემო სულიკო"
და გუგუნებდა სიონის ზარი.

აგრიალებდნენ ეტლებს ქალაქში,
ქეიფს მოსდევდა ჯიბის ზიანი
და ქართლის მამულს სტოვებდა ბანკში
თავადიშვილი, თავაზიანი.

და მეც მეგონა: რომ ყველაფერი
ასე უცვლელად იქნება მუდამ —
თან მაფიქრებდა რომ ჩვენი ერის
გზა დაიხლართა და გაიმრუდა.

ცხოვრების ტალღებს მივდევდი ბავშვი
როგორც ზღვის პირზე მცურავი აფრა,
მაგრამ, უეცრად ჩემს გონებაში
სულ სხვა განცდები შეიჭრა მძაფრად.

წითელმა დროშამ, პირველად მაშინ,
ჩვენ მოგვიტანა ახალი მცნება —
და შემოიჭრა ჩვენს ცხოვრებაში
ახალი გეზი და განრიგება.

მაშინ მაისიც რომ დამაისდა —
ვარდიც აღვივდა წითელფურცლება,
მაშინ პირველად მესმა გაისმა:
„ძმობა, ერთობა, თავისუფლება".

ხალხი იბრძოდა. ხალხი დაობდა.
და არ წყდებოდა აზრთა ზონარი.
დღეს მიხარიან, რომ ჩემს თაობას
ბევრი რამე აქვს მოსაგონარი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანდრო ლომიძე

# ქალაქი ვარდების ტყეში

## მოთხრობა

ზღვის პირას, ევკალიპტის, მაგნოლიის, პალმის, ფორთოხლისა და ვარდების ტყეში იმშვენება ახლად გადვიძებული პატარა, სუფთა და კოხტა ქალაქი.

ექვსსართულიანი სანატორიუმის მესამე სართულამდე ატყორცნილა ტყემალი, მისი წვრილი, წითელი ფოთლები თითქოს სისხლშია გავლებული.

მაგნოლიის ტოტზე დიდი თეთრი ყვავილი თოლიასავით ზის.

ოდნავ ტოკავს კვიპაროსი და გრძელ, ფართო ფოთლებს ფრთებივით იქნევს შავად შებალნილი პალმა.

ევკალიპტის კენწეროები ქანგისფერია.

ყორნისფერი მტრედი ლაჟვარდში ტრიალებს, ივნისის ამომავალი მზის სხივებში ნებივრობს, ბანაობს.

ღუღუტულებენ, ჟივჟივებენ, გალობენ ფრინველები.

კვიპაროსში შემალული ჩიტი სულის ტკბილად დამათრობელი, იდუმალი ხმით თითქოს გასძახის შორეული პლანეტის რომელიღაც ბაღში გალობადქცეულ თავის მსგავს ჩიტს: „უილრი... უილრი..." და, მერე ადამიანივით უსტვენს. ბელურები ისეთ ხმას გამოსცემენ, თითქოს ქვაზე ვერცხლის ფული ცვიოდეს.

პლიაჟზე, მაშველის ხის ქოლგის ჩრდილში წამოწოლილი ვკითხულობ რომანს, იგი მაჩუქა თბილისიდან ახლახან ჩამოსულმა მოხუცმა, ბრმა მწერალმა. ამ რომანმა ჩემს დადარდიანებულ გულს შვება აგრძნობინა, მადლობა როგორ არ ვუთხრა მის ავტორს!

ცა გადაკრიალებულია, მხოლოდ ჰორიზონტთან პაწაწინა ღრუბელი იასამნისფერი ბუმბულივით არის გაკრული.

ცა ბაცი ლილისფერია, წყნარი ზღვა კი უბაცესი მწვანე. ვეება სამგზავრო თბომავალი გემისადგომს შორდება, უკან სტოვებს კილვატერს, რომელიც მდინარეს ემსგავსება. იალქნიანი ნავი კილვატერში შედის. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ზღვა უსასრულო მოლისფერი ველია, ველს ჭრის მდინარე, მდინარეზე კი მიცურავს იალქნიანი ნავი.

შემოიმაღლა მზემ.

ვხედავ: მაღალი, შავსათვალიანი, ჭაღარათმიანი მწერალი და მისი სალუქი აგებულების ცოლი ჩემკენ მოდიან. ამაყად თავვადაღერილ ქალს ქმრისათვის მკლავში ხელი გაუყრია, განიერ თეძოებს მოათამაშებს. მწერალი თუმცა ვერაფერს ხედავს, მასაც თავი მაღლა აუწევია, ხან თამამად მოაბიჯებს, ხანაც წაიბორძიკებს და შეჩერდება ხოლმე.

* * *

მომესალმნენ, ჩრდილში ჩამოსხდნენ. მწერალი სამოც წელს იქნებოდა მიტანებული, ქალს კი ოცდაათსაც არ მისცემდით.

როცა მწერლის ცოლი ჯდებოდა, მზით შეფერილ მის შიშველ, დამაზრმავებელ ბარძაყებისაკენ უნებურად გამეპარა თვალი. შემამჩნია და შემომიბღვირა, ოქროს მოჩუქურთმებული პორტსიგარიდან თლილი მოგრძო თითებით თითის სიმსხო პაპიროსი ამოიღო, ნაფაზი დაარტყა და ყავისფერი, შუქიანი თვალები მოჭუტა.

მწერალმა ბოხი სასიამოვნო ხმით თქვა:

— ვგრძნობ ზღვის მძიმე სუნს და მიხარია, მადლობა ღმერთს, ისევ ზღვასთან ვარ. მისმენ, ნატო?

— გისმენ.

— დავრჩეთ აქ, აქ ვიცხოვროთ. ზღვის პირას დავიბადე და მე მინდა ზღვასთან მოვკვდე.

— დედას ვერ მივატოვებ.

— შენს გარდა დედაშენს ხუთი შვილი ჰყავს, ისინი ვერ მოუვლიან?

— ვიდრე პირში სული მიდგას, დედას უნდა ვემსახურო.

— მხოლოდ ეს არის მიზეზი? არა მჯერა.

— ბოლო ხანებში ეჭვიანი გახდი.

— მართალია, ველარ ვხედავ, მაგრამ ყველაფერს ვგრძნობ.

— დღეს ბევრი ღვინო დალიე და ეს გალაპარაკებს.

— ბრმა და ბებერი, რა თქმა უნდა, ახალგაზრდა სპორტსმენს ვერ შეედრება... შენ მხოლოდ ჰონორარი გიყვარს ჩემი.

სპორტსმენის ხსენებაზე ქალს თვალები აუბიბინდა.

—ამბობ, ჩემი ბავშვობის მეგობარიაო, ვიდრე მხედველობა წამერთმეოდა, ჩვენთან იგი არ მინახავს, ახლა კი ხშირად დაბრძანდება. ვგრძნობ...

— რას გრძნობ? — წამოენთო ქალი. — გრცხვენოდეს, აქ მაშველია და გვისმენს.

— გვისმინოს... — გაჯავრდა, ღვინიანით შეჭინჭლილებული სახე გაუფითრდა და ტუჩები აუთრთოლდა.

— დამშვიდდი, ნუ ეჭვიანობ, მზრუნველი და ერთგული ცოლი ვიყავი და ვიქნები, — დაუყვავა, გვერდზემოქცეული ჭრელი ჰალსტუხი გაუსწორა.

მწერალი ერთ ხანს ჩუმად იყო, შეთოვლილ წარბებს ნელა ამოძრავებდა. მერე ამოიოხრა, მარჯვენა ხელით ცოლის მაჯა მოძებნა, ზედ სქელი, ბანჯგვლიანი თითები რომ გაატარა, ცოლს სახე დაელრიჯა, დაელრიჯა და უცებ შემომხედა, ყაყაჩოსავით წამოწითლდა, ჯილა წარბები შეათამაშა, უხერხულად, ნაძალადევად გამიღიმა და თვალები დახარა.

— გული ისევ გატკინე, ხომ? თუ მივქარე, მაპატიე, ნატო, ღვინის ბრალია, — მორჩილად თქვა, სათვალე მოიხსნა, შუქჩამქრალი თვალები ბდღვრიალა, ჩახჩახა მზეს მიაპყრო. წარმოვიდგინე: თვალები ღია მაქვს და ვერაფერს ვარჩევ, ბრმა ვარ... გამაჟრჟოლა, გავიფიქრე: „უსინათლომ დასწერა ეს რომანი და შიგ მაინც რაოდენი სინათლეა და სიცოცხლის სიყვარული!“

— ბატონო ნიკო! — დავიწყე გაუბედავად, მოწიწებით, — შარშან გარდამეცვალა დედა, დედის სიკვდილმა წელში გამტეხა, მისი სიყვარული სულს მითბობდა. ძნელი, მეტად ძნელი ყოფილა უდედოდ ყოფნა. ახლა ობლად ვგრძნობ თავს, თუმცა დებიც მყავს, ძმაც, მეგობრებიც. თქვენმა წიგნმა მდგომარეობა შემიმსუბუქა, გამამხნევა, თქვენი რომანი სიცოცხლის დიდებული სიმღერაა, უკვდავი მწერალი ბრძანდებით.

მწერლის ცოლი ყურს არ მიგდებდა, ფიქრიანი თვალებით ზღვას გაჰყურებდა. ჩემკენ პირმოქცეული მწერლის სახეზე მიმზიდველი ღიმილი იხატებოდა.

— ჩემო კარგო, — თქვა მან, — ადამიანმა იცის, რომ დაბერდება, დასნეულდება, მოკვდება, სიცოცხლე მაინც სწყურია. მე მიყვარს ადამიანი და ვცდილობ ტვირთი შევუმსუბუქო მას, დავეხმარო. დიდებული არაფერი დამიწერია, მე არა ვარ მანიაკი და არც იმ ჩიხლიპიტო კალმოსნებთან მაქვს საერთო, რომლებიც თავისი ერის გალანძღვით, განქიქებით, დამცირებით ცდილობენ სახელის მოხვეჭას და ზოგჯერ კიდეც ახერხებენ ამას. ჩვენ ხშირად ვამბობთ — ესა თუ ის მწერალი, ხელოვანი უკვდავი არისო. მივქარავთ, ჩემო კარგო, სისულელეს ვაფრქვევთ. დიდი ხელოვანის, შემოქმედის გარდაცვალების შემდეგ რჩება მისი შემოქმედება — ქვა, მუყაო, ტილო, ხე, ან ქაღალდი, რომლებიც გვაღელვებენ, სულიერად გვამაღლებენ და გვამდიდრებენ, თავად კი საკუთარი სიცოცხლე არ გააჩნიათ. გოეთეს ფაუსტი ცოცხლდება, არსებობას იწყებს მაშინ, როცა ამ ნაწარმოებს წავიკითხავ, თქვენ წაიკითხავთ, ის წაიკითხავს, განა ეს ნამდვილი უკვდავებაა? არა მგონია... — ხმას დაუწია და მღელვარებით, თითქოს ლოცულობსო, განაგრძო: — ვარსკვლავიანი უსაზღვროების მჭვრეტელს მწყუროდა უკვდავი სიჭაბუკე, პლანეტებისკენ გაფრენა, იქ მცხოვრებ არსებათა გაცნობა, საიდუმლოების ბურუსში გახვეულ უსასრულო სამყაროში დაუსრულებელი ხეტიალი. ვიცოდი, ამას ვერ ვეღირსებოდი და უმწეობისა და შიშის გრძნობა მეუფლებოდა. სიზმარივით გაფრენილ სიჭაბუკის დაბრუნებას ვნატრობ, ჩემო კარგო. ლაღი, სრულფასოვანი სიჭაბუკე სიხარულია, ამ სიჭაბუკეში სიცოცხლე ვლინდება მთელი თავისი სისავსით, სიმდიდრით. სიბერე კი დამახინჯებული, გაძარცვული სიცოცხლეა, ამიტომაც იგი ხშირად სევდიანია. ადამიანი ღირსია უკვდავებისა თუნდაც იმიტომ, რომ ამქვეყნად არსებობს სილამაზე, სიმღერა და სიყვარული!

* * *

როცა არ წვიმდა, მწერალი და მისი ცოლი ნატო პლიაჟზე იყვნენ. მე და მწერალი ვმუსაიფობდით, ნატო კი ხან ბანაობდა, ხანაც დიდხანს იწვა სილაზე, საქართველოს გულფიცხი მზე მცხუნვარე სხივების ფუნჯით მის გათქვირულ, მშვენიერ ტანს შოკოლადისფრად ღებავდა.

ჩქარა მწერალსა და ნატოს თბილისიდან ჩამოსული კუნთებდაყრილი, შავთვალა სპორტსმენი შეემატა. ისინი დილით ერთად მოდიოდნენ პლიაჟზე და შუადღისას ერთად მიაბიჯებდნენ ქალაქისაკენ. ერთხელ, როცა სილაზე გართხმულ, ზღვით დაცვარულ ნატოს ვნებიანად ჩასცქეროდა მის გვერდით მჯდომი სპორტსმენი, გარკვევით გავიგონე ნატოს სიტყვები: მე დამყურებს მზე და ქართველი!

ივლისში გამომშვიდობების დროს მწერალმა ჩემი მისამართი ჩააწერინა ნატოს და მითხრა: — ოქტომბერში ალბათ გამოვა თქვენი მონამორჩილის ახალი რომანი, უეჭველად გამოგიგზავნით.

აგვისტოს მიწურულში გაზეთი გავშალე და თვალში მეცა იმ მწერლის პორტრეტი და ნეკროლოგი. გულის ინფარქტისაგან უეცრად გარდაიცვალაო, ეწერა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი გეწაძე

# მუზარადში ამოსული ყვავილი

## რომანი

— მირიან, მაგ ცეცხლს ძალიანაც ნუ ააცეკვებ, გახელებული ყველაფერი საშიშია...

— კედლებს უნდა გამოშრობა, არც ჩვენ გვაწყენს! — ხელები ცეცხლს მივაფიცხე.

— ეს რა ხელები გაქვს, ნიჩაბივით ფართო და მსხვილთითებიანი?!. — ახლადა დამაკვირდა მაია.

— არ მოგწონს?

— ნამდვილ მუშაკაცად ხარ დაბადებული, აფსუსია შენი ჯარისკაცად მოცდენა.

— რას ვიზამთ.

შუაცეცხლის სითბომ ძარღვებში ღვინისავით დამიარა და გამაბრუა. ის ცეცხლი თითქოს ჩემ ძარღვებშიც შემოიჭრა. არა მარტო გამათბო, ამანთო კიდეც.

— მაია, არ დავწვეთ?

— რა გვეჩქარება?

— ადრიანად უნდა ავდგეთ.

— ზამთრის ღამე დათვს დააბერებსო.

— მაინც ადრე სჯობია... უმოწყალოდ მეძინება.

— კი, ბატონო, შენ თუ გეძინება... —მაიამ ფიცრებზე ლაბადა-კარავი გაშალა, ერთ მუთაქად თავისი ჩანთა დადო, მეორე მუთაქად — ხის კუნძი, ზედ ბალიშებად ზურგჩანთები მიუსადაგა. — ლოგინიც მზად არის, მოისვენე.

— შენ?

— დავიცდი, სანამ ცეცხლი თვალს დახუჭავს.

— აუჰ, ეს ცეცხლი როდის დახუჭავს თვალს?!

— შენ ნუ დაუცდი, დაიძინე. მე ქალი ვარ, ვიდრე ცეცხლს არ დავაძინებ, ვერ დავწვები.

მე სულაც არ მინდა, მარტო დავიძინო. ჩემ გულში უშველებელმა ჯირკმა გავარვარებული ნაკვერცხლები დაყარა და ისე იწვის, ირგვლივ ყველაფერს დაღავს.

———————

დასასრული. იხ. „მნათობი“ № 9.

— მაია, დაწექი შენც, ცეცხლი ენთოს, რა უჭირს?

— საშიშია. მუგუზალმა ერთი ნაპერწკალი რომ გააგდოს განზე, ორივე ამ ქოხში ამოვიბუგებით. სხვა რომ არაფერი, ციდან, ალბათ, ნათელი წერტილივით ჩანს, ვაითუ გაგვცეს... იქნებ ჩვენმა თვითმფრინავმაც დაგვარტყას... ჰოდა, მოვლა უნდა.

— შენმა იმან თუ გადაგვიფრინა თავზე და ისიც შეამჩნია, ვისია ეს ცეცხლი, რა თქმა უნდა, დაგვარტყამს. გერმანელები დაავიწყდება და ჩვენ დაგვარტყამს...

— ახიც იქნება... ამ ცეცხლის ჩაქრობა ჩვენი ნება არ არის? ღადარი რომ იყოს ბლომად, შევახვევდი... თოვლი რომ დავაყაროთ?

— ისევ თოფს ხომ არ ვისვრი ამის ასანთებად? ჰო, მართლა! ცოტა რომ შევახვიოთ და მუზარადი დავაფაროთ?

— სარჩული გამოეწვება და საშინელ სუნს დააყენებს.

— ერთი უსარჩულო მუზარადი ეგდო ქოხთან, ვინ წაიღებდა! ახლავე მოვიტან!

მოვიტანე. ახლადგაჩენილი მცირე ღველფი ჩანაკვერცხლებულ ჯირკს შემოვაყარე, მერე თავზე მუზარადი დავაფარე.

— უსაშველო არაფერი არ არის, ესეც ასე! დაიძინე, მაიკო!

ერთმანეთის თავფეხშექცევით დავწექით. „ლოგინი“ ასე დააგო დიასახლისმა.

— ღამე მშვიდობისა, მირიან!

სათქმელად ადვილია, ღამე მშვიდობისაო. მუზარადქვეშ რომ ჯირკი ღვივის, იმაზე მხურვალე ცეცხლი ჩემ გულში გიზგიზებს.

ნატყვიარი მუზარადიდან ამოსული შუქი ქოხის ოთხივე კედელს ეცემა, თითქოს ქვეშ პატარა პროჟექტორი დგასო. მუზარადი ჯირკს მთლიანად ვერ ფარავს და სინათლე რკინის ქუდს ქვემოდან შარავანდედივით შემოვლებია.

„ნეტავ ვისი იყო ეს მუზარადი? ტყვიებით

ასე ულმერთოდ ვინ დაცხრილა? იქნებ კაცს როცა ეხურა, მაშინ ესროლეს ტყვიები? ჰო, შესაძლოა, ასეც იყო“.

ახლა მუზარადიდან შუქი კი არა, სისხლი იღვრება. ნატყვიარებიდან ამოსული კედლებს წვრილ შადრევნებად ესხურება. მუზარადის ქვეშაც სისხლი ქონავს.

„არაფერი არ არის კაცის სიცოცხლე... მგონი, ვალიკო იაშვილი მართალი იყო... ამ ქვეყნად მარტო იმისთვის ხომ არ მოვდივართ, მუზარადდახურული თავი ტყვიებით დაგვიცხრილონ, ჩვენ სადღაც ჩაგვჩურთონ, მიწისზევით კი მხოლოდ ნატყვიარი მუზარადი დაგვრჩეს? ტყვია პატიოსანსა და უპატიოსნოს, ცოდვიანსა და უცოდველს არ არჩევს. საერთოდ კი ვინ არის ცოდვა-მადლის ჭეშმარიტი განმსჯელი? იქნებ ზოგჯერ სწორედ ის არის მადლი, რასაც ცოდვას ვეძახით და პირიქით? არ შემიძლია, მეტი აღარა შემიძლია!“

— მოისვენე, ბიჭო, ნუ წრიალებ! აკი უმოწყალოდ მეძინებაო?

— რაღაც შემომიჩნდა და... ვეღარ ვიძინებ.

— რამ აგათრთოლა, გცივა?

— რაღაცნაირად მცივა კიდეც.

— შენც იფიქრე, არა მცივა, არა მცივა-თქო და აღარ შეგცივდება. ნუ მიყურებ!

— მაია, მოწაფეობისას ერთი გოგო მიყვარდა...

— უეჭველად გეყვარებოდა. უსიყვარულოდ ჩვენს ასაკში ვერავინ გაძლებს.

— შენ იმ გოგოს ძალიან ჰგავხარ. პირველად რომ გნახე, ის მეგონე კიდეც. ის გოგო, დედის სულს გეფიცები, ნამდვილად შენ გგავდა გარეგნობით...

— იმ მფრინავ ბიჭს კი შენ არაფრით არა ჰგავხარ.

— ყველა ერთნაირი არ იბადება.

— შენ ის გოგო ახლაც გიყვარს, მირიან.

— ის გოგო... ეეჰ! — გავჩუმდი.

— შენ ახლაც იმ გოგოზე ფიქრობ. ჰო, სჯობია, იმაზე იფიქრო...

— ის გოგო გათხოვდა... შენ მხოლოდ გარეგნობით გგავდა, სხვანაირი ბუნებისა გამოდგა... მხოლოდ ერთხელ ვაკოცე, როცა თვითონ გამათამამა, სულ ეს არის ჩემი ცოდვა.

— მღვდელი ვარ, აღსარებას რომ მაბარებ?

— სიტყვამ მოიტანა და მოგიყევი, გოგო, რა მოგივიდა? ნუ გეშინია, შენ სიკვდილამდე მეყვარები...

— თუ ხვალ დავიხოცებით, რა თქმა უნდა.

— არც ეგ არის გამორიცხული.

— იმიტომ უფრო მოგენდე, იმედიანი ბიჭია-მეთქი, ასე რამ გამოგცვალა? ნუ მიყურებ, დაწყნარდი და დაიძინე! გულიდან ეშმაკი ამოიგდე, სხვა რამეზე იფიქრე და დაგეძინება. სიცივეს ნუ აბრალებ რაღაცას... ფიქრში დაითვალე ასამდე, თუ ვერ დაიძინო, თავიდან დაიწყე!

— ვცადე, არ მიშველა. როცა ძილი მიტყდება, თვალს ვხუჭავ და ვცდილობ, რაიმე სიჭრელე დავინახო — მწიფე მარწყვის მინდორი, ან დიდი ხალიჩა, ანნაირნაირი მძივებით მოფენილი მდელო... ახლა ამ სიჭრელის წარმოდგენა ვერაფრით ვერ მოვახერხე.

— ის გოგო, ალბათ, ხშირად ჭრელ კაბას იცვამდა და მძივებსაც იკონწიალებდა.

— ჭრელ კაბას ყველა გოგო იცვამს...

— მე ჭრელა-ჭრულა ყველაფერი ჭირივით მეჯავრება. შენ მაგნაირად დაძინება იმის შემდეგ დაგჩემდებოდა, ღამღამობით იმ გოგოზე ფიქრი რომ შემოგეჩვეოდა. ასეა? ჰა, გამოტყდი!

— არ მახსოვს...

უხილავი ცეცხლი მეკიდა და სწორედ ეს ცეცხლი შეცივნულივით მათრთოლებდა. ალბათ ამ ცეცხლს დაარქვა მაიამ ეშმაკი. ჩემ სულში ჩამჯდარი ეს ეშმაკი ყირაზე გადადიოდა, სისხლს მიხურებდა და მიმღვრევდა, თან მაქეზებდა: რაღას უყურებ, მოხდეს, რაც მოსახდენიაო.

— მიყვარხარ, მაია! არავინაც არ ვიცი, მე შენ მიყვარხარ!..

მაიასკენ შევბრუნდი და ხელი მოვკიდე.

— მირიან, გაგიჟდი?! — გოგო შეშლილივით წამოვარდა და კედელს აეკრა აკანკალებული. — არა გრცხვენია? ვაჟკაცი მეგონე, მფარველობა გთხოვე, შენ კი... ეს არის შენი ვაჟკაცობა?

— ისეთი რა მოვინდომე, რაც... —ისევ წავატანე ხელი.

უცებ მაიამ უბიდან ჩემი დის თავსაფარი ამოიღო და მოიხვია.

— თვალი ვეღარ გავუსწორე გოგოს, თავი ჩავღუნე:

— რა არის ეს? მომეცი!

— ვერა. თუ ჭკვიანად მოიქცევი, თავის დროზე დაგიბრუნებ!

— კარგი, დაიძინე, მშვიდად დაიძინე! — ქურქი ჩემი ხელით მივაფარე და კვლავ ჩემს ადგილას დავწექი. — ცუდია, მარტო რომ ვართ...

— ნამდვილად ცუდია! შენ გგონია... — მაიას ტირილი წასკდა.

— რა გატირებს, სულელო? ახლა ხომ აღარავინ გაწუხებს?

პასუხი არ გამცა, უცებ ტირილი შეწყვიტა, ქურქი გადაიგდო, წამოხტა, ავტომატს ხელი დაავლო და ჩვენს შუა ჩადო.

— აი, მარტო აღარა ვართ.

მივხვდი: მაიასაც გაუჭირდა რაღაც. ეს თოფი მარტო ჩემი ეშმაკის დასათრგუნავად არ ჩაუდვია აქ... ალბათ, თავის გულში გაჩენილ ეშმაკსაც დაუმიზნა.

ავტომატზე ხელი მომიხვდა და უსიამოვნო ჟრუანტელმა დამიარა. ამ ლითონმა თითქოს ყველაფერი გააცივა ირგვლივ. თავსასთუმალთან დადებულ ნადავლ დაშნას მივწვდი და ავტომატს დავუწყვილე. მაია ჩხაკუნმა შეაშინა.

— რას შვები?

— ცოდვაა მარტო თოფი, დამხმარე უნდა. რაკი წაწლობას ვთამაშობთ... ეს ვითომ ხანჯალია...

მაია ახლა ნაჯახს მისწვდა, დაშნას დაადო და იფრთქვინა. ველარც მე შევიკავე სიცილი. ამ გულიანმა სიცილმა უხერხული დაძაბულობა ერთბაშად განმუხტა და ვნებათაღელვაც დააცხრო. თითქოს რაც აქამდე მოხდა, ყველაფერი მხოლოდ თეატრალური თამაში იყო, დაეშვა ფარდა, და ჩვენ სხვა ადამიანებად ვიქეცით, იმ ადამიანებად, რომლებსაც სცენაზე გათამაშებულ ვნებათა ღელვასთან საერთო არაფერი ჰქონდა. თითქოს ეს თოფი, დაშნა და ნაჯახი ცარიელი ბუტაფორია იყო, სხვა არაფერი.

ქოხიც თეატრალური შუქით იყო განათებული.

„ეს მუზარადი არავისაც არ ეხურა... ალბათ, ჯარისკაცებმა სამიზნედ დადეს და თავგასართობად ესროლეს... არა, ამ მუზარადიდან სისხლი არ იღვრება, ჩვეულებრივი ცეცხლი ანათებს, ჯირკის ცეცხლი..."

— დაიძინე, მაია, რატომ არ იძინებ?

— რა ვიცი.

— დაიძინე, დილით ადრე უნდა ავდგეთ.

რაღაც გრუხუნისმაგვარი მოგვესმა ყრუდ.

— ჰექა-ქუხილია?

— ამ მთვარიანში რა დროს ჰექა-ქუხილია? ზამთარში ქუხილი ვის გაუგონია? სადღაც ისვრიან, მაია!

— იქნებ ჩვენი ბიჭებიც ისვრიან?

— ჰო, შესაძლოა, ჩვენი ბიჭებიც ისვრიან! არ შეგეშინდეს, მაია, არ შეგეშინდეს! მოემზადე, წავიდეთ!

ყარაბურუნის შემოგარენი გულმოდგინედ შემოვიარეთ და ვერავინ ვნახეთ. უკან გამობრუნებისას შემთხვევით მიწურს წავაწყდით.

მიწურის კედელში მოხუც პეტრეს ღუმელი გამოუჭრია, იქვე ძელებით ტახტი გაუმართავს და ზედ დაჭრილი ვაჟი, კუზმა, დაუწვენია.

კუზმას რაზმის შედგენა მოუნდომებია, ფაშისტებს მძიმედ დაუჭრიათ. სოფელში დამალვა შეუძლებელი გამხდარა. პეტრეს შვილი ზურგზე აუკიდია და თავი ტყისათვის შემოუფარებია.

ახლა კუზმა ჯვალოგადაფარებულ ხავსზე იწვა მთლად დაუძლურებული, ფერგადალეული და თვალებადქცეული. შალის თხელი საბანი და რუხი პალტო ეხურა.

მაიამ დაჭრილს სახვევები გამოუცვალა.

— ალბათ, ძალიან გიჭირთ?

— ნუღარ მკითხავთ. რის ვაივაგლახით ვუვლი. ჩუმად ჩავდივარ ხოლმე სოფელში და სამოწყალოდ ვშოულობ ხორაგს. ეტყობა, ზამთრის გატარება აქ მომიწევს. სანამ შვილს ფეხზე არ წამოვაყენებ, სად წავიდე?

ყოველშემთხვევისათვის ისიც ვკითხე, აქეთ წითელარმიელთა რაზმს ხომ არ გამოუვლიამეთქი. თავი გააქნია ბერიკაცმა, არაო.

— ამ მთებში სადმე პარტიზანები არ არიან?

— ამბობენ, შემოდგომაზე ერთი რაზმი იყო და გერმანელებმა მოსრისესო. ჰო, მართლა! რაზმისა არაფერი მსმენია, ერთი ქართველი კი ვნახე გუშინ.

— ქართველი?

— ჰო, ქართველი. ბატალიონიდან მარტო დარჩენილა. სანამ ოცდაერთ ფაშისტს არ მოვკლავ, აქედან არ წავალო.

— ოცდაერთს? — უმალვე ეკლესიის წარწერა გამახსენდა. — როგორი ბიჭი იყო?

— მაღალი და ლამაზი. თვალებიდან ნაპერწკლები სცვიოდა.

„იქნებ ვალიკოა, ჰა?"

— ულვაშები ჰქონდა?

— კუპრივით შავი. წარბები კი შენსავით სქელი და გადაბმული.

„ვალიკოს წაბლისფერი ულვაში და ერთმანეთზე დაშორებული მოკლე წარბები აქვს. იქნებ შეიღება რაიმე ახირებისათვის?"

— რა ეცვა?

— ყველაფერი მეზღვაურის, ფარაჯა, შარვალი... ქუდიც მეზღვაურის ეხურა. თავიდან ფეხებამდე იარაღში იყო ჩამჯდარი. მრგვალი პატარა ყუმბარები ქამარზე გირჩებივით ეკიდა.

„ვიღაცაა, ვალიკოს ჰგავს და არცა ჰგავს. თუ ვალიკოა, რისთვის დასჭირდა ტანსაცმლისა და იერის გამოცვლა?"

— ნამდვილად ქართველი იყო?

— თვითონვე მითხრა, ქართველი ვარო. სახელი ვერ დავიმახსოვრე.

— ვალიკო?

— არ მახსოვს. ცოტა ხორაგი გვიწილადა. წასვლისას დამპირდა, სამიოდე დღეში გამოგივლი და ხორაგს კიდევ მოგიტანო.

— მართლა?! თავიდანვე ეგრე გეთქვა!

პატარა ბარათი დავწერე ქართულად: „რაზმი ვერ ვნახეთ. ჯერჯერობით მეტყევის ქოხში ვართ. მირიანი". თუ ვალიკოა, ყველაფერს მიხვდება-მეთქი.

— ბიძია, ის ქართველი თუ გამოჩნდეს კიდევ, ეს გადაეცი.

— ადვილი სამსახურია.

შინ ღამით მივედით. ნაცარი გავჩხრიკეთ.

საბედნიეროდ, ცეცხლი შენახულიყო. კერა უმალვე გავაჩაღეთ. ისევ თოვლის წყალი ავადუღეთ და წავივახშმეთ. მაიას დანა პირს არ უხსნიდა, სასაფლაოდან მობრუნებულ ჭირისუფალსა ჰგავდა. კარს ისევ ლაბადა-კარავი ჩამოვაფარეთ და დაწოლის თადარიგი დავიჭირეთ. მაიამ კვლავ ჩემი დის თავსაფარი მოიხვია. ავტომატიც ისევ ჩადო ჩვენშუა. მაგრამ ამაზე არცერთს არ გაგვცინებია.

ცეცხლს დაძინება ჩვენ დავასწარით.

გავიღვიძე, კერა გუზგუზებს, მაია კი არსად ჩანს. მისი ჩექმები აქვე აწყვია, ტახტთან. საკვამურის გვერდით ქოხის სახურავს პატარა ყავარი აქვს ამძვრალი. იქიდან შემოჭრილი მზის სხივი სოხანეს ირიბად ეცემა.

„ნეტავ სად არის?“

წამოვხტი და ფეხები ჩექმებში ჩავყარე. შევბრუნდი და მაიაც შემოვიდა. კარდალათი თოვლი შემოიტანა. თექურების ჩაცმა უკადრებია. თავზე კი კვლავ ასმათის თავსაფარი ახურავს.

— რა ვქნათ? იქნებ აქ კიდევ დიდხანს მოგვიწიოს ყოფნა და ასე ვადნოთ თოვლი? ახლო-მახლო არც წყარო ჩანს, არც ღელე.

— იქნება, მეტყევე ქოხს ისე არ ააშენებდა... ნასაუზმევს დავძებნოთ.

გარედან ქვები შემოვიტანე და კერაზე კარდალას დასადგმელად სამფეხი გავმართე. დიასახლისმა თოვლი გაადნო და ფაფის კეთებას შეუდგა. წყალში ფქვილი ჩაყარა და გათლილი ჯოხი მოურია.

— ახლა ზუსტად დედაშენსა ჰგავხარ, მაია.

— ეჰ, — ამოიხვნეშა გოგომ. — ძნელია... სადგურზე რომ გამომაცილა, სულ ოთხი სიტყვა მითხრა: თავს გაუფრთხილდი, ნუ მომკლავო. თვალს რომ დავხუჭავ, ყოველთვის ბაქანზე მდგარ დედას ვხედავ. ცხრა მთის გადაღმიდან მევედრება: ნუ მომკლავო. ეჰ! — მაიამ სადღაც შორს გაიხედა, ქოხის მიღმა.

გარინდებული გოგო როგორმე ქოხში უნდა დამებრუნებინა.

— მაია, მათხოვე ის სურათი!

— რად გინდა?

— მათხოვე, არ მენდობი?

სურათი კედელზე ხიწვებით მივამაგრე.

— მირიან?! — გაკვირვებით შემომხედა მაიამ. — რას აკეთებ?

—ხატი დავკიდე, ღვთისმშობლის ხატი. ამიერიდან ეს იქნება ყოვლად წმინდა ადამიანთა მფარველი ანგელოზი. ამნაირ ტაძარს სწორედ ასეთი ხატი შეშვენის. — მლოცველივით დავიჩოქე და შევღაღადე: — გვფარვიდეს ესე ხატი ყოველგვარი უბედურებისაგან. ამინ! ერთი ამინი შენც შემაწიე, ღმერთი კი არ გიწყენს! მე იცი, რას ვფიქრობ, მაია? ყველა დედა ღმერთია, ნამდვილი ღმერთი, რომელსაც თავისი გაჩენილი ადამიანის ღაღადისი ესმის და ელაპარაკება კიდეც.

— მირიან?! ნუ ხარ უცნაური?! — მაიამ ხელი სურათისკენ წაიღო.

— არ ჩამოხსნა! პატივი ეცი ჭეშმარიტი ღმერთის ხატს! იყოს ასე, ვიდრე აქ ვიქნებით! რაღაცნაირად იმედია!

სანამ მაია ფაფას მოხარშავდა. „ხატის“ ქვეშ, თეთრ კედელზე ნახშირით სამიოდე ხაზი გადავრკალე და კედელი თოვლით გადალესილ მთებად იქცა. მერე რქებგაბორჯღლილი ხარირემი და თოვლში ყელამდე ჩაფლული ფურირემი მივახატე.

— ეს რაღაა, მირიან?

— ფურირემი და ხარირემი გარბიან თოვლის უდაბნოში.

— რატომ გარბიან? ან სად გარბიან?

— სად გარბიან, არ იციან, წინ თოვლით ამოვსებული ხრამებია... გარბიან იმიტომ, რომ ვიღაცა თუ რაღაცა მისდევთ უკან... იქნებ ის ვიღაცა სწორედ ის არის, ბედი-მდევარი რომ ჰქვია.

— ბარემ ისიც მიახატე, თორემ როგორ გავიგო, რომ მისდევს?

— დახატვა რად უნდა? ისედაც ეტყობა. დაძაბულნი თოვლში მკერდამდე ეფლობიან და მაინც გარბიან. თუ არავინ მისდევთ, რატომ გაიქცევიან: აი, ფურირემი უკან იყურება, მდევარი ხომ არ დაგვეწიაო. ხარირემი თოვლს მკერდით მიაპობს და ფურირემს გზას უკვალავს.

ჩამოვსხედით და კარდალა შუაში ჩავიდგით.

— გემრიელი ფაფის მოხარშვა გცოდნია.

— ისე ცხონდები შენ! უმარილო ფაფას რა გემო უნდა ჰქონდეს?

ეტყობა, ღრუბელმა გადაიარა, სახურავიდან მზის სხივი შემოიჭრა და ზუსტად მაიას დედის სურათს მოეფინა.

თვალი გამიშტერდა.

— მაიკო, შეხედე, მზემ ჩვენს ხატს სანთელი აუნთო!

ჩვენ ირანის უდაბნოში არა ვართ. ეს თოვლია და არა თეთრი ქვიშა, ტყეში ჩაწოლილი თოვლი. აქ წყარო უეჭველად იქნება.

გავყურებ ფერდობს. ერთადერთი სიმწვანე ამ დიდ სითეთრეში არის ფითრი — მსხლის მატყუარა ყვავილი, რომელსაც ჩიტები შესევიან.

ვვარაუდობ წყაროს ადგილსამყოფელს.

— მომყევი, მაია.

ხეებითა და კლდეებით შენიღბული ქოხი უკან მოვიტოვეთ. მაიას უკვირს, ასე გულდაგულ სად მიეშურებიო.

თოვლს სუნი არა აქვს, სუნი აქვს მიწას. ახლა ირგვლივ თოვლია. მაგრამ, მე მგონია,

წყალსაცა აქვს სუნი. დაბარებულივით წავადექი წყაროს.

თეთრ თოვლში მრგვლად ციმციმებს ცისფერი თვალი. ხუთიოდე ნაბიჯზე ასეთივე მეორე თვალია. თოვლის თეთრ პირისახეზე ლივლივებს ორი ცისფერი თვალი — ეს თითქოს მიწა შემომყურებს მაიას თვალებით...

უჩუმესი ღიღინით მოედინება ბინული. ორ წყაროსთვალში ჩქამგაუღებლად შემოდის და გადის.

მე ვიცი, ეს წყარო მიწის გულიდან ამოდის. მხოლოდ ასეთი, ნამდვილი წყარო არ იყინება ზამთარში. ეს წყარო დიოდა, ალბათ, როცა დედამიწაზე ომის სახელიც არ იცოდნენ და იდენს, როცა ომის სახსენებელიც არ იქნება. ეს მიწის გულიდან მომავალი მარად დაუშრობელი წყაროა.

წყაროს თვალსარკეში მე და მაია ერთად ვჩანვართ. ვჩანვართ და ვლივლივებთ. თავზე რაღაც ჩრდილმა გადაგვიარა და წყაროსთვალში ღრუბელი შემოტივტივდა. იმ ღრუბელმა თითქოს ქვესკნელში გაიარაო. წყაროს მხოლოდ წუთით უცვალა ფერი.

თავდაყირა ჩაკიდებულ ჩვენს ორეულებს კარგა ხანს ვერ მოვწყვიტეთ თვალი.

— რა ვქნათ ახლა, ასე ვუყუროთ ამ წყალს?

— აფსუსი არ არის ამ წყაროსწყალში ჯარისკაცული კარდალის ჩაყოფა?

— რას იზამ! ნუ გეშინია, არ აამღვრევს!

კარდალა თოვლზე გავუსვ-გამოვუსვი და წყაროსთვალში ჩავყავი.

აღმართს ნელა ავუყევით. მაიამ წინ გამისწრო. ბორცვზე რომ შედგა, თითქოს მიწას მოსწყდაო, მთლიანად ცაში გამოჩნდა.

— ჰეი, სად გამირბიხარ? მოიცა! — გულამოვარდნილი დავედევნე.

„რამ შემაშინა? მაია ცაში არ გამექცეს-მეთქი? ვისთან უნდა გამექცეს ცაში?“

ტყის მყუდროება საშინელმა ღმუილმა დაარღვია ავტომატი მოვიმარჯვე.

ჩვენს ზემოთ ცეცხლმოკიდებული თვითმფრინავი მიჰქროდა. გერმანელებისა იყო.

გამეხარდა და მაიასკენ შევბრუნდი. უცებ ის თვითმფრინავი მის თვალებში დავინახე...

უმალვე ბინული გამახსენდა:

„ალბათ, წყაროსთვალშიც ასევე ჩანს... ცაში ერთი გერმანული თვითმფრინავი იწვის, მიწაზე კი — იმდენი, რამდენი თვალიც შეჰყურებს...“

— მაია, ეტყობა, ჩვენები არც ისე შორს არიან, თორემ ცეცხლმოკიდებული თვითმფრინავი აქამდე ვერ მოაღწევდა. რაზმი თუ ვერ ვნახეთ, ფრონტისკენ უნდა გავუტიოთ.

— ჰო, თუ ვერ ვნახეთ... ჯერ ხელისჩაქნევა ადრეა...

ქოხში შევედით. მაიამ დედას შეხედა. კარგა ხანს იდგა გარინდებული და თვალს არ აშორებდა. გეგონებოდათ, დედა-შვილი საუბრობსო.

მაიას დედის სურათთან კი, თოვლის უდაბნოში გარბოდნენ ირმები. ირმები გარბოდნენ, ბედი-მდევარი კი არ ჩანდა.

დილის იისფერი ბურუსი ტყესა და თოვსაც სევდიანს აჩენს. ცა დაბლაა ჩამომხობილი.

ჯერჯერობით არსად მივდივართ, ამიტომ ფხიზლად უნდა ვიყოთ, თავზე მოულოდნელად რომ არავინ დაგვესხას. თუ ჩხიკვი ტყეში მოუსვენრად დაფრინავს, და იქაურობას ჩხავილით იკლებს, უნდა იცოდე, რაღაც საგანგაშო ამბავია. სხვა ფრინველებსაც უნდა დაკვირვება: თუ მშვიდად არიან, ეს იმას ნიშნავს, ახლომახლო არავინ გვეპარება.

— მაიკო, არემარეს ხომ მაინც უნდა ვუთვალთვალოთ, ბარემ სარაგველასაც დავაგებ.

— შენი ნებაა.

ზურგჩანთაში ხორაგი ილევა. რამდენიმე ჩიტიც რომ მოვინადიროთ, ესეც ხეირია. აქ ავტომატით ნადირობა არ შეიძლება, ექო შორს ისმის.

„ეჰ, ომია და თავისუფლად თოფი ვერ გისროლია ტყეში“.

ქოხის შორიახლო თოვლი მოვტკეპნე, ზედ ხავსი და ხმელი ბალახი მოვაყარე, რამდენიმე კუნწულა ფითრიც დავაგდე. მერე ჩვენებური სარაგვავი გავმართე. მოკლე ფიცარს ბოლო მიწაზე დავადებინე, თავში კი ჯოხი შევუყუდე. ჯოხს ციცაბარდის თოკი ჩავაბი გრძლად. გამოჰკრავ თოკს და ჯოხგამოცლილი ფიცარი ბალახის ქექვითა და ფითრის კენკვით გართულ ჩიტებს თავზე მოულოდნელ რისხვად დაატყდება.

მაიამ ერთდროულად სამი საქმე გაიჩინა: არემარეს დარაჯობს, სარაგვავს უთვალთვალებს და წინდასაც ქსოვს.

როცა მე ვმორიგეობ, წყალივით მომწყურდება ხოლმე: ტყესა და კლდეებს გავძახო, ეს ლოდივით ჩამოწოლილი სიჩუმე ავახმაურო, ამ წუთში, შესაძლოა, რაიმე მზაკვრობასაც რომ მალავს. მინდა გავიგო, აქაური ტყე ჩემი ხმის ექოს რანაირად გამოსცემს. ბავშვობისას მთაში ძახილი ძალიან მიყვარდა, საკუთარი ხმის ექოს რომ ვისმენდი, საოცრად მიხაროდა, თითქოს ვიღაც იდუმალს ვესაუბრებოდი. ახლა ვზივარ ხოლმე და ხმას ვერ ვიღებ. არა, იმიტომ არა, ბელურები დაფრთხებიან-მეთქი — სიფრთხილისათვის, ჩემი ხმის ექოს თოფის ხმაც არ მოჰყვეს, მტრის თოფის ხმა. თორემ მერე, როგორც ამ ბელურების სიკვდილს ქვეყნიერების ზურგზე ჩვენს გარდა ვერავინ იგებს, ისე უკვალოდ დავიხოცებით ჩვენც... რაზმი არსად ჩანს, სხვაგან

კი, არა მარტო ჩვენი, ალბათ, რაზმის არსებობაც არ იციან. მე მეშინია ასე უგზო-უკვლოდ დაღუპვის. ახლა მეტი სიფხიზლე გვმართებს.

„მაია, შენ რომ ჩემთან არ ყოფილიყავი, მე იქნებ ფეხი მომკვეთოდა და ადვილად დავცემულიყავი. ახლა ვიცი, ვიღაცას ჩემი იმედი აქვს, ვიღაცას ვჭირდები და ეს მამხნევებს, მაძლებინებს და ძალ-ღონესაც მმატებს". — ამას ჩემთვის ვფიქრობ, გოგოს როგორ გავუმხელ?

დღემ მშვიდობიანად გაიარა: არც მტერი გამოჩენილა, არც მოყვარე. შვიდი ბეღურა გავპუტეთ და შევწვით. დიახაც გვეგმერიელა, მაგრამ კუჭის ძირიც ვერ მოგვიფარა, მხოლოდ მადა გაგვიხელა.

მოვიდა ღამე. იმხელა მოთოვა, დილით წყალის მოსატანად რომ გავტოპე, კურდღელი ხელით დავიჭირე. მერე ცამ ისევ დაიწყო მსხვილ-მსხვილი ფანტელების ჩამოყრა და სამ დღეს ქოხში ჩაგვკეტა.

მაიას ცეცხლთან ლოყები რომ აებრაწება, კედელთან მიდგება ხოლმე და ქსოვს. წინ დაჭერილ მკლავებზე გადმომჯდარი მაღალი მკერდი ვნებიანად აუდ-ჩაუდის.

მე თავს ვებრძვი: ქალიშვილისკენ არ გავიხედავ-მეთქი. თვალები ჯიუტად გამირბიან.

გეგონებათ, ჩემი ჟინის გახელებას გრძნობსო, მაია ამ დროს კისერს მოხდენილად დახრის ხოლმე და თავსაფარს ისწორებს.

ჩვენ შუა თითქოს შუშის კედელია: ერთმანეთს კარგად ვხედავთ, ხელის ხლება კი არ შეგვიძლია.

მაიასკენ ჩემი ლტოლვა თანდათან იცვლება. მე ვებრძვი ხორციელი სიახლოვის ვნებას უფრო დიდი რაღაცის მისაღწევად.

ჩემი აზრით, ყველა ადამიანი თავის სულში ებრძვის მხეცს, ებრძვის პირუტყვს. დასაბამიდან, პირველყოფილი ველური ადამიანიც მხეცებთან და პირუტყვებთან ჭიდილში ყალიბდებოდა ადამიანად. მაგრამ ადამიანის ბუნების სიღრმეში დღემდე ზის ნადირი და პირუტყვი. ჰოდა, მე ვებრძვი ნადირსა და პირუტყვს ჩემს არსებაში. ეს, ეტყობა, გაცილებით ძნელია, ვიდრე თოფით მტრის მოკვლა, რადგან ადამიანის არსებაში ნადირის მოკვლა შეიძლება, პირუტყვის კი — მთლიანად არა... თუ ადამიანში პირუტყვიც მოკალი მთლიანად, ადამიანიც მოკვდება... ის ადამიანის სიცოცხლეს უკვდავებად დაჰყვა, მარადიულობის ფესვად გაუჩნდა და ვერ მოკლავ. შეგიძლია მხოლოდ ზოგჯერ გააჩუმო, გარკვეულ დრომდე დააბა შენი სულის დილეგში, დარაჯად კი შენივე პატიოსნება დაუყენო, უთოფო პატიოსნება. თორემ პატიოსნებას თუ ხელში თოფი დააჭერინე, ეს უკვე პატიოსნება აღარაა, თოფქვეშ მოქცეული შიშია და არა — პატიოსნება. უთოფოდ კი ძნელია თავი არ აიშვას და დილეგის კარი არ გამოამტვრიოს, მით უმეტეს, როცა მარტონი ხართ შენ და ის.... პირუტყვი კი არა, ის... მაღალმკერდიანი გოგო, ვინც შენში პირუტყვს ახელებს, როგორც ტორეადორი ხარს...

მაია ხშირად ისე მიყურებს, მის თვალებში აშკარად ვკითხულობ მუდარას: მირიან, შენ არასოდეს არ იფიქრო ზოგიერთივით, უფალმა უწყის, ხვალ რა მომელის, ვაითუ აღარაფერი დამცალდეს და ამ ოხერ წუთისოფელს პატარა სიამეს მაინც წავართმევო. ომის ჯოჯოხეთით ყველაფრის გამართლება არ შეიძლებაო. „რა თქმა უნდა, — ვეთანხმები მე; — სიყვარული მარტოოდენ ხორციელი სიახლოვის გრძნობა არ არის, რაღაც წმინდა უნდა უძღოდეს წინ... ხორცი ყველა მხეცსა და ნადირს უყვარს... ადამიანის გული ბოსელს არ უნდა ჰგავდეს, სადაც მხოლოდ პირუტყვს ამწყვდევენ.."

მე ეს ვიცი, მაგრამ რაიმეს მარტოოდენ ცოდნა რომ არ გვყოფნის ხოლმე? ვნახოთ, ვნახოთ!

ადრიანად ავდექით. კარზე აფარებულ ლაბადა-კარავს კალთა უფრიალებს. არ თოვს. მეტი მოცდა აღარ შეიძლება. ვიდრე შიმშილი ძალღონეს გამოგვაცლის, ჩვენიანები უნდა მოვძებნოთ. მაიამ კედლიდან დედის სურათი ჩამოხსნა.

ავედით ყარაბურუნზე. რაზმის ნაკვალევს ვერც ახლა წავაწყდით. გამობრუნებისას მამაშვილთან შევიარეთ. შავულვაშა ქართველი მეზღვაური ჯერ არ გამოჩენილაო. მაიამ დაჭრილს მოუარა და წამოვედით.

ისევ დაიწყო თოვა.

იმ ღამეს ზურგჩანთებიდან უკანასკნელი ნაფხვენები ამოვკრიფეთ, კურდღლის ფეხებიც კი გავრუჯეთ და შევწვით.

— ესეც ასე! — ხელები მოვიფშვნიტე მე. — დარეჯან, ხვალ რა ვჭამოთ? შენ ბოზბაში გირჩევნია თუ ჩიხირთმა?

— ვიფიქროთ, რომ ამიერიდან მარხვაა და მოვითმინოთ.

— ყველაფრის მარხვა? — წამომცდა უცებ. — ძნელია, ადამიანები ვართ.

რაზმის ძებნის გარდა სხვა საზრუნავიც გაგვიჩნდა.

— მაია, მე ხვალ დიდ გზაზე უნდა გავიდე სანადიროდ.

— რატომ დიდ გზაზე?

— გერმანელებზე ნადირობა ახლა მხოლოდ დიდ გზაზე შეიძლება. კენტად მიმავალ საზიდარს დავუდარაჯდები. მტერს თუ ძალით არაფერი წავართვი, თავისით აქ ვინ რას მომიტანს? კაპიტანმა აკი თქვა, ამიერიდან თოფითა ჩვენითაო...

გავიღვიძე. მაია უკვე ჩაცმულ-დახურული დამყურებს.

— მონადირეები გარიჟრაჟზე დგებიან, ვაჟკაცო, დაგაგვიანდა.

— ეს სხვა ნადირობაა. თავდასხმა სალამოზე სჯობია. ღამით გერმანელები კვალში ვერ გამომედევნებიან. შენ რატომღა მოკაზმულხარ?

— ქოხში მარტო რა გამაჩერებს? მე რომ დავრჩე, შენ დამტოვებ?

ერთად გავწიეთ. რატომღაც ორივე ვდუმდით. უცნაური ფიქრი შემომაწვა გულზე.

გეშზე არ მიფიქრია — კაცის მოსაკლავად მივდივარ-მეთქი. არც ნაღმების გუნდური სროლისას გამჩენია ეს ფიქრი. ეკლესიაში გერმანელი რომ გავაგორე, არც იმ დღეს გამივლია გულში: კაცი მოვკალი-მეთქი. მხოლოდ ახლა გამიჩნდა ეს გრძნობა: კაცი უნდა მოვკლა-მეთქი. საქმე ის იყო, რომ მე ახლა ჩემი ნებით მივდიოდი, წინასწარი განზრახვით, მივდიოდი, რომ ვიღაცისთვის რაღაც წამერთმია. მე დავინახავდი, ვის ვესროდი და თუ მოვკლავდი, მის სისხლიან გვამსაც მოვკრავდი თვალს. ამ წუთში თითქოს მე ადამიანიც აღარ ვიყავი. იმ მგელსა ვგავდი, სანადიროდ მშიერი რომ დაძრწის. თუ არაფერი მოიტაცა, მშიერი მოკვდება. ჩემ საქციელს მხოლოდ იმით ვამართლებდი, რომ ნადირად ომმა მაქცია. ადამიანი, ეტყობა, თავისი ყოველგვარი საქციელის გამართლებას ცდილობს რაღაცით.

დიდი გზის მოსახვევთან ჩავსაფრდით.

გავყურებ ტანკის მუხლუხებით დაჩეხილ ცარიელ გზას და ისევ ჩემს მსხვერპლზე ვფიქრობ. მე უნდა შევიძულო ის კაცი, ვისაც ტყვია უნდა ვესროლო ან დაშნა გავუყარო მკერდში. მაგრამ როგორ, როცა არ ვიცი, ვინ არის იგი? უცნობი ადამიანი ჩემს მტრად და საზიზღარ კაცად ვერაფრით ვერ წარმოვიდგინე. არადა, თუ ვინმე არ შეიძულე, ასე თვალდათვალ რანაირად უნდა მოკლა?

„კარგად ჩაუკვირდი, მირიან, ამ ერთ თვეში რამდენი შენი ნაცნობი და თანამებრძოლი მოგიკლეს? შენიანებს ტყვიას ის გერმანელიც ესროდა. შენც ბეწვზე გადაურჩი, გიმიზნებდა და ვერ მოგარტყა... კვლავაც დაგიმიზნებს, თუ“...

გზას თამამად დავუწყე თვალთვალი, როგორც მონადირე მხეცის გამოჩენას ელოდება.

ორმა საბარგო მანქანამ ერთმანეთის მიყოლებით გაიარა. ორივეს ძარა გერმანელი ჯარისკაცებით იყო სავსე. მერე საზიდრებითაც გაიჯაყჯაყეს. ერთად შვიდი საზიდარი იყო, თავს ტყუილად ხომ არ წავაგებდი? მერე საზიდრების ქარავანმა მეორე მხრიდან გამოიარა. რაღაც ყუთები მოჰქონდათ და ომახიანად მღეროდნენ: „დოიჩლანდ, დოიჩლანდ, იუბერ ალესო“.

— ამ წყეულებს, ეტყობათ, ცალცალკე სიარული არ უყვართ. შეგცივდა, მაია?

— არც უმაგისობაა.

შინ უნადავლოდ გამობრუნება დავაპირე და უკაცრიელ გზაზე კაკლად ერთი საზიდარიც გამოჩნდა.

„ავტომატის ხმა შორს ისმის. აჯობებს, დაშნით ავუგო ანდერძი, გერმანელი ფაშისტი გერმანული დაშნითვე გამოვასალმო წუთისოფელს. მივეპარები ზურგიდან და... არა, მაინც ტყვიის სროლა სჯობია. ძნელია, ისე მიეპარო, არ შეგამჩნიოს.“

კლდის მოზრდილ ნატეხს ამოვეფარე. ავტომატს მაგრად ვუჭერ ხელს. ლოყა თოფის დუგლუგზე მაქვს მიდებული. სალოკი თითი სასხლეტთან მიჭირავს, ვღელავ. ეს არ შეიძლება. ხელი თუ გიკანკალებს, ტყვიას მიზანში ვე მოარტყამ, ხოლო ახლა ხელმოცარვა დაღუპვას ნიშნავს.

საზიდარმა ჭრიალით ჩაგვიარა და ზურგი შემოგვაქცია.

„ესროლე ბარემ, თორემ წავიდა!“

ტრატატატა-ტა ტრატა!

გერმანელი კოფოდან გადმოვარდა და ძირს გაიშხლართა. ცხენი წაფორხილდა, გვერდულად წაიქცა და მიწას დაუწყო თავით ცემა.

ავტომატი მაიას მივუგდე: აქ დამიცადე-მეთქი და პარაბელუმმომარჯვებული საზიდრისკენ გავიქეცი. გვამისთვის არ დამიხედავს, საზიდარს ჭრელი ლაბადა-კარავი ერთი ხელის გაკვრით გადავაფხრიწე თავზე. ყუთებია. ავწიე ერთი, ჭურვები დევს შიგ.

— უუჰ! — წამომცდა ხმამაღლა.

კოფოსკენ გადავინაცვლე ჯვალოს ტომარაა. ხელი მოვკიდე — აგურის ფორმით გამომცხვარი პურია. სხვა რამეს აღარც ვეძებ. ყოველი წუთი სიცოცხლედ ღირს. ტომარა ზურგზე მოვიგდე და წამოვძუნძულდი. გული ამოვარდნაზე მაქვს. სანამ ტყეში ღრმად არ შევალთ, დასვენებაზე ფიქრიც ზედმეტია.

ბორცვი გადავიარეთ, ხუთიოდე წუთით ჩავიმუხლეთ და ისევ ავასკდით ფერდობს. ბინდი წამოგვეწია და თოვაც დაიწყო.

„კარგია, ჩვენს კვალს წაშლის“.

— შეგეშინდა, მაია?

— ნამდვილად შემეშინდა. ეკლესიაში გაოგნებული ვიყავი, აქ ყველაფერი სხვანაირად მოხდა. ნეტავი ვინ იყო ის უბედური?

— რატომ უბედური?

— რა ვიცი?! სიტყვას მოჰყვა.

როცა მგელი კრავს შეექცევა, არავითარ სიბრალულს არა გრძნობს, თავისი მსხვერპლი, ალბათ, იოტისოდენადაც არ ეცოდება. მე კი... მე ის არა ვარ... მერე რა, რომ რაღაც შემომრჩა პირველყოფილი ადამიანის, რომელიც ნადირს ბევრი რამითა ჰგავდა... მე მხოლოდ იმ რამდენიმე წუთში ვიყავი უგუნური ნადირი, შიმშილისაგან გამგელებული ნადირი, ახლა კი... მგონია: კაცის სისხლში გამოვტოპე

და ამ უმანკო, მიტკალივით გაფითრებულ ფაფუკ თოვლზე ჩექმის წითელი ნაფეხურები მრჩება-მეთქი.

„რატომ უბედური?“

იქნებ მთლად უწყინარი კაციც მოვკალი, ჩიტს რომ ვერ გაალვიძებდა და თოფიც არასოდეს უსვრია? იქნებ დიდი ოჯახის მამაც იყო და წვრილ-შვილი დავუობლე? იქნებ გენიოსი ადამიანიც...

რამდენი ჯარისკაცია ტყვიას ჰაიჰარად რომ ისვრის! მე კი ერთი ტყვია გავისროლე და თავში ათასი ეჭვი დამიტრიალდა... ვინ იცის, რა დანაშაული ჩავიდინე-მეთქი. ომში ასე ვინ ფიქრობს? დაწყნარდი, მირიან!

ვერ ვწყნარდები, ტუჩებს ნერვიულად ვიჭამ.

— გერმანელი რომ მოვკალი, წესით ჯილდო მეკუთვნის, არა? — ჩავილაპარაკე ვილაცაზე გაბრაზებულმა.

ეტყობა, მაია ვერ მიხვდა ეს რატომ ვიკითხე, გარკვეული პასუხიც იმიტომ ვერ მითხრა, შეეშინდა, მის სიტყვას უფრო არ გავეღიზიანებინე.

— შესაძლოა გეკუთვნოდეს კიდეც... ძნელი სათქმელია...

— არ ვიცი, ქვეყნიერებაზე რა შეიცვალა, ის კაცი რომ მოვკალი, მე კი ნამდვილად შევიცვალე, ის აღარა ვარ, რაც აქამდე ვიყავი...

— არა, შენ არ უნდა შეიცვალო, მირიან, არა! — ხმა გაებზარა მაიას.

„მისი ოჯახი ვერასოდეს გაიგებს, ვინ მოუკლათ მამა. ვერც მე გავიგებ, ვინ არიან ისინი. თითქოს ეს გვიმსუბუქებს ცოდვას, ამ დანაშაულს არც ისე მტანჯველსა ხდის, თავისებურად აქარწყლებს კიდეც. სულ სხვაა, მოკლა კაცი და მერე გზაზე მისი ცოლ-შვილი შემოგხვდეს დათალხული... ალბათ, ველარ დაიძინებ ღამით, ათასი ჯოჯოხეთი მოგელანდება... აქ კი არ იცი, ვინ მოკალი და არაფერი, შეგიძლია ღამე ტკბილ სიზმრებში გაატარო...“

— რა ჩემი ბრალია, ის მომიხტა შინ მოსაკლავად, მე ხომ არ მივსულვარ გერმანიაში თოფით? შინ ქათამიც არ დამიკლავს, დღეს კი ტყვია ვესროლე კაცს...

— თავისი ფეხით მოვიდა აქ და თავიც თვითონვე მოიკლა... შენი თოფით. — სანუგეშო სიტყვა გამომიძებნა მაიამ.

„ჰო, ახლა შენ თუ მანუგეშებ, თორემ...“

— შინ მისვლა რომ მეღირსოს და მკითხონ: კაცი თუ მოგიკლავსო, რა ვუპასუხო?

— მე ვესროლე და ომმა მოკლა-თქო.

— ვიცი, ამას არავინ მკითხავს, თვითონ ვეკითხები თავს.

— დამშვიდდი, მირიან! რა შენი ბრალია!.

„ჰო, ყველა ასე ვამბობთ, რა ჩვენი ბრალიაო... მეც მინდა, ეს დანაშაული სხვას გადავაბრალო, ომს შევაჩეჩო ხელში, ვერ ვახერხებ... ბოლოს მაინც ის აზრი მიტრიალებს თავში, რომ დამნაშავეა ყველა ადამიანი, ქვეყნად ომი რომ არის. ჰოდა, პასუხიც ყველამ უნდა აგოს მეტ-ნაკლებად... ჰო, ყველა რომ გრძნობდეს თავს დამნაშავედ, მაშინ ომიც აღარ იქნება. ეჰ!

ჩემს ფიქრებში საზიდრის ჭრიალი იჭრება და სულს მიფორიაქებს. ზურგზე თითქოს პურით სავსე ტომარა კი არა, ის კაცი და ცხენი მკიდია. ცხენი სხვას რომ ვერაფერს ახერხებს, ქვინქვირს მირტყამს თავში.

ქოხში შესვლისთანავე მაიამ ცეცხლი გააჩაღა. მე ტომარას თავი მოვხსენი და ყველაფერი ტახტზე დავყარე. პურის გარდა თევზის ხუთი კონსერვი, ორიოდე კილო ნატეხი შაქარი, ჰოლანდიური ყველის მოზრდილი ნაჭერი და მარილით გატენილი პატარა ქისა აღმოჩნდა.

მაია განზე გადგა. დამფრთხალი მიყურებს.

„შეგეშინდა, რომ შევიცვალე? აბა, რატომ მიყურებ როგორც დაუნდობელ ნადირს? ჰო, მე იქნებ ის აღარ ვარ, მაგრამ...“

მაია თავსაფარს ხშირ-ხშირად ისწორებს. განგებ მოიხადა და სასწრაფოდ დაიხურა.

„შენ ნუ გეშინია, მაია, შენ ნუ გეშინია, ჩემო ნუგეშო!“

— ჩამოჯექი! დაისვენე! რატომ არ ჯდები?

მაია მოშორებით ჩამოჯდა. ისევ დამფრთხალი მიყურებს. მეც ჩამოვჯექი. ვზივართ ორი მშიერი და ჩვენშუა პურის ხვავია.

— ჭამე, მაია!

— არ მინდა. შენ რატომ არ ჭამ?

— არ ვიცი... არც მე მინდა... მადა დამეკარგა, ალბათ, ძალიან რომ დავიღალე... ასე ვიცი...

ირგვლივ პურია, ბევრი პური, მხოლოდ ერთი ლუკმა კი არა.

ორი მშიერი ამ პურთან ვზივართ და ხმას არ ვიღებთ.

მთელ ღამეს ვიბორგე. მელანდებოდა, დაჭრილი ცხენი მიწაზე თავს როგორ სცემდა. დილით წყლის მოსატანად მაია გავგზავნე. არ მითქვამს: იმ წმინდა წყაროს ამ ხელებით ჯერჯერობით ვერ შევეხები-მეთქი. ისედაც მიმიხვდა.

ტყის პირას, ყელამდე თოვლში ჩაწოლილ გერმანულ ტანკს ქვემეხის დრუნჩი ცაში აუშვერია, გეგონებათ, რაღაც უცხო მხეცი ჰაერს ყნოსავსო. აქეთ ტყის შუაგულში მოქცეული მოზრდილი მინდორი გაუთლელი ხის ჯვრებითაა სავსე. ჯვრებზე სვასტიკით შუპლმოხატული მუზარადები ჩამომსხდარან. უმეტესობა გახვრეტილია.

„ბიჭოს! აქ სად გაჩენილა გერმანელთა სასაფლაო?! ერთი, ორი, სამი... ორმოცდაათზე მეტი ჯვარია. აქ, ალბათ, მხოლოდ ჯარისკაცები

წვანან, ოფიცრებს სხვაგან დამარხავდნენ. თურმე ასე იციან გერმანელებმა. მუნდირს პატივსა სცემენ“.

დავყურებ ჯვრებქვეშ მოქცეულ ხალხს, რისთვის მოვიდნენ აქ? სხვის მიწაწყალზე სიკვდილი იპოვეს, თავისი სამშობლო კი დაკარგეს, დაკარგეს სამარადჟამოდ. მოვა დრო, ამ ჯვრებს წვიმა დაალპობს და ქარი წააქცევს. უჯვრო და უნიშნო სასაფლაოს ტრაქტორი გადახნავს და... აღარავის მოაგონდება, აქ ვინ ემარხა. სამშობლოში თავისი დღით რომ დახოცილიყვნენ, არც სამშობლო დაეკარგებოდათ, არც საფლავი და არც სახელი. სხვის მიწაზე სიკვდილი ძნელიც არის და უმადურიც. ამ სასაფლაოს საპატრონოდ ვინღა მოვა აქ? ვინც ეს მინდორ-სასაფლაო ჯვრებით შეამკო, ვინ იცის, ახლა უკვე თვითონაც ასეთსავე ჯვრისქვეშ წევს?

თავდაუზოგავი და ფიცხელი ბრძოლა ყოფილა. ალბათ, შემოდგომაზე, ჩვენები უკან რომ იხევდნენ... თუმცა, ეს ჯვრები ახალს რომ ჰგავს?!

დრუნჩაწეული ტანკიდან სამასიოდე მეტრზე უფრო პატარა მინდორი წევს. იქ მეორე ტანკი ჩანს, მიწაში ცხვირჩარგული. იმ ტანკის ახლო-მახლო თოვლს ისეთი იერი აქვს, თითქოს უშველებელ თეთრ ტყავზე აჩხა-ბაჩხად რაღაც წერიაო. ჯვრებიანი დიდი მინდორი გასაგები წარწერაა, სიკვდილის წარწერაა, პატარა მინდორი კი ძველისძველ გაუშიფრავ ეტრატსა ჰგავს.

ტანკისკენ გავიქეცი. ფეხი თოვლში ჩაჩურთულ კარდალას წამოვკარი. ავიღე და ხელში შემაცივდა. ზედ ჯიბუტის ინიციალები იყო ამოკაწრული. კარდალა მოვისროლე და ისევ გავიქეცი. მივრბოდი, ფეხები მეკეცებოდა და მაინც მივრბოდი. ტანკის აქეთ, თოვლიდან ზურგამოყოფილ რუხ ფარაჯას მოვკარი თვალი. გონმიუცემლად დავავლე ხელი და ამოვწიე.

— მაია, ჩვენები!.. ჩვენი ბიჭები, მაია! — არ ვიცი, ბღავილი აღმომხდა თუ გოდება.

— სად? სად, მირიან? — მაიამ ირგვლივ მიმოიხედა, ალბათ, ეგონა, ცოცხალი რაზმი გამოჩნდაო.

ახლა გოდება-ვაებით ვერაფერს გავხდებოდი, კლდედ უნდა ვქცეულიყავი, გულქვა კლდედ და იქაურობა ბეჯითად დამეთვალიერებინა, რომ აჩხა-ბაჩხა ნაწერ თოვლის ეტრატზე ჩვენი რაზმის ამბავი ბოლომდე ამომეკითხა.

მინდორი ლასლასით შემოვიარე, ტყეც გავჩხრიკე. ზოგი ისე იყო ჩაჩურთულ-ჩამარხული, მხოლოდ ამობურცულმა თოვლმა მიმანიშნა, აქ ადამიანი წევსო.

იმ დღეს ოცდაერთი კაცი დაგვშორდა, ახლა მხოლოდ თხუთმეტი დავთვალე. უცებ ვერც მოვიგონე, ვინ აკლდა. ზოგი ისე იყო დასახიჩრებული, დედას გაუჭირდებოდა ცნობა.

„ღმერთო ჩემო, რა მემართება?“

ვდგავარ, გავყურებ მინდორს — და ეს ყველაფერი ავი სიზმარი მგონია. სულში რაღაც დუღს და გადმოდუღს. ირგვლივ დუმილია, უამრავი ხმით სავსე დუმილი.

ემზარს ერთი ხელით დამსხვრეული თოფი უჭირავს, მეორეთი — მუშტისოდენა შავი ქვა.

— ჩარირამა, ჩარირამა, ჩარირამა, ბებია,

ყუმბარა თუ შემოგვაკლდა,

ტყვიები თუ შემოგვაკლდა, ქვები მაინც ბევრია, თოვლი მაინც ბევრია. ჩარირამა, ბიჭებო!

კი, ბატონო, მე უარს არ ვამბობ, ვიბრძოლებ, ერთი თუ ვინმე იბრძოლებს, მეც იმის გვერდით ვიქნები ბოლომდე, სანამ სული მიმყვება, მარა ასე არ შეიძლება, არ შეიძლება! ახლა სად ჯანდაბაში წავიდეთ? ესაა აგარაკების ქვეყანა? ამისთანა აგარაკი ნუ მოუშალოს ღმერთმა იმას!..

— გაგიჭირდა, ემზარ?

— ვაზნები რომ გამითავდა, კარდალა ვესროლე გერმანელს. ყუმბარა ეგონა, დაწვა. მერე ქვები დავუშინე. ეს ხელყუმბარისოდენა შავი ქვა ხელში შემაცივდა. თავიდან ფეხისფრჩხილებამდე შეიარაღებულ სიკვდილს ქვალოდით დავუხვდი, მასხრად ავიგდებ-მეთქი. ბოლოს მაჯობა იმ ოხერმა. ერთი გავიცინე ჩემთვის და წავედი იმ ქვეყანაში, სადაც მხოლოდ სიკვდილი ცეკვავს... უუჰ, მაყრყოლებს... შენი მოცემული ქალამნების გაცვეთა ვერ მოვასწარი, მირიან!..

— ეჰ, ემზარ-ბიჭო, რაზმს რა მოუვიდა, რაზმს?

-- ყველა თავისას გეტყვის, შენ ხომ უსიტყვოდაც ხვდებოდი ხოლმე, ვის რა უნდა გვეთქვა!

არქიფო სვანიძეს ხელი ისე გაშეშებია, თითქოს სიკვდილის მოსაშორებლად აუქნევია და ბოლომდე ძალა არ ჰყოფნიაო. პირი თოვლით ამოვსებია, თვალები მაგრად დაუხუჭავს.

— ამათი დედა ავატირე, ყველასი! შინ დაბრუნება თუ მეღირსა, ერთს რიგიანად გამოვთვრები, გამოვძღები მატრონია ხარივით, ჩავგორდები ლოგინში და ცხრა დღედაღამეს გალაბმულად ვიძინებ.

— არქიფო, რამდენი დღე-ღამეა გადაბმულად გძინავს?

— რა ვიცი... აქ დატრიალებული უბედურების ყურება ბოლომდე ვერ შევძელი, დავწექი და დავიძინე. ამიერიდან სულ გადაბმულად ვიძინებ, ველარავინ გამაღვიძებს. დღე იქნება თუ ღამე, ჩემთვის სულ ერთია...

„ღმერთო ჩემო, რა საშინელია ასეთი ძილი!“

— მშიერი მოვკვდი და ძილით მაინც გავძღე...

სავლეს ცალ ფეხზე ისევ ჩექმა აცვია, მეო-

რეზე — ბალანგაუცლელი ქალამანი. თოვლში ისეა გადაშხლართული, თითქოს თეთრ მდინარეში რუხი ტივი მიცურავსო. ცალი თვალი მოთხრილი აქვს, მეორე — ფართოდ გახელილი დარჩენია. ხიშტიანი თოფის ლულა ცაში აუშვერია.

ჩავიჩოქე და თავი მკერდზე დავადე. მერე ხიშტზე ჩამოცმული მზე დავინახე.

— სავლე, ცაში არაფერი ჩანს, თოფს ვის უსვრი?

— ღმერთს ვესვრი, მირიან, ღმერთს! თუ სადმეა ის შობელძაღლი, ცოტა ხნით მაინც რატომ არ ჩამოდის მიწაზე? ნახოს, რა ჯოჯოხეთი ტრიალებს!

— ღმერთს ცაში რა უნდა, ბიჭო, ღმერთი აქ არის, მიწაზე! მე მგავს, შენ გგავს, არქიფოს ჰგავს, ემზარს ჰგავს... ჩვენა გვგავს ყველას. ოღონდ იმას მბრძანებლის კვერთხი უპყრია ხელთ, ჩვენ კი — თოფები გვიჭირავს... იმ ღმერთს ჩვენ არ ვედარდებით... ღმერთს საზრუნავიც ღმერთისა აქვს...

— ვერ გავიგე, მარა, რაკი შენ ამბობ, ეგ ყველაფერი მართალი იქნება, შენ უკეთ იცი.

ავიწიე. ხიშტის წვერზე წამოცმული მზე თოფს გაექცა.

— ელიოზა შავიძე შენ ისედაც სულ გციოდა, თოვლში ჩაწოლილს რა გაძლებინებს?

— მე აღარც მცივა, აღარც მცხელა, მირიან. ზამთარსა და ზაფხულს ამიერიდან ველარ გავარჩევ.

ნუგზარ დიასამიძეს პირი ისე დაუღია, ორნახადი არაყის გადაკვრისას რომ იციან სიმწარე-სიცხარის გასაქარვებლად. ცისკენ თვალებმიპყრობილს დაულევია სული.

— სიკვდილის წინ ზეცას რას ევედრებოდი, ნუგზარ?

— ეგ ჩემი საიდუმლოა... სამარადისო. ამიერიდან კაციშვილი ველარ გაიგებს. თვალებში ამაოდ ჩამყურებ, ველარაფერს ამოიკითხავ. ეს თვალები აღარც არის — ორი დამშრალი ჭაა.

დიასამიძის ახლოს უჩა მჭედლიძე წევს. ყბა განზე გაქცევია.

— უჩა, შენ სულ მუნჯივით დადიოდი, რაც არ უნდა გაგჭირვებოდა, არავის შესჩივლებდი. შეგეკითხებოდნენ რამეს და ან „ჰოს“ ეტყოდი, ან — „არას“. ზოგჯერაც თავს ზრდილობიანად დაუკრავდი — „დიახო“. დავიჯერო, არაფერი გაწუხებდა?

— ჰაი, დედასა, სათქმელი იმდენი უნდა, მე რომ მაქვს, მაგრამ, რა ვქნა, ბიჭო, პირი მიწითა მაქვს სავსე!

— რაღაცა მაინც თქვი!

— ეჰ, რა ვთქვა?

— ოღონდ ხმა ამოიღე და თუ გინდა შემომაგინე!

— ეჰ, შენ რას გერჩი?

— აბა, ვისაც გინდა, იმას შეაგინე!

— ეჰ!

ვიტიას კონდახმომტვრეული კარაბინა უჭირავს ხელში. ბევრი ვუშალე, ბოლოს მაინც უშოვია თოფი. თავი თოვლში ჩაურგავს, თითქოს ყინულსა წუწნის და რომ არ დაუშალონ, სირაქლემასავით იმალებაო. კეფა აქვს გახვრეტილი. გადავაბრუნე, მკერდიც გაგლეჯილი აქვს.

— ჰო, მე ორი ჭრილობა მაქვს, მირიან, მკერდში და კეფაში. ვაზნები, რომ გამითავდა, მკერდში დავიჭერი. ასე ვიწექი კარგა ხანს. მერე ახმახმა გერმანელმა ჩამოიარა და მძიმედ დაჭრილებს თითო ტყვია კიდევ დაგვახალა...

„ჰო, ასე იქნებოდა, ასე“.

მანასე ხაჭაპურიძესაც ღია აქვს პირი, ოღონდ ნუგზარ დიასამიძესავით არა — თითქოს ქვეყნიერების გასაგონად ყვირისო. ყველას ეგონა, ეს ბუნჩულა კაცი ჩიტს ვერ გაალვიძებსო, ახლა კი ზარდამცემად ყვირის, ოღონდ მისი ხმა არავის ესმის.

— მანასე, შენ ძილი ყველაფერს გერჩია...

— მე ასეთი ძილი კი არ მიყვარდა — უსიზმრო და გაუღვიძებელი?! იმ ძილში ჩემიანებს ვხედავდი, ეზოსა და კარმიდამოს ვხედავდი.

ესტატე დეისაძეს ტყვია ნიკაპქვეშ მოხვედრია და კეფა აუგლეჯია. გრძელ ულვაშებზე თოვლი დაჰყინვია. შავი ულვაში ჰქონდა, ახლა მთლად თეთრად მოუჩანს.

— ესტატე, ეს რას ნიშნავს? რაღაც იმას არ ჰგავს...

— მეც მძიმედ დავიჭერი, წამებას ველარ გავუძელი, თოფის ლულა ნიკაპქვეშ შევიყუდე და... მოვისვენე. ჩემი ულმერთო ტანჯვა-წამება წუთისოფელს გამოვასალმე... შენც იცი, სიცოცხლე როგორ მიყვარდა... თავის მოკვლა ჩემ სიცოცხლეში არ მიფიქრია... ვინც თავს იკლავდა, ყველას დავცინოდი... თურმე რა იცი...

სეკა ძუგაევს ტყვია შუბლში მოხვედრია, თავზე დახურულ მუზარადს ვერ უშველია.

— მთა გიყვარდა სეკას... აქ დაგეწია სიკვდილი.

ტანკის უკან ფირუზა ხატიაშვილი წევს. არა, ბეჭებზე არ დაცემულა, მკლავები უშველებელი ლოდისთვის მოუხვევია და ზედ დასცივებია.

— კახელო ფალავანო, ეს რა გიქნია, ლოდებს დაეჭიდე?

— თოფი რომ დამიცარიელდა, ეს ლოდი ავიტაცე და ტანკისკენ წაველი. ტყვიამფრქვევით დამცხრილეს, იმათი პატრონის ქვეყანაცა!...

— ტანკს ლოდით მოერეოდი? რკინისაა, ის კი არ არის.

— ხელში სხვა არაფერი მომხვდა. ნათქვამია, როგორც გიჭირდესო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათიოდე ნაბიჯზე სერგო მეწაღიშვილს წავაწყდი.

— მედოლე, მეორე ხელი?!

— ყუმბარამ წამაწყვიტა, მირიანჯან. ისეთი ამბავი იყო, გეგონებოდა, მიწა უზარმაზარი დოლია და ზედ დევებმა რკინის მუშტები დაუშინესო. მე კი ამიერიდან დოლს ვეღარ დავუკრავ.

— ოქროს კბილი?! ოქროს კბილი სად დაკარგე?!

— წაიღეს, მირიანჯან. ვიღაც ოხერმა ამომგლიჯა... მე შენ გეტყვი, ყვირილს დავიწყებდი... არც გამიგია.

თოვლიდან თოფის ლულაა ამოჩრილი. ამოვწიე, მკლავი ამოჰყვა, მარტოოდენ მკლავი, იდაყვთან წაწყვეტილი. მკლავი პატრონის სხეულს გაშორებია, შაშხანა კი არ გაუგდია ხელიდან. ეს სერგოს მკლავს არა ჰგავს.

მკლავმოგლეჯილი ვაჟა კობახიძე გულაღმა წევს, ფართოდ თვალგახელილი ცას მისჩერებია და ვერაფერს ხედავს.

— ლანგარა-ბიჭო, თავზე თოვლი რომ გაყრია, ასეთი თმა იმიტომ გიჩანს, თუ?..

— ჭაღარაა, ნამდვილი ჭაღარა.

— ჩვენ რომ დაგვშორდი, შავი თმა გქონდა. როდის მოასწარი?

— სულ ერთ წუთში გავჭაღარავდი. არა გჯერა?

— შენისთანა მამაცი და შეუპოვარი მებრძოლი ბატალიონში არ მეგულებოდა.

— ეს შიშის ბრალი არ არის, რაღაც სხვა ამბავია. ადამიანში იმდენი რამ ხდება, ყველაფერს ვერ ამოიცნობ, მირიან. ქვეყნიერების დასაბამიდან, ვინ მოთვლის, რამდენი ადამიანი მოვიდა და წავიდა, სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლოება კი ჯერაც ვერავინ ამოხსნა. ნურც ჩემი გაჭაღარავების საიდუმლოს ეძებ!

თოვლიდან ზურგჩანთა კუზივით ამოჩრილა ნიკო კუდაშვილი პირქვე დამხობილა და მკლავები წინ წაუყრია, თითქოს მიწას პოტნის და ჭამსო. სიკვდილს მთლად დაუკრუნჩხავს და დაუპატარავებია. მის მარჯვენა ხელთან უხიშტო შაშხანა გდია, მარცხენა ხელთან — პერგამენტის ქაღალდში გახვეული სურათი და სამკუთხა ბარათი.

ქაღალდი გავხსენი. კოპწიად ჩაცმულმა ბაბთებიანმა გოგონამ გამიღიმა, პერანგისამარა ბიჭებმა კი დაბღვერილად შემომხედეს.

„იქნებ ახლა ეს „ყაჩაღები“ ერთ ცხვირაპრეხილ ციგაზე სხედან და ფერდობზე სიცილით იკლებენ, გოგონა კი ფანჯარასთან არის მიმდგარი და განაწყენებული უყურებს ყველაფერს — დედამ გარეთ მეც რატომ არ გამიშვაო? მამამისი კი... წევს და მიწას პოტნის გამწარებული. ეს თათიც ახლა უფრო დიდი იქნება...“

— ძია ნიკო, ჯავშანმა ვერ გიპატია?

— ვაგლახ, ვერ მიპატია... ტყვია იღლიაში მომხვდა.

— შეგეშინდა?

— მე რა, ჩემი თავი ჯანდაბას. ხუთი შვილი მყავს, ბიჭო, ხუთი... ახლა უკვე ხუთი ობოლი. უფროსი ცამეტი წლისაა, უმცროსი — წლისა და თერთმეტი თვისა... მე რატომ უნდა ვიწვე აქ, რატომ, როცა იქ ხუთი ღლაპი, ხუთი თითისტოლა... მამაჩემი იმ „ვაენობის“ დროს მოკვდა, ხუთი ობოლი დავრჩით, ახლა მეც... მე აქ რატომ უნდა ვიწვე, რატომ?

— ძია ნიკო, შენ შვილები მაინც დაგრჩა? სხვებმა რა ქნან? აგერ, სულ უცოლშვილო ბიჭები წვანან...

— მარტოოდენ ერთი კაცი არასოდეს არ კვდება, იმ ერთ ადამიანთან ერთად ისპობა ბუდე უამრავი სიცოცხლისა. — ეს ამირანის ხმაა, თავისი ძმის ჩანაწერებს კითხულობს. — ყველა ადამიანში რამდენიმე თაობაა ჯაჭვურად გადაბმული.

— მართალი ხარ! ეს თოვლიანი მინდორი აჩხაბაჩხად ნაწერი ეტრატი არ არის, ამ თოვლში უცოლშვილო ბიჭები დაწყვეტილი ჯაჭვის რგოლებივით ყრიან.

ეს თავწაწყვეტილი ვინღაა? ალბათ, ტანკიდან გამოსროლილმა ყუმბარამ კისერი ქათამივით წააწყვიტა. ფარაჯაც დაცხრილული აქვს. უბეში ჩავუყავი ხელი.

— შიო, შენა ხარ, ბიჭო?

„ვეფხისტყაოსანი“ ტყვიას გაუხვრეტია. ნატყვიარ წიგნში ფურცლები დევს. ერთზე სიაა ჩამოწერილი, ოცდაერთი კაცია ჩამოთვლილი. სწორედ ისინი, ჩვენ რომ დაგვშორდნენ. მეორე ფურცელზე წვრილი ასოებითაა ჩაჭიკჭიკებული:

„ცხენი დავკალით. პირველად ვჭამე ცხენის ხორცი. მომქავო გემო დაჰკრავს. საველემ ცხენის ტყავი დაჭრა და ბიჭებს დაურიგა: გაახმეთ და საქალამნედ გამოგადგებათო. ვიტიას ამოუსხა კიდეც ქალამნები. ვაჟამ ცხენის ხორცს პირი არ დააკარა. ნიკომ, როგორც იქნა, გაიმეტა მისთვის ორცხობილა. მერე ისევ კრუხივით დააჯდა თავის ჩანთას. არქიფო იმუქრება: თუ ნებით არ გვიწილადებს ხორაგს, მოვპარავო.

მტერი კვალდაკვალ მოგვდევს. გუშინ დაგვეწია კიდეც. საკადრისი მივუზღეთ და მოვიგერიეთ. ჩვენც მოგვიკლეს ექვსი კაცი. ფაციფუცით დავმარხეთ, საფლავზე რაიმე ნიშნის დადებაც ვერ მოვასწარით...

ღამეა. მტერმა ისევ მოგვაგნო. ალყაში მოგვაქციეს. ქვემეხებს გვესვრიან, ტანკების რახრახიც გვესმის, კაპიტანს კვლავ შევფიცეთ, რომ ვიბრძოლებთ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე. მაგონდება თერმოპოლთან დაღუპული სამასი სპარტელის ამბავი და ძეგლზე წარწერილი მათი ეპიტაფია: „სპარტაში მიმავალო

მგზავრო, აუწყე ყველას, რომ ჩვენ სამშობლოს თავისუფლების გადასარჩენად დიდი და უთანასწორო ბრძოლა გადავიხადეთ და ყველანი პატიოსნად ვალმოხდილნი დავეცით". ასე გმირულად დაიღუპა სამასი არაგველიც, ოღონდ არაგველებს არც ძეგლი დარჩენიათ, არც ეპიტაფია. სპარტელები ებრძოდნენ სპარსთა მეფის ქსერქსის ჯარს. მეთაური იყო ლეონიდი. სხვათა შორის, ჩვენს კაპიტანსაც ლეონიდი ჰქვია. ნუთუ..."

ეს პატარა ჩანაწერი ტყვიების მრავალწერტილით დაუმთავრებიათ.

დამსხვრეული ფანდური და შუაგაპობილი თავისქალა ერთად ვიპოვე. შიოს ზურგჩანთას ვერსად მივაგენი.

— ბიჭო, შენ მოთხრობის დაწერასაც აპირებდი... ზვინში ჩაფერფლილი წიგნაკის გარდა ორი უბის წიგნაკი გქონდა კიდევ. სად არის შენი ზურგჩანთა?

— ისეთი ბრძოლა იყო...

მხოლოდ დაჭრილი „ვეფხისტყაოსანი" და რაზმის სია შემრჩა ხელთ.

აი კაპიტანიც!

ფეხშიშველაა, ქუდი არ ახურავს, აღარც ქურქი აცვია. ჯიბეებიც ამობრუნებული აქვს. ერთი საბუთიც არ დაუტოვებიათ. გერმანელებს მხოლოდ მეთაური გაუძარცვავთ. ჯარისკაცთა გაცვეთილი ფარაჯები და მინგრეულ-მონგრეული ბათინკები გახდის ღირსადაც არ მიუჩნევიათ. არც ჯარისკაცთა საბუთებს დახარბებიან, არც ვიტიას ქალამნებს.

— რაო, კაპიტანო, დაგამარცხეს?

— ვისაც კლავენ, ყველა დამარცხებული როდი ეცემა. ჩვენ დაგვხოცეს, მაგრამ ვერ დაგვამარცხეს. ის ორმოცდაათამდე ჯვარი ჩვენი გამარჯვების ნიშანია, ორი დამსხვრეული ტანკიც... არც ცოცხლები წასულან აქედან გამარჯვებულნი. ვინც ცოცხალი რჩება, ყველა გამარჯვებული როდია? თავი ნუ ჩაჰკიდე, ჩვენ საბრალონი არა ვართ. თუ ადამიანმა იცის, რისთვის ცოცხლობს და რისთვის კვდება, საბრალო არ არის. ჩვენ ეს ვიცოდით.

— ტანკები ვინ ააფეთქა, კაპიტანო?

— ყველამ. აქ ცალცალკე არავის უბრძოლია. ვიბრძოდით მთელი თავგანწირვით. არც გერმანელებს დაუზოგავთ თავი, ჰოდა, ერთმანეთი ულმერთოდ დავხოცეთ.

— ჩვენ რა ვქნათ ახლა, კაპიტანო?

— ჩვენ თქვენს მაგივრადაც დავიხოცეთ, თქვენ ჩვენს მაგივრადაც უნდა იცოცხლოთ. ეგ სია და ჩვენი ამბავი უნდა გადაარჩინოთ. ეს იქნება ჩემი უკანასკნელი დავალება. ამ ბიჭებს თავი იმისთვის არ გაუწირავთ, ვინმემ მადლობა გვითხრასო, მაგრამ არც ის ივარგებს, მათი ამბავი ვერავინ გაიგოს, ვიღაცას ეგონოს, სამშობლოს უღალატესო და აუგად მოიხსენიოს. მშვიდობით!

კვლავ გადავხედეთ მინდორს. ეს ყველაფერი ცოდვის კითხვასა ჰგავს.

— ვის რა ცოდვა გქონდათ, მითხარით, ბიჭებო!

„— ნუ დასწყევლი, შვილო, ნუ დასწყევლი, ჯარში მიდის! — თოვლში ჩამდგარი ქალი პირზე ხელს აფარებს გოგოს. — დაძმურად გაკოცა, სხვანაირად კი არა! ნუ დასწყევლი, შვილო!"

არქიფო: — საიქიოში ეგ ერთი კოცნა წამომყვა, მეტი არ მეღირსა... სულ ეს არის ჩემი ცოდვა. ალბათ, ამისთვის...

— არა, არქიფო, იმ გოგოს შენ არ დაუწყევლიხარ. სხვამ დაგწყევლა, ცოდვებით სულდამძიმებულმა კაცმა, ვინც ეს ომი გააჩაღა.

შიო: — სვანიძეს ერთი კოცნა მაინც მოუსწრია, მე გოგოს კოცნის გემო სულ არ ვიცი... ჩემი ტყუპისცალიც ასე იყო... ერთხელ მეზობლის ბაღში ვაშლი მოვიპარე, ეგ არის და ეგ ისე, მაია მეც მიყვარდა. ეს შენს გარდა არავინ იცოდა... აკი ბოდიშიც მოგიხადე.

ნუგზარმა ყელზე წკიპურტი მიირტყა:

— ეს მიყვარდა. ოღონდ გრადუსი ჰქონოდა და თერმომეტრში ჩასხმულ ვერცხლისწყალს დავლევდი.

სერგო: — დოლის დაკვრა არასოდეს დამზარებია, აი, თოფ-იარაღის თრევა კი არ მიყვარდა, კაცო! საცოლშვილო წელი მომწყვიტა, მირიანჯან!

ვიტია: — მე... მე არაფერს ვიტყვი.

უჩა: — არც მე... წინათაც ძლივს ვიღებდი ხმას.

ესტატე: — თავის მოკვლა ჩემ სიცოცხლეში არ მიფიქრია... თავი რომ არ მომეკლა, სულ ერთია, გერმანელი კეფაში ტყვიას დამახლიდა. თუ ეს ცოდვაა... შემინდეთ!

ემზარი: — როცა უნდა მეტირა, ვიცინოდი ხოლმე. როცა ყინვა ხელ-ფეხს მიკრავდა, ვცეკვავდი. ისე, მაია მეც კი მიყვარდა, მარა...

სეკა: — არაფერი მოგიპარავს, კაცი არ გაგიძარცვავს, ხაბიზგინი და მთა გიყვარდა...

ფირუზა: — ყველას ვაგინებდი. ზოგჯერ ჩემ თავსაც... ეს ჩემი ლოცვა იყო. კაცის წაქცევაც მიყვარდა და წამოყენებაც. წაქცეულისათვის გულზე ფეხი არასოდეს დამიდგამს. ეს ჩემანალა წუთისოფელი ასე გავატარე.

ვაჟა: — ბურთის თამაში მიყვარდა და მეკარეებს ვამწარებდი. მტრის ჯინი მჭირდა და თოფი ხელიდან მკვდარსაც არ გამიგდია. ისე, კაცმა რომ თქვას, გოგოსთვის რიგიანად არც მე მიკოცნია... დედისერთა ბიჭი ვიყავი...

„არა, აქ მარტო თხუთმეტი კაცი არ დაღუპულა. დაგლეჯილი ჯაჭვის რგოლები და სიცოცხლის დანგრეული ბუდეები ყრია თოვლში".

საველე: — ჩემი ბრალია ვითომ, ცალ ფეხზე ჩექმა რომ მაცვია და მეორეზე — ქალამა-

ნი? ვნატრობდი: შინ დაბრუნებისთანავე ერთ დონდროხა გოგოს მოვიყვან და ცხრა შვილს გავაჩენინებ-მეთქი. იმ ცხრა შვილს კიდევ ცხრა-ცხრა შვილი ეყოლებოდა და გამრავლდებოდა სავლე რეხვიაშვილის ჯალაბი... ახლა რა, მთელი ის ჯალაბი ჩემთან ერთად მოკვდა... ჰო, მართლა! თუთუნს სულ მე გართმევდი. მადლობას კი არ გეუბნებოდი. ყოველთვის ხომ არ გეტყოდი მადლობას? შენი მოცემული ცოტა თუთუნი ახლაც მიყრია ქისაში... გახვევა აღარ შემიძლია... მეტი ცოდვა არც ჩემი ვიცი, არც სხვისი.

ნ ი კ ო: — ბიჭებს შიოდათ, ცხენის ხორცსა ჭამდნენ, მე კი მათთვის ხორაგი ვერ გავიმეტე: ვაითუ უარეს დღეში ჩავცვივდეთ-მეთქი. ჩემთვისაც კი ვერ ვიმეტებდი, ჯავშნად ვხმარობდი. შვილებისთვის ვინახავდი სიცოცხლეს... ძილშიც იმათი სახელები მაბოდებდა. ჩემი თავი ყველაზე უფრო ახლა სჭირდებოდა შვილებს, მე კი ვუღალატე... მოვკვდი.... ვინ უპატრონებს ჩემ ობლებს, ვინ? ბედისანაბარად მივატოვე... ვერ დამიფარა ჩემმა ჯავშანმა და ახლაც კუზად მაწევს... ეს არის ჩემი ცოდვა, სხვა არ ვიცი.

**ა რ ქ ი ფ ო: — ჰო, მართლა! ვფიქრობდი: ნიკომ ხორაგი თუ არ გამოიმეტა, მოვპარავმეთქი. მხოლოდ ვფიქრობდი...**

კ ა პ ი ტ ა ნ ი: — მინდოდა ხალხი გადამერჩინა, ვერ შევძელი. მჯეროდა რისთვისაც ვიბრძოდი, ახლაც მჯერა. თუ ეს ცოდვაა, მაპატიეთ!

მხრებზე რაღაც მძიმე მაწვება და მიწაში ჩატყლეჯას მიპირებს. თითქოს ჭიანჭველა ვარ და გოლიათმა უზარმაზარი რკინის ჩექმა დამადგაო.

მე მინდა ახლა ილმუვლოს ქარმა, როგორც ჩემი სული ღმუის. მინდა ნისლში გაეხვიოს ქვეყნიერება, როგორც ჩემი თვალი ინისლება. ირგვლივ სამარისებური სიჩუმეა, ცა კი— ულრუბლო. ზეცა ყურს არ უგდებს ადამიანის გოდებას ან ეს გოდება იქამდე ვერ აღწევს.

მთელი მინდორი ისე შემოვიარეთ, მაიას ხმა არ გამიგონია. მაგრამ ზარდამცემად კიოდნენ მისი გაშტერებული ჟვალები და კერპად მოკუმული ბაგეები. პირისახეზე კი მრისხანება გაქვავებოდა.

მომკლა ამდენმა დუმილმა, ათასი ხმით სავსე დუმილმა, ხმის ამოღება მომწყურდა.

— ეჰ, ღმერთები იბრძვიან, ადამიანები იხოცებიან.

— რა სთქვი?

— არაფერი, ისე...

— იმ დღეს რაზმს რომ არ დავშორებოდით, ჩვენც ამ თოვლში ვეყრებოდით ახლა! — უცებ მაიამ თვალებზე ხელები აიფარა, თითქოს თავისი სიკვდილი დაინახაო. — აღარ შემიძლია, მირიან, აღარ შემიძლია! — აღმოხდა ერთბაშად და გაიქცა.

ხომ არ გაგიჟდა-მეთქი, დავედევნე. თოვლში მოცელილივით დავარდა, კვლავ აიფარა სახეზე ხელები და თავი მუხლებზე ჩაჰკიდა.

მივუახლოვდი. ხელი არ მიხლია, არც ის მითქვამს, ნუ ტირი-მეთქი. ვიცოდი, ცრემლი გულს მოუოხებდა. გვიან წამოდგა.

— მირიან, რაღა გვეშველება? სად წავიდეთ?

— ჯერჯერობით ისევ ჩვენს ქოხს უნდა დავუბრუნდეთ. ახლა ორივე გონდაბნეულები ვართ, იქ მშვიდად მოვიფიქრებთ ყველაფერს.

უზარმაზარია ცა. იმ ციდან მე, ალბათ, მტვრის წერტილადაც არა ვჩანვარ ამ თეთრ თოვლზე. მაგრამ მეჩვენება, რომ ეს უზარმაზარი ცარგვალი მარტოოდენ ჩემს მხრებზეა დაყრდნობილი. მე თუ ვერ გავუძლებ, თუ მუხლი მიმტყუნებს და წავიქცევი, ცა მთლიანად ჩამოიქცევა. ვუძლებ და მივაბიჯებ.

უკან დაგვრჩა ხიშტის წვერზე წამოცმული მზე.

— ვალიკო მაინც გამოჩნდეს! — თავისთვის ჩაილაპარაკა თავჩაქინდრულმა მაიამ.

— ჰო, კარგი იქნება.

ეს ვთქვი და, სულო ცოდვილო, ცუდმა ეჭვმა გამკრა გულზე.

„იქნებ ხელმოცარული კაცი გერმანელებს თავისი ნებით ჩაბარდა და სულმდაბლურად ჩამოღერღა ყველაფერი? მტერმა რაზმის ადგილსამყოფელი შეიტყო და გერმანელებმა ჩვენებს იმ ღამესვე შემოარტყეს ალყა? ასე რომ იყოს, პირველად ჩვენ გაგვწირავდა... თუმცა, ჯერ სადა ხარ. იქნებ ჩვენც მოგვადგნენ ქოხში?“

არემარე ფრთხილად დავზვერე და ქოხშიც ფრთხილად შევდგი ფეხი. გვიან იყო, ცეცხლი მაინც გავაღვიძე. მაია ფეხზე ძლივს იდგა. ფიცრებზე გვერდულად წამოწვა და თავსაფარი ცხვირამდე ჩამოიწია. აღარაფრის დანახვა არ უნდოდა.

— ადე, მაია, ვივახშმოთ!

— რა საჭიროა, ისეთი უაზროა ჩვენი სიცოცხლე... შენ ახლა ლუკმა გადაგივა ყელში?

რაღაც სანუგეშო სიტყვა უნდა მეთქვა, მისთვისაც მიმეცა იმედი, ჩემთვისაც.

— ჩვენი სიცოცხლე უაზრო სულაც არ არის, სიკვდილი იქნება უაზრო... მეც ვივახშმებ და შენც... ამიერიდან თავს უფრო უნდა გავაძლებინოთ...

— რისთვის? მერე თოვლში რომ ჩავწვეთ ცრემლდაუყრელად?

— ჩვენი სიცოცხლე ამიერიდან მარტო ჩვენ აღარ გვეკუთვნის. ბატალიონის გმირულად დაღუპვის ამბავს ფრონტის მიღმა უნდა მიტანა. ჩვენი ბიჭები უკვალოდ დაკარგვის ღირ-

სნი არ არიან, მაია. შენ ახლა ადგები და ჩემთან ერთად ივახშმებ! ადგები, თუ?

— ავდგები... ზოგჯერ თურმე ჭირისუფალმა ქვა უნდა ჩაიდოს გულში... ისევ მიცვალებულის საპატრონოდ.

პირველი ლუკმა ორივემ უმადოდ დავლეჭეთ, მერე მადა გაგვიხელდა და ვახშამს ორი კოლოფი კონსერვი კიდევ მივუმატეთ.

ცეცხლი შევახვიეთ და ტყვიებით დაცხრილული მუზარადი დავაფარეთ. ჯერ მაია დაწვა, მერე — მე. ორივეს დაგვავიწყდა, ის ქალი რომ იყო და მე — მამაკაცი. შუაში თოფი აღარ ჩაგვიდევს, აღარც დაშნა. რაღაცის შეხსენებაც კი არ იყო საჭირო. ჩვენ ვიყავით მხოლოდ ორი თანამებრძოლი ჯარისკაცი და ორივეს თანაბრად გვებარა უდროშო ბატალიონის სულის დროშა.

უზარმაზარი სარაგვავის ქვეშ ბეღურების გუნდი შეფრინდა. თოკს ხელი გამოვკარი, სარაგვავის სქელი ფიცარი მოწყვეტით დაენარცხა ძირს და... გეგონებოდათ დიდი ყუმბარა გასკდა და მიწის შადრევანი აისროლაო, დამფრთხალი ბეღურების გუნდი ცაში აიჭრა. თითქოს სული არ აჰყვათო, უმალვე ქვებივით ჩამოცვივდნენ თოვლში. ასაკრეფად მივედი და... ისინი არიან, ჩვენი ბიჭები: სავლე, ემზარი, შიო, ვაჟა, არქიფო, ნუგზარი, ვიტია, ნიკო, სერგო... გაქვავებულან, ლაპარაკი კი შეუძლიათ. ზარდამცემად ყვირიან: შე უსირცხვილო, რა დაგიშავეთ, ასე რომ გაგვწირეო. ვუმტკიცებ: ბეღურებზე ვნადირობდი და რა ვიცოდი, თუ თქვენ იყავით-მეთქი. ვიღაცამ ყელში წამიჭირა ხელები. შიშისგან ენადაბმულმა რაღაც ამოვილუღლუღე და თვალი სასწრაფოდ გავახილე. გული ამოვარდნაზე მქონდა.

„სიზმარი იყო, ფიქრი თუ მოლანდება? იქნებ სამივე ერთად?“

უკვე გათენებულიყო. ცივი ოფლით დაცვარულ შუბლზე ხელი გადავისვი და მაიას გადავხედე. უდარდელად ეძინა. ეტყობა, ძილმა ცხადში ნანახი უბედურება დაავიწყა. კარგა ხანს ვიჯექი ტახტზე და თვალმოუშორებლად ვუყურებდი მის ბედნიერ სახეს.

მაიამ თვალი გაახილა, უცნაურად მიმოიხედა და მწარე სინამდვილეში დაბრუნებულს ღიმილი უმალვე გაუქრა.

გარეთ გავედით. პირველად სარაგვავი მომხვდა თვალში. ფეხი ვკარი და დავანგრიე. ციცაბარდას თოკი შორს მოვისროლე.

— რატომ მოშალე?! — გაიოცა მაიამ. — თავს ვირთობდით ხოლმე. აქ...

— ვიღაცა თავს ირთობს, ბეღურები კი იხოცებიან.

— შენ თვითონ არ მოიგონე?

— ჩემი გვარიც არ არსებობდა, ვიღაცამ პირველი სარაგვავი რომ დაიგო...

თავზე სამმა სვავმა გადაგვიფრინა. — სვავი ბევრჯერ დამინახავს, ასე ლამაზად მისი ყაშყაში გულზე არასოდეს მცემია.

ფიქრი თოვლში ჩაყრილი ხალხისკენ გამექცა. იქვე მუზარადებდახურული ჯვრების ტყეც დავინახე, ტყე კი არა, სვასტიკით შუბლმოხატული რუხი სოკოები.

— ამათი დედა ავატირე, ყველასი, ამ მიწაზე გერმანელებს ეკუთვნოდათ მოსასვენებელი მიწა და ჩვენ — არა? — წამოდგა არქიფო.

— ეჰ, სხვებს გავუჩინეთ სასაფლაო, ჩვენ კი უსაფლავოდ დავრჩით. — ჩაილაპარაკა ემზარმა.

— მირიან, გახსოვს, რომ გთხოვე, მიპატრონე-მეთქი? — სავლემაც ამოიღო ხმა.

„არა, არ შეიძლება ჩვენი ბიჭების მიტოვება თოვლისამარა. ყირიმის სუსტი თოვლი მალე დადნება... მიწის შვილს მიწამ უნდა დააფაროს კალთა, ხალხს დამარხვა უნდა. ქვეყნის მოღალატეები ხომ არ არიან, უსაფლავოდ რომ დავტოვოთ? ამ ხალხის პატრონი ჩვენღა ვართ...“

სახელდახელოდ წავისაუზმეთ.

— რატომ ჩქარობ? — მკითხა მაიამ.

— ისევ იქ უნდა წავიდეთ...

— საბუთები და სია ხომ წამოვიღეთ?!

— ის მინდორი იმ თხუთმეტი კაცისაა, მაია. მათი სახელი უნდა დაერქვას. რაღაცას უნდა დარჩეს მათი სახელი... ხალხის ასე მიტოვება არ შეიძლება, საფლავი უნდა გავჭრათ.

— ამ პატარა ნიჩბით საძმო საფლავი არ გაიჭრება.

— პეტრეს ბარიცა აქვს, წერაქვიც, გვათხოვებს. შუა მინდორში დიდი ორმო ჩანს, იმას გავაფართოვებთ. მიცვალებულს თუ სხვა პატივს ველარ სცემ, უნდა დამარხო მაინც...

ბეღურები ყრიან თოვლში, ქვადქცეული ბეღურები.

ვალიკოსეული დურბინდი მაიას მივეცი და გორაკზე სათვალთვალოდ ჩავასაფრე.

მიწის ქერქი მაგარი იყო და წერაქვით მოვანგრიე, მერე ყველივით გაიჭრა.

„არა, მე არ ვსტყუოდი, ის გერმანელი რომ მოვკალი. თუ ყველა დამნაშავეა, ომი რომ არის ქვეყნიერებაზე, ის სხვაზე მეტად იყო დამნაშავე და დაისაჯა კიდეც. მე რომ არ მომეკლა, ის მომკლავდა... დამნაშავე მომკლავდა და მე, მართალ ადამიანს... ომში ვინც თავს იცავს, ის ყოველთვის მართალია“.

ორმოში თხუთმეტი ცხედარი ჩავასვენეთ.

რაზმის სია გადავწერეთ და კონსერვის კოლოფში ჩავკეტეთ. კოლოფს ჩემს კომკავში-

რულ ბილეთზე შემოცლილი პერგამენტის ქაღალდი შემოვახვიეთ და შიოს შარვლის ჯიბეში ჩავდეთ.

„დაე, მიწამაც შეინახოს ეს სია. ჩვენ თუ შტაბამდე ვერ მივაღწევთ, სიას მიწა მაინც გადაარჩენს“.

საძმო საფლავთან თეთრი ლოდი მივაგორეთ. მე და მაიამ ერთმანეთს შევხედეთ და მუხლებზე დავეშვით. ხუთიოდე წუთს დაჩოქილები ვდუმდი, მერე შინისკენ გამოვწიეთ.

თავზე ყორანმა გადაგვიფრინა, სვავიც დავინახე. აღარ შევმცბარვარ. გაქვავებული ზელურები თოვლში აღარ ეყარნენ.

მზე ხიშტზე აღარ იყო წამოცმული...

და ის ბიჭებიც თითქოს ჩვენთან ერთად მოაბიჯებდნენ.

## მეოთხე თავი

მაიამ კუზმას ნაიარევი შეუხვია და წასასვლელად მოვემზადეთ.

სტვენა მოგვესმა.

— აი, ისიც გამოჩნდა. ასე დავთქვით. — გვითხრა პეტრემ და მიწურიდან გავიდა.

ჩვენც გავყევით. პეტრემ გვანიშნა: აქ დამელოდეთო, თვითონ კი ტყეში შევიდა. იმევ გაისმა სტვენა, ამჯერად ორმხრივი.

ხუთიოდე წუთში ტყიდან პეტრე გამოვიდა, შავ ნაბადმოხურული, მაღალ-მაღალი ვაჟკაცი გამოჰყვა. უცნობმა შორიდან შემოგვხედა და ღიმილი გაადლვა, უცებ ნაბადი გადაიგდო, თვალის დახამხამებაში დაკეცა და ზურგზე მოკიდებულ აბგაზე დაიდო.

ავათვალ-ჩავათვალიერე. მეზღვაურის ფარაჯა აცვია, უწინაფრო ქუდი ახურავს, შექეიფიანებული მაყარივით მხარზე თეთრი ყაბალახი მოუგდია, მეზღვაურის განიერტოტებიანი შარვალი რეზინის მაღალყელიან ჩექმებში ჩაუტანებია. მხარიღლივ ტყავის სავაზნე გადაუჭიმავს. ხელში სნაიპერის თოფი უჭირავს. ფართო ქამარზე დამბაჩა, გერმანული დანა-ხიშტი და ხელყუმბარები ჰკიდია. მოკლედ: იარაღი არ აკლია.

შავგვრემანია. ჩაკუპრებული ულვაში და გადაბმული წარბები მკაცრ იერს აძლევს, თვალები კი მხიარულად უციმციმებს. პირი ახალგაპარსული უჩანს.

—კაი გამარჯობა თქვენი, ქართველებო! — შორიდანვე რიხიანად მოგვაძახა, თოფი მარცხენა ხელში მარდად გადაისროლა და მარჯვენა მაიას გაუწოდა ჩამოსართმევად. შავგვრემანი პირისახიდან თოვლივით თეთრი კბილების ელვამ გამოანათა. — ჯონდო ჭედია! — ქალიშვილს თავი ღირსეულად დაუკრა, თითქოს მეჯლისშიაო, სწრაფად ახედ-დახედა და ისევ გაუღიმა: — არც არავის ყმა ვყოფილვარ, არც არავინ ყმად მყოლია, მაგრამ თუ ისურვებთ, მარად თქვენი მონა-მორჩილი ვიქნები, ქალბატონო! — ეტყობა, ეს სიტყვები კაჭკაჭივითა აქვს გაზეპირებული.

მაიამ თვალი გაუშტერა და უცნაურმა ფერმა გადაჰკრა, ერთდროულად შიშიც გამოეხატა და სიხარულიც. მერე მე ისე შემომხედა, გეგონებოდათ, რაღაცის პატიებას მთხოვსო.

ჯონდო ჩემკენ შემობრუნდა და ხელი ისე მაგრად ჩამომართვა, თითქოს ღონეს მისინჯავსო. თითებმა ტკაცანი მოადინა.

— პეტრემ მითხრა თქვენი ამბავი. ერთ ბედში ვყოფილვართ. ჩვენი ბატალიონიც ლუკმა-ლუკმა დაჩეხეს იმ ოხრისშვილებმა. ბოლოს შვიდნილა დავრჩით. ერთი მძიმედ დაიჭრა და თავი მოიკლა, სამი უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ორი გერმანელებთან პირისპირ შეხლისას დაიღუპა და დავრჩი იქესავით. აგერ, თვეზე მეტია ფრიცებზე მარტოდ-მარტო ვნადირობ...

— მირიან, წავიდეთ, ღამდება უკვე. — აჩქარდა მაია.

გაკვირვებით შევხედე: ქართველ კაცს ზღვის გამოღმა შევხვდით, ერთმანეთისთვის ორიოდე სიტყვაც არ გვითქვამს და ჯოხდარტყმულებივით ხომ არ გავიქცევით-მეთქი?!

მაიამ თავი ჩაღუნა და თექურებით გათელილ თოვლს დაუწყო თვალებით ბურღვა, თითქოს იქ რაღაც დაჰკარგვია და დაჟინებით ეძებსო.

— რა გეჩქარებათ, ქალბატონო? რამე გაწყენინეთ? აგერ წავივახშმოთ, ორიოდე ქართული სიტყვა გამაგონეთ, ერთმანეთს უფრო ახლოს გავეცნოთ და წადით მერე, ის თქვენი ქოხი არსად გაგექცევათ. თუ ღამით სიარული გაშინებთ, გაგაცილებთ.

მაიამ ჯონდოსკენ არც გაიხედა, მე ჩამილაპარაკა:

— თავს შეუძლოდ ვგრძნობ, მოსვენება მინდა.

— თავს შეუძლოდ გრძნობთ? — ყური მოჰკრა ჯონდომ. — მოგიკვდეთ ჩემი თავი, აგერ, მკლავებზე დაგიწვენთ და ქოხამდე ისე მიგიყვანთ. — ფართო მხარბეჭი დარდიმანდულად შეარხია და მკლავები გაშალა, თითქოს გოგო ახლავე უნდა აიტაცოსო.

— არა, უქეიფოდ არა ვარ, ალბათ, რომ დავიღალე... ისეთი საშინელი დღე იყო... წავიდეთ, მირიან! — მაიამ ხელი მკლავზე მომკიდა და დამქაჩა.

— კეთილი, წავიდეთ!

მაიას დამშვიდობებაც კი დაავიწყდა, შეტრიალდა და, იფიქრებდით, ვიღაცა მისდევსო, ბილიკს ჩქარი ნაბიჯით გაუყვა.

ჯონდომ თვალი გააყოლა და მხრები აიწურა.

— დასვიდანია, პეტრე! მშვიდობით, ჯონდო! ბოდიშს ვიხდი...

— არავითარი ბოდიში. ამ უბედურებს ცოტა ხორაგს დავუტოვებ და ახლავე დაგეწევით. თქვენთან საუბარი ერთ რამედ მიღირს.

ასიოდე ნაბიჯიც არ გვქონდა გავლილი, სტვენა მოგვესმა და ჯონდო ჯლაგაჯლუგით წამოგვეწია. ახლა გერმანული ლაბადა-კარავი ჰქონდა მოხურული, შემოდგომის ტყის ფერი რომ დაჰკრავს.

მაიამ ბაგე მოიკვნიტა და უკან მოუხედავად წავიდა წინ.

უხერხული დუმილი ჩამოწვა.

— მარტოდ-მარტო ამ ტყე-ღრეში რა გაძლებინებს? — ვკითხე ჯონდოს უფრო დუმილის დასარღვევად.

— ყველაფერს შეჩვევა სცოდნია. ხალხი ყირიმის აგარაკებზე დასასვენებლად ფულსა ხარჯავდა, მე, აგერ, უფასოდ დავსეირნობ.

— ჩვენ ორიოდე დღეს შევისვენებთ, ერთ ამხანაგს ველოდებით, იქნებ გამოჩნდეს, მერე ქერჩისკენ წავალთ. ფრონტის უბანი უნდა გადავლახოთ უსიკვდილოდ. არმიის შტაბში ბატალიონის დაღუპვის ამბავი უნდა მივიტანოთ. თუ შემოგვიერთდები, კარგს იზამ.

— ვერა. ჯერჯერობით ვერა. სანამ ოცდაერთ გერმანელს არ მოვკლავ, ყირიმიდან ფეხს არ მოვიცვლი.

„აი, თურმე ის ვის წაუწერია ეკლესიაში?"

— ოცდაერთი ვითომ რა არის?

— რა ვიცი... ასე ამეკვიატა. ოცდაერთის მოკვლის ხოში მაქვს. ჩვენ ხომ ბოლოს შვიდნი დავრჩით, ღმერთი სამებით არის. შვიდი გავამრავლოთ სამზე უდრის ოცდაერთს. დედას ვუტირებ, დედას! იმ ოხრისშვილებმა ისეთი ძმაკაცები დამიხოცეს, სანამ ჯავრს არ ამოვიყრი, უუჰ!

„აი, მეორე ვალიკო იაშვილი! ტრაბახაა ეს ბიჭი, თუ?.."

— რამდენს აუგე უკვე ანდერძი?

— თოთხმეტს. ერთი თვალდათვალ დამეთესა, თორემ თხუთმეტი იქნებოდა. ა, ამხელა, — თითქმის მიწამდე დაუშვა ხელი, — კურდღლივით შეძვრა ბუჩქებში. ორი ამით მოვაყუჩე. — გერმანულ ხიშტზე დაიდო, ხელი, — ერთი ხელითაც დავახრჩვე, კრინტის დაძვრაც არ ვაცალე. პატარა ეშელონიც ავაფეთქე, იქ გერმანელი ჯარისკაცებიც იყვნენ, ასე მოკლულებს არა ვთვლი, საკუთარი ხელით უნდა გავაცხებიო სული, როცა პირისპირ ჩემს მოსაკლავად გამორბის.

„ბაქი-ბუქობს, თუ?.."

— კარგი იქნებოდა, მოწმეც გყოლოდა.

— რატომ? თავდადება არ დამიფასდება და ორდენს არავინ ჩამომკიდებს, ფეხებზე მკიდია მე ორდენი. ძმაკაცების ჯავრი მინდა ვიყარო. იმათ რაღა ეშველებათ, მაგრამ მაინც... ჩემს გულისბუხარს ხომ გავახარებ?

— ასეა თუ ისე, მარტოხელა ადამიანი ცოდვაა, ვიღაცა უნდა ჰყავდეს მხარის დამჭერი.

— მე ცალკე ვიბრძვი, თორემ მარტო კი არა ვარ. ყველა მე მიმაგრებს მხარს, ვინც გერმანელებს ებრძვის. მეც ვუმაგრებ მხარს. გულახდილად რომ გითხრა, იცი რა მომწონს? გერმანელებმა იციან, ამ არემარეში ვიღაც რომ არის და ფხიზლობენ — საამისოდ ზურგში ჯარი ჰყავთ დატოვებული. მე ფრონტს უამრავი რძეთხვლეპია ჯარისკაცი ვამოვაკელი. იმ რაღაც თოთხმეტიოდე ბიჭ-ბუჭა ჯარისკაცის მოკვლით მოვახერხე ეს... გერმანელებმა არ იციან ჩემი ადგილსამყოფელი, მაგრამ იციან, რომ ამ მიდამოში ვიღაც არის,.. ათი თუ ასი კაცი, რომელიც ზურგში უღერებს დანას. ჩემს გამო ყველა ხიდსა და გზაჯვარედინს გუშაგს უყენებენ. ერთი კაცი მთელ პოლკს ვაცდენ. მე ეს მსიამოვნებს, დანარჩენი ფეხებზე მკიდია. ბოლოს აქაურობას ისე ავამტუტებ, ჩემ გამო დივიზია მოაცდინონ, მერე კი გავეცლები ყირიმს. დაე, დივიზიამ ცარიელ ტყეს უდარაჯოს. ასეთია, ჩემი საქმეები, ძმაო.

— ბარემ პარტიზანთა რაზმი შეგეკრიბა, ჩინებული მეთაური იქნებოდი.

— მაგისთვის მცალია სწორედ. სხვებთან წოწიალის თავი არა მაქვს, ზოგი შენ აგეკიდება, ზოგს შენ აეკიდები. იმას რა სჯობია, როცა შენი თავის მეტი არავინ გაბარია და ამ თავის პატრონი თვითონ ხარ, რასაც გინდა, იმას აკეთებ. პარტიზანები ომისგან უმუშევრად დარჩენილი ჯარისკაცები არიან. რაკი მუდმივი სამუშაო არა აქვთ, სანარდო საქმეს ეძებენ ხოლმე. მე მუდმივი სამუშაო მინდა. ფიცს რომ შევასრულებ და ამ დროებით ამბავს მოვრჩები, მერე შინ დაბრუნებაზე ვიფიქრებ... სამხედრო გემზე. მინდა მოტორიანი ნავი ჩავიგდო ხელში და აფხაზეთისკენ გავცურო...

— სახიფათოა, ვაითუ...

— გერმანელებს ვერ გავუძვრები და ზღვის ღორები შემჭამენ?

— გაპარვაც ძნელია, მაგრამ... იქ რომ ნავით მარტო მიცურდე, იქნებ არც დაგიჯერონ. ნამდვილად ვინცა ხარ და... რაკი მოწმე არ გეყოლება, ხომ იცი...

ჯონდომ არხეინად წაუსტვინა და თავდაჯერებით მომიგო:

— იქამდე მივაღწიო და ვინც არ დამიჯერებს, ყოფას ვუტირებ.

ქოხი გამოჩნდა.

— დაბალი ჭერი აქვს, შესვლისთანავე ნუ გაიმართები, თორემ ჭერს აგვინგრევ, — გააფრთხილე სტუმარი.

— თავდაბლობა სასახლეშიც არ აწყენს ადამიანს, — მომიგო სტუმარმა.

ქოხში შევედით და ცეცხლი გავაღვიძეთ. მეზღვაურმა მიმოიხედა და წაუსტვინა.

— ოჰო, აკვანიღა გაკლიათ, ნამდვილი ოჯახია. — ჩაილაპარაკა და თან ქურქგახდილ მაიას ქურდულად შეხედა, კბილები გააელვა და დიდრონი თვალები აუნაპერწკლდა. — ბედნიერი იყოს ჩემი ფეხი ამ ოჯახში. თუ არ გეწყინებათ, ამაღამ თქვენთან დავრჩები... ერთ ქარქაშში ორი ხანჯალი არ ჩაიდება, თორემ ამ ქოხში კი დავეტევით სამნი. აგერ, კუნჭულში მივწვები ჩემთვის. ქართული ლაპარაკი მომენატრა. — პასუხს არც დაუცადა, ბარგი-ბარხანა კუთხეში მიყარა.

ალმა ენა დაიგრძლა და პატარა ქოხის კედლებზე სამი ლანდი აბორიალდა.

აქამდე ეს ცეცხლი მხოლოდ ორისა იყო, ახლა მესამე მოზიარეც გაგვიჩნდა. იმ მესამეს ყველაზე დიდი ლანდი აქვს, ხან ჩემ ლანდსა ფარავს, ხან მაიას ლანდს ეფოფრება თავზე. ზოგჯერ ისიც კი მეჩვენება: ჯონდოს ლანდი მაიას ლანდს მოეხვია, შეერწყა და შეუნივთდამეთქი. დასამალი რა არის, ეს მოლანდება უსიამოვნო ჩრდილად გადამაწვა გულზე.

მაია ხმას არ იღებს, ტუჩებს იკვნეტს ხოლმე და ჩრდილივით სდუმს. ქურქის გახდისთანავე „ლოგინი" გაშალა, მერე რატომღაც დედის სურათი თავის ადგილას შეუხსენებლად დაჰკიდა, ტახტზე მოირთხა, ნატყვიარი „ვეფხისტყაოსანი" გაშალა და შუბლშეკრულმა შიგ ჩარგო თავი. რაღაც აფორიაქება ეტყობა.

ჯონდომ ჯერ მკერდი გაიღელა, მერე მეზღვაურის ხალათი გაიძრო და ზოლებიანი მაისურის ამარა დარჩა.

— ბოდიშს ვიხდი, დილა-საღამოს ტანი თოვლით ან ცივი წყლით თუ არ დავიზილე, ისე ვერ ვიძინებ.

— ჩვენ რომ ამხანაგს ველოდებით, რაღაცით იმას ჰგავხარ.

— რაღაცით ყველა ჰგავს ერთმანეთს... ადამიანები ვართ.

მაიამ თავი ასწია და უმალვე დახარა.

ჯონდომ მაისურიც გაიხადა. ტანი მოსვირინგებული აქვს მთლიანად. მკერდის მარჯვენა მხარეს გემი ახატია, მარცხენა მხარეს — ერთად ლენინ-სტალინის პროფილით. მარჯვენა მკლავზე მსხვილად აწერია „არ დაგივიწყებ დედა", მარცხენაზე — „შენა ხარ ჩემი სიცოცხლე, შენა ხარ ჩემი სიკვდილი", ქვეშ კი კულულებჩამოშლილი გოგო მიუხატავს.

— ქალბატონო მაია, ღამე კითხვა არვარგა, თვალები გაგიფუჭდება. — რაკი ქალიშვილმა წელზევით გაშიშვლებულ ვაჟკაცს ყურადღება არ მიაქცია, ჯონდომ თვითონ შეახსენა თავი.

— თვალებს ცუდი წიგნის კითხვა და ცუდი რამის ყურება აფუჭებს. — ხმათრთოლებით მიუგო მაიამ.

— მიყვარს მოსწრებული პასუხი. — ჯონდო ღიღინით გავიდა ქოხიდან: — „ამაღამ თქვენთან დავრჩები, ვარაღოდა, კარი დატოვე ღიაო..."

— მაია, რა ხამივით იქცევი? ადამიანი არ გინახავს?

— შენ მოიპატიჟე? — ახლაღა ასწია თავი მაიამ და საყვედურით შემომხედა.

— თვითონ წამოვიდა. იყოს, რას გვიშავებს?

— არაფერს.

— შენ თითქოს რაღაცამ შეგაშინაო?!

— არაფერსაც არ შევუშინებივარ.

— რა ვიცი, ისე შეკრთი... თავიდანვე თვალში არ მოგივიდა, თუ?..

მაიამ მხრები აიწურა.

— ისე, რაღაცით მართალი ხარ. ცოტა კი ჰგავს თავზეხელაღებულ ყაჩაღს...

— მე ყაჩაღების არ მეშინია.

— აბა, მეზღვაურების?

მაიამ კვლავ მხრები აიჩეჩა.

ჯონდომ გარეთ კარგა ხანს იღიღინა, იფრთქვინა, რამდენჯერმე წაუსტვინა კიდეც, მკერდაჭარხლებული შემოვიდა და მაისური გადაიცვა.

— ახლა ვახშამიც არ გვაწყენს. ეს რაა? ჩაის ადუღებთ? ცხონებული ბაბუაჩემი სულ ჩაის სმამ არ მოკლა! რა დროს ჩაია, თქვე დალოცვილებო?! ორთქლმავლები ხომ არა ვართ, ცხელი წყლით ვირბინოთ? — სუფრად გერმანული ლაბადა-კარავი გაშალა და აბგიდან ხორაგი ამოალაგა: მოზრდილი ძეხვი, დაბასტურმებული ღორის ხორცი, ჰოლანდიური ყველი, შებოლილი თევზი და ორცხობილა. მერე რამდენიმე პატარა მათარაც ამოყარა. — შნაფს! ჩვენი ჭაჭის არაყთან შედარებით წყალია, მაინც დალევს კაცი. შვაინ! ჰენდე ჰოხ! პალუნდრა! ქალბატონო, ახლოს მოიჩოჩეთ!

— აქედანაც მოვწვდები. — მაიამ რატომღაც უფრო უკან დაიხია და კედელს ზურგით მიეყრდნო.

— შენი ხელით დაგვიჭერი ძეხვი და ყველი. ა, დანა. ქალის ლამაზი ხელით გაწყობილ სუფრას მეტი ეშხი და ლაზათი აქვს, გემოც. ხომ მართალია, მირიან?

— ჰო, ასე გვეჩვენება ხოლმე.

მაიამ ძეხვიცა და ყველიც ცოტ-ცოტა დათალა.

— დალოცვილო, კი არ მიყიდია, ბლომად დაჭერი! გერმანელების ხორაგი გენანება? კიდევ წავართმევ. აბა, მიირთვით. — ნადავლ მათარას ხუფი მოაძრო და ჭიქად დაიჭირა ხელში: — ამით დავლიოთ ყველამ. ჭლექი არ-

ცერთს არა გვჭირს. რას იტყვის, ქალბატონი მაია?

— თქვენი ნებაა.

— სახარებასა და ყოვლადწმინდას რომ მივყვეთ, შორს წავიყვანს. პირველი ჭიქით ჩვენი გაცნობა და ამ ოჯახის დიასახლისი ვადღეგრძელოთ, როგორც ქართულ სუფრას შეშვენის.

— დღეს პირველი სადღეგრძელო სხვა უნდა ითქვას.

— დღეს ვითომ რა დღეა?

— ეჰ, ზოგჯერ ცოცხლებს რა მალე გვავიწყდება მკვდრები? ჩვენ ახლა ჭირისუფლები ვართ.

— ჰო, მაპატიეთ! მაშინ შენ თქვი პირველად! — ჯონდომ ჭიქა ხელში მომაჩეჩა.

— ვიტყვი. იმათ გაუმარჯოს, ვინც დაიღუპა! ჰო, გაუმარჯოს, დაღუპულებს გაუმარჯოს! გამიგე, ჯონდო?

— გაუგებარი რა არის, გაუმარჯოს!

— იმ ვაჟკაცების ხსოვნის სადღეგრძელო იყოს! როგორც წინაპრები იტყოდნენ: ჩვენს ბიჭებს საუკუნო სასუფეველი დაუმკვიდროს განგებამ! მათი სახელები ქვეყანაზე არ მოშლილიყოს, შეგძლებოდეს შენახვა! იმ ხალხთან ერთად ყველას სახელ-სადიდებელი იყოს, ვინც უთანასწორო ბრძოლაში დაეცა, სახელის შენახავი კი არ დარჩა, არც საფლავის გამთხრელი... ქვეყნისათვის კი იმაზე დიდი საქმე გააკეთა, ვისი გმირობის ამბავიც საქვეყნოდ გახმაურდა. გაუმარჯოს, ამინ!

— ამინ! — ჯონდომ ჩაფიქრებით გაიმეორა, ჭიქა გამოართვა და გაავსო. — კაი კაცი ხარ. შენ, მგონი, ავანსად ჩემი სადღეგრძელოც დალიე, შე ღმერთძაღლო. მე რომ ამ ტყეებში ჩავკვდე, ეს ჩემი სადღეგრძელოც იქნება. ეჰ, რას ვიზამთ, ტირილითა და ვაებით ვის რას ვუშველით. განათლოს მათი სული, სულ მზეში იყოს! — პურზე არაყი არ დაუწვეთებია, ჭიქადაქცეული ხუფი ასწია და სულმოუთქმელად გადაკრა. მერე სასმისი მაიას მიაწოდა. მაიამ თავი გაუქნია, არაო. — ნუ დალევ, დაილოცე!

— მათი ხსოვნისა იყოს! ნათელი დაუმკვიდროთ მამაზეციერმა.

— მიირთვით, მიირთვით! რა შორიდან ეპარებით? მოდი ახლა ადამის ნეკნი ვადღეგრძელოთ!

— რა სთქვი?

— გაუმარჯოს სიცოცხლეს! მაიას გაუმარჯოს და მისი სახით ქალს, რომელიც ღმერთმა თურმე ადამის ნეკნიდან შექმნა. ადამისჟამიდან ეს თავისი ნეკნი სულ აკლია მამაკაცს, დადის და ეძებს გამწარებული. ამ უნეკნობას პირადად მე ამჟამად განსაკუთრებით ვგრძნობ. ეს სხვათაშორის. შენ გაგიმარჯოს მაია! სიმწარე აგაშოროს, სიტკბო მოგცეს! — გადაჰკრა. — ალავერდი, მაიაან!

წამით შევყოყმანდი.

— აბა, მე ასე ვიტყვი: უპირველეს ყოვლისა, გაუმარჯოს ქალს, რომელიც ბუნებამ ღმერთის ბუნებით დააჯილდოვა, რომ გააჩინოს და გაამრავლოს სიცოცხლე, ახალ-ახალი სიცოცხლე. სიცოცხლის დედას გაუმარჯოს! გაგიმარჯოს, მაია! ბედნიერ ბებიობას შეესწარი!

მერე ჩვენი შეხვედრის სადღეგრძელო ვთქვით, ამას სხვა მოჰყვა. ორი მათარა დავცალეთ.

— დავთვრეთ, ამის რჯულიც არ იყოს! პალუნდრა! შეაინ! ჰენდე, ჰოხ! — მესამე მათარის გახსნა დაიწყო ჯონდომ.

არ დავანებე.

— მე აღარ მინდა და, ჩვენი ხათრი თუ გაქვს, მეტს ნუღარც შენ დალევ!

— ასე ცოტა რომ მაითრობდეს... ვთქვათ ოცდაერთი სადღეგრძელო, რა უშავს. ეს სათითეა, ჭიქა ხომ არაა!

— მეტი არ არის საჭირო. ეს ხომ ლხინის სუფრა არ არის?

— აბა, თითო მაინც ვთქვათ კიდევ, ჩვენჩვენი ოჯახი ვადღეგრძელოთ. ვინ იცის, როგორ დარდობენ, ჩვენ კი აგერ ვქეიფობთ...

— ქართველს სადღეგრძელო არ გამოლეევა, — მომეშველა მაია, — ჩვენ ახლა მარტო ჩვენი თავი არ გვაბარია.

— ჰო, მეტი თავდაკვირვება და სიფხიზლე გვმართებს.

— ხმის უმრავლესობით გასულია თქვენი წინადადება, კი, ბატონო, ხვალაც ამ თვისაა. — ჯონდომ მათარები შეინახა და წაილიღინა: — გათენებულა, გამიშვი, გამიჯავრდება დედაო...

გათენდა. სამივეს ერთდროულად გაგვეღვიძა. მაია ცეცხლს დაუტრიალდა, მე შეშის მოსაპრელად გავედი ტყეში, ჯონდო გამოყვა და თოვლით შიშველი მკერდისა და ზურგის ზელას შეუდგა.

— მოგყირჭდა, ბიჭო?

— რას ამბობ?

— ადამის ნეკნი მოგყირჭდა-მეთქი? მთელი ღამე ცალცალკე გეძინათ...

— მიჭკარავ რაღაცას.

— ნამეტანი ფხიზელი ძილი ვიცი, ერთობ მშვიდად იწექით. სხვათაშორის, ერთი ქალი მეც მალე მყირჭდება.

ხმა აღარ გავეცი, ვითომ არც გამიგონია.

— ახლა ისე ვარ, ჯირკიც ქალად მეჩვენება, ეგ გოგო კი ნამეტანი გემრიელი ნეკნი ჩანს. ცოტა ეს მშველის, — ჯონდომ თოვლი აიტაცა და კისერზე მოისვა, — თორემ სულ გადავირევი. ისე, ჩვენში დარჩეს და, ტკბილმეზობლურად რომ დამითმობდე ერთი ღამით მაინც...

— ეგ სისულელე მეორედ აღარ წამოგცდეს, ძმურად გეხვეწები.

— თუ ცოცხალი გადარჩება, ჯარში გამოქექილი გოგო ქმარს როგორმე იშოვის. არადა,

საიქიოში პასუხს არავინ მოსთხოვს: შენი ქალური უმანკოება მიწის შესაჭმელად რატომ არ შეინახეო.

— ეგ გოგო ის არ გეგონოს, შენ რომ ვიღაცეებთან ღლაბუცით თავი შეგიქცევია. ვინც მაიას ხელს ახლებს, მოვკლავ!

— მაგ ჟანგიანი ნაჯახით? — ჯონდომ წაუსტვინა. — მე შენ, ძმაო, ჯვარდაწერილ ცოლს ხომ არ გართმევ? ვაჟკაცურად...

— მაგ გოგოს, იცოდე, ჩემი დის თავსაფარი ახურავს.

— აჰ, დობილია?! — ჯონდომ ისევ წაუსტვინა. — მერე, შე კაი კაცო, თავსაფრის მოხდას რა უნდა?

— სითავხედე, რომელიც ყველას არა აქვს.

— აუჰ! — ჯონდომ გრძლად წაუსტვინა. — ესე იგი, შენ მაგ გოგოსთვის ჯერ წკიპურტიც არ მიგირტყამს?! ეს სულ უვიცი და ქაჯი არ ყოფილა, ვიღაცაა?! ჩვენს ბატალიონში ერთი ბიჭი იყო, ღმერთისთვის შეფიცული ჰქონდა: ოღონდ ომში ცოცხალი გადამარჩინე და ქალს არ გავეკარებიო. შენც ისე ხომ არა ხარ? ავი ძაღლივით არც შენ ჭამ და არც სხვას ანებებ? ხატებს ეკლესიაში ჰკიდებენ, აქ რა უნდა, განია ომია! თუ აღარაფერი შეგიძლია, ეგ თქვი, თორემ რა დროს დის თავსაფარზე ლაპარაკია?

თითები მეტკინა, ნაჯახის ტარს ისე მაგრად მოვუჭირე და ჯირკს გამეტებით დავკარი, თითქოს ყველაფერი ამ ჯირკის ბრალიაო.

რაკი ხმა არ გავეცი, ჯონდომ თავისი განაგრძო.

— მეცოდები. გეტყობა, ქალებს კარგად ვერ იცნობ. ცოტა ხნით მაინც მომებარე შეგირდად. ქალი ალერსით უნდა მოკლა, თუ გინდა საიქიოს გაიხარო და საიქიოსაც ცხონდე.

— ყველა ქალი ერთნაირი არ არის. მომეშვი!

— წმინდანები და ანგელოზები ცაშიც აღარ არიან, მიწაზე ტყუილად ეძებ. არ გამიკვირდა, ეს გოგო ასე ქვეშ-ქვეშ რატომ შემომცინებსმეთქი? თურმე საწყალს კაცი შიებია, ეს კი... ერთი თუთუნი დამალევინე!

— არ ვეწევი.

— აუჰ! ბარემ ბერად აღიკვეცე, შე დალოცვილო! არაფს ქალივითა წრუპავ, ქალი არა გყვარებია, თუთუნს არ ეწევი... მხრებზე მოისვი ხელი, ანგელოზის ფრთები ჯერ არ ამოგსვლია?

— ეგ სიტყვები კარგა ხანია გაცვდა.

— ადამიანმა რომ შემოგხედოს ვაჟკაცსა ჰგავხარ!

— გააჩნია, ვის რა მიაჩნია ვაჟკაცობად. პირადად მე რა შეურაცხყოფაც არ უნდა მომაყენო, კინკლავს არ დაგიწყებ. შენ იქნებ ესეც ლეცლობად მიიჩნიო, მოგითმენ დრომდე. მაგრამ თუ მაიას მიაყენებ შეურაცხყოფას, იცოდე, მე და შენ ვაჟკაცურად გავსწორდებით.— ჩემი რისხვა კვლავ ნაჯახს მივანდე, ახლა მუხას დავუწყე გაგულისებით ჭრა.

— თუ თვითონ გოგო მადლობასაც მეტყვის იმ შეურაცხყოფისათვის, მაშინ როგორღა მოვიქცეთ?

— მაშინაც ვაჟკაცურად გავსწორდებით — გამარჯვებულ ფალავანს ხელს ჩამოგართმევ და გაგშორდები.

— აუჰ, რა თავდაჯერებულად ლაპარაკობ?!

— ისე, როგორც შენ.

— იმაზე მწარე არაფერია, როცა თავდაჯერებულ ადამიანს იმედი უცრუვდება.

— ალბათ... შეიძლება.

როცა არ გინდა ვინმეს იარაღით დაუპირისპირდე, სხვანაირად როგორ უნდა მოიქცე? რატომღაც მგონია, რომ სითავხედეს მხოლოდ ასე დავსჯი.

მე მაიასი მჯერა: არ გამაწბილებს და ჯონდოს იმ უშნო რქებს ძირშივე მოამტვრევსმეთქი.

რამდენჯერმე ორივეს განგებ ვტოვებ მარტო: ა, ბურთი და ა, მოედანი, ვნახოთ ვინ გაიმარჯვებს-მეთქი. თან ფხიზლად ვუთვალთვალებ. მაიას ხან უნათდება სახე, ხან ელრუბლება, თითქოს წამისწამ მზე და ჩრდილი დასთამაშებსო. ეს მაინცდამაინც არ მომწონს. მაიას გულში რაღაც ხდება.

შუადღეა. მაიამ წყალზე წასვლა დააპირა. არ გავუშვი. იქიდან მოვბრუნდი და... ვხედავ, მაია ქოხიდან გამოვიდა, მიმოიხედა და ისევ შინ შესვლა დააპირა.

— გოგოვ, შეჩერდი ერთ წამსა! — დაუძახა ჯონდომ, რომელიც ჩემი მოჭრილი მუხის დაპობას შესდგომია.

— რა გინდა? — მოხედა მაიამ.

— უნდა გამომყვე ცოლადა! — ხმა შეიცვალა ჯონდომ.

მაია გაშტერდა.

— შენ რა, მაიკო, „ნარინჯის ველი“ არ გინახავს?

მაია თითქოს გაანაწყენესო, ბრაზიანად მიუგო:

— ვის არ უნახავს! ისეთი კინო იყო, მარტო ნატოს ყურება რად ღირდა.

— ჩვენ სოფელში გადაიღეს. სხვათაშორის, მეც გამრიეს მარაქაში. მერე სულ კინომსახიობობაზე ვოცნებობდი, ბედმა კი, აგერ, ტყის კაცად მაქცია. — ჯონდო აღიღინდა. — გოგოვ, შეჩერდი ერთ წამსა! — რა გინდა? უნდა გამომყვე ცოლადა! — არ მინდა. არ მინდა, ბიჭო, არ მინდა, არ მინდა...—ჯონდომ სიმღერა შეწყვიტა და დაიხარა. — აუჰ, რა საგუნდაო თოვლია! ბამბასავითაა! — გუნდა ხეს ესროლა და მოარტყა. — აქაც სნაიპერი ვარ! მაიკო, ცაში რას უყურებ? თუ ღმერთს დაეძებ, შენი ღმერთი ახლა მიწაზეა, გოგო.

— შენ რა იცი, რა იცი, მე რას დავეძებ?!

— ისე ვთქვი, ზოგჯერ მიწაზე მოსიარულე

ხალხსაც მოგვაქციე ყურადღება-მეთქი. მე მართლა ტყის კაცი კი არა ვარ, ომამდე ჭიანჭველასთვის არ დამიდგამს ფეხი. სად იყურები, მაიკო? მომხედე აქეთ! თითქოს რაღაცას მიმალავ. ჩვენ, მგონი, ერთმანეთს აქამდეც შევხვედრივართ სადღაც...

— არაფერსაც არ გიმალავ... არც შენ შემხვედრიხარ სადმე...

— აბა, ერთხელ მაინც გამისწორე თვალი! კარგად შემხედე!

მაიამ ჯონდოსაკენ მიიხედა. მეზღვაურმა მოულოდნელად გუნდა ესროლა და მკერდზე მოახვედრა.

— ნუ მესვრი გუნდას, გუნდას ნუ მესვრი! — სახეზე ხელები მიიფარა მაიამ.

ჯონდომ ისევ ესროლა და მოახვედრა.

— გიჟო, დაუნდობელო, შენ გგონია!.. — ახლა ჯონდოს მაიამაც ესროლა გუნდა.

— **ბიჭოს! ორით ერთი.** ვთამაშობთ ოცდაერთამდე! დადექ! — ესროლა. — სამით ერთი მეზღვაურის სასარგებლოდ. ყმაწვილკაცობისას გუნდაობის გიჟი ვიყავი... ოთხით ერთი!

მაიამ „ვაიო“ შესძახა და როდი გაიქცა, გულიანად გადაიკისკისა, თოვლში ჩავარდნილი გუნდა აიტაცა და ჯონდოსაკენ გააბრუნა.

— მართლა გუნდაობის გიჟი ყოფილხარ!

— ოთხით ორი!

გუნდაობა თანდათან გახურდა. მაია თავდავიწყებით აკისკისდა.

მე „ფოსტის“ მუხას ვარ ამოფარებული. ჯონდო უფარაჯოდაა. არც მაიას აცვია ქურქი. თავსაფარი კი ახურავს. ჯონდო თოვლს მაგრად უჭერს ხელს და მკვრივ გუნდას ხან მკერდზე ახვედრებს გოგოს, ხან თეძოზე. მაია ერთ „ვაის“ ხმატკბილად შესძახებს ხოლმე და გემრიელად კისკისებს. თავდავიწყებით გუნდაობს გოგო, ამ ქვეყანაზე სხვა აღარაფერი ახსოვს, მკერდი უთრთის, ბიჭს აშტერდება, თითქოს თვალებით ჭამსო. მე ვხედავ ვნებაალტკინებულ ქალს, რომელიც ვაჟს ქინიანად უხმობს.

იქ დგომა ველარ შევძელი, ქოხს მივაშურე. მაიას გვერდით განგებ ჩავუარე, ვერ შემამჩნია.

„ღმერთო ჩემო, ასე რამ გამოცვალა ეს გოგო? ჩემ ფარულ შეხედვას ზურგითაც გრძნობდა ხოლმე, ახლა კი...

სისხლი საფეთქლებში მაწვება. არ მინდა უკან მივიხედო.

„ვინ მეგონა და ვინ ყოფილა?! საინტერესოა, რითი მოხიბლა ჯონდომ, ასე გონმიუცემლად რომ აჰყვა მის თამაშს? აქამდე თითქოს ჯონდოს მოსვირინგებული მკერდის დანახვაც არ უნდოდა, ახლა ლამის ზედ მიეკრას. რა მოხდა ისეთი?“

კარდალა ცეცხლზე შემოვდგი და ტახტის თავთან დაგდებულ ჯირკზე ჩამოვჯექი. მოთმინებით ველოდები, გუნდაობას როდის მორჩებიან. ამაოა ლოდინი. კარგა ხანია მაიას სიცილი, კისკისი და ტკრიაცი მესმის.

„ყველაფერი დაავიწყდა, ყველაფერი, აღარც ის ახსოვს, ქვეყნად მე რომ ვარსებობ, აღარც ის — სადილი რომ უნდა გაეკეთებინა. ეს მაია კი არა, ნანაა, ქარაფშუტა ნანა, ფრთების სიამოვნების მეტი ქვეყანაზე რომ არაფერი ახსოვდა ხოლმე...“

მაია თავისთვის გემრიელად კისკისებს, მე კი ის კისკისი გულში შხამად მეღვრება.

კვამლი ასდის ცეცხლს და ფიქრი ფიქრს მისდევს.

ისინი ისევ ხორხოცებენ.

მოთმინების ფიალა აივსო, მეტი აღარ შემიძლია, კარზე აფარებული ლაბადაკარავი გადავწიე.

— ცხრამეტით თერთმეტი! — მიჰყიჟინებს მეზღვაური. — ესროლა ბერმა პაპამა, ჯიხვი რქით გადმოეკიდა.

— მომეშვი, თავს დამარცხებულად ვგრძნობ! — გარბის გოგო.

— ბრძოლა საბოლოო კაპიტულაციამდე! — გზა გადაუჭრა ჯონდომ. — ჯერ ვერ გაგიშვებ ბრძოლის ველიდან.

ორივე გულიანად იცინის.

— ოცდაერთით თორმეტი! ვაშაააა! — გამარჯვებული დამარცხებულთან მიიჭრა, მარცხენა ხელით ჩაბღუჯა, მარჯვენათი პირზე თოვლი წაუსვა. გამიშვიო, გამიშვიო, იძახის გოგო, მაგრამ ამ ყალბ ძახილს რა ფასი აქვს, როცა ნამდვილად არავითარ წინააღმდეგობას არ უწევს! თავშეუკავებელ ვაჟს კვლავ გულიანად შეჰკისკისებს და ამ კისკისით უფრო ახელებს.

ჯონდო ღიღინებს:

> არ მოიშალა მაიკომ თვალთა ლამაზი
> ბრიალი,
> სახლში ბუხარი უყვარდა, ყირიმში —
> გრილი ნიავი.

„მოვკლავ ორივეს!“ — ხელი იარაღისაკენ გამექცა, კაპიტნის ნაჩუქარი ავტომატისკენ. რაღაცამ შემაჩერა.

მაიას თავსაფარი გადაუვარდა და თმა გაეჩეჩა. თავსაფარიც დაავიწყდა, აღარ ფიქრობს აღებას.

„მგონი, მართლა სულელი ვარ და სხვა არაფერი. ვინ გავიხადე სალოცავ ხატად? მომატყუა მაიამ, მომატყუა, და, რაც მთავარია, ამ თავხედი მეზღვაურის თვალში დამამცირა. უცებ დაუმტკიცა ჯონდოს, შენთან თამაში მწყურიაო, მირიანი ერთი დაბდურა ვიღაც არის, საწყალს ჩემი სიტყვა მართალი ეგონაო. რაკი სიახლოვეზე ერთხელ უარი ვუთხარი, მაშინვე განზე გადგაო. მე გამამტყუნა და ჯონდოს თავისი უთაური სიმართლე დაამტკიცებინა...“

ბიჭს მადიანად ჩაუბღუჯავს გოგო, ის კი თავდავიწყებით კისკისებს. აშკარად ეტყობა, ჯონდოსთან თამაში და სიახლოვე რომ სიამოვნებს.

ჯონდოც იცინის. იცინის გამარჯვებული კაცი. ჩემკენ გამოიხედა. შემამჩნია, მითვალთვალებ-

სო. გახარებულმა კბილები ააელვა. თითქოს უთქმელად მომახალა პირში: შეხე, შენს წმინდა ხატს როგორ ვბურსნიო.

ძალა რომ ეხმარა, წუთსაც არ დავაყოვნებდი, ანგარიშს ვაჟკაცურად გავუსწორებდი. ახიც იქნებოდა. ახლა ვის ვემართლები! რა ჯონდოს ბრალია? ვაჟი სიცილით მოითხოვს მორჩილებას, მაიას კი თხოვნაც აღარ უნდა, თავისით ნებდება. ზოგჯერ თავი გამომწვევადაც კი უჭირავს.

„მაია, მე უკან მიმაქვს ფიცი. შენი გულისთვის კაცს ვერ მოვკლავ. შეურაცხყოფა რომ მოეყენებინა, მაშინ სხვა ამბავია... სითავხედისათვის დავსჯიდი... ახლა შენ თვითონ მომაყენე მე შეურაცხყოფა“.

არ ვიცი, ჯონდოს რამდენხანს ჰყავდა მაია ჩაბღუჯული, მე საუკუნედ მეჩვენა. ერთხანს გოგო გაინაბა კიდეც, მერე ვაჟის ღონიერ მკლავებს ერთბაშად გაუსხლტა, თავსაფარი აიტაცა და ქოხისკენ გამოიქცა. ჯონდომ გუნდა დაადევნა. მოხვდა თეძოზე. მიტრიალდა და გაწყრომის ნაცვლად ერთხელ კიდევ გაუცინა გემრიელად. საპასუხო გუნდაც ესროლა და ისევ გამოიქცა. ქოხში რომ შემორბოდა, ხელიდან თავსაფარი გამოვგლიჯე.

— მირიან?! — მეტი ვერაფერი თქვა, გაშტერდა, მერე ქოხში ისე მიმოიხედა, თითქოს მძინარემ ბინდბუნდად გაიღვიძაო, ორიოდე ნაბიჯი გაუბედავად გადადგა, ტახტზე მოწყვეტით ჩაეფეხვა, ხელები თვალებზე მიიფარა და ერთბაშად ამოსკდა ტირილი.

„უჰ, ქარაფშუტა! თუ მტყუანი არა ხარ, თვალი რატომ მომარიდე?“

არ მიკითხავს, რა გატირებს-მეთქი. თავსაფარი ჯიბეში ჩავიდე და ეზოში გავედი. ისე დინჯად დავიჭირე თავი, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. ჯონდომ განგებ შემომაქცია ზურგი, ახტა, ხის მსხვილ ტოტზე მარჯვედ ჩამოეკიდა და ჰაერში აბუქნავდა.

— მიზანში სროლა ჩინებულად გცოდნია. — ვუთხარი მე და მწარე ღიმილი ვერ დავმალე.

ჯონდო ჩამოხტა. გამარჯვებულმა ახლა ძირს დაიწყო ბუქნაობა და საზეიმო იერით მომიგო:

— როცა სამიზნო კარგია და სროლაც მსიამოვნებს, ადვილად ვახვედრებ. ღმერთო კი მომკალი, მე და გოგო ვერ მოვინადირო?! უნდა გამოგიტყდე, სულსწრაფი ვარ. ციხე თუ პირველი სამი იერიშით ვერ ავიღე, თავს ვანებებ და სხვა ციხის ასაღებად მივეშურები. ამიტომ პირველადვე მძლავრად ვუტევ. ხვალამდე მაცალე და კარშეხსნილ ციხეს ჩაგაბარებ.

მოხდა საოცარი რამ. ამ თავდაჯერებული რაინდის ლაყბობაზე გულიც კი არ მომივიდა. მისი სიტყვა მართალსა ჰგავდა და ჯონდო რომ მართლად გამოიყურებოდა, ამაში მხოლოდ მაია იყო დამნაშავე. მაიამ დამამცირა მე და ეს თავხედი რაყიფი კიდევ უფრო გაათავხედა.

იმან გამიცრუა იმედი, ვისგანაც იმედის გაცრუებას ოდნავადაც არ ველოდი. თუ ადამიანი თვითონ არ ცდილობს თავის დაცვას, შენ როგორ უნდა დაიცვა? სიყვარულის ამბავში თოფი არ უნდა ჩაერიოს. თოფი — სუსტების იარაღია. ვინც წმინდა სიყვარულს შეურაცხყოფს, ის სიყვარულის ღირსი არც არის, პატიოსანი და თავდადებული სიყვარულის ღირსი... ჩვენ ველურები აღარა ვართ, ეს უნდა შევიგნოთ. მე ჩემ რწმენას ვერ ვუღალატებ, ასეთი სიყვარულისთვის კაცს ვერ მოვკლავ, ვერა! რას ვერჩი, თორემ, კი, ბატონო!

„ეჰ, იმაზე დამამცირებელი რა უნდა იყოს, ვნებამორეული ვაჟკაცი აგიზგიზებულ ცეცხლზე წამდაუწუმ ცივ წყალს ისხამდე, ვნებათაღელვას ძლივს იოკებდე, ამდროს ვიღაცამ დაგცინოს: კაცობადაკარგული ხარო და პასუხი კი ვერ გასცე, რაკი ნამუსის ბორკილი გადევს, რაკი სხვა რაღაც გაბრკოლებს... არა, მე ახლა იმისთვის არა მცალია, უღირს ადამიანებს თავი გაგუყადრო და ანგარიშის გასწორება დავუწყო. მე ჩემი სიამაყე მაქვს, პასუხისმგებლობაც... ზოგჯერ პირადი შეურაცხყოფა უნდა გადაყლაპო, თუ ამას შენი მოქალაქეობრივი სინდისი და სხვა დიდი ამბავი გავალებს...“

— მართალი ხარ, ჯონდო, ვერაფერს შემოგედავები.

— ასეა, ჩემო კარგო, კაცი ძალიან თავდაჯერებული არ უნდა იყო, თორემ იმედის გაცრუება ერთობ გაგამწარებს. ეს წუთისოფელი კი ჩვენს ნება-სურვილზე არ არის მოწყობილი.

ქოხისკენ პირში წყალდაგუბებულივით გამოვბრუნდი.

თითქოს ნიშნს მიგებსო, ჯონდომ ღიღინი გამომადევნა:

> არ მომიპარავს, მიყიდია, ახლა ჩემია,
> პატარა გოგოს სიყვარული, ოჰ, რა ძნელია.
> ძნელია, ძნელია, ოჰ, რა ძნელია!
> დიმდაამდა, დიპტიდარომ, დიმდა დერია!

ახლა ჩემ თავს უფრო ვადანაშაულებ, მაიას ისე ფაქიზად რომ ვექცეოდი. საქმე ის არის, რომ მე დღეს იმის უფლებაც არა მაქვს, აქ ვინმეს ჩემი ვაჟკაცობა ვუმტკიცო

„ჯონდო თავზეხელაღებული კაცია, მეც რომ ასე მოვიქცე, რა გამოვა? ჯონდოს მხოლოდ თავისი სიცოცხლე აბარია, მე — მთელი ბატალიონის. ამ სიას მარტოც მივიტან, არავინაც არ მჭირდება. რომ მომკლან, მკვდარი ვიფორთხებ და მაინც მივიტან. იმ ბიჭების პატიოსნება არ უნდა მოკვდეს, იმ ბიჭების სიყვარული არ უნდა მოკვდეს“.

წყნარად შევედი ქოხში. მაიამ შემომხედა და ისევ ჩაღუნა თავი. ზურგჩანთა ავიკიდე და კარად ჩამოკიდებული ჩემი ლაბადა-კარავი ჩამოვხსენი.

მაია თვალებად იქცა.

— მირიან, სად მიდიხარ?!

— დიდია ქვეყანა... გზაც ბევრია .

— მე?.. მე მარტო მტოვებ?

— პირიქით, მე მივდივარ მარტო...

— მირიან?! — მაია წამოდგა და კედელს აეყუდა.

— აქ ისეთი ამბავია... მე უკან მიმაქვს ჩემი ფიცი: შენი გულისათვის კაცს ვერ მოვკლავ. მე არა მწამს მიძალებული არც პატივისცემა, არც სხვა რამე... მე აქ ზედმეტი ვარ. ქალისთვის შეურაცხყოფა რომ მიეყენებინა, მე ვიცოდი... სითავხედისათვის დავსჯიდი. ახლა იმ ადამიანს რას ვემართლები? შენ თვითონ მომაყენე მე შეურაცხყოფა. ყირიმის მიწას ისედაც არ აკლია ქართული სისხლი... აშკარაა ყველაფერი. პირველად მეგონა, თავს იმ მფრინავისთვის ინახავდი, მერე სხვა რამ მეგონა, დღეს სულ სხვა რაღაც დავინახე, ჰოდა, მივდივარ.

— აღსარება რომ გითხრა, არ შემინდობ?

— აღსარებას მღვდლებს ეუბნებიან, მე მღვდელი არა ვარ... თუ აქამდე ვერ გამიგე, ამიერიდან სულ ვერ გამიგებ...

— ნამდვილად ვარ დამნაშავე... დამნაშავე ვარ მხოლოდ შენს წინაშე. მათქმევინე ორიოდე სიტყვა და წადი. შენ არ იცი, რა მოხდა.

— ჩემთვის ამას აღარავითარი მნიშვნელობა არა აქვს...

— ჯონდო ძალიან ჰგავს იმას, ცაში რომ ფრინავს... იერითაც და ისეც... უცებ ამიყოლია და... პატიება არასოდეს მითხოვნია ვინმესთვის, დღეს თავს ნამდვილად დამნაშავედ ვგრძნობ.... ნუთუ იმ წუთიერ თავდავიწყებას არ მაპატიებ?

— წუთიერ თავდავიწყებას არა ჰგავდა, თორემ...

— ყველაფერს ნუ მათქმევინებ. ალბათ, ადრინდელ სიყვარულთან გამოთხოვებაც იყო, ძნელად ასატანი გამოთხოვება და მაინც გამოთხოვება...

ფეხი შემებორკა, წინ ნაბიჯი ველარ წავდგი.

— დამიბრუნე თავსაფარი! ეს ზურგჩანთაც აქვე დადე. წასვლის დრო აღარ არის, ბარემ ხვალამდე მოვიცადოთ, კარგი? — მაიამ ჩემს ზურგჩანთას ჩაავლო ხელი... — ყოყმანობ? აღარ გჯერა ჩემი?

— მე და ჯონდო ერთ ჭერქვეშ ლამეს ვერ გავათევთ.

— უთხარი: როგორც მოვიდა, ისე წავიდეს. თუ შენ ვერ გაუბედავ, მე ვეტყვი.

— რატომაც არ გავუბედავ! — ბარგი ტახტზე მივაგდე და გარეთ გავედი.

ჯონდო მოჭრილ რცხილასა სხეპავს, თან ღიღინებს.

— რა ვქნათ ახლა მე და შენ? — ვკითხე მშვიდად.

— აგერ, შეშას დავჭრი ბლომად, ავაგუზგუზოთ ცეცხლი და მივეფიცხოთ. თუ გერმანელები გამოჩნდნენ, დედა ვუტიროთ. სხვა რა უნდა ვქნათ? იმაზე ხომ ვაჟკაცურად შევთანხმდით?!

— ბოდიში უნდა მოგიხადო, მასპინძელს ასე არ შეჰფერის, მაგრამ... კარგს იზამ თუ დაგვტოვებ!

ჯონდომ გაკვირვების ნიშნად დაუსტვინა:

— გუშინ თვითონ მთხოვე, ჩვენთან ერთად წამოდიო, დღეს ამ ფარღალალა ქოხში ღამესაც აღარ მათევინებ?!

— ასეა საჭირო შენთვისაც და ჩემთვისაც.

ჯონდომ რცხილა დინჯად ჩასხიპა და დაჭრას შეუდგა:

— შენთვის თუ არის საჭირო, არ ვიცი, მე ეს ქოხი ძალიან მომწონს, ასე რომ...

— გირჩევ, მშვიდობიანად გაგვშორდე!

— თორემ რა? ყირიმი ისედაც სავსეა ქართველების სისხლით და ზედმეტს ნუ დამალევინებთო? წადი, ბიძია, წადი, ქარი შეაშინე მინდორში. რა ვაჟკაცობაა, გოგო თვალებითა გჭამდეს და შენ გაექცე? — ჯონდო ჯირკზე ჩამოჯდა, პირში გერმანული სიგარეტი გაიჩარა და ცეცხლი კვესით მოუკიდა.

— არავინაც არა გჭამს თვალებით. მოგელანდა.

— შენ ბევრი იცი! — კვამლი შემომაბოლა თვალებში. — გოგო კაცის სურვილით მოგიკლავს.

— ბევრს ნუ მიჰქარავ, თორემ!..

— რა გინდა? არავაჟკაცური ჩავიდინე რამე? ძალდატანებით მივიტანე იერიში? ჰოდა, ახლა ის აჯობებს, თუ შენ გაგვშორდები მშვიდობიანად. გოგოს მადლს მოისხამ და მეც მადლობას გეტყვი. არადა, თუ ძალიან გინდა, იარაღითაც გავსწორდეთ, ჩემთვის სულ ერთია!

— გიმეორებ: შენთან საკინკლაოდ არ მცალია, უფრო დიდი ამბავი მაბარია.

— ჰოდა, შენ იმ ამბავს უპატრონე, მე კი ამ გოგოს მოვუვლი.

— გოგოს შენი მოვლა არა სჭირდება.

— ეგ გოგომ უკეთ იცის. თვითონ თუ მეტყვის წადიო, მოგიკვდეს ჩემი თავი, მე ის კი არა ვარ მართლა... რაკი კაცი ნადირივით ტყეღრეში დავძრწივარ, მთლად კი არ გავპირუტყვებულვარ. იქნება თქვენ შორის მართლაც არის რაღაც— სხვა ამბავი და ღმერთმა კარგად გამყოფოთ! შევიდე, ვკითხო?

— რა თქმა უნდა.

— ოღონდ ცალკე დაველაპარაკები, შენ შორიდან დაუგდე ყური.

— კეთილი, თუ ნდობაა, ბოლომდე ნდობა იყოს. მარტო შედი და ელაპარაკე.

ჯონდომ განიერი ნაბიჯებით გაიბოტა და ქოხში შევიდა.

მე კარის ახლო ავიტუზე და მოსახდენს გულისფანცქალით დაველოდე. ჩახმახზე შემდგარივით ვიყავი. უნებლიეთ ხელი პარაბელუ-

მისკენ გამექცა, ავი ამბავი არ დატრიალდეს-მეთქი.

— მაიკო! მაია! ნამტირალევი თვალები გაქვს, გოგო, თუ ვინმემ გაწყენინა, მითხარი და ახლავე ავუგებ ანდერძს. — წყნარად უთხრა ჯონდომ.

მაიამაც წყნარად მიუგო:

— ვინც მაწყენინა, უკვე ვაპატიე, შენ ნუ შეიწუხებ თავს.

— მაინც ვინ გაწყენინა?

— საკუთარმა თავმა, სხვამ არავინ. ხელი იქით!

„აი, დაიწყო“. — თითები პარაბელუმის ტარზე შემეყინა.

— ნაცრემლარ ლოყაზე მინდა მოგეფერო, გოგო: ცრემლი ლიყასა სწვავს, ალერსი — მალამოა...

— ხელი იქით-მეთქი! თავხედი ხარ და მეტი არაფერი!

სტვენა მომესმა.

— მაიკო, ეს შენა ხარ, თუ? ასე ხელდახელ ვინ გამოგცვალა? დაგაშინეს, კუკლა?

— უკან მიდექი, თორემ მაკრატელს გაგიყრი თვალებში! შენ ის ხომ არ გგონივარ?

ახლა უფრო გრძელი სტვენა მომესმა.

— ხომ გითხრეს, წადიო, რაღას უცდი?

— თვალი გამისწორე. ნამდვილად გინდა, რომ წავიდე?

— ახლავე, ამ წუთში!

ჯონდომ დაუტატანა, თითქოს ბავშვს უწყრებაო:

— თუთიყუშივით სხვის ნათქვამს ნუ იმეორებ, საკუთარ გულში ჩაიხედე და ისე მელაპარაკე!

— მე არავისი თუთიყუში არა ვარ! წადი, მომშორდი!

კარისკენ მივიწიე და კედელს ავეკარი.

ჯონდომ პარაბელუმს დაავლო ხელი, უმალვე მეც მოვიმარჯვე იარაღი და ქოხში შევარდნა დავაპირე. ჯონდომ პარაბელუმი ანაზდად მაიას წინ დააგდო ფიცარზე.

— თუ შენ ნამდვილად გინდა ჩემი წასვლა, მესროლე! ან მე მესროლე, ან — იმას, ვინც შენ გაიძულა, ასე ილაპარაკო!

— ტყუილად გგონივარ გულსუსტი, ვინმემ მაიძულოს... მე ჩემი ჭკუა მაქვს, რატომ უნდა გესროლო?

— ისე ვერ დაგიჯერებ. ჰა, მესროლე! — ჯონდომ მკერდი გადაიღეღა.

— ნუ დამიჯერებ. სისულელეა, თავისი სიმართლის დასამტკიცებლად ადამიანმა ადამიანს ტყვია ესროლოს! უფრო გონიერი და დაკვირვებული მეგონე.

— მაშინ ამას ესროლე, ვითომ მე ვარ!

თვალი მოვკარი, ჯონდომ ნაბადი კაცივით მიაყუდა კედელთან.

— რამ დაგიბნია, ბიჭო, გონება? ისევ სისულელეს როშავ!

— დაგიშავე რამე? გაწყენინე რამე? გამაგებინე, რატომ მაგდებ?

— არავინაც არ გაგდებს, კეთილად გიშვებენ — წადიო.

ბიბლიოთეკა

— მაშინ, ერთი მაკოცე და წავალ.

— ეშმაკმა გაკოცოს შენ! წერას ხომ არ აუტანიხარ, მომშორდი!

— კეთილი, თუ ასეა, ისევ მე გაკოცებ!

— მიშველე, მირიან! — მაიამ ხელი ჰკრა მისკენ ფეხგადადგმულ ჯონდოს, პარაბელუმი თვალის დახამხამებაში აიტაცა და კედელს აეკრა. — არ მომეკარო, არ მომეკარო, თორემ!

იმ წამსვე ქოხში გავჩნდი.

— ჯონდო, მე მგონია, ეს შენს ვაჟკაცობას არ ეკადრება... თუ ძალადობაზე მიდგება საქმე...

ჯონდომ მწარედ გაიღიმა და ტუჩი ბრაზიანად მოიკვნიტა. ერთხანს გაშტერებული იდგა და ბოლოს ამოღერღა:

— ესე იგი, მე ვაჟკაცი არა ვყოფილვარ, თუ... თუ ვერაფერი გამიგია?! დავიჯერო, ისე გამომწვევად განგებ მეთამაშებოდი? ვიდრე სიმართლეს არ მეტყვი, უსიკვდილოდ ფეხს არ მოვიცვლი აქედან. მე ის კი არა ვარ! — ჯონდოს სახის ნაკვთები უცნაურად აუთრთოლდა და ქვედა ტუჩი განზე გაექცა. — უნდა გავიგო, უნდა გავიგო, თორემ!..

წელანდელი ჩემი თავი ახლაღა დავინახე. მართლაც იმედის გაცრუებაზე საშინელი არაფერი ყოფილა! ადამიანი თვალდათვალ გამოიცვალა.

— ჰა, მითხარით ან ერთმა, ან მეორემ! რა მოხდა?

მაიამ ჯერ მე შემომხედა, მერე ჯონდოს მიუბრუნდა:

— მოხდა ის, რომ მე მირიანი მიყვარს, მხოლოდ მირიანი, სხვა არავინ, არც მიწაზე, არც ცაში! მაინცდამაინც მათქმევინეთ... მიყვარს წმინდად, შენ კი ამ სიყვარულის ამღვრევა მოინდომე.

— აუჰ?! ღმერთო, ნუ გამაგიჟებ!? — ჯონდომ ისე გაიქნია ხელი, თითქოს პირჯვარი გადაიწერაო.

— იქნებ უნებლიეთ, მაგრამ ნამდვილად ასე მოხდა...

ჯონდომ მწარედ ჩაიცინა, აღარ დაუსტვენია მერე წამით ჩაფიქრდა, ულვაშებზე ხელი გადაისვა და მხრები აიწურა.

— ეჰე! ასეთ უცნაურ ხალხს ჩემ სიცოცხლეში არსად გადავყრივარ?! თქვენ ან ორივენი გიჟები ხართ, ან... არ ვიცი,... არ ვიცი... არ მეგონა, თუ თქვენ მართლა ასე... ძნელი დასაჯერებელია ამ ოხერ ჯოჯოხეთში.. .მაპატიეთ! — ბარგი სასწრაფოდ წამოკრიფა და ერთ წუთში მოემზადა. — არ გეგონოთ, რომ მე... მე ჩემი ნებით მივდივარ... ბედნიერად გნახეთ!

— მოიცა! — მივაძახე მე.

— რაღას მოვუცადო, გასაგებია ყველაფერი.

— ჩამოწერე სია, ვინც შენს გვერდით დაიღუპა.

— ისედაც მახსოვს.

— მახსოვს გრამაფონშიაო, ასე იტყვიან ჩვენში. ჩამოწერე!

— შტაბის უფროსი ვარ? წერა სკოლაშიც ჰირივით მეჯავრებოდა, ყოველთვის ორიანს მიწერდნენ.

— მაია, ქაღალდი მიეცი. ორ ცალად დაწერ. ერთს ჩვენ მოგვცემ, მეორეს შენ დაიტოვებ!

— რა ჯანდაბად მინდა, მოგცლია შენც! ვის ჩავაბარო ანგარიში? იქნებ მერე ისიც მომთხოვო, შენ რომ გერმანელები მოკალი, იმათი ანკეტები შემიდგინეო?

— წუხელ სადღეგრძელო კარგად დალიე! დაგავიწყდა? იმ ხალხს ჩვენლა დავრჩით მოამბეებად.

ჯონდომ ბარგი-ბარხანა ძირს დაყარა და წერას შეუდგა. მეც გადავათეთრე ჩემი სია. მერე დაწერილი ფურცლები გავცვალეთ.

— ამ სიებს არმიის შტაბს ჩააბარებ, ორივე ბატალიონის ამბავსაც დაწვრილებით უამბობ, გასაგებია?

— მიბრძანებ?

თავი დავუქნიე.

— სხვისი ბრძანებით მე არაფერს ვაკეთებ, იცოდე!

— მე არ გიბრძანებ, გიბრძანებენ ისინი, ვინც მაგ სიებში ჩავწერეთ... მე კი მეგობრულად გთხოვ იმათი სახელით, ვინც თავის დასაცავად ხმას ველარასოდეს ამოიღებს.

— კეთილი, მივიტან.

—გახსოვდეს, ამიერიდან სხვების სიცოცხლეც გაბარია და თავს მეტად გაუფრთხილდი!

— ჰკუასაც მარიგებ?

— ძმურად გირჩევ. ზოგჯერ თავის გადარჩენაც გმირობაა, თუ ამას მარტოოდენ შენი სიცოცხლისათვის არ აკეთებ. წადი, ახლა, გამარჯვებით იარე!

ჯონდომ ხუთიოდე ნაბიჯი გადადგა და შემობრუნდა.

— პატარაზე გამაცილე!

— ორივე გაგაცილებთ! — მაიას ხმა გაებზარა, ეტყობა, რაღაცამ შეაშინა.

— რამ დაგაფრთხო, მაია? — სევდიანად შეხედა ჯონდომ. — ჩემს ვაჟკაცობაშიც შეგეპარა ეჭვი? მე მზაკვრულად გერმანელიც არ მომიკლავს. კაცს მინდა ორიოდე სიტყვა ვუთხრა.

ვალიკოს რომ მივყვებოდი, რატომღაც არ მეშინოდა. ახლა მეც კი გამკრა ეჭვმა: ვაითუ ამ თავზეხელაღებული მეზღვაურის მოთვინიერება მოჩვენებითი ხრიკი იყოს, დამიმარტოხელოს და ტყვია დამახალოს-მეთქი. აქამდე, რომ მოვმკვდარიყავი, სხვა იყო. ამჟამად თითქოს აღარც საფრთხეში თავის ჩაგდების უფლება მქონდა, აღარც — სიკვდილის.

ერთი შევკრთი და თავს მოვერიე. ჩემი შიში გოგოს თვალს დავუმალე. მამაკაცურმა თავმოყვარეობამ და კიდევ რაღაც სხვამ მიკარნახა: ნურც მაიას უჩვენებ შენს დაფრთხობას, ნურც სხვასო.

თავი ამაყადაც კი დავიჭირე და ჯონდოს გავყევი. წინ აღარ წავედი, როგორც ვალიკოსთან მოვიქეცი — ნაბდოსანს გვერდით დავუდექი.

დუმილი ჯონდომ დაარღვია:

— ფიცს რომ შევასრულებ, თუ ზღვაზე მოტორიანი ნავი ვერ მოვინადირე, მეც ქერჩისკენ წამოვალ. იქნებ შემთხვევით სადმე წამოგეწიოთ კიდეც და... ძმურად გთხოვ, ცუდი არაფერი იფიქრო. მე ჯიუტი კაცი ვარ, მაგრამ როცა საჭიროა, უკან დახევაც ვიცი. იქნებ რაიმე დავაშავე, მაპატიე! სწორი გითხრა, ჩემ თავს უფრო გავურბივარ. არ მინდა, ქართველ კაცს ლავიდარაბა ავუტეხო. ეს ოხერი, მსუნაგი სისხლი მაქვს და რა ჩემი ბრალია! ასეთი გამაჩინა ბუნებამ. ჰოდა, ჩემი თავის იმედი არა მაქვს. იმისთანა ნეკნსა ვხედავდე და ხელი არ წავუთათუნო? ღმერთო კი მომკალი, რა მომასვენებს! არადა, ვხედავ, არ შეიძლება!.. ერთი უბედურება და უცნაურობაც მჭირს: დავინახავ ქალს, გადავირევი, ორიოდე ღამეს წავიხვანხვალებ და მერე დანახვა აღარ მინდა, მზეთუნახავიც კი მათხოვრად მეჩვენება, სხვა ნეკნისკენ გამირბის თვალიცა და გულიც. ამასაც გავურბივარ. შენ ვაჟკაცურად უნდა გამიგო, გესმის? ეს აღსარება მინდოდა მეთქვა, მეტი არაფერი. ისიც მესიამოვნა, ასე თამამად რომ გამომყევი. შეგამოწმე, შე ღმერთძაღლო! მე ყველა ვაჟკაცსა ვცემ პატივს, ჩემი მოსისხლე მტერიც რომ იყოს. ისე, ამ სიის დარდი გულში არ ჩაიყოლო. ისეთი რა უნდა მოხდეს, ყირიმიდან გასვლა ვერ მოვახერხო, ჩვენიანები ვერ ვნახო?! თავს არ დავიზოგავ! — ფართო მხარბეჭზე მოგდებული ნაბადი შეისწორა და თავზე ყაბალახი მოიხვია. — დანარჩენი ყველაფერი მაპატიე! — პატარაზე გამშორდა, შეჩერდა, შემობრუნდა დაფიქრებული და ხელი ქამარში გაჩრილ დამბაჩაზე დაიდო. — იცი რა, მირიან?

ჯონდო გაჩუმდა. მე დამბაჩაზე დადებულ ხელს წარბშეუხრელად მივაშტერდი.

— ჰა, გისმენ! რატომ დაგება ენა?

— არაფერი, არაფერი! — ჯონდომ დამბაჩას ხელი აუშვა. — საქართველოში შევხვედროდეთ ერთმანეთს და ეს ამბავი სიცილით მოგვეგონებინოს ჰურის თავზე! ჰო, ჰურის თავზე!

— ამინ!

— ნახვამდის!

— კეთილად იარე!

ხელი ჩაიქნია, „კუჩხი ბედინერი“ წამოიწყო და ღიღინით გაუყვა გზას.

ხევამდე ჩავაცილე თვალით. მისმა ღიღინმა მეც ამაღიღინა გულში.

ყაბალახის ფერი თოვლის ფერს შეერია, თითქოს ნაბადმოხურულ ადამიანს თავი დაე-

კარგაო. ბოლოს კი ჯონდო ისე გამოჩნდა, გეგონებოდათ, შავმა ჭირკმა ფეხი აიდგა და ნება-ნება მიდისო.

„ეჰ, რა ხშირად გვატყუებს თვალი?!“

მაია შემომეგება. თურმე კლდეს ამოფარებული გვითვალთვალებდა.

— რაო?

— ისეთი არაფერი. კიდევ მომიხადა ბოდიში. არა გჯერა? მეც მეგონა, სხვა რამე უნდოდა. ცოტა არ იყოს, უცნაური ბიჭია... პირდაპირ ჰკრის ყველაფერს — მარჯვნივაც და მარცხნივაც.

მაია ქოხის კართან შეჩერდა და ჩაფიქრდა.

— შედი, რაღას უცდი? ჩვენს ქოხს კარიც აღარა აქვს.

— კარი ჩამოეკიდება, შენ სხვა რამე თქვი... არა, ასე არ მინდა შესვლა, მირიან.

— ვერ გავიგე?!

— შენ შეგიძლია მომატყუო ოდესმე?

— რატომ უნდა მოგატყუო? მე არავის არ ვატყუებ...

— ვერც მე მოგატყუებ... იმას გეფიცები! — მაიამ დედისკენ გაიხედა. — მე შემიძლია, ზოგჯერ თავი მოვიტყუო, შენ კი ვერ მოგატყუებ, ვერც რაიმეს დაგიმალავ. სასტიკად მიხურს ორივე ლოყა... იქნებ შენ არც დაგინახავს, ჯონდომ მაკოცა... იმ წუთში საამოდ გამაბრუა, ახლა კი მწვავს, უსაშველოდ მწვავს... ასე იმ ქოხში აღარ მინდა შესვლა, გეფიცები! — მაიამ კვლავ დედისკენ გაიხედა, მოულოდნელად მკლავები კისერზე მომხვია და თავი მხარზე დამადო.

მე ვიგრძენი მისი ცხელი სუნთქვა, ქალის სხეულის სითბო და სურნელი. მოულოდნელმა მოხვევამ დამაბნია, კიდევ ხომ არა მცდის-მეთქი.

— რაღას უყურებ, მირიან? მხოლოდ შენა გაქვს უფლება, იმ კოცნის კვალი წაშალო, მხოლოდ შენ...

მივიზიდე და ხარბად დავუწყე კოცნა. გოგო ერთხანს ჩემს მკერდზე გაიტრუნა, როგორც ბანგდალეული, მერე უცებ ხელი მკრა და განზე გადგა:

— მე ის არ მითქვამს... გეყოფა! მომეცი ახლა თავსაფარი! მომეცი-მეთქი!

— არ გავათავოთ ეს მაიმუნობა?

— ვინ გითხრა, რომ ეს მაიმუნობაა? თავის დროზე დაგიბრუნებ!

თავსაფარი მივაწოდე და... ხევში, წყაროს მხრისკენ თოფი გავარდა. ტყემ დაიხუვლა. ორივე გავხევდით.

— ვაი?! ჯონდომ ხომ არ მოიკლა თავი?!

— ჯონდო ეგერ მორბის, რაღაც ამბავია?

— ჩქარა გაიქეცით, გერმანელები მოდიან! — შორიდანვე მოგვაძახა ჯონდომ.

უმალვე ქოხში გავჩნდი, ავტომატს დავავლე ხელი, ხელყუმბარებიც ავიტაცე და გარეთ შურდულივით გამოვვარდი.

ჯონდო ძლივს სუნთქავს.

— რაღას უცდით? გერმანელები მოდიან, ცხრა კაცი დავთვალე. უეჭველად ამ ქოხზე მოიტანენ იერიშს. მე შორიახლოს ჩავუსაფრდები, თქვენ ქვევით გაიქეცით! ჩქარა! სანამ გორაკზე ამოვლენ! ჩქარა-მეთქი! უუჰ, დამღუპავთ მე თქვენ!

— ჩვენც შენთან ჩავსაფრდებით. პირველი შენ რატომ უნდა შეეგებო?!

— ისინი ჩემს მოსაკლავად მორბიან, თქვენი არსებობა ალბათ არც იციან.

— იციან... ჩვენც მოვკალით გერმანელი...

— ჩქარა, თქვე ღმერთგამწყრალებო! თავს ნუ იღუპავთ და ნურც მე მღუპავთ, კლდეს მოეფარეთ! თუ მე გამომექცნენ, მაშინ დახვდებით! აქ არ შეიძლება... ვიღაცა უნდა დარჩეს... გეხვეწებით, გემუდარებით! იქნებ იქიდანაც შემოგვიტიონ...

მაიას შევხედე, უსიტყვოდ დამეთანხმა, გავიქცეთო. ქოხში ფეთიანებივით შევცვივდით, ბარგს დავავლეთ ხელი და ტყიან ფერდობზე დავეშვით.

— აქ შევჩერდეთ! — მოხერხებული ადგილი ამოვარჩიე კლდესთან. — შენ იქ ამოეფარე! — დიდ ლოდზე მივანიშნე მაიას, მიწას გავეკარი და არემარეს ვალიკოსეული დურბინდით გავხედე.

ჯონდო ქოხის აქეთ ჩასაფრდა.

გერმანულმა ტყვიამფრქვევმა ასტეხა კაკანი, მცირეყალიბიანი ნაღმტყორცნელის ყივილიც გაისმა.

„ვაახ! ვაახ!“ — ამოიძახა ქოხმა და კვამლში გაეხვია.

გორაკზე სამი გერმანელი გამოჩნდა. ზიგზაგურად მორბოდნენ, წვებოდნენ და ისევ მორბოდნენ. ერთი ქოხს მოუახლოვდა, იქაურობა დაზვერა და რაკი საფრთხე ვერსად შეამჩნია, ხელების ქნევა დაიწყო. ის ორიც ქოხისკენ წამოვიდა ფარული გზით. მერე გორაკზე ექვსმა კაცმა ამოაბოტა. ერთ ჯგუფს ტყვიამფრქვევი მოჰქონდა, მეორეს — მცირეყალიბიანი ნაღმტყორცნელი.

იჭექა თოფმა. გორაკზე ამოსული ერთი გერმანელი შეტორტმანდა და წაიქცა, მეორე წაქცეულისკენ დაიხარა და ვეღარც ის ადგა. წაიქცა მესამეც. სხვებმა გაქცევა სცადეს. ვერ გაიქცნენ. ცეცხლმოკიდებულ ქოხთან მოსული გერმანელიც ჩაიკეცა. ორს რა დაემართა, ვერ დავინახე. ჯონდო უცებ წამოიმართა, გაიქცა, ხელი გაიქნია და ჩაწვა. გაისმა ყრუ აფეთქების ხმა. ჯონდომ, ეტყობა, ხელყუმბარა ისროლა. მერე ჩვენკენ გამოიქცა. თეთრ თოვლში შავ ნაბადს მოაფრიალებს. ყაბალახი სამიოდეჯერ ისე დაიკლაკნა, ყომრალ ღრუბელში გახვეული ელვაა თითქოს.

მე კი ისევ ცივი ავტომატი მიჭირავს. კოლოფში ვაზნები მშვიდად წვანან — ჩემი სიცოცხლე და ვილაცის სიკვდილი.

ქოხმა ცაში გრძელი ალი აისროლა, თითქოს წითელ დროშას აფრიალებსო.

„ყველა დამარცხებული არ არის, ვინც ეცემა“.

— ვაიმე? — სასოწარკვეთით წამოიძახა მაიამ. — მირიან?!

— რა მოგივიდა? მოგხვდა?

— დედაჩემის სურათი... იქ დარჩა!..

— ეჰ, რაღას ვუშველით. როცა იწვის ეკლესია, იწვის ხატიც. გადავრჩით, მაია, გადავრჩით!

ჯონდო მოვიდა. არც გამარჯვების სიხარული ემჩნევა, არც შიშის ნატამალი. მძიმედ სუნთქავს. კლდეს ამოეფარა და თოფი დაიბჯინა.

— ესეც ასე. გეგმა განაღდებულია გადაჭარბებით. ჭამეს ოხრიშვილებმა. გმადლობთ, რომ დამიჯერეთ. სამს ადვილად შეგვამჩნევდნენ...

— ჩვენ გვიხდის მადლობას, — ღიმილით გადავხედე მაიას.

— დროა, აქედანაც მოვკურცხლოთ. ეგ, ალბათ, მეწინავე რაზმი იყო ან მზვერავთა ჯგუფი. იქნებ მაგათ კვალს უფრო ბევრი მოჰყვეს... თურმე ასეთ ამბავს „ტყის წმენდას“ ეძახიან. რაკი იწვნიეს, ადვილად ველარ მოვატყუებთ. სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო. ადამიანმა ტყუილ-უბრალოდ არ უნდა წააგოს თავი. მომყევით!

მაია ვერ ითმენს. ხშირად იყურება ქოხისკენ. მეც გამირბის თვალი.

იწვის ჩვენი „ტაძარი“, იწვის ნახშირით დახატული ფურირემი და ხარირემი, იწვის ხატადქცეული დედის სურათი.

— მაია, გეშინია?

— არა, არ მეშინია. — მაიამ თავსაფარი შეისწორა.

— შენ იმას ნუ იდარდებ.

— არ ვდარდობ... ოღონდ გულს მაკლია... ავგაროზივით ვატარებდი...

— დასანანია, რას იზამ... ის ხატი გულში ხომ გიკიდია ისევ? — სხვა სანუგეშო ვერაფერი გამოვნახე.

გორაკი. გადავიარეთ. ცეცხლმოკიდებული ქოხის კვამლსაც ველარ ვხედავთ.

— მე ახლა აქეთ წავალ. — შეჩერდა ჯონდო. — თქვენ რაკი ქერჩისკენ აპირებთ წასვლას, ბარში უნდა ჩახვიდეთ. — სინანული შეეპარა ხმაში.

— ერთად ვიაროთ. შენი ფიცი ხომ გაინაღდე, ჩვენი ფიციც შევასრულოთ. ის წყენა ჩავლილია უკვე...

— წყენა რა შუაშია? ხომ გითხარი, არ შემიძლია... ჩვენი ცალ-ცალკე წასვლა ისედაც კარგი იქნება, თუ ვინმე მოგვდევს, კვალს დავუბნევთ. ისე, ის ოცდაერთი ხელახლა უნდა წამოვიწყო, მეტი მომივიდა ამ ხელზე და... ამის გარდა, იმ საწყალ მამა-შვილს უნდა მივხედო. გერმანელები იქაც ავლენ უეჭველად, სადმე სხვაგან გადავიყვან... მერე, ღმერთმა კარგი ყურით გვისმინოს და, იქნებ დაგეწიოთ კიდეც. აბა, ფრთხილად იარეთ, დიდ გზას მოერიდეთ, ღამის გასათევად მიყრუებული სოფლები აირჩიეთ. ახლა სოფელში უფრო იოლად შეინახავს კაცი თავს, ვიდრე ტყეში, ეტყობა, ტყეს უკვე დიდი თვალებით უყურებენ ის ძაღლიშვილები... — წასვლა დააპირა და შემოტრიალდა. — ჰო, მართლა! წეღან უნდა მომეცა და... — დამბაჩა გამომიწოდა. — ეს ჩემ სახსოვრად გქონდეს. მოდი, ტყვიებიც გავცვალოთ, რომ გულში ხინჯად არც შენ გქონდეს რამე, არც — მე. ნუ გეშინიათ, დაგეწევით, დაგეწევით! — დაგვიგდო სიტყვა და მარჯვნივ გაუხვია. გაგვშორდა შავ ნაბადში გახვეული ელვა. თვალი დანანებით გავაყოლე.

მაია აქამდე თავჩაქინდრული იდგა, თავი ახლაღა ასწია.

— არ წავიდეთ, მირიან?

— თითქოს ანდერძი დაგვიბარაო.

— ეგ არსად დაიკარგება... აგერ ნახავ, თუ არ დაგვეწიოს.

მივდივარ მდუმარე ბილიკზე და სამი სურათი მიტრიალებს ფიქრში: შავ ნაბადში გახვეული ელვა, ცეცხლმოკიდებული ქოხი და ცისფერი წყაროსთვალი.

— ცამციძე რომ უნახავი გვრჩება? — შეჩერდა მაია. — იქნებ ვალიკოს ამბავიც გაგვეგო...

— აქამდე რომ მოგვეხერხებინა, კარგი იყო... ახლა ხომ იცი, რა გვაბარია? მხოლოდ წინ უნდა ვიაროთ, მხოლოდ წინ...

უკან დაგვრჩა მთა და ტყე. ვაკე მინდორს დაკვირვებით გავხედე.

თოვლი საღამოს მზეზე რილო-ჭრილოდ კიაფობს და შორიდან ისე ჩანს, თითქოს მინდორზე გერმანული უზარმაზარი ლაბადა-კარავი დაუფენიათო.

ფრონტგადავლილი ადგილები, ეტყობა, კარგა ხნით მყუდრო და უკაცრიელი ხდება, განსაკუთრებით დიდი გზის მოშორებით.

ყუმბარებით გადათხრილი მიწის სიმყუდროვე შიშისმომგვრელია რატომღაც.

ბარად თოვლი აღარ დევს და ადრეული გაზაფხულის სველი მიწა ჩექმას უსაშველოდ ეწებება. თოვლში სიარული უფრო ადვილი იყო. აქ ფეხებს ძლივს მივათრევ. ჩექმას ტალახი ბელტებად ეკვრის, ბელტს ბელტი ეტმასნება და ნაბიჯის გადადგმას ველარ ვახერხებ ხოლმე.

„ეს მიწა ბორკილად არ მექცა!“

გზამ და უძილობამ ისედაც არაქათი გამოგ-

ვაცალა და ეს რაღა უბედურება აგვეკიდა? წამწამებზე ძილი გვკიდია ტყვიასავით, ფეხებზე კი — თავმომაბეზრებლად მძიმე მიწა.

არ ვნებდებით, განვაგრძობთ გზას.

მაიამ ისევ თავისი ჩექმები ჩაიცვა. მარჯვენა ფეხს ·იტკივებს ხოლმე. ულმერთოდ დაიღალა გოგო. სადმე ორიოდე დღეს თუ არ შევისვენეთ, სულ დავარდება. არც მე ვარ კარგ დღეში.

ოდესღაც მიტკალივით თეთრი ქოხები მიწისფრად გაუთხიპნიათ: აქაოდა, არ დაგვბომბონო. მინაჩალეწილი ფანჯრები ან ბალიშითაა ამოჩურთულ-ამოტენილი, ან ფიცრებითაა აჭედილი.

თითქმის ყველა სოფელი უმამაკაცოა, ორიოდე ბერიკაცი თუ დაჩანჩალებს.

ზოგს ეშინია ჩვენი დამალვა, ზოგიც გულგაშლილად გვხვდება. თურმე ჩვენსავით აქეთ ბევრს გაუვლია. ეს თავისებურად მამხნევებს: ხალხს იმედი არ დაუკარგავს-მეთქი.

სოფლიდან სოფელში ფრთხილად გადავდივართ, ან შებინდებისას, ან გარიჟრაჟზე, როცა ადამიანს ღრმა ძილი ბანგივით ერევა.

ახლა განთიადია. ბურუსი წევს ველზე. სიარულის დროს არ ცივა. სოფელი ლანდად ჩანს. მარჯვნივ ქუჩაა, მარცხნივ, ხევს გაღმა — განმარტოებული კარმიდამო. მამლის ყივილი არ ისმის, არც შორეული, არც ახლობელი. ამბობენ: გერმანელებმა ქათამი მთლიანად გააჩანაგესო.

ქურდულად მიმავალ ღამეს თუ ამ სიჩუმეს მივუგდე ყური. ზარბაზნები სადღაც აღმოსავლეთით ყრუდ გრუხუნებენ და ზოგჯერ მოწმენდილი ცის კიდურს უცნაური ელვა ანათებს.

ნაპირა ქოხს დავუწყეთ თვალთვალი. ეზოში დედაბერი გამოვიდა. ხელში ვედრო უჭირავს. ოწინარიანი ჰისკენ წაფრატუნდა. წყალი აავსო და რატომღაც დაფიქრებული გაშტერდა.

— გამარჯობა, დედი!

დედაბერმა უცებ უკან დაიხია და გვიმთან დადგმული ვედრო წააქცია. მერე მიმოიხედა და შემცბარმა მოგვიანებით მომიგო:

— ღმერთმა გაცოცხლოს! ჩაფიქრებული ვიყავი და შემეშინდა. წყალი გინდა?

— არა. სოფელში გერმანელები თუ არიან?

— სამიოდე დღეა აღარ დამინახავს. ზოგჯერ შემოივლიან ხოლმე.

— პოლიციელები?

— საპოლიციო კაცი აღარ დარჩა სოფელში და ვის დააყენებენ?

— არც მამასახლისი გყავთ?

— არა. დაგვინიშნეს და სადღაც გაიქცა. რაც წასართმევი გვაქვს, მეზობელი სოფლის მამასახლისი გვტაცებს.

— რას ამბობენ, ფრონტი აქედან შორს არისო?

— რა ვიცი, ზოგი ისე ჰრის და ზოგი ასე კერავს. მე ყურს მაკლია, ზარბაზნების ხმა მაინც მესმის, სადღაც დღედაღამე უშათქუნებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შინ ვინმე გყავს?

— არავინ. გამოყრუებული ვარ ყოველნაირად.

— ორიოდე დღით ვერ შეგვიფარებ?

— შეიძლება, ოღონდ... მაინც იქით გირჩევნიათ, ხევს გაღმა. აქეთ უფრო ხშირად დაძრწიან გერმანელები. ხევის პირას რომ სახლი დგას, იქ უფრო საიმედოა დამალვა. რა დაგიფიცოთ და, მე აღარც ფქვილი მაქვს, აღარც დასაფქვავი, ამ შემოდგომაზე მინდორში აუღებელი კარტოფილი დაგვრჩა, ახლა ვთხრი და იმით გამაქვს თავი, გემო აღარა აქვს და მაწიერობა. ნასტია თავშენახული ქალია, ვიცი, ხორბალიცა აქვს და ხელსაფქვავიც. თქვენ ჭამაც ხომ გინდათ? მიდით ნასტიასთან, უთხარით: მარფუშამ მოგვასწავლა-თქო.

ამბის გასაგებად წასვლა მარტო ვარჩიე, იქნებ ნასტიასთან ვინმე ოხერია და ხიფათს ორივე ერთად არ გადავეყაროთ-მეთქი. მაია ხევში ჩავასაფრე.

მივედი. ეზო ცარიელია. სულიერის ჭაჭანება არსადაა.

„ალბათ, სძინავს“.

კარზე ფრთხილად დავაკაკუნე. ხმა არავინ გამცა. ისევ დავაკაკუნე. მერე დავაბრახუნე კიდეც. კარი თავისით შეიღო, თურმე დაკეტილი არც ყოფილა. შევიხედე, არავინაა. ეზოში გამოვბრუნდი, საბძლისკენ წავედი და...

სახლის ახლოს ქალი ბარავს. ზურგშექცევით დგას, სახეს ვერ ვხედავ. ხელ-ფეხს ჯანიანად და გაგულისებით იქნევს. ბელტს-ბელტზე გამალებით აწვენს.

ბაღჩის ჭიშკართან მივდექი და ვანგებ ჩავახველე. მოიხედა. კიდევ ჩავახველე, შემოტრიალდა.

— ხაზიაიკა, მოჟნა ვას ნა მინუტკუ? — ხელი დავუქნიე, მომიახლოვდი-მეთქი.

ბარი მიწაში ღრმად ჩაარჭო და თამამად წამოვიდა.

ოცდაათიოდე წლისა იქნება. დილის სუსხს ვერ შეუშინებია, კაბის ამარა გამოსულა. იმ კაბაში მისი თეძოები და ვნებიანად წინ წამოშვერილი მაღალი მკერდი ძლივს ეტევა. კუნთოვანი მკლავები და მკვრივი სხეული უჩანს. ხორბლისფერ, პირმრგვალ სახეზე ალმური ასდის, გეგონებათ, პაპანაქება სიცხეში კალო ულეწიაო. დიდრონი თვალები მწვანედ უელავს.

— დილა მშვიდობისა, სალდათო!

— იცოცხლე ნასტია!

— ოჰო, ჩემი სახელიც იცი?

— მარფუშამ მომასწავლა.

— ტყვეობიდან გამოიქეცი?

— ალყაში ვიყავი... დაგვარბიეს.

— ღამის გათევა გინდა? — ქალმა ამხედდამხედა.

— ჰო, ორიოდე ღამის, მეტს არ შეგაწუხებ.

— სადაური ხარ?

— შენთვის ამას რა მნიშვნელობა აქვს?

— მე ყველას კი არ ვუშვებ შინ.

— ქართველი ვარ. — თავიდანვე სიმართლის თქმა ვამჯობინე. — ნაღდი ქართველი.

— მე ცოტა კარტული იცის, — თვალი ჩამიკრა ნასტიამ და ალერსიანი ღიმილით დამასაჩუქრა. — კარტველი კარგი ბიჩი არის. — ჩექმაზე მიკრული მიწა ნაფოტით მოიცილა, ჰიშკარში გამოვიდა და ტანი მოხდენილად შეარხია, აქაოდა, ნახე, რა თეძოები მაქვსო. მომიახლოვდა. მწვანე თვალები ვნებიანად მოჭუტა და გახეშეშებული ხელი ლოყაზე მომიცაცუნა. — თუ გინდა, ომის დამთავრებამდე დაგმალავ. აბანოც მაქვს. ისეთი ოფლი მოგადინო... უუჰ!

ნასტია ქართულს ამტვრევს, არც რუსული იცის წმინდად.

— რა გვარი ხარ, ნასტია?

— შენთვის ამას რა მნიშვნელობა აქვს?

— ბერძენი ხარ, კაზაკი, თათარი, თუ...

— ახლა განა არის ვინმე წმინდა სისხლის, კოხტა ბიჭო? მეც ცოტ-ცოტა ყველა ვარ. ჩემი დედულეთის ბებია ბერძენი იყო, შინაური ბებია კი, მგონი, ქართველი. რა გინდა, ბიჩო, შენი დედა ავატიროს, გენაცვალე! ცამოდი სახლში ჩკარა! — ეს, ეტყობა, იმიტომ უფრო მითხრა, აქაოდა, ქართული ლანძღვა-გინებაც კი ვიციო.

— მარტო ხარ? — ვკითხე ყოველშემთხვევისათვის.

— ჰო, ამ წყეულმა ომმა სულ მარტო დამტოვა. მხოლოდ ქვემეხების გრუხუნი მესმის. კარგა ხანია ადამიანის ხმა მენატრება. მეზობლადაც კი არავინ მყავს.

— მერე, მარტოხელას არ გეშინია?

— რისი უნდა შემეშინდეს, ფიუუუ! არ ვიცი, შენ რაზე ამბობ, მე არაფრისა არ მეშინია: არც ღრუბლის, არც მეხის, არც ხიშტის. ბევრი კალო გამილეწავს, ბევრსაც გავლეწავ. ბევრი წავიდა და სახლ-კარი ბედისანაბარად მიატოვა, მე არ წავედი. არავისიც არ მეშინია, შავი ჭირი გერმანელებს და... სხვებსაც! კარმიდამოს მოვლა უნდა. მე მიწა მიყვარს, მუშაობაც. ბოშა ხომ არა ვარ, შარაშარა ვიხეტიალო! ვინც შენსავით მოყვრულად მოვა, მოყვრულად გავუმასპინძლდები, მტერს მტრულად დავხვდები. გაიარეს გერმანელებმა და წავიდნენ ჯანდაბაში. ახლა მე არც ფაშისტებისა ვარ, არც კომუნისტების, ეშმაკსაც წაუღია ყველა, არავის კანონს არ ვემორჩილები, ვარ ჩემთვის... შენ ეგრე გაკვირვებით ნუ მიყურებ, მე ასეთი ლაპარაკი ვიცი, ტყვიასავით პირდაპირი... რასაც ვფიქრობ, ვამბობ კიდეც. ვიღაცეებს არა ვგავარ, შინ რომ ერთს ლაპარაკობენ და გარეთ — სხვას. არ მიყვარს ქლესა და ორპირი ადამიანები. ამდენს ანათებს ეს წყეული მზე, მე კი ერთი გემრიელი სხივიც არ მარგუნა, რომ რიგიანად გავმთბარიყავი. ჩემთვის ხეირი არავის არ დაუყრია, სიმართლე თუ გინდა, ეს არის სიმართლე. — ნასტიას მართლაც ეტყობა, ხმის გამცემი რომ მონატრებია, გული უცებ გამიხსნა და ყველაფერი დაუფარავად გადმომილაგა: — მამაჩემი შავ სიაში ჩაწერეს, გააკულაკეს და საღლაც გადაკარგეს. მერედა, რისთვის? დიდი მიწა რატომ გაქვსო. მიწა თუ ჰქონდა, იმ მიწაზე გარჯაც უყვარდა, მიწა უყვარდა.. .ეს სიყვარული იმ მიწის ტოლი იყო... იმ მიწას თავისი ოფლითა რწყავდა... მერე ის მიწა სხვებს მისცეს მუქთად და გაახრეს, ზედ აღარც პური მოდის, აღარც ბალი ხარობს... უფასოდ ხელში ჩაგდებულ მიწას ფასი ვერ დასდეს, მალე შეაქციეს ზურგი, ქალაქში გაექცნენ მიწას. ეს არის სამართალი? მიწა იმას უნდა ჰქონდეს, ვისაც უყვარს. ვინც ეს არ იცის, ღმერთმა დასწყევლოს ყველა... აკი დასწყევლა კიდეც...

— ოჰო, შენ აღარც ხუმრობ?!

— მე ყველას ვწყევლი, ყველას, ვინც მამაჩემს მიწა წაართვა და მე — ქმარი. ის-ის იყო კაცის გემო გავიგე და წამართვეს... დამტოვეს ასე... ბოდიში, სახელი არც გკითხე და...

— მირიანი. შენი ქმრისა რა ისმის?

— არაფერი. რაც ჯარში წავიდა, წერილი არ მიმიღია. ცოცხალი რომ იყოს, ხმას ერთხელ მაინც მომაწვდენდა ან ისე, ან — ასე. შესაძლოა, მეზობლებმა იციან კიდეც მისი ამბავი და არ მიმხელენ... ახლა ყველა ასე იქცევა.

— ნუ გეშინია, ცოცხალი იქნება. ახლა ხმის მიწვდენა ძნელია.

— ჰო, იქნებ ცოცხალიც არის... სადმე აგდია ჯირკივით, ხელ-ფეხ დაგლეჯილი. ეშმაკმა ისე არია ქვეყნიერება, ათასი ღმერთიც ვერ დაალაგებს... მე არაფერში მარგია მისი სიცოცხლე და სხვისი არ ვიცი... ქმარი მე ჩემთვის მინდა. ეჰ, ჯანდაბას ყველაფერი! არ შევიდეთ შინ? დაღლილი იქნები, წამოწექი! — ნასტიამ ხელკავი გამომდო და ამეკრა.

— იცი, ნასტია, მე მარტო არა ვარ. ხევში, — ერთი თითი ვუჩვენე, — ამხანაგი მიცდის.

— მოვიდეს. ორთვალიან სახლში სამი ადამიანი როგორმე დავეტევით. ალბათ, გშიებათ.

— არც უმაგისობაა.

— ახლავე გავახურებ ფურნეს და ისეთ პურს გამოგიცხობთ, სურნელმა არაყივით გაგაბრუოთ. წადი მოიყვანე ის შენი ამხანაგი. მერე მთვარიანში ბალჩას ერთად დავბარავთ.

ნასტიამ სამშრალოში დაყრილი ხმელი ბალახი ბლომად აზოჭა და სახლის კიბისკენ თეძოების რხევით წავიდა. ალბათ, გრძნობს, კაცის თვალი მიყურებსო, ვნებით გატენილ სხეულს მახარბებს.

* *

ნასტიას ახალი კაბა ჩაუცვამს, თმა დაუვარცხნია და ფერუმარული წაუსვამს.

— ეს მტრედი ვინღაა?! — თვალები შუბლზე აუცვივდა და მაიას ამრეზილად ახედ-დახედა. — ასე უცებ საიდან მოფრინდა?!

— ეს არის ის ამხანაგი.

— რამდენი ხართ თქვენ?

— ორნი. სწორედ ეს არის ჩემი ამხანაგი.

— მარტო ეს? — მაიას ირიბად გახედა ნასტიამ.

— ჰო, ჩვენ ორნი ვართ...

მაიამ თავი დაუკრა და სალამი უთხრა.

— გაგიმარჯოს! აგდებულად მიუგო ნასტიამ და მე მომიბრუნდა. — თავიდანვე გარკვევით ვერ თქვი, თუ...

— რა შეიცვალა, ნასტია? — თითქმის ჩურჩულით ვუთხარი მე.

— არაფერი?

— არაფერი.

— დაბინავდით. ეგერ გადით, მეორე ოთახში.

გავედით. ფანჯარას მინები არა აქვს. ერთი ჩარჩო ბალიშით არის ამოტენილი, მეორედან ცივი ჰაერი თავისუფლად შემოქრიტინებს.

— ნასტია, ეს ფანჯარა სულ ასეა?

— მინას ახლა სად იშოვი?

— ქაღალდი ვერააკარი? არც ქაღალდი გეშოვება?

— კარს რომ ვაღებ, ორპირი ქარი ურტყამს და არ აჩერებს. ჯარისკაცებს გაციების გეშინიათ? იყოს, კარგი ჰაერი შემოდის, მოგიხდებათ.

ზურგჩანთები ოთახის კუთხეში მივყარეთ. მაია გრძელ სკამზე ჩამოჯდა.

დაბღვერილმა ნასტიამ ფურნეში გამხმარი ბალახი შეყარა და ცეცხლი ააგიზგიზა. ჩვენკენ არც იყურება. მე გავედი.

„დიასახლისს უნდა მოვეფეროთ, თორემ..."

— ნასტია, შენ, მგონი, რაღაც გეწყინა?!

— არაფერი. ვერა ყოფილხარ გამოცდილი. ქალებს ჩხუბი უყვართ...

— მაია შენ არაფერზე წაგეჩხუბება.

— ვნახოთ.

ნასტიამ პური ბუზღუნით გამოაცხო, ერთი გოგორა გატეხა და ნახევარი უმადურად გადმოგვიგდო. მერე დიასახლისმა მაგიდაზე დადგმული ხელის წისქვილი გამართა.

— კიდევ გშია?

— რას ვიზამთ...

— კონსტიტუციაში წერია, ვინც არ მუშაობს, არცა ჭამსო. ჩინებული კანონია, ცხოვრებაში მართლაც ასე რომ ხდებოდეს, ყველა ასე რომ იქცეოდეს. მოდი, ხორბალი დავფქვათ. ვნახო, მუშაობაში რა ვაჟკაციცა ხარ! — კაბის სახელო გადაიგორგლა, ხორცსავსე მკვრივი მკლავი გამოაჩინა. ხელი ჯოხს ჩაავლო და ჯანიანად დაატრიალა. — ჰა, მოდი, სად ეშმაკებში იყურები! — მუჯლუგუნი წამკრა.

მეც დავიკაპიწე მკლავი. ჩვენი ხელები დოლაბის სახელურმა შეაერთა.

ნასტიას მაღალი მკერდი ერხევა. კაბაში გამომწყვდეული ვნების დიდი ტალღა ჩემკენ მოიწევს და უმალვე უკან იხევს, კბოდეზე შეუხლელად.

როცა ჩემი ხელი ნასტიას ხელს ეხება, ვარიდებ, ნასტიას ხელი კი მომდევს: ხან ზევიდან მოექცევა, ხან ქვემოდან.

მაია მეორე ოთახში წინდებსა რეცხავს.

— სად ეშმაკებში იყურები? — მკერდზე ხელი მკრა დიასახლისმა.

— ოჰო, ღონე გერჩის! — მეც ვკარი ხელი და გავუცინე.

ნასტიამ ჩემი ხელი დაიჭირა.

— ამაღამ მთვარე თუ ღრუბელს მოერია, ბაღჩა დამაბარვინე. იცი ბარვა?

— როგორ? სოფელში ვარ გაზრდილი?!

— მიწა ახლა ყველივით იჭრება, ძალიან არ დაგღლი.

— მე დაღლის არ მეშინია.

ისევ დოლაბს ვატრიალებთ. ნასტიას მკერდს თვალს ვარიდებ. თავჩაღუნული მხოლოდ ქალის კუნთოვან მკლავსა ვხედავ.

— სულ მკლავზე რომ დამყურებ, ასწიე თავი! ამ მკლავის გარდა არაფერი გინდა დაინახო? — ნასტია დოლაბს ატრიალებს და კეკლუცად ირხევა. მისი მკერდის ძალუმი ტალღა წინ და უკან მიმოდის, ასე ვთქვათ, უფრო მორევად ტრიალებს.

— ამ მკლავზეც გეტყობა, მაგარი ჯან-ღონის პატრონი რომ ხარ. ალბათ, დღენიადაგ მიწას რომ ებრძვი...

— ჰო, მიყვარს და ვებრძვი, აბა, რა ვქნა? მე ყველაფერი მიყვარს, რაც უყვარს მიწას: ხვნა, თესვა, მზის სითბო და წვიმა... ყველა ზარმაცი მეჯავრება. თუ გინდა, გავეჯიბროთ, რომელს უფრო ღონიერი მაჯა გვაქვს.

მე დოლაბი ციბრუტივით დავატრიალე. ნასტიამ მაჯაში მტაცა ხელი.

— არა, ხელსაფქვავზე არა! — ნასტიამ იდაყვი მაგიდაზე ჩამოდო. — ასე. ჰა, ნუ გეშინია, არ გიკბენს.

უხერხულია, ქალის გამოწვევა არ მიიღო. მკლავი მკლავს შეეჭიდა. სასწორმა თამაში დაიწყო. მერე, თითქოს განგებო, ნასტიას ანაზდად მოუდუნდა მკლავი და ჩემი ხელი ქალის მკერდს მოსხლეტით მიეხალა.

— ეს არ ითვლება. კეთილი ჩაითვალოს: ერთით ნოლი ჯარისკაცის სასარგებლოდ. ხელახლა დავიწყოთ.

მკლავი მკლავს კვლავ შეეჭიდა.

— ის ბაღჩა მარტო შენ დაბარე?

— აბა, გერმანელს დავაბარინებ ჩემ მიწას?

ფეხსაც არ დავადგმევინებ ზედ. მე აქ ყველას როდი ვუშვებ... ის კი არა ვარ...

— მე მეგონა, თქვენ აქ ფქვავდით, — თავზე წამოგვადგა მაია.

ცივწყალ გადასხმულივით შევკრთი და ხელი უკან წავიღე.

— მირიან, ჩვენს დიასახლისს ისედაც ბევრი საქმე აქვს, ხელსაფქვავი მე და შენ დავატრიალოთ.

— დღეისათვის კმარა, ქალიშვილო! — ნასტიამ შეუბღვირა მაიას და ხორბლით სავსე თასი საკუჭნაოსკენ გააქანა.

მერე დიასახლისი იატაკის წმენდას შეუდგა და იქაურობა სარკესავით დააკრიალა. მე რომ კართან მიმდგარს დამინახავდა, ან ტილოს გაწურვას მოიმიზეზებდა, ან წყლის გადაქცევას და ტანის მოხდენილი რხევით წინ გამივლიდ-გამომივლიდა.

მოსაღამოვდა. ნასტიამ სარდაფიდან ახალი ბარი ამოიტანა.

— არ წავიდეთ?

— მთვარე არ ჩანს.

— ამოვა. სად ჰირში დაიკარგება.

— ღრუბლიანია.

— სავსე მთვარე ღრუბლებიდანაც ანათებს. მიწის დასანახავად მეტი შუქი არც არის საჭირო. წავიდეთ?

ჩვენს საუბარს მაიამ მოჰკრა ყური.

— სად მიხვალთ?

— ბაღჩა დავბაროთო.

— ამ ღამით?

— დღისით შესაძლოა ბოროტმა თვალმა შეგვამჩნიოს, სიფრთხილეს თავი არა სტკივა. — მიუგო დიასახლისმა. — ცუდ ადამიანს რა გამოლევს!

მაიამ ბარი ხელიდან გამოაცალა.

— ნასტია, თქვენ გგონიათ, მე არ ვიცი ბარვა?

დიასახლისმა ბარი გამოგლიჯა და ბარისპირი იატაკზე დაარტყა.

— ორი ბარის მეტი არა მაქვს.

— რა უშავს, შეგენაცვლები ხოლმე.

დიასახლისმა ფანჯრიდან ცას ახედა.

— უჰ, ჩვენს ჯიბრზე წვიმას აპირებს. აღარ ღირს საბარავად გასვლა. ისედაც დაღლილები ხართ, მოისვენეთ. ღამე ღმერთმა ძილისთვის გააჩინა. ჰე, შეაყოლეთ! — ნასტიამ ბარი სარდაფში ჩააგდო ბრაზიანად.

ზურგჩანთა დავცალე, ნამჯით ავავსე და ფანჯრის უმინო ჩარჩოში გავაკვეტე ბალიშის მეზობლად. მერე „ლოგინი“ მე ერთ კუთხეში გავიშალე, მაიამ — მეორე კუთხეში, კარის ახლოს.

— ოჰო, ცალცალკე წვებით? — იდუმლად წამჩურჩულა ნასტიამ.

— ნათესავია ჩემი.

— შენი ცხვირი მოატყუე! — ზედ წკიპურტი მომარტყა. — შუა კარს ღიად ვტოვებ.

— შენი ნებაა.

წინა ღამე თითქმის თეთრად გავათენეთ გზაზე. ახლა თავისმიდებისთანავე მიმეძინა. გვიან გამეღვიძა. თვალები მოვიფშვნიტე და მიმოვიხედე. ჩემს ოთახში არავინაა. წამოვდექი. მაია პირს იბანს ჭასთან. ნასტია ფაფას ხარშავს. უხალისობა ეტყობა, ნაგვემ-ნატანჯსა ჰგავს. სალმის მაგივრად საყვედური შემომაგება:

— მაგარი ძილი გცოდნია.

— დაღლილი ვიყავი ულმერთოდ.

— გოგო კი დატანჯე და... მთელ ღამეს ტრიალებდა, თითქოს ეკლებზე იწვაო. ვერც გაამტყუნებ, ახალგაზრდაა, სისხლი უდუღს. გეძახდა, შენ კი ძილის გუდად იქეცი. ასე ძილი არ შეიძლება, ვაჟკაცო!

— შეიძლება. ჩვენ ასე გვძინავს.

— ნათესავია, არა?

— ასე ვთქვათ...

— შარვალი რომ აცვია, ბიჭი გგონია?

— შენთვის სულ ერთი არ არის?

— ტყუილად მოგაქვთ თავი წმინდანებად, არავინ დაგიჯერებთ... ისეთ ყოფაში ვართ...

— დაგვიჯერებს. არ დაგვიჯერებს და ამით არაფერი დაგვაკლდება. მთავარია, ადამიანი თავის გულთან და სინდის-პატიოსნებასთან იყოს მართალი...

— მაგ სიწმინდით ღმერთთან მაინც არავინ მიგიშვებთ, თქვე უბედურებო. მდინარეს ვერ შეაჩერებ, თავისი გზით უნდა იაროს... თუ დაიგუბებ, გადმოსკდება და უარესად წალეკავს ყველაფერს.

ყველას თავისი თვალის არშინი აქვს. ვერ გავამტყუნე. სხვის გულწრფელ აღსარებას იქნებ ყოველთვის ვერ დაეთანხმო, მაგრამ არც იმის უფლება გაქვს, ეს აღსარება დანაშაულად ჩაუთვალო.

— ნასტია, შენ რა, ჩვენს ძილს დარაჯობდი?

— ჰო, არ დამეძინა. მეც ადამიანი ვარ. ნეტავი არ მოსულიყავით, ჩემთვის ვიყავი მოსვენებული. — ხმა სევდა-ნაღველით აევსო, შემეცოდა ადამიანი, რომელიც ომმა ასე გაამწარა, მოურიდებელი გახადა და გრძნობაგაშიშვლებით აალაპარაკა.

ნასტიამ ფაფა მოხარშა და ბაღჩაში გავიდა. კარგა ხანს ბარავდა. ხელ-ფეხს კვლავ ჯანიანად და გაგულისებით იქნევდა, გეგონებოდათ, მთელ ქვეყნიერებას შემოსწყრომია და ყველაფრის ჯავრს მიწაზე იყრისო. მერე ეზოს მილაგ-მოლაგებას შეუდგა. რაღაც დაუხარჯავი აწუხებდა და არ იცოდა, სად დაეხარჯა. ეს ჯანღონით სავსე ადამიანი უსაქმოდ წუთით ვერ ისვენებდა, ეტყობოდა, სისხლის მაგივრად ძარღვებში ცეცხლი ენთო... დაუზოგავად ხარჯავდა და ჭარბი ენერგია მაინც არ ელეოდა.

მე და მაია გარეთ გასვლას ვერიდებოდით და

რიგრიგობით „ვეფხისტყაოსანს“ ვკითხულობდით. მერე უძილარ მაიას მიეთვლიმა. მე კარში ჩავდექი და მიდამოს დავუწყე თვალთვალი. არ ვიცი განგებ თუ შემთხვევით, ნასტია მკერდით შემეხეთქა. აქაოდა, არ წავიქცეო, მკლავები მომხვია. ანაზდად ორივე გავირინდეთ. ჩემი თვალი საკინძეგახსნილი კაბის გულისპირში ჩაეშვა და ორ თეთრყუმბარასშუა გაჩენილ ნაპრალში გაძვრა. ყველაფერი გამიფრინდა თავიდან, ცაც დამეკარგა და მიწაც. იმ წუთში მხოლოდ ნასტიას ვხედავდი. მკერდამობურცული დიაცის მწვანე თვალებში შემღვრეული ცეცხლი ენთო.

მე მგონია, ზოგჯერ ღმერთის დაბმა შეიძლება და ეშმაკისა — არა. ცთუნება ყველა ღმერთზე ძლიერია. მეც გამექცა მკლავი ნასტიას წელზე შემოსახვევად,

— ოჰო, სითამამე არა გკლებია, ყმაწვილო! ხელი ლოყაზე ალერსიანად წამიტყაპუნა და უკან დაიხია. — მე შენ მართლა წმინდანი მეგონე და შემეცოდე. მშვიდად, ნუ ღელავ! მე სარდაფში ჩავდივარ. კასრები მაქვს მისალაგებელი, ხარახურაც. ჩამომყევი. რამ დაგაფრთხო, კი არ შეგჭამ!

ძნელია, როცა ქალი მამაკაცს იწვევს, მამაკაცი კი უკან იხევს. თითქოს მისი მამაკაცური თავმოყვარეობა ილახება. შევფიქრიანდი.

— ჩამომყევი, დედამიწა ხომ არ გადაბრუნდება?

ნასტიას თვალები იდუმალი მუდარითაა სავსე, გახელებული მუდარით.

„ჩავყვები, რაც იქნება, იქნება. მოხდეს მოსახდენი! თუმცა...“

მწვანე თვალები კვლავ ხარბად მომჩერებიან, ლამის ჩამყლაპონ.

— რამ შეგიცვალა ფერ-ფური? ნუ გეშინია, სარდაფში გერმანელი არა მყავს დამალული.— ამ ხმაში მუდარაც ურევია და ნაღველიც — შემიბრალეო.

თითქოს ანთებულ საკირეში ჩამაგდეს.

„ეს ვითომ წმინდა სიყვარულის ღალატი იქნება? მე ხომ...“

ნასტიას პირისახე და თვალები უფრო აემღვრა, მკერდი ტალღასავით აუდ-ჩაუდის, ძალუმად სუნთქავს, სხეული უთრთის.

— ჰა, ჩამომყვები თუ არა? — ნასტიამ სარდაფის სახურავი ასწია.

— ჩავიდეთ.

არ ვიცი, მაიას ჩვენი ამბავი ესიზმრა თუ რა იყო, იქვე გაჩნდა.

— მირიან, რას აკეთებ აქ, მიწაში უნდა ჩაძვრე? — სარდაფის სიბნელეში ჩაკიდებულ კიბეს ჩახედა. აშკარაა, ყველაფერს მიხვდა და წამოენთო. — მაღლა ველარ ეტევი?

პასუხი ვერ ვიპოვე, ენა დამება.

— მძიმე კასრები მაქვს მისალაგებელი. ხელი წამახმაროს, ღმერთი არ უწყენს. — ჩემს მაგივრად მიუგო დიასახლისმა.

— უნდა ჩაჰყვე? — თვალი თვალში გამიყარა მაიამ.

თავი ჩავღუნე.

— პატივი გვცა, შინ შემოგვიშვა...

— პატივი მარტო შენთვის არ უცია! — მტკიცედ მომახალა მაიამ და შეტრიალდა: — ჩამიძეხი, ნასტია!

—მე ღმერთის დახმარება მჭირდება და არა— მთავარანგელოზის. შენ იქ რას გამიკეთებ, მტრედო? კაცის ჯანია საჭირო. არ მჭირდებით არცერთი, მომშორდით ორივე! ნეტავი სულ არ მოთრეულიყავით, ვიყავი ჩემთვის!..

— თუ ვერ მოვერევით, მირიანი მერე ჩამოგვეშველება. — მშვიდად უთხრა მაიამ. — ჩამიძეხი, ჩამიძეხი!

ნასტიამ ერთი ამრეზილად შეხედა და კიბეზე უსიტყვოდ ჩაეშვა.

სარდაფიდან ორმა ქალმა მოზრდილი ჯამით კომბოსტოს მწნილი ამოიტანა. ამოვიდნენ უხმოდ და უდავიდარაბოდ. მერე ცალცალკე უბრებივით დადგნენ.

იმ წუთში ორი ქალის ნაცვლად მე დავინახე გატენილი და ჩახმახზე შეყენებული ორი თოფი.

მეც დავმუნჯდი. თავჩაღუნულმა ფანჯარასთან დავიწყე ბოლთის ცემა. მაიას თვალს ველარ ვუსწორებ, თითქოს რაღაც გამოუსწორებელი დანაშაული ჩავიდინე.

„შევძლებ კი ოდესმე მაიას თვალებში თამამად ჩავიხედო?“

ეტყობა, დუმილმა შეაწუხა. ნასტია აბუზღუნდა. ვიღაც უხილავს ჩუმად დაუწყო დავა. მერე თანდათან გაანჩხლდა და გაკაპასდა. ხელსაფქვავს წაეჩხუბა, რატომღაც მუშტი დოლაბზე ბრაზიანად დაარტყა. წისქვილი დამალა, დოლაბი ჯერ რაფაზე დააგდო, მერე ისევ მაგიდაზე დააბრეხვა. ხელი ჩაიქნია და კარისკენ წავიდა. კატა შემოხვდა. გრძელულვაშამ ჩაიყუნცა, პატრონს მიაჩერდა და შეჰკნავლა, რაღაც მოწყალება გამოიმეტეო. ნასტიამ ფეხი დაუზოგავად გაჰკრა და კედელზე მიახეთქა.

— უშ, შენი ჯიში და სახსენებელი ამოვარდეს! — მიაწყევლა კიდეც. — რას შემომკნავი? შენთვის მცალია სწორედ.

კარი ბრაზიანად გამოაღო და ფეხი მიარტყა.

— რა გაჭრიალებს, მოგიკვდეს გამკეთებელი! შენც ახლა მოგინდა კვნესა და წუწუნი? რას შემომტირი, შე დასაწვავო!

ეზოში ბუნჩულა ხბო თავისთვის დგას მშვიდად. ნასტიამ აიღო მსხვილი ჯოხი და სდრუზა.

„ეშმაკმა გაიგოს, ან იმ უწყინარმა ფისუნიამ რა დაუშავა ან ამ ბუნჩულა ხბომ?“

ოწინარი ისე ჩამოქაჩა, კინაღამ ჩამოტეხა, წყალი კი არ ამოუღია ჭიდან. ბოლოს შემობრუნდა და პირდაპირ მე მომადგა.

— რატომ არ წვები, მტრედო, ვერ გაიგე რომ ღამდება?

— დავწვებით, რა გვეჩქარება?!

— რას ელოდებით?

— მეგონა, გუშინ რომ ის-მეთქი! — ხელი ავათამაშე, — დავფქვევითა და...

— აჰ, ვახშამს ელოდებით, მუქთახორებო?

— ჩვენ, კაცმა რომ თქვას, არც სადილი გვიჭამია. — მივუგე ტკბილად, ეგების ეს გაბრაზებული ქალი როგორმე ჩვენკენ შემოვაბრუნო-მეთქი.

— თქვენი ამბავი რომ ვიცი, გაცრილ-გამტკიცულ პურსაც მომთხოვთ. აღარა მაქვს სათქვენო სარჩო-საბადებელი, არა! რამდენი მაწანწალა აქ გაივლის, ყველა თუ მე დავაპურე, კარგი დახლი დამიდგება. საღამოზე რძეც ხომ არ გინდა, პატარა ბიჭო? — ნასტიამ უცებ კაბას ხელი აჰკრა და გულისპირიდან თეთრი ქვევრი ამოისროლა. — ჰა, მოწოვე, აღუა, სხვა მე აღარაფერი მაქვს!

ქვევრი აქ რა მოსატანია, მოთეთრო ყუმბარა უჭირავს ხელში. აპრეხილი ძუძუსთავი ისარივით დამიმიზნა.

ომი საშინლად აუხეშებს და აველურებს ადამიანებს, მაგრამ აქამდე თუ მიიყვანდა, ამას წარმოვიდგენდი? შემზარა იმ ყუმბარამ და თვალი მოვარიდე.

— აჰ, არ გსიამოვნებს? — ნასტიამ ძუძუ ძლივს ჩაიტენა კაბაში. — ბევრი რამ არც მე მსიამოვნებს, ვითმენ, მტრედო! არა მჭირდება თქვენისთანა ხიზნები, არა!

თავი დავლუნე და მეორე ოთახში გავედი. მაშინდელი შემომწყრალი მაია ახლაც გაბუტულივით ზის. კიდევ კარგი, თორემ ნასტიასთვის თვალი რომ მოეკრა, გადაირეოდა გოგო.

ჩამობნელდა. მაიამ კარი მიხურა და იქვე გაიშალა „ლოგინი“.

მეც დავწექი.

მაიას მალე დაეძინა.

მე რული არ მეკარება.

იმ წუთში ნასტიას თვალი მოვარიდე, ახლა კი სულ ის თეთრი ძუძუ მიტრიალებს ფიქრში... კერტებაპრეხილი და გატიკნილი ძუძუ.

„არა, შიგ რძე არ უდგას, ვნებით გატენილი ყუმბარაა“.

მე სწორედ ქინმორეული ვნებით გატენილ ყუმბარას ვხედავ და... ამ ყუმბარის აღარ მეშინია. საოცრად ლამაზი მეჩვენება და მაფორიაქებს.

მეორე ოთახში მწოლარე ნასტია ახველებს ბოლმე, აქაოდა, არა მძინავსო.

მაია მშვიდად სუნთქავს კართან. მე ამ სუნთქვას ვუგდებ ყურს და მესმის წყაროს ღიღინი... ჩემი ნაპოვნი წყაროს ღიღინი. ახლა ამ ღიღინმა გამიტაცა. მალე ის ორი წყაროსთვალიც დავინახე. მერე ვნებით გატენილ-დამუხტული ორი მოთეთრო ყუმბარა იმ ცისფერ ორ წყაროსთვალში ჩავარდა და... საბედნიეროდ არ გასკდა. ერთხანს წყალში ჩავარდნილი თოვლის ფიფქივით იტივტივა და ფანჯარასთან დადნა, დადნა ჩუმად.

— მირიან, ადე! — მაღვიძებს მაია. — გეყოფა ამდენი ძილი, წავისაუზმოთ და წავიდეთ.

— ამ დღისით-მზისით სად უნდა წავიდეთ? — წამოვდექი და ჩექმების ჩაცმას შევუდექი.

— აქ გაჩერება აღარ შეიძლება, არა! წყალიც კი ენანება. რომ იცოდე, რა ამბავი დამაწია! პანღურის ამოკვრა ვერ გამიბედა, თორემ დანარჩენი არაფერი დაუკლია — წაეთრიეთ, რაღას უყურებთო.

— ახლა საშიშია სიარული, როგორმე საღამომდე გავუძლოთ.

— წავიდეთ, რაც იქნება იქნება. მარფუშასთან მაინც გადავიდეთ. შიმშილით მკვდარი ჯერ არავინ მინახავს. ბოლოსდაბოლოს, იმ დამპალ კარტოფილს მაინც გვაჭმევს.

ახლაღა შევამჩნიე, მაიას ხელი აქვს შეხვეული.

— ეგ რა არის, გოგო, დანებით იჩხუბეთ?

— აჰ, ეს? შენ გგონია, გაჭრილი მაქვს? ჩაის ადუღება მინდოდა და დავიწვი. გუშინ შენ დაიწვი ხელი, ამ დილით — მე.

— მე დავიწვი ხელი?!

— ჰო, ზოგი ასე იწვავს ხელს, ზოგი — ისე. ორივე ჭკუის სასწავლებელია.

ნასტია შემოძლაგუნდა და აშოქშოქდა.

— ჰეი, ჯოჯოხეთის წმინდანებო, კიდევ აქა ხართ? უმანკო კრავებო, მშვიდობის მტრედებო და ანგელოზებო, ჩემი სახლი სასუფეველი გგონიათ? აიბარგეთ ჩქარა! — ნასტიამ ჩვენი ბარგი გააბურთავა. — აქ გინდათ ომი გაათრიოთ? სამშობლოს მარტო ჩემმა ქმარმა უნდა შესწიროს თავი? ჩქარა! თქვენი გულისთვის გერმანელებს თავს ვერ დავახვრეტინებ. ნუ სარგებლობთ ჩემი გულკეთილობით, დაბეზღება რომ არ შემიძლია!

— წავალთ, რა ცეცხლს გვიკიდებ, ქალო?

— ახლავე შეაყოლეთ, სამოთხის ჩიტუნებო! ფრრრ, ფრრრ! მახარბებთ აქ რაღაცას! ფრრრ-მეთქი! ჰაიდა! ჰაიდა! ვერ გაიგეთ, აქ თქვენი ადგილი რომ არ არის? ფრრრ! ფრრრ!

ადრინდელი პირმრგვალი, ხორბლისფერი და ლამაზი ნასტია როკაპად იქცა. აქ ჩვენი გაჩერება მართლაც შეუძლებელია.

— ჰენდე ჰოხ! შვაინ! პალუნდრა! — გაისმა ზედ ფანჯარასთან.

უცებ ავტომატი ავიტაცე.

— მირიან, არ მესროლო! მე ვარ, ბიჭო!

— ჯონდო?! — გახევდა მაია. — მართლა დაგვეწია?!

შავ ნაბადში გახვეული ელვა ოთახში გრიგალივით შემოიჭრა და ბარგი-ბარხანა მიყარა.

— ნეფე-დედოფალს ვახლავარ ცხრამეტა

ცხენოსნით! — შავულვაშებში თეთრმა კბილებმა გაიელვეს.

— მეორე ხელზე ორი დაგაკლდა, შე ღდინძაღლო?

— არაფერია, შევისრულებ! გეგონათ, თქვენს კვალს ვერ მოვაგნებდი? წუხანდელი ღამე მარფუშას ქოხში გავათიე. ისე ხომ ხართ ჯგიროდ?

— რა გვიშავს. შენ კითხვაც აღარ გინდა, სტამბოლის კაქივითა ხარ.

— მაიკო, შენ ხომ არაფერი გეწყინა? — ჰკითხა ჯონდომ.

— რა უნდა მწყენოდა? — ხელები მოიფშვნიტა მაიამ.

— რას ამბობ, ჯონდო? — ვუთხარი მე. — მიწაზე ქრისტე-ღმერთის ჩამოსვლა არ გაგვეხარდებოდა ასე. გადაარჩინე ის მამა-შვილი?

— კი, კაცო. სწორი გითხრა, მეშინოდა, იმათი ცოდვა არ დამდებოდა. გერმანელები ხომ ჩემს მოსაკლავად შემოვიდნენ ტყეში! ზურგზე მოვიკიდე ბავშვივით და ისე ჩავიყვანე ერთ მიყრუებულ სოფელში. საიმედო ოჯახს ჩავაბარე. მეტი რა მექნა? თან ხომ არ გადავყვებოდი? მერე ზღვაზე ვცადე გასვლა, არ მომიხერხდა და აქეთ გამოვწიე...

ნასტიამ ახალი სტუმრის დანახვაზე უფრო შეიკრა შუბლი, მეტი აფორიაქება დაეტყო, ლაჯებში აბლანდებულ კატას კვლავ ბრაზიანად გაჰკრა ფეხი და ბურთივით ისროლა გარეთ. მერე საკუჭნაოს მიაშურა.

ჯონდომ თვალი ხარბად გააყოლა და სტვენაც დაადევნა.

— აუჰ, ეს რა ავი დიასახლისი გყოლიათ, კაცო?! რა ეწყინა, მე მაგისი შუბა დავხიე? — ჯონდო წისქვილის სახელურს მოეჭიდა და მისწი-მოსწია ჯანიანად, თითქოს თავის ძალ-ღონეს სინჯავსო. ისე, კაი ნეკნი ჩანს, ხომ იცი! ქორფა გოგოსავით არის ჩათქვირებული. აფსუსია, ეგ კაპარჩხინა იყოს!

ნასტიამ ირიბად გამოხედა, თავიდან ფეხებამდე შეათვალიერა და ორჭოფულად გაიღიმა.

— მამალი მგელივითა მშია. წასახემსებელი არაფერი გაქვთ?

— ნამცეცი.

— აუჰ, აქეთკენ რა ქესატობაა, კაცო?! ეგ თქვენი დიასახლისი არაფერს შეგვაწევს?

— ჩვენთვის არაფერი გამოიმეტა, შენ ჰკითხე.

— ხომ ნასტია ჰქვია?

— კი.

— მარფუშამ თქვა, კარგი ქალიაო და... რა ვიცი...

მეზღვაური დიასახლისს მიუბრუნდა:

— მილაია ხაზეიკა, პალუნდრა! კუშატ ესტ? მარიაკ გალოდნი კაკ ვოლკ.

— არ არის პური, არ არის ხორცი, ტყვია არის!... — კუშტად მიუგო ნასტიამ.

— ბიჭოს, ქართული სცოდნია?! — თვალები გაუცისკროვნდა ჯონდოს.

— ბებია ქართველი მყავდაო.

— მართლა?! — დიასახლისს თვალებში ჩააშტერდა მეზღვაური. — აბა, ერთი კარგად გავუსინჯო ჭაშნიკი!

— ეშმაკსაც წაუღიხართ, აღარ მომშორდებით? — ანჩხლად მიახალა ნასტიამ და ღუმელისკენ შებრუნდა.

— ასეთი რა აწყენინეთ?! — წაუსტვინა ჯონდომ და ჩვენ მოგვხედა.

— რა ვიცი... არ სიამოვნებს ჩვენისთანა ხიზნები.

— ხაზეიკა, გენაცვალე, ჩვენი სახლის ქალი ყოფილხარ, მაგნაირი საქციელი არ გეკადრება. — ჯონდომ ჯერ მხარზე გადასდო მკლავი, მერე მორიდებულად კისერზეც მოხვია ხელი და რაკი ქალმა არ იუარა, მისი თავი მკერდზე მიიხუტა და თვალებში ალერსიანად ჩახედა. — ძვირფასო, მშივრები ხომ არ დაგვადგებით გზას?

— მუკა იოხტურ! ნაცარს ხომ ვერ გამოვაცხობ? — დიასახლისმა თავი გაითავისუფლა. — შეაყოლე, შეაყოლე!

— ნუ იტყუები, გექნება, შენ მშიერ ადამიანს არა ჰგავხარ.

— მერე?

ჯონდომ ქუდი წარბებამდე ჩამოიწია და ცერი აყინჩა:

— ისეთი აბრეშუმის კაბა გაჩუქო!

— ვის გახადე? — დაეჭვებით თუ დანანებით შეხედა ქალმა მეზღვაურს.

— გერმანელს ვუპოვე აბგაში.

— სხვისი გამონაცვალი კაბა რა ჭირად მინდა, ნეტავი ჩემი გამაცვეთინა.

— ო, რა ყოფილხარ! — ჯონდომ ისევ მოსდო ხელი კისერზე, ნასტიას თავი მკერდზე მიიხუტა და ლოყაზე თითები ისე წაუთათუნა, თითქოს სალამურს უკრავსო. — ჩვენისთანა კარგ ხალხს ადამიანი უარს ეტყვის რამეზე?

მე ჩავახველე.

— აგერ წისქვილი, ხორბალს მოგცემ და დაფქვევი.

— ასე, შე მადლიანო. ავქალობა არ გეტყობა და ტყუილად რატომ იავებ თავს? — ჯონდომ დიასახლისს ნიკაპქვეშ ამოუთათუნა ხელი.

ნასტია საკუჭნაოსკენ წავიდა.

— ო, რა ნეკნია! — ჯონდოს ფეხები აუთამაშდა.

მაია მეორე ოთახში გავიდა და თავი წიგნში ჩარგო.

ნასტიამ ქვაბით ხორბალი გამოიტანა და დოლაბს თასი ვარცლად მიუყენა.

— გეტყობა, მუშა ქალი ხარ! — მკლავზე მოკიდა ხელი ჯონდომ. — მარფუშამაც ძალიან მიქო შენი თავი, მამალი ქალიაო, ყოჩაღიო... არ გამიკვირდა?!

— მარტო სიყოჩაღე არ ყოფნის სიცოცხლეს, თორემ კაი შვნ! წელან შენი სახელი კარგად ვერ გავიგონე, ვაჟკაცო?

— ჯონდო! — დავასწარი მე.

— ჩონდა? — იკითხა ნასტიამ.

— ჯონდო! ჯონდო! — რიხიანად თქვა მეზღვაურმა.

— ჩონდა, ჩონდა?

— შენ თუ გინდა ჩანთა დამიძახე.

— თვალებს ბუღასავით რომ აბრიალებ, მოდი, საქმეშიც განახო, რა ბიჭი ხარ! — დიასახლისმა მკლავი გაიშიშვლა და ხელი ჯოხს წაატანა.

— ხაზეიკა, თუ გინდა, შენც შემოჯექი ჩემ მკლავზე და ისე დავატრიალებ ამ კენჭებს! — ხელსაფქვავი ციბრუტივით აბრუნა.

ნასტიამ ხელი დაუწყვილა. ჯონდომ თვალი კაბის გულისპირში ჩააპარა და წვერმოშვებული პირისახე გაებადრა.

ხელსაფქვავმა ღიღინი დაიწყო და დიაცის მკერდმა — ღელვა. თითქოს ტალღები კბოდეს უახლოვდებიან, იქამდე ვერ აღწევენ და უკან იხევენო.

ქალს დასცხა და საკინძე ერთ ღილზე გაიხსნა.

— თუ დაიღალე, დაისვენე, ძვირფასო, — დაუყვავა შინაურულად ჯონდომ. — ამას მეც ვეყოფი, კუკლა.

— თუ მე მსიამოვნებს შენთან ერთად ვატრიალო, კუკლა?

— ახლა ჩვენ დავატრიალებთ, წყვილ-წყვილად ვიმუშაოთ, — ვცადე შეშველება.

დიასახლისმა დამცინავი ღიმილით შემომხედა.

— არა გვჭირდება თქვენი მოხმარება. ანგელოზები სამოთხეში! წადით, თქვენს თავს მიხედეთ! ფრრრ!

— პალუნდრა! — თვალი ჩამიკრა ჯონდომ. პირი ვიბრუნე. მერე კარში ჩამოვდექი.

— ჩონდა, გგონია შენ ჩემზე ღონიერი ხარ? აბა, გავეჯიბროთ, ვინ აჯობებს! — ნასტიამ იდაყვი მაგიდაზე ჩამოდო.

ჯონდოს გაეცინა და მაინც შეაჭიდა მკლავი მკლავს.

— ერთი! — ჩაიხვიხვინა ჯონდომ და თავისი ხელი ნასტიას მკერდზე კარგა ხანს გააჩერა, თითქოს ადამმა სწორედ იმ ნეკნს მიაგნო, ოდესღაც ღმერთმა ევას შესაქმნელად რომ ამოაცალაო.

— ოჰო, ღონიერი ყოფილხარ, ჩონდა! — ახორხოცდა ქალი. — გულის კოვზი არ ჩამიმტვრიო, გიჟო!

ორივეს სიწითლე მოერია სახეზე.

— ხაზეიკა, მოდი, ამას მე გამოვფქვავ, შენ კი აბანო გამიცხელე, კარგი?

— ერთად გავაცხელოთ. შენ შეშა დამიჩეხე. ხორბალს ესენიც გამოფქვავენ, — ჩვენკენ გამოიქნია ხელი ნასტიამ, — თორემ უსაქმურობით დაიხოცებიან. ეჰეი, მუქთახორა მტრედებო, თქვენი ჯერია! ეს პური თქვენი საჭმელიც არის, წისქვილს მოხედეთ! ამას რომ გამოფქვავთ, მერე ხმიადებიც გამოაცხეთ!

მიგვახვედრა: ჩვენ მალე ვერ მოვალთო. საკუჭნაოში შევიდა, პური და ქაღალდში გახვეული რაღაც გამოიტანა, ჯონდოს თვალი ჩაუკრა და წინ გაუძღვა.

ახლა დოლაბი მე და მაიამ დავატრიალეთ, თან ფანჯარაში ვიყურებით.

ჯონდო აფთს ჯანიანად იქნევს. მსხვილი მორი ორიოდე წუთში გააპო. მერე ნაპობიც დაბრდღვნა. ნასტია ციბრუტივით დაუტრიალდა და შეშა შეზიდა. მერე აბანოში ერთად შევიდნენ და კარი მოხურეს. აბანოს ვიწრო სარკმლიდან კვამლში არეული ოხშივარი კარგა ხანს გამოდიოდა.

მაიამ ხმიადები გამოაცხო, ისევ მეორე ოთახში გავიდა და კვლავ წიგნში ჩარგო თავი.

ქალი გამიდიდგულდა, გვერდზე
გადამიბრუნდა,
ლივლი-ლივლი ლივლი, ქალო, ლიახვო,
ლიახვო, ჰეე.

ჯონდომ კარი ღიღინით შემოაღო. პირალაჟღაქებულია. წვერი სუფთად გაუპარსავს. თვალი ჩამიპაჭუნა და უსიტყვოდ გამიღიმა.

— ჩაიდგი ნეკნი, შე ღდინძაღლო? — გავუღიმე მე.

— იცოცხლე! — ულვაშებზე თავმომწონედ გადაისვა ხელი. ხელმწიფის საკადრისი აბანო ჰქონია. ორივე მოვინათლეთ სამარადჟამოდ.

„ეჰ, როდემდე გავუძლებ ამდენ პატიოსნებას!“

— ძველი ხარ. ციხე-სიმაგრე პირველი იერიშითვე აიღე.

— გითხარი, შეგირდად მომებარე-მეთქი და არ დამიჯერე. ქალს თუ ცხრა წელიწადი ვსდიე, ველოლიავე, ვეფერე, ვემუდარე და ფეხქვეშ გავეგე, რაღა ჭირად მინდა? სიამტკბილობისთვის დროც აღარ დამრჩება. ქალი უცებ უნდა წააქციო, თავბრუდახვეული და გაოგნებული. მე ეს მიყვარს. იმის მოსაფიქრებელი დროც არ უნდა მისცე. ვინ იცის, ამას რა მოჰყვებაო. ერთხელ თუ მოაკვარახჭინე საქმე, მერე შენია სამუდამოდ, აქეთ შემოგეხვეწება, ნუ მიმატოვებო. აბა, რა ვქნა, ძმაო, ომია. ამდენი სადა გვცალია! ორიოდე ტკბილი ლუკმა ამ წუთისოფლის დუმას მეც ხომ უნდა მოვათალო? ორდენს არ ვითხოვ და არაფერს, ქალიც აღარ მივიკრა გულზე?

ნასტია აბანოდან უფრო გვიან გამოვიდა. თვალსა და ხელშუა გამოცვლილა. მესერთან ობლად ატუზულ ხბოს თავზე ალერსიანად გადაუსვა ხელი, თითქოს ბავშვს ეფერებაო და ბოსელში შეიყვანა.

შემოსასვლელში კატა შეამჩნია. თათებში თავჩარგული და გაბუტული ფისუნია აიყვანა და მკერდზე მიიხუტა.

— ფისო საყვარელო, ვინ გაწყენინა? მოგშივდა, ჩემო ძვირფასო? ფისო, ჩემო საბრალო ფისუნია!

კატამ შეკნავლა. ნასტიამ ხმიადს ყუა წაატეხა და პირში თავისით ჩაუდო.

— ჭამე, ჩემო ლამაზო, ჭამე. თაფლად შეგერგოს! — არ კოცნის, თორემ სხვა ალერსს არ აკლებს. უფრო დიდი ლუკმა მოუტეხა და წინკარში გაიყვანა.

ხორბლისფერი პირისახე, დილით აყალომორეულ მღვრიე ტბას რომ უგავდა, დაწმენდილგახასხასებული აქვს, სიწითლე მორევია და ატლასივით უბზინავს. მოკლედ: დილაუთენია როკაპად წამომდგარი ქალი, თითქოს აბანოში გამოცვალესო, ანგელოზად არის ქცეული. ყინდამცხრალი ყველაფერს ეფერება, აღარც ჩვენ გვიცქერს მტრულად.

— გაიხარეთ, რა კარგი ხმიადები დაგიცხვიათ. ახლა შეგვიძლია ვიქეიფოთ კიდეც! ის ქალბატონი რატომ გამდგარა განზე? აბა, მაია, ბუტიაობა არ იყოს! გაუმარჯოს მშვიდობას!

ხვავრიელი სუფრა გაშალა. გამოიტანა მჟავე კიტრი და კომბოსტოს მწნილი, ღორის დაბასტურმებული ხორცი, წათხში შენახული ყველი და ბატის შაშხი. ამ სიკეთეს ორი ბოთლი არაყიც მოაყოლა.

— ჩემი გამოხდილია. აბა, დასხედით, მიირთვით! — ხელგაშლილად გვთავაზობს ყველაფერს. — გაგვიმარჯოს! — მოზრდილი ჭიქა სულმოუთქმელად გადაჰკრა. — აბა, დალიეთ! დალიეთ და ჭამეთ! გენაცვალე!

— ახლა კი ნამდვილად გაუმარჯოს კაცის ნეკნს! შენ გაგიმარჯოს, ნასტია, და შენი სახით გაუმარჯოს ქალს, ნამდვილ ქალს! — ჭიქა ასწია ჯონდომ.

უცებ ბლავილი გაისმა. მე იქვე დადებული ავტომატი ავიტაცე, ჯონდომ პარაბელუმი იშიშვლა, ნასტიამ ხელი ჩაიქნია.

— არაფერია, ხბო ბლავის ბოსელში. საჭმელი დაუგვიანდა. არაუშავს, მოითმენს. ადამიანები მეტს ვითმენთ, ვბლავით კიდეც, მაგრამ ყურს არავინ გვიგდებს. აბა, დალიეთ, დალიეთ! — ნასტია გულწრფელი ღიმილითა და დაყვავებით გვაძალებს არაყს, კეთილად გვტუქსავს კიდეც: — აბა, დალიეთ და გახურდით, თქვე ცივსისხლიანებო, იქნებ ჩვენს ჭკუაზე მოხვიდეთ! — კიდევ გადაჰკრა არაყი.

წამდაუწუმ გარეთ ვიხედები. გერმანელები მოულოდნელად არ წამოგვადგნენ თავს და ეს ტკბილი პურისჭამა არ ჩაგვაშხამონ-მეთქი. ავტომატი გვერდით მიდევს. ჯერჯერობით ჩამიჩუმი არ ისმის.

ნასტიას არაყი მოეკიდა. იწყევლება და ილოცება, ალერსიანიც არის, მრისხანეც, ერთ წუთში იცინის, მეორე წუთში ტირის, მარტის დღესავითაა, მაგრამ მისი ლანძღვაც და ალერსიც ყალბი არ არის, ყველაფერს გულახდილად ფქვავს.

ნასტიამ ჯონდოს ჭიქა მიუჭახუნა და კვლავ სულმოუთქმელად გადაჰკრა. მერე ისევ აავსო. ჩვენს ჭიქებში რომ დააპირა ჩასხმა, უარი ვთქვით.

— აღარ გაძალებთ. ამ არაყს მე და ჩონდაც მოვერევით. მოკლას ხარი თივამ.

ჯონდომ და ნასტიამ კიდევ გადაჰკრეს. თითქოს ჩვენი იქ ყოფნა დაავიწყდათ, აღარც გვერიდებიან. ერთმანეთს ეხუნტრუცებიან, იცინიან და ხარხარებენ. ჯონდო ნასტიას დუნდულაზე მიუტყაპუნებს ხოლმე ხელს და ქალი ოთახში ტკრიაცით დარბის. ერთხელაც მიუბრუნდა და ვნებაალტკინებულ მეზღვაურს პანღური უთავაზა, ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით. ჯონდო მიუტრიალდა და ისე ჩაბღუჯა, გეგონებოდათ, ქორმა წიწილა აიტაცაო, კისერი გადაუწია და ტუჩებზე მოურიდებლად დააცხრა. მეზღვაურს ქალის მკერდზე ცურვაღა აკლდა.

ყველაფერ ამას თითქოს განგებ ჩადიან, ჩვენს გასახელებლად.

— ო, ორერა, აპა დელიაი, ო, ორერა!.. — წამოიწყო ჯონდომ.

არ ავყევით.

— რატომ არ მღერით, მტრედებო! — ჩემს ჩონდას ხმას რატომ არ უწყობთ? — მე და მაიას მოგვადგა ნასტია.

— ჭირისუფლები ვართ. — სხვა მიზეზი ვერაფერი გამოვნახე.

— ახლა ყველა ჭირისუფალია და აღარავინ იმღეროს? ჩვენი ბრალია, ქვეყნიერებაზე ომი რომ არის? ტარა რა რა რა, სულიკო! — ნასტიამ თითი მაღლა შეათამაშა. — ტარა რა რა რა, სულიკო! მე ქართველებიც მიყვარს და ქართველების სიმღერაც! თქვენ კი არ მღერით! მე ახლა ცეკვა და სიმღერა მინდა. — საკუჭნაოში შევარდა და დამტვერილი გარმონი გამოიტანა.

რასპრიაგაიტე, ხლოპცი კონი,
ი ლეგაიტე სპაჩევატ...

არავინ აჰყვა.

— რას გაჩუმებულხართ? შენ მაინც ამყევი, ძვირფასო! — ჯონდოს ხელი გადახვია და სხვა სიმღერა წამოიწყო: — ეჰ, იაბლოჩკა, კუდო კოტიშსია... — სიმღერას ცეკვაცააყოლა. — ჰე, იცეკვეთ, თორემ!.. — ნასტიამ გადაიხარხარა. — მე სიყვარულით და კიდევ რაღაცით გატენილი ყუმბარა ვარ, მიფრთხილდით! ჰა, ჰა, ჰა, ჰა! მართლა კი არ შეგეშინდეთ! არ გინდათ, ცეკვა? არ გინდათ და ნუ გინდათ! მარტო მე ვიცეკვებ და ვიმღერებ! თქვენ არც ცეკვა-სიმღერა გინდათ, არც მიწა, არც სხვა რამე! უხმოდ იფრთქიალეთ ცაში ანგელოზებო!

ფრრრრ! — მე ბეჭზე შემომარტყა ხელი. — შენ ტყუილად გაგიშვია ულვაში, ქართველს არა ჰგავხარ, სულ არა!

— მართლა? აი, ახალი ამბავი?! — მაიას გადავხედე და მხრები ავიჩეჩე.

— აქ ქართველებმა გაიარეს, პირდაპირ კვესავდნენ. მე ქართველები მიყვარს, სხვას ამ სახლში არც ვუშვებ... შენისთანა ქართველი მე ჯერ არ შემხვედრია. შენ ერთ ხატს მისჩერებიხარ და ეგ გგონია ყველაფერი. აი, ნამდვილი ქართველი ვინ არის. — ჯონდოს მოხვია ხელი. — ხიშტივით ბიჭია, შენ კი... ეჰ, რა გელაპარაკო!

— სცდები, ნასტენკა. ჩვენ, ორივე, ნამდვილი ქართველები ვართ. მირიანი მე მჯობია კიდეც. — უთხრა ჯონდომ.

— რითი ვითომ? თავი პატიოსნად რომ მოაქვს? მაგას რომ პატიოსნება ჰგონია, სხვისთვის ეგ არ არის პატიოსნება. ასეთი პატიოსნებით ადამიანები მხოლოდ თავიანთ სულელურ რწმენასა და სისუსტეს ფარავენ... ჰმ, პატიოსნები!

ჩემ თავს ნასტიას თვალით შევხედე.

„არ უნდა ამ ქალს შენი პატიოსნება და მოკალი. ადამიანს რაც სჭირდება, მისთვის სასარგებლოც ის არის. აქ თავის მართლება ზედმეტია..."

— გაჩუმდი, ნასტია, — გამომექომაგა ჯონდო, — შინ ქმარი რომ გყოლოდა, მაშინ ხომ მირიანს მიიჩნევდი უკეთეს ქართველად?

— მაშინ არ ვიცი მე... ეგ მკითხავების საქმეა. — ნასტიამ ჯონდოს მკლავში ხელი გამოსდო და მიიხუტა. — ასე რატომ მიყურებთ, ანგელოზებო? თქვენს სიწმინდე-პატიოსნებას მახარბებთ? კი, ბატონო, დამახარბეთ! არც მე დაგრჩებით ვალში! მე ჩემს ქალობას დაგახარბებთ! ვნახოთ, ვის რა დააკლდება... ვნახოთ, ვინ დარჩება ბოლოს მოგებული!

ბოლოსდაბოლოს, მაიამაც ამოიღო ხმა.

— ვთქვათ, გაიგო ქმარმა შენი ამბავი, რა გულით უნდა იბრძოლოს?

— მერე, მე დავაძალე, იბრძოლე და თავი მოიკალი-მეთქი?

მაიას ვანიშნე, ალარაფერი უთხრა, უფრო არ გაახელო-მეთქი. არ დაიშალა.

— თავისი სინდის-ნამუსი და ადამიანური ღირსება აძალებს. შენ კი ატყუებ.

ნასტიამ ისე ამოიკვნესა, თითქოს ტკივილმა გაჰკრაო:

— ჰმ, მე კი არავინ მატყუებდა? ეშმაკსაც წაუღიხართ! ყველა მატყუებდა, ისიც, ესეც... რაც თავი მახსოვს, სულ მატყუებდნენ: მალე კარგად იცხოვრებო, მშვიდად და ბედნიერადო, რასაც მიწაზე მოიყვან, შენი იქნებაო. ამ ბედნიერების მოლოდინში ამომძვრა სული! ჯერ უმამოდ დამტოვეს, კულაკი იყოო. მერე ომი მომაყენეს კარზე და ქმარი წამართვეს... ახლა ქაში ჩავეშვა სისხლის გასაგრილებლად? ვისაც როგორ მოეპრიანება, ისე დამძრახოს! ვიღაცას ომი მოუნდა და მე რა დავაშავე? მე ადამიანი ვარ და ადამიანური სიცოცხლე მინდა!!! მარტო ცის გასაჭვარტლავად არ მოვდივართ ამ ქვეყანაზე. ჩონდა, ტყუილს ვამბობ?

— მართალი ხარ, ღმერთის მეთოთხმეტე მოციქულო! მიდი, მიდი, გარეკე!

— ყველა მატყუებდა, ყველა! ჰოდა, თუ შევძლებ, მეც მოვატყუებ... სხვას თუ არავის, ჩემ ქმარს მაინც. ვიცი, ისიც მომატყუებს და არ მინდა ვალში დავრჩე. თუ ცოცხალი დაბრუნდა, დამიჯერებს, რომ მე პატიოსნად ვიცხოვრე და ამდენ უპატიოსნობასა და დავიდარაბაში არავის გავკარებივარ? არ დამიჯერებს. ჰოდა, არც მე დავუჯერებ, რომ არავის გაჰკარებია და ბოლომდე მხოლოდ ჩემი ერთგული დარჩა. ორივე თავს მოვიტყუებთ და ამაზე კრინტსაც არ დავძრავთ. ომი იყო და სხვანაირად ცხოვრება არ შეიძლებოდა. ის, რაც ჩვენ ჩავიდინეთ, ცოდვა არ იყო... ტყუილს ვამბობ?

— კი, კი, მართალი ხარ. შენ ტყუილს არ იტყვი, გენაცვალე. — გაეპასუხა მხოლოდ ჯონდო.

— მე არ მეშინია ასეთი ცოდვის. სხვას თუ ორი ფილტვი აქვს, მე ოთხი მაქვს, მეტი ჰაერი მინდა. მე კი მეუბნებიან, ცალი ფილტვით სუნთქვას დასჯერდიო... ამ ჯალხანა-ჯანდაბაში სიწმინდე-პატიოსნებას ბოლომდე მაინც ვერ შეინახავ: ან ტყვია შეგიჭამს, ან — ჩრჩილი. ნაფტალინი არ იშოვება, ხომ მართალია?

— ნამდვილად არ იშოვება. ტყვია-წამალს ნაფტალინი არა სჭირდება. — დაუდასტურა ჯონდომ.

— ღმერთმა ქალად რატომ გამაჩინა? ან ძარღვებში ცხელი სისხლი რატომ ჩამისხა, თუ მარტოდ-მარტო დამაგდებდა და ხმის გამცემ ადამიანს მომანატრებდა? ახლა უბედური ომია, ყველაფერი ინგრევა, რომ მერე ყველაფერი ხელახლად აშენდეს... აშენდეს სხვანაირად. წმინდანებო, რამ დაგამუნჯათ, ამოიღეთ ხმა! მე თქვენ უფრო გელაპარაკებით! მართალს ვამბობ თუ არა?

— არ ვიცი, რთული ამბავია. — მივუგე მე.

— ეს თუ აღარ იცი, რა ჯარისკაცი ხარ?

— ჯარისკაცი რომ ვარ, შენი ქმარი იმიტომ უფრო მეცოდება.

— თქვენ გეცოდებათ ჩემი ქმარი, მაგრამ მე რატომ არვის ვეცოდები? დამიბრუნდეს და ჩვენ მოვრიგდებით... თქვენ მე ის ხომ არა გგონივართ? ეჰ, თქვე მართლა წმინდანებო! — ნასტიას ტირილი წასკდა.

— ახლა ტირილიც დაიწყო! ნეტავი რა ატირებს ამ სულელს?! — ჩაილაპარაკა მაიამ.

— დავიჯერო, ამას ვერ ხვდები? — გაეპასუხა ჯონდო. — თავის თავს ებრძვის. წმინდანებს შურით გეძახით, ეხარბება. აქაოდა, ვინაიდან მე

აღარ შემიძლია თქვენისთანა ვიყო, თქვენ გახდით ჩემისთანები, ეს ტვირთი მარტო მე რომ არ ვათრიოო...

— ვითომ? თუ ასეა, კარგი ქალი ყოფილა.

— ნამდვილად არ არის ცუდი ქალი... უჭირს და...

— გერმანელს არ გავეკარები ახლოს და სხვა რა ვქნა? — ნასტიამ თითქოს თავისთავს უთხრაო.

— თუ გკითხეს...

— გაბედონ და ნუ მკითხავენ... ნაჯახით თუ ვერ მოვერევი, ტყვიას დავახლი. თავდასაცავად ისეთი კარაბინი მაქვს... აი, გამომყევი გარეთ და გავეჯიბროთ სროლაში!

„ესღა გვაკლია, ნასტიამ ბათქა-ბუთქი ასტეხოს აქ და გერმანელებს მოუხმოს: ნახეთ, რა ამბავიაო. ჯონდო ყოველთვის კი ვერ გადაგვარჩენს!“

— რამ ჩაგაფიქრა? ვაზნები თუ არ გეშოვება, მე გიწილადებ.

— ვაზნებიც მაქვს და ერთი ხელყუმბარაც. ღამდება, ნასტია, ხვალ გავეჯიბროთ.

— კეთილი, ხვალ იყოს, გინდა — ზეგ... — დაშოშმინდა დიასახლისი და სუფრისკენ წაბარბაცდა. მომწყურდა, დავლიოთ! ტირილს მოუკვდეს პატრონი! მე ცეკვა და სიმღერა მინდა! — ისევ გაწელა გარმონი. — თუ სიკვდილი გვიწერია, დაე, მოვკვდეთ სიმღერით! შენ მაინც ამყევი, აბანოს ორთქლში მოხარშულო კუკლა! წმინდანებო, ისევ მახარებთ თქვენს სიწმინდეს? მეც ისევ დაგახარბებთ რაღაცას! — ჯონდოს მოეხვია. — მაკოცე! ჰა, თუ არ მღერი, მაკოცე მაინც!

მაიამ მეორე ოთახს მიაშურა. მეც გავყევი და კარი ღრიჭოდ მოვხურე.

— ჰეი, სად გარბიხართ, წმინდანებო! — კარი ფეხისკვრით შემოაღო ნასტიამ. — არ მოგწონთ ჩვენი მხიარულება? გვძრახავთ? თქვენ თუ ერთად დაწვებით ახლავე, მე არ დაგძრახავთ, პირიქით!.. სხვა რა შეგრჩებათ? დაწექით! იქნებ ხვალ გვიან იყოს! გაუმარჯოს დღევანდელ სიამტკბილობას! — ნასტიამ ჰაეროვანი კოცნა უმისამართოდ ისროლა. — შენ, ჰეი, ვაჟკაცო, არ იფიქრო, ნასტიას ღვინო ალაპარაკებსო. მწადია, მოურიდებლად გითხრათ სიმართლე, ჩემი მთვრალი სიმართლე, ისევ თქვენდა საკეთილდღეოდ, გვრიტებო! ყველა ქალი თვალთმაქცობს, სხვასაც ატყუებს და თავის თავსაც, მამაკაცთან სიახლოვეს როცა გაურბის. ან იმ ქალს ქალის სისხლი არა აქვს. ტყუილად გგონია, გოგოს ჩემი სიწმინდე და პატიოსნება მოსწონსო. გუნებაში დაგცინის...

— მირიან, არ აჰყვე! ხმას ნუ გასცემ და გაჩუმდება. — მითხრა მაიამ.

— ჰო, სულელური პატიოსნებაც არსებობს,— ლაპარაკის სალერღელამლილი ქალი წამითაც არ გაჩერდა. — შესაძლოა, შენი სულელური პატიოსნებით მალე თავიც შეაძულო...

— გააჩუმეთ ღვთის გულისათვის! — წამოიძახა მაიამ.

— წმინდანად გინდა მოკვდე, ქალიშვილო? ღვთისმორწმუნე ხარ? მოწყალების დად ძველი მონაზონივით იმიტომ წამოხვედი ომში? მონასტერში არ გერჩია? ფრიცებმა თუ ჩაგიგდეს ხელში, კარგ მონასტერში გიკრავენ თავს. სიქას გაგაცლიან და მერე იფრთქიალე ცაში!

— ნასტია, მოგვეშვი! გეხვეწები, გემუდარები... გთხოვ! — ვუთხარი დაყვავებით.

— მე როცა გთხოვდი, შენ დამიჯერე? მათქმევინე ორიოდე სიტყვა, გული მინდა დავიცალო, ლაპარაკი მენატრება, თქვე ულმერთოებო! ზოგჯერ სიწმინდეა დანაშაული, ცოდვაც!.. დაგავიწყდათ, ღმერთმა კაცი და ქალი რისთვის მოიყვანა ქვეყნად? ჩაეხუტეთ ერთმანეთს! ღმერთი არ გაგიწყრებათ, არა! ხომ ხედავთ, ომმა ყოველნაირად გააშიშვლა ხალხი!.. არავინ დაგიჯერებთ, რომ თქვენ უცოდველები ხართ, არა!

— აგერ, შენ ხომ დაგვიჯერე? ხომ შეგშურს ჩვენი რაღაც?

— ეგ არ ვიცი მე... მე ერთი ვარ... — უცებ ვერ იპოვა პასუხი ნასტიამ. — ჩონდა, სადა ხარ? არ დამეკარგო, ფისო!

— შენ ახლა მოსვენება გინდა, ნასტია, წამო, დაიძინე! — ხელი მოჰკიდა ჯონდომ.

— რატომ უნდა დავიძინო? არც ახლა დავიძინებ, არც — ამაღამ. ძილი მერეც მეყოფა, მიწაში რომ ჩამჩურთავენ. არ მინდა მე ძილი, სანამ ლაპარაკით გულს არ ვიჯერებ! მე ვიღაცეებთან ანგარიში მაქვს გასასწორებელი!

— მე და შენ ვილაპარაკოთ, ნასტიუშა, წამო, გენაცვალე, წამო!

დარაბის ჭუჭრუტანიდან შემოსული მთვარის შუქი ნათლის სვეტივით აჰკვრია კედელს.

კარი ღრიჭოდაა მიხურული. სდუმს ღამე და ამ დუმილს მხოლოდ ჩურჩული არღვევს. მეზობელ ოთახში ნასტია და ჯონდო მასლაათობენ თითქოს იდუმლად, რომ აქეთ ვერაფერი გავიგონოთ. ეს უფრო გვიმახვილებს სმენას და გვაფხიზლებს.

კარს იქით რამდენჯერმე გაისმა კოცნის ხმა და ხის ტახტი აჭრიალდა.

კარს აქეთ ნამჯა შრიალებს: ხან მე ვიცვლი გვერდს, ხან — მაია.

მეზობელ ოთახში ტახტის ჭრიალს ჯონდოს შეძახილი მოჰყვა.

— ვაი! ძაღლი ხარ, ქალო? როგორ იკბინები? კინაღამ მხარი მომაჭამე. ასე იცი შენ კოცნა?

— მწადია, რაღაც ნიშანი დაგამჩნიო, აღარ დაგავიწყდები.

— რამ გაგამწარა, ნასტიუშა?

— პირიქით. შენ ისეთი გემრიელი ხარ... ჩვენ

ერთმანეთისთვის ვართ გაჩენილები! ჩონდა, არ გეწყინოს, მაკოცე!

„იდუმალი ჩურჩულიც კი რა კარგად ისმის ღამით. ეს რა განსაცდელი მოგვივლინა ბედმა? ნამდვილი ჯოჯოხეთია...“

რაღაც უსაშველოდ აკივლდა ჩემში და გრიგალ-ქარიშხალი დაატრიალა. ამ კივილის დაყრუება და ამ გრიგალ-ქარის დამუნჯება უკვე ჩემ ძალ-ღონეს აღემატება.

ხელი გამექცა და... ცივ ლითონს მოხვდა.

„კარგა ხანია თოფი აღარ ჩაუდევს ჩვენშუა, წუხელ ისევ გაუხსენებია“.

— მირიან, მაგ იარაღს რას ერჩი? მოასვენე! — ხმა უკანკალებს მაიას.

— მოსვენება არ აკლია...

— ხელს ნუ ჰკრავ. თოფი წელიწადში ერთხელ თავისით ისვრის... გარდა ამისა...

— რაღას უცდი, აიღე და მესროლე! მეტი აღარ შემიძლია! ან მესროლე, ან მომაშორე აქედან!

გოგომ ავტომატს ხელი დაავლო და ზეზე წამოიჭრა. ფანჯარასთან მივიდა და რაფაზე შემოდგმულ წყლით სავსე კარდალას დაეწაფა. მერე თითქოს თავის თავზე გული მოუვიდაო, კარდალა მხრებზე გადაისხა.

— შენ ნუ აჰყვები სხვების ამბავს, ნუ აჰყვები, მირიან! დაიძინე ახლა, ადრე უნდა წავიდეთ!

— ყველა დამცინის...

— არავინაც არ დაგცინის... ყველას კი ნუ უგდებ ყურს... სხვა რამეზე იფიქრე! შენი დაია, ალბათ, ახლა სულ მარტოა... ხომ მარტოა?

— არ ვიცი.

— ალბათ, როგორ უჭირს.

— ახლა ყველას უჭირს.

— სამშვიდობოზე რომ გავაღწევთ, იმ დღესვე გავუგზავნი ბარათს... დარწმუნებული ვარ კარგი გოგო იქნება... იმასაც მივწერ, შენ მისი ლამაზი თავსაფარი რომ არ დაგიკარგავს, ნამდვილი ვაჟკაცი რომ ხარ... დაიძინე, მირიან, დაიძინე! ჰა, წყალი დალიე თუ გინდა!..

— არ მინდა მე წყალი!

— მე კი უსაშველოდ მწყურია!

ავტომატი კარდალას მიეჭახუნა რამდენჯერმე.

ვწევარ და ისეთი ხმა მესმის, თითქოს ზღვა კბოდეს ეხლებაო. სადღაც თითქოს ეკლესიის ზარებსაც რეკავენ და ერთდროულად ორი ხმა ირევა ერთმანეთში. ერთი — სალოცავად და სულის განსაწმენდელად რომ უხმობს ადამიანს, მეორე — მოახლოებული უბედურებისაგან თავის დასაცავად რომ მოუწოდებს. რეკვა თანდათან მინელდა.

გავიღვიძე. სინათლემ მომჭრა თვალი. დავხუჭე და გავახილე. დარაბა ღიაა. მაია ფანჯარასთან მიმდგარა და ავტომატი გულზე მიუკრავს. ჩაფიქრებული შორს გაჰყურებს და [illegible]რსიანად უსვამს ხელს. უცებ ავტომატი მოაგდო, აიღო და ისევ ჰკრა ხელი ბრაზიანად, მერე თავსაფარი შეისწორა, მკლავები ფანჯრის რაფაზე დააწყო და ზედ თავი ჩამოდო.

— დილა მშვიდობისა, მაია!

თავი ისე ასწია, თითქოს წყალი შეიბერტყაო.

— გაგიმარჯოს, მირიან!

— რატომ ადრე არ გამაღვიძე?

— ისე ტკბილად გეძინა. აღარ შემიძლია ამ ჯოჯოხეთში გაძლება, ადე, წავიდეთ, მირიან, წავიდეთ! — მაია ზურგჩანთის ჩალაგებას შეუდგა.

კარი გაიღო და ნასტიამ შემოიხედა. თმააბურძულსა და თვალებდაგუდულს საკინძის შეკვრა დავიწყებია. გაღეღილ მკერდს თითქოს ვიღაცას ახარბებსო.

— თქვენ რა, წასვლას აპირებთ? — ახლაღა დაიწყო საკინძის შეკვრა.

— ომის დამთავრებამდე აქ ხომ არ დავრჩებით? — მიუგო მაიამ.

— ჩონდა თქვენთან ერთად არ წამოვა.

— მისი წაყვანა ჩვენ არც გვიფიქრია.

— აბა, თვითონ მოიგონა?! — გაბრუნდა და ღუმელთან მიმდგარ ჯონდოს კისერზე ჩამოეკიდა. — ძვირფასო, ისინი ამბობენ, ჩონდას წაყვანა ჩვენ არც გვიფიქრიაო.

— მე მაინც უნდა წავიდე.

— იმ ხალხს შენ არ უნდიხარ.

— მე ჩემი გზა მაქვს, ცალკე წავალ.

— დარჩი, ნუ მიმატოვებ მარტო! არ გეცოდები? უშენოდ რაღა გამაძლებინებს? ის ხომ არ გეწყინა? სიყვარულით მომივიდა, ღმერთმანი... შენ ისეთი ტკბილი ხარ... დარჩი, გემუდარები! თუ გინდა დაგიჩოქებ! მე ცუდი ქალი არა ვარ, ვისაც გინდა ჰკითხე...

— ვიცი, ნასტია, შენისთანა კარგი ქალი ჯერ არ შემხვედრია... მაინც უნდა წავიდე.

— იქნებ გერიდება, ისინი რომ მიდიან? შევეხვეწები და ორიოდე დღეს მაინც დარჩებიან...

— არა, ნასტია, მე მაინც ვერ დავრჩები.

— ორიოდე დღე, მხოლოდ ორიოდე დღე, მეტი არა!

— არ შემიძლია. ომია... ჩვენ ის კი არა ვართ...

— ერთი დღე, მხოლოდ ერთი დღე!

— არა-მეთქი.

ნასტია კვლავ ჩვენ მოგვიბრუნდა.

— დარჩით, გევედრებით!

— რა ვიცი... — მაიას დაბღვერილ შემოხედვას წავაწყდი. — ვერა, ნასტია. ჩვენ უნდა წავიდეთ ახლავე! უსიკვდილოდ...

— სთხოვე, ის მაინც დარჩეს! შემიბრალეთ!

ჯონდოსთან მივედი.

— ბიჭო, მართლა ჩვენი ხომ არ გერიდება?

ორიოდე დღით დარჩი. მიკვირს შენი ამბავი.

მეზღვაურმა თავი გაიქნია, არაო.

— რატომ? გაწყენინა რამე?

ჯონდომ ისევ გაიქნია თავი.

— აბა, ორიოდე დღე რა არის?! რაღაცას მიმალავ?!

— შენ არ იცი... მეშინია...

— ცუდი ქალია?

— პირიქით. ამისთანა ქალი ქვეყანაზე მეორე არ მეგულება. მაგასთან ორიოდე დღეც რომ დავრჩე, ველარ მოვშორდები... სულ ველარ მოვშორდები... ჰო, ისეთი გემრიელი დედაკაცია ეგ დასაწვავი... გამიგე?

ნასტიასთან გავედი. უსიტყვოდ ვაგრძნობინე, არა შევება-მეთქი.

დიასახლისი მეზღვაურთან მიიჭრა.

— თუ ასე მალე გამექცეოდი, რაღას მოდიოდი? თავი შემაყვარე და ახლა გარბიხარ, შე ოხერტიალო! — სილა გაარტყა, თვითონვე შეცბა, ეს. რა ჩავიდინეო, უკან დაიხია, მოწყვეტით ძირს ჩაეფეხვა და ტირილი დაიწყო. — ღმერთო, რა დაგიშავე ამის ფასი, რატომ მაწამებ? რისთვის მომისაჯე, ქალი იყავიო? — სადღაც შორს გაიხედა.

ჯონდომ სილაქანი ჯილდოსავით შეიმშვენა, ლოყაზე ხელი ჩამოისვა და ნასტიას ნაღველშერეული ღიმილით დახედა.

— სულელი! — ამრეზილად ჩაილაპარაკა მაიამ. — აღარ შემიძლია მაგის ყურება. წავიდეთ, გვაგვიანდება, მირიან! წავიდეთ, მაგათ რაც უნდათ ისა ქნან.

ბარგი ავიკიდეთ და მეორე ოთახში გავედით.

— ნახვამდის, ჯონდო! ის ამბავი არ დაგავიწყდეს!

— მოვდივარ მეც. — ჯონდო ბარგი-ბარხანის აკრეფას შეუდგა.

ნასტიამ თავი ასწია, დიდრონი მწვანე თვალები შემოგვაფეთა, შეშლილივით წამოვარდა და გარეთ გაიქცა.

— თინი არაფერი მოგვიწყოს?! — დაფრთხა მაია. — მისდიეთ!

ეზოში გავედით. ნასტია საბძელში შეიჭრა.

— სულ გადაირია ეს დედაკაცი! — ხელები გაშალა და თავისებურად წაუსტვინა ჯონდომ.— მეცოდება, მაგრამ რა ვქნა? ჩამოსასიძებლად კი არ მოვსულვარ აქ!

— თან რომ წაიყვანო, ვითომ რა დაშავდება? დაავლე ხელი და...

ჯონდომ ისევ წაუსტვინა.

— იქით მიდექი, საბძლიდან არაფერი გვესროლოს! შენ დაგავიწყდა, მე ვინა ვარ? არც არავის ყმა ვყოფილვარ

— ვაი! — წამოიძახა მაიამ. — თოფი უჭირავს.

ავტომატი მოვიმარჯვე, ჯონდომ პარაბელუმზე გაიკრა ხელი.

ნასტიას თოფი არ შეუმართავს.

— აი, მეც მაქვს იარაღი, თქვენ, მგონი, ტყუილი გეგონათ. — ნასტიამ კარაბინი შეათამაშა და ჯონდოს შეხედა. — რაკი შენსას არ იშლი, ყველაფერს მივატოვებ და წამოგყვები. თუნდაც შენს დასაცავად წამოვალ, სხვა არაფერი მინდა. თუ ამასაც დამიშლი, იცოდე, ცუდად დამთავრდება ეს ამბავი. აღარ შემიძლია მარტო ყოფნა, ადამიანები არა ხართ? — შემიბრალეთ! — უცებ თოფი ხელიდან გაუვარდა, მერე თვითონაც წინანდებურად ჩაეფეხვა, თავი ხელებში ჩარგო და გულამოსკვნით აზლუქუნდა.

ჯონდოს ერთ წუთში ასჯერ გაუნათდა და მოეღრუბლა სახე. მერე დაავლო ხელი ნასტიას და წამოაყენა.

— რა გატირებს?

— აღარ ღირს ჩემი სიცოცხლე, არა! — ჩაიქნია ხელი. — წადით! მომშორდით! უუჰ! — ისევ წასკდა გულმდუღარე ქვითინი.

— შეკარი ბოხჩა! წავიდეთ ერთად! გეყოფა ტირილი! ცრემლი აღარ დამანახო!

— მირიან, ჩვენთან ერთად უნდა წამოვიდნენ?! — მაიას საოცრად გაუდიდდა თვალები და რატომღაც ხელი მკლავში მაგრად ჩამავლო.

— რამ შეგაშინა, მაია? — სევდანარევად გაუღიმა ჯონდომ. — როგორც შენ იტყვი, ისე მოვიქცევით, ჩვენ ის-კი არა ვართ...

ჩემი და ჯონდოს გზა კვლავ გაიყარა. ორივე აღმოსავლეთისაკენ წავედით, მაგრამ სხვადასხვა ბილიკით.

შავ ნაბადში გახვეულ მეზღვაურს კარაბინით შეიარაღებული მწვანეთვალებიანი ქალი გაჰყვა.

— დაიღალე მაიკო?

— არა! — მძიმედ სუნთქავს მაია.

— ცოტაც და სამშვიდობოზე გავაღწევთ.

შეუსვენებლად მივფორთხავთ.

სადღაც უკან სამი მაშხალა ავარდა ცაში — წითელი, მწვანე და ყვითელი.

„გერმანელები შეტევაზე გადმოდიან? არა მგონია. ჯერ რიერაჟის ნასახიც არ ჩანს, გერმანელები ღამით იერიშს არ დაიწყებენ".

გუშინ მდინარეს მოვადექით, არ ვიცი, რა ერქვა. ძველი ნავი ვიპოვეთ და გადმოვცურეთ. მღვრიე მოდიოდა. გაზაფხულზე ყველა მდინარე დიდდება და იმღვრევა. მერე გამხმარი ლაქაშები გადმოვთელეთ. ახლა ნეიტრალურ ზონაში ვართ, ასე ვთქვათ, საარვისო მიწაზე.

წინ და უკან მაშხალებს ისვრიან. მინდორს ფერფური ეცვლება. მაშხალა კი არა, თითქოს სიკვდილი ახელს თვალს, მიდამოს ზვერავს, საკბილოს ვერაფერს ამჩნევს და კვლავ ხუჭავსო.

სადღაც ფერად ტყვიებს ისვრიან, ალბათ, თვითმფრინავს უმიზნებენ. მუქად ჩალურჯებულ მოწმენდილ ცაზე ფერადი ტყვიები შორიდან-

საოცრად ლამაზი ჩანს: ვარსკვლავები მიფრინავენ, შუქი ელევათ და ქრებიან.

წინ, ასიოდე ნაბიჯზე ყუმბარა აფეთქდა. სიბნელეში ცეცხლის შადრევანმა გაიელვა. მერე ისეთი გუგუნი ატყდა, გეგონებოდათ, უზარმაზარი როიალის კლავიშებზე ჩექმებიანი დევები დარბიანო. ირგვლივ წითელი შადრევნების ელვა და მიწის ხვნეშა-გოდება გახშირდა. მაშხალები თვალს ტყუილად არ ახელდნენ, ეტყობა, შეგვამჩნიეს.

გერმანელებიც გვესვრიან და ჩვენებიც. თავის აწევა შეუძლებელია. მიწას ვებღაუჭებით, ლამის შიგ ჩავძვრეთ.

— მაია!.. ჰა, მაია!.. სადა ხარ, მაია?

— ნუ გეშინია, არ მომხვედრია.

აქ მოცდა არ შეიძლება, ერთობ ღია მინდორია ირგვლივ წივის ტყვია, ყუმბარები მიწას აბრუნებენ და ზრიალებს ღამე. სიცოცხლე ასე ძლიერ არასოდეს მწყურებია და სწორედ ეს მაშინებს: ვაითუ საბედისწერო გამოდგეს-მეთქი. გასავლელი ალბათ, ხუთასიოდე ნაბიჯილა დარჩა. ახლა სიკვდილი ყველაზე ძნელია. მარტო მე ხომ არ მოვკვდები? ის ბიჭებიც ხომ მე მომყვებიან?

მივფორთხავ თავდაღუნული, მხოლოდ მაიას ვხედავ ხოლმე, სხვა არაფრის დანახვა არ მინდა. სადღაც წინ წყარო ღიღინებს, ის მეძახის, არ შეჩერდეო. თითქოს სწორედ ის წყარო აქრობს ცეცხლის უამრავ შადრევანს და არ უშვებს ჩემამდე.

ამეკვიატა: მინდა წარმოვიდგინო, რომ იმ წყაროდან ჩიტები აფრინდნენ ლაჟვარდ ცაში, აფრინდნენ მაღლა, ძალიან მაღლა და იქ გაუჩინარდნენ... ქვებივით არ ჩამოცვენილან ძირს და არ დამარხულან თეთრ თოვლში. რამდენჯერმე დავხუჭე თვალი და ეს სურათი ვერაფრით წარმოვიდგინე. მეწყინა.

„სამასიოდე ნაბიჯილა დარჩა, ალბათ, და სამშვიდობოზე ვიქნებით. სამასიოდე ნაბიჯი... სამასი სპარტელი... სამასი არაგველი.,. სამასიოდე წამი.., სწორედ აქ გავლაა ძნელი. ეს არის ბეწვის ხიდი. აქ თუ გავიარე, ჩვენი ბიჭები გამომყვებიან და მერე ერთად ვიცოცხლებთ...“

ფერადი ტყვიების მრავალწერტილი კვლავ მიფრინავს სადღაც. მერე იმ მხარეს, თითქოს ცაში უზარმაზარი შიშველი ხმლები გადააჯვარედინესო, ორმა გრძელმა შუქმა ერთმანეთი გადაკვეთა.

„აი, უკვე რამდენჯერ დაგვწერეს ჯვარი პროჟექტორებმა? ჯერ ზღვაზე, მერე მიწაზე... ცაშიდა გვაკლია ჯვრისწერა...“

კამკამა წყაროს იდუმალ ღიღინს მაყრულის შორეული ხმა ჩაეზიარა.

შუკა ყავრის მაშხალებითაა გაჩირაღდნებული. ცას დამბაჩების ბათქაბუთქი აყრუებს. წკრიალებს ჯვარედინად გადაჭდობილი და თალად შეკრული შიშველი ხმლები და ხანჯლები.

იმ თაღქვეშ ნეფე-დედოფალი მიაბიჯებს, დედოფალს უმანკო თოვლივით თეთრი კაბა აცვია, თავზე ქულაღრუბლისფერი ლეჩაქი ახურავს. ცისფერი თვალები აქვს, დიდრონი.

კარის ზღურბლთან დედოფალს ხელი შევაშველე. იქვე თეფში დევს. დავარტყი ფეხი და ნატეხები ირგვლივ გაიბნა. გაღიმებული მანდილოსანი შემოგვეგება. ის არის, მეტყევის ქოხში რომ დაგვყურებდა კედლიდან. ორი შაქრის ნატეხი აიღო, ერთი მე ჩამიდო პირში, მეორე — დედოფალს: ერთმანეთს ასე ტკბილად შეაბერდითო. ჭაღგაბრდღიალებულ დარბაზში გრძელი სუფრაა გაშლილი. დედოფალს თმახუჭუჭა ბიჭი ჩაუსვეს კალთაში — შენიც მალე გვენახოსო.

დახეთ საოცრებას?! ქორწილზე ისინიც მოსულან... კაპიტანს მთელი რაზმი მოუყვანია. ყველა კოხტადაა გამოწკიპული. მხოლოდ სავლე გამოირჩევა, ცალ ფეხზე ისევ ქალამანი აცვია. ბოდიშს იხდის: მეორე ცალი საჩემო ჩექმა ვეღარ ვიშოვეო. უხარიათ ბიჭებს, ტაშს უკრავენ, ცეკვავენ და მღერიან.., დედაბერი ხატთან კი არა, უისრო საათთან მიმდგარა და ლოცულობს.

ღიღინებს წყარო და გუგუნებს მრავალჟამიერი...

ბიჭოს! ძელმიწურთან მივსულვართ!

— მაია, ხედავ? გათენებამდე შევეფაროთ?

შევედით. ვიღაცა კვლავ გვესვრის. მტვერი გვაცვივა თავზე.

„ნუთუ მარტოოდენ ჩვენ ორს გვიშენენ ამდენ ტყვიას, ყუმბარასა და ნაღმს? ეჰ, რამდენი რამ იხარჯება ერთი კაცის მოსაკლავად?! ადამიანის სიცოცხლისათვის ამის მეათასედიც რომ იხარჯებოდეს, რამდენხანს ვიცოცხლებდით?!“

ირგვლივ თითქოს მართლა ჯოჯოხეთია, ჩვენ კი ორი ანგელოზივით ვართ ვიწრო ძელმიწურში შეყუჟული და თავზე გვეყრება მიწა. მაშხალები ინთება და ქრება. მათი შუქი მიწურშიც იჭრება ხოლმე და მაიას დამფრთხალ თვალებს დასთამაშებს. ამ წუთში მე ვხედავ ორ წყაროსთვალად გაყოფილ ბინულს, რომელშიც შიშის შუქი ირეკლება ... და ერთი რამ მიხარია, რომ არ მერიდება, ამ თვალებს თვალი გავუსწორო.

— მაია, რამ ჩაგაფიქრა?

— უცებ ისეთი სისულელე მომიფრინდა თავში, რომ გითხრა, გაგეცინება.

— ოღონდ ახლა გამაცინე და...

— იმ ქოხში დაბრუნება მომინდა... ასე მგონია, არ დამწვარა-მეთქი. შენ არ მოგნატრებია არასოდეს?

— ჩვენ იმ ტყეს კიდევ ვნახავთ, მაია... იმ წყაროსაც... იქ კვლავ აშენდება ქოხი...

შევყურებ მაიას და მესმის კამკამა წყაროს იდუმალი ღიღინი.

სროლა შეწყდა. ცას ღრუბელი მოეძალა და ღრუბელმა ვარსკვლავები სათითაოდ ჩაყლაპა. ძელმიწურში ნაცრისფერმა სინათლემ შემო-

იხედა. მერე, თითქოს განთიადს მიესალმენო, მაშხალები კიდევ ისროლეს. ვიღაცამ ცაში ფერადი ტყვიების მრავალწერტილი გაჰკიდა. მიწურის ვიწრო კარიდან ეს ისე გამოჩნდა, თითქოს ოქროს ჩიტები ერთმანეთს დაედევნენ და ღრუბლებში რიგრიგობით გაუჩინარდნენო.

კიდევ ვცადე, ჩიტების წამოფრენა ძირს ჩამოუცვენლად წარმომედგინა. გული გამინათდა: ბოლოსდაბოლოს, ეს მოვახერხე.

— დაპატიმრებული ხართ ორივე!

— რატომ? — წამოვიძახე მე. — რა დავაშავეთ?

მაიას ენა ჩაუვარდა და დიდრონი თვალები შუბლზე აუცვივდა.

სერჟანტმა მშვიდად მომიგო:

— არ ვიცი, იქ გაარკვევენ, ასე გვაქვს ნაბრძანები.

დილით, ჩვენები რომ დავინახე, ცას ვეწიე სიხარულით, მეგონა, რაკი გერმანელებს თვალსა და ხელშუა გამოვუძვერი, გავთავისუფლდი-მეთქი. ბედნიერება მომიზღვავდა. თურმე რა ადრე ყოფილა ფრთების გაშლა?!

თოფ-იარაღი აგვყარეს, ზურგჩანთები გაგვიჩხრიკეს და ყველა ჯიბე ამოგვიბრუნეს. მერე კისერზე ავტომატჩამოკონწიალებულმა სერჟანტმა გვიბრძანა:

— აბა, წინ გამიძეხით! თუ გაქცევას დააპირებთ, გაუფრთხილებლად გესვრით!

— რატომ უნდა გავიქცეთ? ვის უნდა გავექცეთ?

— მე ვალდებული ვარ გაგაფრთხილოთ, დანარჩენი თქვენი საქმეა. აბა, ნაბიჯით იარ!

მტვრიან გზაზე გავედით. მერე ბილიკით წაგვიყვანეს. პატარა ბორცვზე ტყვიით კეფაში გახვრეტილი მუზარადი პირქვე გდია. რომელიღაც ლამაზ ყვავილს სწორედ იმ ნატყვიარიდან ამოუყვია თავი და მუზარადზე გადმოხრილა.

„ვერაფერი ვერ აკავებს გაზაფხულის მოსვლას".

შევჩერდი და ყვავილს მივაშტერდი.

— მაია, ხედავ?

— ფეხს ნუ ითრევთ, წადით ჩქარა! — მოგვადგა სერჟანტი. მაიას ხელიც კი უბიძგა.

— ამხანაგო სერჟანტო, ის მაინც გვითხარი, სად მიგყავართ?

— ჩუმად, ნუ ლაპარაკობთ! მიგიყვანთ და გაიგებთ! — მკაცრად მოგვახალა და ავტომატი შეათამაშა.

ყრუდ დახურულ დერეფანში გაგვატარეს და თეთრად შეფეთქილ ოთახში შეგვიყვანეს.

დარაბა ნახევრად არის შეღებული და მხოლოდ ფანჯრის შორიახლო დადგმულ კარადებიან მაგიდას ანათებს. იქვე დგას ცეცხლგამძლე კარადა — სეიფი. მაგიდას უზის სათვალიანი კაცი, პირმსუქანი და უულვაშო. ხაკის ხალათი აცვია, საყელოზე ჩინის არავითარი ნიშანი არ უკეთია. წინ ქაღალდების დასტა უწყვია და უგულოდ ფურჩქნის, იფიქრებთ, რაღაც დაჰკარგვია, დარწმუნებულია, აქ რომ ვერ იპოვის და მაინც ეძებსო.

კართან ავტომატიანი ჯარისკაცი გამოჭიმულა.

სათვალიანმა კაცმა ქაღალდებს თავი მიანება, დასტას ხელი დაარტყა, აქაოდა, შენთან აღარაფერი მესაქმებაო, წამოდგა და თვალი გულგრილად აგვაყოლ-ჩამოგვაყოლა.

— აბა, დაწვრილებით მიამბეთ, ვინ ხართ და საიდან მოსულხართ? — წითელი ფანქარი აიღო და მაგიდაზეააკაკუნა, თითქოს სამარშოდ დოლს უკრავსო.

ის უკაკუნებს, მე კი პირწმინდად ვუყვები ყველაფერს, ალყაში როგორ მოვხვდით, მერე რა გადაგვხდა.

სათვალიანი კაცი ნიკაპზე მარცხენა ხელს ისვამს ხოლმე და სადღაც ამ ოთახის მიღმა იყურება. მგონი, მე არც მიგდებს ყურს.

— შემდეგ? განაგრძე!

— სულ ეს არის. ჩვენიანებთან გუშინ დილით გამოვაღწიეთ. იარაღი აგვყარეს და აქ მოგვიყვანეს.

— ლამაზი მოყოლა გცოდნია. ვიღაცის შეთითხნილი ზღაპარი ალილუიასავით გაგიზეპირებია. — ფანქარი ქაღალდის დასტაზე დააგდო და სათვალე შეისწორა.

მაიას გაკვირვებით შევხედე. მაიამაც გაოცებით შემომხედა და მხრები აიწურა.

ახლაღა შევამჩნიე, ოფლში აზელილი მტვრის ლაქა გაჰკვრია ლოყაზე. თითქოს ამან ხალივით დაამშვენაო, მაია ასეთი ეშხიანი არასოდეს მჩვენებია.

— არც თქვენ გვიჯერებთ?! — მე და მაიამ ერთდროულად ვთქვით.

— დაუჯერებელს ვინ დაიჯერებს? რუკა არ გქონდათ, არც კომპასი, არც ვინმეს დაუვალებია და ისე, ღვთის შეწევნითა და კითხვა-კითხვით მოახერხეთ იმ სიშორიდან გამოსვლა, არა?

— ბევრი ვიწვალეთ, მაინც მოვახერხეთ... გვჯეროდა...

— ჩინებულია ქალ-ვაჟის წყვილად სიარული. გზაზე არ მოგწყინდება და არაფერი, მთვარიან ღამეებში იოცნებებ და ათას ერთი ღამის ზღაპარსაც შეთხზავ... შვილები გზადაგზა გააძიძავეთ, თუ...

— ამხანაგო უფროსო, მადლობის მაგიერ...

— ოჰო, თქვენ ორდენებიც გნებავთ? იქნებ ოქროს ვარსკვლავიც? — სათვალე მოიხსნა, თვალმოჭუტვით შემომხედა და ისევ გაიკეთა, უცებ დაჯდა, ხელი დამუშტა და ქაღალდის დასტას დაარტყა. — გასაგებია, ჯილდოსაც ითხოვენ, რომ მერე ყველგან თავისუფლად შეაღწიონ...

— ამხანაგო უფროსო!..

— ვინ არის აქ შენი ამხანაგი? ამხანაგები სადაც დატოვე, იქ მოიკითხე! სიტყვა რომ არ შეგაწყვეტინე, გგონია, დაგიჯერე მონაჩმახი? —

ხაკისხალათიანმა წითელი ფანქარი კვლავ ააკაკუნა.

ავდუღდი, მაგრამ... ჯიბიდან ქაღალდი ამოვიღე და მაგიდაზე გაშლილად დავდე.

— ეს რა არის? — ირიბად გახედა სათვალიანმა.

— დაღუპული რაზმის სია, ერთერთი რაზმელის ხელით დაწერილი... ისინი ყარაბურუნის მთის ფეხთით მარხიან. იქვეა გერმანელთა ახალი სასაფლაო. ეს კი, — ჯონდო ჰედიას ფურცელი ჩემსას დავადე. — დაღუპულ მეზღვაურთა სიაა. ამის დამწერი ცალკე წამოვიდა, იქნებ ვერ გამოაღწიოს, ესეც შეინახეთ.

— საბუთები უხვად მოგიმარაგებია.

— თუ არა გჯერათ, შეამოწმეთ. სასაფლაო არსად გაიქცევა.

— მკვდრებს იმოწმებთ, ხმის ამოღება რომ არ შეუძლიათ?

— იმ საძმო საფლავში ამ სიის ასლი დევს.

— დიდი ამბავი. — სია უგულოდ ჩაათვალიერა. — რაზმის სიაში თქვენ რატომ არ სწერიხართ?

— რატომ უნდა ვეწეროთ? აკი გითხარით, ამ სიის შედგენისას ჩვენ რაზმში არ ვიმყოფებოდით-მეთქი?

— თუ პატიოსნები ხართ, ისა თქვით, მთელი ბატალიონი რომ დაიღუპა, მხოლოდ თქვენ ორნი როგორღა გადარჩით? ჯადოქარმა შეგილოცათ, თუ...

— ყველაფერი თავიდან გიამბოთ?

— მე გეკითხებით, რაც ნამდვილად მოხდა.

მაგიდაზე ნატყვიარი „ვეფხისტყაოსანი" დავდე.

— ესეც შეინახეთ! სია ამ წიგნში იდო, ორივე ერთი ტყვიითაა გახვრეტილი.

— თქვენი ნასროლი ტყვიით? — წიგნი გვერდზე მიაჩოჩა უულვაშო კაცმა.

მეტი სიბრაზისგან ენა დამება. როცა სიმართლეს ცოცხალი მოწმე არა ჰყავს, ყველაზე უფრო მაშინ უჭირს თურმე.

— კი, ბატონო ,ნუ დაგვიჯერებთ! ჩვენ ხომ ვიცით, რომ პატიოსნები ვართ სულხორციანად...

— ისიც სულხორციანად?! და აქ ანგელოზის ფრთებით მოფრინდით, არა? ყველა ვიგინდარა ეგრე გაიძახის: ცამდე პატიოსანი ვარო. ქაჯები და ეშმაკები სხვები არიან, მე კი წმინდანი გახლავართო. მაშ, არ ამბობთ, რაც ნამდვილად მოხდა? მაშინ მე გეტყვით. თქვენ, ყველანი, ერთად დაგატყვევათ მტერმა. რაზმელები ფაშისტებმა დახვრიტეს. რა თქმა უნდა, თქვენც ესროლეთ ნდობის მოსაპოვებლად. მერე გერმანელები სამოთხეს დაგპირდნენ და გამოგვიშურეთ აქეთ. ვიცნობთ ჩვენ ვერაგი ფაშისტების ხრიკებს! ეგრე ადვილად არ ვტყუვდებით... მთელი თქვენი ამბავი ფაშისტების თეთრი ძაფით არის ნაკერი. გუშაგო წაიყვანე!

— გვაპატიმრებთ?!

— ჩვენ ათასი თვალი გვაქვს, ვერავინ მოგვატყუებს. ალყიდან ბევრი გამოდის, მაგრამ ყველა არ არის სანდო.

მაიამაც ამოიღო ხმა:

— ღმერთო ჩემო, რა უნდობლობაა? იმიტომ გვაპატიმრებთ, ფაშისტებმა რომ ვერ მოგვკლეს?

— ჩვენ ასე უამრავი ჯაშუში დავიჭირეთ უკვე. — უულვაშო კაცმა თავი ჩაღუნა, თითქოს თითონაც გრძნობს, უსამართლობას რომ სჩადის, სინდისმა შეაწუხა და თავი მოგვარიდაო.

— ერთი თხოვნა მაინც შეგვისრულეთ. ეგ საბუთები კარგად შეინახეთ, წიგნიც. დრო-ჟამი გაარკვევს ყველაფერს. იმ ხალხს უგზოუკვლოდ ნუ დაკარგავთ, ცილი რომ არავინ დასწამოს. ჯონდო ჰედია თუ გამოჩნდეს, იცოდეთ, იმ ვაჟკაცმა უამრავი ფაშისტი გაჟუჟა, მაგრამ მოწმე არც იმას ჰყავს და ლაფს ნუ გადაასხამთ თავზე. ფიცხი ბიჭია, ვაითუ თავს უბედურება აუტეხოს... ეს არის ჩვენი სათხოვარი, მეტი არაფერი. ჩვენ ჩვენი ვალი მოვიხადეთ, როგორც შევძელით, ამიერიდან თქვენ იცოდეთ...

„ეჰ, სადა ხარ ჩემო კაპიტანო? ხედავ, სხვანაირი ხალხიც ყოფილა! შენ კი ყველას გვენდობოდი და გიმართლებდით კიდეც".

— რაღას უცდი, წაიყვანე! — მიუბრუნდა უულვაშო კაცი ავტომატიან ჯარისკაცს.

— ქალ-ვაჟი რომ არის, ერთად მოვათავსოთ?

— აბა, მაგათთვის ორ გუშაგს მოვაცდენ? რა წმინდანები ეგენი იქნებიან, ერთად ჩაყარე, ჯანდაბას მაგათი თავი!

მაიას მწარედ გაეღიმა და კარისკენ შეტრიალდა.

— არ ინახავთ მაგ საბუთებს? — ვკითხე სათვალიანს.

წიგნიც და სიებიც სეიფში ჩაკეტა.

ეზოში გაზაფხულის მზე შემოგვეგება. მერე ჩვენს ჩრდილს ავტომატიანი ჯარისკაცის ჩრდილი ჩაეხლართა. მზით გამთბარი კვირტები ეული ეს არის აფეთქებას იწყებენ. ერთგან ასფალტი ბალახს ბუჩქ-ბუჩქა ამოურღვევია. ფეხი მოვარიდე, ფრთხილად გადავაბიჯე.

ბადრაგამ სარდაფში ჩაგვიყვანა. თვალი სიბნელეს მალე შევაჩვიე. სარდაფის ვიწრო სარკმელი ზუსტად ჭერის კუთხესთან არის გამოჭრილი. იქიდან მხოლოდ ქუჩის ოღრო-ჩოღრო ქვაფენილი და ღრუბელმორეული ცა ჩანს.

„ჰმ! ბალახზე უფრო დაგვამდაბლეს".

კიდევ კარგი სარდაფში თივა მაინც დაუფენია ვიღაცას.

მაია ლოდზე ჩამოჯდა. მკლავები მუხლებზე შემოიწყო და თავი ჩაჰკიდა.

მეც ჩამოვჯექი.

— აქ დიდხანს ვიქნებით? — ვკითხე ბადრაგას.

— არ ვიცი. ალბათ, სანამ ხალხს არ მოაგროვებენ.

— რა ხალხს?

— მტრის ზურგში ნამყოფ ხალხს. ზოგჯერ ჯგუფ-ჯგუფად გამოდიან.

— მერე? მერე სად ჯანდაბაში წაგვიყვანენ?

— არ ვიცი... გარემოცვიდან გამოსული ხალხი სადღაც შორს მიჰყავთ... ზოგი ამბობს, საგანგებო ბანაკებშიო... შახტებში ამუშავებენო ალბათ... რა ვიცი.

— ნეტავი იმას თუ დასჯიან, ვინც ჩვენ მტრის ზურგში გადაგვყარა და ბედისანაბარად მიგვატოვა? — თავი ასწია მაიამ.

— ღმერთებს ყველაფერი ეპატიებათ. იმათ დანაშაულს მოულოდნელ აციებას დააბრალებენ: ზღვა გაიყინა და მაშველი ჯარის გადასხმა აღარ მოხერხდაო...

— ძნელია... ჩვენ ვინ რას გვეკითხება. — ბადრაგამ კარი მოგვიხურა და გასაღები გააჩხაკუნა.

ღრუბლებით აჭრელებულ ცას გავყურებ, ვიწრო სარკმლის ჩარჩოში რომ არის ჩასმული. იმ სარკმელთან ჩექმები მიმოდის. გუშაგის მხოლოდ ფეხებს ვხედავ, თავს ვერა.

ნეტავი რამ გამახსენა ახლა ეკლესიაში წმინდანად დახატული მუზარადიანი ჯარისკაცი და მის გვერდით ასევე წმინდანად დახატული ქალი?

ამ სარდაფის კედელზეც ხომ არ დავხატო?

„ეჰ, სისულელეა!“

უცებ ნასტია გამომეცხადა.

— ტყუილად მოგაქვთ თავი წმინდანებად, სულ ერთია არავინ დაგიჯერებთ, თქვე უბედურებო! — ნიშნის მოგებით არ ამბობს ამას ნასტია, არც ღვარძლიანი დაცინვით, ეტყობა, გული სწყდება, ასე რომ მოხდა. ჩვენ არ გვიყურებს, ვიღაცას ბურღავს თვალებით.

— დაგვიჯერებს, ნასტია, დაგვიჯერებს.

— როცა ჩვენ აღარ ვიქნებით?

— ჩვენს გულთან და სინდის-პატიოსნებასთან ხომ ვართ მართლები? ეს არის მთავარი, ადამიანი ამისთვის ცოცხლობს. შენ ხომ დაგვიჯერე, ნასტია, სხვაც დაგვიჯერებს. ქვეყნიერება ჩალით არ არის დახურული... თქვენ ხომ გადარჩით?

— ჩვენ ისეთი ხალხი ვართ, არსად დავიკარგებით. ჩემს ჩონდას ტყვია ვერ მოერევა. ისე, სასაცილო კი იყო ჩვენი ამბავი... ხომ იყო სასაცილო? — ნასტიამ ტკბილად გაიცინა.. ნასტიამ თუ?..

მაიას უეცარმა გულიანმა სიცილმა დამაბრუნა სარდაფში.

— შენ იცინი?!

მაიამ თავი დამიქნია და ისევ გულიანად გაიცინა. ეს გიჟის სიცილს არ ჰგავს, მისი სიცილი მეც გადმომედო. წამით გავჩუმდებით, ერთმანეთს შევხედავთ და ისევ სულმოუთქმელად ვიცინით. ვერ გამიგია, რა მაცინებს. მაიას რომ ვხედავ გაცინებულს, თავს ვეღარც მე ვიკავებ.

— რა გაცინებს, გოგო, [illegible]

— როგორ, ჩემთვის რომ გავიცინო, ამის უფლებაც არა მაქვს?! უბრალოდ მეცინება და ვიცინი. სიცილსაც მიშლი?

— გინდა გითხრა, რა გაცინებს? ახლაღა დაინამდვილე, ცოცხლები რომ გადავრჩით და... გიხარია.

მაიამ თავი გააქნია — არაო.

— დანაშაულად ის რომ ჩაგვითვალეს, რატომ თქვენც არ დაიხოცეთო. არც ეს? აბა, თქვი, ნუ მაწვალებ!

— არ ვიცი... თვითონაც არ ვიცი, ღმერთმანი. — მაიას თვალები ბედნიერებით უბრწყინავს.

— ნავსაყუდარს რომ ვეძებდით და ნესტიან სარდაფში ჩამოგვყარეს?

— არა, ეგ სატირელია და არა — სასაცილო.

ამ სიცილმა დამძიმებული გული გამიხალვათა და რაღაცნაირად დიდი შვება მომანიჭა. უცებ გაქრა ის დაბაბულობა, სულზე ბორკილივით რომ მედო.

ჩექმის ყელიდან ვალიკოსეული სალამური ამოვიღე და ჩავბერე, მაია გაერთობა-მეთქი.

— არ გინდა! — გამომართვა გოგომ.

— მაია, შენ ნუ გეშინია, ჩვენ, პატიმრები კი არა ვართ...

— ჰო, პატიმრები აღარა ვართ. — სიტყვა შეაბრუნა გოგომ. — ჩვენ ახლა უკვე შინაგანად ვართ თავისუფლები. არავითარი პასუხისმგებლობა აღარ გვაკისრია. ის გუშაგი იმიტომ კი არ გვდარაჯობს — პატიმრები გამექცევიანო, გვიცავს: ეს ძნელად მოპოვებული თავისუფლება რომ არავინ წაგვართვას. ეჰ, ძნელია! — მაიამ ბოლოს ისე ამოიხვნეშა, ამ ორ სიტყვას უზომო სევდა-ნაღველი ამოატანა.

— რა არის ძნელი?

— ჩვენ დავკარგეთ ღმერთის რწმენა, ის ცრუ რწმენა მართლაც არ იყო საჭირო, მაგრამ ადამიანის რწმენაც ხომ არ უნდა დავკარგოთ? ეს მაშინებს, მირიან!

— ჩვენ ისეთი გზა გამოვიარეთ, არ უნდა დავკარგოთ, მაია. მე არ დამიკარგავს, არც დავკარგავ. ქვეყნიერება ჩვენისთანა ადამიანებისაა და არა — იმათი. მე მჯერა შენი, მჯერა ჯონდოსი და ნასტიასი... კიდევ ბევრის: ზოგი თოვლქვეშ რომ დაიმარხა, ზოგი — მიწაში, ზოგიც სულ უსაფლავოდ დარჩა. ისინი თვითონ დაიხოცნენ, მაგრამ მათი რწმენა არ მომკვდარა.. ჩვენ გამოცდა ფრიადზე ჩავაბარეთ, მაიკო, მერე რა, ორიანები რომ დაგვიწერეს, თუ საჭირო იქნება კვლავ ჩავაბარებთ, უფრო მკაცრ გამომცდელს. ჰოდა, ამიერიდან ჩვენი დამარცხება უკვე შეუძლებელია. როგორც არ უნდა დაგვმარხონ, მაინც ავარღვევთ მიწას ბა-

ლახივით და მზეზე ავალთ.., ნუ გეშინია, მაი:, ნუ გეშინია!..

სარკმელში ჩექმებს ბათინკები შეენაცვლა. ბათინკებიანმა ჩექმებმა ჩამოიჩოქა და კაცის სახემ სარკმელი თითქმის მთლიანად დაფარა. გუშაგმა ერთი შემოიჭყიტა და უმალვე ადგა.

— ამას რა უნდა აქ? — წამომცდა ხმამაღლა.

— ვინ არის? — დაინტერესდა მაია.

— შალიკო ცამციძესა ჰგავს?!

კედელთან ლოდი მივაგორე და ზედ შევდექი. გუშაგის პირისახე მაინც ვერ დავინახე. სარკმელში ქვის ნატეხი ვისროლე.

— კტო კამუშკა ბრასაეტ, კტო კამუშკა ბრასაეტ?! — მომესმა დამტვრეული რუსული.

— შენ, კაცო, შალიკო ცამციძე არა ხარ?

გუშაგმა სარკმელში ჩამოიხედა.

— ღმერთო ნუ გადამრევ?! ამას ვის ვხედავ? მაია, შენც აქა ხარ? სხვები სადღა არიან?

— იქ დარჩნენ.

— პარტიზანებად?

— ყველა დაიღუპა, ჩვენღა გადავრჩით.

— უჰ, რა მითხარი, კაცო?

— შენ მალე მორჩენილხარ?

— კი, ღმერთიც უშველის ნადიას, შვილივით მომიარა, შვილივით. მერე აქეთ მომავალ სამ მეზღვაურს შევხვდი .ძლივს გამოვაღწიეთ. ჯოჯოხეთია მოსაგონებლად .რა ვქნა ახლა მე, თქვენი გადარჩენა რომ არ შემიძლია?

— ხომ არ დაგვხვრეტენ?

— დახვრეტა ღმერთმა გაშოროთ, მარა...

— არც ნაკლები შავი დღე გველის?

— თქვენ გარემოცვიდან გამოხვედით, ალბათ, სხვა ხომ არაფერი ჩაგიდენიათ?

— სხვა რა უნდა ჩაგვედინა?

— მაინც ძნელია.

— შენ როგორღა გადარჩი ამ ხიფათს, შენც ხომ..

— იმ მეზღვაურებმა მიშველეს... თავისი ძველი მეთაური ნახეს და... თუ ძმა ხართ, ნუ გამწირავთ, თქვენი გადარჩენილი კაცი ვარ.

— ნუ გეშინია. შენც რომ დაგიჭირონ, ჩვენ რა მოგვემატება?

— სანამ ვიცოცხლებ. სანამ ვიცოცხლებ... იცი, რას გეტყვით? თქვენ ისეთი კარგი ხალხი ხართ, აფსუსია, სადღაც დაიტანჯოთ. აგერ, ღამდება უკვე, გაგიღებთ კარს და გაიქეცით. ისეთ რა სასჯელს დამადებენ?

— უმალვე გამოჩხრეკენ შენს ამბავს და... სად გავიქცეთ, ბიჭო, როცა ირგვლივ... არა, შალიკო, ჩვენ აქედან გამქცევები არა ვართ.. ეგონებათ, მართლა დამნაშავეები იყვნენ და იმიტომ გაიქცნენო. დაგხვრეტენ. შე საცოდაო...

— აპა, რა ვქნა ახლა მე?

— ჯავრი ნუ გაქვს, სადაც არ უნდა ჩაგვყარონ, ჩვენს სიმართლეს დავამტკიცებთ, ბოლოსდაბოლოს.

— ისე, კაცმა რომ თქვას ზურგში ყოფნა ახლა იქნებ სჯობდეს კიდეც. იქ ტყვიას და ყუმბარას მაინც არ ისვრიან. — რაკი სანუგეშოდ სხვა ვერაფერი გამონახა, ამითღა მოგვცა იმედი. — მართალია, პატივაყრილი იქნებით, მაგრამ აქ ჩვენს ნებაზე ვართ ვითომ?

მე მაიას სალამური გამოვართვი და ორიოდეჯერ ჩავბერე

— ვალიკოც დაიღუპა, ვალიკოც! — გულმოკლულად თქვა შალვამ.

— მართლა?! როდის?

— თქვენ რომ გამოგისტუმრათ, მესამე დღეს ნადია მეზობელ დაბაში წავიდა რაღაცაზე და იმან მოიტანა ამბავი: შენი მომყვანი ერთი ულვაშა ქართველი სახრჩობელაზე ვნახეო. თურმე ბომბების საწყობი აუფეთქებია, იქვე თვითონაც დაჭრილა და დაუჭერიათ. დედაბერი ყოველსაღამოს სანთელს უნთებდა... კაი ბიჭი იყო საწყალი...

„არა ვალიკოს არავინ გაუცია, არც უბრალოდ წაუგია თავი, პატიოსნად დაღუპულა დედისერთა ბიჭი“. — ადრინდელი ჩემი ეჭვის გამო ახლა ვინანე.

სამარისებური დუმილი ჩამოწვა.

— თქვენ გეშიებათ, ვიცი.

— ეჰ, — ხელი ჩავიქნიე მე.

— აგერ, ცოტა რაღაცა მაქვს, გაისველეთ პირი. — შალვამ ხუთი დამწნილი ვაშლი, მუჭისხელა ყველი და პურის ნაჭერი ჩამოგვაწოდა. — თუ ვიშოვე რაიმე, ხვალ დილით კიდევ მოგიტანთ. დედა არ მომიკვდება, მრცხვენია, თქვენ რომ გყარაულობთ.. ჩემი ბრალი არ არის, ღმერთმა იცოდეს...

— ეჰ, ღმერთმა რომ იცოდეს..

დაღამდა. ცამ მოიწმინდა. სარდაფში ახლა სამნი ვართ: მაია, მე და ჩუმი სიბნელე. ქვაფენილზე ნალდაჭედილი ჩექმის ხმა მიმომიდის. სადღაც უსასრულობაში ვარსკვლავები კიაფობენ.

ცაში მარხილი შემოსრიალდა. იმ მარხილს წყვილად უბია ფურირემი და ხარირემი. მარხილში ჩვენი ბიჭები სხედან, ლაღობენ, ცაში რომ მიჰქრიან ირმებშებმული მარხილით. თვალები ვარსკვლავებივით უკიაფებთ. წუთით თუ მოერევათ ხოლმე სევდა. ამირანმა სიმღერა წამოიწყო და აჰყვნენ სხვები.

გაფრინდი, შაო მერცხალო, გაჰყე ალაზნის პირსაო,

ამბავი ჩამოგვიტანე ომში წასული ძმისაო.

— სავლე, როგორ მყავს შენი თავი, ბიჭო?

— ამან მიშველა, — ჯერ ჩექმიანი ფეხი დამანახვა, მერე ქალამნიანი, — საიქიოში რომ მივედი, ერთდროულად ორი კაცი მეტაკა — თეთრი და შავი. თეთრმა ქალამნიან -ფეხზე წამავლო ხელი, ჩექმიან ფეხს შავი მოეჭიდა. თურმე თეთრი სამოთხის მოციქული იყო , შავი კი — ჯოჯოხეთის. დგანან საიქიოს გზაჯვარედინზე და ფეხზელად დარაჯობენ. ვისაც ქალამნები აცვია, სა-

მოთხეში მიჰყავთ, ვისაც ჩექმები — ჯოჯოხეთში. ჰოდა, კინაღამ შუაზე გამხლიჩეს. ღმერთს შევეხვეწე სულ ასე ხომ არ ვეწამები, უკან დამაბრუნეთ-მეთქი. დამაბრუნა მიწაზე. მერე გავიგე: თურმე ის ღმერთი შენა ყოფილხარ.

— მაგხელა კაცმა ბავშვივით მთხოვე — მიპატრონეო.

— მე ბოგანოს კი სხვა ღმერთის იმედი მქონდა...

— ადამიანმა თუ ადამიანს არ უპატრონა, სხვა ღმერთის იმედით ვერ იცხოვრებ, სავლე...

— მე ის უფრო მიხარია, სხვებიც რომ გადაარჩინე.

— პირიქით, თქვენ გადაგვარჩინეთ მე და მაია... რაკი თქვენი სიცოცხლე გვებარა, ძალ-ღონე მოგვემატა. გვეშინოდა სიკვდილის, მერე ეს შიში თანდათან დავთრგუნეთ და ბოლოს სულაც გავაგდეთ ჩვენი გულიდან. უამისოდ სიცოცხლეს ვერ შევინარჩუნებდით და ვერც თქვენ გადაგარჩენდით. სხვასაც გეტყვით: ცამციძე რომ ავად არ გამხდარიყო, ჩვენც თქვენთან ერთად ჩავიმარხებოდით თოვლში და ჩვენი ამბავიც სამარადისოდ დაიმარხებოდა. ასე რომ, ეშმაკმა უწყის, ვინ ვისი გადამრჩენელია. ყველამ ერთმანეთი გადავარჩინეთ... გაიგე?

— რაკი შენ ამბობ, ეგრე იქნება...

— ემზარ, შენ რატომ შემომყურებ მუდარით?

— მირიან, შენი ჭირიმე, იმ კაცს თუ შეხვდე კიდევ, სთხოვე, ჩემთვის სათვალე გათხოვოს. ერთი რამის გაგება მინდა ძალიან: იმ სათვალით საიქიო როგორ ჩანს... ალბათ, ჯოჯოხეთი სამოთხესა ჰგავს და სამოთხე — ჯოჯოხეთს.

— ეჰ, საშინელია ეჭვის თვალი.

— ერთსაც გთხოვ, ჩემო ძამია, და მეტს აღარ შეგაწუხებ. გამიგე, ყირიმის აგარაკის საგზური რა ღირს. ამდენი ხანია აქ ვისვენებ... მე ღარიბი ვარ, მარტო ჩემი ხარჯით აგარაკზე დიდხანს ვერ გავჩერდები... ეჰ, ღირდა ვითომ იმ ღმერთისთვის თავის გაწირვა? ეტყობა, მატყუარაა ყველა ღმერთი, იმიტომაც არ ჩანს მიწაზე.

— ჩვენ ღმერთისთვის კი არა, ჩვენი ადამიანური სინდის-პატიოსნებისთვის ვიბრძვით, ემზარ.

— ჰო, ეგეც მართალია... ჩვენი სინდისი ყველა ღმერთზე დიდია.

ჩარირამა, ჩარირამა, ჩარირამა, ბებია,
ყუმბარები შემოგვაკლდა, ქვები მაინც
ბევრია...

აბა, სერგო, ერთი ჯიგრიანად დაუკარი!..

მეწაღიშვილი ოქროს კბილ[illegible] და დოლს აბრახუნებს. ბიჭები ტაშს უკრავენ და ჯიბუტი გამწარებული ცეკვავს, თან მღერის:

ატლარ ჩოპა, თემურ ფაშა, ვააჰა, ჰა!..

— არქიფო, შენ რას დაღვრემილხარ, გშია?

— აპა, არა? ომით გავძეხი და შიმშილით გამძვრა სული... უცნობი გოგოს ერთი კოცნა წამომყვა თან, მეტი არაფერი. ცაში კი არა, მე მიწაზე მინდოდა სიცოცხლე, ამის დედა ავატირე, ყველასი. დიდი ამბავი, მიწაზე მოსიარულე ხალხი თუ დამინახავს: არქიფო სვანიძე ცაშიაო. ცა რა ჩემი ფეხებია?..

— კაპიტანო, შენ რას იტყვი?

— მადლობის მეტი რა მეთქმის?

— შენ მადლობისთვის გასწირე თავი?

— ასეა თუ ისეა, ამიერიდან ჩვენ სიკვდილი არ გვიწერია. ვინც არ უნდა დამარხოს ჩვენი ამბავი, მაინც ამოხეთქავს მიწიდან ბალახივით... ჩვენ იმ ბალახსა ვგავართ...

ცაში ფერადი ტყვიების მრავალწერტილმა გაიქროლა, თითქოს ვარსკვლავებში ვარსკვლავები გაფრინდნენო. ბიჭებით სავსე მარხილი გაჰქრა. მე სარდაფში დავბრუნდი.

მალე მთვარემ ვიწრო სარკმელში შემოიხედა და სიბნელეს ვერცხლისფერი ხანჯალი გაუყარა გულში.

მაია თივაზე წევს, მკლავები თავქვეშ ამოუდვია, თვალგახელილია.

კვლავ ისმის გუშაგის ფეხის ხმა.

მთვარის შუქში გახვეულ მაიას ანაზდად ჩექმის ჩრდილმა გადაურბინა. შევკრთი. თითქოს მაიასაც შეეშინდაო, უცებ თავი წამოსწია, მერე წამოჯდა და მკლავები მუხლებზე შემოისალტა. მძიმედ სუნთქავს, ეტყობა, რაღაცამ ააფორიაქა.

„მთვარე აღელვებს ზღვას. — მომიფრინდა გემზე გაჩენილი ფიქრი. — ვითომ მარტო ზღვას აღელვებს მთვარე?“

— მაია, რა გაწუხებს?

— როგორ თქვა ილიამ?

— ლამაზი გოგო და ლამაზი ბიჭი, სხვა რა უნდა სიყვარულსო...

— სდომებია, ბევრი რამ სდომებია... მე შენ სიზმარში შემიყვარდი, მირიან...

— გემზე გესიზმრა ეგ სიზმარი — მე შენ ბროლის ჭიქით კამკამა წყალი დაგალევინე უდაბნოში...

— ახლაც სიზმარში მგონია თავი, არც მინდა დამთავრდეს.

— რატომ უნდა დამთავრდეს?

— იქნება არც იმან დამიჯეროს, მე რომ... არ დამიჯეროს...

— ვინ იმან, მაია?

— შენ რომ მეუბნებოდი ხოლმე, ციდან დაგტრიალებსო. ჰო, არ დამიჯერებს, არა... ის გალმა დარჩა, ცაში დარჩა... შენ ჩემთან ხარ, გამოღმა, მიწაზე... მე და ის ომმა დაგვაშორა... მე შენ გიპოვე... — მაია ჩემკენ არ იყურება, თითქოს თავის თავს ალსარებას ეუბნებაო. უცებ შემობრუნდა. — ხომ ვართ ბედნიერები, ხომ ვართ?

— მე ნამდვილად ბედნიერი ვარ.

— მე და შენ სულ მარტო რომ დავრჩით, მაშინ ჩავითქვი გულში: თუ უცოდველად ვივლით, სამშვიდობოზე სალსალამათი გავაღწევთ და გადავრჩებით-მეთქი. ეს იყო ჩემი რწმენა. ხომ გადავრჩით?

— ფრჩხილიც არ წამოგვტკენია. რა გაკანკალებს, გეშინია თუ გცივა?

— ჰო, მეშინია და მცივა კიდეც... როცა შენ ბნელში ხარ, ვერ გხედავ და მეშინია... მეჩვენება: სულ მარტო დავრჩი-მეთქი. მომკიდე ხელი, შენი იმედიანი ხელი, შენი ძლიერი და ვაჟკაცური ხელი! აი, მარტო აღარა ვარ. ხომ ვიქნებით მე და შენ ყოველთვის ერთად?

— მაია, ველარ გცნობ?!

— შენ არასოდეს არ გამიშვებ ხელს.

— ამიერიდან ჩვენ სიკვდილიც ველარ გაგვყრის.

— შესაძლოა, შენც და მეც ცალცალკე მოვიტყუოთ თავი, ერთმანეთს კი ვერ მოვატყუებთ... მე არა ვარ შენი დაია, ეს თავსაფარი მე არ მეკუთვნის. დაიბრუნე! დამთავრდა შენი ტარიელობა და ჩემი ასმათობა... პატიოსნებით გაგაწამე, ჩემო მომთმენო ბიჭო!..

მაიას თვალებში ჩავხედე. ჩვენი ფიქრები შეერთდნენ.

„ჩვენ ჯოჯოხეთში წმინდად გამოვატარეთ ჩვენი სული, ადამიანობა და სიცოცხლე... ახლა სრული უფლება გვაქვს, სიცოცხლეს მოვთხოვოთ ყველაფერი, რაც ადამიანურია და ადამიანს ეკუთვნის..."

სარდაფს უხმაურო გრიგალმა გადაუარა და სინესტის სუნი უმალვე გააქრო. ირგვლივ ახლად გამომცხვარი პურის სურნელი დატრიალდა, თითქოს აქვე ცხელი თონიდან შოთები ამოაფრინესო. მე ვიგრძენი თონის მხურვალება და იმ ცეცხლის გემო, მაიამ და მე მეტყევის ქოხში ერთად რომ გავაჩაღეთ. თითქოს ის ცეცხლი აქამდე ცივსა და უხილავ ნაცარში იყო გახვეული და ჩუმად მოგვყვებოდა, ახლა კი ცივი ნაცრის ჯავშანი შემოეცალა და შენახულმა ცეცხლმა ხელახლა იფეთქა, საამო მხურვალებით ამავსო და ამაგიზგიზა.

„მე და შენ ახლა ისე ვართ, როგორც ადამი და ევა".

„ვაშლის შეჭმამდე..."

სარდაფი უფერო ფერში ჩაინთქა და მის ნაცვლად ედემი გადაიშალა.

ჩემკენ დაიხარა ვაშლის ხე, რომელიც ეს-ეს არის აყვავდა და მაშინვე ყვავილებით დახუნძლულ ტოტებში ორი მწიფე ვაშლი გამოკრთა, მხოლოდ ორი ვაშლი... ორი კი არა, ერთი ვაშლის ორი ნაჭერი, ადამმა და ევამ რომ იგემეს.

ვაშლის სიტკბომ, გიზგიზა ცეცხლის მხურვალებამ და ახლადგამომცხვარი პურის სურნელებამ ერთიანად გადამრია და გამაბრუა.

დიდი ხნის გზაშეკრულმა მდინარემ ერთბაშად გამოარღვია ყველა ჯებირი, კალაპოტში ველარ ჩაეტია და ნაპირებს მიაწყდა. წამიღო და ჩამძირა უცნაური ტალღებით აზვირთებულ უძირო ზღვაში, მაიას თმებისფერ ზღვაში.

არა, არ მახრჩობს ეს ზღვა, ნეტარებით მავსებს.

ცის გუმბათი ახურავს ზღვის კალოს. მე ამ ზღვაში გემივით მივცურავ. მომდევს კალო და ცის გუმბათი. ვხედავ ანძას, რომელიც ვარსკვლავთა შორის ქანაობს. მივცურავ და არ მახსოვს — სად... ალბათ, უსასრულობაში. ეს უსასრულობა ზღვაც არის და ცაც...

ნათლიაჩემი მეფუტკრე იყო. სკიდან ფიჭას რომ ამოიღებდა, მომინანქრული თასის ზემოთ დაჰკიდებდა. ფიჭა წვეთავდა. მე პეშვს შევუშვერდი ხოლმე და წვეთ-წვეთად მოგროვილ თაფლს შევექცეოდი... პეშვით რატომღაც უფრო მეგემრიელებოდა.

ახლა მთელი ცა ფიჭად გადაიქცა. ფიჭას შიგადაშიგ ყურძნის მტევნები გამოერია. ერთად იწურება ფიჭა და მტევნები. ციდან წვეთავს თაფლი და ღვინო. უხილავ ხელს უზარმაზარი თასი უჭირავს ცისქვეშ, მალიმალ ავსებს და მასმევს... ერთად მასმევს თაფლსა და ღვინოს. ეს სიტკბო მაბრუებს და ქრუანტელად მივლის.

სინათლის უზარმაზარ შარავანდედში ვარ კა-

ხვეული. სხვას ველარაფერსა ვხედავ. წამით ჩემს მხრებზე შემოხვეული მკლავები დავლანდე. მთვარის შუქზე თეთრად ბრწყინავს. ამ მკლავებსა ვყავარ შებორკილი, რომ არსად გავექცე. ასე მივცურავთ უსასრულობაში ერთ სხეულად ქცეული ორი გემი.

თითქოს იმისთვის გამოვიარეთ ის უსაშველო ჯოჯოხეთი, რომ აქ ეს სამოთხე გვეპოვა. მაია არის ჩემი გემის ყველაზე საიმედო ნავსაყუდარი და მე ვარ მისი გემის ყველაზე საიმედო ნავსაყუდარი.

ღამე სადღაც გადაიკარგა. წვეთავს თაფლსავსე ფიჰადქცეული ჩახჩახა ზეცა და ერთ სხეულადქცეული ორი გემი უსასრულობაში მიცურავს.

თვალი გავახილე. უცებ ვერც მივხვდი, სადა ვარ.

ვიწრო სარკმლიდან შემოსული მზის სხივი კედელს ეცემა. იქ რკინისრიკულებიანი სარკმლის გადიდებული ჩრდილია გაკრული.

მზის შუქში მტვერი უცნაურად ირევა. ასე ჩანან თვითმფრინავები შორიდან, როცა საჰაერო ბრძოლა იმართება. მტვრის ციცინათელები ვარსკვლავებსაც ჰგვანან, გემიდან დანახულ მოქანავე ვარსკვლავებს.

მაია გულაღმა წევს და სარდაფის მიღმა იყურება. მზის სხივი ირიბად ეცემა.

„ჩვენ შუა თოფი აღარა დევს. — ამ წუთში პირველად დავინახე ეს ამბავი. — რა კარგია! ის თოფი მარტოოდენ პატიოსნების კეთილი დარაჯი არ იყო, უფრო შავ ურჩხულად იწვა. ერთმანეთთან თითქოს სწორედ ის ურჩხული არ გვიშვებდა, მოვიშორეთ და სიყვარულმაც თავისუფლად გაუწოდა ხელი სიყვარულს. ეჰ რამდენ სიყვარულს არ უშვებს ერთმანეთთან თოფი? სიყვარულს რომ შეეძლოს, ყველა მახვილს დაამსხვრევდა და გადაყრიდა...“

მაიას გადავხედე ისევ.

„ნუთუ წუხანდელმა ღამემ შეცვალა რამე?“

ორი კამკამა წყაროსთვალი მზით არის სავსე და შიგ ულრუბლო ცის ლაჟვარდი ბრწყინავს. კვლავ ღუღუნებს და ღიღინებს ის წყარო — მიწის გულიდან ამოხეთქილი მარად წმინდა წყარო. არაფერი შეცვლილა. წუხანდელი ამბავი თითქოს სიზმარში მოხდა. ასეთი რამ ვერასოდეს აამღვრევს და ვერ შეცვლის იმას, რაც აქამდე წმინდად მოედინებოდა.

მარტო ქალ-ვაჟის ხორციელი ლტოლვა არ ყოფილა ყველაფერი... არსებულა რაღაც დიდი, იმ ლტოლვის მიღმა რომ იმალება ხოლმე.

„დღესვე რომ დაგვმარხონ ამ სარდაფში, ჩვენი სიყვარული მაინც იცოცხლებს. ამ სარდაფზე დაბლაც რომ ჩაგვყარონ, მაინც ვერავინ დაგვამარცხებს. სარდაფში შემოჭრილი ოქროსფერი სხივის ხიდს ავყვებით ცაში და ავალთ თვითმფრინავებზე მაღლა, სადაც ტყვია ვერ სწვდება, და გავფრინდებით მზისკენ...“

მზისკენ მიმავალი ფიქრი გამიწყდა.

დავყრუვდი და დავბრმავდი.

ირგვლივ თვალგაუვალი სიბნელე ჩამოწვა. ყველგან ბურუსმა და ქაოსმა დაისადგურა.

ეს სამყაროს შექმნის პირველ დღესაც ჰგავს და მეორედ მოსვლის ჟამსაც.

მინდა მაიას დავუძახო და ვერ ვბედავ.

„ხმა რომ არ გამცეს?..“

— მაია, მაია... — წავიჩურჩულე, როგორც იქნა.

ქაოსი და შემაძრწუნებელი დუმილია ისევ.

„ის ჩურჩული მეც ვერ გავიგონე...“ — არა ვკარგავ იმედს.

— მაიააა! მაიააა! — აღმომხდა ბღავილი.

— მირიან... — ჩამესმა ყურში ჩემი სახელი.

— მაია, ცოცხალი ხარ?

— მირიან, ვერ გხედავ...

— ვერც მე გხედავ, მაია...

ქაოსში ისმის მხოლოდ ჩვენი ხმა.

„ქვეყნიერებაზე მარტო ჩვენ ორნი დავრჩით? ცა ჩამოიქცა, თუ...“

— მაია, სად ხარ?

— სად ხარ, მირიან?

ქაოსში ჩემმა ხელებმა ძლივს მიაგნეს მაიას ხელებს. ამიერიდან ველარაფერი გაგვყრის.

— სუნთქვა მიჭირს, მირიან, ვიხრჩობით?

— ნუ გეშინია, მტვერში ვართ გახვეულები... გაიფანტება, ბომბები დაგვაყარეს...

— არ გამიშვა ხელი, მირიან! თუ სიკვდილი გვიწერია, დაე, ერთად...

— არც შენ გამიშვა ხელი, მაია! თუ შენ ხელს არ გამიშვებ, ჩვენ არ მოვკვდებით...

იჭიატა. ქაოსი და ბურუსი უკან იხევს.

— მიშველეთ! მიშველეთ! მიშველეთ! — ზედ სარკმელთან ყვირის ვიღაც.

— მირიან, გესმის?

— ალბათ, ჩვენი გუშაგია...

— ვინც არ უნდა იყოს, ადამიანია, მშველელს უხმობს...

— კარი რომ ჩაკეტილი გვაქვს?

— მიშველეთ! მიშველეთ! ვინა ხარ ქვეყანაზე ადამიანი! მიშველეთ! — არა წყდება განწირული ბღავილი.

სარკმელს მივადექი.

— ჰე, ჰეი, რა მოგივიდა?

— ფეხში დავიჭერი... მიშველეთ! ვაიმე, დედა!

— რა ვქნათ? — ვკითხე მაიას.

— რა ვიცი... — თქვა მაიამ და უეცარი გადაწყვეტილებით მომიბრუნდა. — მხარზე ვერ შემისვამ?

— მხარზე? რატომაც არა...

— აბა, ჩქარა!

კედელთან მივდექი. მაიამ ჩანთას დაავლო ხელი, მხრებზე შემადგა და სარკმელს მოეჭიდა.

— ჰეი, ადამიანო, აქეთ მოფორთხდი და დაჭერილი ფეხი სარკმელში ჩამოყავი!

ზევით ავიხედე.

სარკმელში ჩექმიანი ფეხი გამოჩნდა. მაიამ ჩექმა სასწრაფოდ გახადა და ჭრილობის მოვლას შეუდგა.

— ვაიმე, დედა! ვაიმე, მტკივა! ნელა, ნელა! ვაიმე!.

— მოითმინე! თუ არ გატკინეთ, როგორ მოგარჩინოთ? ჭრილობა საშიში არ არის, გაუვლის, ნუ გეშინია. აი, ასე... ცოტაც და გადარჩენილი იქნები...

სარდაფის მიწას ჩავყურებ თავდახრილი.

ასეთი თავდახრის მე არ მეშინია.

ჩემს მხრებზე შემდგარი მაია ჭრილობას უხვევს იმ გუშაგს, ჩვენ რომ დაგვიყენეს დარაჯად — არსად გაიქცნენო.

სადღაც კვლავ ამაზრზენად ღმუიან თვითმფრინავები, სადღაც კვლავ ხუნწრით გულამობრუნებული მიწა.

მე იმ ხვნეშის არ მეშინია. მაიას სუნთქვას ვუგდებ ყურს და კვლავ მესმის ჩემი ნაპოვნი წყაროს საამო ღიღინი.

და მიხარია, რომ ვერაფერმა დაადუმა მიწის გულიდან მომავალი წყაროს სიმღერა.

ეს წყარო დიოდა, როცა ქვეყნად ჩვენ არ ვიყავით.

ეს წყარო იდენს, როცა ჩვენ არ ვიქნებით ქვეყნად.

მიჭირს. ვუძლებ.

აი, თითქოს ჩვენი ბიჭებიც ამომიდგნენ მხარში. მაია მათ მხრებზეც დგას.

ისიც მეჩვენება, რომ კარს ვიღაც მოადგა.

„აი, ჯონდო შემოამტვრევს ამ ჩახერგილ კარს და ჩვენ აქედან გაგვიყვანს. მერე იმ სათვალიან კაცს ბოდიშს მოახდევინებს...“

ჯერჯერობით არავინაა.

მე კვლავ თავდახრილი დავყურებ სარდაფის იატაკს, მაგრამ ამის დანახვა სულაც არ მინდა. ფიქრი გარეთ გამირბის.

მე ვხედავ ბალახს, ასფალტი ბუჩქა-ბუჩქა რომ ამოურღვევია .მის გვერდით, პატარა ბორცვზე, ტყვიით კეფაში გახვრეტილი მუზარადი პირქვე გდია. ლამაზ ყვავილს სწორედ იმ ნატყვიართან ამოუყვია თავი, ამაღლებულა და მუზარადზე გადმოხრილა.

სარკმლიდან მზის სხივმა კვლავ ჩამოიხედა და სარდაფი გაანათა.

რა შორს არის მზე, მისი შუქი მაინც ყველგან იკვლევს გზას. ალბათ ის ყვავილიც მუზარადში მზემ ამოიყვანა.

ბიბლიოთეკა

100 ვ. ი. ლენინი 100

შალვა გოზალიშვილი

# ლენინის სახე ქართულ საბჭოთა პოეზიაში

პროგრესული კაცობრიობის დიდი ბელადის, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ფუძემდებლის, სწორუპოვარი ადამიანის ცხოვრება და მოღვაწეობა მუდამ იყო და იქნება საბჭოთა ლიტერატურის შთაგონების დაუშრეტელი წყარო. ვ. ი. ლენინის თემა მეტად რთული, დიდზე დიდი თემაა. ჩვენი დიადი ეპოქის აქეთი ტიტანური, მაგრამ ცხოვრებაში უბრალო ადამიანის ასახვა, მხატვრულ სიმაღლეზე აყვანა, დიახაც, რომ ძნელზე ძნელია, და ამას ვერ შესძლებს პოეტი, თუ არ იქნება დიდი შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული.

ქართულ საბჭოთა პოეზიაში ლენინის თემაზე, ქრონოლოგიურად, პირველი მხატვრული სიტყვა ჩვენი საუკუნის გამოჩენილ პოეტს — გალაკტიონ ტაბიძეს ეკუთვნის. იგი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ 1918 წელს, საბჭოთა რუსეთიდან სამშობლოში ბრუნდება. რევოლუციით შთაგონებული პოეტი, მგზნებარებით აღსავსე, სამშობლოს მომავალი თავისუფლების მოლოდინში ფიქრით და ოცნებით, მშობლიური ქვეყნისაკენ მოისწრაფის. მის თვალწინ გაიელვებს რევოლუციურ რუსეთში განვლილ-განცდილი დღეები: ამბოხებული პეტროგრადი, მოსკოვი, კრემლი, ლენინი, სამშობლოს მხსნელად მოვლინებული, რომელსაც უკავშირებდა პოეტი თავისი ქვეყნის ბედს.

პოეტის ფიქრთა ამშლელია 1918 წელს დაწერილი ლექსი — „გემი „დალანდი“, რომლითაც აფრააშვებული ოცნების ფრთებით იგი მოარღვევს შორეული აქოჩრილი ზღვის ტალღებს:

გემით — „დალანდი“ — მოვდიოდი
სამშობლოსაკენ
და მთვარისაგან გალევიძება გულს დარდად
ჰქონდა;
მაგრამ სამშობლოს ძველი გზებით ვეღარ
მოვაგენ
და არ მახსოვდა: მქონდა იგი, თუ მომაგონდა?
გახსენებების მომძახოდა მტანჯველი ლანდი:
შენ და მოსკოვი, პეტროგრადი, ლენინი,
კრემლი!
შავი ზღვის ზვირთებს მიაპობდა გემი
„დალანდი“
და თვალზე მადგა განშორების მსუბუქი
ცრემლი.

გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში ძალუმად ჩქეფს 1917 წლის ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების მღელვარე დღეები. ძლიერად იგრძნობა ამ დღეების სუნთქვა. მან მთელი თავისი მგზნებარებითა და სიყვარულით უმღერა საბჭოების დიად ქვეყანას, ლენინის უკვდავ სახელს, განახლებულ სამშობლოს — საბჭოთა საქართველოს, სოციალისტურ მშენებლობას.

„ჩვენ ყოველთვის ვყოფილვართ ხალხთან. მაგრამ მომავალში მეტი სითამამით უნდა ვტრიალებდეთ ხალხში, — წერდა პოეტი 1922 წელს, — ჩვენ მივცემთ ხალხს ყველაფერ კეთილშობილურს, ახალ ეთიკას, ახალ წინასწარმეტყველურ განათებას პრობლემებისას, ჩვენ იქ მოვნახავთ ახალ ადამიანებს, რომელთაც ეზიზღებათ ყოველივე არაესტეტიკური და მახინჯი, სწყურიათ თითონ გადაიქცნენ ხელოვნების ნაწარმოებად. ჩვენი დაახლოება ხალხთან გვაჩვენებს, როგორი სიხარბით ეწაფება იგი ყოველგვარ მხატვრულ სიტყვას“.[1]

დიახაც, ყოველი ჭეშმარიტი პოეტი მუდამ ხალხში უნდა ტრიალებდეს, ხალხის ჭირისა და ლხინის მოზიარე უნდა იყოს, მისი მისწრაფებე-

[1] გაზ. „ლომისი“, 1922, № 1, გვ. 6.

ბით უნდა სუნთქავდეს, შრომობდეს და იბრძოდეს. და აი, გალაკტიონ ტაბიძეც თავისი წარმოშობი მშობლიური ხალხის შუაგულში ტრიალებს და მისი გატაცებული ერთგული მსახური, მისი მოტრფიალე, მესაიდუმლე და მომღერალია.

ეს ასეც უნდა ყოფილიყო ჭეშმარიტი პოეტისა და სამშობლოს დიდი მოქალაქისათვის.

პოეტმა დიდი და რთული შემოქმედებითი გზა განვლო. რევოლუციური რუსეთის — პეტროგრადისა და მოსკოვის შუაგულში იხილა მან აბობოქრებული მშრომელი მასების შემართება რევოლუციის დიდი გენიის — ვ. ი. ლენინის წინამძღოლობით. მისით შთაგონებული და აღფრთოვანებული ახალგაზრდა პოეტი მთელი მგზნებარებით, უყოყმანოდ გამოდის ახალი ცხოვრების სარბიელზე, განახლებული სამშობლოსა და ხალხის საკეთილდღეო მოღვაწეობისათვის.

პოეტი გარკვევით მიგვანიშნებს, თუ რა რთული და ძნელი გზა განვვლეთ. იგი წერდა: „ჩვენ განვიცადეთ საქართველო, მსოფლიო ომი, დიდი რევოლუცია, არავინ არ უარყოფს, რომ მოვიდა ახალი ცხოვრება, ახალ ცხოვრებას სჭირდება ახალი ფორმები, ახალ ფორმებს კი ახალი სიტყვა. ქართველმა პოეტმა იცის, რა არის ზიზღი, მაგრამ იცის სიყვარულიც, იცის შურისძიება და იცის თავგანწირვაც... ეხლა მას სწყურია ახალი ცხოვრება, ახალი ბუნება, (მან) უნდა მოიცილოს შემზოჭველი სიცივე გარდამავალი ლანდების. იგი იხუთება და სურს ჰაერი. მას ენატრება ნათელი დღეები, ისეთი დღეები, როგორიცაა დღევანდელი დღე, მაისის 7 — პოეზიის დღე“ [1].

პოეტის საამაყოდ უნდა ითქვას, რომ მან, მართლაც გადაჭრით „მოიცილა შემზოჭველი სიცივე გარდამავალი ამბებისა“, გამოვიდა ფართო ასპარეზზე სამოღვაწეოდ და მთელი თავისი ტალანტი უწინამძღვრა მშობელ ერს, ქართული საბჭოთა მწერლობის შემდგომ აყვავებასა და აღორძინებას. მას შეეძლო თავისი ხალხისათვის ასეთი გულწრფელად, პირდაპირ ეთქვა: „ორი მილიონი თვალებით ვუცქერი ახალ ათასცხრაას ოცდაამ წელს და ვამბობ: გაუმარჯოს მომავალს“ [2].

გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის შთაგონების მთავარი, უშრეტი წყარო, უპირველეს ყოვლისა, უწრფელესი პატრიოტიზმია. წრფელი სიყვარული, თაყვანისცემა და შემართება მშობლიური ქვეყნისა და ხალხისადმი, ლენინისა და მისი პარტიის საქმისადმი — აი რით სუნთქავს, რით არის გამსჭვალული მისი პოეზია. ამისი უტყუარი პოეტური დოკუმენტებია მისი ლექსები: „პირველი მაისი“ (1908 წ.), „ზევით ასწიეთ მზე, ზევით!“ (1908 წ.), „დროშები ჩქარა!“ (1917 წ.), „ათრთოლდა ხალხთა მწუხარება“ (1917 წ.), „რამდენიმე დღე პეტროგრადში“ (1918 წ.), „იქ პოეზიის ფრიალებს დროშა“ (1918 წ.), „გუთანი“, „დალანდი“ (1918 წ.), „ჩვენ, პოეტები საქართველოსი“ (1924 წ.), „ოქტომბრის გამარჯვებისათვის“ (1924 წ.), „ლენინი“ (1924 წ.), „პროლოგი 100 ლექსისა“, „ურიცხვ დროშებში“ (1925 წ.), „პოეტი და ოქტომბერი“ (1931-32 წწ), „ლენინგრადში“ (1934 წ.), „ოქტომბრის სიმფონია“ (1939 წ.), „გახსოვდეს მარად“ (1939 წ.), „კრემლი“ (1941 წ.), „ლენინგრადს“ (1941 წ.), „ლენინის ხსოვნას“ (1941 წ.), „ლენინი“ (1943 წ.), ლექსების ციკლები — „ეპოქა“, „რევოლუციონური საქართველო“, „ცხრაას ჩვიდმეტში ოქტომბრის გამარჯვებისათვის“. უზომოდ აღფრთოვანებული პოეტი უმღერის თავის მშობლიურ ხალხს; იგი იმავე დროს სიყვარულითა და დიდი მოწიწებით იგონებს თავისუფლებისათვის ბრძოლაში „ბარიკადებზე დაცემულ გმირებს“ და მუხლს იყრის მათს წინაშე. პოეტი ღრმად არის დარწმუნებული, რომ მათ შთამომავლობა არ დაივიწყებს, რადგან:

> ისინი ხალხის უფლებისთვის ბრძოლაში
> მოკვდნენ,
> გზა გაუკაფეს შრომის სუფევას,
> აზრი სიმართლის, სიდიადის იცოდნენ,
> გრძნობდნენ,
> თავი შესწირეს თავისუფლებას.[1]

პოეტი ნათლად ხედავს, რომ მშრომელთა ეს დიადი გამარჯვება, რომელიც ხალხმა შეუპოვარ ბრძოლებში დიდი ლენინის ხელმძღვანელობით მოიპოვა, იოლი გზით არ მოსულა. და დიდი მსხვერპლიც იყო გაღებული: „ოთხი მძაფრი წლის ომების ხნის განმავლობაში მედგრად იბრძოდა წითელი ჯარი“.

წითელმა არმიამ გმირულად გაანადგურა მშრომელთა მტრების — დენიკინის, კოლჩაკისა და ვრანგელის თეთრგვარდიული ბანდები. ინტერვენტთა ბნელი ძალები მოისპო. მაგრამ გამარჯვება არ იყო იოლი გზით მოპოვებული. თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაცემულთა ხსოვნა დაუვიწყარია:

> მათი ძეგლია სხვა გათენებით —
> ანთებული დღე სოციალიზმის!

გამარჯვებისაკენ შეუნელებელ სწრაფვაში, ცხადია, პოეტმაც მძიმე გზა გამოიარა. ლექსში — „პროლოგი 100 ლექსისა“ — იგი ამას ასე გადმოგვცემს:

> ...ეკლიან გზაზე დაეცა ბევრი,
> მხოლოდ მე ერთი გადავრჩი მგზავრი,

---

[1] გაზ. „პოეზიის დღე“, 1922, № 3, გვ. 1.

[2] „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, 1923, № 5. გვ. 1.

[1] გ. ტაბიძე, ტომი 2, 1966, გვ. 148.

რომ გადმომევლო ჯერ არსმენილი
ქარტეხილები ცეცხლთა ფენისა
და მომეტანა საქართველოში
სიმღერა ქვეყნის გადარჩენისა![1]

როცა ჩვენს დიად საბჭოთა სამშობლოს 1941 წელს მტერი დაემუქრა, განსაცდელი კარს მოადგა და ფაშიზმის ურდოები წალეკვას გვიპირებდნენ, პოეტის აღშფოთებას საზღვარი არა ჰქონდა. იგი მთელი თავისი პოეტური მგზნებარებით ილაშქრებს მტრის წინააღმდეგ, წერს ლექსებს: „კრემლი", „ლენინგრადს", „ლენინის ხსოვნას" და სხვა. ამ ლექსებში პოეტი უდიდესი პატრიოტული გატაცებით გამოხატავს საბჭოთა სამშობლოსადმი ერთგულებასა და სიყვარულს. მოსკოვი, კრემლი, ლენინგრადი მას მიუვალ ციხე-სიმაგრედ ესახება, რადგან დიდი ლენინის სახე, როგორც მანათობელი ჩირაღდანი, წინ მიუძღვის, გულებს აღუნთებს მილიონებს და ისინიც მკერდით აღუდგებიან ზედმოსეულ ფაშისტთა ველურ ურდოებს.

სამშობლოს ბრწყინვალე მომავალს კრემლის ნათელი შუქი უნათებს; პოეტს ღრმად სჯერა, რომ „ის კრემლი, სავსე იდუმალებით, ფხიზლად ჰყურებოდა თვით ლენინის თვალებით".

პოეტისათვის კრემლი არის:

სიმბოლო სამშობლოსათვის
ბრძოლის და თავდადების,
შუქი აღმოსავლეთის,
ცეცხლი ბარიკადების!
ვერ ელირსა ფაშიზმი
ყუმბარათა მთოვარი,
რომ მოსკოვი ეხილა
ჩვენგან დანატოვარი.

გ. ტაბიძეს მთელი შეგნებით, ღრმად სჯეროდა, რომ მომხდური მტრის ურდოები განადგურდებოდნენ ლენინგრადთან, რომელსაც „უმიზნებდა საზარ ბრჭყალებს ფაშისტების ხროვა შმაგი", რომ კრემლის შუქი უფრო მეტად იბრწყინვალებდა და ჩვენი დიადი სამშობლო ძლევამოსილი გამოვიდოდა განსაცდელიდან.

დიდი პოეტის ასეთი ღრმა ოპტიმიზმის მაცოცხლებელი წყარო და საფუძველი იყო მის მიერ უკანასკნელი განსაცდელის ძნელბედობის ჟამს, 1941 წელს დაწერილი ლექსი „ლენინის ხსოვნას", რომელშიც ავტორის მთელი ცხოვრების მრწამსი იყო მოცემული. პოეტმა გულის სიღრმიდან ამოიმღერა:

სალამოს ნისლი შემხუთველად
თბილისს ფარავდა,
როცა გაისმა ჰანგი ხმათა
გულშემზარავთა...

[1] იქვე, გვ. 156.

...დიდი ლენინის აზროვნების
სინათლე მიწას
მიაღწევინებს სასურველს და
ბედნიერ მიზანს.
სტალინის ფიცი მისი მტკიცე
საწინდარია —
თავდადებულნი სამშობლოსთვის
მასთან არიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამრიგად, საბჭოთა საქართველოს უპირველესი პოეტი გალაკტიონ ტაბიძე, სამშობლოს სიყვარულით აღსავსე, დიდი და ნათელი გულით, მთელი პოეტური გატაცებით უმღეროდა მშობელი ქვეყნის ბედნიერ მომავალს, სინათლეს, სიყვარულს, თავდადებას, ძმობასა და მეგობრობას.

ეს კი სრულიად ბუნებრივი და კანონზომიერია პოეტისათვის. ჭაბუკობიდანვე, რევოლუციური საბჭოთა რუსეთიდან 1918 წელს სამშობლოში დაბრუნებისას, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ, იგი უყოყმანოდ დადგა განახლებული სამშობლოს მხარეზე. მაშინ მთელი მგზნებარებით გაისმა პოეტის მომწოდებელი ხმა:

დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია,
და სისხლიანი სდგას ანგელოსი,
ახალ გრიგალებს ვწირავთ სიცოცხლეს
ჩვენ, პოეტები საქართველოსი.

ჩვენი ეპოქის დიდი შემოქმედი გალაკტიონ ტაბიძე ასე მოუწოდებდა ყველას, ვინც ახალი საბჭოთა საქართველოს მომავალი ბედით იყო დაინტერესებული. დიდმა ქართველმა პოეტმა მთელი სიცოცხლე და მოღვაწეობა სულზე უტკბესად საყვარელ სამშობლოს, მის დიდებულ მომავალს მიუძღვნა.

* * *

ქართულ პოეზიაში ვ. ი. ლენინის თემისადმი მიძღვნილ თხზულებათა ერთგვარი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით შესწავლის თვალსაზრისით, ადგილი უნდა დავუთმოთ ჩვენი საუკუნის 20-იანი წლების წინა პერიოდში საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სამწერლო ასპარეზზე გამოსულ პოეტ ბოლშევიკს სანდრო ეულ-ქურიძეს.

ს. ეულის მებრძოლი პოეტური ნიმუშები, ოქტომბრის რევოლუციისა და მისი ბელადის — ლენინის იდეებით გამსჭვალული, 1917 წლიდან ბოლშევიკურ გაზეთ „ბრძოლის" ფურცლებზე გამოჩნდა. ამ გაზეთში პოეტის ლექსი „ბრძოლა" პირველად ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდგომ დღეებში დაიბეჭდა. დიდი გამარჯვებით აღფრთოვანებული პოეტი წერდა:

ცეცხლი აინთო, ცეცხლი ბრძოლისა,
ძველ ქვეყანასა ალი ედება.
ტახტი დაიწვა თვითმპყრობელობის
და ძველი კოშკი ნაცარმტვერდება!

პოეტის იმ პერიოდის ლექსებიდან იდეურ-პოლიტიკური სიმკვეთრით გამოირჩევა აგრეთვე: „ჩამოდექით, გზა მიეცით", „ზარი რეკს, ზარი!", „მუშის სიმღერა" და სხვ.

დიდი ოქტომბრის გამარჯვებით, ლენინის იდეების ძლევამოსილებით უზომოდ აღტაცებული, რწმენით აღსავსე პოეტი საქართველოს — ქართველ ხალხს მიმართავს:

გესმით?! გუგუნებს, ზარი რეკს, ზარი!
სმენად ქცეულა ქვეყნად მთა-ბარი,
გვამცნობს სამო-სანატრელ ამბებს, —
მტირალთ ცრემლს უშრობს, ტანჯულთ
ახარებს...

ცხადია, თავიდანვე მოწინავე რევოლუციური იდეებით გამსჭვალულ პოეტის შემოქმედებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბოლშევიკური პარტიისა და მისი ბელადის ვ. ი. ლენინისადმი მიძღვნილი ლექსების ციკლს — „პარტია", „ოქტომბრის დროშა ფრიალებს", „ლენინი"[1] და სხვ.

1917-1920 წლების არალეგალურსა და ლეგალურ ქართულ ბოლშევიკურ პრესაში მუშაობის პერიოდში ს. ეული ეცნობა (1918 წ.) და უახლოვდება ცნობილ სომეხ რევოლუციონერ მწერალს აკოფ აკოფიანს, რომელიც თბილისში მოღვაწეობდა.

„აკოფ აკოფიანს გავეცანი 1918 წელს ერთ-ერთ არალეგალურ კრებაზე, — წერდა პოეტი თავის მოგონებაში, — ... მე და აკოფიანი ერთმანეთს დავუახლოვდით და დავმეგობრდით კიდეც. მის ბინაში ხშირად იმართებოდა ჩვენი პარტიის არალეგარული კრებები, რასაც მეც ვესწრებოდი".[2]

ამ ორი მოძმე ერის პოეტების პოლიტიკურ-ლიტერატურული და ახლო მეგობრული ურთიერთობის შედეგი იყო, რომ ს, ეულმა, სხვათაშორის, აკოფ აკოფიანის პოეზიიდანაც თარგმნა ზოგიერთი ნიმუში. ამ თარგმანებიდან აღსანიშნავია: „განთიადისას" და „ვ. ი. ლენინს", რომლებიც ს. ეულმა 1920 წელს გაზეთ „ახალ კომუნისტში" გამოაქვეყნა.

ბოლშევიკური გაზეთების ფურცლებზე ვ. ი. ლენინისადმი მიძღვნილი ამ ლექსების გამოქვეყნება მნიშვნელოვანი ლიტერატურული მოვლენა იყო.

ს. ეულმა ლექსში „ვ. ი. ლენინს (აკ. აკოფიანიდან)" ქართულ პოეზიაში ერთ-ერთმა პირველად ასახა ოქტომბრის რევოლუციის დიდი ბელადის სახე:

შენი პორტრეტის წინ ვდგავარ და ვუცქერ
შენს სახეს, —
მსურს მივწვდე შენს გულს და გავიგო შენი
არსება:
ვინ ხარ? ზეკაცი, ან უბრალო ადამიანი,
ვინც ქვეყნად ხალხის დიად რწმენას
ემსახურება.

შენს შუბლს ვადარებ ფრიალო კლდეს,
მტრისთვის მიუვალს,
შენი თვალები ყველგან სწვდება, — უცქერს
ყველაფერს:
უდაბნოს ველებს, მაღალ მთებს და
ზღვა-ოკეანებს.
გაშლილი ფრთებით ჩვენს პლანეტას
შემოგვატარებს.

შენი ღიმილი ძველ ქვეყნისთვის არის
დაცინვა, —
შენი ნათელი ცქერა ბნელეთს ცეცხლად
ენთება,
შენი ბრწყინავი სახე მტრის გულს ლახვრად
ეცემა,
გვესმის: დღე ღამეს მაინც შეცვლის და
გათენდება.

ს. ეული 1929 წელს აქვეყნებს დიდი ბელადისადმი მიძღვნილ ცალკე ლექსების წიგნაკს. მასში შეტანილია პოეტის ადრე დაწერილი ყველა ლექსი, მიძღვნილი ვ. ი. ლენინისადმი: „საიდუმლო კარავში", ზემოთგანხილული „ლენინის პორტრეტთან" (აკოფიანიდან), „ათი წელი" (პოემიდან), „ფარული კრება", „ნატყვიარი გულით", „მისი სახელი", „ივლისის დღეებში", „თავმჯდომარე ახალი მთავრობის", „წინა ღამით", „გლოვის დღე"; პოემიდან — „ათი წელი": „მოგვიკვდა ლენინი", „ლენინის მოწოდება", „ლენინი აკლდამიდან", „ლენინ", „ლენინ-მზიური", „დიდი ბელადი", „ულენინოდ".

პოეტი სიცოცხლის უკანასკნელ დრომდე გატაცებითა და სიყვარულით განაგრძობდა ამ თემაზე წერას.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ სანდრო ეულის პოეზიაში იგრძნობა ომახიანი, შემართებული და მომწოდებელი პათოსი ყოველივე ახლისადმი, რევოლუციური ძახილი, მოწოდება. როგორც შალვა დადიანი ამბობდა, „ეულის ლექსში მოისმის საბრძოლველი საყვირისა და დაფდაფების ხმები". ეს არის პოეტის შემოქმედების ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი. ამას

1 სანდრო ეული-ქურიძე, ერთტომეული, „საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1958, გვ. 7-25, 170-177, 249-265.

2 იქვე, ლ. კალანდაძის ნარკვევი — „სანდრო ეული-ქურიძე", გვ. XI.

ადასტურებს მისი ლექსები: „უკვდავება“, „მე ლენინი ერთხელ ვნახე“, „დიდება პარტიას“, „ყრილობიდან ყრილობამდე“, „შენ, კომუნისტო, მოწინავე ადამიანო!“, „დიდება ოქტომბერს, დიდება!“, „საოქტომბრო“ და სხვა მრავალი.

ბელადის სახით შთაგონებული პოეტი წერს:

ვიდრე დროშას მისი სახე ამშვენებს,
ვიდრე იგი დიად რწმენის ფარია,
წინ მიგვიძღვის, ბრძოლის ცეცხლით
გვამშვენებს,
მივიმღერით და წინ მიგვიხარია.

ჩვენს ნათელ გზას — ლენინიზმი დიადი
შუქს აფრქვევს და მარად მზისებრ ანათებს.
ყველგან სწვდება, — მთელ სამყაროს
დაივლის —
საბოლოო გამარჯვებას ღაღადებს.

პოეტი ყოველგვარ სიკეთეს დიდი ოქტომბრის ძლევამოსილ გამარჯვებაში ხედავს. მისმა ძალამ და ძლიერებამ დაამხო ძველი სამყარო, ხალხებს თავისუფლება მოუტანა. ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ ბოლშევიკური პარტიის, მისი დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის ბრძნული ხელმძღვანელობით. ამიტომ არის, რომ რევოლუციური ოპტიმიზმითა და სოციალისტური ჰუმანიზმის ცხოველმყოფელი პათოსით გამსჭვალული პოეტი გატაცებით უმღერის პარტიას, დიდ ლენინს, მის დიად მოძღვრებას, საბჭოთა სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირებს, ახალი ცხოვრების მშენებელ ხალხს, რომელსაც ლენინის შუქი გზას უნათებს.

პოეტის შემოქმედებას ამდიდრებს ლექსები: „ლენინის ქალაქს“, „საქართველოს განთიადი“, „სიმღერა სტალინგრადზე“, „გამარჯვების მაისი“, „ლენინის დროშით“, „პატაკი პარტიას“, „წითელ საქართველოს“, „წითელ მოსკოვში“, „ოქტომბრის მარში“, „ოქტომბერი ილევებს ყველგან“, „კრემლიდან ისმის“, „ჩვენ აღვსდგებით ქარიშხალად“ და სხვ.

პოეტის უღრმესი გულწრფელობა, კომუნისტი მოქალაქის დიდი ადამიანური დანიშნულებადი მოწოდება, პარტიის საქმისადმი უსაზღვრო თავდადება, მტკიცე იდეური თანმიმდევრობა, ხალხის სიყვარული და ახალი ცხოვრების უდიდესი ოპტიმიზმი — აი მასაზრდოებელი წყარო მისი შემოქმედებისა.

პოეტი მოგვიწოდებს:

გახსოვდეთ მუდამ, როგორც მცნება
დაუვიწყარი, —
ხარ კომუნისტი, — მოწინავე
ადამიანი, —
სულით სპეტაკი, ვით ანკარა
ციური ცვარი,
შეუდრეკელი, მკვიდრი, მტკიცე.
ვით მთა კლდიანი.

ს. ეულის შემოქმედებიდან უშუალობით გამოირჩევა დიდი ლენინისადმი მიძღვნილი ლექსები: „ძმის ნაამბობი“, „სამუშაო ოთახში“, „შენ, დიდო ლენინ!“, „სახე მზიური“, ოქტომბრის დღეებში“ და სხვ.

პოეტმა მთელი საბჭოთა ხალხის ღრმა გულისტკივილი გამოხატა 1924 წლის იანვარში ბელადის უდროოდ გარდაცვალების გამო დაწერილი ლექსით: „შენ, დიდო ლენინ!“ მან დიდი ადამიანის მძიმე, განუზომელი დანაკლისი — სიკვდილი მეხის გავარდნას შეადარა და ეს იმდენად მწვავე იყო, თითქოს თვითეულ ჩვენგანს „გულს მახვილი ჩაჰკრეს“.

ახლაც ვგრძნობთ ყველა მაშინდელ ტკივილს.
აკვანში ჩვილიც ტიროდა მწარედ.
ვისმენდით შრომის სამყაროს კივილს
და სევდის თალხით მიწა დავფარეთ.

მაგრამ საბჭოთა ხალხი დიდ მწუხარებაშიც გაუტეხელია. იგი გმირულად გადაიტანს ამ მძიმე დანაკლისს, რადგან თვით ლენინმა გვასწავლა სიმტკიცე და გაუტეხლობა ყოველგვარ გასაჭირში. პოეტი დიდ ბელადს ასე მიმართავს:

შენ, დიდო ლენინ, ვფიცავთ შენს სახელს,
ჩვენ გზას გავყვებით შენგან არჩეულს.
შენს წმინდა დროშას მტერი ვერ დახევს
და ვერ შეგვაკრთობს ბრძოლას დაჩვეულს.

გამარჯვებულმა საბჭოთა ხალხმა შესძლო ყოველგვარი გასაჭირის დაძლევა და ახლა, 1970 წლის აპრილში, სოციალისტური მშენებლობის დიდი მონაპოვრებით ეგებება ბელადის დაბადების მე-100 წლისთავს.

პოეტის რწმენით:

იყო, არის და იქნება მუდამ
ლენინის სახე მზის თანაბარი.
დღეს მას შეჰხარის, ვით გათენებას,
ცისკრის ამბორით ტყე და მთა-ბარი.
...დროთა უფსკრულში რა არ ინთქება,
მისი სახე კი დარჩება მარად,
სად სიბნელეა — ცეცხლად ინთება,
და მებრძოლთ დააქვთ დროშად და ფარად.

ამრიგად, ს. ეულმა დიდი ბელადის სახის წარმოსახვით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართულ საბჭოთა პოეზიაში.

ოქტომბრის დროშით ვისწრაფვით ყველგან,
ვზეიმობთ დიად ოქტომბრის დღეებს,
ლენინის მზიურ აზრს ყველგან ვნერგავთ
და გამარჯვების ვმღერით სიმღერებს.

* * *

მხცოვანმა პოეტმა და დრამატურგმა სანდრო შანშიაშვილმა ცხოვრებისა და შემოქმედების რთული და ვრცელი გზა განვლო, გზა — სახელოვანი, შემოქმედებითი სიხარულით აღსავსე, მრავალფეროვანი და შინაარსიანი.

პოეტმა ლექსში — „ჩემი სიტყვა სამადლობელი“ — რომელიც 1948 წელს დაწერა, ზედმიწევნით გამოხატა თავისი მრწამსი:

ცხოვრების გზა განვვლე დიდი,
განვვლე ჩემი დროება!
მინდა დავრჩე, თქვენთან ვიყო,
არ მსურს გამოთხოვება.
თქვენი გრძნობა, თქვენი ფიქრი
მქონდეს გამოსახული,
ვიყო ხალხის მომღერალი
და ერთგული მსახური!

მკითხველს შევახსენებთ, რომ ხალხის ახალგაზრდა მომღერალს, ერთგულ მსახურსა და შემოქმედს, სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისას, რევოლუციამდელ პერიოდში ჰქონდა ძველი სამყაროს წინააღმდეგ მებრძოლი განწყობილების გამომხატველი ლექსები. ასეთებია, მაგალითად, პირველი რევოლუციის დროს დაწერილი პოეტური ნიმუშები: „ზღვა“, „1905“, „ჩვენს ნათელს“, „ბრძოლის სიმღერა“, „ისარი“ და სხვ.

ლექსში — „ჩვენს ნათელს“ — ავტორი ალეგორიულად, გატაცებით აგვისახავდა ხალხის გამოფხიზლებას, რევოლუციას, სინათლის, სიცოცხლისა და თავისუფლებისაკენ სწრაფვას.

პოეტი მკითხველს მიმართავდა:

განა არ იცით, დღეს ვინ მეფობს ჩვენს სულში
ღმერთად?
იგი გვიღიმის, მხიარულობს, გვანიჭებს შვებას!
მოდით, მოგროვდით, ყრმა-ჭაბუკნო, ზეიმით
ერთად,
ჩვენს ნათელს, ცოცხალს, ჩვენებრ ჭაბუკს
ვუძღვნიდეთ ქებას!

ან ავიღოთ, თუნდაც ლექსი „ბრძოლის სიმღერა“. პოეტი ხალხს მოუწოდებდა:

შემოკრბით ერთად!
დასძახეთ მედგრად!
თავი გავწიროთ!
მსხვერპლი შევწიროთ
და მოვიხადოთ მით ჩვენი ვალი!
ყრმანო, მებრძოლნო, აღმართეთ ხმალი...
და სხვ.

საბრძოლველად ამხედრებული ახალგაზრდა პოეტი პირდაპირ აჯანყებისაკენ მოუწოდებს ყველას. მას მომარჯვებული აქვს „ისარი“ მტრის გულის გასაგმირავად:

შვილდი მოვსწიოთ, მოვხაროთ,
გავსტყორცნოთ ბასრი ისარი.
თავზარი დავსცეთ მჩაგვრელებს
გავუპოთ გულის ფიცარი.
გასწი, გაფრინდი, ისარო.
მთა ტყენი გადისრიალე,
სადაც დაეცე, იქ დროშა
ძმობისა ააფრიალე!
ნუგეში ეცი ჩაგრულებს —
ცრემლი შეუშრე თვალებსა:
უთხარ, რომ შენით შეჰმუსვრენ
სულის შემთხუთველ ძალებსა!..

პოეტი ამ თავის ადრინდელ, რევოლუციური სულით გამსჭვალულ ლექსებში მხატვრულად გამოხატავდა ბრძოლის წყურვილით ანთებულ განწყობილებას, მოითხოვდა დაენგრიათ ძველი და მის მაგივრად ახალი, თავისუფალი ცხოვრება აეშენებინათ. მისი ლექსები მომავლის იმედითა და მისწრაფებით სუნთქავდა.

ლექსში „ზღვა“, რომელიც 1906 წლის გაზეთ „ისარში“ დაიბეჭდა, პოეტმა ალეგორიულად დაგვიხატა ბუნების გამძვინვარებული სტიქიონი:

ზღვა ღელავს, ღმუის საზარლად,
კლდეს ეხეთქება ციცაბოს;
გრიგალი ამსხვრევს ჯურღმულებს,
არ სურთ დაჭრილმა იცადოს.
ცას ელვამ გაჰკრა, გააპო,
შორს მეხმაც დაიგრიალა:
მუხას დაეცა დაკოჟრილს
და წითლად ააპრიალა.
მკაცრი ბუნება ზანზარებს,
ზღვაც მიტომ აღშფოთებულა;
რად უნდა დაცხრეს, თუ ირგვლივ
წყვდიადი გამეფებულა?

სურათი ნათელი და გასაგებია, ნაირსახეობა და ფერები არ აკლია. მასში ადამიანის სულის დაუდეგარი მოძრაობა ერთობ დინამიკურია. ავიღოთ ლექსი „1905“. მასში ვკითხულობთ:

მედგარ ბრძოლისათვის ყველა ავძარით...
... უნდა დაინგრეს ძველი ტაძარი...
... ვაშა ჩვენს იმედს, აღფრთოვანებას, —
ცხადს სინამდვილეს, არა ზმანებას!
ძმად გაფიცულებს შეახმეს მკლავი,
ვინც კი არ დასდოს ბრძოლაში თავი!
... თავისუფლება ყველას გვწყურია...
... ძმებო, ხმალს ხელი და ტყვია თოფში!
დილაზე გავალთ გადამწყვეტ ომში...
... ხვალ იერიშით მივდივართ მტერზე...

ამ ლექსში მომწოდებელი საბრძოლო ყიჟინა ისმის, ფაფარაშლილი რევოლუციის ქარიშხალია აგოვარდნილი, მღელვარებაა ასახული.

ლექსში მოჩანს ახალგაზრდა პოეტის უფროსი თანამედროვისა და მეგობრის, რევოლუციონერი პოეტი-ტრიბუნის იროდიონ ევდოშვილის ძახილი, მისი აშკარა ხელწერაა აღბეჭდილი, მისი მებრძოლი ალმურით ამოვარდნილი სუნთქვაა გადმოცემული.

ამ ლექსის გამოჩენისთანავე მისი ახალგაზრდა ავტორი მაშინვე დაატუსაღეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს. ეს იყო სწორედ პოეტის პირველი რევოლუციური ნათლობა თვითმპყრობელურ საპატიმროში.

საბჭოთა პერიოდში პოეტის შემოქმედების სწორედ ამ რევოლუციურმა პათოსმა დაჩრდილა და ბოლოს სრულიად განდევნა გულგატეხილობის, უიმედობისა და სიმბოლისტურ-იდეალისტური ხასიათის გამოვლინებები.

ამ შემთხვევაში აქ ჩვენ სანდრო შანშიაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობის მხოლოდ ერთ მხარეზე, მის პოეზიაზე გვაქვს საუბარი; ჩვენი მიზანია ვაჩვენოთ, თუ რა ორგანულად განვითარდა და აისახა მასში ვ. ი. ლენინის თემა.

ამრიგად, ს. შანშიაშვილის საბჭოთა პერიოდის პოეზიაში მთლიანად გაიმარჯვა მოწინავე რევოლუციურმა პათოსმა; პოეტმა სოციალიზმის მშენებელი ხალხის სამსახურში ჩააყენა თავისი პოეზია და მთელი მოღვაწეობა. ცხადია, სრულიად ბუნებრივია, თუ მის პოეზიაში მთელი სისავსით გამოჩნდა ახალი თემები, ახალი სახეები და ფერები, რაც ძირითადად ერთობ დამახასიათებელი იყო ქართული საბჭოთა პოეზიისათვის, აღორძინების გზაზე შემდგარი სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურისათვის.

ს. შანშიაშვილის სამწერლო მოღვაწეობა თემატიკურად მრავალფეროვანია. ჩვენი ერის ისტორიული წარსულის ჩვენებასთან ერთად, მან მხატვრული ფერებით აგვისახა მშობლიური ხალხის ახალი ცხოვრება, შრომა და ბრძოლა, თანამედროვეობის ახლებურად დანახული სამყარო მისი განუზომლად მდიდარი შინაარსით.

ს. შანშიაშვილის პოეზიაში მკვეთრად არის მოცემული ახალი ცხოვრების აზრი, პათოსი, გრძნობა. იგი მთელი თავისი პოეტური გატაცებით უმღერის ახალ სოციალისტურ საქართველოს, საბჭოთა სამშობლოს, მშობლიური ხალხის ახალ ყოფას, მშენებლობას, სამგორს, რუსთავის მეტალურგებს, სამამულო ომის მონაწილე თავდადებულ ვაჟკაცებს, ხალხთა მეგობრობას, მშვიდობას, აყვავებულ სოფლებსა და ქალაქებს, ქართველი ქალის მშვენებასა და მადლს, სახელოვან ქართველ დედებს, შრომის გმირებს და სხვ.

ს. შანშიაშვილის პოეზიას გასდევს შთამაგონებელი ნათელი შუქი დიდი ლენინისა, მის მიერ შექმნილი, რევოლუციურ-ისტორიულ ბრძოლებში გამოწრთობილი კომუნისტური პარტიის მზრუნველობისა და თავდადებისა. უპირველესად უნდა დავასახელოთ ჯერ კიდევ 1927 წელს დაწერილი ლექსები: „ლენინი ჯავშანოზე“ და „დედისერთა ლენინთან“.

ლექსში — „ლენინი ჯავშანოზე“ — პოეტმა მხატვრულად აგვისახა დიდი ოქტომბრის წინა პერიოდის ისტორიულ-რევოლუციური აქტი — კომუნისტური პარტიის ბელადის ვ. ი. ლენინის საზღვარგარეთიდან პეტერბურგში ჩამოსვლა 1917 წელს, როდესაც ბელადმა ჯავშნიანი მანქანიდან სიტყვით მიმართა რუსეთის პროლეტარიატს.

პოეტს ადრე ჯავშანო მშრომელი მასების დამონების ერთ-ერთ საშინელ იარაღად ჰქონდა წარმოდგენილი:

შემხვედრია მე ჯავშანო საზარი,
ომში რისხვა!... მთებს გაჰქონდა ზანზარი,
თავს სწირავდნენ შვილნი სოფლის, ქალაქის,
არვინ ჰყავდათ ფასდამდები ამაგის.

ინთქმებოდა შრომა, ოფლი მრავალი,
მაგრამ ჯილდოდ რა წამება, რა ვალი!..
მე მინახავს ქუჩებზედაც ომები,
როს უფლებას მოითხოვდნენ მონები.

იქ ჯავშანო მშრომელს ანადგურებდა,
მჟუდროებას ბატონს უსადგურებდა.

მაგრამ მდგომარეობა მაშინვე იცვლება, როცა ამ საშინელ მწუხარების მომტან, გამანადგურებელ მანქანაზე ხელაღმართული ლენინი შედგა და სიტყვა წარმოთქვა. იგი, სიმბოლურად, მასების თავისუფლებისაკენ მომწოდებელ რევოლუციურ ტრიბუნად იქცა. აქ, ამ ტრიბუნიდან ბელადის მოწოდებამ გადამწყვეტი გავლენა მოახდინა მუშათა კლასზე, აღაფრთოვანა იგი და საბოლოოდ დარაზმული წაიყვანა დიადი ოქტომბრის რევოლუციის მოსახდენად.

ავტორი არ იშურებს ნაირფერ საღებავებს და მხატვრულად, პოეტური პათოსით აღწერს დიად ისტორიულ მოვლენას:

მაგრამ ნახეთ მჩაგვრელთაგან დევნილი,
ჯავშანოზე მტკიცედ შედგა ლენინი!
ოქტომბერში ცეცხლი მტრისკენ მიმართა,
ბრძნული სიტყვით ხალხს ქუჩაზე მიმართა:
— უფლება და ძალა მხოლოდ საბჭოებს!
სხვას ნუ ატანთ თქვენი შრომის სარჩოებს!
აფრიალდა დროშა სისხლის ფერადი,
ჯავშანოდან არ ჩამოდის ბელადი.
აქ შეერთდა აზრი, ძალა და ნება,
მმართველობა ოქროს აღარ ანება!

ეს დიადი რევოლუციური მოვლენა მკითხველის შემეცნებაში ღრმად იჭრება და დაუვიწყარი ხდება. თვით ის „საშინელი“ ჯავშანო, რომლიდანაც ლენინმა ისტორიული სიტყვით

მიმართა მასებს, დღესაც დგას ამაყად აღმართული, როგორც ისტორიულ-რევოლუციური ძეგლი.

პოეტი ლექსს დიდებული, შთამბეჭდავი ეპილოგით ამთავრებს:

დღესაც დაქრის, ასპარეზი დიდია!
სადამდისაც ზღვა, ხმელეთი, კიდეა!
ჯავშანოზე ძეგლად მდგომი ლენინი!
ოქტომბერი — აღარც მონა დევნილი.
ქვეყანა და ხალხი გადარჩენილი!..[1]

ს. შანშიაშვილის პოეტურ მემკვიდრეობაში ღირსეული ადგილი დაიჭირა აგრეთვე მისმა შესანიშნავმა ბალადამ — „დედისერთა ლენინთან"[2].

რევოლუციურმა ბრძოლებმა მრავალი უსახელო გმირი შეიწირა. დღესაც ბევრი მათგანი უცნობი დარჩა, მაგრამ დრომ და ჟამმა ვერ წაშალა მათი დაუვიწყარი ხსოვნა, რადგანაც ისინი იბრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებისათვის. ერთი ასეთი თავგანწირული უსახელო გმირთაგანია პოეტის ამ ლექსის გმირი — დედისერთა ვაჟიკა, რომელიც თავიდანვე უყოყმანოდ ჩადგა ლენინის საქმისათვის მებრძოლთა რიგებში. იგი დიდხანს თავდადებით იბრძოდა სამოქალაქო ომის უმკაცრეს ბრძოლებში.

რევოლუციის ერთგული ჯარისკაცი ვაჟიკა გმირულად დაიღუპა, დიდიხანია, მისი არაფერი ისმის, არავინ იცის, თუ სად და როგორ დაეცა თავგანწირული. გადის წლები. საბრალო დედას მის მოლოდინში თვალ-გული ამოულამდა. დღეც და ღამეც, ძილში თუ ცხადად მასზე ფიქრში ათენ-აღამებს, იტანჯება შვილის დაუსრულებელი ლოდინით.

დედას გაუგია, სადღაც ყური მოუკრავს, რომ მისი შვილი მშრომელთა ბელადს ლენინს გაჰყოლია ხალხის თავისუფლებისათვის გაჩაღებულ ბრძოლებში. და აი, ერთ დღეს ლენინის იმედით გამხნევებული დედა წერილს სწერს ბელადს და სთხოვს, მოუძებნოს შვილი და აცნობოს მისი ამბავი: „შვილო, ეგების გამიგო ჩემი ვაჟიკას ამბავი. — ვკითხულობთ „დედის წერილში — შენ ყველა გიცნობს. ხმა მიაწვდინე. ომიდან შინ არ დაბრუნებულა. ცხრა წლის წინათ კიდევ მივიღე წერილი, რაღაც საქალაქო ომში ვიბრძვიო. შემდეგ აღარაფერი ვიცი, მკვდარია თუ ცოცხალი. მე კი სულ შვილის მოლოდინში ვარ. დამწყდა თვალები. გამიგე, აგრემც შერჩები ქვეყანას!.."

პოეტმა შესანიშნავად გამოიყენა დედის წერილის გულშიჩამწვდომი სიტყვები, რომელიც ეპიგრაფად წაუმძღვარა ბალადას და ჭეშმარიტად მხატვრული ნაწარმოები შექმნა. იგი უდიდეს ესთეტიკურ სიამოვნებას ჰგვრის მკითხველს, უშუალოდ განაცდევინებს მოხუცი ქართველი დედის მწუხარებას, ტანჯვას შვილის დიდი ხნის უნახაობის გამო. თვით ბუნებაც ეხმიანება ბალადის შინაარსსა და ხელს უწყობს მკითხველის განწყობილებას:

გარეთ ცივა... ქრის ქარი...
მთვარე ვახშმობს მუხებში.
დახშულია ჭიშკარი,
აძევს კლიტე უხეში...

ყველასაგან მივიწყებული მოხუცი დედა „მიმჯდარა ბუხრის ახლო, კუთხეში", თვალში ცრემლიც დაშრობია და ასე დაუსრულებელ ლოდინში, ბურანში წასულს ეჩვენება, რომ მისი შვილი ვაჟიკა დაბრუნებულა, მაგრამ ეს მხოლოდ მტანჯველი მოჩვენებაა!.. ტკბილი იყო მხოლოდ სიზმარი!.. სინამდვილეში ამ დროს მისი ვაჟიკა „მტერს ბრძოლაში ჰკვეთავდა",

ის იბრძოდა წითლებთან
წითელ დროშას იცავდა.
ჯარისკაცი რუსეთში
ლენინს გაჰყვა მტკიცედა!
... თავი დასდო ხალხისთვის,
სისხლი ნორჩმა დაღვარა.
ნახა საძმო საფლავი,
ვეღარ — დედის ჭაღარა!

ვაჟიკა დაიღუპა! ვეღარ დაუბრუნდება მოხუც დედას, მაგრამ ეს დედისათვის წარმოუდგენელია, იგი დაუსრულებლად უცდის შვილის დაბრუნებას.

... და იმ დღიდან მოელის...
გარეთ ცივა, ქრის ქარი!
ზის და უცდის გულმკვდარი
დედისერთას მთის ქალი.
მუდამ ფხიზლობს, მზად არის,
შვილს გაუღოს ჭიშკარი!
თავზე დასთენებია,
ამოსულა ცისკარი.
აღარც ძალუძს საბრალოს,
შავ ძაძებში დრო მიდის.
„დედა მას ენაცვალოს",
ხვალეც ღამე ლოდინის!

პოეტმა ლენინის სახე ერთი გაელვებით, მაგრამ ისეთი სიძლიერით და მხატვრული შთაგონებით მოგვცა, რომ წარუშლელი რჩება მკითხველის ხსოვნაში. ასეთივე სიძლიერით აგვისახა მან ქართულ ლიტერატურაში მარად უკვდავი და უბერებელი სახე ქართველი დედისა, რომელსაც სამარეშიც თან მიჰყვება შინმოუსვლელი შვილის დაბრუნების იმედი.

[1] ლენინს, ქართველი პოეტები, „საბჭოთა მწერალი", თბილისი, 1960, გვ. 179-180.
[2] იქვე, გვ. 180-182.

როგორც მკვლევარი გრ. კაკიაშვილი წერს. „პოეტმა დედის სიზმარი ნამდვილი აღქმის სიძლიერემდე აიყვანა და რამდენიმე ფრაზით ნათლად წარმოგვიდგინა თვალწინ რუსეთში სამოქალაქო ომის ფრონტებზე დანთებული ხანძარი, მთელი არსებით განგვაცდევინა ქართველი ვაჟიკას თავდადება ლენინის საქმისათვის და დედის მწუხარება, მშობლის, ტრაგიკული ბედი. კრეისერი „ავრორა“ და ლენინი ჯავშნოსანზე გაწვდილი ხელით ოქტომბრის რევოლუციის გამომხატველ სიმბოლოებად იქცნენ, ლიტერატურაში და ხელოვნებაშიც ასე დამკვიდრდნენ“.[1]

ს. შანშიაშვილმა თავისი ლექსებით — „ლენინი ჯავშანოზე“ და „დედისერთა ლენინთან“ განუზომელი მნიშვნელობის წვლილი შეიტანა პროგრესული კაცობრიობის მხატვრული ლიტერატურის ლენინიანაში.

* * *

საბჭოთა პოეზიის გამოჩენილმა წარმომადგენელმა, საქართველოს სახალხო პოეტმა იოსებ გრიშაშვილმა თავის დიდ ლიტერატურულ მემკვიდრეობასთან ერთად, ვ. ი. ლენინის თემაზე დაწერილი პოეტური ნიმუშებით საგრძნობი წვლილი შეიტანა, გაამდიდრა და გაამშვენიერა ქართული მხატვრული ლიტერატურის ლენინიანა.

ლენინისადმი მიძღვნილი ლექსებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა ის ლექსები, რომლებიც შევიდა კრებულში — „ლენინს, ქართველი პოეტები“. კრებულს, რომელიც ქართველმა მკითხველმა 1960 წელს მიიღო, ამშვენებს დიდი ბელადისადმი მიძღვნილი ლექსები: „ბალადა ხელმანდილზე — ლენინის ხსოვნას“, „მშვიდობისათვის“, „ლენინი“, „შენ დაიბადე აპრილის თვეში — ლენინისადმი“.[2]

ცხადია ამით არ ამოიწურება პოეტის მიერ უშუალოდ ლენინის თემაზე დაწერილი ლექსების ნაირფეროვნება. მათი რაოდენობა უფრო დიდია და გაბნეულია ი. გრიშაშვილის შემოქმედების ცალკეულ გამოცემებსა და ჟურნალ-გაზეთებში.

სანამ მათს განხილვას შევუდგებოდეთ, საჭიროა თვალი გადავავლოთ და გავითვალისწინოთ ყველა ის, რაც დამახასიათებელი იყო პოეტის შემოქმედების პირველი პერიოდისათვის. ი. გრიშაშვილის რევოლუციამდელი პოეზია მარტო სატრფიალო ლირიკით არ განისაზღვრებოდა. ამ პერიოდის მის შემოქმედებაში მოცემულია აგრეთვე მოქალაქეობრივი, რევოლუციური ბრძოლის თემატიკაც.

პოეტმა თავისი პირვანდელი ლექსების გარკვეული ნაწილი ჩვენი საუკუნის რევოლუციურ გარიჟრაჟზე მშრომელი ხალხის ბრძოლებში ქარიშხალს მიუძღვნა. ამით იგი გამოხატავდა თავის სიახლოვეს მშრომელთა მასებთან, ხოლო შემდეგ, მომდევნო ლექსებში: — „ზამთარი“, „ტუსაღის სიმღერა“, „განთიადი“ და სხვ. — პირველი რევოლუციის დამარცხებით გამეფებულ სუსხსა და განსაცდელს ალეგორიულად ასახავდა. პოეტი გვამცნობს, რომ ქვეყნად კვლავ სულშემხუთავი ზამთარი გამეფებულა, რომ ირგვლივ ბუნებაც ჩამკვდარა და სიბნელეს დაუსადგურებია („ზამთარი“).

მაგრამ პოეტი ზამთარსა და წყვდიადს არ უშინდება, მის ლექსებში მაინც მოისმის ბრძოლისა და იმედის მოტივები.

სატუსაღოში გამომწყვდეული რევოლუციონერი მომავლის იმედით მღერის:

მალე დავამსხვრევ მე ამ ბორკილებს,
მტარვალთა ხროვავ, არ შევშინდები!..
მალე გავარღვევ ბნელეთის კედლებს,
თავისუფლებას მივეგებები!
(„ტუსაღის სიმღერა“)

ცხადია, რევოლუციური განწყობილება ი. გრიშაშვილისათვის არ იყო უცხო და მკვეთრად მოჩანს პოეტის იმ პერიოდის ზოგიერთ ლექსში. მისი ლექსის ლირიკული გმირი ამბობს: „გვეყო მოთმინება, გვეყო ესოდენ ტანჯვა, ვაება“. პოეტისათვის ცხადია, რომ მხოლოდ მედგარი იერიშებით არის შესაძლებელი თავისუფლების მოპოვება:

უნდა ვიბრძოლოთ, ვიბრძოლოთ მტკიცედ,
გავყვეთ მშრომელ ხალხს, ბრძოლებში მავალს,
შევერთდეთ ძმურად, ხელი ხელს მივცეთ
და იერიშით ვეკვეთნეთ მტარვალს.
... ამხანაგებო! მაშ ნუ შედრკებით,
არ შეგემჩნიოთ ბრძოლაში დაღლა
და გამარჯვების საერთო ხმებით
წითელი დროშა ავმართოთ მაღლა!
(„ამხანაგებს“)

ამდაგვარი მებრძოლი მოტივებით სუნთქავს მისი სხვა ლექსებიც. ლექსში — „დაჰბერე ქარო“ — პოეტი იმედოვნებს, რომ „ბნელი წყვდიადი“ გაიფანტება და დაჩაგრულ მოძმეს ელირსება — „სხვა განთიადი“, დადგება დრო, „მტარვალობა მეფისა“ აღიგვება დედამიწის პირიდან...

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ პირველი რევოლუციისა და შემდგომი პერიოდის ახალგაზრდა თაობის პოეტების ადრინდელ ლექსებში მოჩანს ირ. ევდოშვილის რევოლუციური მოტივების ძლიერი გავლენის კვალი, როგორც იდეურ-შინაარსობრივი, ისე ლექსიკური თვალსაზრისითაც. ეს ცხადად ჩანს ი. გრიშაშვილის თუნდაც ზემოთ განხილული ლექსების მაგალითზე.

---

1 გრიგოლ კაკიაშვილი, ლენინი ქართულ ლიტერატურაში, ლიტერატურული ძიებანი, ტ. 13, 1960, გვ. 23.

2 ლენინს, ქართველი პოეტები, „საბჭოთა მწერალი“, თბილისი, 1960, გვ. 57-59.

რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდა პოეტი 1915 წელს წერდა: „... და რაც რომ იყო, ის აღარ არის! და რაც რომ არის, ის არ იქნება! ახალ ცხოვრების ახალ ყალიბში ახალი აზრი ჩამოიქნება!“.

ცხადია, შემთხვევითი არ იყო, რომ ოქტომბრის რევოლუციის წინა დღეებში ი. გრიშაშვილმა გამოაქვეყნა პატარა წიგნაკი, რომელშიც თავმოყრილი იყო მისი რევოლუციური შინაარსის ლექსები, იმ დროისათვის მეტად პოპულარული, მუშათა დემონსტრაციების დროს რომ მღეროდნენ და მიტინგებზე წარმოსთქვამდნენ ხოლმე.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, თუმცა პოეტი მერყეობდა. მის შემოქმედებაში ხდება ძირითადი გარდატეხა — ვითარდება და ძლიერდება მისი ადრეული მოწინავე, პროგრესული, რევოლუციური მოტივები.

პოეტი დარწმუნდა დიდი ოქტომბრის გამარჯვების უდიდეს ისტორიულ მნიშვნელობაში და მთელი თავისი შემოქმედებითი ძალა განახლებული სამშობლოს აღორძინებას მოახმარა.

ი. გრიშაშვილი მთელი მგზნებარებით უმღერის დიად ოქტომბერს, ბრძენ მასწავლებელსა და ბელადს ვ. ი. ლენინს, ახალ თბილისს. პოეტის შემოქმედება მდიდრდება ახალი თემებითა და შინაარსით, მოტივებითა და მრავალფეროვანი სახეებით.

სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის საერთო განვითარებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ი. გრიშაშვილის პოეზიამ. მისი ლექსები: „სამშობლოსადმი“, „ნარინჯიანო“, „გრ. ორბელიანი კომკავშირის ხეივანში“, „კიროვის ბაღი“, „ლენინის მოედანი“, „თბილისი ღამით“, „თბილისი იყო ჩემი ლექსის მასწავლებელი“, „ლენინი“, „სამგორი“ და სხვ. უმღერს და ხოტბას ასხამს ჩვენს დიად სოციალისტურ მშენებლობას.

ი. გრიშაშვილის პოეზიაში განუზომელია დიდი სამამულო ომის თემაზე დაწერილი ლექსების რეზონანსი. ეს ლექსებია: „სამშობლო და გამარჯვება“, „ჩვენს დებს და დედებს“, „1943 წელი“, „ლენინგრადს“, „თბილისის პოეტი“ და სხვა.

ხალხთა ძმობისა და მეგობრობის უწმინდესი გრძნობების შთამაგონებელია ლექსების ციკლი — „ძმობის ჩუქურთმა“, „თბილისი, ბაქო და ერევანი“ და სხვა მრავალი.

დიდმა ოქტომბერმა, ლენინის სიბრძნემ, პარტიამ ი. გრიშაშვილის პოეზია სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის ფართო ასპარეზზე გამოიყვანა.

პოეტის საოქტომბრო სიმღერებს — „დაილოცოს ოქტომბერი“ — აკეთილხმოვნებს ღრმა რწმენა და სოციალისტური სამშობლოს სიყვარული. დიდი ოქტომბრის, მისი ბელადის იდეებით შთაგონებული პოეტი უმღერის სამშობლოს, ახალ ადამიანს — გმირს ჩვენი დღევანდელობისას, რომელიც აშენებს ახალ სამყაროს.

ლექსში — „საოქტომბრო“ — პოეტი გატაცებით მიმართავს მკითხველს:

ბევრი ლექსი ამოვშაქრე
გულიდან.
სამშობლოზე ვგალობ
სიხარულითა.
ჩემს თბილისში კენჭიც
მღერის, ლამაზობს,
ყოველი დღე მე სიყვარულს
მთავაზობს.

ადამიანის სულიერი სილამაზით, სიყვარულითა და სიკეთით არის აღსავსე ახალი ყოფა, ახალი ცხოვრება, რომლითაც ხარობს თანამედროვეობის შემოქმედი გმირი ადამიანი. ამ რწმენით არის აღბეჭდილი პოეტის ლექსები „ოქტომბრელის სიმღერა“, „დაილოცოს ოქტომბერი“, „სალამი ნარიყალადან“. ამ უკანასკნელ ლექსში ავტორი დიდების შარავანდედით მოსავს მეფე ერეკლე მეორეს, რომელსაც სურდა ჩრდილოეთთან ისტორიულად დამეგობრებით „გადაერჩინა ჩვენი ტანჯული ქვეყანა, იავარქმნილი თბილისი მზის შუქზე გამოეყვანა“.

და ასეც მოხდა... გაბრწყინდა
ჩვენი სამშობლოს დიდება,
ოქტომბრის მზეში თბილისი
არასდროს დაიბინდება!

პოეტს ახარებს, რომ „ოქტომბრის დროშა ეშხით ფრიალებს“ ჩვენს მზიან მამულში. იგი მთელი გატაცებით უმღერის იმათ, ვინც კომუნიზმს აშენებს და ოქტომბრის დიად მონაპოვარს ერთგულად იცავს.

ლექსში — „დაილოცოს ოქტომბერი“ — ნათლად გამოიხატა ავტორის მრწამსი, ოქტომბრის დიად მონაპოვართა მიმართ ერთგული დამოკიდებულება და მზადყოფნა მის დასაცავად:

მითხარ, მტერი რას დააკლებს
თავისუფალ ხალხთა კრებულს!
ვინ შეაკრთობს კრემლის ვარსკვლავს,
ხალხის სუნთქვით გაჩაღებულს!
გზას გვინათებს მისი შუქი,
ლალისფერი, ოქროსფერი,
დღეგრძელობა ჩვენს სამშობლოს!
დაილოცოს ოქტომბერი!

პოეტი მოზარდ თაობას უნერგავს სამშობლოს სიყვარულს, მისთვის თავდადებას. „ოქტომბრელის სიმღერის“ ახალგაზრდა ლირიკული გმირი ნიჭსა და ენერგიას არ იშურებს სამშობლოს სადიდებლად:

დიდი ოქტომბრის შვილი ვარ,
სამშობლოს მივეც პირობა —
სამი რამ უნდა მიყვარდეს:
სწავლა, შრომა და გმირობა.

სოციალისტური სამყაროს გრანდიოზული წარმატებები, ბრძოლისა და შრომის ფრონტებზე საბჭოთა ხალხის მონაპოვარი სისხლხორცეულად არის დაკავშირებული პროგრესული კაცობრიობის დიდი ბელადის ლენინისა და მისი საქმის განმგრძობის ი. ბ. სტალინის სახელთან. ეს წითელ ზოლად გასდევს ი. გრიშაშვილის საბჭოთა პერიოდის პოეზიას.

ლენინმა და ოქტომბერმა ხალხებს მარადიული თავისუფლებისა და სიხარულის გაზაფხული დაუმკვიდრა. ლენინი მარად ცოცხალი და უკვდავია — ვკითხულობთ პოეტური მგზნებარებით დაწერილ ლექსებში, — ლენინი ყველგან არის, ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს მზიანეთის ყოველ მხარეს, სადაც დიადი შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული. ლენინის შთაგონებული სიბრძნე საბჭოთა ხალხის ყოველდღიურობის განუშორებელი თანამგზავრია.

... ის ყველგან არის — დნეპრზე, ვოლგაზე,
ყარაყუმისკენ გასცქერის სივრცეს.
დუმილი მოსავს.., მაგრამ პარტია
ლენინის დროშით მიგვიძღვის მტკიცედ.

ბელადის გენიით გამხნევებული საბჭოთა ხალხი თავგანწირულად ებრძოდა მისი სახელის, სამშობლოს გადასარჩენად.

პოეტს სწამს, რომ ვერაგი მტერი სასტიკად დამარცხდება და ხელავ მშვიდობა დამყარდება, ხალხები უფრო მჭიდროდ შეკავშირდებიან.

ისმის მშვიდობის ტალღის გრიალი,
აზვირთდა ხალხი, ვით წყალდიდობა,
და ორი სიტყვა გაისმის ყველგან:
„ლენინ, მშვიდობა!“ „ლენინ, მშვიდობა!“

ხალხთა მშვიდობის საგალობელია აგრეთვე პოეტის ლექსი „მშვიდობისათვის“.

ლექსი „ბალადა ხელმანდილზე“ ლენინის ხსოვნის შთაგონებით არის დაწერილი. დიდ სამამულო ომში წასულ მებრძოლს სატრფომ ნაქარგი ხელმანდილი შემოავლო ყელზე და დააბარა: „მტერს ცოცხალი არ დანებდე!“ — ასე მოგვიწოდებსო ლენინი. და ქართველი ვაჟკაცი, სატრფოსთან პირნათელი, მამაცურად „იცავდა წითელ დროშას, ჩვენს შნოსა და ლაზათს, დროშას — პირმშოს ლენინისას და სტალინის ნაზარდს“.

მტერთან თავგანწირულ უთანასწორო ბრძოლაში ვაჟკაცი გმირულად იღუპება და ამ დროს დიდი ლენინის ნათელი სახე ეხატება. პოეტი ამას ასე გადმოგვცემს:

... ის იბრძოდა... მტერს ასეულს გაუმკლავდა
ერთი,
მაგრამ როცა მარცხდებოდა, ხმლით დაჭრილ
მკერდით,
სისხლი ვარდად გაიშალა თოვლდაფენილ
ველზე.
გაახსენდა სამშობლო და... სახსოვარი ყელზე,
ჩამოიხსნა ხელმანდილი, შენახული ლხენით
და ზედ სისხლით დააწერა ერთი სიტყვა:
„ლენინ!“

ქართული პოეზიის შედევრი „ბალადა ხელმანდილზე“ სამამულო ომის ყველაზე მძიმე პერიოდში — 1942 წლის 21 იანვარს დაიწერა, როცა პირსისხლიანი ფაშიზმი ჩვენი სამშობლოს შუაგულში იყო შემოჭრილი და აშკარა საფრთხე გვემუქრებოდა. ცხადია, ასეთი განსაცდელის ჟამს ლექსის ემოციური ძალა და მნიშვნელობა ერთიორად განუზომელი ხდება.

და ბოლოს ი. გრიშაშვილის შესანიშნავი ლექსი, ლენინისადმი მიძღვნილი — „შენ დაიბადე აპრილის თვეში“ განსაკუთრებული სიძლიერითა და მშვენებით ჟღერს ქართულ საბჭოთა მხატვრულ ლენინიანაში. პოეტი ბელადს ასე მიმართავს:

შენ დაიბადე აპრილის თვეში,
როცა იღვიძებს მიწა გამთბარი,
როცა მწვანდება სხივების თქეშით
ჩვენი ქუჩები, ჩვენი მთა-ბარი.
... ჩვენი მეგზური მარად შენა ხარ,
სტალინმა გვითხრა ჯერ კიდევ ოდით;
ლენინის ქუჩა ჯერ არ გვენახა,
მაგრამ ლენინის გზით მივდიოდით.
ლენინის დროშამ გაუძლო დრო-ჟამს,
ხარობს ქვეყანა დოვლათით სავსე,
ლენინის დროშა, ლენინის დროშა
ლაღად ფრიალებს მოსკოვის თავზე.

ქართულ საბჭოთა პოეზიაში იოსებ გრიშაშვილის მხატვრული შედევრები შთამაგონებელი ელვარებით ხატავენ ვ. ი. ლენინის უკვდავ სახეს.

* * *

ქართული საბჭოთა მწერლობის საგანძურში ბრწყინვალე ადგილი უკავია საქართველოს სახალხო პოეტის გიორგი ლეონიძის დიდ ლიტერატურულ მემკვიდრეობას.

ქართული პოეზია იყო გ. ლეონიძის გულის ფეთქვა, მისი სიცოცხლის მთავარი მიზანი!

სამშობლოზე მთელი გულით ამღერებულ პოეტს გ. ლეონიძეს შეეძლო ასე გულწრფელად, ასე ძალუმად, ომახიანად ეთქვა ლექსში — „ვუმღერ სამშობლოს“:

მე ვარ სამშობლოს ჩუქურთმის მჭრელი,
ვარ ახალ ქართლის თანამედროვე!
გულის ნათელი მე მიპოვია,
ქართლის დიდების მე ვარ მნახველი;
სამშობლო — ჩემი გულის ფეთქვაა,
სამშობლო — ჩემი ლექსის სახელი!

სამშობლოს სიდიადეს, მის განუზომელ ფასსა და სიტკბოებას აგრძნობინებს მკითხველს პოეტის ამ თემაზე შთამბეჭდავად შექმნილი მთელი ციკლი ლექსებისა: „სამშობლოს“, „მცხეთის მთებში“, „მარად ბრწყინავს სამშობლო“, „არა, არ არის!“, „ჩემო სამშობლოვ, შენი მეკვლე ვარ!“, „ვაშა სამშობლოს“, „მხარე ვაზებში გამოხვეული“ და სხვ.

გ. ლეონიძის პოეზიის უძვირფასესი სამკაულია ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ცხოვრებით შთაგონებული ციკლი ლექსებისა: — „ლენინი, სტალინი“, „ბელადის კერა“. დიდი სამამულო ომის თემაზე — „სამშობლოსათვის“, „თბილისის განთიადები“, „ვუმღერ სამშობლოს“, „კომუნიზმის ხარაჩოები“, „ტრიბუნა“.

გ. ლეონიძის ამ პოეტური მემკვიდრეობიდან ქართველი მკითხველის განსაკუთრებულ ინტერესსა და ყურადღებას იქცევს ლექსები — „ლენინის მავზოლეუმში“, „ლენინი“ (ნაწყვეტი), „ლენინგრადს“, „ლენინის ქალაქს“, „ლენინი საქართველოში“, „ბელადსა და მთავარსარდალს“, „სიტყვა გიორგი ლეონიძისა“ — წარმოთქმული საბჭოების სრულიად საკავშირო მე-8 საგანგებო ყრილობის 1936 წლის 27 ნოემბრის საღამოს სხდომაზე, „საბჭოების მერვე ყრილობის დელეგატის მოგონება“, „ნუთუ?“, „ჰიმნი“, „ქართველ მხედრებს“, „1938 წლის თორმეტი ივნისი თბილისში“, „ჩართულია უკვე დენი!“ (ელექტროსადგურის გახსნაზე სოფელ პატარძეულში) და. სხვ.

საბჭოთა ეპოქის უნიჭიერესი შემოქმედი, ქართული ლექსის რაინდი გ. ლეონიძე არ იშურებს მთელ თავის პოეტურ პალიტრას, რომ სისრულით წარმოგვისახოს დიდი ბელადის — ვ. ი. ლენინის და ი. ბ. სტალინის შთამაგონებელი სახეები.

ქართულ საბჭოთა პოეზიაში გ. ლეონიძე ერთი პირველთაგანი იწყებს მუშაობას კომუნისტური პარტიის, მისი გენიალური ბელადის— ვ. ი. ლენინის და ი. ბ. სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ თემატიკაზე, რამაც უფრო მეტი ღირსება და სახელი მოუპოვა.

სამშობლოს ისტორიული წარსულის ამსახველი ლექსების („წიგნი — „ქართლის ცხოვრება“, „მოგზაურობა სამშობლოში“, „ძველი საქართველო“, „მეცამეტე საუკუნე“, „სვეტიცხოველი“ და სხვ.) გვერდით პოეტი შთაგონებით უმღეროდა განახლებულ საბჭოთა საქართველოს, ლენინის პარტიის გადაქმნელ ძალას, ახალი სიცოცხლისა და ცხოვრების დამკვიდრებასა და აყვავებას.

ლექსში „ქართველ ბოლშევიკებს“, პოეტი აგვისახავს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ როლს ქვეყნის გარდაქმნის საქმეში. იგი აღნიშნავს, თუ რა დიდი მუშაობა მიმდინარეობს იმისათვის, რომ ღარიბმა, გაჭირვებაში მყოფმა საქართველომ სახე იცვალოს, თავი დააღწიოს სიღატაკეს, ჩამორჩენილობას. მხოლოდ პარტიის მეთაურობით გახდა შესაძლებელი ჩვენი სამშობლოს სიმდიდრის გამოყენება ხალხის საკეთილდღეოდ. პოეტი ასე მიმართავს პარტიას:

აშრობთ ჭაობს ჩაფესვებულს.
ცრემლის მორევს მზებნელს,
რაც წარსულმა ჩააყენა
საქართველოს წყლებზე.

პოეტს ახარებს, რომ პარტიის ხელმძღვანელობით გლეხმა, ბოგანომ, საკუთარი შრომის შედეგად თავისი მიწის სინოყივრე პირველად იგემა. ხალხი შეკავშირდა და შეერთებული ძალით აშენებს ახალ ცხოვრებას, ამკვიდრებს ახალ საქართველოში მზიურ სიცოცხლესა და ბედნიერებას. პარტია ხალხის ძალისა და ნების გამომხატველია. — „ხალხის ძალავ, შენ განაგებ დღეს მსოფლიოს ბედსო“ — სიამაყით აცხადებს პოეტი.

გ. ლეონიძემ 1933 წელს მწერალთა და ხელოვანთა წინაშე წარმოთქმულ ლექსში „მისალმება აზერბაიჯანის პოეტებისადმი“ გულისტკივილით შენიშნა, რომ უკუღმართმა „წარსულმა ბევრი სირცხვილი ზიდა“, რომ შუღლი და მტრობა ღუპავდა ყველას. საბედნიეროდ ახლა მდგომარეობა შეიცვალა, ლენინის პარტია მოვიდა ხალხის მხსნელად:

გრძელი ხმლები და ციხე-ჯებირი
გადავაბარეთ გარდასულ დროსა,
როცა გაგვიძლვა გამარჯვებული
სტალინის ხელით ლენინის დროშა!
ახლა ხალხების ძმობა გულიდან
ერთ ამოკვეთილ ღარზე წავიდა,
მთვრალი ვარ ძმური სიყვარულითა,
როგორც მაისის მიწა მწვანითა.

და მართლაც, საბჭოთა ხალხმა, მთელ პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად, ძლიერი ხელით აიტაცა ლენინის დროშა და გამარჯვებიდან გამარჯვებამდე იარა ძნელად სავალ გზებზე, საზარელ ბრძოლებში, გაანადგურა მსოფლიოს დაუძინებელი მტერი ფაშიზმი, მიაღწია სრულ გამარჯვებას, არნახულ მიღწევებს და ეს დროშა ბრწყინვალედ აზიდა კომუნიზმის თვალშეუდგამ ხარაჩოებზე!

გ. ლეონიძე აზერბაიჯანის პოეტების სახით, ომახიანი შეძახილით მიმართავს მთელი მსოფ-

ლიოს მოწინავე, მებრძოლ პროგრესულ პოეტებს, მწერლებს:

ვიმღეროთ, ძმებო, შრომის მშვენება,
ქვეყნის სიმდიდრე და ავსილობა:
ვიმღეროთ ბნელის გადაშენება,
ვიმღეროთ ჩვენი თავდახსნილობა!
და უკანასკნელ სიტყვის ღერომდე
გამარჯვებული ხალხის მიზანი
ვიმღეროთ... ჩვენში ტკბილად მღეროდნენ
დიდი რუსთველი, დიდი ნიზამი!..

ტრიბუნიდან წარმოთქმულ პოეტის თვითეულ ლექსს შთაგონების უდიდესი ძალა ჰქონდა, მასებში აღტაცება და სიხარული შეჰქონდა. წარსულში „ხალხს წინამძღოლი ბევრი ჰყოლია, ბევრსაც ჰქონია გული, ვით ხალი, მაგრამ განა ხალხს ოდესმე ჰყოლია „ბელადი ისეთი, როგორიც იყო ლენინი, რომლის მოძღვრება ნათელ შუქად მიუძღვის წინ კაცობრიობას!“

პოეტის შემოქმედება დღევანდელობის, ჩვენი ეპოქის შარავანდედით ბრწყინავს; მისი „გმირი აწმყოა, დღეის სიჭაბუკეა!“, რასაც პოეტი ასე გატაცებით უმღერის („გმირი და პოეტი“), რადგან იგი ხედავს, რომ ამ გმირის ბრძოლითა და შრომით არის „ქვეყნის დიდი ნათელი“; მისი წყალობით წინათ „დარღვეული, ნაშალი სამშობლო“ ახალ არნახულ სიმაღლეზე ავიდა!.. ახალი მშვენებით აყვავდნენ ველ-მინდვრები, ქალაქები და სოფლები. ხალხის გულში სითბო დაგუბებულა, სიხარულს არა აქვს საზღვარი.

და აი, სწორედ დღევანდელობის, ჩვენი ახალი ცხოვრების მშენებელი გმირი პოეტსაც აძლევს ძალას, ენერგიას, რომ ქართულ სიტყვასთან ჭიდილში მანაც სისრულით გამოკვეთოს, შთამბეჭდავად ასახოს დიდი ლენინის, საბჭოთა ეპოქის მშენებელი გმირის სიდიადე.

ღრმა რწმენით დაჯერებული პოეტი ახალი ცხოვრების გმირს ასე მიმართავს:

...თქვენი ძალა ჩემია,
ჩემი სიტყვის გამწევი,
განა ერთი ორთქლიდან
ერთად არ გამოვედით? —
გამარჯვება გვჩვევია,
შევქმნათ ხელმოსაცემი...
ვქმნიდეთ ერთად ცხოვრებას
გმირები და პოეტი .

ვფიქრობთ, ნათლად არის მოხაზული დანიშნულება პოეტისა, როგორც ჩვენი დღევანდელობის — ახალი ცხოვრების მომღერლისა, აქტიური შემოქმედისა, რომელიც ბეჯითად ცდილობს მიჰყვეს ცხოვრებას და ეპოქის შესაფერისი სიმღერა უთხრას.

პოეტი ნაირფერი სახეებით ხატავს მშრომელთა მიღწევებს, ყოველ ახალ ფაქტს უძებნის შესაფერ სამკაულს, გადმოსცემს ხალხის გულისცემას, სუნთქვასა და სიხარულს. ავიღოთ, თუნდაც 1949 წელს დაწერილი ლექსი „ჩართულია უკვე დენი“. მასში გადმოცემულია ელექტროსადგურის გახსნა სოფელ პატარძეულში. „იორიდან ამოფრენილს ხალხი ელის ოქროს გედსა“, რომელიც მართლა „მოფრინდება და მთელ სოფელს გადმოაფენს ოქრომკედსა!“ დიდიხნის ნატვრა და საწადელი აუსრულდება ხალხს, — „ძველი სოფლის გულის მტვერი“ გადაიყრება და სოფელს შუქი გაანათებს:

— ჩართულია უკვე დენი! —
ცხრაჯერ თოფი დაიცალა!
და სოფელმა უცებ იგრძნო
ნაომარი აზრის ძალა, —
ლენინის მზემ უეცარად
მისი სახე გამოცვალა!
იგრძნო ხალხმა სითბო მისი,
ღვაწლი მისი ნიშნეულად,
კვლავ დარწმუნდა, რომ ნათელ გზად
ლენინის გზა მიჩნეულა!

თავისი ხალხის სიხარულით სუნთქავს პოეტი. იგი უზომოდ ბედნიერი, აღტაცებული მეძახილით ამთავრებს ლექსს: — „გაუმარჯოს ჩემს ხალხს ძლიერს, სიხარულსა, სიცოცხლეში!“.

პოეტის შემოქმედების სიძლიერის ერთ-ერთი მთავარი წყარო სწორედ ეს არის — სიყვარული მშობლიური ხალხისა, თანაგრძნობა და მხარდაჭერა ჭირსა და ლხინში მასთან მყოფი, თანაზიარი ადამიანისა.

პოეტს დიდად ახარებს „კომუნიზმის ხარაჩოები“, რადგან მასში ხედავს თავისი ხალხის ბედნიერებას. იგი გვამცნობს თავის გულისწადილს, გვიზიარებს ხვაშიადს, როცა ასე გატაცებით გვეუბნება:

მე მყვარებია
ლურჯ ყანებში ყაყაჩოები,
მე ვარდიც მიყვარს,
უფრო მიყვარს ქარიშხლის შეხლა,
მაგრამ უმეტეს ოცნებებზე
მე მიყვარს ეხლა
საქართველოში
კომუნიზმის ხარაჩოები.

დიახაც, კომუნიზმის ეს ხარაჩოები აძლევდა პოეტის შემოქმედებას უფრო მეტ სიცხოველეს, აზრსა და შინაარსს, მის უდიდეს იდეურ სიმტკიცეს, მხატვრულ ძალას, აქტუალობას. ამიტომაც ასე გვიზიდავს, გვატკბობს, უსაზღვრო ესთეტიკურ სიამოვნებას გვანიჭებს და გვხიბლავს გ. ლეონიძის პოეზია.

„თბილისის განთიადების“ შრიალში მოჩანს ნათელი მომავლის ვრცელი გზა, რომელსაც თითქოს ახლაც გაჰყურებს „ბელადი, მთაწმინდით გადმოხედული“:

ქალაქის თავზე ბრწყინავდა
პირანთებული ლენინი.
წყვდიადის ამომშანთავი,

მზე დაუვალი — ლენინი.
მიგვიძღვის სიბრძნის ნათელი —
ლენინის გამოვლენილი!

პოეტი ღრმად დარწმუნებულია, რომ „ვისაც სწამს თავისი იმედი, თავისი სამშობლოს დიდება“, იგი უკან არასოდეს არ დაიხევს და თუ „მტერთან მწარე ბრძოლაში ერთმუხლად გადაფრინდება“, ყოველთვის გამარჯვებული გამოვა.

უდავოდ დიდი და განუზომელია ხალხთა დიდი ბელადის — ლენინის შთამაგონებელი ძალა გ. ლეონიძის პოეზიისათვის.

1936 წლის 27 ნოემბერს საბჭოების სრულიად საკავშირო მერვე საგანგებო ყრილობაზე პოეტმა უდიდესი გულისტკივილით აღნიშნა:

... მაგრამ ლენინი სად არი,
არ ზის აქ, მამა მშობელი? —
ის მიწის გულის ცეცხლია,
ხმელეთის გამათბობელი!

ტანჯულთა გულში მუდმივ მზედ
მან ელვარება ინება,
თქვენ ერთადა ხართ, სადაც კი
სიმართლე გაეფინება!

ყრილობის დელეგატებს აღტაცებული პოეტი უზიარებს, რომ დიდმა ლენინმა რუსი, უკრაინელი, ბელორუსი, უზბეკი, ამიერკავკასიისა და სხვა ხალხთა ერები ერთმანეთს დააძმობილა, „ვული ჩაუდგა მაგარი“; მათ შესძლეს განთავისუფლება და ერთმანეთის მხარდამხარ აშენებენ ახალ ცხოვრებას. მართალია, ლენინი ამ დიდ ბრძოლებში უდროოდ დაეცა და სამარადისო ძალით განისვენებს მავზოლეუმში („ლენინის მავზოლეუმში“), მაგრამ, სამაგიეროდ, ჰლვიძავს მის სახელს, მის საქმეს, დიდებას, რადგან „მზე და სიცოცხლე მარადის იქნება“ ლენინის სახელთან დაკავშირებული.

სამშობლოს უდიდესი განსაცდელის ჟამს, დიდი სამამულო ომის მძიმე წლებში (1941-1943) ლენინის უდიდესი შთაგონებით პოეტმა შექმნა ლექსები: „ჰიმნი“, „ქართველ მხედრებს“, „ლენინგრადს“, „ლენინის ქალაქს“, „ლენინი“ (ნაწყვეტი).

ვერაგ მტერთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაბმულ საბჭოთა ხალხს პოეტი მიმართავს:

არ დაღამდება ის, რაც გათენდა,
რაც ხალხის ნებამ თითონ ინება,
ვერა მტარვალმა ვერ შეაჩეროს
ქვეყნის ძალღონის აღორძინება.
... დიდი ლენინის დროშა ავწიეთ,
მას თვით სიკვდილი ვერ მოერევა!

სამამულო ომის წლებში ლენინის ქალაქი დროებით ფაშისტთა ურდოების ალყაში მოექცა. ამ ფაქტის აღსანიშნავად პოეტმა გმირ ქალაქს შთამაგონებელი ლექსები უძღვნა — „ლენინგრადს“ და „ლენინის ქალაქს“, რომლებშიც გამოიხატა „დაუდრეკელი ნების ქალაქის“ გამძლეობა, რომელსაც „ლენინის სახე უძღოდა წინ“. გაუტეხელი ქალაქის გული არ შეშდრკალა, რადგან მის თავზე „ლენინის დროშა დიდებით ბრწყინავდა“.

ლენინის მედგარ ქალაქს პოეტი ასე მიმართავს:

შენ მოღუნული ვერავინ გნახა,
ვერც დაჩოქილი და ვერც გამტყდარი,
რადგან სტალინმა გმატა გმირობა,
ის არის შენი ბაირახტარი.
მისთვის ელვარებ ახალ ნათელით,
უკვდავ დიდების ძეგლად გამხდარი,
ლენინის კერავ,
პუშკინის კერავ,
შენი გმირობის ტოლი სად არი?
(„ლენინგრადს“)

ქალაქის გმირ დამცველებთან განუშორებლად არის ლენინი, რომელმაც დუღაბად შეკრა, შეამჭიდროვა „ხალხი, სამშობლოს შეუსადარი“. პოეტი დიდი სიამაყის გრძნობით ირწმუნება:

ვერა, ვერ გასტეხს
მტერი თქვენს ძალას,
სიკვდილის კბილით
დაიფლითება,
ლენინის ქალაქს,
პუშკინის ქალაქს,
გიგზავნით სალამს:
ვაშა, დიდება!

ლენინის დროშამ საბჭოთა ქვეყანა გამარჯვების ფართო გზაზე დააყენა. პოეტი ხალხს მოუწოდებდა „ლენინის სიტყვა“ კვლავ „მომავალშიც გულის ფიცარზე ყველას ეწეროს: ვარსკვლავად კრთოდეს, მზედ ენთოს თვალში, რწმენაში ვარდად აღმოეცენოს!“ ეს მაღალმხატვრული სტრიქონები, ვით ეპილოგი, შთამომავლობისათვის ანდერძივით გაისმის 1943 წელს დაწერილ ლექსში — „ლენინი“ (ნაწყვეტი).

ქართულ მხატვრულ ლიტერატურულ ლენინიანაში განუზომელია გიორგი ლეონიძის წვლილი. ლენინის თემაზე დაწერილ მის ლექსებში შთამბეჭდავად მოჩანს ლენინის სიდიადე, ბრწყინვალება და თუ იგი ფიზიკურად არ ყოფილა ჩვენში, გ. ლეონიძის პოეზიამ ნათლად წარმოგვისახა „ლენინი საქართველოში“ — „გამხსნელი ხალხის ბედისა“, რომელიც ყველგან ყოფილა და რომელმაც თავისი დიადი მოძღვრებით თავისუფლება დაგვიმკვიდრა.

* * *

ცხადია, ქართულ საბჭოთა პოეზიაში ვ. ი. ლენინის თემა მარტო ზემოთგანხილული ნაწარმოებებით არ ამოიწურება. ეს ლიტერატურა გაცილებით დიდია, შეუძლებელიცაა საჟურ-

ნალო ნარკვევის ფარგლებში მათი სისრულით ჩამოთვლაც კი. ათეული წლების მანძილზე ამ თემაზე ქართულ პოეზიაში ინტენსიური შემოქმედებითი შრომა მიმდინარეობდა, განსაკუთრებით ეს ითქმის ვ. ი. ლენინის გარდაცვალების შემდგომ პერიოდზე.

ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ცალკეულ თემებზე მნიშვნელოვანი ლექსები შექმნეს: ალექსანდრე აბაშელმა — „ლენინის გული“, „ლენინ“, „გამარჯვებათა ვხედავთ მწვერვალებს“, „ჩვენ გამივარჯვებთ, უკვდავო ლენინ!“; შალვა აფხაიძემ — „ჩვიდმეტი წელი“ და „სამშობლო, ლენინ, ჩვენი პარტია“; ვალერიან გაფრინდაშვილმა — „ლენინი“ და „ლენინის ხსოვნას“; ტიციან ტაბიძემ—„პეტერბურგი“; ვასო გორგაძემ — „იმ დღეს“, „ლენინის მავზოლეუმში“ და „მე ახლა ვხედავ“; პაოლო იაშვილმა — „ლენინ“ და „თივის ურმეული“; ხარიტონ ვარდოშვილმა — „ლენინის ძეგლი“; ბონდო კეშელავამ — „ილიჩის შეხვედრა მოხუც კაზაკთან“; ალიო მირცხულავამ ციკლი ლექსებისა — „ლენინი“, „ქანდაკება მცხეთაში“, „დგას ორი ქალაქი, ორი ძმად ნაფიცი“, „ლენინის ხსოვნას“, „ლენინის მოედანი“, „ყინულმჭრელი ლენინი“, „ოქტომბრის შუქურვარსკვლავი“ და „თოთხმეტი დღე, რომელმაც შესძრა ქვეყნიერება“; ილო მოსაშვილმა — „ლენინი ჯავშნოსანზე“; კოლაუ ნადირაძემ — „ლენინი ოქტომბერში“ და „ლენინი“; სიკო ფაშალიშვილმა — „ლენინს“ და „ზეიმი ლენინის მოედანზე“; ალექსანდრე ქუთათელმა — „მავზოლეუმში“ და „ჩვენი ჰიმნი“; გიორგი ქუჩიშვილმა — „ლენინი“, „გლოვა ლენინზე“; სიმონ ჩიქოვანმა — „ლენინის სახლი სოფელ პორონინოში“, „კრაკოვში“, „ლენინის ძეგლთან“; გრიგოლ ცეცხლაძემ — „ლენინის დროშით“; კონსტანტინე ჭიჭინაძემ — „ლენინი აკლდამაში“; ირაკლი აბაშიძემ „მთის არწივი“, „ოცდაერთი იანვარი“; გრიგოლ აბაშიძემ — „ლენინი სამგორში“; კარლო კალაძემ — „ლენინი“, „ლენინი თბილისში“, „ჭაბუკთა შეკრება ლენინის მოედანზე“, „მგზავრული“; გიორგი შატბერაშვილმა — „ლენინი ხევსურის ქოხში“; იოსებ ნონეშვილმა — „ლენინი“ და „ლენინის დროშა“; ვიქტორ გაბესკირიამ — „ლენინის ძეგლი“; რევაზ მარგიანმა — „ლენინის მამული“, „ლენინი“, „ლენინის ქუჩაზე“; ალექსანდრე გომიაშვილმა — „მერხზე იჯდა ნაპერწკალი“ და „უკანასკნელი დღე ბელადის“; „ხუტა ბერულავამ — „ვლადიმერ ლენინს“, „მშობელო ხალხო“, „წარვლიან წლებს“ და „ლენინს“; გიორგი კაჭახიძემ — „ლენინის ნახვა და გაზაფხული“, „ლენინი“; ლადო ასათიანმა — „ლენინის ტომი“; ვარლამ ჟურულმა — „ლენინი“, „თბილისის გულში“; ოთარ ჭელიძემ — „სწორუპოვარი მკურნალი“; მარიკა ბარათაშვილმა — „ლენინის ქალაქში“; კალე ბობოხიძემ — „ულიანოვსკის დღეები“; სანდრო ჟღენტმა — „ლენინი ბაღში“; ანდრო თევზაძემ — „მე ვნახე ლენინი“; ალიო ადამიამ — „გორკა“ და „ლენინი სამამულო ომში“; ნოდარ გურეშიძემ — „დიდება იმ დღეს“, „გვახსოვდეს, გვიყვარდეს, ვისწავლოთ ილიჩი“; ვახტანგ გორგანელმა — „ლენინი კაშინოში“, „ლენინი და ჯარისკაცი“, „აპრილის თვეში“; ანა კალანდაძემ — „მე ვხედავ ვლადიმერ ლენინს“, „ლენინის ქუდი“, „ლენინი ესილებენში“; მირზა გელოვანმა — „ლენინ“; შალვა ამისულაშვილმა — „თქმულებაშიც არა თქმულა“, „სიტყვა კომუნისტურ პარტიაზე“; თეიმურაზ ჯანგულაშვილმა — „პარტიის მამას — ვლადიმერ ლენინს“, „ის ჩაუქრობელ მზედ დაიბადა“, „ლენინის წიგნი გერმანიაში“; მუხრან მაჭავარიანმა — „ვლადიმერ ლენინი“ და „ლენინის ქუჩა“; ალექსანდრე ბეგაშვილმა — „პარტია გვიძღვის ლენინის დროშით“; არჩილ სულაკაურმა — „გაზაფხული ლენინის მოედანზე“; გიორგი კალანდაძემ — „ლენინი ჩემს ქალაქში“; ლადო სულაბერიძემ— „ძეგლი“ და „ლენინის ძეგლი ზაჰესში“; ნაზი კილასონიამ — „აპრილის ქუხილი“ და „ლენინი“; შოთა ნიშნიანიძემ — „ლენინი“ და „ლენინის ქანდაკება ზღვის პირად“; შალვა ფორჩხიძემ — „ლენინი გორკაში“ და „ღამე ნევაზე“; მორის ფოცხიშვილმა — „ლენინ, შენა ხარ ეს გაზაფხული“; ოთარ შალამბერიძემ — „დიადი ღამე“; ფრიდონ ხალვაშმა — „გლეხის ზეიმი“ და „რაზლივის ქოხი“; ნოდარ შამანაძემ — „ლენინი ჩემს სოფელში“ და „ლენინის ძეგლი თბილისში“; ალექსანდრე შანიძემ — „ლენინის წიგნი“; სტეფანე არღუნელმა — „ლენინის ხელით“; „მას საქართველო უყვარდა“ და სხვათა მრავალი ლექსები, რომელთა სრული დასახელებაც ამ შემთხვევაში შეუძლებელია“.[1]

---

[1] ყველა დასახელებული ლექსი მოტანილია კრებულიდან — „ლენინს, ქართველი პოეტები“, „საბჭოთა მწერალი“, თბილისი, 1960.

1963 წელს „ნაკადულმა“ გამოსცა ვ. ი. ლენინისადმი მიძღვნილი ქართველი პოეტების ახალი ლექსების პატარა კრებული „ლენინის სახელით, პარტიის სახელით“ [1].

ვ. ი. ლენინის სახელი, მთელი მისი ცხოვრება მუდამ იყო და არის ჩვენი ქართული საბჭოთა პოეზიის შთაგონების დაუშრეტელი წყარო.

ამ ახალი ლექსებით ქართველი პოეტები კვლავაც მთელი გატაცებით უმღერიან ხალხთა დიდ ბელადს, მის დიად პარტიას, მისი საქმის უძლეველობას.

პოეტმა კალე ბობოხიძემ, რომლის შემოქმედების შთამაგონებელი თემაა ვ. ი. ლენინის ნათელი ცხოვრება, 1967 წელს გამოაქვეყნა ლექსების წიგნი — „ლენინი და ოქტომბერი“. კრებულში შეტანილი ლექსების ციკლი — „ულიანოვსკის დღეები“ აგვისახავს ლენინის ცხოვრებას, მისი ბავშვობისა და ყრმობის პერიოდს. ამასთან ერთად, მასში შეტანილ სხვა ლექსების ციკლში — „ოქტომბრის მოტივები“ — პოეტი უმღერის ლენინის პარტიას, გმირ საბჭოთა ხალხს, მუშებს, კოლმეურნეებს, კოსმოსის დამპყრობ ადამიანებს, მშვიდობას, შრომას, გმირობას, ხალხთა მეგობრობასა და სიყვარულს. თვითეული ლექსი გამთბარია საბჭოთა სამშობლოს პატრიოტიზმით.

ლენინის თემა ჯერაც არ არის ისე დაძლეული, როგორც ჩვენი დიადი ეპოქის დიდ ადამიანს შეესატყვისება. ლენინის სიდიადის ასახვა ჩვენი ლიტერატურის, ჩვენი მომავლის კეთილშობილური საქმეა.

[1] ლენინის სახელით, პარტიის სახელით. „ნაკადული“, თბილისი, 1963 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოლომონ დემურხანაშვილი

# რამდენიმე სიტყვა ლადო ავალიანის „ახალ ჰორიზონტზე“

1952 წელს წიგნის ბაზარზე გამოჩნდა ლ. ავალიანის რომანის „ახალი ჰორიზონტის“ პირველი წიგნი. იგი პირველი ნაწარმოები იყო, რომელიც ასახავდა მუშათა კლასის მოწინავე რაზმის — მეშახტეთა ცხოვრებას. რომანმა გამოხმაურება ჰპოვა როგორც მკითხველში, ასევე კრიტიკაში. მწერალმა პირველ წიგნს მოაყოლა მეორე და მესამე წიგნი. ეს არის დაახლოებით ოცი წლის შემოქმედებითი შრომის ნაყოფი.

ოცი წელი, მოგეხსენებათ, ეს ის დროა, რომელშიც არა ერთსა და ორ მწერალს ამოუწურავს თავისი შესაძლებლობა, ოცი შემოქმედებითი წელი ეს ის დროა, როცა უკვე ნათლად ვხედავთ შემოქმედი რომელ რანგს განეკუთვნება.

„ახალი ჰორიზონტის“ ორი წიგნის ირგვლივ თავის დროზე იყო ლიტერატურული მსჯელობა, ნაკლიც აღნიშნეს და წარმატებაც, ამიტომაც ჩვენ აღარ შევეხებით ამ ორ წიგნს, შევჩერდებით მხოლოდ მესამე წიგნზე, რომელიც წელს გამოვიდა და რომლითაც მთავრდება ნაღვაწი ოცი წლისა.

ლ. ავალიანი ჩვენი მკითხველის კარგად ცნობილი და პოპულარული მწერალია. მისი პიროვნება კი ჩვენს ვიწრო საზოგადოებაში ცნობილია როგორც უაღრესად სინდისიერი, გულწრფელი, მორალურად და ზნეობრივად დახვეწილი მოქალაქე, ფრიად განსწავლული ადამიანი, უპრეტენზიო, მუყაითი შემოქმედი, რომელიც მზად არის ყველაფერი შესწიროს ხელოვნებას, რითაც ის ცოცხლობს და სუნთქავს. აი, ეს ყველაფერი ჩვენ უფლებას გვაძლევს თამამად ვილაპარაკოთ მისი რომანის ნაკლსა და დადებით მხარეებზე, რადგან იცი და გწამს, რომ ამ გულწრფელობას ანგარებაში არ ჩაგითვლის, გულისხმიერ შენიშვნაზე მადლობელი დარჩება, ხოლო არასაგულისხმოს დაუფიქრდება, აწონ-დაწონის.

პირველ რიგში ჩვენს მკითხველებს და ჩვენს ლიტერატორებს მადლობის მეტი არარა გვეთქმის ლ. ავალიანის მიმართ, რომ მან გასწია უზარმაზარი ხანგრძლივი შრომა და შეძლებისდაგვარად ასახა დღევანდელი დღე ჩვენი მეშახტეებისა. შეძლებისდაგვარადო იმიტომ ვამბობთ, რომ არავინ არ არის დაზღვეული ნაკლისაგან.

მაშ ასე, ჩვენს წინ დევს ლ. ავალიანის „ახალი ჰორიზონტის“ მესამე და საბოლოო წიგნი. აქ, ამ დამასრულებელ წიგნში აღწერილია ომის მძიმე წლები ზურგში და ზოგჯერაც შემოიჭრება ხოლმე ფრონტიდან დაქროლილი სიკვდილისა და დენთის სუნი. აი, აქ უკვე აშკარად ჩანს როგორ იხდიან ვალს სამშობლოს, ხალხის, ახლობელი და საყვარელი ადამიანების წინაშე წიგნის გმირები. ეს მძიმე ჟამი თითქოს გამოცდაა, აქ მჟღავნდება ვინ ყოფილა კაცური კაცი, სამშობლოს ერთგული, დიდსულოვანი და ვინ კიდევ მოღალატე, გამცემი, ცხოვრების მუწუკი.

თამარელამ აღასრულა თავისი წმინდა ვალი სამშობლოსა და სიყვარულის წინაშე. მართალია სიძნელეები შეხვდა, მაგრამ ეს სიძნელეები გადალახა. ნიკომ, ამ პატიოსანმა, უანგარო მუშაკმა, ბოლომდე შეინარჩუნა თავისი პატიოსნება, თუმცა უსამართლოდ დაზარალდა. ბუზალაძე თავისივე სიბინძურესა და ავკაცობაში ჩაიხრჩო, რაიკომის მდივანი მოხსნეს, შატბია დაბრუნდა თითქმის ვალმოხდილი, ომმა ვეება კევრივით გადათქერა შახტების უბანი, დათესა ბოროტება, სიკვდილი, დათრგუნა ადამიანები, მაგრამ ყველაფერი ნელ-ნელა კალაპოტში დგება, ცხოვრება თავისი მარადიული გზით მიდის და ნელ-ნელა იშლება კვალი ომისა.

ასეც უნდა ყოფილიყო. ამ მხრივ ავტორთან სადავო არაფერი გვაქვს. ყველაფერი თითქმის ლოგიკურია, კანონზომიერია. დიახ, ასე დასრულდა ეს ფართო ტილო, რომელიც ჩვენს დღევანდელ ლიტერატურას შემოემატა.

ერთ რამეში შევთანხმდეთ, კერძოდ იმაში, რომ „ახალი ჰორიზონტი“ ურიგო შენამატი არ არის ჩვენი ლიტერატურისა, არც თემის აქტუალობით, სიახლით და არც მხატვრული ღირებულებით. მაგრამ ეს მაინც არ კმარა. ჩვენი სურვილია რომ იგი მხატვრულად უფრო მაღალ დონეზე იდგეს, მაღალ რანგს განეკუთვნებოდეს. მაშ ვილაპარაკოთ ჩვენი შეძლებისდაგვარად იმ ხარვეზებზე, რომელიც ამ ნაწარმოებს ბოჭავს და არ აძლევს უფლებას უფრო მაღალ საფეხურზე ანაცვლებისას.

როგორც კი ვიწყებთ ნაწარმოების კითხვას, პირველი ორი გვერდიდანვე ვგრძნობთ, რომ ეს მშვიდი, ერთ კალაპოტში ჩაყენებული თხრობა არსად არ შეიცვლება, და მართლაც თითქმის თავიდან ბოლომდე გიზგიზებს ნელი, არც დამწველი და არც თუ გამთბობი, ცეცხლი თხრობისა. გვიანი შემოდგომის მზესავით იგი არც თუ გაცხუნებს და არც თუ გაციებს. არის ნაწარმოებები, რომელნიც შეიძლება არ იყვნენ ნაკლისაგან დაზღვეულნი, მაგრამ იგრძნობ ენის სინოყივრეს, ფრაზის გემოს, სულს რომ აგითრთოლებს.

ლ. ავალიანის „ახალი ჰორიზონტი“ დაწერილია გამართული ლიტერატურული ენით, რომელსაც ენობრივი კანონებიდან ვერ შეედავებით, მცირე ნიუანსების გამოკლებით, მაგრამ იგრძნობთ, რომ ეს არ არის ის მსუყე, გამოსახულებით მდიდარი ხალხური ენა, რომელსაც ფრიად კარგად იყენებენ პროზის დიდი ოსტატები.

ახლა შევეხოთ ნაწარმოების მთავარ გმირებს. როგორ დახატა ისინი ავტორმა, როგორ გადაუხსნა მკითხველს მათი სულიერი სამყარო, რამდენად ტიპიური არიან და რამდენად დაუახლოვა ნამდვილ ცხოვრებას?

თამარელა!...

აი ის ძირითადი ღერძი რის ირგვლივაც ბრუნავს მთელი ნაწარმოები, თამარელა, ვის ირგვლივაც ტრიალებს მთელი ცხოვრება თავისი ავკარგით, დადებითი და უარყოფითი, კეთილი და ბოროტი ადამიანებით. თამარელა, სულით მტკიცე, წმინდა ზნეობის, დიდი ნებისყოფის ქართველი ქალიშვილი. ასე ვიცნობთ მას, ავტორის სურვილიც და წიგნის მიზანიც სწორედ ის არის, რომ ასე დაგვიხატოს თავისი საყვარელი გმირი.

მოგეხსენებათ, რომ მსოფლიო ლიტერატურაში დიდსა თუ პატარა ნაწარმოებებში, ცნობილი არიან ისეთი მკვეთრი ხასიათები, რომელნიც ერის ანდა მთელი მსოფლიოს ნაცნობ და უკვდავ ადამიანებად გადაიქცევიან ხოლმე. თითქოს მათ მართლა უცხოვრიათ. კი არ უცხოვრიათ, დღესაც ცხოვრობენ, მათთან ფრიად ახლო ნაცნობობა გვაქვს დამყარებული, ვიცით მთელი მათი ხასიათი, მათი სული ხელის გულზე გვაქვს გადაშლილი, ვხედავთ სიარულისას როგორ იქნევს ხელებს, როგორ დგამს მარცხენა ფეხს, როგორ ლაპარაკობს, რა საჭმელი სძულს და რა უყვარს, ვიცით რომელ სიტუაციაში როგორ მოიქცევა, ვხედავთ მისი თვალების ფერს.

ხომ შეგხვედრიათ ცხოვრებაში ადამიანები, რომელთაც მყისვე გაუხსენებიათ ბელიკოვი ან დონ-კიხოტი, ანა კარენინა ან კიტი, აქსინია ან ნატალია, ჯაყო ან ყბაჩა. დიახ, ამ ხასიათის შემქმნელმა მწერლებმა წიგნიერი გმირები გაacხოვრებისეულეს, მსოფლიოს მომცველი მხედველობით ჩასწვდნენ ადამიანის ბუნების მიუწვდომელ სიღრმეს და ცხოვრების ჭეშმარიტებას, შენიშნეს და დაიჭირეს მისი იდუმალი მაჯისცემა.

რა თქმა უნდა, ისეთ ფართო ნაწარმოებში, როგორიც არის „ახალი ჰორიზონტი“ შედარებით იოლია ხასიათის, მით უფრო მთავარი გმირის, გამოკვეთა, ვიდრე პატარა ნაწარმოებში, თუნდაც მარტო „ხასიათისათვის“ იყოს იგი დაწერილი, მაგრამ ჩვენი აზრით, თამარელას ხასიათი კიდევ ვერ არის სრულყოფილად გამოკვეთილი, ინდივიდუალური, ნაწარმოების სხვა გმირებისაგან მკვეთრად გამიჯნული, ისე როგორც ეს არის ხოლმე ცხოვრებაში.

სასურველი კი იყო უფრო სრულყოფილად დახატულიყო თამარელას სახე. უფრო სრულყოფილი წარმოდგენა გვქონოდა მის ხასიათზე. მკითხველი ღრმად ვერ სჭვრეტს მის სულს, მის შიდა სამყაროს. ყველა ადამიანს, თვით ყველაზე გულუბრყვილოსაც კი ამ დედამიწაზე, აქვს თავისი იდუმალებით მოსილი სამყარო, რომელსაც ძნელად ამჟღავნებს, ან არ ამჟღავნებს, აქვს თავისი საიდუმლო ზრახვები და სურვილები. აი, სწორედ ამ იდუმალ სამყაროს უნდა ჩასწვდეს მწერალი და მაშინ მაინც გამოამზეუროს, როცა გმირთან მარტო რჩება.

ადამიანი რთული არსებაა, იგი ერთსა და იგივე ხასიათზე ყოველთვის ვერ იქნება. მასში არის სხვადასხვა გრძნობების ჭიდილი, ავისაც და კარგისაც, ღალატისაც და ერთგულებისაც, ცთუნებისაც და ნებისყოფისაც. კარგი ადამიანი სძლევს ყოველ ცუდ ზრახვას, თრგუნავს და კარგიც ამიტომაა. თამარელა, ეს შესანიშნავი ქალი, რომლისთანებიც უეჭველია არსებობენ ცხოვრებაში, თითქოს ვერ გასცდა წიგნის გმირს, თითქოს ვერ დაუახლოვდა მიწიერ თამარელას, თავის ასლს, იმიტომ ვერ დაუახლოვდა, რომ მიწიერ თამარელას უფრო მეტი ვნებები, მეტი სურვილები აქვს, მეტი ეჭვები, მეტი ბრძოლა უხდება თავის სულში, ვიდრე იმ თამარელას, როგორიც წიგნშია. ნუთუ ხუთი წლის მანძილზე, როცა შატბიას იმედი გადაუწყდა, ერთხელ მაინც არ აუჩქროლდა ქალწულის სისხლი, ნუ-

თუ ერთხელ მაინც, თუნდაც წუთიერად არ შეუთრთოლა გული მამაკაცის ალერსის მონატრებამ, ის ხომ მიწიერი ადამიანია.

აი, სწორედ ამ მიზეზით, თამარელას თითქოს უჭირს წიგნიდან ცხოვრებაში გადასვლა.

ჩვენ ვერც გარეგნულად ვჭვრეტთ კარგად თამარელას. არ ვიცით, როგორ იცვამს, რა ფერის ტანსაცმელი შვენის, როგორი თვალები აქვს. როგორ დადის. ეს წვრილმანები როდია.

საინტერესო პიროვნებაა ნაწარმოების მეორე გმირი შატბია, თამარელას შეყვარებული, მაგრამ მის ირგვლივაც იგივე უნდა ითქვას, რაც თამარელაზე. ვერც შატბიას ხასიათია მკვეთრად გამიჯნული სხვა გმირებისაგან.

შატბია გაცილებით უკეთ არის დახატული პირველ და მეორე წიგნში. მესამე წიგნში, იმ დღიდან რაც შატბია ომში გამწესდა, მის ირგვლივ ყველაფერი თითქოს საიდუმლოებით არის მოსილი. მკითხველმა იცის ორი ძუნწი ინფორმაცია: ერთი შატბიას დაღუპვის ამბავი, ხოლო მეორე მისი სამშობლოსადმი ღალატის ამბავი.

ომის დამთავრებისას შატბია ინგლისელი ჯარისკაცის ფორმაში გამოჩნდება. როგორც ვიგებთ, იგი ინგლისელებს ჰყოლიათ ტყვედ. ეს არის და ეს. დანარჩენ დროს, როცა კი რომანში გამოჩნდება შატბია, მხოლოდ მისი ხელოვნების, მისი მომავლის ირგვლივ არის ლაპარაკი. ლაპარაკობენ სხვები, მხოლოდ თვითონ შატბია მეტად პასიურია, როგორღაც ულიმღამოა. როცა ის მოქმედებს, როცა ის ლაპარაკობს, თითქოს არ იგრძნობა, რომ ეს შატბიას, მხოლოდ შატბიას ლაპარაკი და მოქმედებაა. ერთნაირ ყალიბშია ჩამჯდარი შატბია მაშინაც, როცა სუფრაზეა, მაშინაც, როცა გამოფენაზეა და მაშინაც, როცა თავის კარ-მიდამოს უახლოვდება. მესამე წიგნში შატბიას როგორღაც დაეკარგა თავისი ბიოგრაფია, თავისი ხასიათი და თითქოს ბუნდოვან, ულიმღამო სილუეტად იქცა. ამავე დროს მკითხველი მის ირგვლივ ვერ იგებს სიმართლეს.

რაში იყო საქმე, რად მოვიდა მისი დაღუპვის ცნობა? რად გაასახლეს ნიკო და თავისი მეუღლე? ან რატომ დააბრუნეს? რას აკეთებდა შატბია ტყვეობაში? დარჩა თუ არა იგი პირნათელი, სინდისიერი თავისი სამშობლოს წინაშე? ჩვენი აზრით, ურიგო არ იქნებოდა პატარა ცნობა მაინც ჰქონდეს მკითხველს ყველაფერ ამის ირგვლივ.

ვისაც „ახალი ჰორიზონტის“ მესამე წიგნი აქვს წაიკითხული, ალბათ ახსოვს ის საბედისწერო ქაღალდი, რომელმაც ნიკოს ცხოვრება აწეწა. ნიკო, ეს უანგარო, პატიოსანი მუშაკი მეუღლეს უმალავს ერთადერთი შვილის დაღუპვის ამბავს.

ეს ამბავი ცოტა დაუჯერებელია. ნიკოს ერთადერთ შვილზე ძვირფასი აღარავინ ეგულებოდა ქვეყანაზე და იგი აღარც თავის თავს, აღარც ცოლს არ გაუწევდა ანგარიშს.

კაცი, ასეთი უბედურება რომ დაატყდა თავს, ამას აღარ ასწონდასწონიდა. ნიკოს ეს საქციელი „თავზე ხომ არა აქვს მოხვეული?“ დავუშვათ, რომ ეს ამბავი დასაჯერებელი იყოს, და დაშვებულიცაა. მაგრამ ამ განსაცდელში ჩავარდნილი ნიკოს სულიერი ცხოვრება ვერ არის კარგად დახატული. აი, აქ შეეძლო მწერალს უფრო ღრმა წიაღსვლები გაეკეთებინა ადამიანის სულის გამოსახატავად, მაგრამ რატომღაც ნებით თუ უნებლიეთ თავი აარიდა, კარგად ვერ დაიხატა ცოლის წინაშე ძალად მოცინარე, გაორებული კაცი, სულში რომ აუწონავ უბედურებას ატარებს, და მაინც იძულებულია არხეინად დაიჭიროს თავი. არ შეიძლება ამ მდგომარეობაში ჩავარდნილმა კაცმა, რაც არ უნდა დიდი სულიერი არტისტიზმი გააჩნდეს, გარეგნულ ქცევაში არ გამოამჟღავნოს ეს მძიმე ტრაღედია არ შეიძლება მარტო როცა დარჩება არ მისცეს გზა მოგუბებულ სევდას. არ შეიძლება შვილის ტანსაცმლის, ან მისი რაიმე ნივთის დანახვაზე გულში მაინც არ იბღავლოს. ჩვენ კიდევ ვიმეორებთ, ნიკოს ეს მდგომარეობა საინტერესო ფსიქოლოგიურ სიტუაციას ქმნიდა, შეიძლებოდა ღრმად შეჭრა მის სულში, მის ფსიქიკაში.

ერთი რამ მკაფიოდ შეინიშნება. სხვათა შორის, რომანის ნაწარმოების გმირებს მეტწილად თითქოს გული არაფერზე მოსდით, არ ბრაზდებიან, არაფერზე ღელავენ, არა აქვთ შემართება, მრისხანება.

გაჭიანურებულად გვეჩვენება სულიკოს სახლში საუბარი ხელოვნებაზე, კერძოდ, მხატვრობაზე და ცხოვრებაზე. იქნებ ეს მსჯელობა ურიგო არც იყოს, მაგრამ იგი ნაწარმოების მხატვრულ ქსოვილიდან არ უნდა ამოვარდეს.

გვხვდება აგრეთვე ზოგიერთი ისეთი ფრაზა, რომელიც მხატვრულ სიტყვაკაზმულობას არ მიეტევება: „მკაფიოდ ისმოდა მისი ავსების ხმა“, „უცებ სიბნელეში გაისმა მიწაზე ორი ვაშლის ზედიზედ დაცემის ხმა“, „იატაკის წმენდაში ხელი რომ არ შემლოდა, ყველა მაგიდაზე ოთხოთხი გადაბრუნებული სკამი ჩამოედო“.

ვიდრე ჩვენს ყველაზე მთავარ სათქმელს — ნაწარმოების დასასრულზე ვიტყოდეთ რაიმეს, გვინდა მკითხველს შევახსენოთ ის მართლაცდა პოეტური, დიდი ლირიზმითა და განცდით დაწერილი რამდენიმე ადგილი, რომელიც შუქსა და სითბოს მატებს ნაწარმოებს.

როგორ შეიძლება დაგავიწყდეთ ბარდღას დახვრეტის სცენა. აი, აქ გაიბრწყინა მწერლის ნიჭმა. აქ გვაგრძნობინა მხატვრული სიტყვის ძალა და გულის თრთოლვა, და როცა ჩვენ უფრო ხშირად ვლაპარაკობთ ნაკლზე, მხოლოდ იმიტომ, რომ გული გვტკივა, გვინდა ამ ნაკლისაგან დაზღვეული იყოს ნაწარმოები, რომელსაც მწერალმა ოცი წელი შესწირა.

„ნაცრხარი გორის ფერდობები დილიდანვე

ხალხით გაიჭედა... სხვებთან ერთად ნიკოც აპირებდა დასჯის ცერემონიაზე დასწრებას, მაგრამ დაინახა თუ არა, ხალხისთვის ამ ამბავს რაღაც სანახაობის სახე მიეღო, ეუცხოვა. — კაცს როგორ მოკლავენ, ასეთ საქმეში ცნობისმოყვარეობის გამოჩენა რა საკადრისია. —გაიფიქრა და გორაკამდე აღარ მისულა, უკან გამობრუნდა. რაღაც ეშმაკად ბარდღაც სწორედ ამ დროს ჩამოატარეს. ნიკოს გაუკვირდა, რომ ბარდღაბიძინა ფეხშიშველი მოჰყავდათ, მაგრამ ეს თურმე სიკვდილმისჯილის უკანასკნელი სურვილი იყო... როცა ფეხი აიდგა, მაშინაც ფეხშიშველა დადიოდა ამ მიწაზე, და ამ უკანასკნელადაც ასე მოენატრა. საკვირველი ისიც იყო, რომ გარდა ორიოდე შემთხვევისა, რაც ბავშვობის წლებიდან შემორჩენოდა მეხსიერებას — დედის სიკვდილი — როცა ექვსი წლისა იყო, პირველი თევზის დაჭერა ანკესით, როცა ცხრა წლისა იყო, სიცოცხლის უკანასკნელ, უკვე გამოთვლილ წუთებში ცდილობდა რამე ნუგეშის და სიხარულის მომგვრელი ეპოვნა წარსულში... მაგრამ ამაოდ“.

რა ბრწყინვალედ, რა დიდი ლირიზმითა და სევდით არის დაწერილი ეს ადგილი. კითხულობთ მას და თვალწინ გიდგათ პატარა ბიჭი დილის გრილ მიწას რომ შეიგრძნობდა შიშველი ფეხებით, როგორ ჰყვარებია მას აქაურობა! როგორ ჰყვარებია მიწა და ომმა კი მოღალატის სახელით გოლგოთაზე აიყვანა. სიკვდილის წინ ფეხშიშველამ ერთხელ კიდევ უნდა შეიგრძნოს აქაური მიწა და მისი ტრფიალი.

ბოლოს რა მართლად და რა ოსტატურად არის აღწერილი ბარდღას სიკვდილი: „შეტორტმანებულმა მარჯვენა ხელი მარცხენის მიშველებით, მძიმედ ასწია, თვალებზე რომ მოესვა. ეგონა დახუჭული მაქვსო. რა იცოდა, რომ თვალები ახლა ჩვეულებრივზე უფრო ფართოდ გახელილი ჰქონდა. მარჯვენა ხელი რომ სახეზე მოისვა, წინ მდგომთაგან უმრავლესობამ უმალ შენიშნა — ხელის მტევანი სისხლით ჰქონდა შეღებილი. ერთი ტყვია ხელზე მოხვედროდა. სასიკვდილოდ დაჭრილმა, რამდენიმე ნაბიჯი ბორძიკით და ტორტმანით გადადგა, რაღაცას წამოედო, მოსხლეტით, გულაღმა დაეცა... დაეცა და აღარც განძრეულა“.

მთელ რომანში ერთხელ გამოჩნდება ვინმე შოფერი ვასიკო. სულ რაღაც ხუთიოდე წუთით შემოიჭრება რომანში, მაგრამ ისე გვამახსოვრებს თავს, აღარასოდეს გვავიწყდება. აი, ნიმუში ადამიანის ხატვისა. თვალწინ მიდგას ეს ჯმუხი, ცოცხალი ბიჭი, ვიცი მისი ხასიათი, მისი გარეგნობა, მისი ცოდნა, ვიცი ასეთი კაცი ცხოვრებაში რას იკადრებს და რას არა.

რა თქმა უნდა, კიდევ შეიძლება კარგი ადგილების მოყვანა, უფრო დეტალურად განხილვა მთელი წიგნისა, მაგრამ ეს ძალზე შორს წაგვიყვანდა.

საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ ნაწარმოების ბოლოზე.

გველისაგან შატბიას დაკბენა, თამარელას მიერ შატბიას ფეხიდან შხამის გამოწოვა და ამ შხამით მისი სიკვდილი ცოტა გაუმართლებელი ხომ არ არის? მთელი ნაჯაფ-ნაღვაწი ამ ფინალმა ხომ არ დააზიანა? ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ასე უნდა იყოს. ვფიქრობთ, რომ ბოლო ხელოვნურია, ცოტა არ იყოს მკითხველის ნერვებზე გაცვეთილი ხერხით თამაშია.

რა თქმა უნდა, გველი არის სიმბოლიკა, იმ მძიმე ქამისა, რომელმაც გმირი შეიწირა, მით უფრო, რომ პირველ წიგნშივე ჩანს ეს გველი. სიმბოლიკის წინააღმდეგი ვინ არის, მაგრამ სიმბოლიკაც არის და სიმბოლიკაც.

ამ სიმბოლიკით მწერალმა საქმე ხომ არ გააიოლა; ხომ არ შეიძლებოდა დასასრულის უფრო კარგი ვარიანტის გამონახვა? ეს გველი მაინც საგანგებოდ გამოწერილს ჰგავს, რომელმაც თითქოს გასაჭირიდან უნდა გიხსნას.

გველის შხამმა შეიწირა თამარელა და მან თან წაიღო გასაჭრელი ბილიკი, გასატეხი ყამირი, შრომა თითქოს გააიოლა. მოიხსნა ტვირთი ლეონტი ბუზალაძის მკვლელობისა და აგრეთვე ხიდაშელთან ურთიერთობისა. ამით მწერალს აღარ დასჭირდა იქითკენ მიბრუნება. ჩვენი ღრმა რწმენით კი ამ ტვირთის მოხსნა ისეთ მწერალს, როგორიც ლ. ავალიანია, სხვანაირად, უფრო ოსტატურად, უფრო დამაჯერებლად შეეძლო.

შეიძლებოდა ნაწარმოების შესაფერისი, მისგან გამომდინარე ბუნებრივი დასასრული.

აი ჩვენი ძირითადი პირუთვნელი შენიშვნები „ახალი ჰორიზონტის“ მესამე წიგნზე. შეიძლება რაიმეში შევცდით, მაგრამ ნაკლი და დადებითი მხარე გულწრფელად და სიყვარულით აღვნიშნეთ. აბა, სხვა რა გვრჯიდა თუ არა კეთილი სურვილი ავტორისა და წიგნის მიმართ. ავტორისა, რომელსაც ვიმეორებთ, ოცი წლის მძიმე შრომა გაუწევია. და თუ ჩვენი შენიშვნები რაიმე ნაყოფს გამოიღებს, თუ კი მწერალი ჩაუფიქრდება მათ და იმოქმედებს თავისი გულის კარნახით, ვინ იცის, იქნებ „ახალი ჰორიზონტი“ უფრო დიდ შენამატად იქცეს ჩვენი დღევანდელი ლიტერატურისათვის?

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ. ბარამიძე

# იდეოლოგიური ბრძოლები ადრეული საუკუნეების საქართველოში

ქრისტიანობა, ენგელსის სიტყვებით რომ ვთქვათ, აღმოცენდა «как религия рабов и вольноотпущенных, бедняков и бесправных, покоренных или рассеянных Римом народов»[1], რის გამოც მას თავდაპირველად ერთგვარად დემოკრატიული ხასიათი ჰქონდა, ხოლო მომძლავრებისა და განმტკიცების შემდეგ, ლენინის მართებული დაკვირვებით, «Христиане, получив положение государственной религии, «забыли» о «наивностях» первоначального христианства с его демократически-революционным духом»[2]. ამიტომ, რომის იმპერიიდან გამოსულ ქრისტიანობას სხვა ქვეყნებში გავრცელებისას დიდი სოციალური და მსოფლმხედველობრივი წინააღმდეგობების დაძლევა უხდებოდა.

ადრეული საუკუნის ძეგლებში საკმაოდ რეალისტურად, უშუალოდ აისახა ქრისტიანობის გავრცელების პირველი ნაბიჯები. კერძოდ, ახალი მოძღვრების შემოსვლას დიდი მსოფლმხედველობითი და სოციალური წინააღმდეგობის გადალახვა დასჭირდა. ახალი მოძღვრება ფეხს უმტკივნეულოდ როდი იკიდებდა. პირიქით, მას სასტიკი ბრძოლის გადატანა უხდებოდა. მარტო ქადაგებები და შთაგონებები არ იყო საკმარისი მოსახლეობის დარწმუნებისათვის, პირიქით, ხშირად საკმაოდ სასტიკ ზომებსაც კი მიმართავდნენ. ახალი მოძღვრება მშვიდად, ყველასათვის სასიამოვნოდ კი არ შემოდიოდა, კი არ ეგებებოდა მას გახარებული მოსახლეობა, როგორც ეს გვიანი საუკუნეების გარკვეული სარწმუნეობრივი ტენდენციის გამომხატველ ძეგლებშია აღწერილი, არამედ ის თავდაპირველად ცეცხლითა და მახვილით იკაფავდა გზას.

ქრისტიანობის შემოსვლამდე, ჯერ კიდევ რამდენიმე საუკუნით ადრე, საქართველოში შეიმჩნევა მკვეთრად გამოხატული მსოფლმხედველობითი ძიება, სხვადასხვა რელიგიურ სისტემათა ჭიდილი და დაპირისპირება. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ სარწმუნეობრივი საკითხის გააზრება მუდამ ეროვნულ მიზნებთან მჭიდრო კავშირში ხდებოდა. ამ თავისებურებაზე ჩვენი მემატიანეები საგანგებოდ მიაპყრობდნენ მკითხველის ყურადღებას.

ჯერ კიდევ ქრისტიანობის დამკვიდრებამდე, წარმართული რწმენის დროსაც, ჩვენი წინაპრები სარწმუნოებრივ პრობლემას ეროვნულთან უშუალო კავშირში განიხილავდნენ და აღმსარებლობას პოლიტიკურ ორიენტაციას უკავშირებდნენ. ამდენად, სარწმუნოება ეროვნულსახალხო მისწრაფებების მკვეთრად გამომხატველი იყო.

მაგალითად, ლეონტი მროველი მოგვითხრობს ფარნაჯომ მეფის აღმშენებლობითს საქმიანობის შესახებ და საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ქართველებმა ამ მეფეს სპარსოფილობა შენიშნსე და მსწრაფლ განუდგნენო“ ამისა შემდგომად ფარნაჯომ შეიყუარა სჯული სპარსთა, ცეცხლის მსახურება, მოიყვანნა სპარსეთით ცეცხლისმსახურნი და მოგუნი, და დასხნა იგი მცხეთას, ადგილსა მას, რომელსა აწ ქვიან მოგუთა, და იწყო ცხადად გმობად კერპთა, ამისთჳს მოიძულეს იგი მკჳდართა ქართლისათა, რამეთუ დიდი სასოება აქუნდა კერპთა მიმართ. მაშინ შეითქუნეს ერისთავნი ქართლისანი უმრავლესნი, და წარავლინეს მოციქული წინაშე სომეხთა მეფისა და რქუეს: „მეფე ჩუენი გარდა-

---

[1] Ф. Энгельс. К истории раннего христианства. К. Маркс и Ф. Энгельс, თხზ., ტ. XVI, ч-2-я, გვ. 409.

[2] В. И. Ленин, თხზ., ტ. 25, გვ. 392.

ქდა სჯულსა მამათა ჩუენთასა, არღარა მსახურებს ღმერთთა მპყრობელთა ქართლისათა შემოიღო სჯული მამული და დაუტევა სჯული დედული. აწ არღარა ღირს არს იგი მეფედ ჩუენდა“.[1] აქ აშკარაა, რომ ქართველებს სარწმუნოება ეროვნულ-პოლიტიკურ ინტერესებთან გადაჯაჭვულად აქვთ გააზრებული. მათთვის ამოსავალია ეროვნული მიზნები და ვერ ეგუებიან რომ მეფე „გარდაჰდა სჯულსა მამათა ჩუენთასა“.

მიზანთა მიზანი ტრადიციის, ეროვნული რწმენის დაცვა იყო. ცეცხლთაყვანისმცემლობის დამკვიდრებით კი გზა ეხსნებოდა დამპყრობელ სპარსელთა გავლენის გაძლიერებას, რაც ეროვნულ თვითმყოფელობას დიდ საშიშროებას უქადდა. აქ იგივე პოლიტიკურ-ისტორიული სიტუაციაა, რაც შემდეგ ვარსქენისა და შუშანიკის დრამას დაედვა საფუძვლად. ორივე შემთხვევაში სარწმუნოებრივი პრობლემის მიღმა ეროვნული დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის არის ბრძოლა გაჩაღებული. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ეს ეროვნული კონცეფცია საერთო-სახალხო მისწრაფების გამოხატულებაა. თვით მეფეც კი ვერ ბედავს დაუპირისპირდეს ხალხის ინტერესებს და იძულებულია ამ უკანასკნელთა ნებას დაემორჩილოს. რენეგატ ფარნაჯომის შვილი მირვანი, მამის პოლიტიკის კატასტროფით დამთავრების შედეგად, დარწმუნდა, რომ ძნელია ხალხისთვის არასასურველი პოლიტიკური კურსის თავზე მოხვევა და ერთგვარი ბოდიშის მოხდით ცდილობს მიინდოს ხალხი და მათთან გამონახოს საერთო ენა. ის აშკარად ადანაშაულებს მამას და ამართლებს კიდეც მის მკვლელებს. მირვანს მამის მოკვლა სამართლიან განაჩენად მიაჩნია: „სამართლად მოიკლა მამა ჩემი, რამეთუ ვერ კეთილად იპყრა სჯული მამათა თქუენთა, და აწ ნუ არს საურავი და შიში გულსა თქუენსა სიკუდილისათჳს მამისა ჩემისა, რამეთუ სჯულისა დატევებისათჳს მოჰკლავენ მამანი შვილთა და ძმანი ძმათა, და არა იძიების სისხლი სჯულისა დატევებისათჳს მოკლულთა“.[2]

რასაკვირველია, ეს განცხადება მთლიანად გულწრფელი არ არის, უფრო დიპლომატიური ტაქტიკური სვლაა, მაგრამ, მთავარია, რომ თვით მეფეც იძულებულია ანგარიში გაუწიოს ერის პოზიციას, მის მიზნებს და ამისათვის თვალს ხუჭავს მამის მკვლელობის გამო. ის, თავისდაუნებურად, პირად, მამაშვილურ ურთიერთობაზე მაღლა ეროვნულ-მსოფლმხედველობით პრინციპებს აყენებს. აქ მემატიანე აშკარად გვაგრძნობინებს ხალხის ხვედრით წონას საზოგადოებრივ ცხორებაში.

[1] ქართლის ცხოვრება, გვ. 29, ტ. I.

[2] იქვე, გვ. 31.

არსებითი საერთო-სახალხო პრობლემის — ეროვნულ-მსოფლმხედველობითი პოზიციის გადაწყვეტაში ასეთ დროს წარმმართველი ძალა თვით ერია, და უფლებაშეუზღუდველი მონარქიც კი თავის მიზნებს საერთო-სახალხო ნებას უქვემდებარებს.

ერის ძალა კიდევ უფრო მეტი სიმკვეთრით იგრძნობა ვარაზ-ბაქარის მეფობასთან დაკავშირებით. ვარაზ-ბაქარი შინაგანად არავითარ სიმპათიას არ გრძნობდა ქრისტიანობის მიმართ, მას თითქოს არც სწამდა ქრისტიანობა, მაგრამ თავისი პირადი დამოკიდებულების გამჟღავნებას ვერც კი ბედავდა. ერის მოთხოვნილებისა და მისწრაფების გამო ის სავსებით შეზღუდული და პასიური გახდა. თავისი გრძნობა და შეხედულებები გულში ჩაიკლა და ვერ გაბედა სარწმუნოების საკითხში პირადი პოზიციის გამოაშკარავება: „ესე ვარაზ-ბაქარ მეფე იყო კაცი ურწმუნო და მოძულე სჯულისა, და ვერ იკადრებდა ერისაგან განცხადებად სჯულისა სიძულილისა, რამეთუ მოქცეულ იყო ქართლი და დიდსა სარწმუნოებასა შინა იყვნეს აზნაურნი და ყოველი ერი ქართლისა. და ვარაზ-ბაქარ — შიშისა მათისაგან ვერ განაცხადებდა დატევებასა სჯულისასა“.[1] მემატიანე სრული დამარწმუნებლობით გვაგრძნობინებს „ყოველი ერის“ აქტიურ და ქმედითს ძალას საერთო-სახალხო საქმეში.

ამავე ეპიზოდში საინტერესოა შემდეგი: მეფე ვარაზ-ბაქარი, თუმცა უმწეო მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი, რომელიც ხალხის შიშით ვერ ბედავდა საკუთარი თვალსაზრისის გამომჟღავნებას, ჩვენს ყურადღებას იმით იპყრობს, რომ უნარი შესწევს სარწმუნოებრივ საკითხში გამოავლინოს სრული ინდივიდუალობა, აღნიშნულ სფეროში მას თავისი სიმპათია-ანტიპათია აქვს. მართალია, მემატიანე არ იძლევა ახსნას, თუ რა იყო მიზეზი ვარაზ-ბაქარის ურწმუნოებისა, კერძოდ, აქამდე ის ღრმა მსოფლმხედველობითი ძიებით მივიდა და ქრისტიანობაში ვერ იპოვა თავისი გონებრივი და სულიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილება, თუ საერთოდ ინერტიულობა ედო საფუძვლად რწმენისადმი მის სკეპტიკურ დამოკიდებულებას. ასეა თუ ისე, თვით ფაქტია მრავლისმეტყველი. მემატიანე აცოცხლებს ადრეული საუკუნეების ერთ-ერთ საინტერესო პიროვნებას, რომელიც ერთგვარ თავისუფლებას იჩენს სარწმუნოების საკითხში და, თუმცა მეტად პასიურად, მაგრამ მაინც ახერხებს თავისი სუბიექტური დამოკიდებულების გამოხატვას. მართალია, ხალხის ძლიერი ზეგავლენის გამო მის დამოკიდებულებას არა აქვს არავითარი საზოგადოებრივი რეზონანსი, მაგრამ, თავისთავად, ეს მაინც მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. კერძოდ, მემატიანის ზემოთ მოყ-

[1] იქვე, გვ. 135.

ვანილი ცნობით ჩვენ ვიგებთ, ერთი მხრივ, თუ რამდენად დიდი საზოგადოებრივი ფაქტორია საერთო-სახალხო განწყობილება და მიზანსწრაფვა, და, მეორე მხრივ კი, ვარაზ-ბაქარის სახით ვეცნობით ერთგვარად თავისუფლად მოაზროვნე ადამიანს, რომელიც, თუმცა გაუბედავად, მაგრამ პრინციპულად, ოპოზიციურ მდგომარეობაშია ოფიციალურ-სახელმწიფოებრივ ინსტიტუტთან.

ზემოთმოყვანილი ფაქტი მეტად მკრთალი, მაგრამ მაინც საინტერესო გამოვლენაა რწმენის თავისუფლებისა.

მემატიანე რწმენის თავისუფლების სურათს გაცილებით უფრო აშკარად და რელიეფურად გვიხატავს. ჩვენი ისტორიის უძველეს პერიოდის აღწერისას, კერძოდ, ქასრემ ქართლში მეფედ დასვა თავისი ძე მირიანი, ციხეებში დატოვა სპარსელთა ჯარი და დამოძღვრა სპარსელნი და ქართველნი: „და იყოს შვილი ჩემი ორსავე სჯულსა ზედა: მამათა ჩუენთა ცეცხლის მსახურებასა და თქუენთა კერპთასა“, რამეთუ პირველივე ამას ზედ მოეცა ფიცი.“[1] მეტად იშვიათი და უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ გამგებელი მოსახლეობას არ ახვევს თავს ერთ რწმენას, არამედ აძლევს თავისუფლებას რწმენის არჩევაში. ეს იმაზეც მეტყველებს, რომ ადგილობრივ მკვიდრთა კულტურული დონე იმდენად მაღალი იყო, რომ სპარსელება იძულებულნი იყვნენ მისთვის ანგარიში გაეწიათ.

მეფის ჰუმანურობის მაუწყებელია, რომ ის ნებას რთავს ერთ ქვეყანაში ორი რწმენის არსებობას და ხალხს აძლევს საშუალებას თავისი სურვილის მიხედვით აღიარონ მისთვის მისაღები რელიგიური სისტემა. ეს უაღრესად დემოკრატიული პრინციპი აზროვნების თავისუფლების შესანიშნავი დემონსტრაციაა. ეს არის უტყუარი დადასტურება იმისა, თუ რამდენად სათუთად და ფრთხილად ეპყრობოდნენ რწმენის საკითხებს. ადრეულ საუკუნეებისათვის თითქმის წარმოუდგენელია ასეთი რჯულშემწყნარებლობა, რომელიც მაუწყებელია დიდი ეროვნული კულტურისა და იშვიათი ჰუმანიზმისა.

ასეთ დიდ დემოკრატიულ ტრადიციებზე აღზრდილი მირიანი, ბუნებრივია, გულისხმიერად და ანგარიშგაწევით ეპყრობოდა აღმსარებლობითს საკითხს. ის, როგორც ჩანს, არ ზღუდავდა პიროვნების თავისუფლებას მსოფლმხედველობითი ძიების სფეროში. მისთვის უცხო იყო სარწმუნოებრივი შეზღუდულობა და კარჩაკეტილობა, რის გამოც მისი თანამედროვე მოქალაქენი თავიანთი პირადი გადაწყვეტილებით აღიარებდნენ მათთვის სასურველ რელიგიას. მირიან მეფის პროგრესული პოზიცია და აღმსარებლობით საკითხში ერთგვარად ლიბერალური დამოკიდებულება საფუძველი იყო იმ ფაქტისა, რომ სწორედ მისი მეფობის პერიოდში გახდა შესაძლებელი ჩვენში ახალი ქრისტიანული რელიგიის დამკვიდრება.

1 ქართლის ცხოვრება, გვ. 65.

გარკვეულ ისტორიულ გარემოთა შედეგად შექმნილმა სოციალურ-პოლიტიკურმა ფაქტორებმა და მირიან მეფის პირადმა თვისებებმა ხელი შეუწყო ჩვენში ქრისტიანობის დამკვიდრებას. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ქრისტიანობა ჩვენში უეცარი, ერთობლივი აღიარებით არ დამკვიდრებულა. ამ ახალ რელიგიას აქ საკმაოდ დიდი კულტურისა და ტრადიციის მქონე წარმართული რელიგია დახვდა, რომელიც უბრძოლველად როდი სთმობდა პოზიციებს. ამით აიხსნება, რომ ქრისტიანობა დიდ და სასტიკ წინააღმდეგობათა დაძლევის გზით იმკვიდრებდა ჩვენში ადგილს. ამ დიდ ბრძოლათა ნათელი დადასტურებაა ქართულ წყაროებში შემონახული მრავლისმეტყველი ცნობები.

ქართალელ-ფხოველთ დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს ნინოს, არ ისურვეს ქრისტიანობას მიღება, მაშინ: „ნინო უბრძანა ერისთავსა, რათა წარმართოს მცირედ მახვილი მათ ზედა. და ვითარცა შებმა უყვეს, შიშით მისცნეს თავნი მათნი ნათლის-ღებასა“.[1] აგიოგრაფების მიერ სათნო და კეთილად წარმოდგენილი ნინო, თავს არ იკავებს მკაცრ მხედართმთავრისათვის დამახასიათებელ სასტიკ მეთოდებზეც კი, როდესაც საკითხი ეხება ქრისტიანობის დამკვიდრებას. ამ უკანასკნელ მოძღვრებას შინაგანი სურვილით, შთაგონებითა და ხალისით კი არ ეზიარებიან, არამედ მას შემდეგ, როდესაც მათზე წარმართნეს მახვილი და შიშმა აიძულა მონათლულიყვნენ, ანუ, როგორც ხატოვნად ამბობს მემატიანე, „შიშითა მისცნეს თავნი მათნი ნათლი-ღებასა“. ქრისტიანობის გამავრცელებელნი უხეშ ძალადობას მიმართავენ და მოსახლეობას არჩევანის წინაშე აყენებენ: „ანუ მოინათლნენ, ანუ მოისრნენ“ და მახვილით ძლეულნი ეზიარებოდნენ ახალ მოძღვრებას: „ამან ჰერაკლე ტფილისს და მცხეთას და უჟარმას განავლინნა ქადაგნი, რაჲთა ყოველნი ქრისტეანენი ქალაქთა შინა, ეკლესიათა შინა, შემოკრბენ და ყოველნი მოგუნი და ცეცხლისა მსახურნი ანუ მოინათლნენ, ანუ მოისრნენ. ხოლო მათ ნათლისღება არა ინებეს, ზაკუვით თანა აღერინეს ქრისტეანეთა ვიდრემდის ყოველთა ზედა წარჰმართნა მახვილი და ეკლესიათა შინა მდინარენი სისხლისანი დიოდეს“.

საყურადღებოა, რომ ძველ რედაქციებში უფრო რეალისტურად და ისტორიული ვითარების დაცვით არის გადმოცემული ქრისტი-

1 „მოქცევა ქართლისა“ აგიოგრაფ. ძეგლები, ტ. I, გვ. 89.

ანობის შემოსვლასთან დაკავშირებული ეს დიდი იდეური და სოციალური ძვრები. ხოლო შემდეგი დროის ძეგლებში ქრისტიანობის დამკვიდრება ჩვენში ისეა წარმოდგენილი, თითქოს ის უკონფლიქტოდ ხდებოდა, ქრისტიანობას თითქოს სიხარულითა და სურვილით ეგებებოდა მოსახლეობა. ისტორიული ფაქტის ასე წარმოდგენა, რასაკვირველია, მსოფლმხედველობრივ ფაქტორს ეყრდნობა, ისტორიული სურათი მიკერძოებით არის დახატული. გამარჯვებული მოძღვრება თავის დამკვიდრების პირველ ნაბიჯებშიაც საზეიმო, პარადულ განწყობილებებს ნახულობს, ყოველ შემთხვევაში, ცდილობს ასე დაარწმუნოს მორწმუნენი. მაშინ, როდესაც, როგორც ვნახეთ, ის დიდ კონფლიქტებთან იყო დაკავშირებული, ხალხი დიდი სისხლისღვრის ფასად ინათლებოდა.

ახალ მოძღვრებას საკმაოდ მტკიცე და დიდი ტრადიციების მქონე წარმართული რწმენა დახვდა, რომელიც უბრძოლველად როდი სთმობდა პოზიციებს. ახლის დამამკვიდრებლებს სერიოზულ დაბრკოლებას უქმნიდნენ ძველის დამცველნი. და ეს ჭიდილი, ეს წინააღმდეგობები და ბრძოლა, ამ ორი რწმენისადმი ხალხის დამოკიდებულება საკმაო სისრულითა და რეალისტურობით აისახა, საერთოდ, ადრეულ ქართულ მწერლობაში, და, კერძოდ, ისტორიოგრაფიაში.

შემდგომი საუკუნის მწერლები და მემატიანენი ქრისტიანობის დამკვიდრებას ისე წარმოგვიდგენენ, რომ თითქოს ხალხმა უყოყმანოდ აიღო ხელი მამა-პაპეულ რწმენაზე და ხელგაშლილი შეეგება ახალს. მაგრამ ეს გვიანი პერიოდის მორწმუნე მწერალთა ტენდენციური დამოკიდებულებაა ისტორიული მოვლენებისადმი, ხოლო ჩვენი მწერლობის ადრეულ ძეგლთა ერთ-ერთი ღირსება სწორედ ისიც არის, რომ მათ შეუფერავი რეალისტური სურათი შემოგვინახეს ისტორიული ვითარებისა. მათი წყალობით ჩვენ ვხედავთ, თუ როგორი ბრძოლით იკვლევდა გზას ახალი მოძღვრება, რა წინააღმდეგობებს აწყდებოდა ის და როგორი იყო საერთო სახალხო განწყობილება, როგორ დიდ ტკივილებსა და შინაგან განცდებს ავლენდა ხალხი მსოფლმხედველობითი ძიების პროცესში.

ღრმადმორწმუნე მემატიანე, თუმცა თავისა მსოფლმხედველობის გამო, ტენდენციური იყო, ისტორიულ მოვლენებს საკმაოდ რეალისტურად წარმოგვისახავს და ნათელ წარმოდგენას გვიქმნის იმაზე, თუ რა წვლილი შეჰქონდა ხალხს აღმსარებლობითი საკითხის გადაწყვეტაში. მემატიანის მიერ დახატული სავსე სურათი თვალწინ გვიშლის ხალხის ცხოვრებას, მათს მოქმედებასა და ურთიერთდაპირისპირებას. ჩვენ ვიგებთ, რომ ხალხი აქტიურ, ქმედითს მონაწილეობას იღებდა რწმენის საკითხის გადაწყვეტაში.

ქრისტეს აღმსარებელნი ყოველნაირად ცდილობდნენ ახალი მოძღვრების დამკვიდრებას, მაგრამ არტემიდასა და აპოლონის მაღიარებელნი ეჭვის თვალით უყურებენ მათთვის უცხო ღვთაებას და დიდ ერთგულებას და პრინციპულობას იჩენენ საკუთარი რწმენის დაცვაში. ეს დიდი ბრძოლა დამარწმუნებლად აქვს გადმოცემული ჩვენს მემატიანეს; კერძოდ, ის გვიყვება ქრისტიანობის დამკვიდრებასთან დაკავშირებულ სასწაულებს და იქვე აღნიშნავს: „ხოლო იყო ღმერთნი მათნი, არტემი და აპოლონ, და ვითარცა იხილეს საქმე ესე მღუდელთა მათ სიცრუვისათა, აღივსნეს და იწყეს ცილობად და წინააღმდგომად მოციქულისა, ეგრეთვე ერი იგი რომელნიმე იტყოდეს: ჯერ არს თაყვანისცემად რომელმან ესევითარი სასწაული აღასრულა“, ხოლო რომელნიმე იტყოდეს, ვითარმედ: „აპოლონ და არტემი არიან დიდნი ღმერთნი“. და იყო ცილობა და შფოთი მათ შორის, ვიდრემდის ესევითარი საქმე და ბჭობა დაამტკიცეს თანამოწამებითა ყოვლისა ერისათა“.[1] სწორედ ეს „ყოვლისა ერისა ბჭობა“ ნათელი დადასტურებაა იმისა, თუ რამდენად აქტიური და უშუალო იყო ხალხის წვლილი საერთო-სახალხო საქმის გადაწყვეტაში, თუ რა სიფხიზლესა და თაოსნობას იჩენდა ხალხი ამღსარებლობითი საკითხის გადაწყვეტაში. ამავე ეპიზოდიდან ვიგებთ, რომ მოსახლეობის ფართო ფენა ერთბაშად და ბრმად კი არ გაჰყოლია ახალი სარწმუნოების მქადაგებლებს, არამედ რწმენის საკითხი სახალხო სჯისა და ფიქრის, განჭვრეტისა და აზროვნების საგანი გამხდარა.

მემატიანეთა მიერ დიდი ოსტატობითა და მხატვრული დამაჯერებლობით გამოძერწილი სურათებით ვიგებთ, რომ ქრისტიანობა თავდაპირველად სისხლითა და მახვილით იკაფავდა ჩვენში გზას. მეტად მრავლისმეტყველია ვახტანგ მეფის მოღვაწეობის ამსახველი ერთ-ერთი ეპიზოდი. კერძოდ, ვახტანგმა უბრძანა პეტრეს ჯვრის მოტანა და „რქუა მეფემან“: „დადეგ წინაშე პირსა მტერისასა და ერისა ჩუენისასა, არქუ ყოველთა თაყუანის ეცით ჯუარსა და ვსძლოთ მტერსა, და რომელმან არათაყუანისცეს მოკალთ“. და უბრძანა დემეტრეს, ერისთავსა თჳსსა, და ჯუანშერსა სპასპეტსა, რათა მიჰყვენ ჯუარსა თანა: და ქადაგკმობდა ძლიერად: რომელმან არა თაყუანისცეს ჯუარსა, მოკუედინ“ და მოვიდოდეს ყოველნი ერნი, და თაყუანის-ცემდეს და დადგებოდეს წინაშე ჯუარსა.

ხოლო ბორზო მოვაკნელმან მეფემან თქუა:

1 ქართლის ცხოვრება, გვ. 41.

„არა დაუტეობ ნათელსა შემწუელსა და არა თაყუანის-ვცემ ძელსა მაშმელსა, რომელი განშუენებულ არს ოქროთა და ანთრაკითა". და სცა მას ლახვარი ჯუანშერ სპასპეტმან, და დაეცა მძორი მისი. მიერითგან არღარავინ იკადრა გმობად ჯუარისა, და აღთქმით ეტყოდა ერი იგი მეფესა ვახტანგს: უკეთუ შემეწიოს ჩუენ ჯუარი, არღარა იყოს ჩუენდა სხუა ღმერთი გარნა ჯუარცმული".[1]

დიდი მხატვრისათვის ნიშანდობლივი სიღრმითა და სიმახვილით არის დანახული ისტორიული მოვლენის არსი და სრული დამაჯერებლობით არის გადმოცემული ახალი მოძღვრების დამკვიდრების მეთოდები, გამავრცელებელთა უკომპრომისობა და სისასტიკე. უაღრესად კოლორიტული და დაუვიწყარია პრინციპული და მტკიცე ნებისყოფის ბორზო, სავსე ინდივიდუალობითა და მოვლენებისადმი კრიტიკული დამოკიდებულებით, რომელიც ეჭვის თვალით უყურებს ახალ სარწმუნოებას და ძველის დაცვის მსხვერპლი ხდება. ამ მცირე ეპიზოდის საშუალებით სრული წარმოდგენა გვექმნება ისტორიულ მოვლენებზე: ჩვენს თვალწინ ცოცხლდება დიდი კონფლიქტები, ძლიერ პიროვნებათა ჭიდილი, ბრძოლა მსოფლმხედველობითი პრინციპების გარშემო. თუ რა თანმიმდევრულნი და შეუპოვარნი იყვნენ ახალი მოძღვრების გამავრცელებლები, ეს ადვილი წარმოსადგენია თვით ვახტანგ მეფის მიერ კეისრისადმი მიწერილი წერილიდანაც:

„რამეთუ სადაცა მიპოვნიეს სახლი ცეცხლისა, დამივსია ფსლითა და მოგუნი და მზირნი მათნი მიმიცემიან სატანჯველსა ბოროტსა, და მაცთური ბინქარან მიეეც საპყრობილესა, და სიკუდილისაგან გარდაიხუეწა. მან უკუე მოიყვანნე სპარსნი ქართლად. და დავსუ ეპისკოპოსად მიქაელ, კაცი სარწმუნო. ხოლო ბინქარან, ვითარცა მოიწია საზღვართა ქართლისათა მოკუდა".2

ვახტანგი მოურიდებლად გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ძველი რწმენისადმი და დიდ სასულიერო იერარქიულ რეფორმატორობასთან ერთად რისხვას არ აკლებს მოგვ ბინქარანს.

როგორც ვხედავთ, ქართულ საისტორიო თხზულებებში უაღრესად რეალისტურად და მკვეთრად არის ასახული სახალხო-საყოველთაო მოვლენები; გვექმნება საკმაოდ მდიდარი წარმოდგენა იმისა, თუ რა სასიცოცხლო დაინტერესებით იღებს ხალხი მონაწილეობას მსოფლმხედველობითი პრობლემების გადაწყვეტაში, რა სიფრთხილითა და ჩაღრმავებით ეპყრობიან, უკვირდებიან მას. ამავე დროს მორწმუნეთა ორივე ბანაკის ლიდერები წარმოუდგენელ ნებისყოფასა და ენერგიას ამჟღავნებენ საკუთარი რწმენის დაცვაში.

ვახტანგ გორგასალი ერთ-ერთი იმ ქართველთაგანი იყო, რომელიც აქტიურად ერეოდა საეკლესიო საქმეებში და უშუალო მონაწილეობას იღებდა როგორც სასულიერო წოდების იერარქიის მოწესრიგებაში, ისე მსოფლმხედველობითი პრობლემის გადაჭრაში.

მან დიდი წვლილი შეიტანა ქრისტიანობის განმტკიცებაში, უპირველეს ყოვლისა, სასტიკად შეუტია ცეცხლთაყვანისმცემლებსა და მათს ლიდერებს. ამასთანავე, მას კარგად ესმოდა, რომ ცეცხლთაყვანისმცემლები სპარსოფილები იყვნენ და პოტენციურად საშიშროებას უქმნიდნენ ქვეყნის დამოუკიდებლობას. ისინი — სპარსეთის ერთგვარი აგენტები — სპარსთა შემოტევის შემთხვევაში დიდ საფრთხეში აყენებდნენ ქვეყანას. ყოველივე ეს შესანიშნავად გაითვალისწინა შორსმჭვრეტელმა პოლიტიკოსმა და მძიმე პოლიტიკურ სიტუაციაში, უპირველესად, მსოფლმხედველობითი საკითხის მოწესრიგება გადაწყვიტა.

საგარეო საკითხთა მოწესრიგებისას, უწინარეს, საჭირო იყო საშინაო მდგომარეობის მოგვარება. ამ მხრივ არსებითი იყო ერის გაერთიანება ერთმორწმუნეობის დროშის ქვეშ. სარწმუნოებრივ-აღმსარებლობით პრობლემას ამავე დროს ჰქონდა საერთო-სახალხო მიზანდასახულობა. მსოფლმხედველობითი საკითხი ეჯაჭვებოდა ეროვნულ-პოლიტიკურს, მან კარგად იცოდა, რომ საზღვარზე მომდგარ სპარსელებს ერთიანი ეროვნული და მსოფლმხედველობითი იდეით გამსჭვალული ქართველთა ლაშქარი უნდა შეგებებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მებრძოლთა ურთიერთ განსხვავებული სარწმუნოებრივი პრინციპები მტერს გაუადვილებდა მოქმედებას. ამიტომ ვახტანგმა ციხე-სიმაგრეების გამაგრებასა და მხედრობის წვრთნასთან ერთად მიზნად დაისახა ჩაეტარებინა სარწმუნოებრივი რეფორმები, განემტკიცებინა ქრისტიანობა და ამით გაეადვილებინა ბრძოლა ცეცხლთაყვანისმცემელ სპარსელთა წინააღმდეგ. ბრძენი გამგებლის ეს დიდი სახელმწიფოებრივი ღონისძიებები კარგად აქვს შენიშნული ქართველ მემატიანეს, რომელიც მოგვითხრობს, რომ საქვეყნო პრობლემებში ჩაღრმავებულმა მოამაგე გამგებელმა პირად საქმეებისთვისაც კი ველარ მოიცალა და მთელი გულისყური ეროვნულ-სახალხო მიზნებს მიაპყრო: „მაშინ ვახტანგ მეფემან ვერ მოიცალა მოყვანებად ცოლი ბერძენთა მეფისა ასული, და ვერცა კათალიკოსისა და ეპისკოპოსთა, რამეთუ მოელოდა იგი სპარსთა მეფისა მოსლვასა: ამაგრებდა ციხეთა და ქალაქ-

[1] ქართლის ცხოვრება, გვ. 174.
2 იქვე, გვ. 179.

თა, და ჰკაზმიდა მჴედართა და განამზადა ბრძოლა სპარსთა.

მაშინ შეაგდო საპყრობილესა შინა ბინქარან მაცთური, ეპისკოპოსი ცეცხლის მსახურთა და მოსრნა და განასხნა ყოველნი ცეცხლის მსახურნი საზღვართაგან ქართლისა".[1] შემთხვევითი არ არის, რომ მემატიანეს ერთ კონტექსტში აქვს გადმოცემული სამხედრო სამზადისი და ცეცხლთაყვანისმცემელთა წინააღმდეგ ბრძოლა, რადგანაც მოცემულ კონკრეტულ ვითარებაში ორივე ერთ მიზანს ექვემდებარებოდა. ეს იყო ერთი დიდი ღონისძიების — შინაგანად ერთმანეთთან დაკავშირებულის — ორი სხვადასხვა სფერო.

ვახტანგ გორგასალი განსაკუთრებული სიფხიზლითა და აქტიურობით ადევნებდა თვალყურს სარწმუნოებრივ საკითხს, რადგანაც ამ საკითხს ის, ეროვნულთან ერთად, ეთიკურ ასპექტშიაც გაიაზრებდა. მისი ღრმა რწმენით, ქვეყნის ძლიერებას საფუძველს უქმნიდა თანამემამულეთა მორალური სიმტკიცე, ხოლო აღნიშნულ პერიოდში სწორედ ეკლესია მიაჩნდა მას ხალხის ზნეობრივი აღზრდის ერთ-ერთ ძლიერ საშუალებად. ამის გამო ის განსაკუთრებულად დიდ მოთხოვნილებებს უყენებდა ეკლესიის მსახურთ. არ ერიდებოდა თვით ეპისკოპოსსაც კი. მართალია, ვახტანგისა და ეპისკოპოს მიქაელის კონფლიქტი სოციალურ საფუძველს ეყრდნობოდა, მაგრამ აქვე უნდა დავსძინოთ, რომ აღნიშნულ კონფლიქტში ეთიკური პრინციპი მეორეხარისხოვანი როდი იყო. კერძოდ, ვახტანგი დარწმუნდა, რომ მიქაელს, სხვა ნაკლთან ერთად, ზნეობრივად მანკიერი მხარეც ჰქონდა. ის არ იყო ზნეობრივად სპეტაკი პიროვნება და, ამდენად, საეჭვო იყო, რომ მიქაელს სათანადო ავტორიტეტი ჰქონოდა მორწმუნეთა შორის. ეპისკოპოსის პირად ღირსებებში დაეჭვებული ხალხი კი რწმენას დაჰკარგავდა საერთოდ მორალური პრინციპებისადმი, რაც საერთო-სახალხო უბედურება იქნებოდა. ვახტანგ გორგასალი დიდი მოქალაქეობრივი გამბედაობითა და პრინციპულობით ამხელს პატრიარქს: „ვერცხლის მოყვარე ხარ შენ" და ასეთი მომაკვდინებელი ბრალდებით საფუძვლიანად არყევს კათალიკოსის საზოგადოებრივ რეპუტაციას. ასეთ უკიდურესობამდე ვახტანგი იმის გამო მიდის, რომ ეშინია, კათალიკოსის უზნეობით აღშფოთებულმა ხალხმა თვით რწმენისადმი გულგრილობა არ გამოავლინოს. მეფე გულწრფელად ამბობს: „ხოლო შენ ჰგონებ ვითარმცა შენითა სივერაგითა ჩუენ დაგუაცადენ სიყუარული საცჴრისეტსს" და ამით ხაზს უსვამს, რომ უღირსი პიროვნების სუსტი მხარეების გამო არ უნდა ვუღალატოთ თვით იდეას, რომლის განმამტკიცებლობაც მას ევალებოდა. მემატიანე ამ აზრს ატარებს, რომ დიდი იდეა და ამ იდეის მანკიერი მსახური არ უნდა გავაიგივეოთო.

საყურადღებოა, რომ ვახტანგ მეფე, ერის კაცი, უფრო მეტ თანმიმდევრობასა და მორწმუნეობას იჩენს აღმსარებლობითს საკითხში, ვიდრე ეპისკოპოსი. ამასთანავე, აშკარაა, რომ ვახტანგისათვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია სწორედ ეთიკური მხარე მოძღვრებისა, ის ზრუნავს თანამემამულეთა, ხალხის ფართო ფენათა ზნეობრივ სიმტკიცეზე. ეპისკოპოსის ვერცხლისმოყვარეობის გამოაშკარავებით ის სძრახავს ანგარებასა და მექრთამეობას. მან კარგად იცის, რომ ვერცხლის მოყვარეთათვის არ არსებობს არავითარი წმინდა მორალური იდეალები, საზოგადოებრივ-საქვეყნო ინტერესები და მათგან მუდამ არის მოსალოდნელი ღალატი საერთო საქმეში, ხოლო ვახტანგი, რომელსაც „არა ცუდად ჴრმალ აბიეს", ყოველი პიროვნების ღირსებას იმ მხრივ ჰვრეტდა, თუ რამდენად სასარგებლო საქმიანობას ეწეოდა საერთო-სახალხო მიზნებისათვის.

როგორც აღვნიშნეთ, ადრეული ქართველი მწერლები და მათ შორის მემატიანეები სარწმუნოებრივი აღმსარებლობითი პრობლემების განხილვისას საგანგებოდ გამოკვეთენ ეთიკურ-ეროვნულ საკითხებს, სწორედ ამ ასპექტით განიხილავენ ისტორიულ მოვლენებს.

ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი მთავარი იყო ეკლესიის ავტოკეფალობის საკითხი. ეს მხოლოდ ვიწრო-აღმსარებლობითი საკითხი არ იყო. თავის დროისათვის ეკლესიის ავტოკეფალობა გამოხატულება იყო ქვეყნის ეროვნული დამოუკიდებლობისა, ძლიერი არგუმენტი იყო ერის თავისთავადი და დიდი კულტურის არსებობისა. საკუთარი, ქართველი კათალიკოსის არსებობა ნათელი დადასტურება იყო კულტურული დამოუკიდებლობისა. ამიტომ ქართველი მოღვაწეები დიდი ეროვნული სიამაყის გრძნობით ილვწოდნენ, რათა მათ უცხოეთიდან გამოგზავნილი და დანიშნული კათალიკოსი კი არ ჰყოლოდათ, არამედ ამ კათედრაზე თავიანთი თანამემამულე მჯდარიყო. ეს სახალხო ეროვნული ტენდენცია კარგად აქვთ შენიშნული ქართველ მემატიანეებს: „ხოლო ითხოვეს იუსტინიანესგან ქართველთა, რათა დასხდებოდნენ კათალიკოზად ნათესავნი ქართველთანი, რამეთუ მოვიდოდიან კათალიკოსნი საბერძნეთით, ხოლო იუსტინიანე დაწერა წიგნი და დაბეჭდა თჳსითა ბეჭდითა ესრეთ, რათა დასხდებოდენ კათალიკოსად ნათესავნი ქართველთანი, და აქუნდეს უაღრესობა ყოველთა ეკლესიათა და მღდელთ-მთა-

---

[1] ქართლის ცხოვრება, გვ. 178.

ვართა ზედა“.[1] ეს უაღრესად მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტი იყო. ეს ქვეყნის დიდი და დამოუკიდებელი კულტურის აღიარებას ნიშნავდა და ასეთი დიდი წარმატების მიღწევა მხოლოდ პოლიტიკურად ძლიერსა და ცივილიზებულ ქვეყანას შეეძლო. ხოლო ვახტანგ გორგასალის ენერგიულმა და ბრძნულმა მოღვაწეობამ გააერთიანა და გააძლიერა ჩვენი ქვეყანა, იმდროინდელ მსოფლიოში მას დიდი ავტორიტეტი მოუპოვა. ქართველ მეფეს პატივისცემითა და მოკრძალებით უწევდნენ ანგარიშს როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის გამგებლები.

ვახტანგ გორგასალისადმი პატივისცემას აძლიერებდა, აგრეთვე, მისი პირადი კეთილშობილური თვისებები: მისი სულგრძელობა მტრის მიმართაც ვლინდებოდა და ის თვით ბრძოლის დროსაც არ ჰკარგავდა თავდაჭერილობას. ბრძოლის ჟინით შეპყრობილი მხედარი დიდ სითბოს ამჟღავნებდა მშრომელებისადმი. ამასთანავე, მაგალითად, საბერძნეთისადმი მტრულად განწყობის მომენტშიც სამხედრო მოქმედებისას საოცარ სიმშვიდესა და გამჭრიახობას ავლენდა და ზრუნვას იჩენდა ეკლესიის მსახურთა მიმართ. მორწმუნე გამგებელმა შესანიშნავად იცოდა, რომ ეკლესია-მონასტრები ამავე დროს კულტურის, მწიგნობრობის ცენტრი იყო და ამდენად ზრუნვა ეკლესიის მსახურთა მიმართ ნიშნავდა სწავლა-განათლებისადმი ხელის შეწყობას. თვით უაღრესად განათლებული გამგებელი პატივისცემით ეპყრობოდა სწავლულთ, მისი თანამემამულე იქნებოდა თუ უცხოელი. ამიტომ ის საგანგებოდ აფრთხილებს მოკავშირეთა ლაშქარს, დამარცხებულ ბერძენთა ეკლესიები არ დაარბიონ, მით უფრო, რომ სპარსელებმა დრო იხელთეს და ქრისტიანული კულტურის კერების განადგურება მოისურვეს: „სპარსნი რომელ ჰპოვებდეს ეკლესიისა მსახურთა, დაჰკლვიდეს, ხოლო ვახტანგ მეფემან ამცნო სპათა სომხითისათა და ყოველთა სპარსთა, რათა არავის ჰკლვიდენ მოწესეთაგანსა, არამედ ტყუე ჰყოფდენ“. აღნიშნული მოქმედებით ჩვენ მარტო ღრმად მორწმუნე ქრისტიანი მეფე კი არ წარმოგვიდგება, არამედ კულტურის დიდი მეცენატიც.

ამრიგად, საქართველოში ქრისტიანობის გავრცელება მარტო ნინოს მისიონერული მოღვაწეობით კი არ უნდა ავხსნათ, როგორადაც ამაში აგიოგრაფები გვარწმუნებენ, არამედ ახალი მოძღვრებისათვის ჩვენში ისტორიულად იყო ნიადაგი მომწიფებული. ერი შეპყრობილი იყო მსოფლმხედველობითი ძიებით და ჩვენში არსებული რჯულშემწყნარებლობა ქმნიდა პირობას სხვადასხვა სარწმუნოების გაცნობისა, მისი არსში გარკვევისა.

და ამ ძიების პროცესში მოსახლეობას ნინომ გააცნო ახალი მოძღვრება, რომელმაც უფრო მიიზიდა ხალხის გარკვეული ნაწილი ვიდრე იქამდე არსებულმა რელიგიურმა სისტემებმა. აღნიშნული გარემოება არ იყო უმნიშვნელო ფაქტორი ახალი რელიგიის დამკვიდრებისათვის.

გამარჯვებულმა რელიგიამ დაიწყო რჯულშემწყნარებლობის თანდათანი შეზღუდვა და ბოლოს შეურიგებელი ბრძოლაც კი გამოუცხადა სხვა რწმენის აღმსარებლებს.

ჩვენ ვნახეთ რა სისასტიკით მოეპყრო ვახტანგ გორგასალი ცეცხლთაყვანისმცემელთა ერთ-ერთ ლიდერს ბინქარანს. საერთოდ, როგორც ირკვევა, ვახტანგის ეპოქა მეტად საინტერესო და მდიდარი იყო მსოფლმხედველობრივი, იდეოლოგიური ბრძოლებით. ბინქარანი როდი იყო ერთადერთი პიროვნება, რომლის წინააღმდეგ გაილაშქრა ქრისტიანმა მეფემ. ბინქარანს ჰყავდა არა ერთი და ორი ავტორიტეტული თანამოზიარე და თანამებრძოლი. განსწავლული მოგვები მძაფრ პოლემიკას უმართავდნენ ქრისტიან მოძღვრებს და მოცემულ საუკუნეს ამ ცხარე იდეური ბრძოლის უტყუარი ნიშანი აზის. ბინქარანთან ადრე დიდი საზოგადოებრივი რეზონანსი ჰქონდა იმდროინდელ სწავლულ მობიდანს.[1]

ამრიგად, ქრისტიანობა საქართველოში სასტიკი ბრძოლითა და დიდი წინააღმდეგობის დაძლევით იკაფავდა გზას. ადრეულ საუკუნეებშივე ჩვენში მძაფრი იდოლოგიური ჭიდილი იყო, რაც ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ საქართველოში ქრისტიანობას ჩამოყალიბებული წარმართული მსოფლმხედველობა, დიდი წარმართული კულტურა დახვდა.

---

1 ქართლის ცხოვრება, გვ. 207.

1 სამეცნიერო ლიტერატურაში მობიდანი პიროვნების საკუთარ სახელად არის მიჩნეული, მაგრამ მობიდანი სპარსულად სამოხელეო ტერმინია სასულიერო იერარქიისა. და ამ ზოგად სახელს ქვეშ უნდა იფარებოდეს პიროვნული სახელი. ამას გვანიშნებს მემატიანის შემდეგი ცნობა: „ხვალისა დღე მოუვლინა (სპარსეთის) მეფემან ვახტანგს ბარზაბან, საკუთარი მობიდანი (გვ. 183)“. აღნიშნულ კონტექსტით მობიდანი ზოგადი სახელია, ხოლო ბარზაბან — საკუთარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კორნელი კინწურაშვილი

# დავით ჩუბინაშვილი და ქართველი საზოგადოებრიობა

დავით ჩუბინაშვილის პედაგოგიურ-მეცნიერული მოღვაწეობა მჭიდროდ უკავშირდება ქართველი ხალხის საგანმანათლებლო ღონისძიებებს. ამიტომ ჩვენი საზოგადოებრიობის საუკეთესო წარმომადგენლებს დავითის ნაშრომების პროპაგანდა თავიანთ ღვიძლ საქმედ მიაჩნდათ.

ასე იკაფავდა გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან ჩვენში გზას დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონები, ქართული გრამატიკა, ისტორიულ და მხატვრულ ნაწარმოებთა კრებულები. პეტერბურგის უნივერსიტეტში მშობლიური ენის შემოღებით ქართველ საზოგადოებასთან მეცნიერის ურთიერთობა კიდევ უფრო გაღრმავდა.

დავითის ცხოვრების შესწავლას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ მას თავდავიწყებით უყვარდა არა მარტო არჩეული სპეციალობა, არამედ ამ დარგში მომუშავეებიც; აინტერესებდა საქართველოში მომხდარი ყოველგვარი წვრილმანი, ხშირად თხოვნით მიმართავდა თავის სტუდენტებს „პეტერბურგში გადახვეწილი“ მასწავლებლისათვის დროდადრო ახალი ამბები ეცნობებინათ.

ქართული კულტურის მოყვარულებს რომ დ. ჩუბინაშვილი ეროვნული საუნჯის შემკრებად და, პატრიოტ მოქალაქედ მიაჩნდათ, ამას მტკიცება არც სჭირდება. საკმარისია ითქვას, რომ მე-19 საუკუნის საქართველოში ძნელად მოიძებნება მეტნაკლებად ცნობილი ისტორიკოსი, მწერალი, ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე, მასთან პირადი ნაცნობობა ან მიწერმოწერა რომ არ ჰქონოდა. საინტერესო უფრო ისაა, რომ აღნიშნული წერილების უმრავლესობა ქართული მეცნიერებისა და მწერლობის საკითხებს ეხება და დაკავშირებულია პეტერბურგელი ქართველოლოგების მოღვაწეობასთან.

დავითი მუდამ დაუზარებლად ეხმარებოდა ყოველ ახალ წამოწყებას. იგი მხარში ამოუდგა ქართველ საზოგადოებას, როცა მოსწავლე ახალგაზრდობისათვის სახელმძღვანელოების შედგენა გახდა საჭირო. დიდი ენერგიაც შეალია ამ რთული ამოცანის გადაწყვეტას, თუმცა მის მიერ შედგენილი ქართული ენის გრამატიკის ირგვლივ საქართველოში მომუშავე მკვლევარებსა და პეტერბურგელ ქართველოლოგებს შორის პრინციპული ხასიათის კამათი გაიმართა. ისინი მკაცრად აკრიტიკებდნენ ერთმანეთს ქართული ენის გრამატიკის საკითხებში, მაგრამ მათი მეგობრობა მუდამ ხელშეუხებელი იყო. ყველას ერთი აზრი ამოძრავებდა — შეემუშავებინათ ქართული ენის გრამატიკის მისაღები ნორმები.

საერთოდ, ნაცნობ-მეგობრებთან ურთიერთობაში დავითი მუდამ პრინციპული იყო. მას ეზიზღებოდა ორპირობა, მაბეზღრობა და ზურგს უკან ლანძღვა-გინება. ადამიანის ყველაზე კარგ თვისებად ქვეყნის უანგარო სამსახური მიაჩნდა. ქართველ სტუდენტებთან გატარებული ყოველი საათი უდიდეს ბედნიერებას ანიჭებდა, რადგან ამით, როგორც თვითონ ამბობდა ხოლმე, სამშობლოს ერთგულ შვილებს უზრდიდა. თვალისჩინივით უფრთხილდებოდა სალომე ბაგრატიონის მიერ ქართველი სტუდენტებისათვის ნაანდერძევ ბიბლიოთეკას. ყოველნაირად ხელს უწყობდა სტუდენტებში დამოუკიდებელი აზროვნების გამომუშავებას. არა მარტო სტუდენტებისათვის, პეტერბურგში მცხოვრები ქართველობისათვისაც დავითი — მამა, მეგობარი და მუდამ გულღია მასპინძელი იყო.

60-იან წლებში დ. ჩუბინაშვილის ბინაზე ხშირად იკრიბებოდნენ ჩვენი ქართველი სამოციანელები: ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ს. მესხი, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, კ. ლორთქიფა-

ნიძე, ი. ოქრომჭედლიშვილი, პ. ნაკაშიძე, ნ. ღოღობერიძე, ა. მიზანდარი და სხვები. ამ დროისათვის ბევრი მათგანი უკვე თავის ძალებს სცდიდა მწერლობაში. ისინი, ახალ ნაწარმოებებთან ერთად, რუსი და ევროპელი პოეტების თარგმანებსაც კითხულობდნენ ხშირად, იმართებოდა მძაფრი კამათი სოციალურ-პოლიტიკურ საკითხებზე. ეს იყო ახალი თაობის, ანუ თერგდალეულთა იდეურად მომწიფებისა და დავაჟკაცების წლები. აქედან აიღეს მათ სტარტი ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში.

დ. ჩუბინაშვილი თავის აღზრდილებს საქართველოში ასეთი სიტყვებით ისტუმრებდა: „ბატონებო, ყველაზე მეტად, მთელი არსებით გიყვარდეთ სამშობლო. შეისწავლეთ და ემსახურეთ მას თქვენი ძალების შესაფერისად. მხოლოდ მაშინ შეძლებთ გაიგოთ, დააფასოთ და შეიყვაროთ სხვებიც... ვინც თავის მშობლებს, ახლობლებს, თავის საკუთარ ოჯახს მოწყდება, მას არ ძალუძს კეთილი გულით შევიდეს სხვის ოჯახში, და თუ მაინც შევა, მაშინ იგი ცბიერ მონად ან საზიზღარ ფარისევლად მოგვევლინება — თვითეული ხომ ქართველის ბუნებისათვის მიუღებელიაო“.

ასეთი სულისკვეთებით ზრდიდა დავითი თაობებს და სამშობლოს უანგარო მსახურის საუკეთესო მაგალითს თვითონვე აძლევდა.

მომდევნო პერიოდშიც, ნაყოფიერ კვლევაძიებასთან ერთად, დ. ჩუბინაშვილი ენერგიას არ ზოგავდა ახალი ინტელიგენტური ძალების მომზადებისათვის.

1866 წ. რუსეთის სატახტო ქალაქში უმაღლესი განათლების მისაღებად გაემგზავრნენ ალ. ცაგარელი და დავით სარაჯიშვილი. ისინი სახელოვან მამულიშვილს პავლოვსკში საზაფხულო აგარაკზე ეწვივნენ.

„ჩუბინოვს ძალიან გაეხარდა ჩვენი ნახვა, — წერდა ალ. ცაგარელი თბილისში თავის ბიძას, — სადილზე მიგვიწვია და ძალიან კარგი დროება გავატარეთ. საუცხოვო სახლობა ჰყოლია, კარგადაც უცხოვრია, მხიარული მასპინძლები იყვნენ, მანდაური ამბები დაწვრილებით გამოგვკითხა. მემრის აპირებს ჯერ, მარტოკა წამოსვლას და მერე სულაც გადასახლებას საქართველოში.“ დავითს მართლაც უნდოდა სამშობლოში დაბრუნება, მაგრამ იცოდა, რომ ამას უნივერსიტეტში მშობლიური ენის სწავლების შეფერხება მოყვებოდა, ამიტომ გადაწყვიტა პეტერბურგში, დარჩენილიყო და ქართული კულტურისათვის მეტი სარგებლობა მოეტანა.

ამ პერიოდში დავითს ათონის მთის ქართულ ხელნაწერთა გაცნობა ჰქონდა განზრახული, მაგრამ ვერც ეს ჩანაფიქრი განახორციელა, სამაგიეროდ მთელ დროს ახალგაზრდობის აღზრდას ახმარდა. დავითი იყო ალექსანდრე ცაგარელის, ილია ოქრომჭედლიშვილის, ალექსანდრე ხახანაშვილისა და მრავალი სხვათა — ნიჭის პირველი დამფასებელი და მეცნიერულ მუშაობაში გეზის მიმცემი.

საქართველოს ისტორიით დაინტერესებული ახალგაზრდობისათვის დ. ჩუბინაშვილი დამატებით ატარებდა პრაქტიკულ მეცადინეობებს, აცნობდა პირველწყაროებს და ხელმძღვანელობდა მათ რეფერატებზე მუშაობაში. ასე შეიქმნა ი. ოქრომჭედლიშვილის რეფერატული გამოკვლევა „თემურ-ლენგი საქართველოში ქართული წყაროების, მიხედვით“. ალ. ცაგარელის „მე-18 საუკუნის ქართველი მწერლები“, დავ. ყიფიანის ნაშრომი „ძველი საქართველოს ყოფის იურიდიული ნარკვევები“ და სხვ.

ახალგაზრდებმა დავითის მიერ გაწეული ამაგი იმით დააფასეს, რომ მოსკოვის ლაზარევის სახელობის ინსტიტუტში ქართველოლოგიის მეცნიერული შტაბი ჩამოაყალიბეს, ხოლო ალ. ცაგარელმა 70-იანი წლებიდან პეტერბურგშივე ღირსეულად განაგრძო საყვარელი მასწავლებლის დაწყებული საქმე.

დ. ჩუბინაშვილის სახელთან დაკავშირებული იყო არა მარტო ახალგაზრდობის საუნივერსიტეტო სწავლება, არამედ ქართული კულტურის დაცვისა და აღორძინების ბევრი საკითხი.

ამ ხანებში ქართული საგანმანათლებლო ცენტრი საზღვარგარეთ დიდი საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. ბერძნებმა ხელში ჩაიგდეს ათონის ივერთა მონასტერი და იქიდან ქართველი ბერების განდევნა სცადეს. შეუძლებელია ამ ამბავს ქართველ საზოგადოებრიობასთან ერთად დავითიც არ გამოხმაურებოდა.

1874 წელს სამეგრელოს მთავარმა ნიკოლოზ დადიანმა და ივერიის წმ. იოანეს მონასტრის ძმათა რწმუნებულმა ბენედიქტემ დახმარებისათვის პეტერბურგში დავითს მიმართეს. მათ აინტერესებდათ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში დაცული ცნობები, რომლებიც ათონის მთის ქართული მონასტრებისადმი საქართველოს მეფეებისა და კერძო პირების შეწირულებას შეეხებოდა. ეს თხოვნა დავითმა სასწრაფოდ შეასრულა. მომდევნო წლებში კი ნ. დადიანთან, ალ. ცაგარელთან, კ. აბაშიძესთან და სხვებთან ერთად სინოდის ობერპროკურორის წინაშე შუამდგომლობდა, რათა ივერიის (ათონის) მონასტერი კვლავ ქართველებს დაბრუნებოდა.

ასეთ საქმიანობასთან ერთად იგი ხშირად რჩევა-დარიგებას აძლევს საქართველოში მომუშავე მკვლევარებსა და საზოგადო მოღვაწეებს, აწვდის მათ საჭირო ცნობებს. გრ. ორბელიანს, დ. ყიფიანს, რ. ერისთავს, ი. ჭავჭავაძეს, პ. კარბელაშვილს, ს. ხუნდაძეს და სხვებს უგზავნის თავის ნაშრომებს, თბილისისა და ქუთაისის სკოლების მოსწავლეებს საჩუქრად

გადასცემს ქართული გრამატიკისა და ქრესტომათიის ორასამდე ეგზემპლარს.

ბესარიონ გაბაშვილის ლექსთა კრებულის გამომცემელი ზაქარია ჭიჭინაძე გაზეთ „დროებაში“ საჯაროდ აცხადებდა: „მოვალედ ვთვლი ჩემს თავს, მადლობა გადავუხადო პროფესორად ყოფილ დ. ჩუბინაშვილს, რომლისგანაც ამ ბოლო დროს წერილი მივიღე და ბევრი რამ ვცანი სრულიად მივიწყებული ბესიკის შესახებ,“ ხოლო ნ. ბერძენოვი, პ. უმიკაშვილი და გ. წერეთელი კმაყოფილებით იხსენიებდნენ დავითისა და მ. ბროსეს ღვაწლს პეტერბურგში ქართული წიგნების ბეჭდვის საქმეში და აღნიშნავდნენ, რომ მათ „დიდი საქმე შესძინეს ჩვენს ლიტერატურას, და რაც შეეძლოთ, როგორც კერძო პირთა, ყოველივე აღასრულეს“.

ილია ჭავჭავაძე ინტერესით ადევნებდა თვალს სასახელო თანამემამულის ნაყოფიერ მოღვაწეობას. იგი პეტერბურგში მყოფ თავის თანამშრომელს ვასილ მაჩაბელს წერდა, დავით ჩუბინაშვილს გაზეთი მიართვი და ლაზისტანისადმი მიძღვნილი მისი სტატია გამომიგზავნეო.

ეს ის პერიოდია, როცა რუსეთ-თურქეთის ომი მიმდინარეობდა და საქართველოში დიდი კამპანია იყო გაჩაღებული საუკუნეთა მანძილზე დაკარგული აჭარის მიწების დასაბრუნებლად. მეცნიერის ნარკვევი ეხმაურებოდა აღნიშნულ პრობლემას. ამიტომ ილიამ წერილი რუსულიდან თარგმნა და „ივერიაში“ მოათავსა სათაურით: „ეთნოგრაფიული განხილვა ძველთა და ახალთა მკვიდრთა კაბადოკიისა ანუ ჭანეთისა“, რომელიც ცალკე ბროშურადაც გამოიცა, მოგვიანებით კი იგივე სტატია პეტრე მირიანაშვილმა პარიზის ერთ-ერთ ჟურნალში გამოაქვეყნა.

ქართული პრესა მუდამ ფართოდ ასახავდა დავით ჩუბინაშვილის მოღვაწეობას, რადგან იგი ყველგან და ყოველთვის ჩვენი კულტურის პროპაგანდისტი იყო. ქართველი ჟურნალისტები ხშირად მას აკადემიკოსსაც უწოდებდნენ.

გაზეთმა „ივერიამ“, რუსული პრესის დამოწმებით, თავის მკითხველებს პირველად აცნობა, რომ ვენაში შეკრებილი ორიენტალისტებისთვის განსახილველად დ. ჩუბინაშვილს წარუდგენია ორი წერილი: „პონტის ერა ანუ საიდან იწყება ქართული ქორონიკონი“ და მეორე — „მცირე აზიაში რა ადგილებამდე მოსახლეობდნენ ქართველები“.

იგივე გაზეთი 1877 წელს იუწყებოდა დავითის მიერ ახალი, უფრო ვრცელი რუსულ-ქართული ლექსიკონის სასტამბო მომზადებას და მკითხველებს აცნობდა მეცნიერის გადაწყვეტილებას — ლექსიკონისაგან შემოსული ფულითა და ზოგიერთი სხვა სახსრებით ქართველი ახალგაზრდებისათვის რომელიმე უნივერსიტეტში სტიპენდიის დაარსების შესახებ.

მაგრამ დ. ჩუბინაშვილის სურვილებს ფრთები შეაკვეცა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ, რომელმაც ლექსიკონის ბეჭვდისადმი არაკეთილსინდისიერი პოზიცია დაიკავა.

80-იანი წლების დასაწყისში დავითი აქტიურად მონაწილეობს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობაში, რომლის საპატიო წევრადაც იმ ხანად აირჩიეს. მეთოდურ დახმარებას უწევს კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოების წევრებს. თვალს ადევნებს ყოფილი სტუდენტების მოღვაწეობას.

„საქართველოში რას სჩადიან, როგორ მიდის წერა-კითხვის საზოგადოების საქმე“, — ხშირად ეკითხება პირად წერილებში ამ დროს სამშობლოში მყოფ ი. ოქრომჭედლიშვილსა და სხვა ქართველ მოღვაწეებს. ნაცნობ-მეგობრებთან უშუალო შეხვედრა დავითმა 1881 წ. სექტემბერში მოახერხა, როცა რუსეთის არქეოლოგთა მე-5 ყრილობაზე დასასწრებლად თბილისში ჩამოვიდა.

არქეოლოგიური ყრილობის ჩატარება საქართველოში უდიდეს მოვლენად უნდა ჩაითვალოს ჩვენი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში, რადგან ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა თბილისს ერთდროულად 70-მდე რუსი და ევროპელი მეცნიერი ეწვია. ყრილობისადმი ქართველი საზოგადოების ინტერესს ისიც ზრდიდა, რომ სამშობლოში ამ დიდი ფორუმის ჩასატარებლად მეცნიერთა რაზმს წინ მიუძღოდნენ პეტერბურგელი და მოსკოველი ქართველოლოგები.

არქეოლოგთა თბილისის ყრილობა თავის წარმომადგენლობით 4-ჯერ აღემატებოდა მოსკოვში, პეტერბურგში, კიევსა და ყაზანში ჩატარებულ ყრილობებს. განსხვავდებოდა განსახილველი საკითხების რაოდენობითაც მაგალითად, 1877 წ. ყაზანში ჩატარებული არქეოლოგიური ყრილობის დღის წესრიგში თუ 110 საკითხი იდგა, თბილისში 162 მოხსენება იქნა მოსმენილი.

მოხსენებები უმთავრესად ამიერკავკასიის ხალხთა ენების, ლიტერატურის, ისტორიის ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის განვითარების პრობლემებს დაეთმო. განსახილველად წარმოდგენილი იყო სხვა საკითხებიც რუსეთის სიძველეებიდან. თავიანთი კვლევის შედეგები ყრილობის დელეგატებს ფართოდ გააცნეს, აგრეთვე, საქართველოში მოღვაწე სწავლულებმა.

განსაკუთრებით ბევრი მსმენელი ესწრებოდა იმ სექციის სხდომებს, სადაც საქართველოს სიძველეების შესწავლის ამოცანები განიხილებოდა.

— „პონტოს ერა ქართული წყაროების მი-

ხედვით“ — ასეთი იყო ათ სექტემბერს დ. ჩუბინაშვილის მიერ წაკითხული მოხსენება.

თავის გამოსვლაში იგი შეეხო ისტორიული მეცნიერების განვითარებისათვის ზუსტი ქრონოლოგიის აუცილებლობას. მიმოიხილა ქრონოლოგიის საკითხებზე მომუშავე ავტორების შეხედულებები და გაარჩია ფრიოლიხისა და კარის მიერ შემოღებული პონტოს ერა, რაც, მომხსენებლის სიტყვით, მეცნიერულ კრიტიკას ვერ უძლებს.

ყველა ხალხის ცხოვრებაში, განაგრძობდა დ. ჩუბინაშვილი, ერა იწყება მაშინ როცა ეს უკანასკნელი თავისუფლებას მიიღებს ან მის ცხოვრებაში რაიმე დიდი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა მოხდება. 297 წელს ისეთი არაფერი არ მომხდარა, რომ ერა დაეწყოთო.

ამის ნათელსაყოფად პროფესორმა დაიმოწმა ბერძენი და რომაელი ავტორები. პონტოს ერის დასაწყისად მან 284 წელი მიიჩნია, როცა ალექსანდრე მაკედონელის გარდაცვალების 40 წლისთავზე მცირე აზიის სამეფოებმა — კაპადოკიამ, პაფლაგონიამ, პონტომ და ბითვინიამ დამოუკიდებლობა მოიპოვეს, ეს ერა მიღებული იყო ქართველებშიაც.

აღნიშნული დებულების გასამაგრებლად დავითმა მაგალითები ისევ ბერძენ-რომაელთა ისტორიიდან მოიშველია და აღნიშნა, რომ პონტოს ერა 297-ე წლიდან 284-ე წელზე უნდა იქნას გადმოტანილი.

როცა მომხსენებელმა მსჯელობა დაამთავრა, დარბაზში დიდხანს ტაში არ შენელებულა. „დროების“ კორესპონდენტის სიტყვით, „ეს იყო პირველი რეფერატი, რომელიც საზოგადოებას მოეწონა“.

ქართველი ხალხი თავის სახელოვან თანამემამულეს აღტაცებით ხვდებოდა აგრეთვე ყრილობის დელეგატებისათვის სხვადასხვა ადგილას გამართულ საღამოებზე, სადაც დავითმა თავისი გამოსვლები მიუძღვნა მშობლიური მწერლობის განვითარების, საქართველოსა და რუსეთის ისტორიული ურთიერთობისა და ქართული თეატრის აღორძინების საკითხებს. იგი სტუმრად ჩამოსულ გერმანელ მეცნიერს რ. ვირხოვს, ვარშავის უნივერსიტეტის პროფ. ლ. სამოკვასოვს, პროფესორებს პ. ვისკოვატოვს, ნ. მილერს, ნ. კოსტომაროვს, ი. პობიალოვსკის, ი. ცვეტაევსა და სხვებს სიამაყით აცნობდა ჩვენი კულტურის გამოჩენილ მოღვაწეებსა და ისტორიულ ძეგლებს.

რვა დღის მუშაობის შემდეგ რუსეთის არქეოლოგთა მეხუთე ყრილობა დამთავრდა. მან კიდევ ერთხელ ცხადჰყო ქართული მეცნიერული ძალების მაღალი პროფესიული დონე და მთელი ჩვენი საზოგადოებრიობის მზადყოფნა. მყარი საფუძველი მოემზადებინათ საქართველოში უნივერსიტეტის დაარსებისათვის.

ყრილობის შემდეგ საქართველოში დარჩენილი დ. ჩუბინაშვილი მონაწილეობს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის მუშაობაში, ეცნობა მის წიგნთსაცავსა და ქართველ საზოგადო მოღვაწეთა პირად ბიბლიოთეკებს. საჯარო ლექციებს კითხულობს ანტონ კათალიკოსის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. ესწრება ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენი კომისიის სხდომებს და სხვა კულტურული საგანმანათლებლო ღონისძიებებს. მერე ორი თვის მანძილზე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობს, თავისი ლექსიკონებისათვის სწავლობს ხალხში გავრცელებულ სიტყვებს, ანდაზებსა და ხატოვან თქმებს.

67 წლის მეცნიერი კვლავ მხნედ გამოიყურებოდა, სურდა სამშობლოში რაც შეიძლება მეტი ენახა და განეცადა.

დ. ჩუბინაშვილს ხალხი ყველგან დიდი ზეიმით ეგებებოდა, განსაკუთრებით დასამახსოვრებელი საღამო გაუმართეს ქუთაისში, 1881 წლის 11 ოქტომბერს.

სათავადაზნაურო ბანკის ვრცელ დარბაზში თავი მოეყარა 70-მდე კაცს. მათ შორის ბევრი იყო დავითის აღზრდილი. სტუმრის პატივსაცემად დერეფანში უკრავდა მუსიკა. როცა მაზრის მარშალმა ღვაწლმოსილი მკვლევარის სადღეგრძელო წარმოსთქვა, დარბაზში ტაში იქუხა.

შეკრებილთ სიტყვით მიმართა დავითმა: „პატივცემულნო საქართველოს შვილნო, სამუდამო ჩემი სურვილი იყო შემემუშავებინა გრამატიკის კანონები და შესაძლებლობისდა მიხედვით შემედგინა სრული ლექსიკონები რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული. ეს სურვილი შევასრულე და ჩემი სუსტი შრომა ეხლა თქვენ წინ გიძევთ.

ჩვენი ენა დიდიხანია დამყარებული და გამშვენიერებულია დიდმშვენიერი მწერლებისაგან... რადგანაც ენის საფუძველი დადებულია, ეხლა ჩემი წადილია ამ საფუძველზე აშენდეს, გამრავლდეს ჩვენი ქართული მწერლობა“.

დავითის მოღვაწეობაზე სიტყვები წარმოსთქვეს: ი. მეუნარგიამ, გ. შერვაშიძემ, ი. მესხმა და სხვებმა. ძვირფას სტუმარს მრავალთაიგული და დაფნის გვირგვინი მიართვეს.

საღამოზე წაიკითხეს ქუთაისის გიმნაზიის მოსწავლეთა ადრესი, რომელშიც პატარები აღტაცებას გამოთქვამდნენ მეცნიერთა შეხვედრის გამო. „თქვენი ღვაწლი — ამბობდნენ ისინი — გვაძლევს ნათელ მაგალითს, რა შეუძლია სამშობლოს სიყვარულს, თქვენის მოღვაწეობით გამხნევებული მოსწავლეები პირობას გაძლევთ, ერთგულად ვემსახუროთ მშრომელ ერს.“

პეტერბურგელ ქართველოლოგს გულითადი შეხვედრები მოუწყვეს საქართველოს სხვა ქა-

ლაქებსა და მაზრებშიც. თავის მეგობარ დიმიტრი ყიფიანს იგი ქვიშხეთშიც ეწვია.

დავითის პატივსაცემად გამართულ საღამოზე თბილისში ილია ჭავჭავაძემ თქვა: „დღეს ყმაწვილკაცობას ქართველობისას აქ ერთად თავი მოუყრია, რათა პატივი სცეს თავის უხუცეს მოღვაწეს სალიტერატურო სარბიელზე. ეს უტყუარი ნიშანია მისი, რომ ჩვენს ცნობიერების ცხოვრებას ცოტად თუ ბევრად უმატნია, სულიერი ძალა ჩვენ ჰასაკში შედის. ამ სანუგეშო და სასიხარულო ამბის მიზეზი და პირველი მაგალითი ჩვენში თქვენა ბრძანდებით, ბატონო დავით... თქვენ ჩვენს სიტყვიერებას სამუდამო სალარო აუშენეთ, ჩვენის ჭკუითა და გულით მონაგარს, ჩვენს სულიერ განძს ბინა დაუდევით: თქვენ შეგვიდგინეთ ლექსიკონი და შეგვიკრიბეთ ერთი საუკეთესო ბიბლიოთეკა“.

დ. ჩუბინაშვილის მოგზაურობამ დიდი გამოძახილი ჰპოვა ქართულ პერიოდულ პრესაში, რადგან ჩვენი საზოგადოებრიობის საუკეთესო წარმომადგენლები ამას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ეროვნული თვითშეგნების ამაღლებაში.

ეს აზრი ყველაზე მკაფიოდ იაკობ გოგებაშვილმა გამოხატა „ივერიაში“, 1882 წლის 1 ნოემბერს. იგი აღნიშნავდა, რომ ქართველმა ხალხმა დ. ჩუბინაშვილისადმი გულითადი მიგებებით აშკარად დაამტკიცა ეროვნული პრინციპის ღრმად ცოდნა და მნიშვნელობა, ავტორი იხსენიებს გრანდიოზულ დღესასწაულს, რომელიც საფრანგეთის საზოგადოებამ გაუმართა ვიქტორ ჰიუგოს იუბილეს დროს, და აღნიშნავს, რომ ჩვენში დიდხანს სრულიად გულგრილად უცქეროდნენ იმ პირთა მოღვაწეობას, ვინც ხელს უწყობდა ერის კულტურულ აღორძინებასა და მასში სიამაყის გრძნობის ჩანერგვას.

„პროფ. დ. ჩუბინაშვილის მიგებება, — დასძენს იგი — არის ერთი იმ ფაქტთაგანი, მოვლენათაგანი, რომელმაც გამოააშკარავა ეს სასიხარულო ცვლილება ჩვენს საზოგადოებაში, და დაგვანახვა რა ეროვნებითის პრინციპის მნიშვნელობა... ინტელიგენციის მცირე დასიდგან საზოგადოებაშიც გავრცელდა და ღრმად იდგავს ფესვსა“.

დავითი უდიდეს მუყაითობასა და შრომისმოყვარეობას იჩენდა ყოველგვარ საქმეში და როგორც გულანთებული პატრიოტი, შეძლებისდაგვარად ემსახურებოდა ჩვენი ვინაობის აღდგენას. სწორედ ასეთი საქმიანობით მოიპოვა მან ხალხის სიყვარული და აღიარება. ამ სიყვარულმა შეაძლებინა სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ხელიდან კალამი არ გაეგდო და ეროვნული საუნჯე შთამომავლობისათვის ანდერძად დაეტოვებინა.

ქართველი მოღვაწეები ამ „ეროვნული მიგებების“ შემდეგაც ხშირად ხვდებოდნენ სახელოვან მამულიშვილს პეტერბურგსა და საქართველოში. ღებულობდნენ მისგან ახლად გამოცემულ ნაშრომებს და წერილებს, მათი სამადლობელო სიტყვები ხშირად პრესაშიც ქვეყნდებოდა. უნდა ითქვას, რომ ჩვენი საზოგადოებრიობა ყოველ შემთხვევას მოხერხებულად იყენებდა მხცოვანი მეცნიერის დამსახურების აღნიშვნისათვის.

დ. ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ-ფრანგულ ლექსიკონის გამოცემის 50 წლისთავთან დაკავშირებით საინტერესო მასალები გამოაქვეყნეს საქართველოს ჟურნალ-გაზეთებმა, რადგან იგი დავითის სამეცნიერო ასპარეზზე გამოსვლის თარიღად ჩაითვალა.

ილია ჭავჭავაძეს სასარგებლოდ მიაჩნდა მეცნიერის იუბილეს ფართოდ აღნიშვნა, მაგრამ მას დიდი წინააღმდეგობა შეხვდა მმართველი წრეების მხრივ, რომელსაც „ფეხებზედ კიდია ვისიმე ღვაწლი, ვისიმე გარჯა და შრომა საქვეყნო საქმისათვის.“ ამიტომ მოსკოვში მცხოვრებ პროფ. ი. ოქრომჭედლიშვილს წინადადებას აძლევდა ცხარე წერილი მოეწერა, დაეხასიათებინა დავითის დამსახურება და მოეთხოვა მისი იუბილეს ჩატარება. „ამ წერილს გაზეთში დავბეჭდავ, მერე ჩვენც მოვყვებით და ბუკსა და ნაღარას, დავკრავთ და იმედია, რომ სოფელი აშენდებაო“, — წერდა იგი.

იუბილეს აღნიშვნის აუცილებლობაზე ალექსანდრე ხახანაშვილმა სპეციალური სტატია მოათავსა ჟურნალ „თეატრში“. სამზადისი ფართოდ გაიშალა.

ქართველი საზოგადოებრიობის საუკეთესო წარმომადგენლები ხალისით მონაწილეობდნენ დღესასწაულის აღსანიშნავ ღონისძიებებში, მაგრამ დავითმა ავადმყოფობის გამო თავის იუბილეზე ჩამოსვლა ვერ მოახერხა.

გიორგი ზდანოვიჩი, რომელიც ქუთაისში დ. ჩუბინაშვილის მოღვაწეობისადმი მიძღვნილ

სალამოს დასწრებია, ნიკო ნიკოლაძეს ატყობინებდა: სიტყვით გამოსულებმა — კირილე ლორთქიფანიძემ, ილია ოქრომჭედლიშვილმა და პავლე თუმანიშვილმა ვრცლად დაახასიათეს მეცნიერის დამსახურება ქართული კულტურის წინაშე. დარბაზში გამოფენილი იყო დავითის სურათი და ყველა მისი ნაშრომი, სალამოს მონაწილეებმა მისალოცი დეპეშა გაუგზავნეს პეტერბურგში.

თავიანთ საყვარელ მასწავლებელს 50-წლიანი მოღვაწეობის იუბილე მიულოცა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოღვაწე 70-მდე მისმა ყოფილმა სტუდენტმა.

იუბილარმა მისალოცი დეპეშები მიიღო თბილისიდან, ქუთაისიდან, სამტრედიიდან, თელავიდან, ამ თარიღთან დაკავშირებით სილოვან ხუნდაძემ ლექსიც კი გამოაქვეყნა გაზეთ „ივერიაში“.

გორის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლი ა. სულხანიშვილი წერდა: „საყოველთაოდ გამოვხატავთ თქვენდამი ღრმა პატივისცემას მშობლიური ენისა და ისტორიული ძეგლების შესწავლის გამო. ჩვენ მუდამ ვამაყობთ თქვენი სახელით, ამიტომ სასიხარულო მოვალეობად მიგვაჩნია გულწრფელად მოგესალმოთ მოღვაწეობის 50 წლისთავის იუბილეზე და გისურვოთ დიდი ხნის ნაყოფიერი სიცოცხლე მშობლიური ქვეყნის შემდგომი სამსახურისათვის“.

ქართველი ხალხი ამით ხარკს უხდიდა თავის მამულიშვილს, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე ერის სამსახურში გაატარა და სამშობლოს წინაშე მოქალაქეობრივი ვალი ღირსეულად მოიხადა.

სიტყვას აღარ გავაგრძელებთ ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებთან დ. ჩუბინაშვილის მჭიდრო ურთიერთობაზე. ერთი კი ცხადია, დავითი იყო საქართველოს აღორძინების დიდი გულშემატკივარი. მან იმდენი რამ გააკეთა, ისეთი ამაგი დასდო მშობელი ქვეყნის კულტურულ წინსვლასა და ქართული მეცნიერების განვითარების საქმეს, რომ დავით ჩუბინაშვილის სახელს მუდამ მოკრძალებით წარმოთქვამს ყველა, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი ხალხის კულტურული მონაპოვრები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ნადირაძე

# ნიკოლოზ ურბნელი

ნ. ურბნელი — ნიკოლოზ თადეოზის ძე ხიზანაშვილი ცნობილი პუბლიცისტი, ისტორიკოსი მეცნიერი და იურისტი — XIX საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის თვალსაჩინო მოღვაწე იყო. იგი დაიბადა 1851 წელს სოფ. მაღლაღოველეთში მღვდელ თადეოზ ხიზანაშვილის ოჯახში. 1870 წელს დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია და სწავლა განაგრძო ოდესის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. 1871 წ. მან წარჩინებით დაამთავრა უნივერსიტეტი და სამშობლოში დაბრუნდა. ხიზანაშვილს სიკვდილამდე არ უღალატნია თავისი პროფესიისათვის: მუშაობდა გამომძიებლად ზანგეზურში, ცხინვალში, სურამში, თიანეთში, სიცოცხლის უკანასკნელ ხანს კი თბილისში, მომრიგებელი მოსამართლის მოადგილედ. ნ. ურბნელმა დატოვა შესანიშნავი მეცნიერული მემკვიდრეობა, რომელიც დღემდე ინარჩუნებს დიდ ღირებულებას ჩვენი ხალხის ისტორიული წარსულის მეცნიერული შესწავლისათვის. მაგრამ სამწუხაროდ, ამ დიდ მოღვაწეს ჯერაც არა აქვს მიჩენილი თავისი ადგილი ჩვენი სამშობლოს იმდროინდელ ჭეშმარიტ შვილთა შორის.

ნ. ურბნელის ტრაგიკულად დაღუპვის ორი წლისთავზე გ. ყიფშიძე გულისტკივილით აღნიშნავდა: „თავისი ერის უკეთესი წარმომადგენლის“ უხმაუროდ წასვლას ამ „სოფლიდან“, მის ჩუმ, ნაღვლიან დაკრძალვას, იმდროინდელი პრესის სიჩუმეს, მიუხედავად დიდი მამულიშვილის დაკარგვისა, და იმედიანად შესცქეროდა ხიზანაშვილის მეცნიერული მემკვიდრეობის შესწავლის საქმეს. მაგრამ დღემდე ამ მეტად საჭირო საკითხს საგანგებოდ ყურადღება მიაქცია მხოლოდ პროფ. გ. ჩიტაიამ, რომელმაც ცალკე წიგნად გამოსცა ნ. ურბნელის „ეთნოგრაფიული ნაწერები“. ნ. ურბნელი არ იყო ისეთი ტიპის და, თუ შეიძლება ასე ითქვას, „წონის“ მოღვაწე, რომ მკვლევარს, ვინც შეეხება XIX საუკუნის 80-90 წლების ქართული აზროვნების საკითხს, მისი არცოდნა „არცოდვად“ ჩაეთვალოს და მისი გვარის ან ლიტერატურული ფსევდონიმის წინ სხვისი სახელის დასმა ეპატიოს, რაც, სამწუხაროდ, ხდება ხოლმე. მაგალითად პროფ. გ. ზარდალიშვილს დ. ხიზანაშვილი და ნ. ურბნელი (ხიზანაშვილი) ერთი და იგივე პიროვნება ჰგონია, იგი იხსენიებს „ივერიაში“ გამოქვეყნებულ წერილს „ზეზვა და ბახტრიონის აღება“ (უნდა იყოს „ზეზვა და ბახტრიონის ციხე“) და მის ავტორად დ. ურბნელს მიიჩნევს.[1] სინამდვილეში კი დავით ხიზანაშვილი სულ სხვა პიროვნება იყო, რომელიც კრებდა და იმდროინდელ პრესაში ბეჭდავდა ხალხურ ლექსებს (ეს ცნობა ნ. ურბნელსაც აქვს ერთ თავის წერილში).[2] სწორედ ამ დავით ხიზანაშვილს აიგივებს პროფ. გ. ზარდალიშვილი ნიკოლოზ ხიზანაშვილთან (ნ. ურბნელი).

ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე მკვიდრად არ არის დადგენილი, თუ როგორ უნდა იწერებოდეს ნ. ურბნელის გვარი. ზოგი მკვლევარი წერს ხ ი ზ ა ნ ა შ ვ ი ლ ს, ზოგი ხ ი ზ ა ნ ი შ ვ ი ლ ს. ძნელია წარმოვიდგინოთ, რომ ისეთ განათლებულ პიროვნებას, როგორიც ნ. ურბნელი იყო, არ სცოდნოდა საკუთარი გვარის გენეალოგია და მართლწერა. მართალია, იგი ლიტერატურულ-სამეცნიერო სარბიელზე ფსევდონიმებით მოღვაწეობდა, მაგრამ არის საბუთები, სადაც მას თავისი ნამდვილი გვარი აქვს მოწერილი. მაგ., ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია დადგენილება ისტორიკოს დ. ზ. ბაქ-

---

1 გ. ზარდალიშვილი. „ვინ თქვა — „აღვილ!“. ჟურნალი „ცისკარი“. №11. გვ. 157. 1968 წ.

2 ნ. ურბნელი. ეთნოგრაფიული ნაწერები. გვ. 110. 1940 წ.

რაძის სასარგებლოდ შეკრებილი ფულის მოხმარების შესახებ[1]. აღნიშნულ ოქმს, სხვა მოღვაწეებთან ერთად, ხელს აწერს ნიკოლოზ თადეოზის ძე ხ ი ზ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ც. ხიზან და შვილი გადაბმული ასოებით სწერია, ხოლო მათ შორის ა თითქოს საგანგებოდ, გამოყოფილია. ჩვენ ვიცით, რომ ნ. ურბნელის თანამედროვენიც კი ზოგჯერ ხიზანაშვილად, ზოგჯერ ხიზანიშვილად წერდნენ. ბუნებრივია, ნ. ურბნელს არ ესიამოვნებოდა ეს გარემოება და შესაძლოა ზემოთ აღნიშნულ დოკუმენტზე მის მიერ ხელის მოწერის დროს ასო „ა"-ს საგანგებო გამოყოფა სწორედ ამის შედეგი იყოს.

ანგარიშგასაწევია ისიც, რომ ნ. ურბნელი თავის მოგვარე დავითსაც ხიზანაშვილად იხსენიებს.

ვფიქრობთ, აღნიშნული არგუმენტები უფლებას გვაძლევს ვიხმაროთ ხიზანაშვილი.

ნ. ურბნელის ნიჭმა მის სიცოცხლეშივე პოვა აღიარება, სიცოცხლეშივე შეიძინა მან თაყვანისმცემლები, რომელთა შორის ერთ-ერთი იყო ილ. ჭავჭავაძე, „ეს დედაბოძი ჩვენი გონებითი მოძრაობისა" (ურბნელისეული გამოთქმა). ილიას აზრი ნ. ურბნელის შემოქმედებაზე ნათლად არის გამოხატული ურბნელისადმი გაგზავნილ მისსავე ბარათში:

„მოწყალეო ხელმწიფევ! გაზეთებიდან მოხსენებული გექნებათ, რომ პირველი იანვრიდან 1886 წელს გამოვა ყოველდღიური ქართული გაზეთი „ივერია", რომლის რედაქტორობა ვიკისრე მე. რასაკვირველია, ამისთანა მძიმე ტვირთს მე ვერ ვიკისრებდი თუ სახეში არ მქონდა დახმარება და შემწეობა თქვენისთანა პატივცემული მოღვაწთაგან, მე დარწმუნებული ვარ, რომ ეგ იმედი, რომელმაც ესეთი ძნელი საქმე გამაბედინა, არ გამტყუნდება. გაზეთის საქმე საერთო საზოგადო საქმეა, იქნებ სხვაგან ისე არა, როგორც საკუთრივ ჩვენში. თქვენი წარსული, თქვენი ყოფილი მოღვაწეობა ჩემთვის უტყუარი საბუთია მისი, რომ სადაც საერთო, საზოგადო საქმეა იქ თვითონ თქვენი გული იძულებელგყოფთ მხურვალე მონაწილეობა მიიღოთ. მაშასადამე აქ თხოვნა მეტია. მე მარტო საჭიროდ ვრაცხ მოგახსენოთ, რომ თქვენი კალმის ნაწარმოებისათვის ჩვენი რედაქციის კარი ყოველთვის ღია იქნება და თქვენი თანამშრომლობა ყოველთვის სასიამოვნო და სასურველი.

გაზეთი გახლდებათ „დროებაზედ" უფრო მომეტებულის ზომისა. თქვენდა საყურადღებოდ მომირთმევია პროგრამა გაზეთისა.

თქვენი თანამშრომლობის მოიმედე
თქვენი გულითადი პატივისმცემელი
ილია ჭავჭავაძე (1885 წ.)[1]

ასეთი წერილებით მიმართა ილია ჭავჭავაძემ 1885 წელს ზოგიერთ ქართველ მოღვაწეს და მათ შორის ნ. ურბნელსაც, როცა „ივერია" ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთდა.

ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძე დიდი სიფრთხილით ეკიდებოდა თავის ყოველგვარ ნაწერს, თხზულება იყო ეს, პუბლიცისტური წერილი თუ პირადი ბარათი.

იგონებს რა ილიას ამ საუკეთესო თვისებას, ე. თაყაიშვილი თავის „მოგონებებში" წერს: „მახსოვს გიორგი ქურულის ნაამბობი (გიორგი ქურული ილ. ჭავჭავაძის ახლობელი კაცი იყო. ილია მას ძალიან მფარველობდა, თან წაიყვანა პეტერბურგში, სახელმწიფო საბჭოს წევრად რომ აირჩიეს).

„ერთხელ ილიასთან ვიყავი, იაკობ გოგებაშვილის წერილი მოუვიდა. რაღაცას ეკითხებოდა და მაშინვე უნდა გაეცა პასუხი. დაჯდა ილია. დაწერა ერთი პატარა წერილი და დახია. დაწერა მეორე -და ისიც დახია. მე ვუთხარი რა ამბავია ამ ერთი ბეწო წერილისათვის ამდენი წვალება მეთქი? მიპასუხა „კაცო პატარაა თუ დიდია, მაინც დოკუმენტია და ზერელედ წერა არ შეიძლება".[2]

ილია ჭავჭავაძე გრძნობდა თავის ავტორიტეტს და კარგად ესმოდა, რა პასუხისმგებლობა იყო საჭირო მისი თვითეული სტრიქონისათვის. ამიტომ მივიჩნიეთ საჭიროდ საგანგებოდ მოგვეტანა ილიას წერილი ნ. ურბნელის, როგორც მოღვაწე-მამულიშვილის, დასახასიათებლად.

ვინც ცოტათი მაინც იცნობს ნ. ურბნელის მრავალმხრივ შემოქმედებას და რაიმე დაუწერია მის შესახებ, ერთხმად აღნიშნავენ მის დიდ ნიჭიერებას, ფართო განათლებას, მკვლევარისათვის აუცილებელ ალღოსა და პოლემიკის საოცარ უნარს. ნ. ურბნელის თანამედროვე, ჟურნალისტი და ლიტერატურის კრიტიკოსი ხომლელი (რომანოზ ფანცხავა) „ახალი ქართული ლიტერატურის მნათობს" უწოდებდა და ასახელებდა მას ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ნ. ნიკოლაძის გვერდით.

მოვუსმინოთ ხომლელს: „1894 წლის იანვრის თვიდან, ჩემ მიერ დაარსებულმა „ქართული წიგნების გამომცემელმა ამხანაგობამ დაიწყო თბილისში თვიური ჟურნალის „მოამბის" გამოცემა. 1885 წელს რომ ილიას ჟურნალი „ივერია" მოისპო, მას შემდეგ ქართველებს თვიური ჟურნალი არ ღირსებია 8 წლის

1 დიმიტრი ბაქრაძის პირადი საარქივო ფონდი. №11 (ყოფილი 5-5264). ხელნაწერთა ინსტიტუტი.

1 ვლ. აბრამიშვილი, ილია ჭავჭავაძე და ნიკო ხიზანაშვილი, „მნათობი". 1968 წ., გვ. 131.

2 ე. თაყაიშვილი, „მოგონებები", „მნათობი", 1959 წ. №1, გვ. 167-8.

განმავლობაში, 1894 წ-მდე, ახლა ჟურნალს ქართველობა შეხვდა ისე, როგორც არაბეთის უდაბნოში ქარავანი შეხვდება წყაროს.

ახალი ქართული ლიტერატურის დიდი მნათობნი ერთად თავმოყრით მოგროვდნენ ამ ახალი ჟურნალის ირგვლივ... ჟურნალში დიდი ხალისით თანამშრომლობა დაიწყეს: ნიკო ნიკოლაძემ, ილია ჭავჭავაძემ, აკაკიმ... პროფესორმა ვასილ პეტრიაშვილმა, ნ. ურბნელმა".[1]

ივანე ჯავახიშვილი, რომელსაც ცუდ-უბრალოდ სიტყვა არ დასცდენია თავისი დიდებული მოღვაწეობის გრძელ გზაზე, ნ. ურბნელის შესახებ ჩვეული მეცნიერული სიძუნწით წერს: „ნ. ურბნელი (ხიზანაშვილი) იყო XIX საუკუნის 80-იანი წლების მოღვაწე, რომელმაც ქართული სამართლის ისტორიაში არა ერთი მონოგრაფია გამოაქვეყნა. იგი ნიჭიერი დამკვირებელი იყო. მის ნაშრომებში არაერთი საგულისხმო საკითხია გაშუქებული".[2] ივ. ჯავახიშვილისეულ ამ შეფასებას ჩვენ ვკითხულობთ მისივე წიგნის — „ქართული სამართლის ისტორიის" შესავალში და, გასაგებია, რომ ამ შემთხვევაში ურბნელი დახასიათებულია როგორც სამართლის ისტორიის მკვლევარი.

1940 წელს პროფესორმა გიორგი ჩიტაიამ ცალკე წიგნად გამოსცა ნ. ურბნელის „ეთნოგრაფიული ნაწერები". ამ წიგნის წინასიტყვაობაში პროფესორი გ. ჩიტაია ნ. ურბნელის შრომებს ეთნოგრაფიის დარგში იმ პერიოდის „ყველაზე მეტად თვალსაჩინო" წევრს უწოდებს: „ნ. ხიზანაშვილი ქართველი ეთნოგრაფების იმ პლეადას ეკუთვნოდა, რომელმაც ი. ჭავჭავაძის ხელკურთხევით დაიწყო მოღვაწეობა და ქართული ეთნოგრაფიის გაუტეხელ ყამირს ღრმა კვალი გაავლო. ეს ადამიანი, მისი დროის შესაფერისად კარგად მომზადებული, რომელსაც ჭკუა და ნიჭი უჭრიდა და კალამი ემორჩილებოდა, რომელიც ხალხის ზნე-ჩვეულებების ოსტატი-დამკვირვებელი და გონებამახვილი მკვლევარი იყო, ამ პლეადის ყველაზე მეტად თვალსაჩინო წევრია. ამიტომ არის, რომ მის ეთნოგრაფიულ ნაწერებს, რაც დრო გადის უფრო მეტი შეფასება ეძლევა".

განაგრძობს რა ურბნელის მეცნიერული დებულებების ავკარგიანობის შესახებ მსჯელობას გ. ჩიტაია ამავე წინასიტყვაობაში მეცნიერულად აზუსტებს ურბნელის ზოგიერთ დამსახურებას: „ნ. ხიზანაშვილი აღიარებს ქართველ ტომებში წინათ კერძო საკუთრების მაგივრად საზოგადო, საგვარეულო საკუთრება იყო" და რომ შემდგომში გვარმა ადგილი დაუთმო პირს, საზოგადოებამ კერძოობას ასე ვთქვათ, იურიდიულმა „მე"-მ სძლია იურიდიულ „ჩვენს". თუ ამას იმასაც დავსძენთ, რომ ნ. ხიზანაშვილი ქართველი ტომების წარსულში მატრიარქატის არსებობას ფაქტად მიიჩნევდა, [illegible] შესანიშნავი დებულების ავტორად გვევლინება, სახელდობრ, იმ დებულებებისა, რომლებიც შემდეგში მ. კოვალევსკიმ საქართველოს და კავკასიის შესახებ წამოაყენა და ზოგად სამეცნიერო ლიტერატურაში კოვალევსკის აღმოჩენადაა ცნობილი".[1] გ. ჩიტაია მიუთითებს იმ გარემოებასაც, რომ ეთნოგრაფიის შესწავლის ურბნელისეული მეთოდები ზოგ შემთხვევაში ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე ეთნოგრაფიის მოთხოვნებს, მაგრამ ამაში გასაკვირი არაფერია, ეთნოგრაფია მაშინ ახლად ფეხადგმული მეცნიერება იყო ჩვენში.

გ. ჩიტაია სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ ურბნელმა ილია ჭავჭავაძის „ხელკურთხევით" დაიწყო მოღვაწეობა.

ილია ჭავჭავაძე დიდი მოამაგე იყო თავისი სამშობლოს ისტორიისა. მისთვის ისტორია ყველაფერი იყო და მან ბრძნული აზრი გამოთქვა ერის ვინაობისათვის ისტორიის როლის შესახებ: „არ ვიცით, სხვა როგორ ჰფიქრობს და ჩვენ კი ასე გვგონია, რომ ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი თავის საუბედუროოდ, თავის ისტორიას ივიწყებს. როგორც კაცად არ იხსენიება ის მაწანწალა ბოგანო, ვისაც აღარ ახსოვს ვინ არის, საიდან მოდის და სად მიდის, ისეც ერად სახსენებელი არ არის იგი, რომელსაც ღმერთი გასწყრომია და თავისი ისტორია არ ახსოვს. რა არის ისტორია? იგია მთხრობელი მისი რომ თუ რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შესაძლოა ვიყვნეთ კვლავადაც".[2]

ერის ტკივილით გულშეძრულ დიდ მამულიშვილს, ილია ჭავჭავაძეს აწუხებდა და სტანჯავდა ქართული ეროვნული ისტორიის ჩრდილში ყოფნა, მისი არად ჩაგდება ზოგიერთი ვიგინდარას მიერ და, პირველ ყოვლისა, ეძებდა ხალხს, ნიჭიერ ადამიანებს, რომელთა ნამოღვაწარიც სხივს მოჰფენდა ჩვენი მრავალტანჯული სამშობლოს ისტორიას. ასეთ პიროვნებად მიაჩნდა მას ნ. ურბნელი. „ილია დიდ პატივს სცემდა ნ. ხიზანაშვილს იმ შრომისათვის, რომელიც მან საქართველოს სიძველეთა გამოკვლევას უძღვნა".[3]

ნ. ურბნელი თავისი პუბლიცისტური მოღვაწეობის ადრეულ პერიოდში დიდ პატივს არ სცემდა ისტორიას, როგორც მეცნიერებას.

---

1 ხომლელი, რჩეული ნაწერები, 1963 წ., გვ. 443.

2 ხიზანაშვილი. „ეთნოგრაფიული ნაწერები", გ. ჩიტაიის შესავალი წერილი. გვ. 7, 1940 წ.

1 ნ. ხიზანაშვილი, „ეთნოგრაფიული ნაწერები", გ. ჩიტაიას შესავალი წერილი, გვ.7, 1940 წ.

2 ი. ჭავჭავაძე, დავით აღმაშენებელი, გაზ. „ივერია", № 17.

3 არტურ ლაისტი, საქართველოს გული, 1963 წ. გვ. 51.

უფრო მეტიც: სერიოზულ საქმედ არ მიაჩნდა ასეთი „მეცნიერული ვარჯიშობა“. აი საბუთიც: „სწორედ რომ კარგი დრო შეურჩევია ბატ. ბაქრაძეს თავისი შრომის დასაბეჭდად „ივერიაში“ ჩვენი დრო მეტად ხელს უწყობს არხეოლოგიურ და სხვა ამგვარ საზოგადოებათა კრებას და კრებაზე თავისუფლად, თამამად ბაასს. ამისათვის ხშირად იკრიბებიან, თავისუფლად სჯიან კიდეც. ასე გასინჯეთ, მთელ დრო-გამოშვებით მწერლობასაც არხეოლოგიური, არხივური ფერი დაედო, სწავლულთა კაბინეტის ხელი დაეტყო. ჩვენს გონებით მოძრაობასაც თანდათან ემატება ეს ფერი. „ტერმინების კომისია“, „ვეფხისტყაოსნის“ შესწორება, სხვა ამნაირი სხდომანი ხშირად გვიჩვენებენ თუ ჩვენს მეცნიერულ ვარჯიშობას არა, ამ ვარჯიშობის მიბაძვას მაინც. არხეოლოგს ბატონ ბაქრაძეს უშოვნია ორი ვარიანტი სახარებისა ქსნისა და ურბნისისა და მათ შეეხება მთელი მათი რეფერატი. მკითხველისათვის ამ რეფერატს ინტერესი არა აქვს და თუ იგი დაბეჭდილია ჟურნალში, ალბათ იმიტომ, რომ „ივერიას“ მასალა შემოჰკლებია“.[1]

ურბნელი არაფერს ამბობს ბაქრაძის შრომის ავკარგიანობაზე, არამედ უადგილოდ მიაჩნია ამგვარი შრომების გამოქვეყნება და დაასკვნის, რომ „ივერიას“ ალბათ „მასალა შემოჰკლებიაო“.

ასეთი იყო მისი თვალსაზრისი ადრე, მაგრამ როცა ილიას დაუახლოვდა, თავგამოდებული მკვლევარი და ქომაგი გახდა ეროვნული ისტორიისა. განსაკუთრებული ალღო არ არის საჭირო, რომ ან სახწაულებრივ გარდაქმნაში ილიას ხელი დავინახოთ.

ნ. ურბნელის ადრინდელ წერილებს (80-იანი წლების დასაწყისი) ნაროდნიკული აზროვნების დაღი აზის. მათში გამოსჭვივის ქართველი ნაროდნიკების ნიჰილისტური დამოკიდებულება ეროვნული ისტორიისა და, საერთოდ, წარსულისადმი. ზოგიერთი მკვლევარის აზრით ურბნელი მოღვაწეობის ადრინდელ პერიოდში ნაროდნიკი იყო, ზოგი კი ფიქრობს, რომ იგი ახლოს იდგა ნაროდნიკებთან. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ, როცა მკვლევარები ეხებიან ქართველ ნაროდნიკთა მსოფლმხედველობას, აუცილებლად მიაჩნიათ, მაგალითისათვის დაასახელონ ურბნელის ის შრომები, რომლებიც სისტემატურად ქვეყნდებოდა ნაროდნიკულ ჟურნალ „იმედში“ (1881-83 წწ). პროფესორი ს. ხუნდაძე ეხებოდა რა ქართველი ნაროდნიკების შეხედულებებს, წერდა: „იმედის“ ჯგუფმა ნათლად დაინახა ის ღრმა უფსკრული და ბრძოლა, რომელიც არსებობდა სოფლად მემამულეთა და გლეხთა შორის. ამ ბრძოლის

1 ნ. ურბნელი, ლიტერატურული მიმოხილვა, გაზ. „დროება“, №172, 1883 წ.

უმთავრესი მიზეზი, ნაროდნიკების გაგებით, ეკონომიურ პირობებში ემარხა. იმ დროს (80-იან წლებში) ნაროდნიკის ურბნელის ეკონომიური ხასიათის ნარკვევები გარკვეულ პასუხს იძლევიან იმის შესახებ, თუ საიდან, რა წყაროებიდან მომდინარეობდა წოდებათა ბრძოლა ჩვენში“.[1]

პროფ. ლ. გორგილაძე იმოწმებს ადგილებს ნ. ურბნელის შრომებიდან, და წერს: „აქ მოტანილი ამონაწერები საკმაოდ კარგად ახასიათებენ ქართველი ნაროდნიკების შეხედულებებს იმის შესახებ, რომ რუსეთთან ერთად საქართველოც უნდა დაეყრდნოს გლეხობას და სოფლის მეურნეობას“.[2]

ჟურნალ „იმედის“ საზოგადოებრივ-ეკონომიური შეხედულებების შესასწავლად დოცენტი ე. ჩადუნელიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ნ. ურბნელის ნარკვევებს. იგი აღნიშნავს, რომ „იმედის“ პუბლიცისტები გამოდიოდნენ როგორც დამონებული მშრომელი გლეხების ინტერესების დამცველნი. მთელი მათი შემოქმედებითი ენერგია როგორც სიტყვით ისე საქმით, მიმართული იყო მშრომელი ხალხის განთავისუფლებისაკენ“.[3]

თავისი აზრის დასადასტურებლად ჩადუნელს მოაქვს ამონაწერი ჟურნალ „იმედიდან“. „იმედი“ წერდა: „იქ სადაც გლეხი დროებით ვალდებულია თავისი ბატონისა, კანონის წინაშე თანასწორობას უფრო თეორეტიკული მნიშვნელობა აქვს, ვიდრე პრაქტიკული. იქ თანასწორობა მშვენიერი სიტყვაა და არა განხორციელებული პრინციპი. თანასწორობისათვის საჭიროა თავისუფლება ეკონომიური და სხვაგვარი“.[4] აქ მოტანილი ამონაწერის ავტორია ნ. ურბნელი. როგორც ვხედავთ, საკმაოდ ავტორიტეტულ ავტორებს ნაროდნიკული მსოფლმხედველობის დასახასიათებლად აუცილებლად მიაჩნიათ გამოიყენონ ურბნელის ის ნარკვევები, რომლებიც სისტემატიურად იბეჭდებოდა ჟურნალ „იმედის“ ფურცლებზე. ამიტომ თუ არ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ნ. ურბნელი ნაკლებ მონაწილეობას იღებდა ნაროდნიკების პრაქტიკულ საქმიანობაში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი ნაროდნიკია თავისი სამწერლო მოღვაწეობის დასაწყისში.

მაგრამ, როდესაც ნაროდნიკები „მოშინაურდნენ და გადაგვარდნენ, მათ დაკარგეს თავიან-

1. ს. ხუნდაძე, სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში, ტ. II, 1927 წ., გვ. 66.

2 ლ. გორგილაძე. „ნაროდნიკობა საქართველოში“, უნივერსიტეტის შრომები, XXXII 1947 წ., გვ. 178.

3 ე. ჩადუნელი, ჟურნალ „იმედის“ საზოგადოებრივ-ეკონომიური შეხედულებანი, გვ. 17, 1961 წ.

4 ნ. ურბნელი, ჩვენი გლეხკაცობა და ახალი სამართალი, ჟურნალი „იმედი“, 1882 წ., № 3.

თი სახე და „ივერიისა" და „დროების" მიმართულებაში გაითქვიფნენ",[1] ურბნელის მსოფლმხედველობაც შეიცვალა და მისმა ნაშრომებმა „ივერიას" თუ „დროებაში" სხვა ფერხორცი შეიძინა.

ჩვენთვის საინტერესოა ის, რომ რის შესახებაც არ უნდა ეწერა ურბნელს, „მის ნაწერებს ეტყობოდა არა მცირედი ნიჭი და კარგი გონებრივი მომზადება, ენა ჰქონდა შნოიანი, მისი ნაწერი სავსეა ჭკუით, ცოდნითა და გამოცდილებით".[2]

ჭეშმარიტად, ურბნელის ნაშრომებს თითქმის ყოველთვის ახლდა ჩამოთვლილი ყველა ღირსება.

მისი, როგორც შემოქმედის, საუკეთესო თვისებაა ლოგიკური აზროვნება, საკითხის ბოლომდე გარკვევა და ჭეშმარიტების დადგენის დაუოკებელი სურვილი. ჭეშმარიტება მისთვის არ არის უბრალო აქსიომა. მისი დადგენა, შეგნება ურბნელს რჩეულთა ხვედრად მიაჩნია. აი რას წერს იგი ამის თაობაზე: „ჭეშმარიტება ისეთი რამ არის, მას კაცის გონება ადვილად ვერ მისწვდება და თუ მისწვდება, მაინც ძნელად აღიარებს.

დიახ, ჭეშმარიტების გაგებას დიდი აზრი, პატიოსნება უნდა".[3]

როგორც ვიცით, ჭეშმარიტება სინამდვილის სწორი ასახვაა. თითქოს აქ სადავო არაფერია, მაგრამ ნ. ურბნელმა კარგად იცის, რომ არსებობს ჭეშმარიტების საყოველთაოდ აღიარებული გაგებისაგან განსხვავებული გაგება. მას ესმის, რომ აუცილებელია ჭეშმარიტების საფუძვლების შესწავლა, და ამ შესწავლისათვის, დიდი „აზრის" გარდა, პატიოსნებაც საჭიროა.

პროფ. ა. კიკვიძე ერთგან მიუთითებს,[4] რომ ჟურნალ „იმედს" ფრიად საყურადღებო წერილებში გაცილებით უფრო სწორი პოზიცია ეჭირა, ვიდრე „ივერიას". უპირველეს ყოვლისა, აქ იგულისხმება ნ. ურბნელის წერილები და მათ შორის შესანიშნავი გემოვნებით და ცოდნით დაწერილი ნაშრომი „საფუძვლები სახალხო განათლებისა".

როგორც ცნობილია, 1878 წ. კავკასიაში სასწავლო ოლქის უფროსად დაინიშნა კირილე პეტრეს ძე იანოვსკი,, რომელიც ოცი წლის განმავლობაში, როგორც იტყვიან, „ტყავიდან ძვრებოდა", რათა საქართველოსა და მთელ კავკასიაში დაენერგა „პურიშკევიჩის, გუჩკო-

1 ლ. გორგილაძე, „ნაროდნიკობა საქართველოში", უნივერსიტეტის შრომები, XXXII, გვ. 174.

2 გ. ყიფშიძე. ხიზანაშვილი და მისი სალიტერატურო მოღვაწეობა, „ალმანახი" ქართველი ერი" № 1, გვ. 10-11. 1909 წ.

3 გაზ. „დროება", 1883 წ., № 129.

4 ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია XIX-XX სს., ტ. II, 1959, გვ. 185.

ვის, და სტრუვეს წინაპართა — პობედონოსცევის, კატკოვის და მსგავსთა ველიკორუსულ კულტურა. ქართველი ხალხი იბრძოდა შეძლებისდაგვარად ასეთი „კულტურის" წინააღმდეგ და მასთან ბრძოლაში იყენებდა რუსი ხალხის საუკეთესო წარმომადგენლების — პუშკინის, ჩერნიშევსკის, ნეკრასოვის, პლეხანოვის ველიკორუსულ კულტურას".[1]

თავისი პროგრამის განხორციელებას იანოვსკი შეუდგა 1881 წლის სასწავლო გეგმით, რაც ითვალისწინებდა სახალხო სკოლებიდან დედაენის განდევნას და დაწყებით სკოლაშიაც კი რუსულ ენაზე სწავლებას.

იანოვსკის ამ ყოვლად მიუღებელი და გაუმართლებელი საქმიანობით აღშფოთებულმა ქართველმა მოღვაწეებმა პირველი მკაცრი საპროტესტო წერილები დაბეჭდეს გაზეთ „დროებაში". ბრძოლა დიდხანს გრძელდებოდა იანოვსკისა (რომელსაც, რა თქმა უნდა, მხარს უჭერდა მეფის მთავრობა) და ქართველ მოღვაწეთა შორის. ამ ბრძოლის ერთი ეპიზოდია ურბნელის გამოსვლა ჟურნალ „იმედის" ფურცლებზე, სადაც მან წამოაყენა და დაიცვა ფრიად საუცხოო და საინტერესო აზრები სახალხო განათლების საკითხების შესახებ. ურბნელს კარგად ესმოდა სკოლის დიდი როლი ადამიანის გონებრივ ჩამოყალიბებაში. მაგრამ მან ამავე დროს მშვენივრად იცოდა, რომ განათლებას, რაგინდ ფართო მასშტაბისაც არ უნდა იყოს იგი, ფასი ეკარგება თუ მას ჰუმანიზმიც არ ახლავს. კულტურულს ვერ დავარქმევთ ადამიანს, რომელსაც კეთილშობილება ღალატობს, რომ განათლება მაშინ იძენს ცხოველმყოფელ ძალას, როცა ზნეობრივი სიწმინდე ახლავს, ხოლო სკოლების რიცხვი ვერასოდეს ასახავს განათლების დონეს თუ ამ სკოლებში ზნეობრივი პრინციპები მოიკოჭლებს.

ნ. ურბნელი წერდა: „სკოლის გამრავლება არ შობავს ხალხის კეთილდღეობას. ამასთან უპირველეს საჭიროა, რომ სახალხო განათლების შენობა ამოყვანილი იყოს ზნეობრივი პრინციპების საძირკველზე. ეს პრინციპები უნდა იყვნენ სული და გული სახალხო სკოლისა".[2]

არ შეიძლება არ დაეთანხმო ამ ჭეშმარიტად ნათელ აზრს და არ აღიარო, რომ მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმდროინდელი საზოგადოებრივი აზროვნებისათვის. უფრო გვიან, ამ საკითხს რომ ეხებოდა, ილია წერდა: „ჭეშმარიტი განათლება განვითარებულ გონების და გაწურთვნილის ზნე-ხასიათის ერთმანეთთან შეუ-

1 ტ. ხუნდაძე, ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში, 1951 წ., გვ. 92.

2 ნ. ურბნელი. საფუძვლები სახალხო განათლებისა, ჟურნალი „იმედი", VII, გვ. 71., 1882 წ.

ღლება განუხრელად".[1] ურბნელის აზრით, თუ სკოლა განიცდის სახელმწიფოს უხეშ გავლენას, მაშინ იგი „გონების ციხეა" და ვერასოდეს უზრუნველყოფს კეთილშობილი მოქალაქის აღზრდას: „სახალხო სკოლების რიცხვით პრუსია მაღლა დგას ყველა სახელმწიფოზე. მაგრამ რა? აქ აუარება ხროვაა „ფილისტერებისა". აქ უნივერსიტეტები გონების ციხეები არიან, სახალხო სკოლები კიდევ წარმოადგენენ ერთ უშველებელ ყაზარმას, სადაც ხალხის გონება სამხედრო საზრდოთი იკვებება. ასე გასინჯეთ ესტეტიკა, მუზიკაც კი მოლტკეს შტაბს ემორჩილება".[2]

სხვა ადგილას ურბნელი წერდა: „ეხლაც როგორც წინათ, სახალხო სკოლა სახსარია პოლიტიკური სისტემის დამყარებისა, სკოლა მსხვერპლია პოლიტიკისა".[3]

ეს დიდი და მარადიული ჭეშმარიტებაა. ჩვენთვის კი ისიც არის საინტერესო, რომ ნ. ურბნელი საღად აზროვნებდა და უშიშრად გამოთქვამდა მეტად რადიკალურ აზრებს მეფის რუსეთის ბიუროკრატიული ხელისუფლების დროს.

აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში მისი აზრები დღესაც ინარჩუნებს ხელშეუხებლობის უფლებას და სასიამოვნოდ გვაიძულებს მოკრძალებით მოვეკიდოთ მათ.

მეტად საგულისხმოა ის გარემოება, რომ ნ. ურბნელს სწორად ესმოდა ყველა ერის წვლილი საერთო საკაცობრიო კულტურის შექმნაში. აი რას წერს იგი ამის შესახებ: „არ მოიპოვება ისეთი ხალხი თუ ერი, რომელიც ერთი რომელიმე ღირსებით მაღლა არ იდგეს სხვა ხალხზედ. რაც უნდა დავიწყებული და თვალყურმოშორებული ერი აიღოთ, თუ კი იმის ცხოვრებასა და ვინაობას დააკვირდებით, უეჭველია ერთს მაინც ისეთს თვისებას იპოვნით, ზნეობითს თუ გონებითს, რომლითაც ის მარგალიტივით გამოსჭვივის. ეს ობოლი მარგალიტი ყოველი ისტორიული ერისა, ეს ხალხის „გენია", დიდად პატივსაცემი და ყურადღების ღირსია და ნეტავი იმ სახელმწიფოსაც ამ პატივისცემას და ყურადღებას რომ არ ივიწყებს. სახელმწიფოს სარგებლობა ითხოვს ყველა ერის განათლებას, რადგანაც ამით მას ძალა და პროგრესული მოძრაობა ემატება. ეს მაშინაა კარგი, როცა თვითონ განათლება „ეროვნულ ნიადაგზედ" მკვიდრად იქნება აშენებული".

ურბნელმა კარგად იცის, რომ ყველა ერს აქვს თავისი მარგალიტები, ზნეობრივი თუ გონებრივი, და იდეალურია ის სახელმწიფო, რომელიც პატივს სცემს თვითეული ერის ღირსებას, ხელს უწყობს მის განვითარებას. ურბნელი ილაშქრებს ყოველგვარი შოვინიზმის წინააღმდეგ და მიაჩნია, რომ ყოველ ერს აქვს უფლება გააჩნდეს ეროვნული სიამაყის კანონიერი გრძნობა.

შემდეგში ილიაც შეეხო ამ მნიშვნელოვან საკითხს და საჭიროდ ჩათვალა, თითქმის იგივე გაემეორებინა: „რა თქმა უნდა, ერს რომ გზა შეუკრან წარმატებისა, — რაც გინდა პატარა ერი იყოს, — არავისთვის არც მოსაწონია, არც გამოსაყენებელი. არ არის ქვეყანაზე იმისთანა ერი... რითიმე გამოსადეგი არ იყოს სახელმწიფოში, რაც გინდა დიდი სახელმწიფო იყოს... ნიჭი, სიკეთე ცალკე ადამიანისა, თუ მთელი ერისა ისეთი რამ არის რომ, რაც გინდა ნამეტანი იყოს ვისთვისმე, მეტი ბარგი არ არის, თუ საკუთარს სხვისასაც ზედ წაემატება. ამიტომაც დიდი ცოდვაა ადამიანის, თუნდ ცალკე პატარა ერს, ნიჭი შეუკრა, შეუკოჭო, სიკეთეს ღონე შეუხუთო"...[1]

აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილს არასოდეს დასჭირდებოდა ეთქვა ის საყვედური ნ. ურბნელისათვის, რომელიც გოგებაშვილს უთხრა და სადაც გატარებულია ის აზრი, რომ ყველა ერს აქვს უფლება შეინარჩუნოს თავისი დედაენა, კულტურა და არა მხოლოდ მათ, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ, ვისაც მხოლოდ ბრწყინვალე წარსული აქვს.[2]

ნ. ურბნელის თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ეროვნული კულტურა უნდა ვითარდებოდეს ეროვნულ ნიადაგზე, რომ სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ამ პროცესს, რადგან ეს სახელმწიფოს გაძლიერების წყაროა, საოცრად ახლოს დგას ჩვენს თანამედროვეობასთან.

დიდი ერუდიცია, განათლება, ჭეშმარიტების მიგნების უნარი, ნ. ურბნელს უფლებას აძლევდა არ „შინებოდა" დიდი ავტორიტეტებისა — ვოლტერისა, რუსოსი, ჰეგელისა. ამ მეცნიერებს იგი აკრიტიკებს ზოგიერთი მათი უმართებულო აზრისათვის, თუმცა ნ. ურბნელს სიმპათია ფრანგი განმანათლებლებისადმი მუდამ ჰქონდა, ვოლტერის შესახებ იგი აღნიშნავდა. „თვითონ ვოლტერიც კი არ გრძნობდა დაბალი ხალხის განათლების საჭიროებას და აი რას სწერდა: „ხალხს წინამძღოლობა უნდა და არა სწავლა, ხალხი ემსგავსება ხარებს, რომლებიც საჭიროებენ ჯოხს, უღელსა და თავლას".[3]

რუსოს შესახებ კი ურბნელი აღნიშნავდა, რომ მან მეტად შეავიწროვა ხალხის ცნება და

---

1 ი. ჭავჭავაძე, პედაგოგიის საფუძვლები, თხ. სრული კრებული, ტ. II, 1941 წ., გვ. 564.

2 ნ. ურბნელი, საფუძვლები სახ. განათლებისა, „იმედი", №11, გვ. 70, 1882 წ.

3 ნ. ურბნელი, საფუძვლები სახ. განათლებისა, „იმედი" № V, გვ. 73, 1882 წ.

1. ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. II, 1941. გვ. 457.

2. ივ. ჯავახიშვილი, „მამულიშვილობა და მეცნიერება", 1904, გვ. 11.

3. ნ. ურბნელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 54.

ხალხს მხოლოდ სოფლელებს უწოდებდა, რომ იგი მივიდა პარადოქსამდე და განაცხადა: „ფიქრი არის ბუნების საწინააღმდეგო მდგომარეობა და მოაზროვნე კაცი წამხდარი ცხოველი“.

ნ. ურბნელის აზრით, მეცნიერება, თუ იგი სახელმწიფოს სამსახურში დგას, შეზღუდულია. თუ მეცნიერს „მუნდირი“ აცვია, იგი მუდამ იმსახურებს ანტიპათიას. სწორედ მუნდირისათვის კიცხავდა იგი ჰეგელს. „დიდი ხანი არ არის, რაც მათი ალმატებულება ჰეგელი პრუსიის სამხედრო ბანაკსა და ყაზარმას მოწიწებით ლმობიერად თავს უკრავდა, საკმელს უკმევდა“.[1]

ნ. ურბნელს ესმოდა, რომ ეს მეცნიერები თავიანთ დარგებში დიდი მოაზროვნენი არიან, ამისათვის ეთაყვანებოდა მათ, მაგრამ ამასთან ერთად ისიც იცოდა, რომ ვერცერთმა მათგანმა თავი ვერ დააღწია შეცდომებს. ცნობილია, რომ ჰეგელის ამ ნაკლს აღნიშნავდა ენგელსიც, როცა წერდა: „თავიანთ დარგებში როგორც გოეთე, ისე ჰეგელიც ოლიმპიელი ზევსნი იყვნენ, მაგრამ ვერცერთმა მათგანმა თავი ვერ დააღწია გერმანულ ფილისტერობას“.[2]

როგორც ვხედავთ, ნ. ურბნელი საკმაოდ სალად მსჯელობდა ვოლტერის, რუსოსა და ჰეგელის აზრების შეფასებისას.

XIX საუკუნის 80-იან წლებში ქართველმა მოღვაწეებმა წამოაყენეს დებულება, რომ ჩვენი ეროვნული ვინაობის დაცვისათვის აუცილებელია ყველა მიმართულების გაერთიანება, რომ ყველას ვალია, წოდებათა მიუხედავად, ერთი დროშის ქვეშ დარაზმვა.

ასეთი იდეა ხშირად დაბადებულა სხვა ერებშიც, როცა მათ გარეშე ძალა ემუქრებოდა. მაგალითად, ჯერ კიდევ XVI საუკუნეში გერმანელმა ჰუმანისტმა ულრიხ ფონ ჰუტენმა ასეთივე იდეა წამოაყენა რომის პაპის წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელსაც ის გერმანიის ნაციონალურ მტრად მიიჩნევდა და თავის „დიალოგებში“ („ავაზაკები“) წოდებათა ერთი მიზნისათვის გაერთიანება იქადაგა.[3] რამდენად რეალური იყო ამის განხორციელება გერმანიაში XVI საუკუნეში ან საქართველოში XIX საუკუნის დასასრულს, „როცა კაპიტალიზმის განვითარების შედეგად ეროვნული ერთიანობა იქმნებოდა და მხოლოდ გზა ეხსნებოდა კლასების მიხედვით გამიჯვნას“[4], ეს სხვა საკითხია. ჩვენთვის კი საინტერესოა ის გარემოება, რომ როცა ქართველმა მოღვაწეებმა მოინდომეს ზემოაღნიშნული იდეის დანერგვა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, მათ გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგენი და მათ შორის ნ. ურბნელი.

როცა სერგეი მესხს აქებდნენ იმისათვის, რომ მუდამ ცდილობდა შეერიგებინა სხვადასხვა მიმართულების მწერლები, ურბნელი სულაც არ თვლიდა ასეთ მოქმედებას სასარგებლოდ. პირიქით, მას სჯეროდა, რომ ლიტერატურული ბრძოლა აუცილებელი იყო ლიტერატურული განვითარებისათვის, და გულისწყრომით აღნიშნავდა: „არა, ბატონებო, ამგვარი ბრძოლა არავის არ დაასუსტებს. არათუ დაგვასუსტებს, არამედ უფრო აგვამაღლებს, სულითა და გრძნობით განგვავითარებს. სასტიკი ლიტერატურული ბრძოლა შედეგია ხალხის გონების წარმატებისა და საჭიროა ეს ბრძოლა ჩვენშიც მალე დაარსდეს, ვინც ამ ბრძოლის აღორძინებას უშლის, ის მტერია ლოგიკისა“.[1] ნ. ურბნელის ეს აზრი სადავო არ არის. იგი სიზუსტით გამოხატავს „ლიტერატურული ბრძოლის“ მაღალ მნიშვნელობას ლიტერატურის პროგრესისათვის.

როცა ილია ჭავჭავაძემ საზოგადოებრივ კლასებს მოუწოდა „საერთო ნიადაგზე“ თანამშრომლობისაკენ, მას მხარი დაუჭირეს დიდმა ავტორიტეტებმა — აკაკიმ და იაკობ გოგებაშვილმა. საერთო ნიადაგზე თანამშრომლობის შესაძლებლობა რომ უფრო რეალური გაეხადათ, ზოგიერთმა მწერალმა, პუბლიცისტმა დაიწყო მტკიცება, რომ საქართველოში წოდებათა ბრძოლა არასოდეს ყოფილა და მათ შორის მუდამ მამაშვილური დამოკიდებულება არსებობდაო. ნ. ურბნელმა სასტიკად გაილაშქრა ამ აზრის წინააღმდეგ და აღშფოთებით სავსე წერილები გამოაქვეყნა ჟურნალ „იმედსა“ და გაზეთ „დროებაში“[2] და დაამტკიცა, რომ ისტორიულ წარსულში წოდებათა დიდ ბრძოლას ჰქონდა ადგილი საქართველოში.

ნ. ურბნელი კარგად ხედავდა წოდებათა ბრძოლას საქართველოს[3] წარსულში. იგი ბექა და აღბუღას სამართლის შესახებ მსჯელობდა და აღნიშნავდა: „სამართლიდან ჩანს, მაგალითად, რომ ყმისა და ბატონის დამოკიდებულება გამწვავებულა. საჭირო იყო „ყამთა სიავისათვის“ ყურადღება მიექციათ და აღბუღამ სწორედ ამ განზრახვით დაურთო პაპის

1. ჟურნ. „იმედი“, 1882 წ., №8.

2. მარქსი, ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 438.

3 Ульрих фон Гуттен, Диалоги, публицистика, письма, 1959. Москва.

4 ლ. გორგილაძე. იდეოლოგიური ბრძოლის ისტორიიდან საქართველოში. გვ. 11, 1963 წ.

1 ნ. ურბნელი, „ჩვენს ლიტერატურულ კეთილსინდისიერებაზედ“, გაზ. „დროება“, 1883 წ., №99.

2 ნ. ურბნელი, უფლება და კანონი ძველ საქართველოში, ჟურნ. „იმედი“, 1882 წ. №11 და 1883 წ. №12. მისივე, ჩვენი გლეხკაცობა და ახალი სამართალი, ჟურნ. „იმედი“, 1882 წ., №3.

3 ს. ხუნდაძე, სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში, ტ II, 1927 წ., გვ.. 69.

განაჩენს „სხვადასხვა უწესოთა საქმეთა სამართალი“,[1] ნ. ურბნელმა იცოდა შინასოციალური ბრძოლის არსებობაც და ამ ფაქტზე დაყრდნობით მოვლენების ახსნასაც კი ცდილობდა. „თვით ეს ბრძოლა იყო სხვათა შორის მიზეზი იმ საყურადღებო მოვლენებისა, რომ ჩვენმა სახელმწიფომ არ იცოდა უკიდურესი ფორმა მმართველობისა, რომელსაც ვპოვებთ დასავლეთ ევროპაში. ფეოდალობა თავს უჭერდა მეფობას, მეფობა — ფეოდალობას. ვერც ერთმა მათგანმა სახელმწიფოში სამუდამოდ ვერ დათრგუნა მეორე.“[2] სხვა საკითხია, თუ რამდენად სწორია ურბნელის ეს მოსაზრება. ჩვენ ამ შემთხვევაში გვაინტერესებს ის ფაქტი, რომ ურბნელი თავის ნაწერებში დიდ ადგილს უთმობდა წოდებათა ბრძოლის საკითხს საქართველოში. ჩვენი აზრით, ურბნელს კარგად ესმოდა, რომ ერის ისტორიისათვის სოციალური ბრძოლა დადებითი მოვლენა იყო, რომ ამ ბრძოლის მიჩქმალვა, მისთვის „ქვის“ დაფარება, წოდებათა შორის „მამაშვილური“ დამოკიდებულების ქადაგება ჩვენი „სათნოებისა და ნიჭის დამამტკიცებელი“ როდია, პირიქით...

აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი მიუთითებდა წოდებათა შორის „მამაშვილური“ დამოკიდებულების თეორიის მავნე ხასიათზე. იგი წერდა: „ბევრს ჰგონია რომ ეს ვითომც და ჩვენი ისტორიის თვისება ჩვენის განსაკუთრებულ სათნოებისა და ნიჭის დამამტკიცებელი იყოს. ის კი არ იციან, რომ ევროპელ მეცნიერებს სწორედ ამ წოდებათა შორის ბრძოლით მოაქვთ თავი. ისინი ამტკიცებენ, რომ მხოლოდ ინდოევროპელთა ერებს შესწევთ იმდენი ნიჭი და საზოგადოებრივი ცხოვრების უნარი, რომ სოციალური თავისუფლების მოსაპოვებლად წოდებრივი ბრძოლით ესარგებლათო.

გამოჩენილი ისტორიკოსი ლინდნერი ამტკიცებს, რომ აღმოსავლეთმა და საზოგადოდ აზიის ერებმა არ იციან, რა არის წოდებრივ უფლებათა მოსაპოვებლად ატეხილი ბრძოლაო“.[3]

შემდეგ ივ. ჯავახიშვილი დასძენს: „როგორც ვხედავთ, დიდად საქებარი არ ყოფილა ეს ვითომცა ქართველების თვისება, „მამაშვილური“ განწყობილება წოდებათა შორის“.[4]

როგორც აღვნიშნეთ, ნ. ურბნელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა წოდებათა შორის ბრძოლის საკითხის გარკვევას და, წყაროებზე

[1] ნ. ურბნელი, ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, 1890, გვ. 4.

[2] ნ. ურბნელი, უფლება და კანონი ძველ საქართველოში, „იმედი“, № 11, 1882.

[3] ივ. ჯავახიშვილი, „მამულიშვილობა და მეცნიერება“, 1904, გვ. 15.

[4] იქვე, გვ. 16.

დაყრდნობით, არც თუ მკრთალად წარმოუდგენია შინაკლასობრივი თუ კლასობრივი ბრძოლა საქართველოს წარსულსა და აწმყოში. მას მიაჩნდა, რომ ეკონომიური უთანასწორობა არასოდეს იძლევა საბაბს საზოგადოებრივ კლასებს შორის „მამაშვილური“ დამოკიდებულებისათვის.

ნ. ურბნელს არ ავიწყდებოდა, რომ ყოველგვარი მეცნიერება შემოქმედებითია, რომ ის საზოგადოების განვითარებასთან ერთად უნდა ვითარდებოდეს. მეცნიერება „ყურს უნდა უგდებდეს“ ეპოქის სუნთქვას, ითვალისწინებდეს ახალ მიღწევებს. სხვანაირად ჩამორჩება, გაიყინება, დაჰკარგავს მნიშვნელობას. ამიტომ, — ამბობს იგი, — ცხოვრებაში მოქმედი ყველა კანონი „მეცნიერებას უნდა ყურს უგდებდეს და მეცნიერების უკანასკნელი სიტყვით ხელმძღვანელობდეს.“[1]

ნ. ურბნელი დიდ ყურადღებას აქცევდა პიროვნების როლს საზოგადოებრივ საქმიანობაში. ის ფიქრობდა, რომ საზოგადოების ყველა წევრი ვალდებულია იღვწოდეს საზოგადოების უკეთ მოწყობისათვის, მისი გაკეთილშობილებისათვის. ნ. ურბნელის აზრით, საზოგადოება არ უნდა ელოდოს მოწყობილობის „დეკრეტებს“ მმართველობისაგან, თვითონ უნდა იჩენდეს თაოსნობას. ჩვენ არ შეგვიძლია თავი გავიმართლოთ იმით, ამბობს ურბნელი, რომ „თაოსნობას ფრთები შეკვეცილი აქვს და საზოგადოებრივი ძალა მეტად ვიწრო კალაპოტშია მოთავსებული. ამგვარი შეხედულება მარტო ჩვენს თავმოყვარეობას აკმაყოფილებს.“[2]

როგორც ვხედავთ, ნ. ურბნელს საუცხოოდ ესმოდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საზოგადოების მაღალ შეგნებას ერის სასიცოცხლო ძალების ასაღორძინებლად. იგი დამაჯერებლად ასაბუთებდა და ნერგავდა იმ აზრს, რომ საზოგადოების თვითეული წევრის ვალია მხოლოდ პირადი კეთილდღეობისათვის არ იღვწოდეს. უფრო გვიან ამ საკითხს შეეხო ი. ჭავჭავაძეც „ივერიაში“ გამოქვეყნებულ წერილში — „თავად-აზნაურობის გულგრილობა სწავლა-განათლების საქმეში“[3], სადაც მისი აზრები ნ. ურბნელის აზრებს ემთხვევა. ნ. ურბნელს, როგორც ჭეშმარიტ პატრიოტს, აწუხებდა სამშობლოს სავალალო ბედი, საშინელი აწმყო და ხალხის გათელილი უფლება. იგი საყვედურობს პოეტებს, მწერლებს, მეცნიერებს იმისათვის, რომ ისინი მხოლოდ ბუ-

1 ნ. ურბნელი, „შრომა“ — იურიდიული სიბრძნე, გაზ. „დროება“. 1883 წ. № 105.

2 ნ. ურბნელი, ხმა პროვინციიდან, გაზ. „დროება“, 1883 წ., № 166.

3 ი. ჭავჭავაძე, თხ. სრული კრებული, ტ. II, გვ. 597, 1941 წ.

ნებისა და ადამიანის სილამაზეს ხედავენ და მას უმღერიან, ადამიანთა არაადამიანური, არაკაცური ცხოვრების გამო კი სიტყვას იშვიათად სძრავენ. ნ. ურბნელი გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ ჰეგელი თავის ესთეტიკურ თეორიას კავკასიელის იდეალურ მშვენიერებაზე ამყარებს და კავკასიის მხოლოდ მშვენიერებით იხიბლება. რას იზამ, ყველას მშვენიერება იტაცებსო. ამიტომ, მისი აზრით, ცუდია, როცა საქართველოში უცხოელ მოგზაურებსაც მარტო ეგზოტიკა იზიდავს.

უფრო ცუდი კია, როცა ჩვენებსაც ესთეტიკური მხარე აინტერესებთ, და სიზმარში თუ ცხადში ბუნების სიმშვენიერე ელანდებათ. „ჩვენი აპოლონის ჩამომავალნი თვალებს გვიხვევენ, გონებით გვაძინებენ, მარტო სმენას გვიტკბობენო“.[1] ნ. ურბნელი ფიქრობს (და სამართლიანადაც!), რომ ასეთ პოეზიას, ასეთ მწერლობას ნაკლები მოქალაქეობრივი უფლება აქვს. იგი პოლიტიკური წინააღმდეგობის უნარს უკარგავს ხალხს. პოეტის, მწერლის, მეცნიერის მოვალეობაა ხელი შეუწყონ ერის სასიცოცხლო ძალების გამოღვიძებას. მისი აზრით, სირცხვილია, პოეტი უმღეროდეს ბუნებას, ვარსკვლავებს, ცას, როცა ცის ქვეშ ამდენი უკუღმართობა და უბედური ადამიანია. ლიტერატურა ნ. ურბნელისათვის ის იდეოლოგიური იარაღია, რომელიც საზოგადოებას პროგრესისაკენ უბიძგებს.

ურბნელს ესმის, რომ შიშველი ძალა, მახვილი რეპრესიები ვერ იქნება სახელმწიფოს ძლიერების საიმედო წყარო. თუ ხალხს არა აქვს რწმენა თავისი მთავრობისადმი, არ სჯერა მისი, იარაღით, ჩინოვნიკებით და ჯარით ვერ შეაშინებ. ვინც საწინააღმდეგოს ფიქრობს, ურბნელი მას პასუხის ღირსადაც არა სთვლის. აი რას წერს იგი ამის შესახებ: „მთელი ჩვენი ცხოვრება ანტიტეზებს წარმოადგენს, ვუთხარი ერთ ჩემ კომპანიონს ექიმს. თქვენ ექიმი ბრძანდებით და ცდილობთ ხალხი უდროვო სიკვდილისაგან დაიხსნათ. ამდენი აფიცრობა კი სხვისთვის არიან გაჩენილნი, ჩვენ კი გვარწმუნებენ, რომ მათ საერთო საგანი აქვთო. რას იტყვათ ამაზე? თქვენ ჯერ ახალგაზრდა ბრძანდებით, რა ძალა დაიმორჩილებს ამ ველურ ხალხს თუ არა ჯარი? მრისხანედ მიპასუხა ექიმმა. თუ არა ჩინოვნიკი, მაშ ვინ დაიცავს წესს, დაუმატა მან. მე გავჩუმდი.“[2] ნ. ურბნელის აზრით, თუ მეცნიერება ბრმადაა გადმონერგილი, ადგილობრივი პირობების გაუთვალისწინებლად, გახმობა უწერია. იგი მიუთითებს, რომ აუცილებელია კვლევის დროს მონათესავე საკითხების შესწავლაც. საყვედურობს იმ მკვლევარებს, რომლებსაც მარტო ევროპელ მეცნიერთა თხზულებანი წაუკითხავთ, საჭიროდ არ თვლიან ეროვნული კულტურის შესწავლას და „თავმომწონედ ვარჯიშობენ“ მაღალ სამეცნიერო სფეროში.

როცა ნ. ურბნელი ეხება სოციოლოგიის, როგორც ცალკე მეცნიერების, განვითარებას საქართველოს სინამდვილეში, ურბნელმა იცის, რომ ევროპული მეცნიერება აუცილებლად საჭიროა, მაგრამ მხოლოდ ასეთი ცოდნით ჩვენებური მკვლევარი საქართველოს სოციალური ევოლუციის ვერც თავს გაიგებს და ვერც ბოლოს.[1] შემდეგ იგი დაასკვნის, რომ „ამ ფილოსოფიურ წყლის ნაყვას ბოლო არ მოეღება, ვიდრე სოციოლოგნი არ მიმართავენ ჩვენი წარსულის და აწმყოს შესწავლას.“[2]

ნ. ურბნელი დიდ ყურადღებას აქცევდა და კრიტიკულად აფასებდა ცხოვრებისეულ მოთხოვნილებათა აუცილებლობით წარმოშობილ ყოველგვარ ახალ იდეას. მას სწამდა, რომ ახალი და საღი იდეა ყოველთვის სიცოცხლისუნარიანია. რაც ახლად იბადება, მას სრული უფლება აქვს არსებობისა, ძველს ყოველთვის ახალი ცვლის და უცვლელი სამყაროში არაფერია. ნ. ურბნელი ხედავს, რომ როცა საზოგადოების შიგნით სხვადასხვა შეხედულებები, აზრები, იდეები არსებობს, ეს საწინდარია საზოგადოების პროგრესისა. მას ახარებს ახალი თაობის დაბადება, რადგან ეს ახალი იდეების მომტანია, ძველი და ახალი თაობების ბრძოლა კანონზომიერ, აუცილებელ მოვლენად მიაჩნია და ამ ბრძოლაში მისი სიმპათია ახალი თაობის მხარეზეა. იგი ასაბუთებს აზრს, რომ თაობათა შორის ბრძოლა ხელს არ უშლის მამულის სიყვარულს, რომ ყველა ადამიანისათვის სამშობლოს სიყვარული უპირველესი მოვალეობაა და სწორედ სამშობლოს ინტერესები მოითხოვენ ახალი და ძველი თაობის, ახალი და ძველი იდეების ბრძოლას. ამ ბრძოლაში, მისი აზრით, ყოველთვის იმარჯვებს ახალი და ჯანმრთელი იდეა, რომელზედაც დამყარებულაა საზოგადოების კეთილდღეობა.

ნ. ურბნელი ილაშქრებს ყველას წინააღმდეგ, ვინც ცდილობს ძველი და ახალი თაობა შეარიგოს, ვინც საერთოდ ვერ ხედავს, ანდა არ უნდა დაინახოს ეს ბრძოლა. „არასოდეს არ შეიძლება, — ამბობს ნ. ურბნელი, — რომ ძველი და ახალი თაობა მოგონილი სიტყვა იყოს და, მაშასადამე, უსაფუძვლო. მაშინ ხომ მთელი საქართველო დიდ უბედურებაში იქნებო-

1 ნ. ურბნელი, მგზავრის შენიშვნებიდან, გაზ. „დროება“, 1883 წ. № 129.

2 ნ. ურბნელი, დასახელებული წერილები.

1 ნ. ურბნელი, ძველი და ახალი თაობა, გაზ. „დროება“, 1883 წ. №94.

2 იქვე.

და ჩავარდნილი. ცხოვრების მოძრაობას თან მოსდევს „თაობა“. რისთვის? მისთვის, რომ ცხოვრების ცვლილება ხალხის გულში და გონებაში შობს ახალ იდეალებს, აზრებს და თვით თაობა მიუცილებელი შედეგია ცხოვრების ცვლილებისა“.[1]

ნ. ურბნელის აზრით, ბრძოლა ძველსა და ახალს შორის ოდნავადაც არ წარმოშობს რაიმე საფრთხეს, რომელიც სამშობლოს სიყვარულს ავნებს. ამიტომ აღნიშნავს იგი: „იქნება ჰგონიათ, რომ ჩვენში ძველი და ახალი თაობა მოგონილი სიტყვაა იმიტომ, რომ ყველას ერთი და იგივე მიზანი წინ მიგვიძღვის. ყველა ჩვენგანს ერთი და იგივე საღვთო მოვალეობა აწევს კისერზე მამულის წინაშე! საოცარი ლოგიკაა! საერთო მოვალეობა აქ არაფერ შუაშია, თვითეულს თაობას თავისი საკუთარი გზა აქვს ამორჩეული და მოქმედების თავისი პროგრამა გააჩნია“[1].

როგორც ვხედავთ, ნ. ურბნელს სწამს, რომ ახალმა თაობამ უნდა შეიტანოს ხალხში მოწინავე საზოგადოებრივი იდეები, რაც აუცილებელია ცხოვრების პროგრესისათვის. ეს აუცილებლობა მას „ცხოვრების საზოგადო“ კანონად წარმოუდგენია და მის წინააღმდეგ წასვლას სიბრმავედ და ულოგიკობად მიიჩნევს.

ზემოთქმულის მიხედვით შემდეგი უნდა დავასკვნათ:

ნ. ურბნელი (ნიკოლოზ თადეოსის ძე ხიზანაშვილი) იყო XIX საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის გამოჩენილი მოაზროვნე, რომლის მოღვაწეობის ფართო დიაპაზონმა და დიდმა ნიჭმა სიცოცხლეშივე პოვა აღიარება, რაც არაერთხელ გამოიხატა იმდროინდელ მოღვაწეთა მიერ მისი შემოქმედების შეფასებისას.

ნ. ურბნელი, პუბლიცისტური მოღვაწეობის დასაწყისში, ქართულ ხალხოსნურ პოზიციებზე იდგა, შემდგომში კი მისი მსოფლმხედველობა გარკვეულად შეიცვალა.

ურბნელი დიდ როლს აკუთვნებს სკოლას ადამიანის გონებრივ ჩამოყალიბებაში და აღზრდის ქვაკუთხედად, უპირველეს ყოვლისა, ზნეობრივი პრინციპები მიაჩნია. მას სწამს, რომ საერთო-საკაცობრიო კულტურის შექმნაში ყველა ხალხს მიუძღვის წვლილი და თვითეულ ერს აქვს ეროვნული სიამაყის კანონიერი უფლება. იგი ილაშქრებს ყოველგვარი შოვინიზმის წინააღმდეგ, რადგან შოვინიზმი საზოგადოებისათვის საშიშ სენად მიაჩნია.

საინტერესოა ურბნელის შეხედულება მწერლის დანიშნულებაზე. მას სწამს, რომ შემოქმედი ცხოვრებას რეალურად უნდა ასახავდეს, საზოგადოებას იდეურ საზრდოს უნდა აწვდიდეს, ხელს უნდა უწყობდეს სოციალური თუ სხვაგვარი უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლის სურვილის გაღრმავებას. ნ. ურბნელის აზრით, ლიტერატურის პროგრესისათვის, აუცილებელია, ლიტერატურული კრიტიკა, რომ ყოველგვარი მეცნიერება შემოქმედებითი და ცვალებადია, როგორც ყველაფერი სამყაროში.

ნ. ურბნელი კარგად ასაბუთებს საზოგადოებრივი თაოსნობის უდიდეს მნიშვნელობას ცხოვრების უკეთ მოწყობისათვის, მისი გაკეთილშობილებისათვის. მისი აზრით, საზოგადოება არ უნდა ელოდეს მოწყალებას მმართველობისაგან, თუმცა ისიც იცის, რომ საზოგადოებრივ თაოსნობას მეფის ბიუროკრატიული მმართველობის დროს ფრთები შეკვეცილი აქვს.

ურბნელი ნათლად ხედავს კლასთა ბრძოლას საქართველოს წარსულსა თუ აწმყოში და იმ ბრძოლის საფუძვლად ეკონომიური უთანასწორობა მიაჩნია. მას შეგნებული აქვს, რომ ერის ისტორიისათვის სოციალური ბრძოლის ფაქტს დადებითი მნიშვნელობა აქვს და წოდებათა შორის „მამაშვილური“ დამოკიდებულების თეორია სულაც არ გამოხატავს ქართველი ხალხის სათნოებას და ნიჭს.

ნ. ურბნელს სწამს, რომ ძველი და ახალი იდეების ბრძოლა შობს ახალ თაობას, რომელიც თავისი იდეებით უპირისპირდება ძველ თაობას, ძველ იდეებს. ახალს კი მუდამ სიცოცხლის მეტი უნარი, აქვს და ამიტომ მისი სიმპათია მუდამ ახლის მხარეზეა.

ნ. ურბნელის, ამ შესანიშნავი მოაზროვნის, თუნდაც ზოგიერთი პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი შეხედულების შესწავლა, ვფიქრობთ, უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ იგი, როგორც მოაზროვნე, თავისი ეპოქის მოთხოვნათა დონეზე იდგა. მეტად დიდი სიმკაცრე იქნებოდა, ურბნელის მსოფლმხედველობა მხოლოდ თანამედროვე მოთხოვნათა თვალსაზრისით შეგვეფასებინა, ჩვენ მოკრძალებით და პატივისცემით უნდა მოვეკიდოთ ურბნელის ნააზრევში იმ დადებითს, რაც ნამდვილად ხელს უწყობდა ეპოქის მიერ აღძრული მნიშვნელოვანი საკითხების სწორად გაშუქებას. უნდა ვაღიაროთ, რომ მისი გონებისა და კალმის ნაყოფს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული აზროვნების განვითარებისათვის, ქართველი ხალხის გამათავისუფლებელი მოძრაობისათვის.

---

[1] ნ. ურბნელი, ძველი და ახალი თაობა, გაზ. „დროება“, 1883 წ. № 94.

[2] იქვე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მ. ღუდუჩავა

# რამდენიმე შენიშვნა ნიკო ფიროსმანაშვილის შემოქმედების თაობაზე

ნიკო ფიროსმანაშვილმა უკანასკნელ წლებში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მის ნაწარმოებთა გამოფენა მოეწყო პარიზში, საბოლოოდ დაიმკვიდრა საკაცობრიო დიაპაზონის მხატვრისა და მსოფლიო ხალხური სახვითი ხელოვნების უდიდესი წარმომადგენლის სახელი. მას ახლა ყველა კულტურული ქვეყნის მხატვრული საზოგადოებრიობა იცნობს და აღიარებს. რამდენადაც ტრაგიკული და ბედუკუღმართი იყო მთელი მისი ცხოვრება როგორც ადამიანისაც და როგორც ხელოვანისაც, იმდენად უფრო მაღალია და გასაოცრად განსხვავებული მისი შემოქმედების თანამედროვე შეფასება. და რაც მეტი დრო გადის, მით უფრო ფართო ხასიათს იღებს ქართველი მხატვრის დიდი ტალანტის ეს დაგვიანებული პოპულარობა.

რა თქმა უნდა, ეს ფაქტი სიამაყის გრძნობას ბადებს ხელოვანის ყოველ თანამემამულეში.

მაგრამ დაცვა (ცხადია, გარკვეულ ასპექტში) მაინც სჭირდება ნიკო ფიროსმანაშვილს, რადგან სხვადასხვა თვალსაზრისითა და არგუმენტებით ხდება მისი შემოქმედების განსაკუთრებულობისა და ესთეტიკური ღირსების დასაბუთება. ეს განსხვავებულობა იქამდეც მიდის, რომ ამ მემკვიდრეობის სიძლიერეს ზოგი პრიმიტიულობაში ხედავს, ზოგი კი — დილეტანტობაში. არსებობს სხვა არაერთი თავისებური შეხედულებაც, ხოლო ყველა მათ ზურგს უკან გარკვეული ესთეტიკური კონცეფცია ან საკუთრივ ესთეტიკური იდეალი დგას. მართალია, აქ გარკვეულ როლს თამაშობს მხატვრის შემოქმედების განსაკუთრებული თავისებურება და სირთულეც, მაგრამ არსებით საფუძველს მაინც აღნიშნული პრინციპული ნიადაგი შეადგენს. ამის ერთ-ერთ დადასტურებად გვევლინება ის ცნობილი ფაქტი, რომ არც ისე იშვიათად ნიკო ფიროსმანაშვილის შემოქმედების ცალმხრივ გაგებას პრიმიტივიზმის აპოლოგია განაპირობებს: მხატვრის ნაწარმოებებს მოდერნისტულ-დეკადენტური ესთეტიკური იდეალის დასაცავად იყენებენ, რის გამოც აღიდებენ ხელოვანის ქმნილებათა სწორედ იმ მხარეს, რაც სინამდვილეში თვითნასწავლობის პირდაპირ შედეგს წარმოადგენს.[1]

როგორც ცნობილია, ასეთი ბედი თავიდანვე დაჰყვა ნიკო ფიროსმანაშვილს. განსაკუთრებით გამოვლინდა იგი „ცისფერყანწელთა“ (ქართველ სიმბოლისტთა) დამოკიდებულებაში მხატვრისადმი. სამწუხაროდ, ამჟამად კვლავ აღორძინდა ეს ცალმხრივობა სხვადასხვა დეკადენტური იზმებით გატაცების საფუძველზე, რაც არა მარტო თვით ნიკო ფიროსმანაშვილის შემოქმედების სწორი გაგების დამკვიდრებას ეღობება წინ, არამედ თანამედროვე ქართული ხელოვნების განვითარებასაც გარკვეულ ზიანს აყენებს. ამიტომ ნიკო ფიროსმანაშვილის შემოქმედების რაობის პრობლემა, არსებითად,

---

1 აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ კვლავ ამახინჯებენ მხატვრის გვარს, წერენ: ფ ი რ ო ს მ ა ნ ი შ ვ ი ლ ს ან ფ ი რ ო ს მ ა ნ ს. ეს საკითხი ახლა იმდენად გარკვეულია, რომ მის შესახებ ლაპარაკი უხერხულიც კი არის. ყველა დოკუმენტი და ხელმოწერა ადასტურებს, რომ ნიკო იყო ფ ი რ ო ს მ ა ნ ა შ ვ ი ლ ი და არა ფიროსმანიშვილი. რაც შეეხება ფიროსმანს, იგი ხომ „ცისფერყანწელებმა“ გამოიგონეს, ალბათ, გაუცხოების მიზნით. დროა აღიკვეთოს ეს თვითნებობა და ნიკო ფიროსმანაშვილი თავისი ნამდვილი გვარით, ქართული გვარით დამკვიდრდეს ხელოვნების ისტორიაში.

ჩვენი თანამედროვე ეროვნული ხელოვნების პრობლემატიკასთანაც არის ორგანულად დაკავშირებული.

* * *

„მე ჩემებურად ვხატავ... ჩემი გზით მივდივარ“... ეს სიტყვები ნიკო ფიროსმანაშვილისაა. შესანიშნავი თვითდახასიათებაა.

გენიალობასთან შედავებულ ქართველ ხელოვანს, უდიდესს შემოქმედს ყველა ქვეყნისა და ეპოქის ხალხურ (თვითნასწავლ) მხატვართა შორის, მართლაც მხოლოდ საკუთარი ხედვა, საკუთარი სამყარო, მხატვრული წვდომა და წარმოსახვა ახასიათებს. მისი შემოქმედების ყოველი ნიუანსიც კი თავისებურია, თვითმყოფია, მხოლოდ ფიროსმანაშვილისეულია.

და ეს ნათელი, ღრმად ეროვნული და გასაოცარი ესთეტიკური ღირსებით სახემოსილი ინდივიდუალობა, არსებითად, გაპირობებულია არა მაღალი პროფესიული ოსტატობით ან საკუთარი ხელწერის საგანგებო ძიებით, არამედ უშუალო განცდით, მხატვრული წარმოსახვისა და შეთხზვის ვირტუოზული უნარით, ჯადოქრული ფერწერითი ინტუიციითა და განსახოვნების თვითმიღწეული ხელოვნებით. ამიტომ ნიკო ფიროსმანაშვილის დიდების უპირველეს ფაქტორს წარმოადგენს ბუნებრივი ტალანტის განსაკუთრებულობა, ჭეშმარიტად მსოფლიო მასშტაბის შემოქმედებითი მადლი, შესაძლებლობა და შემოქმედებითი ხილვის უსაზღვრო შინაგანი ძალა, რასაც უსამართლო ცხოვრებით გზაშეზღუდული, უოჯახო და უმეგობრო ხელოვანი აბრების მოხელე „საწყალი ნიკალას“ სახელით დაატარებდა ძველი თბილისის ბოჰემური სარდაფებ-სამიკიტნოების კარდაკარ, ნამდვილი ხელოვნების მიმართ ორივე თვალით ბრმა ადამიანებს შორის. მის ირგვლივ უმთავრესად მხოლოდ ერთი წრე ტრიალებდა: ეს იყო „მიკიტნების“, წვრილი ვაჭრების, ხელოსნებისა და საერთოდ თავისებურ ცხოვრებას შეზრდილ თბილისელ მოქალაქეთა წრე. ძირითადად ისინი იყვნენ მისი შემკვეთნიც და დამფასებელნიც, მეცენატებიც და განმკითხველნიც.

ნიკო ფიროსმანაშვილის უპირველესი გატაცება ფერწერა იყო. იგი ფერებით და ფერებისათვის ცხოვრობდა. სხვა ინტერესი, სიხარული თუ თავშესაფარი არ გააჩნდა მის უკიდურესად განაწამებ სულს. მას არსებითად ლუკმა პურის ძიებამ აღებინა ხელში ფუნჯი, ხოლო ეს იძულებითი არჩევანი მისი ნამდვილი მოწოდების, ტალანტის, სტიქიის გზაგახსნა, ბედისაგან განწირული ადამიანის მიერ თავისთავის აღმოჩენა იყო.[1] მაგრამ პირადი ბედნიერება არც ამ ობიექტურად ბედნიერ შემთხვევას მოუტანია ნიკო ფიროსმანაშვილისათვის: განსაკუთრებული შემოქმედებითი წარმატების მიუხედავად მხატვარი ვერ ეღირსა არა მარტო აღიარებას, ხელოვანის სიხარულს, არამედ ნორმალურ ადამიანურ ცხოვრებასაც: ბოლომდის მარტოობასა და უკიდურეს სიღარიბეში გაატარა მან თავისი წუთისოფელი. მართალია, სიცოცხლის უკანასკნელ წლებში თითქოს აღმოაჩინეს და დაფარეს, მაგრამ ამას შეურაცხმყოფელი უარყოფაც ჩქარა მოყვა, როგორც ჩანს, მხატვრის აღიარების ცალმხრივი (მოდერნისტული) პრინციპული საფუძვლის გამო.[1] ამ მხრივ ცნობილი ფრანგი თვითნასწავლი მხატვარი რუსო უფრო გაანებივრა ცხოვრებამ, თუმცა ბუნება შედარებით გაცილებით ძუნწი აღმოჩნდა მის მიმართ. ნიკო ფიროსმანაშვილის მიმართ კი, რამდენადაც ხელგაშლილი იყო ბუნება, იმდენად ძუნწი და ვერაგი აღმოჩნდა ცხოვრება.

რა თქმა უნდა, ნიკო ფიროსმანაშვილი გრძნობდა თავის ამ უდიდეს პიროვნულ-ადამიანურ ტრაგედიას; ამასთან, იგი ნათლად ხედავდა მის გარემომცველ ადამიანთა და ცხოვრების ჭუჭყსა და მუქ ფერებს. ამიტომ ბუნებრივია, ასე განმარტოებული, აბუჩადაგდე-

I ალბათ, ნიკო ფიროსმანაშვილი სავსებით დაიკარგებოდა ხელოვნებისათვის, რომელიმე სამსახურს ან სავაჭრო კარიერას რომ გაემართლებინა მისთვის. ამ გზით მიღწეული პირადი ბედნიერება დამღუპველი იქნებოდა მისი ტალანტისათვის.

როგორც ცნობილია, ერთ-ერთ თბილისელ ვაჭრის ოჯახში საკმაოდ ხანგრძლივად შინამოსამსახურედ მუშაობის შემდეგ, დაახლოებით 22 წლის ახალგაზრდა ნიკო სამღებრო-სამხატვრო სახელოსნოს ხსნის პირველად მხატვარ გ. ზაზიაშვილთან, ხოლო შემდეგ ვინმე გეზერაძესთან ერთად. ორივე ცდამ მარცხი განიცადა. ამის შემდეგ რკინის გზის სამმართველოში მუშაობდა დამტარებლად, უფრო დიდი ხნით კი საბარგო მატრებლის გამცილებლად. აქ ხშირად ცივდებოდა და დაავადმყოფდა, რის გამო იძულებული იყო თავი დაენებებინა სამსახურისათვის. ახლა რძის სავაჭრო გახსნა ვერაზე; აქედან ყასბების რიგში გადაინაცვლა. მაგრამ კვლავ მარცხი განიცადა: მხატვრად დაბადებული ფიროსმანაშვილი ვერ გამოდგა ვაჭრის როლში და „გაკოტრებული“ საბოლოოდ დაუბრუნდა ფერებსა და ფუნჯს.

1 როგორც ცნობილია, ეს უარყოფაც — ნიკო ფიროსმანაშვილის კარიკატურის გამოქვეყნება გაზეთ „ცნობის ფურცელში“ (1916 წ., № 260) — მეტად ცალმხრივი იყო, რადგან იგი მხატვრისადმი მოდერნისტულ დამოკიდებულებას კი არ უპირისპირდებოდა, არამედ არსებითად თვით მხატვრის წინააღმდეგ იყო მიმართული.

ბული და უპირატესად „თბილისის ფსკერის" ბოჰემით სულშეხუთული ხელოვანი სვამდა კიდეც. სვამდა, რომ გაეძლო ცხოვრებისათვის, გადაევიწყებინა ბედის სიმუხთლე, ათასი დარდი, გაუთავებელი გულისტკივილი, ერთი სიტყვით, გზადაგზა მაინც ეგრძნო ერთგვარი სულიერი სილაღე და ამით მეორე დღისათვის შინაგანი ძალა მოეკრიბა, რომ ეხატა. ხოლო მხატვრობა მისი ცხოვრების ერთადერთ აზრს, მოწოდებას, სინათლეს წარმოადგენდა, რომლითაც თავისი დიდი ტალანტის, შინაგანი სტიქიის მოძალებას აცხრობდა. ის ყველაზე მეტად, სწორედ ფერებთან ჭიდილით ამშვიდებდა სულს, იშუშებდა იარებს, აოკებდა და აუკვდავებდა ფიქრებს, ემოციებს. და, როგორც ვთქვით, ქმნიდა იმის გამოც, რომ ეცხოვრა, ლუკმა პური ეშოვა და, რა თქმა უნდა, ესვა კიდეც. ამ აზრით აქვს ნათქვამი პოეტს: ნიკო ფიროსმანაშვილი „სვამს, რომ ხატოს და ხატავს, რომ სვას". ცხადია, ეს ფრთოსანი ფრაზა სიტყვასიტყვით არ უნდა გავიგოთ, რადგან ასეთ შემთხვევაში მეტად გამარტივებულ და შეუსაბამო დასკვნას მივიღებთ. იგი უნდა გავიაზროთ როგორც იმის თავისებური მინიშნებითი თქმა, რაც აქ აღინიშნა.

* * *

ნიკო ფიროსმანაშვილი მთელი თავისი არსებით ხალხური, თვითნასწავლი მხატვარია. იგი ფერებსა და ფუნჯებსაც კი თვით ამზადებდა პრიმიტიული წესით, ხოლო სამყაროს უშუალოდ აღიქვამდა, უშუალოდ განცდილ მელოდიებს ანსახიერებდა. მისთვის უცნობი იყო ფერწერის საუკუნეებით შემუშავებული ტექნოლოგია, ფერწერითი წარმოსახვის პროფესიული დახელოვნება, სურათის ან, კერძოდ, კოლორიტის, ნახატისა და კომპოზიციის კანონები. მისი სამხატვრო განათლება ძირითადად ისაზღვრებოდა იმის ინდივიდუალიზებული /გათავისებითა და ამაღლებით, რაც დამკვიდრებული იყო თბილისის თვითნასწავლ-ხელოსანი მხატვრების წრეში. იგი ამ წრის, და არა მარტო ამ წრის, არამედ, როგორც ვთქვით, მთელი მსოფლიოს ხალხურ ხელოვანთა უდიდეს წარმომადგენლად გვევლინება, რომელმაც თავისი მხატვრული ტალანტისა და ინტუიციის მეშვეობით შეძლო დაეჩრდილა თვითნასწავლობა და ბრწყინვალე შემოქმედებითი წარმატებებისათვის მიეღწია. აქ, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება კოლორიტის, წარმოსახვისა და აგრეთვე კომპოზიციის ბუნებრივი გრძნობის უაღრესად თავისებური და მაღალი ესთეტიკური ღირსებით ამეტყველება.

რა თქმა უნდა, იგი იცნობდა თავისი ეპოქის ქართველი მხატვრების ნაწარმოებსაც, ქართული და უცხოური კლასიკური ხელოვნების ზოგ ნიმუშსაც, რაც უდავოდ ამდიდრებდა მის საერთო მხატვრულ კულტურას. მაგრამ ყველაფერი ეს მისთვის სხვა სამყაროს წარმოადგენდა, არასოდეს არ ბაძავდა მას, ბოლომდე თავის გზას მიყვებოდა და კიდეც ამაყობდა იმით, რომ ეს გზა განსხვავებული და საკუთარი იყო, მაშასადამე, რომ ხედავდა, განიცდიდა და წარმოსახავდა მისებურად, მხოლოდ მისებურად. ერთი სიტყვით, მის შემოქმედებას საფუძვლად არ ედო არც ქართული და მით უმეტეს არც რომელიმე სხვა ერის მხატვრული ტრადიციების კრიტიკული ათვისება, ან მაშინ გაბატონებულ მიმდინარეობათა წინააღმდეგ შემუშავებული პრინციპები. ნიკო ფიროსმანაშვილის შემოქმედებითი გზა ჩამოყალიბდა გარემოსთან უშუალო ერთიერთობის პროცესში, ყოველგვარი თეორიული გააზრების, საგანგებო ძიებისა და წინასწარ აღიარებული ესთეტიკური იდეალის გარეშე. მისი სტიქია იყო სტიქიური ხატვა, ათასი ტკივილითა და გრძნობით ანთებული გულისთქმის შინაგანი წვდომა, ბუნებრივი, ძალდაუტანებელი წარმოსახვა, განსახოვნება. არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ ნიკო ფიროსმანაშვილი მართლაც წარმოადგენს ახალი ქართული ხელოვნების მეტეორს, რომელსაც არცერთი დიდი თუ პატარა სახელის ან საერთო ტრადიციის სხივები არ აურეკლავს. მას უწოდებდნენ აბრების მოხელე „საწყალ ნიკალას"; იგი კი იყო დიდი შემოქმედი, დიდი ნიკო, მსოფლიო ხალხური სახვითი ხელოვნების მშვენება, რომელიც წვალებით და უჩვეულო ბილიკით მოვიდა ქართულ ხელოვნებაში და ამ უკანასკნელის თვალუწვდენელ სიმაღლედ იქცა. და ეს იყო მხატვრის ჭეშმარიტი თვითანთება, შემოქმედებითი თვითმყოფობა, რომელიც არავითარ ტრადიციას არ შეუძლია განაპირობოს და არც არავისაგან არ ისწავლება. მაშასადამე, არსებითად, ეს იყო თვით ფიროსმანაშვილი და სხვა არაფერი.

* * *

როგორც აღვნიშნეთ, ამ ბოლო დროს ხშირად ლაპარაკობენ ნიკო ფიროსმანაშვილის ფართო განსწავლულობასა და დიდ ოსტატობაზე. მაგალითად, წერენ, თითქოს, მხატვარმა „კარგად იცოდა ქართული ერის ისტორია", „ძველი ხელოვნების ტრადიციები, ქართული სტილი სახვით ხელოვნებაში", განსაკუთრებით ქართული ფრესკები; აგრეთვე, თითქოს ის მისი დროის მოწინავე ხელოვნების დონემდეც ამაღლდა და ამ ასპექტში „დასახა გზები ქართული ფერწერული ხელოვნების აღსადგენად", ასაღორძინებლად. მეტიც, ზოგჯერ ასეთი მტკიცებაც გვხვდება: „ხშირად ფერთა გამა ერთნაირია როგორც ძველ ფრესკებზე, ისე ნიკოს სურათებში"; ანდა, რომ მის შემოქმედებაში „მოცემულია ძველებური ოსტატობის ხელოვნების განგრძობა აღორძინე-

ბული და დღევანდელი დღის შესაბამისად გადატეხილი“. ყველაფერი ეს კი ორგანულად უკავშირდება ნ. ფიროსმანაშვილის „შეუდარებელ ოსტატად“ აღიარებას. თვით ის მკვლევარებიც არ ერიდებიან ანალოგიურ შეფასებას, რომლებიც სწორად აღნიშნავენ ნიკო ფიროსმანაშვილის, როგორც სახალხო მხატვრის, სრულად გასაგებ თავისებურებას. უკვე ჩვეულებრივ გამოთქმად იქცა: ნიკო ფიროსმანაშვილი „ფერწერის ჭეშმარიტი ოსტატია“, „კომპოზიციის დიდი ოსტატია“, ანდა „ნახატი ფიროსმანაშვილს საუცხოო აქვს“ და სხვა. ზოგი სრულიად გულწრფელად სვამს ასეთ კითხვას: განა შეიძლება ნიკო ფიროსმანაშვილს ამდენი ეხატა და „დიდ ოსტატობას“ არ დაუფლებოდა?“ ისიც აღსანიშნავია, რომ ახლა ნიკო ფიროსმანაშვილზე ყველა წერს, მათ შორის ისეთებიც, რომლებსაც საერთოდ არავითარი პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვთ ხელოვნების საკითხებთან. რა თქმა უნდა, ამ ნიადაგზეც მრავალი გაუგებრობა იბადება, მრავალი უშინაარსო, მაღალფარდოვანი ფრაზა და აგრეთვე ისეთი შეფასებანი თუ ტიტულები მკვიდრდება, რომლებიც სხვა ხელოვანთა შესახებაა ნათქვამი, ხოლო ნიკო ფიროსმანაშვილისთვის სრულიად შეუფერებელია.

როგორც უკვე ვნახეთ, ნიკო ფიროსმანაშვილის ძალასა და სიდიადეს შემოქმედებითი კულტურის მაღალი დონე და პროფესიული ოსტატობა არ განაპირობებს. ნიკო ფიროსმანაშვილი იმდენად დიდია, რომ მას არ სჭირდება იმის მიწერა, რაც მას არ ჰქონდა და არც შეიძლება ჰქონოდა. აქ კიდევ ერთხელ უნდა გავიმეოროთ ის საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი, რომ მხატვარს არც საერთო და არც სპეციალური მხატვრული განათლება არ მიუღია. რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს, თითქოს, როგორც უკვე ვთქვით, მას არავითარი წარმოდგენა არ ჰქონოდა საქართველოს წარსულზე, ქართულ ხელოვნებაზე ან საერთოდ ხელოვნების შესახებ. მაგრამ მისი განათლებაც და დახელოვნებაც თვითმიღწეული იყო, ხოლო ამიტომ ერთიც და მეორეც შეზღუდულ და უაღრესად თავისებურ ხასიათს ატარებდა. ცხადია, უფრო ფართო პროფესიული მონაცემები არც შეიძლებოდა ჰქონოდა მისი ბიოგრაფიის მქონე ადამიანს. ოღონდ, იგი, ბუნებრივია, ზედმიწევნით კარგად იცნობდა მაშინდელი თბილისის ხალხურ, ძირითადად ხელოსნურ ხელოვნებას, რომელიც საკმაოდ ფეხმოდგმული იყო მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში და როგორც ტექნოლოგიას ისე ფერწერითი წარმოსახვის გარკვეულ ტრადიციას ქმნიდა, თუმცა საკუთრივ მხატვრული ღირსების თვალსაზრისით უმთავრესად მეტად დაბალ დონეზე იდგა. ნიკო ფიროსმანაშვილი თავისებურად ავითარებს ამ ტრადიციას და იმუშავებს თავის საკუთარ, მკვეთრად ინდივიდუალურ მანერას. ზოგი მისი დროის თვითნასწავლი მხატვარი (მაგალითად, გ. ზაზაშვილი) შეეცადა პროფესიული ფერწერის გზას გაყოლოდა. ნიკო ფიროსმანაშვილმა უარყო ეს არჩევანი. მას არ მიუმართავს არც მზა ფერებისა და არც ფერწერის ე. წ აკადემიურ-პროფესიული ტექნოლოგიისათვის, რაც განსაკუთრებით პოპულარული გახდა ჩვენში მხატვრის შემოქმედებითი მოღვაწეობის მეორე ნახევარში. ერთი სიტყვით, ნიკო ფიროსმანაშვილი ბოლომდის თავისი ტექნოლოგიისა და მანერის ერთგული დარჩა. იგი კიდეც ამაყობდა თავისი ასეთი განსაკუთრებულობით და განკერძოებით. არსებითად, მისი ზემოთ ციტირებული სიტყვები — „მე ჩემებურად ვხატავ... ჩემი გზით მივდივარო,“ — თბილისის ხალხურ ხელოვნებასთან მის დამოკიდებულებასაც შეეხება, თუმცა იგი როგორც მხატვარი, უწინარეს ყოვლისა, უშუალოდ სწორედ ამ გარემოში დაიბადა.

კიდევ უფრო მეტი ითქმის კლასიკურ ხელოვნებასთან ნიკო ფიროსმანაშვილის დამოკიდებულების შესახებ. მაშასადამე, შეუსაბამოა ნიკო ფიროსმანაშვილის გამების, საერთოდ კოლორიტის საწყისის ძველ ქართულ ფრესკებში ძიებაც. ამის შესაძლებლობა სავსებით მოხსნილია, რადგან ნიკო ფიროსმანაშვილის კოლორიტი, როგორც წესი, ყოველთვის მხოლოდ ფიროსმანაშვილისეულია. მას არავითარი პირდაპირი წყარო ან დედანი თუ შთამაგონებელი შემოქმედებითი მოდელი არ გააჩნია. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგი მკვლევარი ქართული ფრესკების ამ ასპექტში წინა პლანზე წამოწევით მხატვრის შემოქმედების ეროვნულობის დასაბუთებას ცდილობს. ეს ძალზე უსუსური არგუმენტია. ჩანს ამ მკვლევართ არ მოეხსენებათ, რომ როგორც ფრესკების, ისე საერთოდ მხატვრული კულტურის ყველა ისტორიული ეტაპის სტილური ნიშნების გამეორება, არსებითად, ეპიგონობაა. ამიტომ ნიკო ფიროსმანაშვილის შემოქმედება ან კერძოდ კოლორიტი, რომ მართლაც ქართული ფრესკული მხატვრობის ტრადიციათა „გადამწყვეტი გავლენის“ შედეგს წარმოადგენდეს, ეს გარდა იმისა, რომ გამორიცხავდა მხატვრის თვითმყოფობასა და ინდივიდუალობას, ნაწილობრივადაც ვერ ახსნიდა ამ მემკვიდრეობის ეროვნულ არსს. აქ სხვა ფაქტორთან გვაქვს საქმე. სახელდობრ, ნიკო ფიროსმანაშვილის ნაწარმოებები წარმოადგენენ ქართული სინამდვილის უშუალო, გულმართალ და უსაზღვრო სიყვარულით სახელმოსილ თავისებურ წარმოსახვას, უფრო ზუსტი იქნება თუ ვიტყვით, სიმღერას მშობლიური ქვეყნის ბუნების, ხალხისა და ყოფის შესახებ, თქმულს ხელოვნის მიერ, რომელიც ხედავდა და განასახოვნებდა ისე, როგორც ხედავდა და გრძნობდა თავი-

სი ხალხი, ხოლო წარმოსახავდა იმას, რაც მშობლიური ხალხის იმდროინდელი „ცხოვრებისა და სულის“ განსაკუთრებულობას შეადგენდა. როგორც ცნობილია, თვით ამ „ცხოვრებისა და სულის“, საერთოდ მთელი ეროვნული გარემოს თავისებურების გამოხატვა კი, მით უფრო ბუნებრივი და ღრმაა, რაც უფრო დიდია ხელოვანი, როგორც შემოქმედი, რაც უფრო ახლოს დგას იგი თავის ხალხის ცხოვრებასთან და სიმართლით წარმოსახავს ამ უკანასკნელს, მაშასადამე, რაც უფრო თვითმყოფია, პროგრესული და ნაკლებად მიდრეკილი მიბაძვისადმი. ნიკო ფიროსმანაშვილი სწორედ ასეთი მხატვარი იყო: მისი შემოქმედება თავისი დროის ეროვნული სინამდვილის ფესვებზეა ამოზრდილი, დაფუძნებული, ხოლო მისი ტალანტი ჭეშმარიტად თვითმყოფი და გასაოცარი სიძლიერისაა. ვიმეორებთ: სწორედ ამ უკანასკნელს და არა „გასაოცარ ოსტატობას“ უნდა ვუმადლოდეთ ნიკო ფიროსმანაშვილის შემოქმედების განსაკუთრებულ სიძლიერეს, მაღალ ესთეტიკურ ღირსებასა და ღრმა ეროვნულობას.

რაც შეეხება საკუთრივ ფერწერის ოსტატობას, ცნობილია, რომ იგი გვევლინება როგორც ნახატის, კომპოზიციისა და კოლორიტის ისტორიულად ჩამოყალიბებული კანონების, ტექნიკის, ხერხების ღრმად დაუფლება, შეთხზვის და წარმოსახვის, საერთოდ განსახოვნების პროფესიული დახელოვნების მიღწევათა შემოქმედებითი ათვისება, უფრო ზუსტი იქნება თუ ვიტყვით, გ ა თ ა ვ ი ს ე ბ ა. მაგრამ ყველაფერი ეს მარტო შესწავლისა და საგანგებო ვარჯიშის საფუძველზე არ იბადება. მხატვრულ ოსტატობას მხოლოდ დიდი ტალანტი შეუძლია მისწვდეს. ჭეშმარიტი მხატვრული ოსტატობა, მით უმეტეს მისი შემდგომი გაღრმავება და განვითარება, ჭეშმარიტი ტალანტის თვისებაა. ოღონდ, ზოგ შემთხვევაში, გარკვეული ვითარების შედეგად, ტალანტები პროფესიული დახელოვნების გარეშეც ვლინდებიან: ეს, რა თქმა უნდა, ვირტუოზული შემოქმედებითი შესაძლებლობის, ინტუიციის (დიდი, თვითმყოფი ტალანტის) დამახასიათებელი განსაკუთრებულობაა, ხოლო ამისი მაგალითები — ხალხურ (თვითნასწავლ) ხელოვანთა შორის გვხვდება.

ნიკო ფიროსმანაშვილი ამგვარი შემოქმედია. იგი შეუდარებელიც კი არის ამ მხრივ: არ არსებობს მეორე მხატვარი, რომლის ტალანტს ასე დაეჩრდილოს თვითნასწავლობა და ასეთი ჯადოქრული მხატვრული გამოხატულება ეპოვოს შესატყვისი ოსტატობის გარეშე, ანდა, რომლის შემოქმედების სიდიადე ასე არსებითად ემყარებოდეს საოცარ ნიჭიერებას და არა „საოცარ ოსტატობას“.[1]

მაგრამ ეს არ ნიშნავს, თითქოს, პრიმიტიულობა ყოველ მხრივ იჩრდილებოდეს ნიკო ფიროსმანაშვილის შემოქმედებაში. ასეთი დასკვნის დაშვება შეცდომა იქნებოდა. მოცემულ შემთხვევაში ჩვენ მხედველობაში გვაქვს მხატვრის ნაწარმოების საკუთრივ მხატვრულ-ესთეტიკური სიღრმე და სიძლიერე. რაც შეეხება მისთვის დამახასიათებელ ისეთ თვალსაჩინოდ გამოხატულ ნიშნებს, როგორიცაა პირობითობა, ლაკონიურობისა და დეკორაციულობის სიმკვეთრე, სინამდვილის თავისებური დეფორმირება, პროპორციულობის, ნახატისა და პერსპექტივის კანონების ამა თუ იმ სახით უგულებელყოფა, ისინი მხოლოდ თვითნასწავლობიდან მომდინარეობენ. მათ არავითარი პრინციპული, წინასწარ გააზრებული, მაშასადამე, მეთოდისეული საფუძველი არ განაპირობებს. ამიტომ დიდი შეცდომაა ნიკო ფიროსმანაშვილის შემოქმედების ე. წ. განსწავლულ პრიმიტივიზმთან დაკავშირება. ყველაფერი ეს მხატვრის იძულებით ბედს წარმოადგენდა: ცხოვრების გზამ, გარემომ აიძულა იგი ასეთი ყოფილიყო. და, რაც მთავარია, ეს იყო ნიკო ფიროსმანაშვილის ტრაგედია და არა დიდების გვირგვინი, შემოქმედებითი წარმატების საფუძველი, როგორც ამას „ცისფერი ყანწელები“ და ზოგი სხვა მოდერნისტი ან მოდერნისტულად განწყობილი „შემფასებლები“ ამტკიცებდნენ. ამ თეორიას თვითმიზნური პრიმიტივიზმით, „მემარცხენე“ მოდერნისტულ-დეკადენტური პრინციპებით გატაცება და მათი ქართულ ხელოვნებაში დანერგვის სურვილი ასაზრდოებდა. სამწუხაროდ, რამდენადმე, ახლაც გაისმის ეს ხმა, ახლაც გვხვდება მტკიცება, თითქოს, ნიკო ფიროსმანაშვილს გარკვეული მსგავსება აკავშირებდეს კუბიზმთან, ხოლო ეს მსგავსება ძირითადად მაინც არაშემთხვევითი იყოს, ქართველი მხატვრის შემოქმედებითი კონცეფციიდან, სავსებით გააზრებული ესთეტიკური იდეალიდან მომდინარეობდეს.

თანამედროვე ქართულ ფერწერაშიც პოულობს გამოხატულებას როგორც, პრიმიტივიზმით. საერთოდ, ისე, კერძოდ, ნიკო ფიროსმანაშვილით ამ მხრივ გატაცება. ეს არის უაღრესად უარყოფითი მოვლენა, რომელიც პრინციპულად ეწინააღმდეგება ჩვენი ეროვნული

---

[1] აქ ზედმეტი არ იქნება ისიც გავიხსენოთ, რომ მხატვრული ოსტატობა, განსაკუთრებით კი მისი ისეთი კომპონენტი, როგორიცაა საკუთრივ ხატვის პროფესიული დონე, ჭეშმარიტი მხატვრობის დედაენაა; ხოლო როდესაც შემოქმედი მის გარეშე აღწევს განსაკუთრებულ წარმატებებს, ეს ტალანტის გრანდიოზული მასშტაბის გამოხატულებას წარმოადგენს.

ხელოვნების განვითარების ჭეშმარიტ ინტერესებს. მიბაძვა, რის მიმართაც არ უნდა ხდებოდეს იგი, ხამდვილი ხელოვნების გარეშე დგას. როგორც ცნობილია, მხატვრული ქმნილება, მიმდინარეობა თუ სტილი განუმეორებელია. ისინი ერთის სახით არსებობენ და მნიშვნელობენ. გამეორება, მითუმეტეს მათი ღირსების შენარჩუნებით, აბსოლუტურად გამორიცხულია. ხოლო როცა ეპიგონიზმის საგანს, რომელიმე ხელოვანის შემოქმედების მცდარი ან დაბალი მხარე შეადგენს, მაშინ კიდევ უფრო მახინჯ მოვლენასთან გვაქვს საქმე.

ყველა დროისა და ხალხის ჭეშმარიტი ხელოვნება ახლისა და მაღალი ოსტატობის ძიებას, კლასიკური მემკვიდრეობის საუკეთესო მონაპოვართა კრიტიკულ ათვისებას (გათავისებას), ეპოქის მოწინავე ესთეტიკურ იდეალს ემყარებოდა. ეს ხელოვნების პროგრესის რკინის კანონია, რომელიც განსაკუთრებული სისრულით ვლინდება ჩვენი ხელოვნების წარმართველ შემოქმედებით პრინციპთა სფეროში. აქედან ნათელია, თუ რამდენად ჩამორჩენილია და ყალბი იმ ადამიანთა თვალსაზრისი, რომლებიც პრიმიტივიზმის აღორძინებას (ისიც მიბაძვით აღორძინებას) უჭერენ მხარს ჩვენს დროში. როგორც ჩანს მათ სწორი წარმოდგენა არა აქვთ თვით ნიკო ფიროსმანაშვილის შემოქმედების შესახებაც: ამ უკანასკნელის ხოტბას ასხამენ იმის გამო, რაც მის სუსტ მხარეს შეადგენდა.

კიდევ ერთხელ უნდა გავიმეოროთ: ნიკო ფიროსმანაშვილი დიდია არა თვითნასწავლობის, თუ პრიმიტიულობის გამო, არამედ როგორც კოლორისტი, რომელიც რამდენიმე ფერით ქმნის ბრწყინვალე გამებს, ტონალობას, ამეტყველებულს ჭეშმარიტად დიდი გამომსახველობითი და ესთეტიკური ღირსებით. იგი დიდია წარმოსახვის (განსახოვნების) თვითმყოფობით, სიღრმით, უშუალობითა და სიმართლით, კომპოზიციის ბუნებრივი გრძნობით, თავისი მხატვრული ხილვისა და ესთეტიკურის წვდომის განსაკუთრებული უნარით.

ყველაფერი ეს კი საოცარი, როგორც ვთქვით, გენიალობასთან შედავებული ტალანტიდან მომდინარეობს. უწინარეს ყოვლისა, ამ ფაქტორით აიხსნება ის, რომ არავის, არც ერთი ერისა და ეპოქის სახალხო მხატვარს არ ხვედრია წილად ასე სასტიკად დაემარცხებია თავისი უკუღმართი ბედი თავისი შემოქმედებით. ამ ბუნებრივმა მადლმა აზიდა ნიკოს ფუნჯი ასე მაღლა და საკაცობრიო მნიშვნელობა მიანიჭა მას.

* * *

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ნ. ფიროსმანაშვილის ნაწარმოებთა თემატიკის მრავალფეროვნება. სოფლის ცხოვრება, უმთავრესად კახეთის ყოფა-ცხოვრება და ბუნება; თბილისი და თბილისელი მეეზოვე, მედუქნეები, მუშები, თითქმის ყველა პროფესიის მოქალაქეები; საქართველოს სხვადასხვა კუთხის პეიზაჟი; ცხოველები, ფრინველები; საქართველოს წარსული — კრწანისის ომი, თამარ მეფის, შოთა რუსთაველისა და გ. სააკაძის პორტრეტები, „ვეფხისტყაოსნის" ილუსტრაციები და ეროვნული სინამდვილის მრავალი სხვა მხარე განასახიერა მხატვარმა თავის ტილოზე. უშუალო, ბუნებრივი და მართალი ხედვით, უმთავრესად ღრმად განზოგადებული და უაღრესად მკვეთრი სოციალური დახასიათებით არის წარმოსახული ეს კონტრასტული და ნაირსახოვანი სინამდვილე ნიკო ფიროსმანაშვილის ნაწარმოებებში. აქ ხშირად შეხვდებით საოცრად შთამბეჭდავ და სიკეთის დაცვით განათებულ როგორც გამომსახველობით, ისე საკუთრივ ფერწერით აღმოჩენებს, თუ თვითმიღწეულ უჩვეულო მხატვრულ წვდომას. ასეთია არაერთი კომპოზიცია, ცნობილი „მეეზოვე", აბრების, პეიზაჟებისა და პორტრეტების უმრავლესობა. ასე გეჩვენებათ, მათი განსაკუთრებულობა ციდან ჩამოვარდაო. ამასთან, მათში არ იგრძნობა როგორც თვითმიზნური ძიებანი, ისე ძალდატანებული „აზროვნული გარდაქმნა", ე. წ. შიშველი ტენდენციურობა. ნიკო ფიროსმანაშვილის შემოქმედებითი ხილვა, განცდები, ფიქრი, პირადული თუ სოციალური მისწრაფება, საერთოდ დამოკიდებულება გარემო სამყაროსთან, ბუნებრივად, სტიქიურად ვლინდება, სურათდება, შეიძლება ასეც ვთქვათ, თეითისახება. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თვით ეს ფიქრები, დამოკიდებულებანი, აღტაცება, თუ უარყოფა არ ატარებს ჩამოყალიბებული კონცეფციის, თანმიმდევრული პოლიტიკურ-ფილოსოფიური სისტემის ხასიათს. ასეთი თეორიულ-აზროვნული საფუძველი არ არის დამახასიათებელი ნიკო ფიროსმანაშვილის შემოქმედებისათვის. მხატვრის შეხედულებათა სამყარო ყოველთვის უშუალო გააზრებითა და დასკვნებით, უშუალოდ განცდილითა და ცხოვრებისეული (პრაქტიკული) სიმართლის ძიებით არის გაპირობებული. ამიტომ იგი ხალხის სიბრძნეზე დამყარებული ჩვეულებრივი ფხიზელი გონების ადამიანთა მსოფლგაგების საზღვრებს არ სცილდება; ოღონდ, რა თქმა უნდა, გაცილებით უფრო მდიდარია და ღრმა ინტუიციური წვდომით. ყველაფერი ეს კი თავისებურ ხასიათს აძლევს ნიკო ფიროსმანაშვილის მსოფლგაგებას, რომლის ერთ-ერთ ნიშანდობლივ მხარეს სინამდვილის ერთგვარი სტატიური სახემასალებით წარმოსახვა შეადგენს. მხატვარი გაურბის მოძრაობის ჩვენებას, რადგან მოძრაობის პროცესში ხომ რაღაც კვდება და რაღაც იბადება. ამ პროცესის,

კერძოდ სიკვდილის ჩვენებას კი ვერ ეგუება მხატვრის უაღრესად ფაქიზი და სათნო ნატურა. მისი იდეალია ყველგან და ყოველთვის სიკეთე და უკვდავება ბრძანებლობდეს.

უსაზღვრო სათნოებითაა გამსჭვალული ბუნების ფიროსმანაშვილისეული წარმოსახვაც. თუმცა ადამიანი და ბუნების სამყარო, ხელოვანის გაგებით, სხვადასხვაგვარი სიცოცხლით ხასიათდება, მაგრამ სიცოცხლე მაინც ორივე შემთხვევაში ერთნაირად ძვირფასია. ამიტომაა, რომ ყოველთვის მაღალი გრძნობითა და თბილი, გულითადი ალერსით არის წარმოსახული ნიკო ფიროსმანაშვილის ტილოებზე ირმები, ფრინველები და პეიზაჟი. ალბათ, ამითაც არის გაპირობებული ამ ციკლის ნაწარმოებთა ლირიკული აქცენტი, ხოლო უმეტეს შემთხვევაში განსაკუთრებული ფერწერული ღირსებაც. აქ საგანგებო ყურადღებას იქცევს ე. წ. ცოცხალი ბუნების ფიროსმანაშვილისეული გაგების შემდეგი მოტივიც: ცნობილ სურათებში „ირემი“ და „დაჭრილი ირემი“, გადაჭრილი ხეები და იქვე მდგომი ირმები ისეა განსახიერებული, თითქოს, უკანასკნელნი ხეების გადაჭრილ ნაწილებს წარმოადგენდნენ. ამით ნათქვამია — ირმები, საერთოდ ცხოველები, მცენარეთა უშუალო გაგრძელება და შედეგიაო.

ნიკო ფიროსმანაშვილის გატაცებისა და შემოქმედებითი ინტერესის მთავარი საგანი მაინც ადამიანია. იგი, უპირველეს ყოვლისა, მას უმღერის, განუწყვეტლივ დაეძებს ადამიანთა სიხარულს, სულიერ ჰარმონიას, სიკეთესა და ბედნიერებას. მიუხედავად ამისა მისი ფუნჯი არ შეიძლება მივიჩნიოთ სიხარულისა და ბედნიერების მესიტყვეთ. სევდა, მელანქოლია, შინაგანი ტკივილი, ნაღვლიანი სახეები უფრო მეტადაა განსახიერებული მხატვრის ტილოებზე. აქ ადამიანები მაშინაც კი სევდიანად გამოიყურებიან, როდესაც გაშლილ სუფრას უსხედან, ნადიმობენ. და ეს ჟღერს როგორც ადამიანის დაცვა და პროტესტი უსამართლო ცხოვრების წინააღმდეგ. „საწყალ ნიკალას“ ბედუკუღმართი ცხოვრება და გარემოს მანკიერება სავსებით გასაგებს ხდის ამ მოტივს. ნიკო ფიროსმანაშვილს ხომ არც ერთხელ არ განუცდია ნამდვილი სიხარული. მხოლოდ ნიჭის ამარა მიტოვებული ფუნჯით უმკლავდებოდა მისთვის მთლად შავი ფერით დაფარულ ცხოვრებას, სავსეს უსამართლობითა და კაცთმოძულეობით. რა თქმა უნდა, ასეთ შემოქმედს არ შეეძლო წარმოესახა ლაღი გრძნობები, ბედნიერი ადამიანები, ჭეშმარიტი სიცილი და სიხარული. იგი ანსახიერებდა იმას, რასაც ხედავდა თავისი კეთილი, ადამიანისადმი გულითადი სიყვარულით სავსე თვალებით.

ნიკო ფიროსმანაშვილის შემოქმედების იდეური არსის ამავე მოტივის ორგანულ ნაწილს შეადგენს, ერთი მხრივ, თანაგრძნობა მშრომელი ხალხის მიმართ, სამართლიანობის, კაცობის, სიკეთისა და მეგობრობის ქადაგება, ხოლო, მეორე მხრივ, მჩაგვრელი სოციალური წრის, თავადაზნაურობის, ბობოლა გლეხების, ჩარჩ-ვაჭრებისა და მძარცველთა უარყოფითად წარმოსახვა. საგანგებო ყურადღებას იქცევს ამ მხრივ ცნობილი კომპოზიცია: „უშუალო მილიონერი და შვილებიანი საწყალი ქალი“. ეს ნაწარმოები ყველაზე დამახასიათებელ ქმნილებას წარმოადგენს ხელოვანის სოციალ-პოლიტიკური მწრამსის ნათელსაყოფად, რაც პირველად ა. დუდუჩავამ აღნიშნა სავსებით სწორად. საწყალი ქალი ბუნებამ დააჯილდოვა და როგორც დედა ბედნიერია. მაგრამ უსამართლო ცხოვრებამ დაიმორჩილა, გაუთავებელი გაჭირვების უღელში შეაბა, დააბეჩავა. მდიდარი კი ცხოვრებას მოერია, გამდიდრდა, უბრალო ადამიანებზე გაბატონდა, მაგრამ როგორც ადამიანი უბედურია, უშვილოა. თითქოს ბუნებამ დასაჯაო ავკაცობისათვის. ცხოვრება უსამართლოა, ბუნება კი ცხოვრების უსამართლობას ასწორებს.

ცხადია, უაღრესად თავისებურია ეს თვალსაზრისი, მაგრამ იგი ნიკო ფიროსმანაშვილს სავსებით შეესაბამება ჩვენთვის უკვე ცნობილ გარემოებათა გამო. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ნიკო ფიროსმანაშვილის გარემომცველ წრეში სიკეთე და სიმართლე საძიებელი იყო. ამას შესანიშნავად ხედავდა მხატვარი როგორც საკუთარი ბედის, ისე საერთოდ ცხოვრებაზე დაკვირვების შედეგად. ეს კიდევ უფრო აძლიერებდა მის გულითად სიყვარულს ადამიანისადმი, მის გულმართალ ჰუმანიზმსა და მისწრაფებას — დაეხატა ადამიანები და მათი ცხოვრება ცუდისა და კარგის, სიკეთისა და ბოროტების მკვეთრი ჩვენებით. მოვლენების განურჩევლობა, ობიექტივიზმი უცხო იყო მისთვის. მისი შემოქმედების ერთადერთი საფუძველი მხატვრული სიმართლის, ტიპიური, ნიშანდობლივი თვისებების თავისებური ფერწერითი სახემოსილებით წარმოსახვა იყო, რასაც მაღალი ესთეტიკური განსახებით ავლენდა თავისი ნაწარმოებების უმრავლესობაში. ამ მხრივ უწინარეს ყოვლისა, გარდა აქ მოხსენებული კომპოზიციისა, აღსანიშნავია ცნობილი „მეეზოვე“, „ნატურმორტი“, არა ერთი პორტრეტი, სიუჟეტური კომპოზიცია და პეიზაჟი. ზოგჯერ მხატვარი რამდენიმე პერსონის წარმოსახვით იძლევა რომელიმე სოციალური წრის თუ ამ უკანასკნელის გარკვეული ფენის ტიპიურ სახეს. მაგრამ ამგვარი ერთგვარობა ისე აქვს მოცემული, რომ ამით არ მცირდება ნაწარმოების არც შემეცნებითი და არც ესთეტიკური ღირსება.

ყველაფერი ეს სავსებით ნათელყოფს ნიკო ფიროსმანაშვილის შემოქმედების მთელი თავისი არსებით ხალხურ, ღრმად დემოკრატიულ ბუ-

ნებას და იმის დადასტურებასაც წარმოადგენს, რომ ფერთსახვის დიდმპყრობელი რეალიზმას საფუძველზე დგას, რეალისტური განსახოვნების პრინციპებიდან გამომდინარეობს. ალბათ, მხატვარს თეორიულად არ ჰქონდა გააზრებული თავისი შემოქმედებითი სამყაროს ეს მხარე (მხატვრული მეთოდის ხასიათი), მაგრამ ასეთი ფაქტები ხომ სხვა შემთხვევაშიც თვალსაჩინოდ გვხვდება ხელოვნების ისტორიაში. და თუ აღნიშნული პრინციპები ჩვეულებრივი სახით არ ვლინდებიან, ხოლო ზოგჯერ არც ჩამოყალიბებულ და სრულ გამოხატულებას ჰპოულობენ ნიკო ფიროსმანაშვილის ნაწარმოებებში, ამის უმთავრესი მიზეზი ხელოვანის მხატვრული ოსტატობის შეზღუდულობაა. როგორც ვთქვით, ამავე ფაქტორით აიხსნება ფიროსმანაშვილისეული პირობითობა და სხვა ანალოგიური სტილისტური ნიშნები, რომელთა წინა პლანზე წამოწევა და მხატვრის ქმნილებათა უპირველეს ღირსებად აღიარება მოდერნის აპოლოგიის საფუძველზე ხდებოდა და ხდება დღესაც. ეს ფალსიფიკაცია ობიექტურად (ხოლო გამონაკლისს შემთხვევაში სუბიექტურად) რეალიზმისა და მაღალი ოსტატობის წინააღმდეგაა მიმართული. ზოგჯერ სხვა მოტივიც მნიშვნელობს: ის რაც ნიკო ფიროსმანაშვილმა თავისი დიდი ტალანტით დაჩრდილა (ე. ი. თვითნასწავლობა), უნიჭობის, შემოქმედებითი უსუსურობის თავშესაფრად სურთ აქციონ. ცხადია, ეს უაღრესად გზამოკლე მისწრაფება, არსებითად, ჭეშმარიტი ხელოვნების მიღმა დგას. ნიკო ფიროსმანაშვილს ანტიხალხურ, მოდერნისტულ ხელოვნებასთან არავითარი, არც პირდაპირი და არც შორეული ან შემთხვევითი კავშირი არც ერთ შემთხვევაში არ ახასიათებს. ამიტომ ის, ვინც ამ ასპექტში განიხილავს ამ ვირტუოზი სახალხო მხატვრის შემოქმედებას, ის საკუთარ ყალბ და ჩამორჩენილ ესთეტიკურ იდეალს ემყარება და არა ფაქტების ობიექტურ მეცნიერულ ანალიზს. ასეთ სუბიექტივიზმს კი მხოლოდ ზიანი მოაქვს ნიკო ფიროსმანაშვილის სახელისათვის.

დასასრულ, საგანგებო ყურადღებას იქცევს შემდეგი გარემოებაც.

ვინც ნიკო ფიროსმანაშვილის შესახებ გამოქვეყნებულ მოგონებებსა და აგრეთვე პირველ (1918 წლამდე დაწერილ) წერილებს გაეცნობა, მას არ შეიძლება არ დაებადოს ასეთი კითხვა: როგორ მოხდა, რომ მხატვარს უპატრონოდ მიგდებულს ამოხდა სული, მაშინ როდესაც მას ამდენი დამფასებელი და გულშემატკივარი ჰყავდა? დღეს ჩვენ ისიც კი არ ვიცით დანამდვილებით სად დამთავრდა ეს განაწამები სიცოცხლე: ჭუჭყიან სარდაფში თუ საავადმყოფოში? მეტიც: მხატვრის საფლავიც კი დაიკარგა — უბედობა სამარეშიც თან გაყვა „საწყალ ნიკალას“. არც ერთს იმ გულშემატკივართაგან, რომლებიც 1918 წელს თუ მომდევნო წლებში თბილისში ცხოვრობდნენ, არ უცდია გაეგო როგორ და სად გარდაიცვალა მათ მიერ აღიარებული დიდი ხელოვანი, ან სად გაიჭრა მისი საფლავი. მაშინ ხომ ადვილად შეიძლებოდა ამის დადგენა.

უცნაური ფაქტია.

რა თქმა უნდა, ეს მარტო ჩემი საყვედური არ არის.

* * *

ნიკო ფიროსმანაშვილის შემოქმედება, მისი განკერძოების (განსაკუთრებული ინდივიდუალური ხასიათის) მიუხედავად, არა მარტო ღრმად ეროვნულია, არამედ ზოგადკაცობრიულიც. მისი საოცარი თვითმყოფობა ეროვნულის თავისებურ სახემოსილებას, გამოხატულებას წარმოადგენს, ხოლო ორივე ერთად ზოგადკაცობრიული იდეებითა და საყოველთაო მნიშვნელობის ესთეტიკური ღირსებით არის განათებული. ჭეშმარიტი ჰუმანიზმი და ხალხურობა; ვირტუოზული ფერთთხზვა და მხატვრული წვდომა, გაპირობებული ჯადოქარი ტალანტის თვითელვარებით; გამომსახველობითი სიცხადე და უაღრესი შემოქმედებითი ინდივიდუალობა — ასეთია ის ნიშნები, რომელთა მთლიანობას ქართველი ხელოვანის შემოქმედების საკაცობრიო არსი ეფუძნება. ამიტომაა (ძირითადად მაინც), რომ ყველა ხალხის წარმომადგენელთ ხიბლავს ნიკო ფიროსმანაშვილი, განურჩევლად მათი ეროვნული ვინაობისა და ესთეტიკური იდეალებისა.

ცხადია, ხალხის წიაღიდან გამოსული და ბოლომდის მთელი თავისი არსებით ხალხთან დაკავშირებული დიდი ხელოვანი არც შეიძლებოდა არ ამაღლებულიყო ამ დონემდე.

ფასი 80 კაპ.

ИНДЕКС
76128

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# «МНАТОБИ»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ